

ზიზის

ძირითადი ფორმები

ფრის რიხინი



ქართული გამოცემისათვის

შიშს, როგორც პიროვნების ცხოვრების თანამდევ ფენომენს, უხსოვარი დროიდან აკვირდება ადამიანი. უამრავ პოპულარულ წიგნებთან ერთად, მრავლადაა მეცნიერულ კვლევა-ძიებაზე დაფუძნებული სამეცნიერო ლიტერატურაც, თუმცა ქართულენოვანი მკითხველი ამ მხრივ ნაკლებადაა განებივრებული.

ფრიც რიმანის წიგნი – «შიშის ძირითადი ფორმები» რამდენადმე ავსებს ამ დანაკლისს და მკითხველს სთავაზობს მეტად ორიგინალურ მოგზაურობას შიშის საინტერესო სამყაროში.

გერმანელი ფსიქოლოგი, ფსიქოანალიტიკოსი, ფსიქოთერაპევტი, ასტროლოგი და მწერალი ფრიც რიმანი (1902-1979 წწ.), მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, სამ ათეულ წელს იყო გადაცილებული, როცა დატოვა მამაკაცული წარმატებული წარმოების წამყვანი ეკონომისტის ადგილი და, მიუხედავად დედის წინააღმდეგობისა, ფსიქოლოგიის შესწავლის მიზნით, მიუნხენში გადავიდა.

ცხადია, ფსიქოლოგიისადმი ცხოველმა ინტერესმა შესაბამისი შედეგი გამოიღო. ამის დასტურია წინამდებარე წიგნი და ფრიც რიმანის ის ნაშრომები, რომელთა თარგმანებსაც, ვფიქრობთ, დიდი ინტერესით დაელოდება მკითხველი.

გააცნობიერო საკუთარი შიშები, ჩასწვდე მის წარმომავლობას – არის როგორც თვითცნობიერების, ასევე სამყაროს გაგების ურთულესი პროცესის უდიდესი ჰუმანური აქტი. ავტორი მიზანმიმართულად იღვწის ამ კეთილშობილური მიზნისაკენ და მკითხველს ისე აახლოებს შიშთან, რომ წიგნის დახურვის შემდეგ, შიშის ნაცვლად, შიშის შესახებ ცოდნა რჩება ხელთ. შემეცნების, გაგების სიხარულს ნაზიარევი მკითხველი სამართლიანად ემადლიერება ავტორს და მთარგმნელსაც. მით უმეტეს, რომ თანამედროვე ადამიანს მრავალსახოვან შიშებში უწევს ცხოვრება; იმატა ე.წ. ეგზოტიკურმა შიშებმაც. და, რაც დრო გადის, მით უფრო ღირებული ხდება ადამიანის ცოდნა შიშის თაობაზე. ფრიც რიმანი, როგორც ღრმად მოაზროვნე პიროვნება, შიშს არ განიხილავს, როგორც უკეთურებას. შიშის განცდა და მისი დაძლევის მცდელობა პოზიტიური გამოცდილებაა. არსებობს არქეტიპული, პიროვნულ გამოცდილებასთან დაკავშირებული, ინდივიდუალური, კოლექტიური, რეალური, ირეალური, ყოფითი, აბსტრაქტული და სხვა სახის შიშები. მუცლადმყოფი ნაყოფის შიშების ასახვა ფსიქიკაში და მისი გამოვლინების ფორმები, ასევე დაბადების აქტთან დაკავშირებული გამოცდილების წილი მოზრდილის ცხოვრებაში ფსიქოლოგიაში გაუთვითცნობიერებული მკითხველისთვისაც კი გასაგებადაა გადმოცემული, რაც აძლევს საშუალებას, უკეთ დაინახოს საკუთარი შიშების მიზეზშედეგობრივი კავშირები. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი განკუთვნილია შიშის საკითხით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის, ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებსაც წაადგებათ პროფესიულ საქმიანობაში, რადგან მასში ასახული და გაანალიზებულია ჩანასახოვანი მდგომარეობიდან მოყოლებული, ადამიანის სიკვდილამდე არსებული ყველა სახის შიში.

შიშის თემაზე საუბრისას, მის ნებისმიერ ასპექტთან შეხებისას, არ შეიძლება არ გაგახსენდეს ჟან პოლ სარტრის «კედელი», ედგარ პოს «სფინქსი», ჯორჯ ორუელის «1984», ლევ ტოლსტოის «ბატონი და მოჯამაგირე», პოლ ვირილიოს «ინფორმაციული ბომბი», ნორბერტ ელიასის «მომაკვდავთა მარტოობის შესახებ ჩვენს დროში» და კიდევ მრავალი სხვა.

თვით «ღმერთის დარმა» მეფე გილგამეშმაც კი, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილის შიშს ყველაზე პრაგმატული, ყველაზე რაციონალური – ტანჯვა და მოქმედება დაუპირისპირა, კაცობრიობას მაინც ვერ გაურღვია იდუმალი კედელი, რადგან სიკვდილის შიში უფრო ირაციონალურის შფოთია გარდუვალი წარმავლობის წინაშე, ვიდრე რეალობის ლოგიკური დანასკვი. გილგამეშმა, თუმცა იცოდა, რომ მოკვდავი იყო, მაინც ააშენა ქალაქი, გააკეთა ბევრი რამ, ისიც თქვა, თუ რა არის კარგი, მაგრამ ამ რაციონალურ განსჯას მხოლოდ რაციონალურის გამოწვევა შეეძლო, ადამიანი კი რაციონალურისა და ირაციონალურის მთლიანობაა. სად, როდის, რომელი იქნება პრიორიტეტული, – ამის განმსაზღვრელი ერთიცაა და მეორეც. ადამიანი ბიოფსიქო-სოციალური არსებაა. მისი ბედისწერა, შეიძლება

ითქვას, მისივე ნერვული სისტემაა, რომელსაც ბედად რა გარემო ერგება და რაზე შეძლებს თუ ინებებს პასუხისმგებლობის აღებას – ესეც ზემოხსენებულთა ერთიანობაა. ზიგმუნდ ფროიდის მიერ ფსიქიკური ენერჯის მაკონსტრუირებელ მექანიზმად სიყვარულის ენერჯის გამოცხადება მეცნიერული აზროვნების ისტორიაში უმნიშვნელოვანეს მომენტად შეიძლება ჩაითვალოს. რელიგიურისა და მეცნიერულის ხდომილებათა ერთ-ერთი ადგილი, ვფიქრობ, სწორედ ეს უნდა იყოს. პავლე მოციქულის განაზრებანიც მთლიანად ესაა, მით უმეტეს, როცა აცხადებს: «სიყვარული რომ არ მქონდეს, არარა ვიქნებოდი» და მასთან შედარებით მთების გადაადგილებაც კი არაფრად მიაჩნია. კიდევ უფრო მეტი ადამიანის ფსიქიკურ შესაძლებლობათა მთელი პალიტრაა ქრისტე და მისი მოწაფეები – «ძე ღვთისა და ძე კაცისა»-დან დაწყებული წარმავალზე, მიწიერზე ორიენტირებული, ოცდაათ ვერცხლს ჩაფრენილი იუდათი დამთავრებული. აქ ცოდნისა და რწმენის ცდომილებათა და ხდომილებათა მთელი გამაა, სადაც, რომ იტყვიან, არაფერი უცხო არ არის! ქრისტეს განაცხადი: «უფალო, შეუნდე, რამეთუ არა უწყიან», ღვთიურისა და ადამიანურის ერთიან ველში მოქცევაა, სადაც ერთმა იცის და მეორემ – არა, ერთს სწამს და მეორეს – არა. პირველი თავისთავის მცნობელიცაა და სხვისაც, მეორე – არც თავისთავისა და არც სხვისა. მცნობელობის შესაძლებლობათა ვარიაციებიც მრავლადაა. ასევე მრავლად მოიძებნება მისი დაჯგუფების კრიტერიუმებიც.

ცნობიერების მაღალი ინსტანციიდან ხდება რეალობასთან განცდის, აზრისა და ქმედების შესაბამისობა და უმაღლეს ღირებულებებზე ორიენტირებულობა. ამიტომაც არავის, ადამიანის გარდა, არ შეუძლია თქვას: «აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს». ის «მძიმე» ანტინომიები, რომელშიც ადამიანმა თავისი «ჰო»-დ ყოფნა უნდა განახორციელოს, ერთგვარი ჭიდილია «მე»-სა და «არამე»-ს შორის. სწორედ აქ, ინდივიდუალობისა და სხვებთან ერთიანობის შიშის ძლევაში, იბადება ადამიანი და, როგორც მერაბ მამარდაშვილი იტყოდა, მეორედ და ნამდვილად.

ფრიც რიმანის მიერ შემოთავაზებული საინტერესო ანალოგია ადამიანის ფსიქიკურ ენერჯიათა მიმართულებებსა და კოსმიურ ე.წ. წესრიგს შორის უფრო თვალსაჩინოს ხდის ადამიანის შიშების ოთხივე ფორმას: შიზოიდურს, დეპრესიულს, ობსესიურსა და ისტერიულს. ეგზისტენციალური შიშების ყოფით შიშებში გადაყვანას, მისგან გაქცევის მცდელობას, როგორც ფრიც რიმანი აღნიშნავს, ზოგჯერ მთელ ცხოვრებას უძღვნის ადამიანი. ამგვარ ცხოვრებას ფუჭი ტანჯვა მოაქვს თავად ტანჯვის სუბიექტისთვისაც და მის ირგვლივ მყოფთათვისაც. და, რაც მთავარია, ეს არ არის შემოქმედებითი ცხოვრება; ის ძალიან ჰგავს ალბერ კამიუს პიესის – «გაუგებრობის» პერსონაჟებს, განსაკუთრებით – მარტას. აქ პერსონაჟები არსებულის არა შემოქმედებით გარღვევას, არამედ არსებულიდან გაქცევას ცდილობენ. მათ არც ერთგულება შეუძლიათ და ვერც აუცილებლობას უსწორებენ თავალს. «მთავარი შიშების გადატანა მათ შემცვლელ ნევროზულ შიშებზე მხოლოდ შემადფერხებლად და დამამუხრუჭებლად კი არ მოქმედებს ადამიანზე, – აღნიშნავს ფრიც რიმანი, – არამედ ჩვენი ცხოვრების იმ მნიშვნელოვან მიზნებსაც ჩამოგვაშორებს, ადამიანურ ყოფას რომ განსაზღვრავს».

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ავტორი შიშების ყოველი ფორმის განხილვას სიყვარულთან კავშირით იწყებს. ტრანსცედირების აქტი, როგორც ნამდვილი «მე»-ს გამოხატვის აქტი, როგორც თვითგამოხატვის უნივერსალური, ჭეშმარიტად ადამიანური პროცესი, სიყვარულის ენერჯით საზრდოობს და სამომავლოდ უფრო აღმატებული ენერჯიულობის წყაროც ხდება. ტრანსცედირების პროცესში აღწევს ადამიანი სამყაროს პირისპირ დგომას, რომლის შედეგიც რენე დეკარტის ცნობილ სიტყვებშია ასახული: «ახლა ჩვენ ორზე დგას, სამყაროც, საქმე». შიშის ნებისმიერი ფორმის მიღმა მდგომ ზოგადადამინურ პრობლემებს მხოლოდ დეკარტისეული პოზიციიდან შეიძლება გაეცეს პასუხი. მთავარი კი მაინც ის არის, რომ შიშის არსის ახსნა შევძლოთ; დავინახოთ, რომ შიშის ბუნებაშივეა მისი ძლევის მექანიზმი, ის, რომ იგი ერთგვარი სიგნალია ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებისა, მისი რეალური მდგომარეობისა. ამიტომაც უნდა წაიკითხოთ და, უფრო მეტიც, შეისწავლოთ ეს წიგნი ყველამ, მით უმეტეს, რომ ავტორი აღმზრდელობით, პრაქტიკულ მოსაზრებებსაც უხვად აწვდის შიშების პრევენციით დაინტერესებულ მკითხველს.

წიგნის თეორიული ნაწილი პრაგმატული თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანია. აღნიშნულ მონაკვეთში საკმაოდ საინტერესოდ არის გადმოცემული ინდივიდუალურ, პიროვნულ და საზოგადოებრივ, კოლექტიურ დონეზე არსებული შიშების წარმომავლობა და მათი მართვის მექანიზმები. თუ ადრე ადამიანს ბუნების ამოუხსნელი მოვლენები აშინებდა, ახლა თავისივე შექმნილი ტექნიკის თანმხლები შედეგები აფრთხობს და, საგანგაშო პროგნოზებით აღსავსე, ავ მომავალსაც წინასწარმეტყველებს. გენმოდირეცირებული საკვები, არაპროგნოზირებადი სოციალური მოვლენები, არამდგრადი პოლიტიკური ვითარებანი და მრავალი სხვა – თუ, ერთი მხრივ, ყოფით შიშებს უდებს სათავეს, მეორე მხრივ, ადამიანს უბიძგებს, წარმართოს ცნობიერება ღრმად ეგზისტენციალური განაზრებისაკენ, ადამიანის არსებობის არსის ჭეშმარიტი ძიებისაკენ, ერთგულების, პიროვნებად ჩამოყალიბების, ცვლილებისა და აუცილებლობის შიშების მიღმა არსებულის წვდომისაკენ. წიგნის მთელი პათოსი მიმართულია იქითკენ, რომ მკითხველმა შიშს შეხედოს არა როგორც საფრთხეს, არამედ როგორც გამოწვევას, როგორც იმპულსს ადამიანური, ჭეშმარიტი არსებობისათვის.

ნანა ჩაჩუა

ფსიქოლოგი

შიშის არსი და ცხოვრებისეული ანტინომიები

შიში ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი დაბადებიდან სიკვდილამდე ახალი, გარდასახული ფორმებით მუდმივად გასდევს ჩვენს არსებობას. კაცობრიობის ისტორია მოწმობს, რა დიდი იყო ადამიანის მცდელობა, დაეძლია, გადაეღობა, დაეთრგუნა ან ნაკლებად შეეგრძნო შიში, მასთან ბრძოლას კი თავისთავზე მაგია, რელიგია და მეცნიერება იღებდა. მართალია, ღვთის რწმენა და უანგარო სიყვარული, ბუნების კანონების ცოდნა, ცხოვრების ასკეტური წესი და მისი ფილოსოფიური გააზრება ვერ სპობს შიშს, მაგრამ მის დაძლევაში გვეხმარება და, შესაძლოა, ხელსაც კი გვიწყობს მის გამოყენებაში ჩვენ სასარგებლოდ. ნამდვილად ილუზიაა იმაზე ფიქრი, თითქოს შიშის გარეშე ცხოვრება შეგვეძლოს. შიში ხომ ჩვენი არსებობის ნაწილია და სიკვდილის გარდაუვალობასთან დაკავშირებულ ფიქრებს აირეკლავს. ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, ვებრძოლოთ მას და საკუთარ თავში ისეთ საპირისპირო ძალებს გამოვუხმოთ, როგორცაა სიმამაცე, ნდობა, ცოდნა, ამტანობა, იმედი, მორჩილება, რწმენა და სიყვარული. ამით შევძლებთ შიშის გათავისებას, ახსნას და ისევ და ისევ მის დამარცხებას; ამიტომ, ალბათ, ეჭვის თვალთ უნდა შევხედოთ იმ მეთოდებს, რომლებიც შიშისაგან მთლიანად გათავისუფლებას გვპირდება, რადგან ვერ აცნობიერებს ადამიანური არსებობის რეალობას და, შესაბამისად, მცდარ მოლოდინებს აღძრავს. მართალია, შიში ჩვენი ცხოვრების აუცილებელი თანმდევი მოვლენაა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მას მუდმივად განვიცდიდეთ. ამასთან, იგი მუდამ ჩვენთანაა და ცნობიერებაში იმ დროს ამოტივტივდება, როგორც კი, ჩვენი განცდების წყალობით, მისი შინაგანი თუ გარეგნული გამოვლინების კონცენტრაციას ვახდენთ. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ვცდილობთ, როგორმე თავი ავარიდოთ და გავექცეთ მას. ამისათვის საკუთარ თავში გამომუშავებული გვაქვს საგანგებო ტექნიკა და მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შეგვიძლია დავძლიოთ, განვდევნოთ და «მოტყუებით» ჩავიხშოთ შიში. მაგრამ, სიკვდილის მსგავსად, შიში არ წყვეტს არსებობას მაშინაც, როდესაც მასზე სულაც არ ვფიქრობთ.

შიშის არსებობას რომელიმე ხალხისა თუ ცალკეული ადამიანის კულტურისა და განვითარების დონე არ განსაზღვრავს. მისი სხვადასხვა სახით გამოვლინება, ერთი მხრივ, იმ ობიექტებზეა დამოკიდებული, რომლებიც შიშს იწვევს, ხოლო მეორე მხრივ, ამაში იმ საშუალებებსა და ღონისძიებებს მიუძღვით წვლილი, რომლებსაც შიშის დასაძლევად ვიყენებთ. ასე მაგალითად, თანამედროვე ადამიანს აღარ ეშინია ჭექა-ქუხილის; მზისა და მთვარის დაბნელებას იგი ახლა უკვე ბუნების საინტერესო მოვლენად აღიქვამს და აღარ განიცდის შიშს, რადგან იცის, რომ ეს ამ ციური სხეულების საბოლოო გაქრობას და სამყაროს დაღუპვას არ მოასწავებს. სამაგიეროდ, თანამედროვე ადამიანი ისეთ შიშებს განიცდის, რომლებიც ადრინდელი კულტურებისთვის უცხო იყო; ახლა მას უკვე ბაქტერიების, ახალ-ახალი დაავადებების, სატრანსპორტო ავარიების, სიბერისა და სიმარტოვისა ეშინია. სიახლე მხოლოდ ისაა, რომ მაგიური რიტუალები და შელოცვები შიშის დამთრგუნველმა ფარმაცევტულმა საშუალებებმა შეცვალა, თავად შიში კი ისევ ადამიანის კუთვნილებად დარჩა.

დღეისათვის შიშის შესწავლის ახალ, ყველაზე მნიშვნელოვან და უტყუარ საშუალებას ფსიქოთერაპია წარმოადგენს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდში შიშის განვითარების ისტორიას და ოჯახურ თუ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან მის კავშირს იკვლევს, რათა შეიცნოს შიშის მექანიზმი; ეს კი შემდგომ უზრუნველყოფს შიშისადმი გააზრებულ მიდგომას და მის წინააღმდეგ ბრძოლას მისივე დაძლევის მიზნით.

ამ დროს გამოვლინდება ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი კანონზომიერება და აშკარად ვხედავთ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის წყალობით, სამყაროს დაპყრობის პროცესში მიღწეულ პროგრესთან ერთად, ადამიანს უქრება გარკვეული შიშები, თუმცა მათ ადგილს

სხვა, ახალი შიშები იკავებს; ეს კი კვლავ გვაყენებს იმ ფაქტის წინაშე, რომ შიში ჩვენი ცხოვრების მუდმივად თანმდევ მოვლენას წარმოადგენს. დღევანდელ ცხოვრებაში მოჭარბებულად არსებულ შიშს თავად ადამიანის საქმიანობა და ქმედებები განაპირობებს, რომელთა შედეგებიც მისთვის სავალალო ხდება. ამ დროს ადამიანს იპყრობს შიში საკუთარი ხელით შექმნილ გამანადგურებელ საშუალებათა მიმართ, ფიქრობს იმ საფრთხეზე, რომელიც მას, შესაძლოა, ბირთვული იარაღის ან იმ ძალების გამოყენების შემთხვევაში შეექმნას, რომელთა ჩართვაც ცხოვრების პროცესში არაბუნებრივი გზებით ხდება. აშკარაა, ამ შემთხვევაში ადამიანს საკუთარი ზესთამჩენობა ბუმერანგით მიუბრუნდება უკან, რადგან სიყვარულსა და საკუთარი ღირსების გრძნობას მოკლებული, თავქარიანი ძალაუფლება და ბუნებაზე გაბატონების სურვილი თავისდაუნებურად წარმოშობს იმის შიშს, რომ მართულ, უგუნურ არსებებად არ გადავიქცეთ. თუკი ადრე ადამიანი მრისხანე დემონებისა და შურისმაძიებელი ღმერთების წინაშე შიშით ძრწოდა, რომელთა მიმართ თავს უმწეოდ გრძნობდა, დღესდღეობით მას საკუთარი თავის წინაშე იპყრობს შიში.

ამრიგად, ისევ და ისევ ილუზიაა იმაზე ფიქრი, თითქოს «პროგრესი», რომელიც იმავდროულად რეგრესსაც გულისხმობს, ოდესმე შიშებისგან გაგვათავისუფლებს, რადგან მას შედეგად ახალი შიშები მოჰყვება.

ერთი სიტყვით, შიშის განცდა თავად ჩვენი ცხოვრების ნაწილია და ამ თვალსაზრისით ზოგადად არსებობს; ამასთან, თითოეულ ადამიანს საკუთარი შიშის განცდა გააჩნია, რომელიც ისევე უჩვეულოდ და თავისებურად გამოვლინდება, როგორც «სიკვდილის» ან «სიყვარულის» ზოგადი ცნებების კონკრეტული განცდა. ნებისმიერი ადამიანი შიშს ინდივიდუალურად გამოხატავს და იგი ისეთივე განსაკუთრებულია მისთვის, როგორც სიკვდილის ან სიყვარულის საკუთარი განცდა.

ამრიგად, არსებობს მხოლოდ ის შიში, რომელსაც კონკრეტული ადამიანი განიცდის და გამოხატავს, რის გამოც იგი ყოველთვის განსაკუთრებული სახით გამოვლინდება, მიუხედავად შიშის განცდის ზოგადი ნიშანთვისებებისა. პიროვნულ შიშს განსაზღვრავს ინდივიდის ცხოვრების პირობები, განწყობილებები, უნარ-ჩვევები და გარესამყარო. ამ შიშს გააჩნია თავისი ისტორია, რომელიც რეალურად ადამიანის დაბადებისთანავე იწყება.

თუ შიშს «შიშის გარეშე» განვიხილავთ, შეგვექმნება შთაბეჭდილება, რომ იგი ორი სახით გამოვლინდება, რადგან მას შეუძლია, ერთი მხრივ, უფრო ქმედითი გაგვხადოს, ხოლო მეორე მხრივ კი, სრულიად დაგვჯახოს. საფრთხის დროს შიშის განცდა ყოველთვის გაფრთხილებას მოასწავებს, მაგრამ იმავდროულად იგი იმ იმპულსსაც შეიცავს, რომელიც საფრთხის დაძლევის მოითხოვს. სავარაუდო შიშის შეგრძნება და გაცნობიერება ადამიანის მიერ წინ გადადგმულ ნაბიჯზე მიგვანიშნებს, რის შედეგადაც იგი ნელ-ნელა პიროვნულ სიმწიფეში შედის. თუ შიშის შეგრძნება და გაცნობიერება არ ხდება, პიროვნება სტაგნაციას და დამუხრუჭებას განიცდის და განვითარების ბავშვობისდროინდელ დონეზე რჩება, როდესაც შიშის ზღვრის გადალახვა შეუძლებელია.

შიში ყოველთვის ისეთ სიტუაციაში გამოვლინდება ხოლმე, რომელსაც ადამიანი საერთოდ მოუმზადებელი ხვდება. განვითარების ნებისმიერი პროცესი თუ პიროვნული სიმწიფისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი შიშს უკავშირდება, რადგან იგი რაღაც სიახლის მაუწყებელია. შინაგანი თუ გარეგნული თვალსაზრისით, შიში ყოველთვის უცნობი და გაურკვეველი სიტუაციებისკენ გვიბიძგებს, როგორც არასოდეს შეგვხვედრია და საკუთარ თავზე არ გამოგვიცდია. ის, რაც ჩვენს ცხოვრებაში პირველად ხდება და სიახლის ხიბლს, სათავგადასავლო გატაცებას ან რისკით გამოწვეულ სიხარულს უკავშირდება, იმავდროულად შიშსაც ბადებს და, რაკი ჩვენი ცხოვრება მუდმივად რაღაც ახალი, უცნობი და ჯერ შეუცნობელი მოვლენების დინებას მიჰყვება, ამიტომ მათ შიშიც განუხრელად

ახლავს ხოლმე თან. ადამიანი შიშს, უპირველეს ყოვლისა, თავისი განვითარების ისეთ მნიშვნელოვან ეტაპებზე განიცდის, როდესაც იძულებულია, მისთვის ჩვეული გზით სიარულზე უარი თქვას და ახალ სიძნელეებს შეეჭიდოს, რაც მის ცხოვრებაში ცვლილებებს გამოიწვევს. ამრიგად, ადამიანის ზრდა, განვითარება და პიროვნული მომწიფება აშკარად გულისხმობს შიშის დაძლევას, ხოლო ამისათვის ის ნაბიჯები უნდა გადადგას, რომლებზეც დამოკიდებულია ნებისმიერი ასაკისათვის დამახასიათებელი შიშის წარმატებით გადალახვა.

ამის მიხედვით, არსებობს სრულიად ნორმალური, ასაკისა და განვითარების შესაბამისი შიშები, რომლებსაც ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანი წინ აღუდგება და დაძლევს, რაც მეტად მნიშვნელოვანია მისი შემდგომი განვითარებისათვის. მაგალითისათვის გავიხსენოთ ბავშვის მიერ პირველი ნაბიჯების დამოუკიდებლად გადადგმის მცდელობა, როდესაც მას დედამ ხელი უნდა გაუშვას, მან კი ამ დროს მარტომ გადალახოს თავისუფალ სივრცეში გადაადგილების შიში; ანდა ბავშვის ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი პერიოდი ავიღოთ, როდესაც იგი სწავლას იწყებს. ამ დროს ბავშვი პირველად ტოვებს ოჯახის წიაღს და საზოგადოებაში დამკვიდრებას იწყებს. სიყმაწვილისა და ახალგაზრდობის წლებში ადამიანს პირველად უხდება შეხება საპირისპირო სქესთან და ამ დროს უკვე ეროტიული და სექსუალური სურვილები სტანჯავს. აქვე გავიხსენოთ პროფესიულ საქმიანობაში გადადგმული პირველი ნაბიჯები, ოჯახის შექმნა, დედობის განცდა, ბოლოს კი – სიბერე და სიკვდილთან შეხვედრა. ყველა ამ მოვლენის თავდაპირველი განცდა თუ გააზრება შიშის თანხლებით ხდება.

ნებისმიერი შიში ორგანულადაა შერწყმული ადამიანის ცხოვრებასთან, რადგან იგი დაკავშირებულია მის სომატურ, სულიერ და სოციალურ განვითარებასთან, და მისი გამოვლინება საზოგადოებაში ახალი ფუნქციების შესრულების დროს ხდება. ასეთ შემთხვევებში ადამიანს იმ საზღვრის გადალახვა უხდება, როდესაც იგი მისთვის დადგენილ, ნაცნობ წესებს ემშვიდობება და ახალ, უცხო სამყაროში სურს შედგას ფეხი. ამას გარდა, არსებობს ინდივიდუალური შიშებიც, რომლებიც, ზღვრული სიტუაციების გათვალისწინებით, არატიპურ შიშებს განეკუთვნება. ისინი სრულიად წარმოუდგენელია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ასეთი რამ არასოდეს განუცდიათ. ამგვარ შიშებს ზოგ ადამიანში სიმარტოვე იწვევს, ზოგს ხალხმრავლობა ვერ აუტანია, ზოგსაც შიშის შეტევები ხიდზე და ვრცელ ქუჩაზე გადასვლისას ან დახურულ სივრცეში ეწყება. არცთუ იშვიათად, ადამიანები პანიკურ შიშში უწყინარი ცხოველების, ხოჭოების, ობობებისა და თაგვების დანახვაზე ვარდებიან.

ამრიგად, გამოდის, რომ ადამიანს ამქვეყნად თითქმის ყველაფრის ეშინია, მაგრამ რაგინდ მრავალფეროვანი უნდა იყოს შიშის ფენომენი, დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ამ დროს საქმე მაინც შიშის გარკვეულ ვარიანტებთან გვაქვს. ჩემს წიგნსაც სწორედ ამიტომ დავარქვი «შიშის ძირითადი ფორმები» და მათ აღწერას ვაპირებ. ნებისმიერი შიში ამ უმთავრეს ფორმებს უკავშირდება და მათ გამოვლინებას წარმოადგენს. ზოგჯერ შიში ამ ფორმებში ექსტრემალური ან მტანჯველი შიშის სახით გამოვლინდება, ზოგ შემთხვევაში კი მათი გადატანა სხვა ობიექტებზე ხდება. კერძოდ, ადამიანს აქვს მიდრეკილება, დაუძლეველი შიში იმ უწყინარი ობიექტებით ჩაანაცვლოს, რომლებსაც თავს უფრო ადვილად აარიდებს, ვიდრე საკუთარ შიშთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

შიშის ძირითადი ფორმების არსებობას სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულება განსაზღვრავს და მიგვანიშნებს, რომ ორ დიდ ანტინომიას შორის წარმოჩენილი წინააღმდეგობა და დაპირისპირება უნდა გავაცნობიეროთ. ამ ანტინომიების აღწერით მინდა ნათელი მოვფინო იმას, რაც ზეპიროვნული წესრიგისა და კანონზომიერებების დადგენის დროს ყურადღების მიღმა რჩება, თუმცა მაინც არსებობს.

ჩვენ ვიბადებით სამყაროში, რომელიც ოთხ ძლიერ ძალას ემორჩილება: დედამიწა გარკვეულ დროში მოძრაობს ჩვენი სისტემის ცენტრალური მნათობის გარშემო და ამ მოძრაობას «რევოლუციას» ანუ «გადატრიალებას» ვუწოდებთ. იმავედროულად დედამიწა წრეს საკუთარი თავის გარშემოც შემოავლებს, რასაც «საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვა» ჰქვია: ამრიგად, საქმე გვაქვს ურთიერთსაპირისპირო და იმავედროულად ურთიერთგანმაპირობებელ ძალასთან, რომელსაც ჩვენი სამყაროს მთელი სისტემა მოძრაობაში მოჰყავს ისე, რომ ამ მოძრაობას, ერთი მხრივ, სიმძიმის, ხოლო მეორე მხრივ, მიზიდულობის ძალა გარკვეული მიმართულებით წარმართავს. სიმძიმის ძალა თითქოს აკავებს ჩვენს სამყაროს, მისი ცენტრისკენ მიემართება და რაღაცით შთანთქმავს მორევს ჰგავს. მიზიდულობის ძალა სამყაროს შუაგულიდან მიისწრაფვის გარეთ, სივრცეში გაიჭრება და შურდულივით მსრბოლ მატარებელს მოგვაგონებს. მხოლოდ ამ ოთხ ძალას შორის არსებული წონასწორობა უზრუნველყოფს იმ სამყაროს კანონზომიერ და ქმედით წესრიგს, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელსაც კოსმოსი ჰქვია. ამ მოძრაობების დაჩქარება, შეფერხება ან შეჩერება მთლიანად გაანადგურებდა სამყაროში არსებულ წესრიგს და დიდ ქაოსს გამოიწვევდა.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ დედამიწა აღარ დაემორჩილა ერთ-ერთ ამ ძალას; აი, მაგალითად, შეწყვიტა მზის გარშემო ბრუნვა და მხოლოდ საკუთარი ღერძის გარშემო იტრიალა; მაშინ იგი დაარღვევს პლანეტისათვის დადგენილ წესრიგს, დაემსგავსება მზეს და მის გარშემო სხვა პლანეტები დაიწყებენ ბრუნვას. დედამიწა მისთვის განკუთვნილ ორბიტაზე მზის გარშემო ვეღარ იმოძრაავებს და საკუთარი კანონით გააგრძელებს არსებობას.

იმ შემთხვევაში, თუ დედამიწა აღარ დაემორჩილება როტაციის კანონს, ანუ საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვაში აღარ ჩაერთვება და მხოლოდ მზის გარშემო იმოძრაავებს, მაშინ იგი პლანეტიდან თანამგზავრამდე «ჩამოქვეითდება» და დაემსგავსება მთვარეს, რომელსაც მხოლოდ ცალი მხარე აქვს მზისკენ მიქცეული და მთლიანად მის გამგებლობაში იმყოფება. დედამიწა ორივე შემთხვევაში დაარღვევს პლანეტისთვის განჩინებულ კანონს, რომლის თანახმადაც, იგი, ერთი მხრივ, სამყაროს მთლიან სისტემაში უნდა ჩაერთოს, ხოლო მეორე მხრივ, დამოუკიდებლად იმოძრაოს საკუთარი ღერძის გარშემო.

შემდეგ: დედამიწას რომ არ ჰქონდეს სიმძიმის, ანუ ცენტრისკენული ძალა, იგი მხოლოდ მიზიდულობის, ანუ ცენტრიდანული ძალის ამარა დარჩება, ქაოტურად დაიწყებს მოძრაობას, ერთიანად დაიშლება, თავისი ორბიტიდან ამოვარდება და, ალბათ, სხვა ციურ სხეულებს შეეჯახება. და, ბოლოს, თუ სიმძიმის ძალას არ დაუპირისპირდება ცენტრიდანული ანუ მიზიდულობის ძალა, ეს ან დედამიწის სრულ გაქვავებას გამოიწვევს, ანდა იგი, სხვა ძალების გავლენით, საკუთარი ორბიტიდან ისე ამოვარდება, რომ მათ ვერავითარ სხვა ძალას ვერ დაუპირისპირებს. ახლა კი შედარებას მივმართოთ და ერთი წუთით დავუშვათ, რომ ადამიანი, როგორც დედამიწის მკვიდრი და ჩვენი მზის სისტემის პაწაწინა ნაწილი, ასევე დაკავშირებულია ამ სისტემის კანონზომიერებებთან და ინსტინქტებისა და ლატენტური მოთხოვნების სახით საკუთარ თავში ზემოაღწერილ ძალებს მოიცავს. რაკი ეს მოსაზრება ძალიან ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან, ამიტომ ამგვარ შედარებას საოცარ მსგავსებამდე მივყავართ. უბრალოდ, უნდა შევეცადოთ, ეს მთავარი მამოძრავებელი ძალები ადამიანთან მიმართებაში ფსიქოლოგიურ დონეზე გადმოვიტანოთ, რათა კითხვები მათი მსგავსების შესახებ ახლა უკვე სულიერ სფეროში დავსვათ და ზემოხსენებულ ანტინომიებსაც შევებოთ, რომელთა შორისაც მიედინება მთელი ჩვენი ცხოვრება. ამ დროს შიშის ის ძირითადი ფორმები წარმოჩინდება, რომლებიც ამ შედარებასთან მიმართებაში დიდად მნიშვნელოვანნი არიან.

როტაცია ანუ დედამიწის ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სავსებით შეესაბამება ინდივიდუალის შესახებ მოთხოვნას, რაც იმას

ნიშნავს, რომ ცალკეული ადამიანები შეიძლება ინდივიდები გახდნენ. «რევოლუცია» ანუ დედამიწის მოძრაობა ცენტრალური მნათობის, მზის, გარშემო კი იმ მოთხოვნას აკმაყოფილებს, რომლის თანახმადაც, ჩვენც ჩავერთვებით ერთ დიდ სამყაროში და ამით ვზღუდავთ საკუთარ პრინციპებს და სურვილებს ზეპიროვნული ურთიერთობების სასარგებლოდ. ამრიგად, პირველი ანტინომია საპირისპირო მოთხოვნებს წამოაყენებს იმის თაობაზე, რომ ინდივიდმა საკუთარი თავი ზეპიროვნულ ურთიერთობებში უნდა ჩართოს. ცენტრისკენულ ანუ სიმძიმის ძალას ფსიქოლოგიურ დონეზე შეესაბამება ადამიანის არსებობის ხანგრძლივობისა და სიმყარის იმპულსი; და, ბოლოს, ცენტრიდანული ანუ მიზიდულობის ძალა იმ იმპულსის შესაგვანია, რომელიც წინსვლისკენ, ცვლილებებისა და გარდაქმნებისკენ გვიბიძგებს. ამრიგად, მეორე ანტინომიაც ურთიერთსაპირისპირო მოთხოვნებს შეიცავს და განმარტავს, რომ ადამიანი, ხანგრძლივობისა და სიმყარის ფონზე, გარდაქმნებისა და ცვლილებებისკენ უნდა მიილტვოდეს.

კოსმიური ანალოგია საშუალებას გვაძლევს, ოთხი ფუძემდებლური მოთხოვნის თანახმად, ადამიანში ისევ და ისევ ურთიერთსაპირისპირო, მაგრამ, ამასთანავე, ურთიერთგანმსაზღვრელი მიზან-მისწრაფებები აღმოვაჩინოთ. ისინი სხვადასხვა ფორმით გამოვლინდება ადამიანის ცხოვრებაში და ჩვენგან გამუდმებით ახალ-ახალ პასუხებს ელის.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული შედარების პირველი მოთხოვნა როტაციას ეხება, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი განუმეორებელ ინდივიდუალად უნდა ჩამოყალიბდეს; ამისათვის კი თითოეულმა ადამიანმა თვითმყოფადობა უნდა დაიმკვიდროს და დანარჩენებს გაემიჯნოს, რათა დამოუკიდებელ და მასისგან გამორჩეულ პიროვნებად ჩამოყალიბდეს; თუმცა ამგვარი მოთხოვნა ეჭვს აღძრავს და გვაფიქრებინებს, რომ, თუ ყველა ადამიანი ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება, მაშინ ისინი ამოვარდებიან იმ წრიდან, რომელსაც ადამიანთა ურთიერთმიკუთვნებულობა და ერთობლიობა ჰქვია; ეს კი ადამიანისთვის სიმარტოვისა და სხვებისაგან იზოლაციის ტოლფასი იქნებოდა. ნებისმიერი ადამიანი გარკვეულ რასას, ხალხსა თუ ეროვნებას განეკუთვნება; გარდა ამისა, იგი, თავისი ოჯახის, სქესისა თუ ასაკის მიხედვით, იმ ჯგუფების წარმომადგენელიცაა, რომლებიც მას ახლობლად მიაჩნია, და რომლებთანაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს. მაგრამ ადამიანები იმავდროულად ინდივიდებიც არიან და ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავდებიან, რასაც ის საოცარი ფაქტიც ადასტურებს, რომ, ყოველი ადამიანის თითის ანაბეჭდის წყალობით, შესაძლებელია, დავადგინოთ მისი გამორჩეულობა და ერთმნიშვნელოვანი იდენტიფიკაცია. ამრიგად, ჩვენი არსებობა პირამიდას ჰგავს, რომლის საყრდენი ფუძე ნელ-ნელა შორდება მის წვერთან დამაკავშირებელ კედლებს, ბოლოს კი განუმეორებელი ინდივიდუალობის ნიშნით წარმოჩნდება. ადამიანი თავისი განუმეორებლობით, ანუ როგორც ამას იუნგმა უწოდა, ინდივიდუალობის პროცესის წყალობით, ამოვარდება თავისი მიკუთვნებულობის დაცული სისტემიდან («მეც ისეთივე ვარ, როგორებიც – სხვები») და სიმარტოვის შიშს განიცდის, რადგან, რაც უფრო მეტად განსხვავდება ადამიანი სხვებისგან, მით უფრო მარტოსულად გრძნობს თავს და იმ საფრთხის წინაშე დგება, რომ დაკარგავს თავდაჯერებას, ყველასგან გარიყული, უარყოფილი იქნება და, გარკვეულ ვითარებებში, თავს დამარცხებულად იგრძნობს. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ადამიანი უარს იტყვის დამოუკიდებელ ინდივიდუალად ჩამოყალიბებაზე, მაშინ იგი ადამიანთა მასაში გაითქვიფება და მუდმივად ვალში იქნება საკუთარი ადამიანური ღირსების წინაშე.

«რევოლუციასთან» ჩვენეული შედარების თანახმად, წამოყენებულ მეორე მოთხოვნაში მითითებულია, რომ ადამიანებმა ნდობით უნდა გაუღონ კარი გარესამყაროს და თანამოძმეებს, დაამყარონ ურთიერთობა «არა – მე»-სთან, «უცხოესთან» და «ჩვენ მიღმა მყოფთან», რაც, ფართო გაგებით, ცხოვრებისადმი ერთგულების გამოჩენას ნიშნავს; მაგრამ ეს ერთგულება დაკავშირებულია უამრავ შიშთან, რომელიც ადამიანს აფრთხილებს, რომ ამით იგი დაკარგავს საკუთარ «მე»-ს და თავისუფლებას, ვიღაცის გავლენის ქვეშ აღმოჩნდება, ვეღარ გამოავლენს საკუთარ თვითმყოფადობას და იძულებული იქნება,

თავისი ცხოვრება სხვებს მიუტანოს მსხვერპლად; ერთი სიტყვით, ადამიანმა, ამ მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, ბევრი რამ უნდა დათმოს. ამრიგად, აქ საქმე ადამიანის სხვებთან ურთიერთობას და მის თვინიერებას ეხება; ესე იგი, როდესაც მისი «მე» ამგვარ საფრთხეებს განიცდის და უმწეო მდგომარეობაში ვარდება, მან მაინც ალღო უნდა აუღოს და მიენდოს ცხოვრებას. თუ ადამიანს საამისოდ გამბედაობა არ ეყო, მაშინ იგი ყველასაგან გარიყული და იზოლირებული დარჩება, მთლიანად მოსწყდება მის მიღმა არსებულ მოვლენებს და ვერც საკუთარ თავს და გარესამყაროს შეიცნობს. ზემოხსენებული პირველი ანტინომია პარადოქსულ აზრს შთაგვაგონებს, რომლის თანახმადაც, ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ, ერთი მხრივ, შეინარჩუნოს თვითმყოფადობა, მოახდინოს მისი რეალიზება, გამოავლინოს ერთგულებისა და მედიტაციის უნარი, მეორე მხრივ კი, გადალახოს შიში საკუთარი «მე»-ს პიროვნებად ჩამოყალიბების წინაშე.

ახლა კი ჩვენი შედარების იმ ბოლო ორ მოთხოვნაზე გადავიდეთ, რომლებიც ასევე ურთიერთდაპირისპირებისა და ურთიერთშეფასების პოლარულ მიმართებებს აღწერენ. ჩვენი შედარების მესამე მოთხოვნა სიმძიმის ანუ ცენტრისკენულ ძალას უკავშირდება და იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი ხანგრძლივობისკენ უნდა მიისწრაფოდეს. ამ სამყაროში იგი თავს მყუდროდ და შინაურულად უნდა გრძნობდეს და მომავალს ისე გეგმავდეს, თითქოს მუდმივად აპირებს აქ დარჩენას. მას უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ სამყარო სტაბილურია, მომავლის განჭვრეტა შესაძლებელია და სიცოცხლე მარად გაგრძელდება. ამასთან, ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ «*media vita in morte sumus*», ანუ მის არსებაში სანახევროდ სიკვდილია ჩაბუდეებული და, შესაძლოა, მისი სიცოცხლე ყოველ წამს შეწყდეს. ხანგრძლივობის განცდის ამგვარი მოთხოვნით, ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა, მომავალი გარკვეული დროით დაგეგმოს და, ამასთანავე, მიიჩნიოს, თითქოს ეს მომავალი მტკიცე და უსაფრთხოა.

ეს მოთხოვნა ადამიანს აღუძრავს შიშებს, რომლებიც დაკავშირებულია მისი წარმომავლობისა და მასზე დამოკიდებულების წინასწარ შეუცნობელ, ირაციონალურ ცოდნასთან; ეს არის შიში სიახლის, გაბედული ქმედებებისა და დაგეგმილი ცხოვრების წინაშე; ამასთან, ადამიანს იმის შიშიც იპყრობს, რომ მან საკუთარი თავი ცხოვრების იმ მარადიულ დინებას უნდა მიანდოს, რომელიც არასოდეს ჩერდება, მერე კი თავად მასაც შეეხება და შეცვლის. სწორედ ამ აზრს გამოხატავს გამონათქვამი, რომლის თანახმადაც, ადამიანი ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შევა, რადგან მდინარეც და ადამიანიც მუდმივად შეცვლილი სახით მოგვევლინება. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ადამიანი ხანგრძლივობის მოთხოვნას უგულვებელყოფს, ვერაფრის შექმნას და ვერანაირი საქმის თავის მოზმას ვერ შეძლებს. ადამიანის წარმოსახვაში ყოველგვარი ქმნადობა ხანგრძლივობის ნიშნით უნდა იყოს აღბეჭდილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ერთი საქმის წამოწყებას და ვერც ერთი მიზნის განხორციელებას ვერ მოახერხებს. ადამიანი ყოველთვის ასეთი ცხოვრების წესით ცხოვრობს: მას თითქოს სჯერა, რომ განუსაზღვრელი დროის მფლობელია და მიღწეული შედეგის სტაბილურობა გარანტირებული აქვს; მაგრამ სწორედ ამ სტაბილურობის, ხანგრძლივობისა და მარადისობის ვითარსი შეგრძნება წარმოადგენს იმ არსებით იმპულსს, რომელიც მას ქმედებას აიძულებს.

და ბოლოს: ჩვენი შედარების მეოთხე მოთხოვნა, რომელიც ცენტრიდანულ ანუ მიზიდულობის ძალას უკავშირდება, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი მუდმივად მზად იყოს ცვლილებებისათვის. დიახ, მას უნდა შეეძლოს განვითარებისათვის აუცილებელი ცვლილებების მიღება, მისთვის ცნობილი საქმეებისა და აზრების უგულვებელყოფა, უნდა დაივიწყოს ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, უარი თქვას მიღწეულ შედეგებზე და ისეთი გრძნობა დაეუფლოს, თითქოს ცხოვრებას შუა გზიდან აგრძელებს.

ადამიანში მუდმივად აღძრავს შიშს მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, იგი აქტიურად უნდა ვითარდებოდეს, არ შეჩერდეს და არაფერს გამოეკიდოს, ამასთანავე,

გულისხმიერებითა და გაბედულად შეხვდეს მისთვის ყოველივე ახალსა და უცნობს. ამ დროს ადამიანი ფიქრობს, რომ არ უნდა გამოვიდეს წესრიგის, კანონებისა და ზნე-ჩვეულებების ჩარჩოებიდან, უნდა შეზღუდოს საკუთარი შესაძლებლობები და თავისუფლებისადმი სწრაფვა. რაკი, ზემოხსენებული «შიშის» თანახმად, «სიკვდილი» წარმავლობის ნიშნითაა აღბეჭდილი, იგი ადამიანისათვის გაქვავებას და საბოლოოდ დაღუპვას ნიშნავს. თუ ადამიანი სიმამაცეს ვერ გამოიჩენს და უარს იტყვის სიახლეებსა და ცვლილებებზე, იგი თავის წეს-ჩვეულებების მონად გადაიქცევა, ჯიუტად გაიმეორებს მისთვის უკვე ნაცნობსა და არსებულს, მერე მას დრო და თანამედროვეები ჯერ გაასწრებენ, შემდეგ კი – დაივიწყებენ.

ამრიგად, ამ ანტიანომიის სქემის მიხედვით, ცხოვრების მოთხოვნის შესახებ შემდეგი აზრი გამოიკვეთა: ადამიანი ცვლილებებისა და ხანგრძლივობის განცდის შემდეგ მაინც კვდება, მაგრამ მანამდე მან შეუჩერებელი წარმავლობისა და უტყუარი აუცილებლობის წინაშე შიში უნდა გადალახოს.

მას შემდეგ, რაც გავეცანით შიშის ოთხ ძირითად ფორმას, დასკვნის სახით მინდა ერთხელ კიდევ შევაჯამო ისინი. ეს ფორმებია:

ერთგულების შიში, როგორც საკუთარი «მე»-ს დამოუკიდებლობის დაკარგვის განცდა;
პიროვნებად ჩამოყალიბების შიში, როგორც დაუცველობისა და სიმარტოვის განცდა;
ცვლილებების შიში, როგორც წარმავლობისა და რწმენის უქონლობის განცდა;
გარდუვალობის შიში, როგორც დასასრულისა და შებოჭილობის განცდა.

ნებისმიერი შიში საბოლოოდ მაინც შიშის იმ ოთხი ძირითადი ფორმის ნაირსახეობებით გამოვლინდება, რომლებიც ასევე ჩვენი არსებობის განმსაზღვრელ ოთხ მთავარ იმპულსში იღებენ დასაბამს და წყვილების სახით კიდევ ავსებენ და კიდევ უპირისპირდებიან ერთმანეთს: ერთი მხრივ, თვითგადარჩენისა და თვითგანდგომის იმპულსი უპირისპირდება თვითერთგულებისა და მიკუთვნებულობის იმპულსს, ხოლო მეორე მხრივ, ხანგრძლივობისა და დაცულობის იმპულსი ცვლილებებისა და გაბედული ქმედებების საპირისპირო იმპულსს წარმოადგენს. ნებისმიერი სწრაფვა შეიცავს შიშს საპირისპირო სწრაფვის მიმართ. თუ ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით ჩვენს კოსმიურ შედარებას, აღმოჩნდება, რომ ცხოვრებისეული წესრიგის დაცვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დავიცავთ წონასწორობას ამ ანტიანომიურ იმპულსებს შორის. მაგრამ წონასწორობის დაცვა სტატიკურ პროცესს არ ნიშნავს, რადგან იგი უზარმაზარი შინაგანი დინამიკითაა გაჯერებული და მასში მუდამ მოქმედებს აღდგენითი ძალები.

საყურადღებოა ისიც, რომ შიშის განცდა და მისი ინტენსივობის ხარისხი დიდწილად დამოკიდებულია არა მხოლოდ ადამიანის თანდაყოლილ, «მემკვიდრეობით» მიღებულ თვისებებზე, არამედ ასევე მისთვის დაბადებიდან ნაცნობ გარემოზე, მის ფიზიკურ და სულიერ სტრუქტურაზე, პირად ბიოგრაფიასა და პიროვნებად ჩამოყალიბების მთელ ისტორიაზე. და, რაკი ადამიანის შიშებსაც აქვთ თავისი ისტორია, მოგვიანებით დავინახავთ, რომ მათი წარმოშობის უშუალო მიზეზებს სწორედ მის ბავშვობასთან მივყავართ. ამდენად, შიში, ადამიანის მიდრეკილებებისა და გარემოპირობების წყალობით, მრავალგვარ ელფერს იძენს; ნაწილობრივ სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტიც, თუ რატომ განიცდის ესა თუ ის ადამიანი ზოგიერთ შიშს სხვებზე უფრო მძიმედ. ამის მიზეზი სრულიად განსხვავებულ, ცხოვრებისეულ პირობებშიც უნდა ვეძებოთ. ადამიანის მიდრეკილებებმა და გარემომ, რომელსაც ოჯახთან და მის გარშემო არსებულ «წრესთან» ერთად, საზოგადოებაც წარმოადგენს, შესაძლოა, ზოგიერთი შიშის წარმოშობას ხელი შეუწყოს, ზოგს კი უკან დაახევინოს. ჯანმრთელ და ნორმალურად განვითარებულ ადამიანს, საერთოდ, შეუძლია შიშთან შებრძოლება და მისი დამარცხება; განვითარებაშეფერხებული ადამიანი კი არა მხოლოდ უფრო ძლიერად, უფრო ხშირადაც

განიცდის შიშებს, რომელთაგან შიშის ერთ-ერთი სახეობა, თავისი ინტენსივობით, გადაწონის ხოლმე დანარჩენებს.

შიში მძიმე ტვირთად აწვება ადამიანს და, შესაძლოა, მისი დაავადების მიზეზიც გახდეს, თუ ის თანდათანობით ძლიერდება და, ამასთან, მას ადამიანი ხანგრძლივი დროის მანძილზე განიცდის. ყველაზე მძიმე ბავშვობაში გადატანილი შიში, რადგან ადამიანს ამ ასაკში ჯერ არ გააჩნია ის დამცავი ძალა, რომელსაც იგი შიშს დაუპირისპირებდა. ძალიან რთულია შიშთან ბრძოლა, თუ ის თანდათანობით ძლიერდება და ეს პროცესი დიდხანს გრძელდება, ან, თუ შიში ადამიანს იმ დროს შეიპყრობს, როდესაც მის დასათრგუნად საჭირო ძალები არ გააჩნია; და, რაკი მას პოზიტიური ქმედებების უნარი დაქვეითებული აქვს და მისი განვითარება აღარ ხდება, იგი ბავშვობისდროინდელი ქცევის წესებს უბრუნდება და მისი საქციელი სიმპტომატური ხდება. გასაგები მიზეზების გამო, ასაკთან შეუსაბამო, აუტანელ შიშებს ბავშვობის პერიოდში ვხვდებით. ბავშვის ჯერ კიდევ სუსტადგანვითარებულ «მე»-ს არ შეუძლია გარკვეული შიშების დაძლევა; ამიტომ, თუ მას ამ გაუსაძლის მდგომარეობაში მარტოს ტოვებენ, იგი დიდ სულიერ ტრავმას იღებს.

ისეთ საგანგებო სიტუაციებში, როგორცაა ომი, ტყვეობა, ბუნებრივი კატასტროფები, უეცრად თავსდატეხილი საფრთხეები ან მძიმე სულიერი განცდები, ზრდასრული ადამიანი, შესაძლოა, გასცდეს შიშების მიმართ საკუთარი მდგრადობის ზღვარს და უჩვეულო ქმედებებით მოახდინოს მათზე რეაგირება; მაგრამ, ბავშვებთან შედარებით, ზრდასრულ ადამიანს გაცილებით მდიდარი არჩევანი აქვს საკუთარ თავში შიშის საწინააღმდეგო ძალების გამოსანახად. მას შეუძლია თავი დაიცვას, გაიაზროს სიტუაცია და გააცნობიეროს შიშის გამომწვევი მიზეზები, უპირველეს ყოვლისა კი, მიხვდეს, საიდან მოდის ეს შიში, რის შემდეგაც მას უკვე შეუძლია თავისი შიშის ვინმესთვის გაზიარება; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი სათანადოდ აფასებს მოსალოდნელ საფრთხეებს, რისი უნარიც ბავშვს ჯერ არ გააჩნია; იგი ის ობიექტია, რომელიც უმწეოდ აჰყვება საკუთარ შიშებს, არ იცის, რამდენ ხანს გასტანს მისი ასეთი მდგომარეობა და, საერთოდ, რა შეიძლება მოჰყვეს ამას.

შემდგომ დავინახავთ, რომ შიშის ამ ოთხი მთავარი ფორმიდან, ერთ-ერთი მათგანის ჭარბად გამოვლენის შემთხვევაში, შესაძლებლობა მოგვეცემა, ვიმსჯელოთ პიროვნების ოთხ სტრუქტურულ ტიპზე, ანუ «სამყაროში ადამიანის არსებობის» ოთხ სახეობაზე. ცნობილია, რომ საფეხურებად განლაგებულ ამ სახეობებში, ასე თუ ისე, ჩვენც ვმონაწილეობთ. შემდგომში პიროვნების ეს სტრუქტურული ტიპები უნდა განვიხილოთ შიშის ოთხ მთავარ ფორმასთან მიმართებით და ხაზგასმით გამოვყოთ თითოეული მათგანის საგანგებო თვისებები. პიროვნების სტრუქტურული ტიპის აღწერისას, რაც უფრო ცალმხრივად და მკვეთრად გამოვლინდება ესა თუ ის თვისება, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ იგი ბავშვობისდროინდელ დარღვევებს უკავშირდება. შესაბამისად, სულიერ ჯანმრთელობაზე მაშინ შეიძლება საუბარი, თუ ადამიანს შეუძლია, ცხოვრებაში წონასწორობა ოთხი მთავარი იმპულსის საშუალებით დაიცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შიშის ოთხი მთავარი ფორმა გაცნობიერებული აქვს.

პიროვნების ოთხი სტრუქტურული ტიპი, უპირველეს ყოვლისა, გარკვეულწილად აქცენტირებულ, ნორმალურ სტრუქტურებს წარმოადგენს. თუ მათი აქცენტირება მეტისმეტად ცალმხრივად და მკვეთრად მოვახდინეთ, მაშინ ეს ცალმხრიობა იმ ზღვარს გასცდება, რომლის იქითაც ოთხი უმთავრესად ნორმალური სტრუქტურის ტიპი უკვე ნევროზული ფორმების ან ექსტრემალური ვარიანტების სახით წარმოგვიდგება. აქედან გამომდინარე, საქმე გვექნება სტრუქტურული ტიპების ნევროზულ ვარიანტებთან, რომლებსაც ფსიქოთერაპია და სიღრმისეული ფსიქოლოგია აღწერს როგორც შიზოიდის, დეპრესიის, ობსესიური ნევროზისა და ისტერიის ოთხ მთავარ ნევროზულ ფორმას. შესაბამისად, ნევროტიკული პიროვნებები მხოლოდ მწვავე ან ექსტრემალური

შემთხვევების დროს გამოავლენენ ამ ზოგადად ადამიანური არსებობის საყოველთაოდ ცნობილ ფორმებს.

საბოლოო ჯამში, საქმე «სამყაროში არსებობის» ოთხ განსხვავებულ სახეობას ეხება. ახლა მინდა, მათი ცალმხრივი გამოვლინების ფორმები აღვწერო, სრულიად ჯანსაღი, მსუბუქი ფორმებით დაწყებული და ფსიქიური აშლილობის მძიმე ფორმებით დამთავრებული. ამასთან, გათვალისწინებული იქნება ადამიანის კონსტიტუციის თავისებურებანი, მაგრამ, პირველ რიგში, ჩვენთვის მაინც მისი ცხოვრებისეული სივრცეა საინტერესო.

მანამდე კი მინდა კიდევ ერთი შენიშვნა გამოვთქვა: პიროვნების ოთხი სტრუქტურის აღწერამ, შესაძლოა, ადამიანის ტიპების შესახებ მოძღვრების ხასიათი მიიღოს; მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ იგი სხვა ტიპოლოგიებისაგან განსხვავდება, რადგან მის საფუძველს უმთავრესად ფსიქოთერაპიისა და სიღრმისეული ფსიქოლოგიის მონაცემები და გამოცდილება წარმოადგენს. ამდენად, ზემოხსენებული სტრუქტურული ტიპები, საბოლოო ჯამში, ნაკლებად ფატალური და ცვალებადი ხასიათისანი არიან, იმ დროს, როდესაც კონსტიტუციისა და ტემპერამენტის მიხედვით აღწერილი ტიპები ფატალურ და უცვლელ ხასიათს ავლენენ და ამიტომ ისინი ისეთებად უნდა მივიღოთ, როგორებიც არიან. მაგრამ აქ სხვა რამ მაქვს მხედველობაში.

ჩემს პიროვნებას ქმნის და გარკვეულ სტრუქტურულ ნიშან-თვისებებს სძენს არა მხოლოდ ის, რომ სხეულის ჩემეული აგებულებით გამოვიჩინო, არამედ ისიც, რომ სამყაროსა და ცხოვრების მიმართ იმ განწყობილებებსა და დამოკიდებულებას გამოვხატავ, საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან რომ მივიღე. რაც ამ დროს განგების ნებით ხდება, იქნება ეს ჩვენი თანდაყოლილი ფსიქიკური და ფიზიკური მონაცემები, ურთიერთობა ბავშვობის დროინდელ გარემოსთან, ჩვენს მშობლებთან, აღმზრდელებთან თუ საკუთარი წესებით მოთამაშე საზოგადოებასთან, რომლის წიაღშიც დაბადებიდან ვარსებობთ, – აი, ეს ყველაფერი გარკვეულწილად ჩვენი თანამონაწილეობით ხდება. მაგრამ ამის შეცვლა შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის ისეთი რამ, რასაც ადამიანი უნდა შეეგუოს. იმ პიროვნულ სტრუქტურებში, რომლებსაც ახლა ვგულისხმობთ, ადამიანის მთლიანი სურათის ერთ-ერთი ასპექტი წარმოჩინდება. უპირველეს ყოვლისა, განგების ნებით არასაკმარისად განვითარებული, უგულვებელყოფილი, მცდარი, გაუცხოებული თუ დათრგუნული ცალკეული ასპექტების შემდგომმა განვითარებამ, შესაძლოა, უკვე არსებული სტრუქტურა ადამიანის მთელი წარმოსახვის ან სიმწიფის სასარგებლოდ იმდენად შეცვალოს, რამდენადაც ეს ცალკეულ პიროვნებას საკუთარი თავისთვის ხელეწიფება.

აქ ზოგადად არსებულ ოთხ უმთავრეს განწყობას და შესაძლებელ ქცევას ჩვენი არსებობის პირობებთან და ურთიერთობებთან მიმართებაში განვიხილავთ, რომლის დროსაც მოქმედი წესრიგი და წონასწორობის დაცვის კოსმიური ნიმუში თითქოს შეუსაბამოდ უპირისპირდება ერთმანეთს.

ნევროზების შესახებ არსებული თეორიიდან ცნებების აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინების გადმოტანას ოთხი სტრუქტურული ტიპის ასევე ჯანმრთელ ადამიანებზე, თავისი პრაქტიკული უპირატესობა გააჩნია, რადგან ეს ცნებები ყოველთვის გვაძლევს შესაძლებლობას, მათი საშუალებით ერთდროულად განვიხილოთ ადამიანის ბიოგრაფიული მონაცემები და ნევროტიული ვარიანტები. ამასთან, ეს ტერმინები ისე ფართოდ დამკვიდრდა, რომ ახლების შექმნა სრულიად ზედმეტი ჩანს. მკითხველი, ალბათ, მალე მიხვდება ამას, როდესაც შიზოიდის, დეპრესიისა და სხვა ცნებებს, მათი აღწერის შემდეგ, ნათლად გაიაზრებს. შევეცადე, ამ წიგნში არ შევხებოდი განსხვავებას «შიშსა» (Angst) და «ძრწოლას» (Furcht) შორის, რასაც უმთავრესად ლიტერატურულ ტექსტებში

ვხვდებით ხოლმე. ჩემი კონცეფციისთვის ამ საკითხს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. გარდა ამისა, უმართებულო მგონია ამ ორი ცნების ჩვეულებრივ მეტყველებაში დამკვიდრებული ხმარების წესიც. ძალიან ძნელია ამ ორ სიტყვას შორის განსხვავების დადგენა, როდესაც ვლაპარაკობთ «სიკვდილის შიშზე» და «სიკვდილის წინაშე ძრწოლაზე». შეიძლება კიდევ არის გარკვეული სიმართლე გავრცელებულ აზრში, თითქოს «ძრწოლა» რაღაც განსაზღვრულსა და კონკრეტულს გამოხატავს, «შიში» კი, პირიქით, რაღაც განუსაზღვრელთან და უფრო ირაციონალურთან მიმართებაში იხმარება, მაგრამ ამის დასაბუთება ყოველთვის ვერ ხერხდება. რატომ ვამბობთ, მაგალითად, «ძრწოლა ღვთის წინაშე» (Gottesfurcht), მაშინ როდესაც, ზემოაღნიშნული განსხვავების თანახმად, უნდა ყოფილიყო «შიში ღვთის წინაშე»(Gottesangst)¹. აქედან გამომდინარე, შეგნებულად ვთქვი უარი, დამედგინა განსხვავება «შიშისა» და «ძრწოლის» ცნებებს შორის. ამ წიგნის მიზანია, დაეხმაროს თითოეულ ადამიანს, გაერკვეს საკუთარ ცხოვრებაში, მეტი გულისხმიერება გამოიჩინოს საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, გააცნობიეროს, თუ რა მნიშვნელოვანია ჩვენი განვითარებისათვის ადრეული ბავშვობის წლები. წიგნი ასევე ისახავს მიზნად, დააფიქროს ადამიანები იმ დიდ მოვლენებზე, რომელთა შუაგულშიც ვტრიალებთ, რადგან, ჩემი აზრით, მათი წყალობით შეიძლება ბევრი რამ მნიშვნელოვანი ვისწავლოთ.

¹ ქართულში ამ მნიშვნელობით მხოლოდ სიტყვა „შიში“ იხმარება (აქ და შემდეგაც - მთარგმნელის შენიშვნა)

ერთგულების შიში

შიზოიდური პიროვნებები

«მოდი, ნუ დავემსგავსებით იმ მრავალთ, ბრბოდ რომ დალაშლაშებენ ჩვენ გარშემო»

შპიტელერი

ამ თავში იმ პიროვნებებს აღვწერთ, რომელთა მთავარ პრობლემასაც, შიშის თვალსაზრისით, ერთგულების წინაშე შიში წარმოადგენს, მათი მთავარი იმპულსი კი «საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვით» გამოიხატება, რასაც ფსიქოლოგიის ენაზე თვითგადარჩენისა და «მე»-ს განდგომის იმპულსი ჰქვია. მათ ჩვენ შიზოიდურ ადამიანებს ვუწოდებთ.

ყველა ჩვენგანს აქვს სურვილი, გამორჩეული ინდივიდი იყოს. რა გულნაკლული ვრჩებით და, როგორ განვიცდით ხოლმე, როდესაც ჩვენს სახელს ან გვარს ვინმე შეცდომით წარმოთქვამს, დაამახინჯებს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ არ გვინდა, ნებისმიერი სხვა ვინმეთი ჩაგვანაცვლონ, რადგან საკუთარი განუმეორებლობის დამკვიდრებას ინდივიდის სახით ვცდილობთ. ამგვარი გამორჩეულობის სურვილს თან ახლავს საპირისპირო სწრაფვა, რომელიც მიზნად რომელიმე ჯგუფის ან კოლექტივისადმი მიკუთვნებულობას ისახავს, რაც მის სოციალურ შინაარსზე მიუთითებს. ამრიგად, ჩვენ პირადი ინტერესებით ცხოვრება გვსურს, მაგრამ იმავდროულად პარტნიორული თუ ადამიანური ურთიერთობების დამყარება და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებაც გვინდა. მაშინ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს იმ ადამიანის საქციელს, რომელიც უარს აცხადებს სხვების მიმართ ერთგულებაზე და ცხოვრებაში მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტინქტი ამოძრავებს?

ასეთი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს, რაც შეიძლება დამოუკიდებელი და ავტარკიული ცხოვრებით იცხოვროს; მას არავინ სჭირდება, რადგან არ სურს, ვინმეს მიმართ რაიმე ვალდებულებას გრძნობდეს; ეს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რის გამოც ცდილობს, ყველასგან შორს დაიჭიროს თავი, არ აძლევს ადამიანებს მასთან მიახლოების საშუალებას და შეზღუდული ურთიერთობებით კმაყოფილდება. თუ ამ ზღვარს ვინმე გადმოაბიჯებს, ეს ამ ადამიანს საკუთარი ცხოვრებისეული სივრცის დარღვევად მიაჩნია, ფიქრობს, რომ ამით მის დამოუკიდებლობას და უსაფრთხოებას ემუქრებიან და გამალებით ცდილობს თავის დაცვას. ამგვარი ქცევით იგი ხელს უწყობს საკუთარ თავში ტიპური შიშის განვითარებას, რომელსაც ადამიანებთან სიახლოვე იწვევს. მაგრამ, რაკი შეუძლებელია, ცხოვრებაში გაექცეს ამ სიახლოვეს, იგი თავდაცვის მიზნით ისეთ ქმედებებს მიმართავს, რომლებიც მას საშუალებას აძლევს, თავი აარიდოს ადამიანებთან სიახლოვეს. ასეთი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს გაექცეს პირად კონტაქტებს და ინტიმურად არავინ დაიახლოვოს, აშინებს ცალკეულ ადამიანთან თუ პარტნიორთან პირადად შეხვედრა და მათთან საქმიანი ურთიერთობებით კმაყოფილდება. საზოგადოებაში ყოფნისას იგი ყველაზე უკეთ იმ ადამიანთა გარემოში ან წრეში გრძნობს თავს, სადაც მას ვერ ამჩნევენ, თუმცა იცის, რომ, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მაინც მათ მიეკუთვნება. იგი ამ დროს სიამოვნებით დაიხურავდა «უჩინმაჩინის ქუდს», რომელიც მას დაიცავდა და საშუალებას მისცემდა, ისე შეუმჩნეველად ჩარეულიყო სხვების ცხოვრებაში, რომ, თავის მხრივ, არავითარ დათმობაზე არ წასულიყო.

ასეთი გარიყული, ძნელად საკონტაქტო, გაუპიროვნებელი და უკარება ადამიანები საზოგადოებაში უჩვეულოდ გამოიყურებიან და თავიანთი უცნაური რეაქციებით გარშემომყოფთა გაოცებას იწვევენ. შესაძლოა, ასეთ ადამიანებთან დიდი ხნის ნაცნობობაც გვაკავშირებდეს, მაგრამ მაინც ვერ ვხვდებოდეთ, რას წარმოადგენენ ისინი სინამდვილეში.

აი, მაგალითად, დღეს თუ გვგონია, რომ ასეთ ადამიანთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ხვალ შეუძლია ისე მოიქცეს, თითქოს არც კი გვიცნობს და პირველად გვხედავს; რაც უფრო ახლოს ვართ მასთან, მით უფრო მკვეთრად შეუძლია შეგვაქციოს ზურგი; ამასთან, იგი ხშირად ემოციების გარეშე გამოხატავს თავის უსაფუძვლო აგრესიას და მტრულ განწყობას, რის გამოც შეიძლება თავი შეურაცხყოფილად ვიგრძნოთ.

შიზოიდური პიროვნებები, საკუთარი თავისადმი ერთგულების მიზნით, რაც უფრო მეტად გაურბიან ადამიანებთან სიახლოვეს, მით მეტად ექცევიან იზოლაციაში და მარტოსული ცხოვრებით ცხოვრობენ. ამ პიროვნებებს ადამიანებთან სიახლოვის შიში განსაკუთრებით იმ დროს შეიპყრობთ ხოლმე, როდესაც ვინმე მათთან დაახლოებას ცდილობს ან თავად უახლოვდებიან ვინმეს. და, რაკი ადამიანთა სიახლოვე ყოველთვის კეთილგანწყობას, სიმპათიას, სინაზეს და სიყვარულს გულისხმობს, შიზოიდური პიროვნება ამ გრძნობების გამოვლინებას განსაკუთრებით სახიფათოდ მიიჩნევს. სწორედ ამით შეიძლება ავხსნათ, მსგავს სიტუაციებში რატომ იქცევა შიზოიდური პიროვნება ასე აგრესიულად და თითქმის მტრულად მეორე ადამიანის მიმართ, ასე მოულოდნელად რატომ ჰკრავს ხოლმე ხელს. იგი ამ დროს წამიერად გაითიშება, წყვეტს ადამიანებთან კონტაქტს, საკუთარ თავში იკეტება და მის პიროვნებაში შეღწევა შეუძლებელი ხდება.

ამის შედეგად შიზოიდურ პიროვნებასა და არსებულ რეალობას შორის ღრმა უფსკრული ჩნდება, რომელიც წლების მანძილზე ღრმავდება და ადამიანებისგან მის იზოლაციას უწყობს ხელს, ამას კი ყოველთვის ახლავს რიგი პრობლემები: რაკი ასეთ პიროვნებას ადამიანებთან ურთიერთობა გაწყვეტილი აქვს, მან თითქმის აღარაფერი იცის სხვა ადამიანების შესახებ; ამის გამო მის გამოცდილებაში ჩნდება მზარდი ხარვეზები, რაც ადამიანებთან ურთიერთობისას მის უნდობლობას იწვევს. ამრიგად, შიზოიდურმა პიროვნებამ არასოდეს იცის, რა ხდება სხვა ადამიანში, რის გაგებასაც (თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია) ადამიანი მხოლოდ ახლობლურ, გულითად და კეთილგანწყობილ გარემოში შეძლებს. ამის გამო ადამიანების მიმართ შიზოიდური პიროვნებების ორიენტაცია ცრუ ალბათობებს და ვარაუდებს ემყარება, თუმცა თავად ღრმად არიან დარწმუნებული, რომ სხვა ადამიანებზე მათი შთაბეჭდილებები და წარმოდგენები სრულად შეესაბამება სინამდვილეს, და ვერ ხვდებიან, რომ მათ მიერ აღქმული «სინამდვილე» მხოლოდ და მხოლოდ მათივე წარმოსახვისა და პროექციების შედეგია.

სურათი, რომლის მეშვეობითაც შულც-ჰენკე ამასთან დაკავშირებით შიზოიდური პიროვნებების მსოფლშეგრძნებებს აღწერს, უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს ჩემ მიერ გამოთქმულ აზრს, რადგან მსგავსი სიტუაცია ალბათ ყოველ ჩვენგანს ერთხელ მაინც გამოუცდია საკუთარ თავზე. წარმოვიდგინოთ, რომ მატარებელში ვსხედვართ და მეზობელ ლიანდაგზეც მატარებელი დგას; უეცრად ვხედავთ, რომ ერთ-ერთი ადგილიდან დაიძრება. რაკი თანამედროვე მატარებლები ყოველგვარი რყევისა და ბიძგების გარეშე, შეუმჩნევლად იწყებენ მოძრაობას, მათ გადაადგილებას მხოლოდ ოპტიკურად აღვიქვამთ; ამიტომ მანამდე ვერ ვახერხებთ გავარკვიოთ, თუ რომელი მოძრაობს იმ ორი მატარებლიდან, ვიდრე გარეთ, სივრცეში, რომელიმე უძრავ საგანთან მიმართებაში არ დავადგენთ, რომ ჩვენი მატარებელი ჯერ ისევ დგას, მეზობელი მატარებელი კი მოძრაობს, ანდა პირიქით.

აღწერილი სურათი ნათლად წარმოაჩენს შიზოიდური პიროვნების შინაგან ბუნებას.

ნორმალურ, ჯანმრთელ ადამიანთან შედარებით, შიზოიდურ პიროვნებას გამძაფრებული აქვს საფრთხის შეგრძნების უნარი, ამიტომ მან ზუსტად არასოდეს იცის, მისი წარმოდგენები მხოლოდ თავად მასში არსებობს, თუ ისინი გარესამყაროს სურათებსაც ასახავს. ადამიანებთან და გარესამყაროსთან იშვიათი ურთიერთობის გამო, იგი მერყეობს საკუთარი განცდებისა და შთაბეჭდილებების შეფასებაში და არ არის დარწმუნებული, ისინი სინამდვილეს შეესაბამებიან, თუ მხოლოდ მის წარმოსახვას და შინაგან სამყაროს

გამოხატავენ. შიზოიდურ პიროვნებას, მაგალითად, ვერ გაურკვევია, მას ვიღაც დაცინვით უყურებს, თუ ეს მხოლოდ ეჩვენება; ან შეუძლია იფიქროს, რომ ესა თუ ის პიროვნება დღეს განსაკუთრებით ცივად შეხვდა, და დაასკვნას, რომ იგი მის წინააღმდეგაა განწყობილი, რადგან საექვოდ იქცეოდა. შიზოიდურ პიროვნებას ასეთ შემთხვევებში ჰგონია, რომ რაღაც სჭირს და ყველაფერი წესრიგში არა აქვს, ამიტომ საკუთარ თავს ეკითხება – ადამიანები მას ნამდვილად უცნაურად უყურებენ, თუ ეს მხოლოდ მისი წარმოსახვის შედეგია. ამგვარმა ეჭვებმა, შესაძლოა, მძიმე ფორმით იჩინოს თავი, რაც საკუთარი თავის მიმართ გამოვლენილი ფრთხილი უნდობლობით იწყება, მოგვიანებით კი ავადმყოფური წარმოსახვისა და აღქმის ფორმას იღებს. ამ დროს ადამიანი როგორც შინაგანად, ასევე გარეგნულად, ფაქტობრივად, იცვლება, თუმცა ამ ცვლილებებს თავად ვერ აცნობიერებს, რადგან სინამდვილეს ახლა მხოლოდ მის მიერ პროექცირებული სამყარო წარმოადგენს. ამგვარი ეჭვების ხანგრძლივად განცდა ალბათ ძალზე შემაწუხებელი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შიზოიდური პიროვნება ადამიანებთან კონტაქტს გაურბის და თავის ეჭვებსა და შიშს ვერავის უზიარებს, რადგან გრძნობების განდობას გულითადი სიახლოვე სჭირდება. რაკი მას ასეთი სიახლოვე არავის მიმართ აქვს, ფიქრობს, რომ ვერ გაუგებენ, დასცინებენ და სულაც გიჟად შერაცხავენ.

შემდგომში დავინახავთ, რომ შიზოიდური პიროვნებებისათვის დამახასიათებელი სრული უნდობლობისა და დაუცველობის შიში მათი იშვიათი ადამიანური კონტაქტების მიზეზს, მოგვიანებით კი – შედეგს წარმოადგენს. საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შიზოიდური პიროვნებები ისეთ ფუნქციებს და უნარ-ჩვევებს ივითარებენ, რომელთა საშუალებითაც სამყაროში უკეთესად შეძლებენ ორიენტაციას. აქ იგულისხმება: გრძნობადი აღქმა, შემმეცნებელი ინტელექტი, ცნობიერება და რაციონალურობა. ვინაიდან შიზოიდური პიროვნებები საერთოდ ეჭვის თვალთ უყურებენ ემოციებისა და გრძნობების ყოველგვარ გამოვლინებას, ამიტომ მათ მიზანს გრძნობებს მოწყვეტილი, «წმინდა» შემეცნება წარმოადგენს, რომლის შედეგებიც მათ ნდობას იმსახურებს. ალბათ, ადვილი მისახვედრია, რომ შიზოიდები უმთავრესად ზუსტ მეცნიერებებს ეუფლებიან, რადგან ამ სფეროში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ და სუბიექტური განცდებისგან თავისუფლდებიან.

გონებრივი განვითარების საპირისპიროდ, ემოციური სფეროს განვითარება შიზოიდურ პიროვნებებში უკანა პლანზე გადაინაცვლებს, რადგან იგი პარტნიორთან ურთიერთობას მოითხოვს და დაკავშირებულია ემოციების გაცვლა-გამოცვლასთან. ამრიგად, შიზოიდურ პიროვნებებს ინტელექტი საშუალოზე მეტად აქვთ განვითარებული, თუმცა ემოციური განვითარების დონით საკმაოდ ჩამორჩებიან და ხანდახან უმწეობის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებენ. სწორედ ამის შედეგია ადამიანური ურთიერთობების მიმართ აღძრული ძლიერი ეჭვი, რის გამოც გამუდმებით რთული ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობენ. შიზოიდურ პიროვნებებს იმდენად არ გააჩნიათ ზომიერების გრძნობა და ადამიანებთან დამოკიდებულების საჭირო თვისებები, რომ მათ თვით ყველაზე მარტივი ურთიერთობაც კი ხშირად პრობლემებს უქმნით. მოვიყვან ამის მაგალითს:

სწავლის პერიოდში რეფერატის დაწერა დაევალა მავან სტუდენტს, რომელიც ადამიანებთან ურთიერთობას ვერ ახერხებდა და ამპარტავნულადაც ეჭირა თავი, რითაც საკუთარი თავდაუჯერებლობის დამალვას ცდილობდა. მას აზრადაც არ მოსდიოდა, რომელიმე კოლეგისთვის მიემართა და გაეგო, როგორ შეიძლებოდა ამ საქმისთვის თავი მოეხა; ამიტომ იგი მარტოდმარტო იტანჯებოდა იმ პრობლემების გამო, რომლებიც მხოლოდ მას კი არა, საქმესაც ეხებოდა. ეს ადამიანი ფიქრობდა, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო საერთო მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, მაგრამ, ამასთან ერთად, გადაჭარბებული თვითშეფასებისა და არასრულფასოვნების განცდა ეუფლებოდა, და, ამ ორ გრძნობას შორის გამომწყვდეული, საკუთარ თავს ხან გენიოსად, ხანაც სრულიად ბანალურ და არასრულყოფილ პიროვნებად წარმოიდგენდა. გარდა ამისა, ის ვერ ახერხებდა საკუთარი რეფერატის სხვების ნამუშევრებთან შედარებას, რადგან ფიქრობდა, რომ ამით უხერხული სიტუაცია შეიქმნებოდა და თანაკურსელების თვალში ღირსება შეეღაცებოდა.

ამ ადამიანმა არ იცოდა, რომ ასეთი ურთიერთობა სტუდენტებს შორის ჩვეულებრივი ამბავი იყო, ის კი ამ დროს გაზვიადებულმა შიშმა შეიპყრო, რომელსაც სულ ადვილად დააღწევდა თავს, ამხანაგებთან ნორმალური ურთიერთობა რომ ჰქონოდა.

მსგავსი სიტუაციები და ქმედებები ხშირად გვხვდება შიზოიდური ადამიანების ცხოვრებაში; ისინი დიდად უწყობენ ხელს ყოველდღიური, სრულიად მარტივი ვითარებების არაბუნებრივად გართულებას. შიზოიდები ვერ აცნობიერებენ, რომ სიმწელებს ადამიანებთან მათი ურთიერთობის არასრულყოფილება იწვევს, და არა ის, რომ მათ რაღაც საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები არ გააჩნიათ.

შიზოიდური ადამიანი და სიყვარული

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შიზოიდურ პიროვნებას განვითარების იმ პერიოდებში ექმნება ხოლმე პრობლემები, როდესაც საქმე ადამიანებთან ურთიერთობაზე მიდგება. ეს არის საბავშვო ბაღში და სკოლაში შესვლის პერიოდი, მოპირდაპირე სქესთან შეხვედრა, პარტნიორული თუ სხვა სახის ურთიერთობების დაწყება. რაკი შიზოიდურ პიროვნებაში ადამიანებთან ნებისმიერი სიახლოვე შიშს იწვევს, ის იძულებულია, მათთან დაახლოების დროს საკუთარ თავს უფრო დაკვირვებით მოეკიდოს; მაგალითად, მას იპყრობს შიში, რომ «ვინმეს არ შეუყვარდეს», რადგან ფიქრობს, ამით მის დამოუკიდებლობას საფრთხე დაემუქრება.

თუ ბავშვს ადრეულ ასაკში უკვე უძნელდება ადამიანებთან კონტაქტის დამყარება, მშობლებისა და აღმზრდელების ვალია, დროულად გაიაზრონ, რომ ისინი შიზოიდური პრობლემის წინაშე დგანან, რომელსაც შეიძლება ჯერ კიდევ ეშველოს, ვიდრე იგი უფრო გაღრმავდება. ამგვარი სიტუაციაა მაშინ, როდესაც ბავშვი ბაღში ან კლასში ვერ ამყარებს სხვა ბავშვებთან ურთიერთობას, მათგან თავს გარიყულად გრძნობს და მას სხვებიც ასეთად აღიქვამენ; ანდა, როცა სქესობრივი მომწიფების პერიოდში ყმაწვილი გოგონებთან შეხვედრას თავს არიდებს, მათთან ურთიერთობას გაურბის, მთლიანად წიგნებშია ჩართული, განმარტოებას ცდილობს, რადგან ჩხირკედელაობს ან სხვა საქმით ერთობა; შესაძლოა, იგი ამ დროს მძიმე მსოფლმხედველობრივ კრიზისს განიცდიდეს და, სიცოცხლის არსზე დაფიქრებული, ვერ ბედავდეს თავისი ფიქრების ვინმესთვის გაზიარებას. ამგვარი საგანგაშო სიგნალების შემთხვევაში, მშობლებმა რჩევა-დარიგებისათვის აუცილებლად ექიმს უნდა მიმართონ.

შიზოიდური პიროვნებისათვის კიდევ უფრო პრობლემური აღმოჩნდება ხოლმე ის პერიოდი, როდესაც სქესობრივი მომწიფების დამთრგუნველი წლების შემდეგ, იგი ადამიანებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას ცდილობს. სასიყვარულო ურთიერთობის შემთხვევაში საქმე ადამიანების სულიერ და ფიზიკურ სიახლოვეს ეხება და გამოდის, რომ ამ დროს ადამიანის «საკუთრივ არსებობას» და დამოუკიდებლობას საფრთხე ემუქრება; ეს საფრთხე მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტად მიენდობა ადამიანი პარტნიორს; მაგრამ შიზოიდურ პიროვნებას გაცილებით დიდ საფრთხეს საკუთარი «თვითობის» შენარჩუნების მცდელობა უქმნის. აქედან გამომდინარე, სასიყვარულო შეხვედრების დროს ხშირად წამოიჭრება ის პრობლემები, რომლებიც აქამდე წყალქვეშა რიფებივით იყო სადღაც მიმაღული, ახლა კი უკვე მათი გაცნობიერება ხდება.

როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი იმ დროს, როდესაც იგი პარტნიორის მიმართ მტანჯველ ლტოლვას განიცდის, მასთან სიახლოვე სურს და სიყვარულის ნაზი გრძნობითაა შეპყრობილი? რა უნდა მოიმოქმედოს, რათა პარტნიორიც ამ ძლიერი სექსუალური ლტოლვის თანამონაწილე გახადოს? იმის გამო, რომ ახალგაზრდას ადამიანებთან ურთიერთობაში არ გააჩნია ზომიერების გრძნობა, რასაც ამ ასაკში გამოუცდელობაც ემატება, მისი სექსუალური ინტეგრაცია განსაკუთრებით მძიმე ფორმით მიმდინარეობს. შიზოიდურ პიროვნებას არა აქვს საკუთარი ქცევების რეალურად შეფასების უნარი. ამ დროისათვის იგი არ გამოირჩევა არც მიმზიდველობით და არც მაცდუნებელი თავდაუოკებლობით, რომ პარტნიორს ამ მხრივ დაანახოს თავი; მისთვის უცხოა სინაზისა და კეთილგანწყობის როგორც ვერბალური, ასევე ემოციური გამოვლინება, ამასთან იგი პარტნიორთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციასაც ვერ ახდენს.

ის კონფლიქტი, რომელსაც, ერთი მხრივ, დამთრგუნველი სქესობრივი ლტოლვა და, მეორე მხრივ, პარტნიორთან სიახლოვის შიში წარმოქმნის, სხვადასხვა გზით შეიძლება მოგვარდეს. შიზოიდი ხშირად მხოლოდ ადვილად მისაღწევ ან «ცოდვიან» სექსუალურ ურთიერთობებს ეტანება, როდესაც მას შეუძლია სექსუალობა და საკუთარი ემოციები

ერთმანეთისგან დაუყოვნებლივ გამიჯნოს. ამ დროს პარტნიორი მისთვის «სექსის ობიექტია», რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მის სექსუალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს; მაგრამ, რამდენადაც ამ პროცესში შიზოიდური პიროვნების ემოციური თანამონაწილეობა გამორიცხებულია, ამდენად მისი პარტნიორული ურთიერთობებიც ადვილად იცვლება. ამრიგად, შიზოიდური ადამიანი თავს იცავს, რათა პარტნიორთან ახლო ურთიერთობაში არ შევიდეს, ამ საქმეში საკუთარი ემოციური უმწეობა და გამოუცდელიობა არ გამოავლინოს და სიყვარულის საფრთხე თავიდან აიცილოს. შიზოიდური პიროვნება ამავე მიზეზით ცდილობს, უგულვებელყოს პარტნიორის მხრივ გამოვლენილი ყოველგვარი კეთილგანწყობა, რომელიც მასში უხერხულობის გრძნობას იწვევს.

ერთ-ერთ «საქორწინო საშუაშაველო» ფირმას მიაკითხა მავანმა მამაკაცმა და შეთავაზებულ ფოტოებს შორის იმ ქალის ფოტო შეარჩია, რომელიც ყველაზე ნაკლებად მოეწონა. მისი აზრით, ასეთი ქალი მას ვერავითარ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა, ვინაიდან მისი შეყვარება გამორიცხებული იყო.

მავანი ქალი მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო თანახმა მამაკაცთან სექსზე, თუ წინასწარ იცოდა, რომ მას ამის შემდეგ ვეღარასოდეს შეხვდებოდა.

მავან ცოლიან კაცს «საიდუმლო» ბინა ჰქონდა იმავე ქალაქში, სადაც თავისი ოჯახით ცხოვრობდა. იგი დროდადრო დადიოდა ამ ბინაში და იქ იმდენ ხანს რჩებოდა, ვიდრე ოჯახში დაბრუნების სურვილი გაუჩნდებოდა; ეს კაცი ცდილობდა, შორს ყოფილიყო ოჯახისაგან, რათა ცოლ-შვილის პრეტენზიებს გარიდებოდა (ისინი კი, თავის მხრივ, სწორედ ამ «განმარტოების» გამო ცდილობდნენ მასზე ზემოქმედება მოეხდინათ და იგი ოჯახში დაებრუნებინათ, რითაც კიდევ უფრო უძლიერებდნენ იქიდან გაქცევის სურვილს).

ამ მაგალითებიდან ჩანს: შიზოიდური პიროვნებები დიდ შიშს განიცდიან იმის გამო, რომ მათ ვინმე «გამოიჭერს», მერე კი ამ ურთიერთობაზე პასუხისმგებლობის აღება და საკუთარი დამოუკიდებლობის დაკარგვა მოუხდებათ. მხოლოდ ეს შეიძლება იყოს მათი უცნაური და გაუგებარი რეაქციების მიზეზი. რაკი შიზოიდურ პიროვნებას სანდო ადამიანად მხოლოდ თავისი თავი მიაჩნია, აქედან ჩნდება ის ნამდვილი თუ მოჩვენებითი საფრთხეც, რომელიც მის დამოუკიდებლობას ემუქრება. იგი შიშობს, ვიღაც ძალადობით შეიჭრება მის სამყაროში, რომელიც მას იმისთვის სჭირდება, რომ საკუთარ თავზე გავლენა არ დაკარგოს. ცხადია, ამგვარი განწყობითა და ქცევებით ადამიანი ვერ შექმნის ნდობისა და ინტიმურობისათვის საჭირო გარემოს. შიზოიდური პიროვნების განწყობილებიდან გამომდინარე, იგი ძალადობად აღიქვამს ადამიანებთან ურთიერთობას, რადგან იცის, რომ ამ დროს თავადაც ბევრი რამ უნდა გასცეს. ბუნებრივია, ასეთი ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, ისეთ პატნიორთანაა მხოლოდ შესაძლებელი, რომელსაც მეორე ადამიანის თანადგომა, დაცვა და მასთან სიახლოვე სჭირდება. ადამიანებთან ურთიერთობის შიშმა, შესაძლოა, შიზოიდური პიროვნება იმ მდგომარეობამდე მიიყვანოს, რომ მან პატარძალი საკურთხეველთან ან ქორწილის დროს მიატოვოს და გაიქცეს.

ქალ-ვაჟი ერთმანეთს უკვე კარგახანია იცნობდა, მაგრამ ახალგაზრდა კაცი არ აპირებდა ცოლქმრობის მარყუქში თავის გაყოფას. ბოლოს და ბოლოს იგი დასთანხმდა ქალის დაჟინებულ თხოვნას – დანიშნულიყვნენ; ერთ დღეს საქორწინო ბეჭდებით მივიდა მასთან და ნიშნობა შედგა. საღამოს ახალგაზრდა კაცი დანიშნულს დაემშვიდობა და წავიდა. ქალის სახლიდან გამოსვლისთანავე საფოსტო ყუთში ჩააგდო წინასწარ მომზადებული წერილი, რომელშიც დანიშნულს აუწყებდა, რომ ნიშნობას აუქმებდა.

მსგავს საქციელს შიზოიდური პიროვნებები არცთუ იშვიათად ჩადიან. ისინი ხშირად სწერენ ქალებს თბილ და იმედიან წერილებს, მაგრამ ახლო ურთიერთობების დროს უკან მიაქვთ თავიანთი სიტყვები და საკუთარ თავში იკეტებიან.

სექსუალური და ემოციური სფეროების ზემოხსენებული გამიჯვნის გამო, შიზოიდურ პიროვნებებს ინსტინქტების სფეროც თითქმის გამიჯნული აქვთ. გარდა იმისა, რომ პარტნიორს მხოლოდ «სექსის ობიექტად» აღიქვამენ, სასიყვარულო ურთიერთობა მათთვის მხოლოდ და მხოლოდ ფუნქციურ პროცესს წარმოადგენს; ამიტომ შიზოიდური პიროვნება არ ცნობს წინასასიყვარულო თამაშების სიამოვნებას და ეროტიკას, ანგარიშს არ უწევს პარტნიორის ნება-სურვილს, ემოციებს და ჯიქურ ცდილობს საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. პარტნიორის მიმართ «სინაზეს» იგი საპირისპირო, მახინჯი ფორმებით გამოხატავს და ამ დროს ფიზიკურ ძალადობასაც არ ერიდება, რაც, სავარაუდოდ, პარტნიორში ემოციების გამოწვევების სურვილს უნდა უკავშირდებოდეს. სქესობრივი აქტის შემდეგ, შიზოიდური პიროვნება ცდილობს, პარტნიორი, რაც შეიძლება, სწრაფად მოიშოროს თავიდან. მისი ცნობილი სიტყვებია: «ამის შემდეგ (იგულისხმება სქესობრივი აქტი) მას სიამოვნებით მოვისროდი აქედან». ამით შიზოიდური პიროვნება შიშს იმ გრძნობებისა და პრეტენზიების გამო განიცდის, რაც შეიძლება პარტნიორ ქალს «ამის შემდეგ» გაუჩნდეს.

სიტუაცია რთულდება, როდესაც შიზოიდი პიროვნება ცდილობს, სიყვარულისა და სიძულვილის საკუთარი ამბივალენტური განცდები პარტნიორზე გადაიტანოს. ამ დროს იგი შეპყრობილია ძლიერი ეჭვით, რომ პარტნიორს, შესაძლოა, იგი შეუყვარდეს; ამიტომ მას, სიყვარულთან დაკავშირებით, ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებს, რომელთა დაკმაყოფილების შედეგად პარტნიორი მას ყოველგვარ ეჭვს გაუფანტავს. შიზოიდი პიროვნების ამგვარმა ქცევამ, შესაძლოა, ემოციური ან აშკარად გამოხატული სადიზმის სახეც კი მიიღოს და დესტრუქციულ ქმედებად იქცეს. იგი ამ დროს უგულვებელყოფს პარტნიორის მხრივ კეთილგანწყობისა და სიყვარულის ყოველგვარ გამოვლინებას, აანალიზებს მის სიტყვებს და, ეშმაკეული ეჭვებით შეპყრობილი, ყველაფერში მხოლოდ პარტნიორის მზაკვრულ ჩანაფიქრს ხედავს. ამრიგად, შიზოიდი ადამიანი მიიჩნევს, რომ პარტნიორი, თავისი კეთილგანწყობით, საკუთარი არასუფთა სინდისის და დანაშაულებრივი გრძნობების შენიღბვას ცდილობს და ამით მის მოსყიდვას ისახავს მიზნად. «ამით რას გინდა მიაღწიო?» «ნუთუ სინდისი არ გაწუხებს?» – ასეთია ამ დროს შიზოიდის რეაქცია. ზოგადთეორიული და ფსიქოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით, ამ დროს შიზოიდს შეუძლია უამრავი მიზეზი გამოიხატოს ამგვარი ტენდენციური დასკვნების გამოსატანად. რომან «სიმშვიდის ბალიშში» ქრისტიანე რომფორი² შესანიშნავად აღწერს ასეთ ურთიერთობას. განსაკუთრებით დამაჯერებელი და შთამბეჭდავია ის ადგილები, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ მიიყვანს შიზოიდური პიროვნება შეყვარებულ ქალს წლების განმავლობაში სასოწარკვეთის ზღვართან.

შიზოიდური პიროვნება, არც თუ იშვიათად, ცდილობს, საკუთარ თავშიც და პარტნიორშიც ცინიზმით ჩაახშოს სინაზის ყოველგვარი გამოვლინება, რათა მას «ხელში არ ჩაუვარდეს». ამ დროს, როდესაც პარტნიორი მის მიმართ განსაკუთრებულ კეთილგანწყობას და სინაზეს განიცდის, შიზოიდი ცდილობს, თავისი საქციელით – დამცინავი გამომეტყველებითა და ირონიული სიტყვებით – მას შეურაცხყოფა მიაყენოს. მაგალითად, შეუძლია პარტნიორს უთხრას: «ერთგული ძაღლის თვალებით რატომ შემომყურებ?», «რომ იცოდე, ამ წუთში რა სასაცილო სანახავი ხარ!», ან «შეეშვი ამ სულელურ მოფერებას და ბოლოს და ბოლოს საქმეს მივხედოთ». ბუნებრივია, ამ დროს შიზოიდი პიროვნება პარტნიორში ანადგურებს სიყვარულის სტერეოტიპს, მაგრამ, თუ ამგვარი უჩვეულო ურთიერთობა მათ შორის მაინც გრძელდება, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ პარტნიორსაც არაბუნებრივი სასიყვარულო მიდრეკილებები აქვს, ან მაზოხისტურ ტიპს წარმოადგენს; უნდა ვიფიქროთ, რომ მან თვითბრალდების, პარტნიორის დაკარგვის შიშით ან კიდევ სხვა მოტივით, უნდა აიტანოს ყველაფერი, ანდა მას ამგვარი წამება სულაც სიამოვნებას ანიჭებს. სხვა შემთხვევაში, ამ დროს პარტნიორმა წერტილი უნდა დაუსვას ასეთ ურთიერთობას, ან სიძულვილი მაინც უნდა იგრძნოს, რაც შიზოიდმა პარტნიორმა, შესაძლოა, საკუთარ გამარჯვებას მიაწეროს («აი, ახლა კი ბოლოს და ბოლოს გამოაჩინე შენი

² ფრანგი მწერალი ქალი (1917-1998)

ნამდვილი სახე»). მაგრამ ამგვარი სიძულვილის გამოვლენა არ ხდება ხოლმე, რა უკიდურეს მდგომარეობამდეც უნდა მიიყვანოს შიზოიდმა პიროვნებამ პარტნიორი. სტრინდბერგი თავის ავტობიოგრაფიულ რომანებში შთამბეჭდავად აღწერს შიზოიდური პიროვნებების ტრაგიზმს, მათი განვითარების პროცესს და ცხოვრებისეულ სივრცეს (მაგ., რომანში «მოახლის ვაჟი»). რომანში «ღია ზღვასთან» მთავარ გმირს, აქსელ ბორგს, მწერალი ბრწყინვალედ აღწერს, როგორც შიზოიდურ ადამიანს, რომელშიც აშკარად იკვეთება ავტობიოგრაფიული მომენტები.

თუ პარტნიორისადმი შიზოიდური პიროვნების გულგრილი დამოკიდებულება უკიდურეს ავადმყოფურ ფორმას მიიღებს, შესაძლოა, ძალადობამ იმ ზღვარს მიაღწიოს, რომ მან პარტნიორი მოკლას და ამ დროს სიამოვნებაც კი განიცადოს. როდესაც შიზოიდს პარტნიორზე «გადააქვს» (როგორც ამას ფსიქოანალიზი უწოდებს) იმ პიროვნებებთან დაკავშირებული სიძულვილისა და შურისძიების გრძნობა, რომლებსაც იგი ბავშვობაში ხვდებოდა, მაშინ მის პიროვნებაში არაინტეგრირებული, გახლეჩილი ინსტინქტები მეტად სახიფათო ხდება. თუ მას არ გააჩნია პარტნიორის შეგრძნების უნარი, და, ამასთან, ემოციებიც მოჩლუნგებული აქვს, მაშინ შიზოიდმა შეიძლება ყველანაირი დანაშაული ჩაიდინოს.

შიზოიდები ცდილობენ თავად გადალახონ ის სიძნელები, რომლებიც უკავშირდება პარტნიორთან ემოციური ურთიერთობის დამყარებას და, საერთოდ, პარტნიორის პოვნას. ასეთ შემთხვევებში შიზოიდური პიროვნებები, თვითდაკმაყოფილების მიზნით, პარტნიორად საკუთარ თავს ირჩევენ, ანდა, როგორც ეს ფეტიშიზმის დროს ხდება, «შემცვლელ ობიექტებზე» გადაერთვებიან; რა თქმა უნდა, აღნიშნული «ობიექტები» მათში სიყვარულის უნარს ვერ განავითარებენ, თუმცა ამგვარი სიყვარულის გაუკუღმართებული ფორმები მაინც გამოხატავს სიყვარულისკენ სწრაფვას და მისი ძიების მოთხოვნილებას.

შიზოიდურ ადამიანებს შორის არცთუ იშვიათად ვხვდებით ინტელექტუალურ პიროვნებებს, რომლებიც, შეფერხებული სექსუალური განვითარების გამო, ინფანტილურ თვისებებს ავლენენ. ისინი სექსუალურ პარტნიორებად ხანდახან სქესობრივად მოუმწიფებელ ბავშვებს და მოზარდებს ირჩევენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ უჭირთ სასიყვარულო ურთიერთობების დამყარება, ამიტომ ასეთი პარტნიორების მიმართ ნაკლებ შიშს განიცდიან და ფიქრობენ, რომ მათი ნდობა შეიძლება.

შიზოიდურ პიროვნებაში დათრგუნული სიყვარულისა და ერთგულების მწველი სურვილი დროდადრო უკიდურესი ეჭვიანობის სახით ვლინდება, რაც, შესაძლოა, ეჭვიანობის მანიაში გადაიზარდოს. შიზოიდი ადამიანი გრძნობს, რომ თავისი ქცევებით საერთოდ არ ძალუძს სიყვარულის გამოხატვა და გუმანით ხვდება, რომ ამგვარი მწირი გრძნობების გამოვლენით ვერ შეძლებს პარტნიორის შენარჩუნებას; ამიტომ ყველაში მეტოქეს ხედავს და ხშირად სამართლიანადაც ფიქრობს, რომ სხვებს უფრო ძლიერად შეუძლიათ სიყვარული, რადგან საამისოდ მასზე მეტი უნარი გააჩნიათ.

შიზოიდი პიროვნება პარტნიორის უწყინარ და სავსებით ბუნებრივ საქციელს ვერაგობად და მზაკვრობად აღიქვამს, რის საფუძველსაც, მისი აზრით, დემონური ზრახვები წარმოადგენს.

ამგვარი განწყობა შიზოიდ პიროვნებას, შესაძლოა, მანიად ექცეს, რაც მასთან შემდგომ პარტნიორობას აუტანელს ხდის, ბოლოს კი ურთიერთობას საერთოდ ანადგურებს. ეს პროცესი იმ აკვიატებული სურვილის ფონზე მიმდინარეობს, რომელიც შიზოიდს თავად ტანჯავს, მაგრამ სხვაგვარად მოქცევა არ შეუძლია. მისი სიყვარულის მოტივაცია შემდეგში მდგომარეობს: «რაკი არ არსებობს შანსი, რომ ვინმეს ვეყვარები, მაშინ, უმჯობესია, ჩემი

ხელითვე გავანადგურო ის, რისი შენარჩუნებაც არ შემძლია, რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ ტანჯული კი არა ვარ, ქმედითი ადამიანიც მქვია».

შიზოიდი პიროვნების საქციელი, ალბათ, შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: სწორედ იმ დროს, როდესაც იგი სიყვარულისკენ მიილტვის და სურს, რომ ისიც უყვარდეთ, შიზოიდი ყველაზე ნაკლებად ავლენს სიყვარულის უნარს. თუ პარტნიორი ამის გამო ზურგს შეაქცევს, ეს მისთვის ნაკლებად მტკივნეული იქნება; ის თავს უარესად იგრძნობდა, თუ პარტნიორის შენარჩუნებას ყველანაირად შეეცდებოდა, ის კი მაინც ზურგს შეაქცევდა. ამგვარი იმედგაცრუების თავიდან ასაცილებლად, შიზოიდური პიროვნება არცთუ იშვიათად იჭერს ხოლმე თადარიგს. ამასთან, მისი საქციელი ქვეცნობიერად პარტნიორის შემოწმებასაც გულისხმობს, როდესაც ამბობს: «თუ ჩემი ასეთი ქცევის მიუხედავად, მას მაინც ვეყვარები, ესე იგი ეს ნამდვილი სიყვარულია». ყოველივე ამის მიღმა იგრძნობა, როგორ უძნელდებათ შიზოიდებს იმის აღიარება, რომ სიყვარულს იმსახურებენ. ამ ადამიანებმა ექსტრემალურ სიტუაციებში, უნდობლობისა და ეჭვიანობის გამო, შესაძლოა, მკვლელობა ჩაიდინონ შემდეგი მოტივით: «თუ პარტნიორს არ ვუყვარვარ, მაშინ სხვაც ვერ გახდება მისი სიყვარულის ღირსი».

შიზოიდურ პიროვნებებში ერთგულების წინაშე გაცნობიერებულ შიშს ადამიანებთან ურთიერთობის შიში განაპირობებს. ერთგულების სურვილი, რომელიც ასევე ყველა ჩვენგანს გააჩნია, შიზოიდურ ადამიანს დათრგუნული განწყობის გამო უჩნდება, და უძლიერებს წუხილს, რაც გამოწვეულია იმით, რომ მან «საკუთარი თავი მთლიანად ვინმეს უნდა დაუთმოს», ეს კი მისთვის საკუთარი «მე»-ს სხვისთვის გადაცემას და მის მიერ შთანთქმას ნიშნავს. ეს იწვევს პარტნიორის დემონიზირებას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ამ შიშს და შიზოიდის მიერ ჩადენილ, ჩვეულებისამებრ, გაუგებარ საქციელს ჩვენთვის ასე თუ ისე გასაგებს ხდის. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება იმ უეცარ სიძულვილს, რომელიც შიზოიდში ვინმე ძლიერი ადამიანის მიმართ ამ უკანასკნელის მხრივ წამოსულმა მუქარამ შეიძლება გამოიწვიოს. შიზოიდი ვერ აცნობიერებს, რომ სხვა ადამიანს ასეთ ძალას მხოლოდ მისი საკუთარი პროექცია ანიჭებს.

შიზოიდური პიროვნება ძნელად ახერხებს ადამიანებთან ხანგრძლივ, ემოციურ ურთიერთობას. მას ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური და ცვალებადი ურთიერთობებისაკენ აქვს მიდრეკილება. იგი მიიჩნევს, რომ ქორწინება, მთელი თავისი სტრუქტურით, ერთ-ერთი არასრულფასოვანი ინსტიტუციაა და მისი გაუქმება თავისთავად ხდება, როგორც კი ვეღარ აკმაყოფილებს ადამიანების მოთხოვნებს; ამიტომ ეს ინსტიტუცია ანგარიშს უნდა უწევდეს ამ მოთხოვნებს და, შესაბამისად, აკმაყოფილებდეს მათ.

შიზოიდი ფიქრობს, რომ ხანგრძლივი ურთიერთობების შემდეგ, პარტნიორებს შორის ღალატი გარდაუვალია. იგი საკუთარ თავისუფლებას ესწრაფვის და მზადაა, თავისუფლება პარტნიორსაც მიანიჭოს, მაგრამ ეს მხოლოდ მისი თეორიული მოსაზრებაა და, რა თქმა უნდა, შიზოიდი ყოველთვის ვერ ახორციელებს მას ცხოვრებაში. იგი ხშირად გამოდის ქორწინების თეორეტიკოსისა და რეფორმატორის როლში. ასეა თუ ისე, მას ჰყოფნის გამბედაობა, არსებული კონცეფციებისა და ტრადიციების საწინააღმდეგო ცხოვრების სტილი დაიმკვიდროს და საკუთარი რწმენით იცხოვროს. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში შიზოიდური პიროვნება სხვა ადამიანებზე მეტ პატიოსნებასა და მოქალაქეობრივ სიმამაცესაც იჩენს. მას პარტნიორთან ხანდახან საკმაოდ ხანგრძლივი ურთიერთობები აქვს ხოლმე, მაგრამ მათი ლეგალიზაცია აშინებს; ამიტომ ეს ურთიერთობები ქორწინების გარეშე გრძელდება.

თუ ადრეულ ასაკში დედის სიკვდილის ან მისი მხრივ იმედგაცრუების გამო, შიზოიდს მასთან ურთიერთობა არ ჰქონია, იგი ხშირად კავშირს უფროსი ასაკის ქალებთან ამყარებს, რომლებიც მასში დედის ასოციაციას იწვევენ. ასეთ ქალებს შეუძლიათ მას სითბო და

სიმშვიდე აგრძნობინონ, ისე რომ პრეტენზიები არ წაუყენონ. ეს ის კეთილგანწყობილი ქალები არიან, რომლებსაც ესმით შიზოიდის მდგომარეობა და მისგან არაფერს მოელიან ისეთს, რისი მოცემაც მას არ შეუძლია. სწორედ ამიტომ ამ ქალებს უფრო ახლო ურთიერთობა აქვთ შიზოიდურ პიროვნებასთან, ვიდრე იგი ამას სხვა შემთხვევაში დაუშვებდა. იმ შიზოიდებს, რომლებსაც ღრმად დარღვეული აქვთ ფსიქიკა და თან ადრეული ცხოვრებისეული გამოცდილებებიც გააჩნიათ, ქალის მიმართ აშკარად გამოხატული სიძულვილისა და შურისძიების იმპულსი უვითარდებათ. რაკი ყველაფერი, რაც შიზოიდის ცხოვრებაში ქალთან იყო დაკავშირებული, მასში უნდობლობასა და საფრთხის შეგრძნებას იწვევდა, იგი პარტნიორად ხშირად თავისივე სქესის ადამიანს ან ისეთ ქალს ირჩევს, რომელიც მამაკაცური თვისებებით გამოირჩევა და ნაზი, მომხიბვლელი ქალივით არ გამოიყურება. ხშირად ეს დაძმურ ან მეგობრულ ურთიერთობებს მოგვაგონებს და მათ საერთო ინტერესები უფრო განაპირობებს, ვიდრე – ეროტიკული ლტოლვა. შიზოიდისთვის, ნებისმიერი ურთიერთობების დროს, აუტანელია ადამიანებთან ხანგრძლივი სიახლოვე. პარტნიორისაგან განცალკევებული საძინებელი ოთახი მისთვის ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს, რასაც პარტნიორი ქალი გაგებით უნდა მოეკიდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შიზოიდი იძულებული გახდება, თავდაცვის მიზნით, მისგან საერთოდ შორს დაიჭიროს თავი.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შიზოიდურ პიროვნებაში ძალიან რთულად მიმდინარეობს სასიყვარულო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესი, რის მიზეზებსაც უფრო უკეთ მოგვიანებით შევიტყობთ. შიზოიდი საოცრად მგრძნობიარეა ყველაფრის მიმართ, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. შიზოიდური პიროვნება საკუთარ გრძნობებს ძუნწად, მაგრამ დიდი მადლიერებით გამოხატავს, თუ პარტნიორი თავისი ყურადღებით და კეთილგანწყობით მას თავს არ მოაბეზრებს და მშობლიურ სიტბოს და უსაფრთხოებას აგრძნობინებს. ვინც შიზოიდის გულის მოგებას მოახერხებს, შეუძლია მისი კეთილგანწყობის იმედი ჰქონდეს, თუმცა შიზოიდს ამის გამოხატვა და აღიარება არ შეუძლია.

შიზოიდური ადამიანი და აგრესია

გადავწყვიტე, აქაც და შემდეგ თავებშიც, «სიძულვილის» ნაცვლად, აგრესიაზე ვილაპარაკო, რადგან სიძულვილი უმთავრესად აგრესიის სახით ვლინდება. ამიტომ მისი სხვადასხვა ფორმით აღწერა უფრო თვალნათლივ შეიძლება. შიში და აგრესია მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ადამიანში აგრესიას თავდაპირველად უკმაყოფილებისა და შიშის გრძნობა იწვევს, რომლის დროსაც «უკმაყოფილება» შიშისწინარე, არქაულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს. განვითარების ადრეულ საფეხურზე ადამიანი ვერ ახერხებს თავისი უკმაყოფილების გააზრებას და შიშის დაძლევას, ამიტომ სრულიად უმწეოა მათთან ბრძოლაში.

ადამიანის განვითარების ადრეულ პერიოდში შიშს თავდაპირველად ისეთი ძლიერი ფრუსტრაციები იწვევს, როგორცაა შიმშილი, სიცივე და ტკივილი; შემდეგ ამას ემატება ბიორიტმის დარღვევა, ცხოვრებისეულ სივრცეში ინტეგრაცია, გრძნობის ორგანოების მეტისმეტად გადატვირთვა და თავისუფალი მოძრაობის შეზღუდვა. ამასთან, ადამიანი შეიგრძნობს იმ საფრთხეს, რომელიც მის არსებობას, სხვა ადამიანებთან სიახლოვეს ემუქრება და ცხოვრებისეულ სივრცეში მათ აქტიურ ჩარევას უკავშირდება. შიში თავდაპირველად ძლიერი უკმაყოფილების სახით გამოვლინდება; ბავშვისათვის კი შიში და აგრესია ჯერ კიდევ ერთმანეთს და ერთდროულად იჩენს ხოლმე თავს. უკმაყოფილებისა და შიშის მიზეზები იმავდროულად აგრესიისა და გაბრაზების გამომწვევ ფაქტორებადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

როგორ შეუძლია ამ დროს პატარა ბავშვს, დაძლიოს შიშისა და უკმაყოფილების გრძნობა? თავდაპირველად იგი მხოლოდ უმწეოდ ბრაზობს და აღშფოთებას ჯერ ყვირილით, მერე კი ხელების ქნევითა და ფეხების ფართხალით გამოხატავს. ამ დროს იგი ცდილობს, მოტორულად განიმუხტოს და დაიცხროს სიბრაზე. ვინაიდან ადამიანის განვითარების ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არსებობს განსხვავება «მე»-სა და «შენ»-ს შორის, ამიტომ აგრესიის ამ სახით გამოხატვა სრულიად უმისამართოდ ხდება. ამგვარი აგრესია, უბრალოდ, ცუდი განწყობისა და უკმაყოფილების შედეგად გამოწვეული რეაქციაა და ამ განწყობისგან ორგანიზმის განმუხტვის მცდელობად წარმოგვიდგება. ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი აგრესიის არქაულ ფორმაზე, რომელიც მარტივად, სპონტანურად, გაუცნობიერებლად და ადამიანებთან მიმართების გარეშე გამოვლინდება; აქედან გამომდინარე, იგი ჯერაც გაუთვალისწინებელ ხასიათს ატარებს და თვითბრალდების გრძნობა არ გააჩნია, თუმცა ეს ყველაფერი მაინც ადამიანებთან ურთიერთობას უკავშირდება.

არქაული შიში საოცარი ინტენსივობით გამოირჩევა, რადგან პატარა ბავშვი, სრული უმწეობის გამო, ამ შიშს განიცდის, როგორც საკუთარი არსებობის საფრთხეს და მუქარას. შესაბამისად, ამ დროს აგრესია და გაბრაზება ტოტალურად გამოვლინდება და ბავშვს ასეთ სიტუაციებში «მთლიანად სიბრაზე» ან «მთლიანად შიში» იპყრობს. გარდა ამისა, მას უჩნდება სურვილი, სათანადო რეაგირება მოახდინოს და, რაც შეიძლება, სწრაფად გათავისუფლდეს ამ შეგრძნებებისგან.

სამყაროდან რეფლექტორული გაქცევა და მისგან თავის დაღწევა, ანდა, შიშთან და უკმაყოფილებასთან დაკავშირებით, ზემოაღწერილი მძაფრი მოძრაობები სხვა ცოცხალ არსებებთანაც ასევე თავდაპირველი რეაქციის ორივე ფორმით გამოვლინდება; ესაა გაქცევა «საკუთარ თავში» და სიტუაციიდან გამორიდება, თვით «თავის მომკვდარუნების» რეფლექტორულ მცდელობამდე; ან გაქცევა «გარეთ», ქარიშხლისებრი მოძრაობა და თავდასხმა. მარტოსული, დაუცველი და უმწეო შიზოიდური ადამიანი საკუთარი არსებობისათვის საფრთხედ აღიქვამს რეალურ თუ ვითარს თავდასხმებსა და მუქარას და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი შესაბამისი რეაქციები ამ დროს მთლიანად არქაული

წარმოშობისაა. ეს არის მყისიერი, გაუცნობიერებელი აგრესია, რომელიც მიმართულია მხოლოდ შიშისა და მისი გამომწვევი მიზეზების დაძლევაზე, საკუთარი განწყობის განმუხტვაზე, რასაც ზუსტად გამოხატავს ინგლისური გამოთქმა: «to get it out of one's system»³. ადვილი წარმოსადგენია, რა სახიფათო შეიძლება გახდეს ეს არქაული, შიზოიდური აგრესიები იმ ადამიანებისათვის, რომლებისთვისაც ამ აგრესიის სათავეს ეგზისტენციალური საფრთხის გრძნობა წარმოადგენს და რომლებიც გარესამყაროს მოწყვეტილები არიან. აღნიშნულ აგრესიებს არავითარი ხელჩასაჭიდი, მყარი საფუძველი არ გააჩნია, მათი ინტეგრირება ადამიანის მთლიან პიროვნებაში არ ხდება და, ამდენად, ელემენტარული, მყისიერი და ინსტინქტური რეაქციის სახით გამოვლინდება. როგორც სექსუალობის საკითხის განხილვისას დავინახეთ, ამ ადამიანების აგრესიები და აფექტები ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, იზოლირებული, წმინდა ინსტინქტური რეაქციებია და არაა ჩართული ადამიანის ემოციური განცდების მთლიან სისტემაში; ვინაიდან მათ სამომავლოდაც არ გააჩნიათ გრძნობებისა და განცდების გამოვლინების უნარი, გამოდის, რომ მათი დამამუხრუჭებელი ძალა პრაქტიკულად არ არსებობს.

ამრიგად, ასეთ შემთხვევებში აგრესია მხოლოდ დამაბულობის განმუხტვის საშუალებას წარმოადგენს, არ ექვემდებარება კონტროლს და ადამიანში თვითბრალდების გრძნობას არ ბადებს. გარდა ამისა, რაკი შიზოიდურ პიროვნებებს გარესამყაროსთან და ადამიანებთან ურთიერთობა არა აქვთ, ამიტომ უჭირთ იმის წარმოდგენა, თუ რა გავლენას ახდენს და როგორ მოქმედებს სხვებზე მათი აფექტები და აგრესიები; ისინი ფიქრობენ, რომ ამით «მხოლოდ და მხოლოდ» საკუთარი რეაქცია გამოხატეს. სხვა ადამიანი მათთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, ამიტომ მას ხშირად უხეშად, შეურაცხმყოფლად და აგდებულად ექცევიან, თუმცა ამას თავად ვერ აცნობიერებენ.

ერთ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, ვიღაც ახალგაზრდა კაცმა პატარა ბიჭი მოკლა. როდესაც მკვლელს ჰკითხეს, რატომ ჩაიდინა ეს, მან მხოლოდ მხრები აიჩეჩა და თქვა: «ამის განსაკუთრებული მიზეზი არ მქონია; უბრალოდ, მომეჩვენა, რომ ეგ ბიჭი რაღაცნაირად ხელს მიშლიდა».

ამრიგად, ცხოვრებას და საზოგადოებას მოწყვეტილი ადამიანის აგრესიამ, რომლის საფუძველსაც სიძულვილისადმი მზაობა წარმოადგენს, შესაძლოა, სულ მცირე საბაბით იფეთქოს და სახიფათო სახე მიიღოს. ასეთი აგრესია საგანგებოდ გამოცალკევდება და უკიდურესად მწვავე ფორმით გამოვლინდება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც იგი არაინტეგრირებულ, სექსუალურ ინსტინქტს უკავშირდება. ამ ფაქტს საოცარი სიზუსტით აღწერს «იურგენ ბარჩის ავტოპორტრეტი»⁴.

ამერიკელმა ფსიქიატრმა კინზელმა პატიმრებზე კვლევების ჩატარებისას შეიტყო, რომ აგრესიულ პატიმრებს (violent men) ორჯერ უფრო დიდი «დამცავი წრე» ჰქონდათ, ვიდრე არააგრესიულებს. აგრესიული პატიმრები (curcle protection, ჩვენ მათ შიზოიდებს მივაკუთვნებთ), როგორც კი დაინახავდნენ, რომ ამ უჩინარი, ვირტუალური, დამცავი წრის საზღვარი ვინმე უცხომ გადმოკვეთა, საშინელ პანიკაში ვარდებოდნენ და, გამძვინვარებულნი, თავდასხმაზე გადადიოდნენ. შიზოიდური მსოფლშეგრძნების შთამბეჭდავ მაგალითს წარმოადგენს ერთ-ერთი პაციენტის სიტყვები: «როდესაც ჩემ მიერ დაწესებულ საზღვარზე გადმოდიან, სიძულვილის გრძნობა მიპყრობს». გავიხსენოთ ასევე კონრად ლორენცის მიერ აღწერილი მკვეთრი რეაქციები ცხოველებში, რომლებიც გააფთრებით ესხმიან თავს ყველას, ვინც მათი ტერიტორიის საზღვარს გადააბიჯებს (კონრად ლორენცი, «ეგრეთ წოდებული ბოროტება»). შიზოიდი პიროვნება თავს დაუცველად და გარიყულად გრძნობს და ამის გამო ადამიანების მიმართ უნდობლობას განიცდის, რის შედეგადაც იგი სხვასთან სიახლოვეს უყურებს როგორც საფრთხეს, რაზეც

³ გასვლა საკუთარი სისტემიდან (ინგლ.)

⁴ გერმანელი სერიული მკვლეელი - 1946-1976

თავდაპირველად შიშით, შემდეგ კი აგრესიით უპასუხებს. შიზოიდი ადამიანების ეს უმთავრესი ცხოვრებისეული განცდა მათ ზოგიერთ, თითქოს ხშირად გაუგებარ, რეაქციას გასაგებს ხდის. არქაული, არაინტეგრირებული, გახლეჩილი აგრესია შეიძლება ძალადობაში გადაიზარდოს და მაშინ შიზოიდი მისთვის აუტანელ ადამიანს, აბეზარი მწერივით, ერთი დარტყმით მოიშორებს თავიდან. როგორც ზოგადად ყოველგვარი განცდა, შესაძლოა, განდევნილი ინსტინქტების მსგავსად, აგრესიაც სახიფათო ფორმით გამოცალკევდეს და ასოციალურ, კრიმინალურ მოვლენად იქცეს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ შიზოიდური ადამიანები, ამგვარი ექსტრემალური შემთხვევების გარეშე, ძნელად აკონტროლებენ საკუთარ აგრესიებს, რის გამოც უფრო მეტად მის გარშემო მყოფნი იტანჯებიან. თუ შიზოიდური პიროვნების აგრესია თავდაპირველად შიშისაგან თავდაცვის რეაქცია იყო, მერე და მერე იგი, შესაძლოა, აგრესიის ისეთ ფორმად გარდაისახოს, რომელიც შიზოიდურ პიროვნებას ნეტარებას აგრძნობინებს და სადიზმის ნებისმიერი ფორმით გამოვლინდება. მოულოდნელი, მყისიერი, შეურაცხმყოფელი უკმეხობა, სრული გულგრილობა, ზესთამჩენობა, ცინიზმი, კეთილმოსურნე და მტრული განწყობების წამიერი მონაცვლეობა აგრესიის გამოხატვის შესაძლებელ ფორმებს წარმოადგენს. შიზოიდის აგრესიას ამ შემთხვევაშიც არ გააჩნია სიტუაციის შესაფერისი თავდაჭერილობა, ზომიერება თუ ტაქტის გრძნობა. რა თქმა უნდა, ამას მხოლოდ გარეშე თვალი ამჩნევს, რადგან თავად შიზოიდს მიაჩნია, რომ თავისი საქციელით სიტუაციას სრულიად ადეკვატურად აღიქვამს.

შიზოიდური პიროვნებების აგრესიას, თავდაცვის გარდა, ხშირად სხვა ფუნქციაც აკისრია. სიტყვა ad-gredi, რომლის უძველესი მნიშვნელობა «ვინმესთან მისვლას ან მიახლოებას» გამოხატავდა, შიზოიდისთვის ხშირად სხვა ადამიანთან კონტაქტის დამყარების ერთადერთი საშუალებაა. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, აგრესია თვითგამოხატვის ის ერთადერთი ფორმა იყოს, რომელიც მოპირდაპირე სქესთან სიახლოვის წარუმატებელი მცდელობების შედეგია და აგრერიგად დამახასიათებელია სქესობრივი მომწიფების პერიოდისთვის. ამ დროს, შიზოიდის მსგავსად, ყველა ადამიანს უჩნდება შიშისა და სურვილის ნაზავი გრძნობა და ფარული განცდები. მოკრძალებული და მისთვის მიუწვდომელი სინაზის ნაცვლად, იგი აგრესიული ხდება იმის შიშით, რომ თავი არ შეირცხვინოს, და მზად არის უკან დასახევად. ამ დროს კი ისეთ ურთიერთგამომრიცხავ გრძნობებს განიცდის, როგორცაა კეთილგანწყობა და ცინიზმი.

შიზოიდურ პიროვნებებთან ურთიერთობის დროს მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ, შესაძლოა, აგრესია მათი «თვითგამოხატვის» ფორმა იყოს. ისინი აგრესიულობას ძალიან იოლად ავლენენ, სამაგიეროდ, უჭირთ კეთილგანწყობისა და სხვა დადებითი გრძნობების გამოხატვა. შიზოიდებს ადამიანებთან ურთიერთობისას სიძნელეები იმის გამოც ექმნებათ, რომ საკუთარი თავისადმი რწმენა აქვთ დაკარგული. ფსიქოთერაპიული მკურნალობის შედეგები გვიჩვენებს, რომ, თუ მათ მიმართ კეთილგანწყობას გამოვიჩინთ, დროს დავუთმობთ და ადამიანურ ურთიერთობებთან დაკავშირებული სიძნელეების დაძლევაში დავეხმარებით, შიზოიდური პიროვნებები ახერხებენ საკუთარი აგრესიის ინტეგრაციას და მათ ადეკვატურად მართვას სწავლობენ.

ცხოვრებისეული სივრცე

როგორ უნდა მივუდგეთ შიზოიდური პიროვნების განვითარების საკითხს და როგორ ავხსნათ მასში სხვა ადამიანის წინაშე ერთგულების შიში, შესაბამისად, – თავდაცვის მიზნით, «საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვის» დაუცხრომელი სურვილი?

შიზოიდის გარეგნული მონაცემების საპირისპიროდ, მისი სულიერი წყობა ნაზ, მგრძობიარე, მოწყვლად და ლაბილურ ხასიათზე მიგვანიშნებს. შიზოიდი პიროვნებისათვის თავდაცვის საშუალებას საკუთარ თავსა და გარესინამდვილეს შორის არსებული მანძილი წარმოადგენს, რადგან იგი ადამიანებთან ფიზიკურ და ფსიქიკურ სიახლოვეს რადარის მსგავსად, თითქოს «კანგაცლილივით» შეიგრძნობს და მეტისმეტად «ხმაურთანად» აღიქვამს. ამრიგად, ამ მანძილის შენარჩუნება შიზოიდი პიროვნებისთვის უსაფრთხოებას, სხვა ადამიანების შემოტევებისა თუ თავდასხმებისაგან თავდაცვას ნიშნავს. იგი თავისი გუნება-განწყობითა და მიდრეკილებებით მეტისმეტად «კანგაცლილ» შთაბეჭდილებას ტოვებს და ღია სისტემას მოგვაგონებს, ამიტომაც სურს გაემიჯნოს ადამიანებს, რათა გამღიზიანებლების ნაკადმა არ წააღვოს.

შიზოიდისათვის თავდაცვის საშუალებას ასევე ინტენსიური მოტორული, ექსპანსიური, აგრესიული და ინსტინქტური მიდრეკილებები და ადამიანებთან ურთიერთობის შეზღუდული უნარი თუ, საერთოდ, უუნარობა წარმოადგენს. ეს ის თვისებებია, რომელთა მიხედვითაც, ადრევე შეგვიძლია დავადგინოთ, ადამიანს რთული ფსიქიკური მდგომარეობა აქვს, თუ ფსიქიურად არის აშლილი. გამოცდილება ისევ და ისევ ცხადყოფს, რომ შიზოიდებს საზოგადოება არ იღებს და ურთიერთობაზე უარს ეუბნება; ამის გამო მათ უნდობლობა იპყრობთ და ადამიანებს განუდგებიან, რაც მათთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ტიპური ნიშან-თვისებაა.

აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მხოლოდ შიზოიდური პიროვნებების ზემოხსენებული ფიზიკური მონაცემები, რომლებიც მისი სხეულის განუყოფელ ნაწილს შეადგენს, არამედ გარესამყაროსთან დაკავშირებული აშკარა ფიზიკური თუ სხვა სახის ფაქტორები; ამის გამო ბავშვს ადრევე უცრუვდება მშობლებთან, უპირველეს ყოვლისა კი, დედასთან და საკუთარ სურვილებთან მიმართებაში განცდილი მოლოდინები. ამგვარი იმედგაცრუება შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ იმან, რომ ბავშვი დედისათვის არასასურველი სქესისა დაიბადა; ამის მიზეზი, შესაძლოა, სხვა ფსიქიკური თვისებებიც იყოს, რომელთა გამოც დედას უძნელდება შვილის მიმართ ესოდენ საჭირო კეთილგანწყობისა და სითბოს გამოვლენა. ეს ეხებათ მშობლებისთვის არასასურველ შვილებსაც.

შიზოიდური ადამიანის განვითარების პროცესში მის გარეგნულ მხარეზე გარემოს რეაქციას ხშირად უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე თავად შიზოიდის გუნება-განწყობას და მიდრეკილებებს. ამის უკეთ გასაგებად უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის მდგომარეობა დაბადებიდან პირველ კვირებში.

სხვა ცოცხალი არსებებისგან განსხვავებით, ბავშვი დაბადებიდან დიდხანს სავსებით უმწყეოა და მთლიანად გარემოზეა მინდობილი. ადოლფ პორტმანი ადამიანს ამის გამო «დღენაკლულს», ანუ «დროზე ადრე დაბადებულს» უწოდებს.

იმისათვის, რომ ბავშვი ნელ-ნელა ეზიაროს გარესამყაროს და «სხვა ადამიანის» პირველად აღქმა შეძლოს, უნდა იგრძნოს, რომ ეს სამყარო მას მიიღებს, მის ნდობას გამოიწვევს და იქ მისი ასაკის შესაფერის ადგილს მიუჩენს. ბავშვს უსაფრთხო, მზრუნველი გარემო და სათანადო ცხოვრების პირობები სჭირდება. მან უნდა გაიაროს აღსრულებულ

მოთხოვნისათვის მისთვის განკუთვნილი ეს «სამოთხისეული ხანა» – მხოლოდ ამ დროს მოპოვებული ნდობის წყალობით შეძლებს იგი, თანდათანობით შეიგრძნოს სიცოცხლისადმი ერთგულება და არ ჰქონდეს იმის შიში, რომ მას გაანადგურებენ.

საოცარია, მაგრამ ბავშვისათვის საჭირო ცხოვრების პირობებთან დაკავშირებით ძალიან დიდხანს ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა. ხშირ შემთხვევაში სათანადოდ ვერ ვახდენდით ვერც ახალშობილის თავისებურებებისა და აღქმის უნარის შეფასებას, ვერც იმის დადგენას, თუ რა გავლენას ახდენს მათზე გარემო. ამ თვალსაზრისით, მეტად შთამბეჭდავია შვეიცარიელი პედიატრის – შტირნიმანის მიერ ახალშობილებზე ჩატარებული კვლევები. მოვიყვანთ რამდენიმე ციტატას მისი წიგნიდან «ახალშობილის ფსიქოლოგია»: «სავსებით სერიოზული ნაშრომების ავტორები... გამორიცხავენ, რომ ბავშვს დაბადებიდან ექვსი კვირის განმავლობაში ტკივილის შეგრძნება აქვს. მაგრამ ჩატარებული ექსპერიმენტის შემდეგ სრული თავდაჯერებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს ასე არ არის. როდესაც ახალშობილებს ინექციებს უკეთებდნენ, ისინი მომდევნო ნემსის გაკეთების წინ, დეზინფიცირების დროს, უკვე ტირილს იწყებდნენ». შტირნიმანი ახალშობილთა მახსოვრობის შესახებ წერს: «...არსებობს დაბადებამდელი მეხსიერება. მორიგე ექთნების დაკვირვებით, ღამის ცვლაში მომუშავე ქალების შვილები ხშირად შუალამემდე ვერ იძინებენ, მაგრამ ამ დროს არ ტირიან; ხაზაზი ქალების შვილები კი დღის 2 საათიდან 3 საათამდე მოუსვენრად არიან. იმის მიხედვით, დედა დღისით მუშაობს თუ ღამით, ბავშვი დაბადებამდე გამოიმუშავებს ჩვევებს რიტმულად მონაცვლე მოძრაობასა და სიმშვიდეს შორის».

ამ სფეროში, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი რამ არის გამოსაკვლევია, მაგრამ, შტირნიმანის ამ და სხვა დაკვირვებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად არ ექცეოდა სათანადო ყურადღება ახალშობილის ემოციურ თუ აღქმით შეგრძნებებს. დიდხანს მიაჩნდათ, რომ ახალშობილისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სავსებით საკმარისი იყო მზრუნველი მოვლა, კვება და ჰიგიენა. მხოლოდ ბავშვის ადრეული პერიოდის გულდასმით შესწავლის, ფროიდისა და მისი მოწაფეების ფსიქოანალიტიკური კვლევების შედეგად გაჩნდა ამ სფეროში სრულიად ახალი თვალსაზრისები, რასაც ადამიანის ქცევების შესწავლაც დაემატა. სწორედ მათ უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენს ცოდნას ბავშვის პირველ შთაბეჭდილებათა შესახებ; განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია ის ფაქტები, რომლებიც გამოვლინდა ბავშვის დაბადებიდან პირველ კვირების პერიოდში.

ჯერ კიდევ გოეთე გამოთქვამდა მსგავს თვალსაზრისს (საუბარი კნებელთან, 1810), როდესაც ამბობდა: «ჩვენი მთავარი უბედურება ისაა, რომ ძალიან უყურადღებოდ ვეკიდებით ბავშვის აღზრდას მისი განვითარების ადრეულ პერიოდში; არადა, სწორედ ამ დროს ყალიბდება ადამიანის ხასიათი და მთელი მისი მომავალი არსებობის წესი». მსგავს თვალსაზრისს ინტუიციის დონეზე მხოლოდ ერთეული ადამიანები გამოთქვამდნენ და აქედან საჭირო დასკვნების გამოტანა ვერ ხერხდებოდა.

დღესდღეობით ვიცით, რომ ზემოხსენებული აუცილებელი მოვლა-პატრონობის გარდა, ბავშვს ადრეულ ასაკში სითბო, კეთილგანწყობა, სიმშვიდე და ცხოვრებისეული სივრცის გარკვეული სტაბილურობა სჭირდება, რათა იგი გარესამყაროს მიმართ კეთილად და ნდობით განეწყოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი ამ დროს დედის სხეულის სითბოსა და სინაზეს გრძნობდეს.

თუ ბავშვი ცხოვრების ადრეულ პერიოდში ხედავს, რომ მის გარშემო სამყარო სასტიკი, არასაიმედო, და ძალადობრივია, იგი ითრგუნება და, ნდობის ნაცვლად, ამ სამყაროს მიმართ ნაადრევი და ღრმა უნდობლობით განეწყობა. მას მთელი სამყარო დაცარიელებული ეჩვენება, როდესაც დიდხანს მარტო ტოვებენ. ამასთან, ბავშვზე შიზოიდურ გავლენას ახდენს ერთად თავმოყრილი გამღიზიანებლები და

ურთიერთმონაცვლე შთაბეჭდილებები: გარესამყაროსთან შეხვედრით გამოწვეული შიშის შედეგად ბავშვი საკუთარ თავთან მარტო რჩება. რენე შპიცმა საბავშვო სახლის აღსაზრდელებზე ჩატარებული კვლევების შედეგად დაადგინა, რომ იმ ბავშვებმა, რომლებიც დაბადებისშემდგომ პირველ კვირებში დიდხანს დარჩნენ უდედოდ, და, შესაბამისად, ძალიან ადრე მოაკლდათ დედობრივი სიყვარული, განვითარებისას მძიმე, თითქმის შეუქცევადი დარღვევები განიცადეს. პრესტიჟულ საბავშვო სახლში, სადაც 10 აღსაზრდელზე ერთი მომვლელი მოდიოდა, ბავშვებს საუკეთესო კვება და უნაკლო ჰიგიენური პირობები ჰქონდათ, ყველა ადრე მიტოვებულმა, განსაკუთრებული გამღიზიანებლების მიზეზით შიშით შეპყრობილმა ბავშვმა, სულ მცირე, ცალმხრივი შეფერხებები და მისი ასაკისათვის შეუსაბამო გონებრივი ჩამორჩენილობა და უმწიფრობა გამოავლინა; რაკი ამ ბავშვებს მათთვის საჭირო გარემოში არ უხდებოდათ ცხოვრება, ისინი თავიანთი ასაკისთვის შეუფერებელ შიშებს განიცდიდნენ.

შიზოიდური დარღვევების გამომწვევ ადრეულ ნიშნებს ვხვდებით იმ ბავშვებშიც, რომლებიც მშობლებს თავიდანვე არ უყვარდათ, რაღაც მიზეზით არასასურველნი იყვნენ, ავადმყოფობის გამო დიდხანს მარტო მოუხდათ ყოფნა ან დედის გარდაცვალების შემდეგ დარჩნენ ეულად. იგივე შეიძლება ითქვას იმ ბავშვებზე, რომელთა დედებსაც არ უყვართ თავიანთი შვილები და გულგრილად ეკიდებიან მათ. ეს ეხებათ მეტისმეტად ახალგაზრდა დედებს, რომლებიც ჯერ მზად არ არიან დედობისთვის, ასევე ე.წ. «ოქროს გალიის ბავშვების» დედებს, რომლებიც თავიანთ შვილებს ხშირად გულცივ და უსულგულო «პერსონალს» გადააბარებენ ხოლმე, რადგან მათთვის «არ სცალიათ». აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის დედებიც, რომლებიც მშობიარობის შემდეგ მალევე იწყებენ მუშაობას და ბავშვს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ.

ამრიგად, დედის მხრივ მზრუნველობისა და კეთილგანწყობის ნაკლებობა დიდ გავლენას ახდენს შიზოიდური პიროვნების შემდგომ განვითარებაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ იმ დედების როლიც, რომლებიც თავისი გამაღიზიანებელი მოპყრობით ბავშვს მოსვენებას არ აძლევენ და მის მოთხოვნილებებს ვერ აცნობიერებენ. ამ საკითხს ნათელი რომ მოვფინოთ, მასზე, ალბათ, უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

ბავშვის საწყისი ორიენტაციისათვის აუცილებელია, მისი გარემო გარკვეულწილად სტაბილური იყოს, რათა ბავშვი მას ნელ-ნელა დაუახლოვდეს და შეეჩვიოს, ვინაიდან ამ გარემოს მიმართ ნდობის მოპოვება მისი განვითარების საფუძველს შეადგენს. ბავშვს უჭირს ადამიანებთან ხშირ ურთიერთობათა მუდმივად ცვალებად გარემოებათა და შთაბეჭდილებათა გადამუშავება (მაგ., ის ვერ იტანს რადიოსა თუ ტელევიზორის განუწყვეტელ ხმაურს, ძილის წინ კამკაშა შუქს, ხშირ, დამღლელ მოგზაურობებს და ა.შ.).

შემინებული და გაღიზიანებული ბავშვი საკუთარ თავში იკეტება, როდესაც დედა თითქოს მის არსებაში იჭრება, უგულვებელყოფს მარტოდ დარჩენისა და სიმშვიდის მისეულ სურვილს და, ამასთანავე, მცირე დროს უთმობს მის აღზრდას; თუმცა ასეთი დედა იმავდროულად თავს არ ანებებს და თვალს არ აშორებს ბავშვს, ყველგან თან დაატარებს და საშუალებას არ აძლევს, საკუთარი იმპულსებით იცხოვროს. გარდა ამისა, არსებობს ისეთი ძალადობრივი გარემო, რომელიც ადრეულ ასაკში შიზოიდურად მოქმედებს ბავშვზე; ამ გარემოში მოხვედრილ ბავშვს მძიმე ხასიათის, გონებაშეზღუდული და უმწიფარი ადამიანების გვერდით უხდება ცხოვრება. ეს ადამიანები ბავშვს გამუდმებით დაძაბულ მდგომარეობაში ამყოფებენ და იმ ცხოვრებისეულ სიძნელეებს ახვევენ თავს, რომლებსაც თავად ვერ უმკლავდებიან. ამის გამო ბავშვი ადრეულ ასაკშივე ცდილობს, შექმნილ სიტუაციებს მიესადაგოს და წინასწარ შეიგრძნოს ამ ადამიანების გუნება-განწყობა, რათა თავიდან აიცილოს უსიამოვნება და მისთვის შეურაცხმყოფელ გარემოებებს როგორმე დააღწიოს თავი.

ამ დროს ბავშვი ხშირად იძულებულია, მშობლების როლი თავად იტვირთოს, რადგან მათ მხარდაჭერას ვერ გრძნობს და თან ხედავს, რომ ისინი საკუთარ თავსაც კი ვერ პატრონობენ. რა თქმა უნდა, ბავშვისათვის ეს მძიმე ტვირთია – მას ხომ მშობლების ფუნქციის შესრულება მაშინ უხდება, როცა პიროვნებად თავად ჯერ არ ჩამოყალიბებულა. იგი იძულებულია, გაგებით მოეკიდოს უფროსების საქციელს, მაგრამ ამასობაში საკუთარი თავის შეცნობას ვერ ახერხებს, რადგან ყველაფერზე ფიქრი თავად უწევს. მან შუამავლის როლი უნდა შეასრულოს, უნდა მიხვდეს უფროსების ყოველი სიტყვის მნიშვნელობას და მათი გული მოიგოს. ამრიგად, ბავშვი გამოსავალს მხოლოდ იმაში ხედავს, რომ, საკუთარი ცხოვრების ნაცვლად, სხვა ადამიანების ცხოვრებით იცხოვროს, სანაცვლოდ კი მხოლოდ წართმეული ბავშვობა და განუვითარებელი პიროვნება შერჩება ხელში; იგი კარგავს საკუთარი თავის რწმენას და ყოველთვის ექნება იმის შეგრძნება, რომ ფეხქვეშ ნიადაგი აქვს გამოცლილი.

ამ სამყაროში ყოფნისას ადამიანი ცდილობს, მოუწყვლელი გახდეს ზიგფრიდის მსგავსად, რომელმაც სხეული გველეშაპის სისხლში განიბანა, რათა ქვეყნისათვის თავისი ჭრილობები დაემალა; მაგრამ ნაიარევი არ ქრება! მაინც როგორ შეუძლია ადამიანს, საკუთარი თავი მოუწყვლელი გახადოს? რა თქმა უნდა, თუ იგი გრძნობების სფეროში ველარაფერს შეცვლის, მაშინ მან «უჩინმაჩინის ქუდი» უნდა დაიხუროს, რათა ყველასთვის შეუმჩნეველი და უჩინარი გახდეს. ამით ადამიანი თავის წინ აღმართავს დამცავ კედელს, რომელშიც ვერავინ შეაღწევს და არავის ეცოდინება, რა ხდება მის მიღმა. მაგრამ რაკი კაცი გრძნობებს მაინც ვერსად გაექცევა, იგი ცდილობს მათი შეგნებულად, გამოზომილად მართვა ისწავლოს, იწყებს საკუთარი გრძნობების გააზრებას და შესწავლას, რათა საჭიროების შემთხვევაში გონივრულად გამოხატოს ისინი ან უარი თქვას მათზე. მაგრამ ის არასოდეს სპონტანურად არ მიენდობა ამ გრძნობებს, რადგან, შესაძლოა, ეს მისთვის სახიფათო გამოდგეს. როდესაც ერთ-ერთ ახალგაზრდა პაციენტს ქალს მეგობარმა უთხრა, შენი მშობლები ჩემთან ჩივიან, რომ მათ ძალიან ცუდად ეპყრობი და მათდამი სიძულვილს ვერ მალავო, პაციენტმა მცირეოდენი ფიქრის შემდეგ მიუგო: «კი, ბატონო, მაშინ ამ ჩემს სიძულვილს გვერდზე გადავდებ». ამის შემდეგ მშობლებთან მისი ურთიერთობა კიდევ უფრო გაუარესდა და, ბოლოს, შეუძლებელი გახდა.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენ, მოზრდილ ადამიანებს, გრძნობების გამოხატვისას ამტანობის გარკვეული ზღვარი გაგვაჩნია. ცნობილია, ზოგიერთ ქვეყანაში რა მეთოდებით დაჰკითხავენ ხოლმე პატიმრებს: მათ დიდხანს ამყოფებენ საშინელ ხმაურში, მკვეთრი სინათლის ზემოქმედების ქვეშ ან უეცრად წამოაგდებენ მძინარეს, რაც ადამიანს სულიერად ანადგურებს; სიბნელეში დიდხანს მარტოდ ყოფნამ, შესაძლოა, მასზე საშინელი გავლენა მოახდინოს.

რა თქმა უნდა, პატარა ბავშვის ამტანობის ზღვარი ბევრად უფრო მყიფეა. აქედან გამომდინარე, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, ბავშვი ძუძუთი იკვებება თუ ხელოვნურად. დედის მუდმივი ყურადღება და ის სიხარული, რომელსაც ძუძუთი კვება დედა-შვილში იწვევს, ბავშვს საშუალებას აძლევს, ნელ-ნელა შეიცნოს დედის პიროვნება, რომელიც რუდუნებით ზრუნავს მასზე და ყველა სურვილს უსრულებს. ამ დროს ბავშვს, საერთოდ, ადამიანის მიმართ აღეძვრება იმედის, მაღლიერებისა და სიყვარულის გრძნობა. როდესაც ე.წ. «ბოთლით გამოსაკვები ბავშვის» გარშემო გამუდმებით ირევინ ადამიანები და თან ყველა მათგანს მისდამი თავისი, განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს, ამან, შესაძლოა, სულ ცოტა, გაართულოს ბავშვის განვითარების პროცესი, რადგან ამ დროს ბავშვი გარესამყაროს აღქმას სწავლობს და მას, ახალშობილის მსგავსად, ერთ კაცთანაც კი უჭირს ურთიერთობა. როდესაც შიზოიდის ჩამოყალიბების გადამწყვეტ მიზეზად ადამიანებთან ურთიერთობის ნაკლებობა ვაღიარეთ, ამაში, შესაძლოა, დედა-შვილს შორის ზემოხსენებული შინაგანი სითბოს არარსებობასაც მიუძღოდეს ბრალი.

ასეა თუ ისე, ჩვენ მიერ აღწერილ წინააღმდეგობათა დასაძლევად ბავშვი იძულებულია, გარესამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში თავი დაიცვას, ან ამ ბრძოლაში იმედგაცრუებული დარჩეს. თუ თავის გარშემო შესაფერის პარტნიორს ვერ პოულობს, ბავშვი თავის თავთან იწყებს ურთიერთობას, მაგრამ საკუთარი «მე»-სკენ გადადგმული ამ ნაბიჯით ვერ ჩაანაცვლებს სხვა ადამიანთან ურთიერთობას. თუ იგი განვითარების შემდგომ პერიოდში ვერ შეძლებს ამ მდგომარეობის გამოსწორებას, ზემოაღნიშნული გადახრების შედეგად ბავშვი ეგოცენტრიზმში გადავარდება, რაც საკუთარ თავთან დამოუკიდებლად ურთიერთობის სურვილის სახით გამოვლინდება.

ასე გამოიყურება ზოგადად გარესამყაროს ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს პიროვნების შიზოიდური თვისებების განვითარებას. აქ შეიძლება მხოლოდ დავძინოთ, რომ იმ თაობისთვის, რომლის ადრეული ბავშვობაც ომის პერიოდს დაემთხვა, ზემოაღწერილ გარესამყაროდ სწორედ ომი იქცა (დაბადებისშემდგომი პირველი მოუსვენარი კვირები, ღამის დაბომბვები, ლტოლვილობა, ოჯახთან დაშორება, დაკარგული სამშობლო და ა.შ.). შიზოიდური ნიშნები თავს ჭარბად სწორედ ამ თაობაში იჩენს. ეს ადამიანები უარს ამბობენ ოჯახურ ურთიერთობებზე, ქმნიან საკუთარ დაჯგუფებებს და აწყობენ მასობრივ შეკრებებს, რომლის დროსაც თავს ამ ღონისძიებების თანამონაწილედ მიიჩნევენ, მაგრამ იმავდროულად ანონიმურნი რჩებიან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მოპირდაპირე სქესთან ურთიერთობის აუცილებლობას ვერ ხედავენ, რაც დაკავშირებულია ე.წ. «ნინველების პრობლემასთან». აღნიშნული პრობლემა იმ დროისთვის წამოიჭრა, როდესაც ამ თაობის ბიჭებს სქესობრივი მომჭიფების პერიოდი დაუდგათ და ამ ასაკისთვის დამახასიათებელ სიძნელეთა გადალახვა მათგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა.

აქვე შეიძლება მივუთითოთ თანამედროვე ხელოვნების იმ ნიშან-თვისებაზე, რომელსაც «ცენტრის დაკარგვას» უწოდებენ. როგორც ამბობენ, იმ ორკესტრების მუსიკოსები, რომლებსაც უმთავრესად თანამედროვე მუსიკის შესრულება უხდებათ, ფურმაისტერისა და ვიზენჰიუტერის («მეტამუსიკა») ნაწარმოებების შესრულების შემდეგ თავს ხშირად შეუძლოდ გრძნობენ.

შიზოიდურ გავლენას დასავლეთის ადამიანზე მთლიანად მისი გარემოსამყაროც ახდენს, რომელიც სულ უფრო ნაკლებად უსაფრთხო ხდება. ცხოვრების კომფორტული პირობების მიუხედავად, ადამიანი მზარდი შიშით, უიმედოდ უყურებს გარესამყაროს იმ უამრავი გამღიზიანებელი ფაქტორის გამო, რომელთა თავიდან აცილება არ ძალუძს. მას გამუდმებით თან დასდევს მოსალოდნელი საშინელი ომის აჩრდილი და იმის შეგნება, რომ ადამიანს საკუთარი თავის განადგურება შეუძლია; ტექნიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწრაფი განვითარება ხიფათს უქმნის გარესამყაროს; ამის გამო ადამიანი განიცდის იმ ეგზისტენციურ შიშს, შიზოიდური სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით რომ აღვწერეთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ გრძნობას უკავშირდება ადამიანის გატაცება იოგათი და მედიტაციური ვარჯიშებით. საკუთარ შინაგან სამყაროსთან დაბრუნების აშკარა მოთხოვნისგან შეიძლება ავხსნათ ნარკოტიკების მოხმარების ფაქტიც. «ჰიპები» და სხვა მეამბოხე ახალგაზრდული ჯგუფები შეგნებულად აცხადებენ პროტესტს ტექნიკისა და ცივილიზაციის მიღწევების მიმართ, რომელთა განუყოფელ ბატონობასაც ყოველი ჩვენგანი სულ უფრო ეჭვის თვალთ უყურებს. ტექნიკა, რომელიც ბუნებაზე, დროსა და სივრცეზე გაბატონებას ცდილობს, ასევე ცხოვრების ის პირობები, რომლებშიც ჩვენი არსებობისათვის ბრძოლას ვაწარმოებთ, გადაგვარებით ემუქრება ჩვენს სულიერებას, ეს კი საფუძველს გვაძლევს, ვილაპარაკოთ დასავლეთის საზოგადოებაში მიმდინარე შიზოიდურ პროცესებზე.

ამრიგად, ადამიანის შიზოიდურ პიროვნებად ჩამოყალიბების მიზეზი ადრეულ ბავშვობაში განცდილი უსაფრთხოების დეფიციტია, რამდენადაც ის ასევე გარესამყაროს გავლენებს უკავშირდება. ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი, თუ რა გავლენას ახდენს

ბავშვზე მუცლადყოფნის პირობები, თუმცა მათი გავლენა აშკარაა. მაგალითად, შირნიმანი ზემოხსენებულ წიგნში ასაბუთებს, რომ ბავშვს დაბადებამდე გააჩნია სმენის უნარი. როდესაც ფეხმძიმე ქალი რენტგენის აპარატის ეკრანთან დააყენეს და მანქანის სიგნალიზაცია ჩართეს, ეკრანზე გამოჩნდა, როგორ შეკრთა ბავშვი ამ ხმის გაგონებაზე. დედის დამოკიდებულება ფეხმძიმობისა და ბავშვის მიმართ, შესაძლოა, გახდეს იმის მიზეზი, რომ ბავშვს დაუცველობის შეგრძნება მუცლადყოფნის პერიოდშივე გაუჩნდეს; ეს კი იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც დედა იმედიანი და სასიხარულო მოლოდინის ნაცვლად, მომავალი შვილის მიმართ რაღაც მიზეზით უარყოფითად ან სიძულვილით განეწყობა.

შიზოიდური განცდების მაგალითები

ერთი ნიჭიერი, თუმცა ძალზე უცნაური მუსიკოსი, რომელიც ადამიანებთან ურთიერთობას თავს არიდებდა, მძიმე ფინანსურ სიტუაციაში აღმოჩნდა. ცოტა ხანში მეგობარმა მას კარგად ანაზღაურებადი სამუშაო უშოვა, რომელიც სავსებით აკმაყოფილებდა მუსიკოსის მოთხოვნებს და, ბუნებრივია, მისთვის მნიშვნელოვანი დახმარება უნდა ყოფილიყო. მან ეს შემოთავაზება მიიღო, თუმცა დათქმულ დღეს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, სამსახურში არ გამოცხადდა და ეს შანსი ხელიდან გაუშვა; მერე თავის ამგვარ საქციელს იმით ხსნიდა, რომ მას ამით მეგობარმა საკუთარი უპირატესობა დაუმტკიცა და მის საცოდავ მდგომარეობას გაუსვა ხაზი. ამასთან, მუსიკოსს ეჭვიც ჰქონდა, რომ მეგობარს მის მიმართ ჰომოსექსუალური მიზნები ამოძრავებდა.

ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ მუსიკოსს მადლიერებით მიეღო კეთილგანწყობით შემოთავაზებული წინადადება, იგი შეიპყრო შიშმა, რომ ვიღაცის გავლენის ქვეშ მოექცეოდა და მადლიერების გამო მასზე დამოკიდებული გახდებოდა. ამიტომ ცდილობდა, თავი დაერწმუნებინა, თითქოს მის მეგობარს საკუთარი მიზნები ამოძრავებდა. თავისი ამ სრულიად გაუგებარი საქციელით მუსიკოსი იმ განზრახვასაც მალავდა, რომ ამ დროს მეგობარს ერთგვარ გამოცდასაც უწყობდა, რადგან ფიქრობდა: თუ მას გულწრფელად უნდა ჩემი დახმარება, მაშინიგი ამ საქციელით არ აღშფოთდება და ზურგს არ შემაქცევს. ამ შემთხვევაში შეიძლება ვირწმუნო, რომ მისთვის ნამდვილად რაღაცას წარმოვადგენ.

ეს შემთხვევა ნათლად მეტყველებს იმ ადამიანის გამოუვალ მდგომარეობაზე, რომელსაც ძალიან უჭირს ამგვარი საბედისწერო წრიდან თავის დაღწევა და ადამიანებთან ახლო ურთიერთობების დამყარება, მაგრამ, ჯერ ერთი, ვის შეუძლია ასეთი პიროვნება დაარწმუნოს, რომ მის მიმართ ნამდვილად კეთილგანწყობილია? ანდა, მეორეც, ვინ მოინდომებს, თავი იმტვიროს მის საქციელზე და ამის გამომწვევი მიზეზების გარკვევას შეეცადოს? საამისოდ ადამიანებს, საერთოდ, არა აქვთ არავითარი სურვილი.

ამ კაცის სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ ძალიან უნდოდა, ამ საქციელის მიუხედავად, მეგობარს კვლავაც გამოეჩინა მის მიმართ მზრუნველობა და არ მიეტოვებინა იგი. ახლა ამ ადამიანს ორი გამოსავალი ჰქონდა: ან უნდა შეეცვალა აზრი ადამიანებზე და მათდამი ნდობა გამოეჩინა, რისი დიდი სურვილიც ნამდვილად გააჩნდა, ანდა უფრო განემტკიცებინა შეხედულება იმის თაობაზე, რომ ადამიანები ნდობას არ იმსახურებენ. ამის შემდეგ, «სამართლიანად» დაბოლმის, კვლავაც გმირულად უნდა აეტანა სიმარტოვე, და ეცხოვრა კაცთმოძულეობის გრძნობით აღსავსეს, რაც მისთვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა. ეს მუსიკოსი ხშირად იცვლიდა ქალებს და მალევე მიატოვებდა ხოლმე მათ, რადგან ერთის ჩაცმულობა არ მოსწონდა, მეორისა – ფეხები, მესამეს განათლების დონეს უწუნებდა და ა.შ. რაციონალურად თუ შევაფასებთ, ადამიანებთან ურთიერთობის შიში ამ პიროვნებისათვის, შესაძლოა, თავდაცვის საშუალებაც ყოფილიყო, რადგან ფიქრობდა, რომ ერთხელაც ვინმეს შეუყვარდებოდა და იმ საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა, რომელსაც «სიყვარული» ჰქვია. მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, რომ იგი უკანონო შვილი იყო და პატარაობიდანვე ხან ერთ, ხან კი მეორე ნათესავთან იზრდებოდა; შესაბამისად – ყველასათვის ზედმეტი ბარგი იყო.

მსგავს პიროვნულ სტრუქტურას შემდეგი მაგალითიც წარმოაჩენს:

მავან შუახნის კაცს საშინლად ტანჯავდა ის გარემოება, რომ საზოგადოებისაგან გარიყული იყო. იგი თავს ყველგან ზედმეტად გრძნობდა და ეჩვენებოდა, რომ ადამიანები გაურბოდნენ და თანაც დამცინავი და კრიტიკული თვალით უყურებდნენ. რაკი კაცს ეს გრძნობა გამუდმებით თან სდევდა, იგი ნელ-ნელა კარგავდა საკუთარი თავისადმი რწმენას,

სულ იმის შიშში იყო, რომ მის კარიერას საფრთხე ემუქრებოდა და მალე დაენგრეოდა კიდეც. მისი აზრით, იგი ყველგან «უცხო სხეული» და ყველას მიერ «უალრესად მძიმე ტიპად» შერაცხული ადამიანი იყო. ამიტომაც ახლა, როდესაც ეს პიროვნება, მისი რეაქციებიდან გამომდინარე, ასეთ საბედისწერო წრებრუნვაში ჩაერთო, მასთან ურთიერთობა, მართლაც, სულ უფრო შეუძლებელი ხდებოდა. იგი სრულიად უმიზეზოდ, მოულოდნელად უხეშად, დამამცირებელი ირონიულობით მიმართავდა თავის უფროსს და ასევე უმიზეზოდ «შეახურებდა» ხოლმე კოლეგებს. ეს კაცი ჩაცმულობითა და ცხოვრების წესითაც ისე გამოირჩეოდა სხვებისაგან, რომ გარშემომყოფნი ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორს დაეჭირათ მისგან თავი. საზოგადოებისაგან გარიყული და მარტოსული ცხოვრების გამო, ეს პიროვნება გარესამყაროზე მხოლოდ საკუთარი აზრებისა და გრძნობების პროექტირებას როდი ახდენდა; როგორც ეს სისტემატურად ურთიერთმონაცვლე პროცესებს ახასიათებს, გარესამყაროს მხრიდანაც ხდებოდა მასში ბევრი მოვლენის პროექტირება. ადამიანი ხომ ყოველთვის ავლენს მიდრეკილებას, საკუთარ თავზე გადმოიტანოს ყველაფერი მისთვის უცხო, უჩვეულო, მტრული, არაინტეგრირებული და ქვეცნობიერად მათზე მოახდინოს საკუთარი სულიერი პრობლემების პროექტირება. ასე ნელ-ნელა გადაიქცა ეს კაცი «თეთრ ყვავად» თუ «განტევეების ვაცად» იმ საზოგადოებისთვის, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა. ვინაიდან მას, როგორც ადამიანს, სინამდვილეში ცუდად იცნობდნენ, კოლეგებს მასთან ურთიერთობა არ სიამოვნებდათ და არც არასოდეს უცდიათ, გაერკვიათ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მათი ესოდენ უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი. მერე ამ პიროვნებაზე ხმები დაირხა – «ეტყობა, ცოტათი აფრენსო». შესაძლოა, ამ დროს მისი სექსუალური მიდრეკილებები, პოლიტიკური არასაიმედოობა ან კიდეც სხვა რამ ჰქონდათ მხედველობაში. ერთი რამ კი ცხადი იყო: ახლა მას ყველა ეჭვის თვალით უყურებდა, თუმცა არავინ იცოდა, რა იყო ამის მიზეზი, და თავშიაზრად არავის მოსდიოდა, რომ საკუთარი გაუაზრებელი პრობლემების პროექტირებას მასზე ახდენდნენ. ამასთან, ამ ადამიანისთვის ამის შესახებ არავის არასოდეს არაფერი უთქვამს; იგი მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ ყველა გაურბოდა მასთან სიახლოვეს, დროდადრო ჩაიჭერდა ხოლმე კოლეგების მზერას და ხედავდა, როგორ ანიშნებდნენ ერთმანეთს მასზე რაღაცას, რაზეც თავად წარმოდგენა არ ჰქონდა. მოკლედ, ასე შეიქმნა ორმხრივი ჩახლართული სიტუაცია და შეიკრა ისეთი «ემშაკის წრე», საიდანაც გამოსვლას ვეღარავინ ახერხებდა.

ახლა კი მინდა უფრო ვრცლად აღვწერო ამ ადამიანის ცხოვრებისეული სივრცე, რათა ვაჩვენო, როგორ გაიღვა მასში ფესვები შიზოიდიამ, რა სიძნელეები ჰქონდა ადამიანებთან კონტაქტისას, თუმცა ვერ ხედავდა, რომ ამ სიძნელეებს, პირველ ყოვლისა, თავად ქმნიდა და მათ ამავე დროს რაღაც შეუცნობელ, ფატალურ მოვლენად მიიჩნევდა.

ეს ადამიანი უჩვეულო ოჯახურ გარემოში იზრდებოდა. მამამისი მწერალი იყო, მოგზაურობებზე წერდა და ერთადერთი შვილის ბავშვობის პერიოდში ცნობილ მწერლად ითვლებოდა. იმხანად მას ბევრი ფული ჰქონდა, ხშირად აწყობდა ხმაურიან ქეიფებსა და განცხრომით ცხოვრობდა. დედას მხოლოდ ფუფუნებაში ცხოვრება და საზოგადოებაში ყოფნა აინტერესებდა და შვილისთვის არ ეცალა, უფრო სწორად, მისდამი ინტერესსა და სიყვარულს ნაკლებად ავლენდა. ამიტომ ბიჭის აღზრდა პატარაობიდანვე მოსამსახურე გოგოს მიანდეს, რომელიც მოგვიანებით, ასევე ადრეულ ასაკში, შავკანიანმა მსახურმა შეცვალა. როგორც ეს ბავშვი მერე იხსენებდა, ორივე მათგანი მას თურმე ძალიან კარგად და კეთილად ეპყრობოდა.

ბიჭი რომ 5 წლისა გახდა, მშობლები გაიყარნენ, თუმცა მათი ქორწინება არც მანამდე გამოირჩეოდა დიდი სიამტკბილობით. ცოლ-ქმარს ხშირად ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა სხვა პარტნიორებთან, რადგან ამგვარ საქციელს ორივე თანამედროვე, თავისუფალი ცხოვრების წესად მიიჩნევდა. განქორწინების შემდეგ ბავშვი საცხოვრებლად მამასთან დარჩა, რომელმაც შვილს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, აცნობა, რომ დედა «დიდი ხნით სადღაც წავიდა». ბატონმა იქსმა, თურმე, ძალიან დიდი ხნის შემდეგ გაიგო, რომ დედამისს, განქორწინების შემდეგ, დაახლოებით ორი წელი ფსიქიატრიულ

კლინიკაში გაეტარებინა; ეს გვადლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ქალი ფსიქიურად მთლად ჯანმრთელი არც მანამდე იყო. ამის შემდეგ მამამ მეორე ცოლად ბიჭის დეიდა შეირთო. დედინაცვალს, თურმე, სძულდა თავისი და, რადგან მას ოჯახში გამორჩევით ანებივრებდნენ. მოგვიანებით, როცა ბიჭი 15 წლისა იყო, ქალმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, რის შემდეგაც მამამ მესამე ცოლი მოიყვანა.

აი, ასეთ გარემოში იზრდებოდა ბატონი იქსი, სადაც თავს ყოველთვის ზედმეტად გრძნობდა. რადგან მასზე არავინ ზრუნავდა. ბიჭს ადრეულ ასაკშივე ეგონა, რომ თავისი არსებობით ყველას ხელს უშლიდა, ყველასთვის არასასურველი იყო. მას ამ შეგრძნებას ისიც უძლიერებდა, რომ მისი მშობლიური სახლი ქალაქის გარეუბანში, ამაღლებულ ადგილას, განმარტოებით იდგა და ბიჭს თანატოლებთან თამაშის შესაძლებლობა არა ჰქონდა. ეგოისტი მამა ხშირად სვამდა და უცნაური ცხოვრებით ცხოვრობდა: ღამით მუშაობდა, რადგან ამ დროს მას ხელს არავინ უშლიდა, დღისით კი ეძინა, დროგამოშვებით კვირების განმავლობაში მოგზაურობდა, ასე რომ შვილი მას იშვიათად ხედავდა. ამასთან, მამა, საერთოდ, აგდებულად უყურებდა და დასცინოდა საზოგადოებრივ წესრიგს, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ყველაფერი გონებაჩლუნგი ადამიანების გამონაგონი სისულელე იყო.

ბიჭს სკოლის ასაკი რომ დაუდგა, სკოლაში არ შეიყვანეს და სახლში კერძო მასწავლებლები დაუდიოდნენ, რომლებიც ხშირად იცვლებოდნენ. 10 წლის ბავშვს მოგვიანებით სკოლაში სიარული რომ დააწყებინეს, პირველად სწორედ მამინ გაუჩნდა ადამიანებთან ურთიერთობის პრობლემა, რის გამოც ზემოაღნიშნული ფაქტი გაკვირვებას აღარ იწვევს. რაკი ბავშვს თანატოლებთან ურთიერთობისა და მათ საზოგადოებაში ყოფნის არავითარი გამოცდილება არა ჰქონდა, შეეცადა, სკოლაში საკუთარ თავზე გარკვეული როლი მოერგო, რომლის მიღმაც თავის ნამდვილ სახეს დამალავდა. მანამდე კი კლასში მოხდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ბიჭმა უნებური საქციელით ამხანაგებში სიცილი გამოიწვია და მათი კეთილგანწყობა დაიმსახურა. მერე იგი ნელ-ნელა «კლასის ტაკიმასხარად» გადაიქცა და ამიერიდან ამხანაგების გულის მოგებას იმით ცდილობდა, რომ ყველაფერზე მასხრობდა, მასწავლებლებს საქციელში და ლაპარაკში ბაძავდა, არაფრად აგდებდა გაფრთხილებას და დასჯას, აცდენდა გაკვეთილებს. მამა, მისი განწყობილებიდან გამომდინარე, შვილს არ ტუქსავდა და მის საქციელს, გარკვეულწილად, იწონებდა კიდევ, რადგან მისი ვაჟიც მასავით იყო განწყობილი საზოგადოებრივი წესრიგის მიმართ.

ბიჭი კი, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ ახერხებდა თანატოლებთან ურთიერთობას. მართალია, მას კლასში სასაცილო და მხიარული მოსწავლის სახელი ჰქონდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, თანატოლებისაგან მაინც გარიყულად გრძნობდა თავს; ნიჭისა და გონიერების წყალობით, მათი გარკვეული პატივისცემა კი მოიპოვა, მაგრამ ვერც ერთი მეგობარი შეიძინა.

თორმეტი წლის ასაკში ბიჭის ცხოვრებაში დაიწყო ის, რასაც მოგვიანებით «დიდ ავადმყოფობას» უწოდებდა. რაკი გამხდარი, აწოწილი და ფერმკრთალი იყო და ამის გამო ავადმყოფური შესახედაობა ჰქონდა, დედინაცვალმა მას ყოველგვარი სპორტი და ვარჯიში აუკრძალა. ამის მიზეზად კი ქალი იმას ასახელებდა, რომ ბიჭმა «ტანი ძალიან სწრაფად აიყარა და მისი ფილტვები ასეთ დატვირთვას ვერ გაუძლებდა». ამის შედეგი კი ის იყო, რომ ბიჭი ფიზიკურად ვერ განვითარდა, შეფერხებული და მოუქნელი მიხრა-მოხრა ჰქონდა და, ვინაიდან ამ ნაკლს თავადაც კარგად გრძნობდა, ეს კიდევ უფრო ურთულეობდა თანატოლებთან ურთიერთობას, არ აძლევდა საშუალებას, ჯანსაღი მეტოქეობა გაეწია მათთვის.

დედინაცვალი გერის მიმართ სიძულვილს გადამეტებული მზრუნველობით ნიღბავდა და მას გამუდმებით ექიმებთან დაატარებდა. ბიჭი იძულებული იყო, მთელი დღეები ლოგინში გაეტარებინა, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად არაფერს უჩიოდა. ბოლოს

ერთმა ექიმმა მას ფარული ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვა, რის შემდეგაც ბიჭი ორ წელზე მეტხანს ლოგინიდან არ ამდგარა და ოთახიდან არ გამოსულა. ამ პერიოდში მან მამის ბიბლიოთეკის თითქმის ყველა წიგნის წაკითხვა მოასწრო. ერთხელ, სამკურნალო სეანსის დროს, მან ზუსტად შეაფასა საკუთარი თავი, როდესაც თქვა: «მე ემოციურად თავს ათი წლით უფრო ახალგაზრდულად ვგრძნობ, ვიდრე ინტელექტუალურად». ეს ტიპური შიზოიდური ადამიანის სიტყვები იყო. მერე თავისთავზე ასეთი მოსაზრებაც გამოთქვა – «არ ვიცი, ჰომოსექსუალი ვარ თუ ჰეტეროსექსუალი», რითაც საკუთარი სექსუალური ორიენტაცია ეჭვქვეშ დააყენა.

თოთხმეტი წლის ასაკში ბიჭი ისევ მიიყვანეს სკოლაში, მაგრამ, ადამიანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ეს მეორე მცდელობაც წარუმატებელი აღმოჩნდა; იზოლაციაში გატარებული ორი წელი სწორედ მისი სქესობრივი მომწიფების პერიოდს დაემთხვა, როცა თანატოლებთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა. ყოველგვარი პარტნიორების გარეშე, მხოლოდ საკუთარი ფანტაზიების ამარა დარჩენილი ბიჭი, იძულებული იყო, ემოციების სამყაროში ეპოვა თავშესაფარი, რის გამოც ადამიანებთან კიდევ უფრო მეტი სიძნელები შეექმნა. თანატოლები მას სკოლაში ისევ «უცხო სხეულად» აღიქვამდნენ, რადგან ის ახალბედისავით მივიდა კლასში, მისი თანატოლები კი უკვე წლების მანძილზე მეგობრობდნენ ერთმანეთთან.

თხუთმეტი წლის ყმაწვილი იყო, როცა ერთ-ერთი ტესტირების დროს კითხვაზე – რა პროფესიას აირჩევდითო, ბიჭმა უპასუხა: «მინდა პროფესიონალი მწეველი გამოვიდე». მაშინ მისმა ამ «უკბილო» ხუმრობამ აღშფოთება გამოიწვია და ვერავინ მიხვდა, რომ ეს პასუხი ბიჭის გაჭირვებისა და უმწიფობის მაუწყებელი განგაშის ნიშანი იყო. უნივერსიტეტში სწავლისას იგი მისთვის სრულიად მიუღებელ სტუდენტურ წრეში შევიდა; ეს მისი ახალი მცდელობა იყო, რათა თანატოლებში გარეულიყო და «კაცად» ეგრძნო თავი. მოგვიანებით იგი ჯარშიც ამავე მიზეზით წავიდა, მაგრამ იქაც უცნაური ადამიანის სახელი გაუვარდა და თავისი უგერგილო ქცევებით ჯარისკაცებს შორის მხოლოდ კეთილგანწყობილ დაცინვას იმსახურებდა.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ უნივერსიტეტში სწავლა განაგრძო; სწავლობდა ისტორიას, ენებს და ლიტერატურას. მერე მასწავლებლად დაიწყო მუშაობა და მაგარი პროფესიონალის, თუმცა «უცნაური მარტოსულის» სახელი დაიმკვიდრა, რომელსაც, წიგნების გარდა, ამქვეყნად არაფერი აინტერესებდა. მოსწავლეები აფასებდნენ მას, მაგრამ იმავდროულად მის სუსტ მხარეებსაც ხედავდნენ. 24 წლის ასაკში ცოლი შეირთო, თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ «ცოლი შერთეს». მალე ახალგაზრდა ქალმა ჩივილი დაიწყო, რომ მის ქმარს ცოლზე მეტად წიგნები და სწავლა აინტერესებდა. ახალგაზრდა კაცისთვის ეს სრულად გაუგებარი იყო, რადგან მიაჩნდა, რომ ცოლს მზრუნველობას არ აკლებდა; მერე მის მიმართ თავადაც იმედგაცრუება იგრძნო იმის გამო, რომ ქალს ქმრის სულიერი სამყარო სრულიად არ აინტერესებდა. ამის შემდეგ ცოლ-ქმარი აღარ ერიდებოდა ერთმანეთის ღალატს. მალე ქმარში ჰომოსექსუალურმა მიდრეკილებამ იჩინა თავი, რაც შემდეგ მძიმე თვითბრალდებისა და დევნის მანიად გადაექცა; იგი იძულებული გახდა, ბოლოს და ბოლოს, ფსიქოთერაპევტისთვის მიემართა.

ჩვენ მიერ აღწერილი ბიოგრაფია შიზოიდური განვითარების ზოგიერთ ტიპურ ნიშანს წარმოაჩენს. ამ დროს ადამიანი მოწყვეტილია რეალობას; იგი ბავშვობაშივე გრძნობს გულგრილობას, არასაკმარის მზრუნველობას იმ ადამიანთან მხრიდან, რომელთა გარემოცვაშიც იმყოფება; ბავშვს არ ეფერებიან და მის სურვილებს ანგარიშს არ უწევენ, მოგვიანებით კი, განვითარების მნიშვნელოვან პერიოდებში, საერთოდ ხელს იღებენ მის აღზრდაზე და საკუთარი თავის ამარა ტოვებენ. ბავშვს იშვიათად ეძლევა თანატოლებთან ყოფნისა და მათთვის საკუთარი გრძნობებისა თუ განცდების გაზიარების შესაძლებლობა, რის გამოც მოკლებულია საშუალებას, განივითაროს ემოციების სფერო და ადამიანების

მიმართ ნდობის უნარი. ამის შედეგი კი ისაა, რომ შიზოიდური პიროვნება ვეღარ იღებს პრაქტიკული ცხოვრების გამოცდილებას, გულჩათხრობილი ხდება და საკუთარ თავში იკეტება. ამრიგად, ყველა პირობა იქმნება საიმისოდ, რომ «წარმატებით» მოირგოს «გარიყული ადამიანის» ნილაბი.

ბუნებრივია, ამის საფუძველზე შიზოიდურ პიროვნებას უვითარდება შიშის უმთავრესი ფორმა; ეს არის ერთგულებისა და ადამიანებთან ახლო ურთიერთობის შიში, რაც მისთვის თვითგადარჩენისა და დამოუკიდებელი არსებობის ერთადერთ იმპულსს წარმოადგენს; შიზოიდი ამ დროს ცდილობს, საკუთარ გასაჭირს ზნეობრიობის მნიშვნელობა მიანიჭოს, ხოლო სიმარტოვე გარკვეულ ღირებულებად წარმოადგინოს. მომავალში ეს იმპულსი, შესაძლოა, უკიდურესი ნარცისიზმის, მტრული სიმულვილის, ცინიზმისა და ნიჰილიზმის უკიდურესი ფორმით გამოვლინდეს, თუმცა ამ გრძნობების მიღმა შიზოიდური პიროვნება შიშით მალავს ადამიანებთან სიახლოვის, ნდობისა და ურთიერთსიყვარულის მწველ სურვილს. არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ეს ყველაფერი ასოციალური და კრიმინალური ქმედების სახეს მიიღებს, რისთვისაც ხანდახან სულ მცირე გამღიზიანებელიც კმარა. თავდაპირველ უნდობლობას, შემდეგ საზოგადოებისგან განდგომას, გულგრილობასა და, ბოლოს, ადამიანისადმი სიმულვილის განცდას შიზოიდური პიროვნება (გარესამყაროდან მიღებული გამოცდილების წყალობით) ზემოაღწერილ «მოჯადოებულ წრესთან» მიჰყავს. შიზოიდური პაციენტები ხშირად ცდილობენ, რაციონალურად ახსნან ის ფაქტი, რომ მათ ადამიანებთან ურთიერთობისას ემოციები არ გააჩნიათ. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ერთ-ერთი პაციენტის სიტყვები: «ყოველთვის მგონია, რომ იქ, სადაც სხვები გრძნობებით რეაგირებენ, ჩემში აზროვნების ძალიან სწრაფი გახლეჩა ხდება». ეს სიტყვები ზუსტად აღწერს იმ მდგომარეობას, რომლის დროსაც შიზოიდურ პიროვნებაში ადამიანების მიმართ მისთვის უჩვეულო ემოციურობის ჩანაცვლება ფხიზელი გონებით, რადარისებრი მგრძნობელობითა და აზროვნების პროცესების «გახლეჩით» ხდება. ის სიმნელეები და კონფლიქტები, რომელთა დამლევასაც შიზოიდური პიროვნებები ვერ ახერხებენ, შემდგომში სომატური სიმპტომების სახით გამოვლინდება. მათი პრობლემებიდან გამომდინარე, საქმე, უპირველეს ყოვლისა, გრძნობათა იმ ორგანოებს ეხება, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობს ადამიანებს შორის კონტაქტის დროს. ეს არის კანი და სუნთქვა. ასთმური ჩივილები და ეგზემები ხანდახან ადრეულ ასაკში იჩენს თავს; კანი კი ის ორგანოა, რომელიც გარესამყაროსთან გვაკავშირებს, მაგრამ იმავდროულად მასთან შეხებასაც გვაგრძნობინებს. უმთავრესად სწორედ კანზე აისახება ის გართულებები, რომლებიც შიზოიდურ პიროვნებებს ექმნებათ ადამიანებთან ურთიერთობის დროს. ესენია: სისხლჩაქცევები, ფსორიაზი, ოფლიანობა და ა.შ.

დამატებითი მოსაზრებები

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შიზოიდურ, «გახლეჩილ» ადამიანში მის ემოციურ შთაბეჭდილებებს, ინსტინქტებსა და რეაქციებს შორის ურთიერთკავშირი, გარკვეულწილად, დარღვეულია. პირველ რიგში, ემოციების სფეროდან მისი ვიტალური იმპულსების იზოლაცია და მათი გახლეჩა ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შიზოიდური ადამიანი ვერ ახერხებს განსხვავებული განცდებისა და პიროვნული შრეების ინტეგრაციას ერთ მთლიან ემოციად. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მოწიფულობის ის განსხვავებული ხარისხი, რომელიც არსებობს შიზოიდის გონებასა და გრძნობას, რაციონალურობასა და ემოციურობას შორის; ემოციური პროცესები და გონებრივი გამოცდილება თითქოს მოწყვეტილია ერთმანეთისაგან და მათი შერწყმა ერთიან განცდად არ ხდება. შიზოიდური პიროვნება სამყაროში ორიენტაციას ადრეული ასაკიდან გონებისა და გრძნობის ორგანოებით აღქმის საშუალებით ახდენდა, მაგრამ მან ვერ შეძლო, ვერ ისწავლა საკუთარი ემოციების მართვა; ამიტომ მისთვის უცნობია გრძნობებისა და განცდების ყოველგვარი სხვა გამოვლინება, რადგან იგი მხოლოდ მათი გამოხატვის წანამძღვრებს – აფექტებს იცნობს. შთაბეჭდილება რჩება, რომ შიზოიდური პიროვნების ემოციურ პალიტრაზე, შავ-თეთრის გარდა, სხვა ფერები არ არსებობს.

ადამიანებთან სიახლოვის შიში რომ აიცილოს თავიდან, შიზოიდური პიროვნება ცდილობს, რაც შეიძლება, მეტ დამოუკიდებლობას მიაღწიოს. ავტარკიისადმი სწრაფვისა და ადამიანთაგან თავის დაღწევის ამგვარი მცდელობები ნიშნავს საკუთარი თავის გარშემო დამცავი წრის შემოვლებას და უპირობოდ უკავშირდება მის მზარდ ეგოცენტრულობას, რომლის გამოც იგი სულ უფრო მეტად ექცევა იზოლაციაში. სავსებით გასაგებია, რომ ასეთი ადამიანები შიშს განიცდიან, რადგან ამას მარტოობა და იზოლაცია უწყობს ხელს. შიზოიდურ პიროვნებას აუტანელი შიში, უპირველეს ყოვლისა, იმის გაფიქრებაზე იპყრობს, რომ შეიძლება ჭკუიდან შეიშალოს. ამ შიშში აირეკლება ასევე განცდა იმისა, რომ ის «სხვებისაგან განსხვავებული» და დაუცველია ამქვეყნად. ერთ-ერთმა ასეთმა პაციენტმა ერთხელ თქვა: «ჩემთვის ერთადერთ რეალობას შიში წარმოადგენს». დამახასიათებელია, რომ იგი თავის ამ განცდას აღწერდა არა როგორც შიშს რაიმე განსაზღვრულისა და კონკრეტულის წინაშე; ამით მას იმის თქმა უნდოდა, რომ მთლიანად შიშის ტყვეობაში იმყოფებოდა. მეორე პაციენტმა განაცხადა: «მე არ ვიცი, რა არის შიში; ჩემში, ალბათ, არის რაღაც შიშისმაგვარი, მაგრამ ეს შიში არაა ჩემს «მე»-ში. «ეს პაციენტი» სრულ დისტანცირებას ახდენდა საკუთარი შიშისაგან და ასეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ეს შიში მის ცნობიერებაში, საერთოდ, აღარ არსებობდა. მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რა არამყარი და ცვალებადია შიზოიდის ამგვარი მდგომარეობა და რა ადვილად შეიძლება წალეკოს დაუძლეველმა შიშმა ადამიანის «მე».

შიშის ვინმესთვის გაზიარება შიზოიდს უმსუბუქებს მდგომარეობას, მაგრამ არასოდეს ჰყოფნის საამისო გამბედაობა, რადგან ეშინია, რომ ამით საკუთარ თავს ვინმეს ჩაუგდება ხელში; შესაძლოა, იგი გიჟადაც შერაცხონ, თუ თავის უმწეობასა და სისუსტეს მთლიანად გამოავლენს. ამ დროს შიში, შეიძლება, ისე გაძლიერდეს, რომ მისი ატანა შეუძლებელი გახდეს. იგი მთელი ძალით ამოხეთქავს, გამოიწვევს ფსიქოზს და ეს შიშისაგან თავდახსნის უკანასკნელი, სასოწარკვეთილი მცდელობა იქნება. შიზოიდი ადამიანი «კარგავს ჭკუას» და, თავის გადარჩენის მიზნით, ირეალურ სამყაროში ეძებს ხსნას, სადაც თავს ნორმალურად გრძნობს; გარესამყარო მას ამ დროს სწეული ეჩვენება, რაც, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, მართალიც იყოს.

ამრიგად, შიზოიდურ პიროვნებას საკუთარი შიში გარესამყაროს ობიექტებზე გადააქვს, როდესაც მათი დაძლევა და თავიდან მოშორება ადვილად შეუძლია; მაგრამ შინაგან შიშს ადამიანი მაინც ვერსად გაექცევა.

მზარდ აუტიზმთან ერთად, შიზოიდური ადამიანი თანდათან კარგავს ინტერესს გარესამყაროსა და ადამიანების მიმართ. ამას «ობიექტის დაკარგვის» პროცესს უწოდებენ, თავად შიზოიდური პიროვნება კი მას «სამყაროს დაღუპვის» განცდას აღარებს. როდესაც ადამიანს გარესამყაროში ემოციური თანამონაწილეობა აღარ აინტერესებს და საკუთარ

თავში იკეტება, მისთვის ეს სამყარო «ილუპება», პარტახდება, არარაობად იქცევა და ნადგურდება. მსგავს ცხოვრებისეულ განცდებს ხშირად შიზოიდურ პიროვნებათა სიზმრებიც გამოხატავს, მაგალითად:

«ვზივარ უზარმაზარ დისკზე, რომელიც ეშმაკის ბორბალს ჰგავს; ის უფრო და უფრო სწრაფად ტრიალებს; თავს ძლივს ვიკავებ, რომ მისი კიდისაკენ არ გადავქანდე, თუმცა ნელ-ნელა ვუახლოვდები მას და შეიძლება ყოველ წამს სიცარიელეში გადავეშვა».

ან კიდევ ერთი მაგალითი:

«თვალუწვდენელ ქვიშის უდაბნოში დგას ციხე-სიმაგრე, რომელსაც ბეტონის კედლებში რამდენიმე სათვალთვალო ჭუჭრუტანა აქვს ჩატანებული; ციხე-სიმაგრეში დიდძალი იარაღი და რამდენიმე წლის სურსათის მარაგი ინახება. მე აქ მარტოდმარტო ვცხოვრობ».

ალბათ, ძნელია, ამაზე უფრო ზუსტად აღწერო იმ ადამიანის განცდა, რომელიც სიმარტოვის, ადამიანებისაგან განდგომის, შიშისაგან თავდაცვის და ავტარკიის სურვილითაა შეპყრობილი.

«თოვლით დაფარული უკაცრიელი ლანდშაფტი; უკან რამდენიმე მოღრეცილი ხე მოჩანს. თოვლზე თბილი წყლით სავსე პატარა აბაზანა დგას; საშინელ სიმარტოვეს ვგრძნობ».

ეს სიზმარი ნახა ერთმა ახალგაზრდამ, რომელმაც შემდეგ თავისი ცხოვრებაც გაიხსენა:

ის ნაბოლარა შვილი იყო, რომელიც პირველი მსოფლიო ომიდან მამის დაბრუნების შემდეგ დაიბადა. იმის გამო, რომ მამას თავში ჰქონდა მიღებული ჭრილობა, ადვილად ღიზიანდებოდა და ხშირად ბობოქრობდა. რა თქმა უნდა, მას აღარ შეეძლო კარ-მიდამოს მოვლა-პატრონობა. დედა მას მზრუნველობას არ აკლებდა, მერე მან კარ-მიდამოს მოვლაც საკუთარ თავზე აიღო და შვილის აღზრდას ძალიან ცოტა დროს უთმობდა. ყმაწვილის სიზმარი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მას სწორედ ის სითბო აკლდა, თბილი წყლით სავსე აბაზანა რომ განასახიერებდა. ბიჭი მარტოსული იყო; ამიტომ დაახლოებით 12 წლის ასაკში შეეცადა, რამენაირად შეეგრძნო დედის სიახლოვე და ასეთი რამ მოიფიქრა: საღამოობით, როდესაც იგი უკვე ლოგინში იწვა, დედა, ჩვეულებისამებრ, ფორტეპიანოს მიუჯდებოდა ხოლმე და უკრავდა. ბიჭმა მოიფიქრა და ერთ-ერთ კლავიშს მავთულით ნათურიანი ბატარეა მიაბა, რომელიც შემდეგ თავის საწოლზე მიამაგრა. ყოველ ჯერზე, როგორც კი დედა ამ კლავიშს შეეხებოდა, ნათურა ინთებოდა.

მსგავსი ფსიქოდინამიური მოვლენები ხშირად ხდება ხოლმე ტექნიკური გამოგონების მიზეზი, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ქვეცნობიერად ცდილობენ, შეივსონ ბავშვობისდროინდელი განცდების ხარვეზი. აღწერილი შემთხვევა ნორმალური ადამიანური ურთიერთობის დაუცხრომელ სურვილს გამოხატავს.

შეუძლებელია «შიზოიდურ სამყაროში ყოფნის» იმაზე უფრო ზუსტად აღწერა, ვიდრე ამას მსგავსი სიზმრები წარმოგვიდგენს. როგორც ჩანს, ამგვარი განწყობა უცხო არ იყო მაქსიმ გორკისათვის, რომელსაც ძალიან მძიმე ბავშვობა ჰქონდა და ლუკმა-პურის საშოვნელად ადრე დაიწყო მოხეტიალე ცხოვრება. ერთხელ, ტოლსტოისთან სტუმრობისას, გორკიმ მას თავისი სიზმარი უამბო: რუსული ზამთრის თვალუწვდენელ ტრამალზე მან დაინახა, როგორ მოემართებოდნენ თოვლზე მისკენ ცარიელი ჩექმები, მხოლოდ ჩექმები. ალბათ, ძნელია სიმარტოვის ამაზე უფრო მოკლედ და სხარტად აღწერა.

როდესაც ადამიანი სამყაროს განუდგება და საკუთარ თავში იკეტება, მას ეს სამყარო ფეხქვეშ ეცლება და იპყრობს საშინელი შიში, რომელიც აბსოლუტურ «სიცარიელეში ვარდნის» ან «ეშმაკის ბორბალზე ტრიალის» დროს განცდილ შიშს წააგავს. შიშზე წარმოდგენები და სიზმრები შიზოიდურ ადამიანებს ხშირად აპოკალიფსური, სამყაროსეული კატასტროფების სახით ევლინებათ. ვინც ცდილობს, საკუთარ თავს, რაც შეიძლება, მაგრად ჩაეჭიდოს, მას ემუქრება საფრთხე – სამყარო ფეხქვეშ გამოეცალოს და საბოლოოდ წილად მარტოსული ცხოვრება ერგოს.

კიდევ რამდენიმე მაგალითით აღვწერთ იმ შედეგებს, რაც ადამიანებთან სიახლოვის შიშს და «საკუთარი ღერძის გარშემო» ზღვარგადასულ ბრუნვას მოჰყვება ხოლმე. ამ შიშის შედეგად გაჩენილი იჭვნეული სიფრთხილე შიზოიდურ პიროვნებას იმით ემუქრება, რომ ის საკუთარ თავთან მიმართებაში სულ უფრო ავადმყოფურ სახეს მიიღებს. ასეთი ადამიანები გრძნობენ, როგორც ხალხში ამბობენ, «მიწის ქვეშ რა ხდება» ან «ბალახი რას

ჩურჩულებს». ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ყველგან და ყველაფერში რაღაც საფრთხეს ხედავენ და მათში თვით ყველაზე უწყინარი შენიშვნაც კი შემაშფოთებელ ეჭვებს იწვევს.

ერთხელ ჩემს პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა მქონდა: მისაღებ ოთახში ერთ-ერთ სურათს კედელზე ადგილი შევუცვალე. შიზოიდმა პაციენტმა ეს მაშინვე საკუთარ თავთან დააკავშირა და იფიქრა, თითქოს ამით მასზე ტესტის ჩატარება დავაპირე, რათა გამეგო, ამ ცვლილებაზე რა რეაქცია ექნებოდა.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ შიზოიდურ ადამიანებს თითქმის პარანოიდული განცდები აქვთ საკუთარ თავთან მიმართებაში; ამასთან, გამახვილებული ემოციური სიფრთხილით გამოირჩევიან და გარესამყაროში მომხდარ ისეთ ცვლილებებსაც კი ამჩნევენ, რასაც ნორმალური ადამიანი, საერთოდ, ყურადღებას არ აქცევს. სამყაროსთან მიმართებაში შიზოიდური პიროვნებები თითქმის ყოველთვის საკუთარი, გამახვილებული ემოციებით ხელმძღვანელობენ.

იყო სხვა შემთხვევაც, როდესაც ფსიქოთერაპიული სეანსის დროს ტელეფონმა რამდენჯერმე დარეკა. იმავე პაციენტმა იფიქრა, რომ მე სპეციალურად ვარეკინებდი ვიღაცას, რათა გამეგო, რა რეაქცია ექნებოდა მას ასეთ დისკომფორტზე.

ამრიგად, შიზოიდი ადამიანი გარესამყაროში მომხდარ თითქმის ყველა მოვლენას საკუთარ თავს უკავშირებს, რაც აზრადაც არ მოუვა ადამიანს, რომელსაც ადამიანებთან მეტი კონტაქტი და ურთიერთობა აქვს. ამ დროს შიზოიდურ პიროვნებას ნელ-ნელა შეიპყრობს ადამიანებთან ურთიერთობის ავადმყოფური შიში და ისეთი მანიაკალური წარმოსახვა, რომელიც, შესაძლოა, «შეშლილობის» მთელ სისტემად ჩამოყალიბდეს, შემდგომ კი მისი კორექცია ვეღარ მოხერხდეს. შიზოიდი პიროვნებისთვის გარესამყაროში აღარ არსებობს აღარავინ და აღარაფერი, რაც იდუმალად თავად მასთან არ არის დაკავშირებული და რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ეძლევა; მერე კი ეს თავის დასაბუთებას მოითხოვს.

ამ მდგომარეობას შიზოიდი ძალიან მტანჯველად და შემაშფოთებლად განიცდის, რადგან ამ დროს კარგავს არა მხოლოდ ყოველგვარ უშუალოებას, არამედ თითქმის ყოველთვის მზად არის, მოულოდნელობებისა და ვითარსი საფრთხეებისაგან თავის დასაცავად. შიზოიდი ადამიანი ძალიან ხშირად გამოყოფს ხოლმე თავის საცეცებს გარესამყაროსკენ და, თუ ვინმე მიუახლოვდება, მაშინვე სასწრაფოდ შემაღავს.

ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც თავის პროფესიაში ხელი მოეცარა და საქმეში მერეც არ სწყალობდა ბედი, გიჟურად აიკვიატა, რომ უიღბლო იყო. მას სურდა, სოციალურად წარმატებული ყოფილიყო, მაგრამ საკუთარი თავისადმი რწმენა დაკარგული ჰქონდა და ამ საკითხში ოჯახის წევრებისგანაც ვერ გრძნობდა მხარდაჭერას. ოჯახში ფიქრობდნენ, რომ მას მხოლოდ აკვიატებული სურვილი ამოდრავებდა, სხვებზე «უკეთესი» გამოჩენილიყო და «დიდ სიმაღლეებს» შესწვდომოდა. მათი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, თუ ყმაწვილი მამის კვალს გაჰყვებოდა და საკუთარ ადგილ-მამულს უპატრონებდა იმ პრინციპით, რომ პური ხაბაზმა უნდა გამოაცხოს, ანუ ყველამ თავისი საქმე აკეთოს! ახალგაზრდა კაცი კი დიდად პატივმოყვარე იყო და ყოველნაირად ცდილობდა, ახლობლებისთვის დაემტკიცებინა, რომ მიზანს აუცილებლად მიაღწევდა. ამის გამო ის ნებისმიერ მარცხს განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდა, რადგან მისი წარუმატებლობა ადასტურებდა, რომ ოჯახის წევრები მის წინაშე მართლები იყვნენ.

ჩვენ მანამდეც ბევრჯერ შევეცადეთ, ეს გარემოებები შეგვესწავლა და მისი აკვიატებული წარმოსახვის მიზეზი ზუსტად აგვეხსნა რეალობასთან მიმართებაში. მაგრამ, როცა ახალგაზრდა კაცმა ზემოაღნიშნული მარცხი განიცადა, იგი კვლავ მანიაკალურმა აზრებმა შეიპყრო.

ერთხელ ის კლინიკაში დათრგუნული მოვიდა და აღშფოთებულმა გამომწვევად გვითხრა: «ამჯერად ვეღარ დამარწმუნებთ, რომ ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა. დღეს სადგურზე ვიღაც კაცი შემხვდა; მას ჩამოძენილი კოსტუმი ეცვა, რომელიც ზუსტად ჰგავდა ჩემს საუკეთესო კოსტუმს. განა მას ამით ჩემთვის იმის თქმა არ უნდოდა, რომ მე ერთი ხელმოცარული და უიღბლო კაცი ვარ?»

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პაციენტის მიერ საკუთარი არასრულფასოვნების მანიაკალურ განცდასთან; აქვე იმასაც ვხედავთ, რა მყიფე საზღვარი არსებობს ცრურწმენებსა და

აკვიატებულ წარმოსახვას შორის. ამასთან, გარკვეულწილად უნდა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ცრურწმენა, შესაძლოა, გახდეს აკვიატებული აზრების გამომწვევი პირველმიზეზი. ჩვენც ასევე ემოციურად, ჯიუტად ჩავჭიდებივართ ხოლმე ცრურწმენებს, მაგრამ ამავე დროს არ გაგვაჩნია იმის მზაობა, რომ საფუძვლიანად გადავამოწმოთ მათი კავშირი რეალობასთან, თორემ, ალბათ, შევძლებდით იმის გაგებას, ასე რატომ ეჭიდებოდა ეს პაციენტი თავის მანიაკალურ წარმოსახვას. მსგავსი აკვიატებული აზრები საკუთარ თავზე ჩვენც აშკარად გამოგვიცდია, როდესაც, სულიერად დათრგუნულებს, გაუცნობიერებელი შიში ან თვითბრალდების გრძნობა დაგვუფლებია. მაგალითად, მესამე რაიხის დროს იმ ადამიანებს, რომლებიც ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის და ხელისუფლების წინააღმდეგ ხშირად გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს, მოიერიშე რაზმელებისა და «ესესელების» დანახვაზე აკვიატებული დევნის შიში იპყრობდათ, რადგან მათში საშინელ მტერს ხედავდნენ. ამ ადამიანებმა იცოდნენ, რომ საკმარისი იყო, ისინი ვინმეს დაესმინა ან ყურმოკვრით გაეგოთ მათი განწყობის შესახებ, და მაშინვე საკონცენტრაციო ბანაკში უკრავდნენ თავს.

სიმარტოვე და იზოლაცია, ისევე როგორც რეალური საფრთხის წინაშე უმწეობის შეგრძნება, ხელს უწყობს ავადმყოფურად აკვიატებული რეაქციების გამოვლინებას. უცხო გარემოში მყოფი ადამიანი, ღამით უჩვეულო ხმაურის გაგონებაზე, ადვილად განეწყობა საიმისოდ, რომ ეს ხმაური არამართებული, აკვიატებული მიზეზით ახსნას, მით უფრო, თუ იგი ამ დროს სულიერად დათრგუნულია ანდა შიშის და თვითბრალდების გრძნობით არის შეპყრობილი. რა თქმა უნდა, ნაცნობი ადამიანების გარემოცვაში, სადაც იგი თავს თავისუფლად და დაცულად გრძნობს, მას ამგვარი შეგრძნებები არა აქვს. ამრიგად, შიზოიდური პიროვნებების აკვიატებული რეაქციები ჩვენ წინაშე ისევ და ისევ მათთან დაკავშირებულ უმთავრეს პრობლემას წამოჭრის: ეს არის საზოგადოებისაგან იზოლაცია და ადამიანების მხრივ თანადგომის არარსებობა. თუმცა მაგალითები იმასაც მოწმობს, რომ ძალიან მყიფეა ზღვარი ჯანმრთელ და ავადმყოფ ადამიანს შორის, რადგან იმ რეაქციებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ავადმყოფებში ვხედავთ, საგანგებო სიტუაციებში თავადაც გამოვავლენთ ხოლმე. დაავადებულ ადამიანებში კი ამის მიზეზი სწორედ ისაა, რომ ისინი დიდხანს იმყოფებიან საგანგებო სიტუაციებში და თავდაცვის მიზნით გამოიმუშავენ ამგვარ «ავადმყოფურ» რეაქციებს.

აქ მოვიყვანთ კიდევ ერთი პაციენტის მაგალითს, რომელსაც ადამიანებთან ურთიერთობის დამთრგუნველი სურვილი ავადმყოფურ აკვიატებად გადაექცა:

ოცდაათიოდე წლის მარტოსული ადამიანი, რომელსაც გარესამყაროსთან თითქმის არ ჰქონდა ურთიერთობა, ერთ-ერთ კონცერტზე ვიღაც ახალგაზრდა კაცის გვერდით აღმოჩნდა; რაკი მის მიმართ განსაკუთრებული ლტოლვა იგრძნო, გვერდიდან მალულად უთვალთვალებდა და გრძნობდა, როგორ უძლიერდებოდა მასთან კონტაქტისა და გამოლაპარაკების სურვილი. იმის გამო, რომ ამ კაცს გარესამყაროსთან ურთიერთობის გამოცდილება არ ჰქონდა, იგი თავდაპირველად შეიპყრო შიშმა, რომელმაც მხოლოდ ააფორიაქა, მაგრამ მალე პანიკაში ჩააგდო, რადგან მოეჩვენა, რომ ახალგაზრდა კაცი ფერად-ფერად წრეებს ასხივებდა და ამ წრეებით მის ალყაში მოქცევას და ხელში ჩაგდებას ლამობდა; მერე იგრძნო, რომ ცივმა ოფლმა დაასხა და თავს საკონცერტო დარბაზიდან გაქცევით უშველა.

გარდა იმისა, რომ ამ კაცს ადამიანებთან ურთიერთობისა და მათთან სიახლოვის დამთრგუნველი სურვილები სტანჯავდა, იგი აშკარად განიცდიდა ახალგაზრდა ყმაწვილისადმი სექსუალურ ლტოლვას, მაგრამ რაკი ამის გამჟღავნება თავად ვერ გაბედა, ამ ლტოლვის პროექცირება ისე მოახდინა, თითქოს იგი ამ ახალგაზრდისაგან მოდიოდა. აქაც რეალური სიტუაციის «გადატანა» მოხდა, რადგან შინაგანმა შიშმა საფრთხის სახე მიიღო და გარეთ გადაინაცვლა, რასაც ამ კაცმა თავი მხოლოდ გაქცევით დააღწია.

როდესაც შიზოიდურ ადამიანს შინაგანი სამყაროსა და გარემოს მიმართ ეჭვისა და დაუცველობის გრძნობა უჩნდება, იგი ცდილობს, გარკვეული «ცხოვრებისეული ტექნიკა» შეიმუშაოს. ეს მას საშუალებას აძლევს, თავი ყველაფრისაგან შორს დაიჭიროს, ხელშეუხებელი და შეუვალი გახდეს, ყოველთვის ობიექტური იყოს, ადამიანებთან ახლო

ურთიერთობას ერიდოს, მათთან შედარებით უპირატესობა იგრძნოს და მისი წონასწორობიდან გამოყვანა ვერაფერმა შეძლოს; მაგრამ შიზოიდი პიროვნება ამით სინამდვილეში ვერაფერს აღწევს. ამ დროს იგი, შესაძლოა, ყველას განუდგეს, ამპარტავანი, უკარება, საშინლად გულცივი და ხისტი გახდეს. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი თავდაცვითი საშუალებებითაც გარესამყაროზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს, იგი თავის გრძნობებს მოულოდნელი, გააფთრებული აგრესიით გამოხატავს, რაც ზემოთ უკვე აღვწერეთ. ამ დროს შესაფერისმა გარემომ შეიძლება დიდი სამსახური გაუწიოს შიზოიდურ პიროვნებას, თუ გარშემომყოფნი მისი საქციელის გამომწვევ მიზეზებს გაიაზრებენ და მიხვდებიან, რით არის გამოწვეული მისი ეს მძიმე მდგომარეობა.

შიზოიდურ პიროვნებათა მკურნალობის დროს ისეთ ზღვრულ სიტუაციებსაც ვხვდებით, რომლებიც თვალნათლივ დაგვანახვებს საფრთხეებს, ადამიანის არსებობას რომ ემუქრება. სწორედ ამ შემთხვევებიდან უნდა ვისწავლოთ, რა არის ადამიანისათვის ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანი, რამდენად ემუქრება მის განვითარებას ოჯახური და სოციალური ფაქტორები, და, საერთოდ, დავადგინოთ ყველა გამომწვევი მიზეზი, რომელთა აღმოფხვრაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. გენიალური ადამიანების არსებობას ხშირად ასეთი ცხოვრებისეული სივრცე განსაზღვრავს. მათი გრძნობები იმდენად ამოუცნობი და დაფარულია, რომ ხშირად ძნელია იმ მყიფე საზღვრის დადგენა, რომელიც გადის გენიალობასა და ფსიქოზს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ შიზოიდური სიმპტომების გამოვლინება სხვადასხვა ინტენსივობით ხდება. თუ შევეცდებით, შიზოიდური პიროვნებების თვისებები თანმიმდევრობით დავადგინოთ (ჯერ კიდევ სრულიად ჯანმრთელებიდან და მსუბუქად დაავადებულებიდან, მძიმე ფსიქიკურ აშლილობამდე მისულ პაციენტებამდე), მივიღებთ შემდეგ სურათს: ნაკლებად კონტაქტურები, ზემგრძნობიარენი, მარტოსულები, ორიგინალურები, ცხოვრებისგან გარიყულები, ბერბიჭები, ახირებულები, აუტსაიდერები, ასოციალურები, კრიმინალები, ფსიქოპათები. მათ შორის არცთუ იშვიათად გამოჩნდებიან ხოლმე გენიალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები.

გენიალურ ადამიანზე გარესამყაროსაგან განდგომა და მარტოსული ცხოვრება სასიკეთოდ მოქმედებს, რადგან მას თავისუფლად შეუძლია უარი თქვას ტრადიციებზე, ანგარიში არ გაუწიოს ისეთ გარემოებებს, რომლებსაც უზრუნველყოფილი, ტრადიციების ერთგული ადამიანები, ჩვეულებრივ, ან ვერ ხედავენ, ან მათ წინააღმდეგ წასვლას ვერ ბედავენ. სახიფათო სიტუაციას გენიალური ადამიანი იმ შეგნებამდე მიჰყავს, რომ მას უნარი შესწევს, გადააბიჯოს იმ საზღვრებს, რომლებსაც სხვები მორიდებით გვერდს უვლიან. თუ შიზოიდური პიროვნება მთლად არ არის დაცლილი ემოციებისაგან და მხოლოდ კრძალვით ცდილობს მათ დამალვას, მაშინ ის გამორჩეულად მგრძნობიარე ადამიანის თვისებებს ავლენს და ვერ იტანს ერთფეროვნებას, ზედაპირულობას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შიზოიდურ პიროვნებას მწირი ემოციური სამყარო აქვს, იგი ნაკლებად გამოავლენს საკუთრივ ადამიანურ თვისებებს.

რელიგიასთან მიმართებაში შიზოიდური პიროვნებები უმთავრესად სკეპტიკოსები ან ცინიკოსები არიან, მახვილგონივრულად მსჯელობენ რწმენის «უაზრობაზე», კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ რიტუალების, ტრადიციებისა და ყოველგვარი ფორმალობის მიმართ; ისინი ცდილობენ, საერთოდ, ფხიზელი თვალთ შეხედონ ყველაფერს, რასაც «იდუმალების» იერი დაჰკრავს, ახსნან ის «აუხსნელი» მოვლენები, რის შესაძლებლობასაც მათ უმთავრესად საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საკმაოდ ხშირად სთავაზობენ. ამრიგად, შიზოიდური პიროვნებები უმეტესად რაციონალისტები არიან, რომლებსაც განცდების გამოსახატავად აუცილებელი ორგანო არ გააჩნიათ, ამიტომ მათთან კამათი ამასთან დაკავშირებითაც შეუძლებელია.

მაგრამ შიზოიდების ამგვარი განწყობა რელიგიისა და რწმენის მიმართ ისე ჩანს, თითქოს იგი მათი იმედგაცრუებისათვის საჭირო, გაუცნობიერებელ პროფილაქტიკას წარმოადგენს. ისინი გაბედულად აცხადებენ უარს რწმენაზე, რათა იმედგაცრუებულები არ დარჩნენ; მალულად კი მაინც იმ «მტკიცებულების» მოლოდინში არიან, რომელიც მათ რწმენას აზიარებდა. შიზოიდური პიროვნებები ხშირად ნიჰილისტურად და დესტრუქციულად არიან განწყობილი და ეშმაკისეულ ნეტარებას გრძნობენ, როდესაც ახერხებენ, სხვებს

რწმენაზე ხელი ააღებინონ. მაგრამ სხვა ადამიანების თავიანთ რწმენაზე მოქცევის სურვილი ისევ და ისევ ეჭვებს იწვევს: ხომ არ ეშინიათ მათ საკუთარ ურწმუნობასთან მარტო დარჩენისა?! მძიმედ დაავადებული შიზოიდები მორწმუნეები ვერ გახდებიან, რადგან მათ არასოდეს უგრძობიათ თავი უსაფრთხოდ და არ განუცდიათ სიყვარული. ამიტომ ისინი ათეიზმისკენ იხრებიან ან ხშირად საკუთარ თავს ყველაფრის საზომად მიიჩნევენ: ამან კი მათში, შესაძლოა, მანიაკალური ზესთამჩენობის გრძნობა აღძრას და საკუთარი თავის გაღმერთებამდე მიიყვანოს. ამ დროს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გარესამყაროს მიმართ საკუთარი ინტერესის უგულვებელყოფა და ამ ინტერესის მუდმივად საკუთარ თავზე მორგება შიზოიდურ პიროვნებას ისეთ ძალას და მნიშვნელობას სძენს, რომელიც მთლიანად მოიცავს მის ცნობიერებას; თუმცა ზოგიერთი მათგანი რელიგიურობის განცდაში იმ უსაფრთხოებას ეძებს და პოულობს კიდევ, რომელიც მას არასოდეს განუცდია. მაგრამ ეს არ არის ღმერთისადმი პიროვნულად მიმართული, მოსიყვარულე და უმანკო რწმენა; ეს უფრო ის ზეპიროვნული, შეუცნობელი გრძნობაა, რომელსაც შიზოიდური პიროვნება პირობითად თავისუფალი ინდივიდის ღირსებას უპირისპირებს, ხოლო როგორც ადამიანი, ცნობიერებას იმ ჰუმანური ვალდებულებით აღუდგება წინ, რომელიც თავად აკისრია. ეთიკას და მორალს შიზოიდური პიროვნება ერთგვარად ეჭვის თვალთ უყურებს. ის არაფრად დაგიდევთ ადამიანებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რადგან მიაჩნია, რომ ისინი გადაჭარბებულია და მათ გამო ადამიანი თვითბრალდების გრძნობას განიცდის, მაშინ როცა თავად შიზოიდურ პიროვნებას, საერთოდ, ნაკლებად გააჩნია ეს გრძნობა. რაკი იგი ადამიანებთან კონტაქტს გაურბის, სოციალურ გარემოს ვერ ესადაგება და თვითგადარჩენის ეგოცენტრისტული ინტერესებით ცხოვრობს, შესაბამისად, შიზოიდური პიროვნება მხოლოდ იმას მიიჩნევს მართებულად, რაც მისთვის ხელსაყრელია; ამიტომ მას შეუძლია განივითაროს «მბრძანებლის მორალი», რომელიც მხოლოდ მის ინტერესებს ემსახურება...

შიზოიდური პიროვნება სიძულვილს განიცდის «სუსტი» ადამიანების მიმართ, რომელთაც მორალური მოსაზრებები ამოძრავებთ. შიზოიდს მიაჩნია, რომ ეს ადამიანები საკუთარ დამოუკიდებლობას ლაჩრობისა და სიმხდალის გამო კარგავენ. მისი აზრით, ძლიერი პიროვნება, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს, ერთადერთ პრინციპს აღიარებს, რომლის თანახმადაც, «ძლიერი ადამიანი სიმარტოვეშიც ყველაზე ძლიერია». ამ პრინციპში ვლინდება მისი შესაძლებლობებიც და საფრთხეებიც.

მხოლოდ ძლიერ ადამიანს გააჩნია ძალა, ღირებულებად აქციოს საკუთარი გამორჩეულობა; სწორედ ესა აქვს წიგნის ამ თავს ეპიგრაფად წამძღვარებული. შედარებით სუსტი და უმწეო ადამიანი განუდგება გარესამყაროს, ცდილობს, პირადი ცხოვრება მოიწყოს და წონასწორობა ისე შეინარჩუნოს, რომ სხვა ადამიანები არ დასჭირდეს; ამ მიზანს იგი ხანდახან მხოლოდ ცხოველების ან საგნებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით აღწევს. ფსიქიკურად მძიმედ დაავადებული, შიზოიდური პიროვნებები ხშირად დესტრუქციული, დამანგრეველი ქმედებებით გამოირჩევიან, ასოციალურები ხდებიან და ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, თავიანთი მიზნებისათვის შეუძლიათ სხვა ადამიანების გამოყენება.

შიზოიდური მშობლები და აღმზრდელები ბავშვის მიმართ ნაკლებ სითბოსა და მზრუნველობას ავლენენ, მასთან არავითარი სიახლოვე არ აკავშირებთ და ადეკვატურად ვერ აღიქვამენ მის გრძნობებსა და განცდებს, ამასთან ეწინააღმდეგებიან ან ირონიულად ეკიდებიან მის ყოველ სურვილს და ემოციას. ასეთი მშობლები ბავშვს საკუთარი თავისადმი რწმენას უკარგავენ და, რაკი მას აკვირდებიან კიდევ და მისი ქცევის ფსიქოლოგიურ მოტივებსაც იცნობენ, აიძულებენ, ადრეულ ასაკშივე მიეცეს თვითრეფლექსიას. ამ დროს ბავშვი ახლობლების გარემოცვაში საშინელ გულგრილობას გრძნობს და ითრგუნება მათი მოულოდნელი და მისთვის გაუგებარი რეაქციების გამო; ამრიგად, იგი თითქოს გამუდმებით განგაშის მოლოდინში იმყოფება. ამ ადამიანებისგან ბავშვი ვერ შეიგრძნობს სიყვარულს, ამიტომ მათდამი სიახლოვესაც ვერ გრძნობს.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მშობლები და აღმზრდელები ბავშვს თავდაპირველად აღერსიანად და სიყვარულით ექცევიან, მაგრამ მოგვიანებით კეთილგანწყობას დამცინავი ირონიის სახეს აძლევენ. ეს ბავშვს საშუალებას არ აძლევს, შეიგრძნოს, რომ მისი

სიყვარული ახლობლებისადმი რაღაცას ნიშნავს, რადგან იცის, რომ მის გრძნობას სერიოზულად არავინ აღიქვამს («წარმოგიდგენიათ, ჩემს პატარა ვაჟბატონს უეცრად სიყვარულმა წამოუარა!» «ჩემს პატარა ქალბატონს, ეტყობა, უნდა რაღაც დამცინცლოს, რადგან დღეს მეტისმეტად ალერსიანია»).

საკუთარი პიროვნული სტრუქტურიდან გამომდინარე, შიზოიდები ხშირად ისეთ პროფესიებს ირჩევენ, რომლებიც ადამიანებთან მჭიდრო კონტრაქტს არ მოითხოვს, ამიტომ მათი ინტერესების სფეროს ზოგადთეორიული და ზუსტი მეცნიერებები შეადგენს. შიზოიდებს შორის ხშირად გვხვდებიან ასტრონომები, მათემატიკოსები, ინჟინრები. მეცნიერული კვლევისას მათ ადამიანებთან ურთიერთობა უშუალოდ არ უხდებათ, მათთან ფსიქოლოგიური ტესტირების მეთოდით, მიკროსკოპით ან რენტგენის აპარატის მეშვეობით ურთიერთობენ; პათანატომებს კი, საერთოდ, მიცვალებულებთან აქვთ საქმე. მათი სულიერი სფერო ადვილად გადაიქცევა ხოლმე ფიზიოლოგიური რეფლექსების თავმოყრის ადგილად, რის საფუძველზეც, შოპენჰაუერის მსგავსად, შეუძლიათ თქვან: «უფალო ღმერთო, თუ სადმე არსებობ, იხსენი ჩემი სული, თუკი ასეთი გამაჩნია». შიზოიდების ფსიქოლოგიაში ხშირად შეინიშნება რაღაცის აღმოჩენისა და ამოცნობის სურვილი, ამიტომ, როგორც ექიმები, ისინი უფრო მკვლევრები არიან, ვიდრე პრაქტიკოსი მკურნალები, და ხშირად განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ფსიქიატრიისა თუ მისი მომიჯნავე დისციპლინების მიმართ. როგორც თეოლოგები, შიზოიდური პიროვნებები უფრო რელიგიური მეცნიერებებით ინტერესდებიან, ვიდრე ეკლესიის მსახურის პრაქტიკული საქმიანობით. შიზოიდები ხშირად ზურგს შეაქცევენ ხოლმე ადამიანებს და ცხოვრებას ცხოველების, მცენარეებისა და მინერალების სამყაროში იწყებენ, მერე ამ სამყაროს მგრძნობიარე მიკროსკოპის ან ტელესკოპის საშუალებით მიკრო და მაკროსკოპულად იკვლევენ.

ადვილი წარმოსადგენია, რა დიდ საფრთხესთან შეიძლება გვექონდეს საქმე, თუ მეცნიერული კვლევის შედეგად მოპოვებული ცოდნა ისეთი შიზოიდი მეცნიერის ხელში აღმოჩნდება, რომელიც გაურბის ადამიანებთან ურთიერთობას, ცხოვრებას აუტიზმით დაავადებული ადამიანის თვალთ უყურებს და თან საკუთარი იდეების რეალურად განხორციელებას ცდილობს; როგორც ითქვა, შიზოიდები გარკვეული სფეროების მიმართ იჩენენ ნიჭსა და მიდრეკილებებს; ისინი პროფესიას იმ მოტივით ირჩევენ, რომ მათ, სახელდობრ, ამ სფეროში შეუძლიათ დაეუფლონ სუბიექტური გრძნობებისაგან თავისუფალ, საიმედო ცოდნას. ფილოსოფოსების რანგში შიზოიდები ხშირად ცხოვრებას მოწყვეტილი, აბსტრაქტულად მოაზროვნე ადამიანები არიან, რომლებიც უპირატესობას ზოგადთეორიულ აზროვნებას ანიჭებენ და არა პრაქტიკულ საქმიანობას.

პოლიტიკის სფეროში შიზოიდური პიროვნებები ზოგ შემთხვევაში რევოლუციური და ანარქისტული იდეების მგზნებარე მომხრეები არიან, ზოგჯერ კი უკიდურესად რეაქციული და რადიკალური თვალსაზრისების დამცველებად გვევლინებიან. შიზოიდებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც პოლიტიკის მიმართ ინტერესს არ იჩენენ – «პოლიტიკა მათ არ ეხებათ». მათივე სოლიფსისტური თვალსაზრისიდან გამომდინარე, არ აინტერესებთ საზოგადოება, როგორი სახისაც უნდა იყოს იგი.

შიზოიდურ პიროვნებებს უმთავრესად აბსტრაქტული, უსაგნო ხელოვნება იტაცებთ. ისინი ცდილობენ, ამ სფეროში მთელი იდუმალებით, სიმბოლურად გამოხატონ საკუთარი რთული შინაგანი გრძნობები და განცდები. მათ შორის ხშირად გვხვდებიან მკაცრი კრიტიკოსები, სატირიკოსები და კარიკატურისტები. მათი უჩვეულო სტილი ხშირად თავნებობით გამოირჩევა და ეწინააღმდეგება საყოველთაოდ მიღებულ თვალსაზრისებს, მაგრამ ამასთან ორიგინალურად არის და, ზოგ შემთხვევაში, მომავლის წინასწარმეტყველების ნიშნებსაც შეიცავს. რაკი ეს ადამიანები საზოგადოებას განუდგებიან, მის აზრს ანგარიშს არ უწევენ და მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს გამოხატავენ, ამიტომ შეუძლიათ ხელოვნებაში ახალი მიმდინარეობების შექმნას შეუწყონ ხელი. შიზოიდური პიროვნებები ხშირად შეიგრძნობენ არსებულ გარემოებათა ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, ყურადღებას ამახვილებენ სხვებისთვის შეუმჩნეველ მოვლენებზე და ისეთ სიტუაციებში გამოიჩენენ ხოლმე თავს, რომლებსაც სხვები ან ვერ აღიქვამენ, ან, საერთოდ, გაურბიან. ამიტომ შიზოიდურ პიროვნებათა მიერ შექმნილი ნაწარმოებები საშუალებას

გვაძლევენ, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ადამიანის ბუნებას. ასეთი შიზოიდების საყოველთაო აღიარება მათივე სიცოცხლეში იშვიათად ხდება.

პროფესიულ საქმიანობას შიზოიდი პიროვნებები არცთუ დიდი გულისყურით ეკიდებიან, რადგან მათთვის, ბოლოს და ბოლოს, სულ ერთია, რა იქნება მათი საარსებო წყარო. ისინი საკუთარი პროფესიის მიღმა ცხოვრობენ და მათი ინტერესების სფერო უმთავრესად გართობითა და სასიამოვნო გატაცებებით შემოიფარგლება. შიზოიდი პიროვნებები ხშირად სიამოვნებით ჰკიდებენ ხელს ისეთ სამუშაოს, რომელიც მარტოობას მოითხოვს და არ საჭიროებს ადამიანებთან კონტაქტს. ისინი, არცთუ იშვიათად, გატაცებულნი არიან ცხოველებით, მცენარეებით, მინერალებით. მათ ასევე მოსწონთ ელექტროსის, ტრანსპორტის მუშაკისა და სხვა ისეთი პროფესიები, რომლებიც საშუალებას აძლევს, ქვეცნობიერად და სიმბოლურად, ასე ვთქვათ – ზოგადად, დაიკმაყოფილონ ადამიანებთან კონტაქტისა თუ ურთიერთობის მოთხოვნილება. უფრო დიდი მასშტაბის შიზოიდურ პიროვნებებს შეუძლიათ გახდნენ დიდი გარდაქმნების მოთავეები და ინიციატორები, რადგან ისინი სკეპტიკურად აღიქვამენ ადამიანის ყოფას და მოვლენებს ინფერნალურად განიცდიან; მარტოობისთვის განწირულ შიზოიდურ პიროვნებებს საკუთარი თავი იმ ზღვრულ მდგომარეობამდე მიჰყავთ, რომლის გაცნობიერებასაც ვეღარ ახერხებენ.

ასაკთან ერთად, შიზოიდური პიროვნება სულ უფრო მარტოსული ხდება და მეტ უცნაურობებს ავლენს, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მეტი გონიერებითაც გამოირჩევა. საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, შიზოიდური პიროვნებები სხვებზე ადვილად ეგუებიან დაბერების პროცესს და სიმარტოვეს უკეთ იტანენ, რადგან დამოუკიდებლობას და იზოლაციას შეჩვეულნი არიან. ისინი ადრევე ქმნიან საკუთარ სამყაროს, რომელშიც შეუძლიათ ისე იცხოვრონ, რომ არ ჰქონდეთ კავშირი ადამიანებთან; ამასთან, მათ არც სიკვდილი აშინებთ და ყოველგვარი სენტემენტალობის გარეშე, მხნედ აღიქვამენ მას, როგორც ფაქტს. რაკი შიზოიდური პიროვნებები გარესამყაროსა და ადამიანებთან ურთიერთობით დიდად არ იწუხებენ თავს, ამიტომ დასათმობი და დასაკარგიც ბევრი არაფერი აქვთ; ისინი განსაკუთრებულ სიახლოვეს არავის, თვით საკუთარი თავის წინაშეც არ გრძნობენ, ამიტომ უფრო იოლად შეეღწევიან ხოლმე ყველას და ყველაფერს.

შიზოიდური პიროვნების პოზიტიურ თვისებებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივაკუთვნოთ მისი სწრაფვა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ, გაბედული ქმედებები საკუთარი თავის მიმართ, მისი, როგორც ინდივიდუუმის, ავტონომია. შიზოიდურ პიროვნებას უნარი შესწევს, გულგრილად, ობიექტურად დააკვირდეს ფაქტებს და კრიტიკულად, მიუკერძოებლად შეაფასოს ისინი. ამასთან, ჰყოფნის გამბედაობა, მოვლენები ყოველგვარი შელამაზების გარეშე აღიქვას; ეს ყველაფერი კი მისი ხასიათის სიძლიერეზე მეტყველებს.

შიზოიდი ადამიანები ტრადიციებითა და დოგმებით არ იზღუდავენ დამოუკიდებლობას, თავის თავზე პასუხისმგებლობას არ იღებენ მანამ, სანამ ყველაფერს კარგად არ გადაამოწმებენ და არ გაიაზრებენ; ვერ იტანენ ვერავითარ სენტემენტალობას, გაურკვევლობას და გრძნობებით კეკლუცობას; ნათლად, უკომპრომისოდ იცავენ თავის პრინციპებს და ყველაფერზე საკუთარი მოსაზრება გააჩნიათ; მათ ირონიულ და სატირულ, მახვილ მზერას არ გამოეპარება სხვა ადამიანების სისუსტეები, ამიტომ ძალიან ძნელია შიზოიდების მოტყუება. ისინი ადამიანებთან ურთიერთობისას ხშირად «უგერგილოდ» გამოიყურებიან, რადგან ვერ იტანენ არაგულწრფელობას და სიყალბეს. შიზოიდები დარწმუნებულნი არიან საკუთარ შესაძლებლობებში, ყოველგვარი ილუზიების გარეშე შეუძლიათ ცხოვრება; მათ სურთ საკუთარი ბედ-იღბალი თავადვე განკარგონ და ფიქრობენ, რომ შეუძლიათ შეებრძოლონ ბედისწერას, რადგან ადამიანი მათთვის საკუთარი ბედის მჭედელია.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის შიზოიდური ადამიანები, რომლებსაც აშკარად გამოხატული შიზოიდური სტრუქტურა აქვთ, მაგრამ ამის გამო სულაც არ წუხან, შესაბამისად – თავს ჯანმრთელად გრძნობენ. მათ ადამიანებისაგან განდგომა და დამოუკიდებლობა საკუთარ მონაპოვრად მიაჩნიათ, მაგრამ ამავე დროს სხვა ადამიანების ხარჯზე ცხოვრობენ, რომლებისთვისაც მათი შეუპოვრობა ძნელი ასატანია. ასეთ ადამიანებს მრავლად

ვხვდებით; მათ შორის არიან ასევე ძლიერი ამა ქვეყნისანი, რომლებიც სხვებზე მბრძანებლობენ და ადამიანებს ანგარიშგაუწევლად იყენებენ საკუთარი მიზნებისათვის.

აქაც და შემდგომაც, ცალკეული სტრუქტურული ტიპის «პოზიტიურ» წარმომადგენლებს ძალიან მოკლედ რომ აღვწერთ, ამის მიზეზი შემდეგია: ოთხი პიროვნული სტრუქტურის პრინციპული ხასიათის თვისებები ყველაზე თვალნათლივ მათი უკიდურესი ფორმების აღწერისას გამოვლინდება, რადგან ასეთ შემთხვევებში ყოველი სტრუქტურა, სავარაუდოდ, განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს. იმედია, ამის გამო არავინ განგვსჯის.

შიზოიდური ადამიანისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მან, თვითგადარჩენისა და ავტარკიისაკენ სწრაფვის დროს, მოპირდაპირე სქესისადმი ერთგულების საკითხი კი არ უგულებელყოს, არამედ თავისი განვითარების პროცესში მისი ინტეგრირება მოახდინოს; ეს მას თავიდან ააცილებს «საკუთარი ღერძის გარშემო» ცალმხრივად ზღვარგადასულ ტრიალსა და ავადმყოფურ იზოლაციაში მოქცევას, რაც პიროვნებას ადამიანური ურთიერთობების სფეროდან, საერთოდ, გამორიცხავდა.

«ცუდია, როდესაც ადამიანი მარტოა», რადგან ურთიერთობების გარეშე იგი ძალიან ადვილად ხდება კაცთმომძულე. წიგნის უკანასკნელ თავში დავინახავთ, რომ ოთხივე პიროვნული სტრუქტურის წარმომადგენლებს აქვთ მიდრეკილება, შეიცნონ ნებისმიერი საპირისპირო ტიპის მიმზიდველობა. ამაში მინდა დავინახოთ ადამიანის ქვეცნობიერი სწრაფვა იმისაკენ, რომ მოახერხოს საკუთარი თავის შევსება და გათავისუფლდეს ავადმყოფური ცალმხრიობისაგან. ამიტომ უმართებულო იქნება, თუ ამ ოთხი მთავარი იმპულსიდან რომელიმე მათგანს გამოვრიცხავთ და უგულებელვყოფთ მასთან დაკავშირებულ შიშის ფაქტორს.

«მე»-საკენ გაბედული შემობრუნება და საკუთარი პიროვნების დავიწყების მამაცური მცდელობა იმის წინაპირობაა, რომ ადამიანმა თავი დააღწიოს მისთვის აგრერიგად სახიფათო სიმარტოვეს; მას ამ დროს ეძლევა შესაძლებლობა, ადამიანების კეთილგანწყობა და ურთიერთობა მიიჩნიოს არა ტვირთად, ბორკილად და საფრთხედ, არამედ შეიგრძნოს იგი, როგორც შინაგანი ღირებულება, გრძნობებისა და განცდების ერთობლივი განვითარება და საკუთარი, შეზღუდული «მე»-ს განვრცობა პარტნიორის მეშვეობით.

პიროვნებად ჩამოყალიბების შიში

დეპრესიული პიროვნებები

«დაივიწყე საკუთარი «მე», მაგრამ არასოდეს დაკარგო საკუთარი თავი»

ჰერდერი

ახლა კი განვიხილოთ შიშის მეორე მთავარი ფორმა; ეს არის შიში საკუთარი, დამოუკიდებელი «მე»-ს წინაშე, რომელსაც ადამიანი მტკივნეულად განიცდის, როგორც საკუთარი უსაფრთხოების დაკარგვას. ჩვენი შედარების თანახმად, ამ შემთხვევაში საქმე ეხება «რევოლუციას», ანუ იმ ადამიანების ქმედებებს, რომლებიც მეტისმეტად ინტენსიურად მოძრაობენ უფრო დიდი ცენტრის გარშემო, და არ სურთ «საკუთარი ღერძის გარშემო ტრიალი». ამით გვსურს ერთგულების ცნებას უფრო ფართო მნიშვნელობა მივანიჭოთ.

ადამიანებთან სიახლოვის სურვილი და იმისკენ სწრაფვა, რომ ვინმე გიყვარდეს ან ვინმეს უყვარდე, ადამიანის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. სიყვარულს თან ახლავს იმ ძვირფასი ადამიანის გაბედნიერების სურვილი, რომელთანაც საერთო გრძნობები გვაკავშირებს; ამ დროს მისი სურვილების ამოცნობას ვცდილობთ და მასზე უფრო მეტს ვფიქრობთ, ვიდრე საკუთარ თავზე; ამასთან საკუთარი თავი ხშირად გვავიწყდება და გრძნობების ურთიერთგაზიარების იმ ბედნიერ წუთებს განვიცდით, როდესაც ორი «მე»-ს «ჩვენ»-ად შერწყმა ხდება და აღარ არსებობს გათიშულობა ინდივიდებს შორის, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით მაინც. ამგვარი ურთიერთობის თაურსახეს დედა-შვილის ურთიერთობა წარმოადგენს. ეს გრძნობა, შესაძლოა, მოგვიანებით ნებისმიერი სხვა სახეობის სიყვარულშიც გაკრთეს, როდესაც ადამიანი ცდილობს კვლავ იპოვოს და აღადგინოს ის, რასაც ადრეულ ბავშვობაში განიცდიდა. ეს არის დაბრუნება ბავშვობისდროინდელ სიყვარულთან, რადგან ვიცით, რომ იმხანად უანგაროდ ისეთები ვუყვარდით, როგორებიც ვიყავით; ახლა კი თავად გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენ მიერ გაცემული სიბოძო და სიყვარული სხვას აგრძნობინებს ბედნიერებას.

სიყვარულის უნარი ადამიანს დაბადებიდან დაჰყვება, რადგან ეს მისი ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა, მაგრამ იმისთვის, რომ ეს გრძნობა განვითარდეს, მას ზრუნვა და ხელშეწყობა სჭირდება. მოპოვებული სიყვარულის წყალობით, ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა, გაიგოს საკუთარი თავის ფასი და იგრძნოს, რომ სიყვარული უკუგებას მოითხოვს; უნდა შევეცადოთ და კვლავ დავფიქრდეთ ადამიანზე, რომელსაც პიროვნებად ჩამოყალიბება არ სურს და უმთავრესად ცდილობს, საკუთარი «მე»-ს მოთხოვნებითა და მისდამი ერთგულებით იცხოვროს.

ამგვარი განწყობის თავდაპირველ შედეგს ის წარმოადგენს, რომ ადამიანი საკუთარ თავს ნებისმიერ პარტნიორზე მაღლა აყენებს. სიყვარულისა და ერთგულების სურვილი პარტნიორს მოითხოვს, იგი სხვა ადამიანს უკავშირდება და მის გარეშე ვერ იარსებებს. სწორედ ამ დამოკიდებულების გაცნობიერება გადაიქცევა იმ ადამიანების პრობლემად, რომლებსაც ჩვენ დეპრესიულებს ვუწოდებთ. სიყვარულის უნარი და მოთხოვნილება, ადამიანის მზაობა ამ გრძნობის მიმართ ერიჰ ფრომმა ორი წინადადებით ჩამოაყალიბა თავის წიგნში «სიყვარულის ხელოვნება»: «მე შენ მჭირდები, რადგან მიყვარხარ» და «მე შენ მიყვარხარ, რადგან მჭირდები».

ამრიგად, ადამიანს ვიღაც სჭირდება, რათა თავისი სიყვარულის რეალიზაცია მოახდინოს, ან იმის საჭიროებას განიცდის, რომ ის ვინმეს უყვარდეს, რადგან იცის, რომ ამ მოთხოვნას თავად ვერ შეასრულებს. როდესაც ადამიანს გვერდით სხვა ვინმე სჭირდება, იგი ცდილობს, მასთან, რაც შეიძლება, ახლოს იყოს და წუხს, თუ ეს ვერ მოახერხა. შიზოიდურ პიროვნებას აუცილებლად სჭირდება პარტნიორთან მანძილის დაცვა, რადგან მისი სიახლოვე აშინებს. დეპრესიული ადამიანი კი ცდილობს, «საკუთარი ღერძის გარშემო» ნაკლებად იტრიალოს და შეამციროს მანძილი პარტნიორთან, რათა მიტოვებული არ დარჩეს. ეს შეიძლება მისი ღრმა დეპრესიისა და სასოწარკვეთის მიზეზი გახდეს.

მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომ იგი პარტნიორთან განშორებისა და მისი დაკარგვის შიშმა არ შეიპყროს? ამ დროს ერთადერთი გონივრული ნაბიჯი იქნებოდა, თუ იგი დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბდებოდა და თვითდამკვიდრებას მოახერხებდა, რათა პარტნიორზე მთლიანად არ ყოფილიყო დამოკიდებული. მაგრამ დეპრესიული პიროვნებისთვის სწორედ ეს წარმოადგენს სიძნელეს, რადგან მან ამ დროს უარი უნდა თქვას ადამიანებთან ახლო ურთიერთობაზე, ეს კი მასში ისევ და ისევ «დაკარგვის შიშს» გამოიწვევს. ამრიგად, დეპრესიული ადამიანი საკუთარ უსაფრთხოებას სხვებში ეძებს, რომლებმაც მისი პრობლემები უნდა გადაჭრან. მაგრამ მოგვიანებით დავინახავთ, რომ ამით მისი მდგომარეობა მხოლოდ უარესდება. რაკი დეპრესიულ ადამიანს ჰგონია, რომ სხვაზე დამოკიდებულებით მას უსაფრთხოება ექმნება, იგი ცდილობს, საკუთარი თავი ვინმეს დაუქვემდებაროს ან ვინმე თავად დაიქვემდებაროს. როცა სხვაზე ხარ დამოკიდებული, მაშასადამე ის გჭირდება, და სწორედ ამგვარი «საჭიროების არსებობა» აძლევს დეპრესიულ ადამიანს იმის გარანტიას, რომ მას არ მიატოვებენ. დეპრესიულ ადამიანს შეუძლია მეორე ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, იმით დაიქვემდებაროს, რომ თავი უმწეო და უსუსურ არსებად მოაჩვენოს, და ამით აგრძნობინოს, რომ მისი მიტოვების უფლება არა აქვს. განა შეიძლება ადამიანი ისეთი მკაცრი და უსულგულო იყოს, რომ უმწეო არსება მიატოვოს და განუდგეს?! ადამიანი რომ დაიქვემდებარო, იგი ბავშვივით უსუსურ და უმწეო არსებად უნდა აქციო, რაც ზემოაღწერილი საშუალების საპირისპირო სურათს ქმნის, თუმცა დეპრესიულ ადამიანს ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე მოტივი ამოდრავს: იგი ცდილობს, ამგვარი დაქვემდებარებული ურთიერთობა მეორე ადამიანის «დაკარგვის შიშით» გამოიყენოს. ამ დროს დეპრესიული ადამიანი შეპყრობილია იზოლაციის, მარტო დარჩენისა და ახლობელთან განშორების შიშით და ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი სიახლოვე ჰქონდეს მასთან. იგი ჩვენ მიერ აღწერილი შიზოიდური პიროვნების საპირისპირო ტიპს წარმოადგენს, რადგან შიზოიდი პარტნიორთან სიახლოვეს გაურბის და დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობს. დეპრესიულ პიროვნებას მარტო დარჩენისა ეშინია, ამიტომ მისთვის ადამიანებთან ურთიერთობა და სიახლოვე შიშის დაძლევის და უსაფრთხოებას ნიშნავს, მაშინ როდესაც შიზოიდი ამ სიახლოვეში საფრთხეს და ავტარკიის შეზღუდვას ხედავს.

როდესაც დეპრესიული ადამიანი აცნობიერებს, რომ პიროვნებად ჩამოყალიბების ანუ ინდივიდუალურობის პროცესში ახლობელ ადამიანთან განშორების საფრთხე ექმნება, იგი ამას ან საკუთარი თავის წინაშე არ აღიარებს, ან პარტნიორისთვის ამის დამალვას ცდილობს. თუ ჩვენი კოსმიური შედარების ენით ვიმსჯელებთ, ამ დროს დეპრესიული ადამიანი ლამობს შიშს იმით დააღწიოს თავი, რომ ან «საკუთარი ღერძის გარშემო ტრიალზე» აცხადებს უარს, ან ამ შიშს პარტნიორს უმაღლავს. ამრიგად, დეპრესიული პიროვნება ზოგჯერ მეორე ადამიანის ცხოვრების თანამგზავრად გადაიქცევა, ზოგჯერ კი თავად ამ ადამიანს გადააქცევს თავის თანამგზავრად. დეპრესიული პიროვნების ცხოვრება მთვარეულის არსებობას ემსგავსება, რადგან იგი სხვის ცხოვრებას ექოსავით იმეორებს, ან ცდილობს, საკუთარი თავი მეორე ადამიანს დაუქვემდებაროს. ამ დროს მას ისევ და ისევ გაუცნობიერებელი რჩება შიში ინდივიდუალურობის წინაშე, რომელიც მისთვის კონკრეტულ პრობლემას წარმოადგენს. დეპრესიულ ადამიანს ეშინია, რომ საკუთარი თუ პარტნიორის დამოუკიდებლობის შემთხვევაში, იგი ასცდება ერთობლივად განვითარების გზას; ამგვარი

დამოუკიდებლობა ნამდვილად შეიცავს მეორე ადამიანის დაკარგვის საფრთხეს, რადგან ინდივიდუაცია გარკვეულწილად ყოველთვის ახდენს ადამიანის იზოლაციას; რაც უფრო მეტად გამოვირჩევით ჩვენი თვითობით და განვსხვავდებით სხვებისაგან, მით უფრო ნაკლები შეხება გვაქვს მათთან. ინდივიდუაციის პროცესში ადამიანი ამოვარდება იმ უსაფრთხოების სისტემიდან, რომელშიც იგი «ისეთია, როგორც ყველა», რაც ასევე შიშის საფუძველს ქმნის. «ჯოგური ინსტინქტი» ამცირებს ამ შიშს, რადგან ბრბოში ადამიანებს უქრებათ შიში ინდივიდუაციის წინაშე. დეპრესიულ ადამიანს განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს ამგვარი შიშისადმი. განსხვავებული აზროვნება, გრძნობები და განცდები მასში გარკვეული ადამიანის «დაკარგვის შიშს» აღძრავს, რადგან ამას მასთან დაშორებად და მის მიმართ გაუცხოებად აღიქვამს; სწორედ ამიტომ ცდილობს დეპრესიული ადამიანი, უარი თქვას ყველაფერზე, რაც მას სხვებისგან განასხვავებს.

შევეცდებით, უფრო ნათლად განვმარტოთ ეს. ადამიანი რაც უფრო ნაკლებად აცნობიერებს, რომ მისთვის აუცილებელია განვითარება და დამოუკიდებლობა, მით უფრო მეტად სჭირდება მას ადამიანებთან ურთიერთობა. ამრიგად, ადამიანის «დაკარგვის შიში» წარმოგვიდგება ამ შემთხვევაში, როგორც საკუთარი «მე»-ს სუსტი მხარე. «დაკარგვის შიშისგან» თავის დაცვას დეპრესიული პიროვნება იმით ცდილობს, რომ სულ უფრო და უფრო განუდგება საკუთარ თავს, რასაც იგი საპირისპირო შედეგამდე მიჰყავს; რადგან, თუ ადამიანი ძლიერი და განვითარებული პიროვნება არ არის, მაშინ მისთვის ასეთი ძლიერი «მე» გარესამყაროში უნდა არსებობდეს, რომელსაც იგი დაეყრდნობა. რაც უფრო სუსტია დეპრესიული ადამიანი, მით უფრო მეტად დამოკიდებულია სხვაზე, და, რაც უფრო დიდია ეს დამოკიდებულება, მით უფრო მეტად იპყრობს შიში, რომ ეს საყრდენი ხელიდან გამოეცლება. მან ხომ ყველაფერი სხვა ადამიანს მიანდო და იმხელა უფლებამოსილებით აღჭურვა იგი, რომ ახლა მის გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმოუდგენია, რადგან საკუთარი არსებობა მთლიანად იმ სხვას გადააბარა! აქედან გამომდინარე, დეპრესიული ადამიანი ისეთ დაქვემდებარებულ არსებობას ეძებს, რომელიც მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. მაგრამ ამგვარი არსებობა ზრდის მასში «დაკარგვის შიშს». ამიტომ ეჭიდება დეპრესიული ადამიანი სხვებთან ურთიერთობას და მათთან ხანმოკლე დაშორების შემთხვევაშიც კი პანიკა იპყრობს. ასე ნელ-ნელა მოექცევა იგი «ემმაკის წრეში», რომელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გაარღვევს, თუ ინდივიდუაციას შეეცდება და ავტონომიურ სუბიექტად ყოფნის გაბედულ სურვილს გამოიჩენს.

შიზოიდური პიროვნება ადამიანებთან ურთიერთობას იმ მიზეზით გაურბის, რომ მათ არასანდოდ და სახიფათოდ მიიჩნევს, და ამ გზით ცდილობს შიშის დაძლევას ადამიანისადმი ერთგულების წინაშე. დეპრესიული პიროვნება ასეთ დროს პირიქით იქცევა; იგი, საერთოდ ადამიანის, უპირველეს ყოვლისა, ახლობელი ადამიანის იდეალიზაციას ახდენს და მას სრულიად საიმედოდ მიიჩნევს, ყოველგვარ სისუსტეს შეუნდობს და მისი ხასიათის თვით ყველაზე უკუღმართ გამოვლინებაზეც კი თვალს ხუჭავს. მას არ სურს ამ ადამიანში დაინახოს რაიმე საშიში და შემამფოთებელი, რადგან ეს საფრთხეს შეუქმნის მასთან კეთილსაიმედო ურთიერთობას. ამის გამო დეპრესიული პიროვნება ძალიან ძნელად წარმოიდგენს, რომ ადამიანებს ან საკუთარ თავს შეიძლება რაიმე ბოროტებაში დასდოს ბრალი, რადგან მათთან ურთიერთობისთვის სრული ნდობა და უპირობო სიყვარული სჭირდება. იგი საკუთარ თავში ახშობს ამ ადამიანების მიმართ ყოველგვარ ეჭვს და კრიტიკას, ვერ აცნობიერებს მათთან ურთიერთობის არსს და ცდილობს, ახსნა-განმარტების გარეშე, თავიდან აირიდოს ნებისმიერი დამაბულობა, რადგან ეს ყველაფერი ეხმარება «სანუკვარი მშვიდობის» მიღწევაში; წინააღმდეგ შემთხვევაში, მას პარტნიორის მხრიდან გაუცხოება ელის. დეპრესიული ადამიანი პარტნიორის თვისებების იდეალიზაციას იმის შიშით ახდენს, რომ, შესაძლოა, მისთვის «არასაჭირო» გახდეს, მაგრამ ამ შიშს მისი ბავშვური გულუბრყვილობა და გამოუცდელობა იწვევს. დეპრესიული პიროვნება «სირაქლემის პოლიტიკას» ეწევა და ცხოვრებისეული პრობლემების წინაშე თავს ქვიშაში მალავს, რადგან მტკიცედ სჯერა, რომ ადამიანი კეთილია.

იმისათვის, რომ დეპრესიულმა პიროვნებამ ადამიანებთან ურთიერთობაში სასურველ ჰარმონიას და მშვიდ სიახლოვეს მიაღწიოს, იგი, თავის მხრივ, ასევე «კეთილი» უნდა იყოს. ამიტომ ცდილობს გამოავლინოს ისეთი ალტრუისტული თვისებები, როგორცაა: სათნოება, მოკრძალება, ერთგულება, კეთილგანწყობა, თვინიერება, უანგარობა, თანაგრძნობა და შემწყნარებლობა. დეპრესიული ადამიანი მეტ-ნაკლები ინტენსიობით გამოავლენს თვინიერებას, უარს ამბობს პირად სიკეთეზე და თვით უკიდურესი, მაზოხისტურად მორჩილი საქციელიც კი უცხო არ არის მისთვის. ყველა ეს თვისება შეიძლება ერთ საერთო ნიშნულზე დავიყვანოთ და აღვნიშნოთ, რომ საკუთარ სურვილებზე და დამოუკიდებლობაზე უარისთქმით დეპრესიული პიროვნება ცდილობს, «დაკარგვის შიში» განდევნოს და მისთვის აგრერიგად სახიფათო ინდივიდუალობის პროცესს დააღწიოს თავი. მაგრამ მის ამგვარ დამოკიდებულებაში თავის მოტყუების საფრთხე იმალება; იმ დროს, როდესაც დეპრესიული პიროვნება საკუთარი თავისგან ამგვარ ქმედებას მოითხოვს და მას იდეოლოგიის სახეს აძლევს, იგი ამით მხოლოდ «დაკარგვის შიშის» მოტივაციას კი არ მალავს, არამედ მორალურ უპირატესობასაც კი გრძნობს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ამგვარი სათნოებითა და უანგარობით არ გამოირჩევიან. ამრიგად, დეპრესიული პიროვნება ხელოვნურად მიიწერს სათნოებას, მსხვერპლის როლს თამაშობს და ცდილობს, ადამიანებს საკუთარი, განუვითარებელი «მე» შესთავაზოს.

მაგრამ ინდივიდუალობაზე უარისთქმა დეპრესიულ პიროვნებას ძვირად უჯდება იმის გამო, რომ არ ჰყოფნის გამბედაობა, გამოავლინოს თავისი სურვილები, აფექტები და ინსტინქტები, რადგან შიშის გრძნობა თუ საკუთარი იდეოლოგია არ აძლევს ამის უფლებას. ის ასევე ვერ ჩაიდენს ისეთ საქციელსაც, რისთვისაც სხვებს გაკიცხავდა. ამის გამო ყოველთვის უფრო მეტად დამოკიდებულია სხვებზე, რადგან მათ დეპრესიულ პიროვნებას უნდა შეუსრულონ ის სურვილები და მოლოდინები, რაც მას, ბუნებრივია, გააჩნია. ვისაც საკუთარი სურვილის შესრულება არ შეუძლია, იმედი აქვს, რომ მას სხვები შეუსრულებენ; და ეს ის საფასურია, რომელსაც საკუთარი თვინიერებისთვის მიიღებს; და, თუ ეს ამქვეყნად არ მოხდება, ქრისტიანული იდეოლოგიის თანახმად, ამისათვის იმქვეყნად დაჯილდოვდება.

სწორედ მოლოდინის იმედგაცრუება იწვევს ამ პიროვნებების დეპრესიის შემდგომ გართულებას, რადგან ცხოვრებაში მათი ბევრი მოლოდინი არ მართლდება. ამასთან, თუ მათ სათანადო პატივს არ მიაგებენ, დეპრესია ღრმავდება და სასოწარკვეთილებაში გადადის. ამ დროს დეპრესიული პიროვნება ისევ და ისევ ბერძენი გმირის, ტანტალოსის, მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე; მას წინ უდგას ხილი და წყალი, რომელიც მისთვის მიუწვდომელია, რადგან ან არ იცის, როგორ შეისრულოს სურვილი, ან მას ეს ეკრძალება. დეპრესიულ პიროვნებას შეუძლია გამოთქვას სურვილი, მაგრამ ამ დროს, განმუხტვის მიზნით, საკუთარ ემოციებს ვერ გამოავლენს; ეს კი მასში, სულ მცირე, საკუთარი ღირსების გრძნობას აღძრავს, რაც კიდევ უფრო თრგუნავს იმ სიმამაცეს, მიზნის მისაღწევად რომ სჭირდება.

მოვიყვანოთ დეპრესიული პიროვნების ქცევის რამდენიმე მაგალითს:

მავანი ახალგაზრდა გათხოვილი ქალი ამბობს: «ჩემი ქმარი ბოლო ხანს დიდ დროს ატარებს ერთი ახალგაზრდა გოგონას საზოგადოებაში. გოგონა ძალიან მომხიბლავია და ადვილად შეიძლება აცდუნოს ჩემი ქმარი; მე ამ დროს სახლში ვზივარ და მოვთქვამ, მაგრამ ეს ქმარმა არ უნდა შემამჩნიოს, რადგან, თუ მას ამის გამო საყვედურს ვეტყვი, იფიქრებს, რომ ჩამორჩენილი და ეჭვიანი ვარ. ამასთან, მეშინია, იგი ჩემი საყვედურებით არ გავაღიზიანო და, საერთოდ, არ დავკარგო. ის, ალბათ, მეტყვის, რომ ასეთია კაცების ბუნება, და, თუ ის ნამდვილად მიყვარს, მაშინ ამ მდგომარეობას უნდა შევეგუო».

ახალგაზრდა ქალი გრძნობს, რომ ამ მდგომარეობას არ უნდა შეურიგდეს, უნდა შეეწინააღმდეგოს ქმრის აზრს ქალისა და კაცის პარტნიორობასთან დაკავშირებით, მაგრამ ისიც იცის, რომ მისთვის ესოდენ სახიფათო სიტუაციაში ვერ შეძლებს თავის დაცვას; ეს იმითაა გამოწვეული, რომ იგი საკუთარი პიროვნების შეფასებისას მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენს, მეტოქეზე კი გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს. ნაცვლად იმისა, რომ თავი დაიცვას, და, თუ საჭირო გახდა, საკუთარ თავში ზედმეტად თავდაჯერებულ ქმარს ეჭვიანობის სცენა მოუწყოს, ქალს ეშინია, რომ მას ჩამორჩენილობას და ეჭვიანობას დასწამებენ; ამიტომ ფიქრობს, რომ მომავალშიც მორჩილად უნდა შეასრულოს ქმრის სურვილები, რაც, ცხადია, ისევ და ისევ ამ უკანასკნელის წისქვილზე ასხამს წყალს. როდესაც ქალმა იგრძნო, რომ საშიშროების წინაშე დადგა, და შეიძლებოდა ქმარი დაეკარგა, გადაწყვიტა მის შესანარჩუნებლად ყველაფერზე წასულიყო და მისი გული მოეგო, თუმცა სასოწარკვეთილმა ბოლოს აღიარა, რომ ქმარმა ის შეიძულა და მიატოვა; აქ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქალი საკუთარ თავს უმწეოდ მიიჩნევდა და ამიტომ მას ქმარიც ასეთად აღიქვამდა. დღესდღეობით მსგავს სიტუაციებს ხშირად შევხვდებით, რადგან თავისუფლების, ადამიანთა ურთიერთობის, ერთგულებისა და სქესობრივი ორიენტაციის საკითხებში საყოველთაო გაურკვევლობა სუფევს, რასაც ზოგჯერ არასწორი პროპაგანდაც უწყობს ხელს; ადამიანები, მათ შორის დეპრესიული პიროვნებები, ხშირად იძულებული არიან, თავს ძალა დაატანონ და საკუთარი სურვილების წინააღმდეგ მოიქცნენ იმის შიშით, რომ არავინ იფიქროს, თითქოს მათ ახალ ცხოვრებას და «დროების ტრენდს» ალღო ვერ აუღეს.

ახალგაზრდა ქალი საკუთარ თავს, ჩვეულებისამებრ, უამრავ ალტრუისტულ მოთხოვნას უყენებდა. იგი ყოველწლიურად ადგენდა იმ ასი კაცის სიას, რომლებსაც საშობაოდ მილოცვებს ან საჩუქრებს უგზავნიდა. ამის გამო, მას შობამდე უკვე რამდენიმე კვირით ადრე შეიპყრობდა ხოლმე იმის შიში, რომ ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად, ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ვერ მოასწრებდა. ქალს ამ დროს თავში აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ამ მდგომარეობის შეცვლა შეეძლო, ამიტომ დანაშაულის უსიამოვნო გრძნობა ეუფლებოდა, თუ საქმე ისე არ წარიმართებოდა, როგორც მას ჰქონდა ჩაფიქრებული.

დეპრესიულ ადამიანებში ხშირია «უიღბლობის განცდა», რასაც შემდეგი მაგალითი ცხადყოფს:

«უამრავი სადარდებელი მაქვს, რადგან ბედი ისევ და ისევ არ მწყალობს. გუშინ პარიკმახერთან შევიარე, რომელმაც გამკორტნა და მთლად დამამახინჯა. მერე ხელოსანი გამოვიძახე და იმანაც მთელი დღე მალოდინა. ოდნავ რომ დავმშვიდებულიყავი, მალაზხიაში წავედი და ჩემთვის ზედატანი ვიყიდე; მერე სახლში დავბრუნდი და აღმოჩნდა, რომ რაღაც საშინელება მიყიდა. ასეთი რამ კი მხოლოდ მე შეიძლება დამემართოს».

ამ მაგალითიდან ჩანს, როგორ თავისებურად, გაურკვევლად და გაუგებრად გამოხატავენ დეპრესიული ადამიანები თავიანთ სურვილებს; მათი შესრულების თუ შეუსრულებლობის შემთხვევაში კი იმედგაცრუებულები რჩებიან და ყველაფერს რაიმე გარემოებებს ან საკუთარ უიღბლობას აბრალებენ. ახალგაზრდა ქალმა ჯერ პარიკმახერს ვერ გააგებინა, როგორი ვარცხნილობა სურდა, მერე თავადაც არ იცოდა, როგორი ზედატანი უნდა ეყიდა; სინამდვილეში კი ქალი მხოლოდ საკუთარი იმედგაცრუების გამართლებას და თავის მოსაწყლებას ცდილობდა, რის გამოც ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, რომ უიღბლო ადამიანი იყო და ცხოვრებამ საშინლად დაჩაგრა; იმას კი ვერ აცნობიერებდა, რომ თავის სურვილებს და მოთხოვნებს გაურკვევლად გამოთქვამდა და აზრს ვერ აყალიბებდა; ასევე ტენდენციურად მიუდგა ახალგაზრდა ქალი ხელოსანთან დაკავშირებულ შემთხვევასაც, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ ხშირად გვხვდება; მან კი ხელოსანის დაგვიანების ფაქტი ისევ საკუთარი უიღბლობით ახსნა; ქალი შეეცადა, საკუთარი თანამონაწილეობა

ყველაფერში გამოერიცხა, და როდესაც თქვა: «ასეთი რამ მხოლოდ მე შეიძლება დამემართოსო», ამით მან ყველა მიზეზი საკუთარი თავიდან «ბოროტ სამყაროზე» გადაიტანა და თავისი უგერგილობა და შიში ბედს გადააბრალა, რომელმაც იგი უიღბლობისთვის გაწირა. ამრიგად, ახალგაზრდა ქალი თვითშეზღუდვის შემდეგ გარკვეულ კმაყოფილებას გრძნობდა და არავითარი სურვილი ჰქონდა, შეცვლილიყო. დეპრესიული პიროვნებების კონფლიქტები, უპირველეს ყოვლისა, იმ შინაგან ორგანოებში მიმდინარე დარღვევებს უკავშირდება, რომელთა საშუალებითაც ისინი გარესამყაროს მოვლენებს აღიქვამენ. კონფლიქტურ სიტუაციებში ამგვარი ფსიქოსომატური დარღვევები ხშირად იჩენს ხოლმე თავს საყლაპავ მილში, ხახის ლიმფურ ქსოვილში და კუჭში. ადამიანის სიმსუქნე ან სიგამხდრე, შესაძლოა, ფსიქოდინამიური თვალსაზრისით, ამგვარ კონფლიქტებს უკავშირდებოდეს. ხალხში გავრცელებული გამოთქმა – «დარდიანი ადამიანის სიმსუქნე» იმ გამოცდილების შედეგია, რომ, იმედგაცრუებისა და დიდი დანაკარგის შემთხვევაში, ადამიანი სულიერ წონასწორობას ხშირად მეტისმეტი ჭამა-სმით აღიდგენს. აქ გადის იმ დაავადებების მყიფე ზღვარი, რომლებიც, გარკვეულწილად, ადამიანის დაკმაყოფილების ერზაცად ან ამქვეყნიური ცხოვრებიდან გაქცევის მცდელობად უნდა შევაფასოთ.

დეპრესიული ადამიანები სიძნელეებს განიცდიან, როდესაც საქმე რაიმე ახლის შეთვისებას ან მფლობელობაში მიღებას ეხება, რაც, ასე ვთქვათ, მათი «მახსოვრობის სისუსტეში» იჩენს თავს. მათ სუსტი მახსოვრობა და გულმავიწყობა ახასიათებთ და ფიქრობენ, რომ ეს ამ ადამიანებისთვის ორგანული სიმპტომი უნდა იყოს. ზუსტი კვლევებით დასტურდება, რომ დეპრესიულ პიროვნებაში არ ხდება სრული აპერცეფცია. ისინი სამყაროს მთელი ინტერესით და ყურადღებით არ აღიქვამენ, რადგან ეშინიათ, რომ, გარემოგამღიზიანებლების გავლენით, შესაძლოა, კონფლიქტებამდე მივიდნენ. იმ შემთხვევაში, თუ დეპრესიული პიროვნება ვერ ახერხებს თავისი ძალიან დიდი სურვილის შესრულებას, იგი გარემოგამღიზიანებლებს წინ დაუხვედრებს იმ დამცავ ფილტრს, რომელიც მას ამ სიტუაციას თავიდან აცილების საშუალებას მისცემს. ამ გარემოებებმა დეპრესიულ პიროვნებას შეიძლება შეუქმნას სიძნელეები სწავლაში, გამოიწვიოს მასში დაღლილობა და გულგრილობა, რაც ასევე დამცავ ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ახლა უკვე, პირიქით, აძლიერებს მის დეპრესიას, რადგან ადამიანი უარს ამბობს ბედნიერებაზე და საკუთარი თავის მიმართ იმედგაცრუებას გრძნობს. დეპრესიულ პიროვნებაში მეხსიერების სისუსტე ხშირად იმაზე მიუთითებს, რომ იგი ცხოვრებას განუდგა და ღრმად დარწმუნებულია, რომ უიღბლობამ შეუშალა ხელი, საერთოდ, რამის მფლობელი გამხდარიყო. ამრიგად, დეპრესიული ადამიანი საკუთარ ბედნიერებაზე წინასწარ ამბობს უარს, რადგან იმედგაცრუების დროს დამატებითი სიამოვნების განცდა ელის. იგი «მკვახე ყურძნის პოლიტიკას» ეწევა, არ სჯერა, რომ შეძლებს საკუთარი სურვილების შესრულებას, ამიტომ მათ წინასწარ აუფასურებს და მიაჩნია, რომ მათი განხორციელება წვალებად არ ღირს. ამასთან, დეპრესიულ პიროვნებას სამყარო სულ უფრო მრუმე, არასასიამოვნო ფერებში წარმოუდგება, რადგან საკუთარი სურვილების გარეშე ცხოვრება თანდათან ცარიელი და მოსაწყენი ხდება; ისინი თითქოს ცხოვრების ხორაგით სავსე სუფრასთან სხედან, მაგრამ არ სჯერათ, რომ იქიდან რამის აღებას და დაგემოვნებას შეძლებენ და ამით სიამოვნებასაც მიიღებენ.

დეპრესიული ადამიანი ისევ და ისევ იმ ზღვრამდე მიდის, რომელიც მისი შემგუებლობის უნარს და უარისთქმის მზაობას განსაზღვრავს. თუ იგი იმ შეგნებით ცხოვრობს, რომ უარს არ ამბობს საკუთარ პიროვნებაზე, მუდმივად არ წამოუყენებს თავს «სათნოებებთან» დაკავშირებულ მეტისმეტ მოთხოვნებს, არ «ღრღნის» შური იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ განიცდიან დანაშაულის გრძნობას და ყოველგვარი შიშის გარეშე იღებენ ცხოვრებისაგან იმას, რისი მიღებაც შეუძლიათ; აი, ამის გაცნობიერება იქნება დეპრესიული პიროვნების გამოჯანმრთელების საფუძველი.

დეპრესიული ადამიანი და სიყვარული

დეპრესიული ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვან განცდას სიყვარული წარმოადგენს, რომელიც მასში აღძრავს სურვილს, რომ ვინმე უყვარდეს და მასაც სიყვარულით უპასუხებდნენ. ამ დროს დეპრესიულ პიროვნებას შეუძლია თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინოს, მაგრამ ეს გრძნობა ყველაზე დიდ საფრთხეებსაც მალავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დეპრესიული პიროვნების კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, პარტნიორულ ურთიერთობებს უკავშირდება; მისთვის დაძაბული სიტუაციები, ახსნა-განმარტებები და კონფლიქტები აუტანელი და მტანჯველი უმთავრესად იმის გამო ხდება, რომ მათ «დაკარგვის შიშის» გააქტიურება ახლავს თან. დეპრესიულ ადამიანს არ ესმის, რომ პარტნიორთან თავადვე მიყავს საქმე კრიზისამდე, რადგან ეს უკანასკნელი ცდილობს, მის მარწუხებს დააღწიოს თავი. ამ დროს დეპრესიული პიროვნება ჯერ პანიკაში ვარდება, შემდეგ კი ღრმა დეპრესია ეწყება, შიშს ხანდახან შანტაჟითა და მუქარით გამოხატავს და თავის მოკვლასაც კი ცდილობს. მას უჭირს იმის წარმოდგენა, რომ პარტნიორს მასთან სიახლოვის ისეთივე სურვილი არა აქვს, როგორსაც თავად განიცდის მის მიმართ; თუ პარტნიორი მისგან დისტანცირებას მოითხოვს, დეპრესიული პიროვნება ფიქრობს, რომ მისი კეთილგანწყობა და სიყვარული დაკარგა.

დეპრესიული პიროვნების ერთ-ერთი განსაკუთრებული და ყველაზე მშვენიერი თვისება ის არის, რომ შეუძლია მთელი არსებით შეიყვაროს ადამიანი და მასთან ტრანსცენდენტური თანამონაწილეობის გზით მისი გრძნობები შეიცნოს და გაიზიაროს. დეპრესიული პიროვნების ჭეშმარიტად გულწრფელი განცდის ეს უნარი სიყვარულის, და, ამასთანავე, ყოველგვარი ადამიანურობის გამოვლენის მაუწყებელია. იდენტიფიკაციისადმი მზაობამ მასში, შესაძლოა, მედიუმის ემოციურ დონეს მიაღწიოს, რომლის იქითაც ზღვარი «მე»-სა და «შენ»-ს შორის ფაქტობრივად იშლება. ეს არის ყველა შეყვარებული ადამიანისა და მისტიკოსის სწრაფვა იმ ტრანსცენდენტური თუ ღვთაებრივი სამყაროსაკენ, რომელთან ქვეცნობიერი შერწყმაც მას დედასთან ურთიერთობის ბავშვობისდროინდელ სამყაროში დააბრუნებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ დროს სწორედ ამ ურთიერთობიდან მიღებულ გამოცდილებას ენიჭება. ჯანმრთელ ადამიანს, რომელსაც სუსტი დეპრესია აღენიშნება, დიდი სიყვარულის, ერთგულების და საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვის უნარი გააჩნია; მას შეუძლია, პარტნიორთან ერთად გადალახოს ნებისმიერი სიძნელე, და, ასევე, უპირობოდ გამოხატოს საკუთარი გულწრფელობა და კეთილგანწყობა.

ღრმა დეპრესიით შეპყრობილ ადამიანებში სიყვარულის განცდას «დაკარგვის შიში» გადასძლევს. ამ დროს საქმე ეხება ისეთ პარტნიორულ ურთიერთობას, რომელსაც უმთავრესად დეპრესიის ორი კონკრეტული ფორმა გააჩნია და დაახლოებით ასე გამოიყურება: ადამიანი ცდილობს, თავისი პარტნიორის ცხოვრებით იცხოვროს და მასთან სრულ იდენტიფიკაციას ახდენს, რომლის დროსაც ადამიანებს შორის ურთიერთობა სიახლოვის მართლაც მაღალ ხარისხს აღწევს; ადამიანი თითქოს მეორე ადამიანად გარდაიქმნება, აღარ არსებობს როგორც ცალკე პიროვნება და საკუთარი ცხოვრება აღარ გააჩნია; ამ დროს იგი მეორე ადამიანის ფიქრებს, გრძნობებს და განცდებს გამოხატავს და შეუძლია პარტნიორის ნებისმიერი სურვილი «მის თვალეში ამოიკითხოს». დეპრესიულმა პიროვნებამ იცის, რაზე შეიძლება თქვას უარი მისმა პარტნიორმა, ან რა უშლის ხელს და მზადაა, ყველა სიძნელე მასთან ერთად გადალახოს. მოკლედ, დეპრესიულ ადამიანს საკუთარი ცხოვრებით ცხოვრება თითქოს სახიფათოდ მიაჩნია და ამაზე ფიქრი მასში მეორე ადამიანის «დაკარგვის შიშს» იწვევს. ამრიგად, იგი მთლიანად შეერწყმის პარტნიორს, მისდამი თავგანწირულ სიყვარულსა და ერთგულებას გამოხატავს. ამგვარი სიყვარულის ჭეშმარიტი არსი იმით შეგვიძლია განვსაზღვროთ, არიან თუ დეპრესიული პიროვნება თავს «საკუთარ ღერძზე ტრიალს», თუ ცდილობს თავი დააღწიოს «დაკარგვის შიშს», გააცნობიეროს სიყვარულთან დაკავშირებული საფრთხეები და ყოფნის თუ არა გამბედაობა, საკუთარ თავსაც და პარტნიორსაც მისცეს განვითარების საშუალება, თან ამ დროს ის ისევ უყვარდეს? ამ შემთხვევაში თითქოს ხდება სრული განზოგადება

გამოთქმისა: «შენ საითაც წახვალ, მეც იქით გამოგყვები». ასეთი ურთიერთობა, ბევრი თვალსაზრისით, ნამდვილად ხელსაყრელია, მაგრამ, ვინც პარტნიორისგან უფრო მეტს მოითხოვს და არ სურს, მასში მხოლოდ საკუთარი პიროვნების აჩრდილს ან მუდმივად მორჩილ მსახურს ხედავდეს, მას ამგვარი ურთიერთობა არ დააკმაყოფილებს და იმედგაცრუებული დარჩება, როდესაც იგრძნობს, რომ მისმა პარტნიორმა «დაკარგვის შიშით» საკუთარ თავზე უარი განაცხადა და, ფაქტობრივად, თავის ბავშვობისდროინდელ პერიოდს დაუბრუნდა. რაკი დეპრესიული პიროვნება საკუთარ ფუნქციებს პარტნიორს გადაულოცავს, რაც კონკრეტულად თავად უნდა შეესრულებინა, იგი სულ უფრო დამოკიდებული ხდება მასზე და მის გარეშე საშინელ უმწეობას გრძნობს; დროდადრო კი მის დახმარებას ცდილობს, რათა უფრო საიმედოდ «გამოიჭიროს» იგი. დეპრესიული პიროვნება ამ დროს პარტნიორთან გაუცნობიერებლად ისეთ ურთიერთობას ამყარებს, რომელიც ბავშვობაში მასსა და მშობლებს შორის არსებობდა; ამიტომ ხშირია ქორწინებები, რომელთა საფუძველსაც ამგვარი პარტნიორული ურთიერთობები შეადგენს. იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც დეპრესიული პიროვნება დაქვრივების შემდეგ კვლავ ქორწინდება, თუმცა გარდაცვლილი მეუღლე თავისებურად უყვარდა. ასეთი ადამიანები დამოუკიდებლად ცხოვრებას ვერ ეგუებიან და ნებისმიერ პარტნიორს მთლიანად მიენდობიან ხოლმე. როგორც ჩანს, აქ ის სიმპტომი მოქმედებს, რომლის დროსაც დეპრესიული პიროვნება ცდილობს «მე»-სა და «შენ»-ს შორის ყოველგვარი ზღვარი წაშალოს და ისინი ერთმანეთს შეურწყას; როგორც ერთმა დეპრესიულმა პიროვნებამ თქვა: «ამ დროს ადამიანმა აღარ იცის, სად მთავრდება თვითონ და სად იწყება ის «სხვა». დეპრესიული პიროვნება სიამოვნებით გაერთიანდებოდა ერთ არსებად მეორე ადამიანთან ან «სიყვარულით შესანსლავდა» მას ისე, რომ თავს არ დაკარგავდა და პიროვნებადაც დარჩებოდა; მაგრამ პრობლემას ქმნის ის, რომ დეპრესიული პიროვნება თავს არიდებს ინდივიდუაციის პროცესს და არც პარტნიორს აძლევს მასში მონაწილეობის საშუალებას.

პარტნიორული ურთიერთობის დროს ხშირად გავიგონებთ ასეთი გამონათქვამს – «ჩემი სიყვარული შენ რაში გეხება?» ამ სიტყვებში აშკარად ჩანს «დაკარგვის შიშისაგან» გათავისუფლების მცდელობა: პარტნიორი თავისუფალია და შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც მოესურვება; დეპრესიულ ადამიანს საკუთარი სიყვარულის გრძნობა ბოლოს და ბოლოს პარტნიორზე მეტად უღირს, ამიტომ მხოლოდ თავისთავზე და ამ სიყვარულზეა მიყურადებული; ამდენად, მას შეუძლია ამ გზით მარადიულ სიყვარულს ეზიაროს.

პარტნიორობის უფრო რთულ ფორმას ე.წ. «დამაშანტაჟებელი» ანუ გამომძალველი სიყვარული წარმოადგენს. დეპრესიული პიროვნება ამ გრძნობას სიამოვნებით ნიღბავს საგანგებო მზრუნველობით, მის მიღმა კი მბრძანებლობის სურვილს მალავს, რაც ისევ და ისევ «დაკარგვის შიშით» არის გამოწვეული. როდესაც დეპრესიული პიროვნება სურვილს ვერ ისრულებს, იგი უფრო მკაცრ საშუალებებს (მაგ., თვითმკვლელობის მუქარასაც კი) მიმართავს, თუმცა ცდილობს, პარტნიორს, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის გრძნობა შთაუწეროს, და, თუ ესეც ამაო აღმოჩნდა, დეპრესიული პიროვნება სასოწარკვეთილებაში ვარდება და ამბობს: «თუ შენ აღარ გიყვარვარ, თავს არ ვიცოცხლებ». ამით იგი პარტნიორს მიანიშნებს, რომ მას პასუხისმგებლობა ეკისრება ადამიანის სიცოცხლეზე. იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორი სისუსტეს გამოავლენს, დანაშაულს იგრძნობს და სიტუაციას ალღოს ვერ აუღებს, შესაძლოა, სიტუაცია გართულდეს და ტრაგედია დატრიალდეს. არსებობს ისეთი სიტუაციებიც, როდესაც პარტნიორი იძულებულია, მხოლოდ შიშის, სიბრაღის და დანაშაულის გრძნობის გამო შეინარჩუნოს ურთიერთობები დეპრესიულ პიროვნებასთან, თუმცა ამის მიღმა მისდამი სიძულვილს და მისი სიკვდილის სურვილს მალავს. ამ დროს შანტაჟის იარაღი შეიძლება ავადმყოფობაც გახდეს, რასაც, არცთუ იშვიათად, ტრაგიკული ფინალი მოსდევს.

ჩვენ ისევ დავინახავთ, რომ დეპრესიული პიროვნებების შიშებსა და კონფლიქტებს მნიშვნელოვანი ზოგადი საფუძველი გააჩნია; გამოდის, რომ ადამიანს, რაც უფრო ძლიერად

უყვარს, მით უფრო მეტი აქვს დასაკარგი; იგი ნებისმიერი საფრთხის დროს თავშესაფარს სიყვარულში ეძებს და მისი პოვნის იმედი აქვს. ჩვენ ასევე დავინახეთ, რომ ინდივიდუალურად უარისთქმა «დაკარგვის შიშს» ვერ აქრობს; პირიქით, როდესაც დეპრესიული პიროვნება საკუთარ არსს უარყოფს, ისევ იმ სიტუაციას უბრუნდება, საიდანაც თავის დაღწევას ცდილობდა. ადამიანებს შორის პარტნიორობა კარგად გააზრებული მანძილის არსებობას მოითხოვს, რათა ორივე მხარემ დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს და განვითარება შეძლოს. ჭეშმარიტი პარტნიორობა მხოლოდ ორ დამოუკიდებელ ინდივიდს შორის ურთიერთობას ნიშნავს; თუ ერთ-ერთი პარტნიორი მეორეზეა დამოკიდებული, იგი იმ ობიექტად გადაიქცევა, რომელიც საკუთარ თავს არ ენდობა და ფიქრობს, რომ დამოუკიდებელ პარტნიორად არ გამოდგება. დეპრესიულ პიროვნებას სწორედ ეს უქმნის მის გვერდით მყოფი ადამიანების დაკარგვის საფრთხეს, რადგან სხვაზე დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი პატივისცემას უგულვებელყოფს და ადამიანი დგება საშიშროების წინაშე, რომ პარტნიორის პატივისცემას დაკარგავს; ამის შედეგად კი დეპრესიულ პიროვნებას უჩნდება გრძნობა, რომ მისი გამოყენება «მთლიანი დატვირთვით» არ სურთ. მეორე მხრივ, ვინც ცდილობს პარტნიორი უმწეო ბავშვად აქციოს, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ის როდესმე შეეცდება ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას და მოინდომებს, მასაც სერიოზულად მოეკიდონ. შესაძლებელია, მან ამ დროს ტოლერანტობის ზღვარს გადააბიჯოს, და მაშინ მის სიყვარულს სიძულვილი შეცვლის. ასეთი სიტუაცია ორივე პარტნიორში «ნევროზის» ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ურთიერთობაში სტაგნაცია დაისადგურებს და მისი შემდგომი განვითარება აღარ მოხდება. ამ სიტუაციაში თითქმის ზუსტად ხდება ბავშვებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობის განმეორება.

დეპრესიული პიროვნება ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს სექსუალობას. მის მთავარ საზრუნავს სიყვარული, კეთილგანწყობა და სინაზე შეადგენს. თუ პარტნიორი მის ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, დეპრესიულ პიროვნებას მასთან ფიზიკური სიახლოვეც სიამოვნებს და ფიქრობს, რომ სიყვარულში არ შეიძლება რაიმე სახის აკრძალვა არსებობდეს. იმ დეპრესიული პიროვნებებისთვის, რომლებიც მეტისმეტად დამოუკიდებლები არიან, დასაშვებია მაზოხიზმის ნებისმიერი ფორმა, რაც, არცთუ იშვიათად, პარტნიორის სრულ მორჩილებას გულისხმობს. ამასთან, ბევრი მათგანი ფიქრობს, რომ ეს ერთადერთი საშუალებაა პარტნიორის შესანარჩუნებლად, რადგან ადამიანი ამ დროს მთლიანად მიენდობა მის ნება-სურვილს.

არ არსებობს ზოგადი წესი, რომელიც დაადგენდა, რა სახის თავისუფლება სჭირდება ადამიანს ან რა არის მისთვის მისაღები და მიუღებელი. ყველა შემთხვევაში იგი საკუთარი გადაწყვეტილების მიხედვით მოქმედებს. თავად ადამიანების ცხოვრება, ემოციები თუ სოციალური პირობები იმდენად განსხვავებულია, რომ პარტნიორული ურთიერთობების დროს რთულია მათთვის მისაღები მოთხოვნების წამოყენება, მით უფრო, რომ ზოგიერთი მათგანი ნორმიდან გადახრილია და არცთუ მთლად ჯანსაღად აზროვნებს. ამიტომ, ჩვენი მხრივ, კეთილგონიერება და გულისხმიერება უნდა გამოვიჩინოთ და სიყვარულის იმ ფორმებსაც პატივისცემით მოვეკიდოთ, რომლებიც ჩვენთვის მიუღებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწორედ იმ ადამიანების განსჯა მოგვიწევს, რომლებმაც ბავშვობის მძიმე წლები გამოიარეს და მოგვიანებით ვეღარ შეძლეს სრულყოფილი სიყვარულის განცდა; ახლა კი გამოდის, რომ ისინი ამისათვის უნდა დაისაჯონ.

დეპრესიული ადამიანი და აგრესია

ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ დეპრესიული ადამიანი ძნელად ართმევს თავს აგრესიებს და აფექტებს, რაც მას დიდ პრობლემებს უქმნის. განა შეიძლება იგი აგრესიული იყოს და თავის დამკვიდრებას ცდილობდეს, როდესაც მთელი არსებით «დაკარგვის შიშითაა» შეპყრობილი, სხვაზეა დამოკიდებული და, ამრიგად, სიყვარულის ამარაა დარჩენილი? ასეთი ადამიანი ვერ მიიტანს იერიშს იმაზე, ვიზეც დამოკიდებულია და ვინც მას სჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მან მოჭრას ტოტი, რომელზეც ზის. მეორე მხრივ, აგრესიები და აფექტები ყოველთვის იარსებებს, ვიდრე არსებობს სამყარო და ადამიანი, რადგან მათი მეშვეობით სწორედ ადამიანის არსის ბუნებრივი გამოვლინება ხდება. მაგრამ რა უნდა მოუხერხოს ადამიანმა საკუთარ აგრესიებს, რომლებიც უკვე სახიფათო სახეს იღებს?

ამის ერთ-ერთ შესაძლებლობას მათთვის თავის არიდება წარმოადგენს. ამის მიღწევას ადამიანი, ალბათ, იმ შემთხვევაში მოახერხებს, თუ საკუთარ თავში «მშვიდობიანობის იდეოლოგიას» შეიმუშავებს. ეს დაეხმარება მას, რომ თავად აგრესია და მისი გამომწვევი მიზეზი საკუთარ თავშიც და მის გარეთაც აღარ აღიქვას. როდესაც დეპრესიულ ადამიანს შეუძლია საკუთარი მოსაზრება გამოთქვას და არგუმენტებით გაამყაროს, სიტუაცია უეცრად გამწვავდება, თუ ვინმე მის მოსაზრებას არასწორად გაიგებს ან სხვა მნიშვნელობას მისცემს. მაგრამ ამ დროს

დეპრესიული პიროვნება ფიქრობს: განა ღირს ახლა რაღაც წვრილმანის გამო აგრესიის გამოხატვა? და გარკვეულ დათმობაზე მიდის; რაც უფრო მეტად ექცევა დეპრესიული პიროვნება ამ იდეოლოგიის ჩარჩოში, თავს იმცირებს, წინააღმდეგობის გაწევას ვერ ახერხებს და საკუთარი აფექტების გამოხატვა არ შეუძლია, მით უფრო მეტად ხდება იძულებული, ასეთი საქციელის კომპენსაცია მორალური უპირატესობით მოახდინოს, თუმცა ამასობაში ვერ აცნობიერებს, რომ ესეც აგრესიის ერთ-ერთი ფორმის სუბლიმაციას წარმოადგენს. ამგვარმა მოთმინებამ, შესაძლოა, დეპრესიული ადამიანი სულიერი, მორალური და სექსუალური მაზოხიზმის მდგომარეობამდე მიიყვანოს. ამასთან, უჩვეულო ურთიერთმონაცვლე პროცესები ხდება, როდესაც იდენტიფიკაციის დროს ერთი პარტნიორი მეორეს ისეთ გრძნობებს გადასცემს, რაც თავად არასოდეს განუცდია და თავში აზრად არ მოსვლია. თუ დეპრესიულ პიროვნებას მკაცრი, მომთხოვნი და აგრესიული პარტნიორი ჰყავს, იდენტიფიკაციის დროს მხოლოდ საკუთარ, დათრგუნულ იმპულსებს კი არ გადასცემს, არამედ მორალური უპირატესობის განსაკუთრებით ძლიერი გრძნობაც უჩნდება: ის ფიქრობს, რომ იგი, როგორც დაჩაგრული და ტანჯული ადამიანი, სხვებზე უკეთესია, და დარწმუნებულია, რომ დანაშაულად არ ჩაეთვლება, თუ სხვას რამეში დაადანაშაულებს. ამასთან, შესაძლოა, ეს ცალმხრივად განცდილი «სათნოება» ეჭვქვეშაც დავაყენოთ. როდესაც ერთ ადამიანს თავი ტანჯულად მოაქვს, ამით მეორე ადამიანს თავისდაუნებურად დამნაშავედ წარმოადგენს, რაც სადომაზოხისტური ურთიერთობის სახეს იღებს: «წმინდანი» მწვალეზლად გადაიქცევა, «ცოდვილი» კი – წამებულად. «მსხვერპლი დამნაშავეა, მკვლელი – უდანაშაულო» – ასეთი სახელწოდება აქვს ფრანც ვერფელის ერთ-ერთ თეატრალურ პიესას. როდესაც დეპრესიული პიროვნება თავისი მორჩილებითა და თვინიერებით პარტნიორს ხელს უწყობს, რომ იგი აგრესიული და «ბოროტი» გახდეს, ამით მას დამნაშავედ აქცევს და სულ უფრო მეტად აღვიძებს მასში დანაშაულის გრძნობას. თუ ამას ისიც ემატება, რომ დეპრესიული პიროვნება ავად ხდება, პარტნიორი დანაშაულის გრძნობისგან ვეღარ თავისუფლდება; მაშინ, როცა დეპრესიული ადამიანი მსხვერპლის როლში გამოდის, იმ დროს შეიძლება მოვლენები ტრაგიკულად განვითარდეს და მან აფექტები ერთობ ინტენსიურად გამოავლინოს, რაც მის მძიმე დეპრესიაზე მიგვანიშნებს, თუმცა თავად იგი ამას ვერ აცნობიერებს და, ალბათ, ძალიან შეეშინდება, თუ ამის შესახებ შეიტყობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეპრესიული პიროვნებები თვით ყველაზე მზრუნველი სიყვარულის მიღმაც კი ქვეცნობიერ აგრესიებს მალავენ; მათ შეუძლიათ ამ დროს პარტნიორს მზრუნველობით «სული ამოხადონ» ან მასზე უბრალოდ «ნაზად იძალადონ».

ქვეცნობიერი აგრესიებით ხასიათდება აგრეთვე დეპრესიული აგრესიის ის სახეობა, რომელიც წუწუნით, ჩივილით და მოთქმა-ვაებით გამოვლინდება. დეპრესიული პიროვნება ვერ აცნობიერებს, რა დამთრგუნველად შეიძლება იმოქმედოს ამან პარტნიორზე. იგი ამ დროს მოთქვამს, რომ მას ყველაფერი მობეზრდა, რომ ადამიანები ბოროტები და დაუნდობლები არიან; ამასთან, სახეზე აწერია, რომ ყველაფერში ბრალს უსიტყვოდ სდებს პარტნიორს და ცდილობს, მასში დანაშაულის გრძნობა გააღვიძოს, რათა ეს უკანასკნელი აიძულოს, მეტი ყურადღებითა და გულისხმიერებით მოეკიდოს მასთან ურთიერთობას; ზოგჯერ პარტნიორს ბეზრდება ასეთი ურთიერთობა და თავისუფლდება დანაშაულის გრძნობისაგან, რომელსაც დეპრესიული ადამიანი მას თავს ახვევდა.

იმ შემთხვევაში, თუ აგრესია ვერც ერთი აქ მითითებული გზით ვერ გამოვლინდება, იგი დეპრესიულ პიროვნებაში თვითბრალდების სახეს მიიღებს, რაც ყველაზე ხშირად მეღანქოლიკებს ახასიათებთ. იმ აგრესიას, რომელიც დეპრესიულ პიროვნებაში საკუთარი, გადაუჭრელი კონფლიქტების გამო დანაშაულის გრძნობას და სიყვარულის დაკარგვის შიშს იწვევდა, ასევე სხვა ადამიანებისადმი თავდაპირველად წაყენებულ ყველა ბრალდებას, საყვედურსა თუ სიძულვილს, ეს ადამიანი ახლა საკუთარ თავზე იქამდე მიმართავს, ვიდრე თვითსიძულვილს არ იგრძნობს და, შეგნებულად თუ შეუგნებლად, თვითგანადგურებას არ მიაღწევს. ამგვარი თვითგანადგურება კი ნამდვილად ტრაგიკულ ხასიათს ატარებს და დეპრესიული პიროვნების ბავშვობისდროინდელ, ოდესღაც გამართლებული სიძულვილისა და შურის გრძნობებს უკავშირდება. ამ გრძნობების აშკარად გამოხატვა მას არასოდეს შეეძლო, რადგან იცოდა, რომ ამით მდგომარეობას უფრო გაირთულებდა, ეს კი მის ყოფას სრულიად გაუსაძლისს გახდიდა. რაკი ამ ადამიანს აფექტებისაგან გათავისუფლების არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდა, იგი თვითბრალდებას მიეცა და იძულებული იყო, ეს აფექტები საკუთარ თავზე სასჯელის სახით გადმოენთხია. დიდი ტრაგედიები ადამიანის ცხოვრებაში სწორედ ბავშვობის პერიოდში დატრიალდება ხოლმე. ამ დროს უყურადღებოდ დარჩენილ, დაუცველ ბავშვს სიყვარულის დაკარგვის შიში და სიძულვილის გრძნობა იპყრობს და ამ სახიფათო სიტუაციაში საკუთარი აგრესია მისთვის მძიმე ტვირთად გადაიქცევა.

ამრიგად, მომავალი დეპრესიული პიროვნება ადრეულ პერიოდში ვერ სწავლობს, როგორ უნდა მოექცეს საკუთარ აგრესიებს; ამას კი მოგვიანებით, ჩვეულებისამებრ, ის შედეგი მოჰყვება, რომ იგი ძალიან გვიან აცნობიერებს ან საერთოდ ვერ გრძნობს, სად და რა სიტუაციაში უნდა გამოავლინოს თავისი აგრესია, რადგან ამასთან დაკავშირებით მას მცდარი წარმოდგენები ჩამოუყალიბდა. რაკი დეპრესიულმა პიროვნებამ არ იცის, რომ მიზნის მისაღწევად თავის დამკვიდრება ან საკუთარი აზრის გატანა სჭირდება, ამიტომ მას წარმოდგენა არა აქვს, რომ ეს მეტისმეტად დიდ, აგრესიულ ძალას მოითხოვს, რომელიც მას არ გააჩნია. დეპრესიული პიროვნება მეტისმეტად გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს იმ შედეგებსაც, შიშთან და თვითბრალდების მზაობასთან დაკავშირებულ აგრესიას რომ მოჰყვება ხოლმე. მას თავისი შიში მუდმივად იმ ბუმერანგს აგონებს, რომელიც გაორმაგებული ძალით შემოუბრუნდება. დეპრესიული პიროვნება ვერ აცნობიერებს, რომ ზოგჯერ მხოლოდ მკაცრი მზერით ან სათანადო ქცევით შეიძლება დაიმსახუროს პატივისცემა, რადგან არ იცის, სად გადის ის ზღვარი, რომლის მიხედვითაც იგი აგრესიის შედეგებს ზუსტად შეაფასებდა. არადა, სწორედ ამ ზღვრის ცოდნის შემთხვევაში შეძლებდა ახალი გამოცდილების მიღებას საკუთარ აგრესიებთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ დეპრესიულ ადამიანში აგრესიის გამოხატვა ისეთი თვისებების საფუძველზე ხდება, როგორიცაა: საგანგებო მზრუნველობა, იდეოლოგიზირებული

თავმდაბლობა, სიმშვიდისა და მორჩილებისადმი მზაობა, წუწუნა, მოთქმა და მოთმინება. ამ ნუსხას ემატება შემდეგი თვისებები: საკუთარი თავის საყვედური, თვითბრალები, თვითდასჯა და, ბოლოს, თვითგანადგურება. საკუთარი თავისადმი მიმართული აგრესია ასევე გულისხმობს ზემოხსენებულ სომატიზაციას. ზოგიერთ მძიმე და უკურნებელ სენს, შესაძლოა, ისეთი ფსიქოდინამიური საფუძველი ჰქონდეს, როგორცაა საბოლოო, ქვეცნობიერი თვითდასჯის გრძნობა, რომელსაც ახლავს თვითგანადგურების შურისძიება.

იმ აფექტებს და აგრესიებს, რომელთა გამოხატვასაც დეპრესიული ადამიანი ვერ ახერხებს, მარეგულირებელი მექანიზმები არ გააჩნიათ. ისინი დეპრესიულ პიროვნებას მხოლოდ ტანჯვას კი არ აყენებენ, არამედ მასში საერთოდ ასუსტებენ ყოველგვარ იმპულსებს, პასიურობას და გულგრილობას იწვევენ. ეს აფექტები და აგრესიები ასევე დათრგუნული აგრესიულობის შედეგსაც წარმოადგენს და მათი ახალი, მეორადი დათრგუნვის მიზეზი ხდება. სიძულვილი და შური ბავშვის ცხოვრების ასევე აუცილებელ ნაწილს შეადგენს, მაგრამ ისინი საფრთხეს მხოლოდ მაშინ ქმნიან, როდესაც შინაგანად ერთად იყრიან თავს და დეპრესიისთვის ამზადებენ ნიადაგს. უმწეო გააფთრება, იმედგაცრუებით გამოწვეული აგრესიები, სიძულვილისა და შურის განცდა, რომელსაც საკუთარ თავში ვახშობთ, ჩვენს შემდგომ ცხოვრებას კიდევ უფრო დეპრესიულს და დათრგუნულს ხდის, რადგან შებოჭილები ვართ და უმწეობის გამო არა გვაქვს ამ გრძნობების გამოხატვის უფლება. თუ ბავშვი ისწავლის თავისი აფექტებისა და აგრესიების მართვას, მხოლოდ ამ შემთხვევაში მიხვდება, სიტუაციის შესაბამისად, როგორ გამოიყენოს ისინი ან როდის თქვას მათზე უარი. დეპრესიის საწყისი ნიშნები, რასაც დროულად უნდა მიექცეს ყურადღება, შემდეგია: ბავშვი ამ დროს არაბუნებრივად მშვიდი და თვინიერია; არაფერში იჩენს ინიციატივას და აქტიურობას, მოწყენილია და გარესამყაროსთან ურთიერთობა უჭირს; ყოველგვარი აქტიური ქმედება ალაგზნებს, მტკივნეულად რეაგირებს მარტო დარჩენაზე.

ადამიანი აგრესიის გამოვლინების სწორ ფორმას მხოლოდ მაშინ გამოიმუშავებს, თუ იგი აგრესიულობის მეშვეობით ცხოვრებისეულ გამოცდილებას შეიძენს. ჯანსაღი და სწორად გამოვლენილი აგრესიულობა პიროვნების თვითშეფასებისა და ღირსების მნიშვნელოვანი ნაწილია და ადამიანის ჯანსაღი სიამაყის საფუძველს შეადგენს. დეპრესიული ადამიანების თვითშეფასების შეზღუდულ უნარს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს არამდგრადი და არასწორად გამოხატული აგრესიულობა. როგორც გოეთე თავის «არჩევით ნათესაობაში» ამბობს: «დიდი შურისგან ადამიანის ხსნა მხოლოდ სიყვარულს ძალუმს». ეს იმ შურის სუბლიმაციაა, რომლის გაცნობიერებაც ბავშვს ჯერ არ შეუძლია.

ახლა გვინდა, კვლავ დავსვათ კითხვა: როგორ ხდება დეპრესიული პიროვნების განვითარება და რატომ ენიჭება ადამიანში «დაკარგვისა» და პიროვნებად ჩამოყალიბების «შიშს» ასეთი დიდი მნიშვნელობა?

ცხოვრებისეული სივრცე

ადამიანის კონსტიტუციის მიმართ გამოჩენილმა განსაკუთრებულმა ყურადღებამ და ემოციურმა, თბილმა გუნება-განწყობამ შეიძლება სიყვარულის უნარი გააღვიძოს და დიდი, ღრმა გრძნობებისადმი მზაობა გამოიწვიოს. ეს თვისებები ხშირად უკავშირდება გარკვეულ გულცივობას და გრძნობებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას; ეს კი ხელს უშლის დეპრესიულ ადამიანს, გათავისუფლდეს ნებისმიერი რამისგან, რაც მისთვის მნიშვნელოვანია, ან დიდ ძალისხმევად დაუჯდა. ამრიგად, დეპრესიული ადამიანი წარმოადგენს ისეთი გრძნობების მქონე სტრუქტურას, რომელიც ესწრაფვის ერთგულებას, თავდადებას და სიყვარულს, რასაც ხშირად ვხვდებით ოდნავ მელანქოლიურად განწყობილ ადამიანებთან. ამასთან, ღიად რჩება საკითხი, რამდენად შეუძლიათ ამ თვისებების მქონე ადამიანებს, თავიდან აიცილონ, ანდა თუნდაც შეამცირონ ის საფრთხე, რომელიც მათ ხელს უშლის, საკუთარი მიდრეკილებების თანახმად იცხოვრონ. ეს ადამიანები აგრესიას საკუთარ თავზე მიმართავენ, რადგან ხედავენ, რომ ცხოვრებაში საკუთარი თავის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ამ ბუნებით მშვიდ, კეთილ და მშვიდობიან ადამიანებს «იდაყვებით» თავის გატანის უნარი არ გააჩნიათ. მეორე კონსტიტუციურ კომპონენტად შეიძლება დავასახელოთ დაუცველობა, მგრძნობიარობა, მოწყლულობა და «გაშიშვლებული კანი», რის გამოც ამ ადამიანებს დაცვა სჭირდებათ; ამასთან, ისინი გაუცნობიერებლად მოითხოვენ მშობლიურ მზრუნველობას. გარდა სიყვარულისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე მათი თანდაყოლილი მიდრეკილება ფლეგმატურობისა და გუნება-განწყობის ფაქტორებისადმი, თუმცა ძნელია იმაზე პასუხის გაცემა, რა განაპირობებს მათ გუნება-განწყობას და რა რეაქციებს იწვევენ ისინი.

აქ კვლავ ხდება კონსტიტუციური და ცხოვრებისეული ფაქტების ურთიერთგადაკვეთა. ვითარებას უკეთ ჩავწვდებით, თუ გავითვალისწინებთ ბავშვის მდგომარეობას მისი განვითარების მეორე ფაზაში. ადრეული ფაზისგან განსხვავებით, როდესაც ბავშვი ნელ-ნელა იწყებს სამყაროს აღქმას, მას ამ დროისთვის უკვე შეცნობილი ჰყავს დედა, როგორც მისი ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილების წყარო. ახლა ბავშვისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ იგი იმედიანად ელის დედის დაბრუნებას, და ისიც სისტემატურად ბრუნდება და იმყოფება მასთან. ბავშვი და დედა ერთად დიდხანს ქმნიან ერთ მთლიანობას, როგორც ეს ჩამოაყალიბა კიუნკელმა. მისი აზრით, დედა და შვილი სიმბიოზში ცხოვრობენ და ისეთ ერთობას ქმნიან, რომელსაც ბავშვი ნელ-ნელა ემიჯნება. ბავშვის ცნობიერებაში თავდაპირველად არ არსებობს ზღვარი მასსა და დედას შორის; ბავშვი დედას გაიაზრებს როგორც არსებას, რომელიც მის ნებისმიერ მოთხოვნას აკმაყოფილებს და მას ბედნიერებას ანიჭებს; ის გრძნობს, რომ დედაზეა დამოკიდებული და ეშინია, კვლავ არ გაუჩინარდეს. ბავშვი დედის სურათ-ხატს და მის არსებას მთელი გრძნობით აღიქვამს და ამ დამოკიდებულებიდან გათავისუფლების შემდეგაც დედის სურათ-ხატი დიდხანს აქვს ღრმად ჩაბეჭდილი გულში. ასე ხდება დედის «გათავისება», რის შემდეგაც იგი ბავშვის სულიერ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. დედისადმი განწყობის მიხედვით, შეიძლება გავიგოთ, რა განწყობა აქვს ბავშვს საკუთარი თავის მიმართ. მის მიერ დედის შინაგანი სურათ-ხატის შექმნას ფსიქოანალიზი «ინტროექციას» ანუ «ინკორპორაციას» უწოდებს; მასში ინდივიდუალიზებული დედობრივი გამოცდილება ჩვენს იმ განწყობაში აისახება, რომელიც საკუთარი თავის მიმართ გაგვაჩნია. ვისაც ჰქონია ბედნიერება, წარმოედგინა მოსიყვარულე დედის სურათ-ხატი, ის საკუთარ თავს სიყვარულის ღირსად მიიჩნევს; მაგრამ, ვისაც ბედმა არ გაუღიმა, და მკაცრი, სასტიკი დედა უნდა წარმოიდგინოს, რომელმაც უარყო შვილი, ის ფიქრობს, რომ საერთოდ არ არის სიყვარულის ღირსი. ასეთმა ადამიანმა ცხოვრების დიდი გზა უნდა გაიაროს, რათა ბოლოს და ბოლოს მიხვდეს, რომ ისიც იმსახურებს სიყვარულს. ამრიგად, მოსიყვარულე დედის სახით მიღებული გამოცდილება ადამიანისათვის ფასდაუდებელ საუნჯეს წარმოადგენს.

დედასთან კარგი ურთიერთობის დროს არსებობს სიყვარულის გაცემისა და მიღების ორმხრივი კავშირი, რაც მათი ბედნიერების საწინდარია. ბავშვის გულში ექოსავით ხმიანობს ყველაფერი, რაც დაკავშირებულია დედასთან. იგი დედის ღიმილს ღიმილითვე უპასუხებს, ხოლო მისი ღიმილი დედის ღიმილს იწვევს. ის შინაგანი ურთიერთკავშირი, რომელიც ორ ადამიანს შორის გაგებინების საშუალებაა, ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რაც ცხოვრებაში შეიძლება შეიგრძნოს ადამიანმა; და ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ეს არის ადამიანის მაღლიერების, იმედისა და კეთილგანწყობის სათავე. ბავშვი ამ დროს ჯერ კიდევ თავისი ცხოვრების «სამოთხისეულ» ხანაში იმყოფება; ეს ის ხანმოკლე პერიოდია, როდესაც მისგან არაფერს მოითხოვენ, მის ყოველ სურვილს ასრულებენ და ისიც ტკბება საკუთარი არსებობით.

ბავშვი სწორედ თავისი ცხოვრების ამ მეორე ფაზაში გრძნობს, რომ სიახლე ხდება და იგი მეორე ადამიანზეა დამოკიდებული; ის ამ ადამიანს ენდობა და თავის ახლობლად მიიჩნევს; ეს ადამიანი, ჩვეულებისამებრ, დედაა, რომელმაც ბავშვს იმის შესაძლებლობა უნდა მისცეს, რომ მან დედის სურათ-ხატი «გულში ჩაიბეჭდოს», რადგან ამის წყალობით ბავშვს იმავდროულად ექმნება შთაბეჭდილება, საერთოდ, ადამიანსა და ადამიანურობაზე. დედის ქცევასა და მის ხასიათზეა დამოკიდებული, როგორ სამყაროში აღმოჩნდება ბავშვი, თავიდანვე კეთილგანწყობას იგრძნობს იგი თუ უგულვებელყოფას, სიყვარულს თუ სიძულვილს, რადგან ბავშვის გრძნობები ამ დროს ყველაზე ნატიფ შთაბეჭდილებებზე აისახება, საკუთარი თავისადმი მისი დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვნად «ცალმხრივ მიმართულებას» იღებს და შემდგომში მის თვითშეფასების უნარს მტკიცე საფუძველს უქმნის იმ პრინციპის თანახმად, რომ «ქვევს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებს».

ახლა კი უნდა დავსვათ კითხვა: რა შეიძლება იყოს ამ ფაზაში იმ დარღვევების მიზეზი, რის გამოც ადამიანი საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვის იმპულსს, სიხარულის ნაცვლად, შიშითა და დანაშაულის გრძნობით უპასუხებს? ამ შემთხვევაში უნდა დავასახელოთ დედისთვის დამახასიათებელი, ორი უმართებულო და არასწორი საქციელი, როგორცაა «განებივრება» და «აკრძალვა».

როდესაც «განებივრებაზე» ვლაპარაკობთ, იმ ძალიან პატარა ბავშვების დედებს ანუ «კრუხ დედებს» ვგულისხმობთ, რომლებიც ბედნიერად იგრძნობენ თავს, თუ მათი შვილები «ჩვილის» ასაკს არ გასცდებიან, სამუდამოდ უმწეოები და უსუსურები დარჩებიან და დედაზე იქნებიან დამოკიდებული. ეს ის დედები არიან, რომლებიც ხშირად დეპრესიული პიროვნული სტრუქტურით გამოირჩევიან და ცხოვრებას გაუცნობიერებელი შიშით უყურებენ. ისინი ბავშვს ანებივრებენ, გადაჭარბებული ალერსითა და სინაზით ექცევიან, არაფერს უშლიან და უკრძალავენ.

ხანდახან ამას საბედისწერო გარემოებებიც ემატება; ასე, მაგალითად, ქალები, რომლებსაც ქორწინებამ იმედი გაუცრუა, ან რომლებმაც პარტნიორი დაკარგეს, თავიანთი ცხოვრების აზრს მხოლოდ შვილებში ხედავენ. შვილის სიყვარული მათთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და მისთვის თავს არ ზოგავენ. მაგრამ ფიქრობენ, რომ ეს ზრუნვა შვილმაც მაღლიერებით უნდა მიიღოს. ბავშვისთვის კი, ასაკის მომატებასთან ერთად, ასეთი დედა სულ უფრო პრობლემური ხდება; დედა შიშით ადევნებს თვალს შვილის ზრდას და განვითარებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვი დამოუკიდებელი ხდება, მალე დედა საერთოდ აღარ დასჭირდება და სხვა ადამიანებთან დაიწყებს ურთიერთობას. ასეთ დედას შვილის შენარჩუნება სურს და ნატრობს, რომ იგი მუდმივად პატარა იყოს; ეს სურვილი ღრმა დედობრივ ინსტინქტს უკავშირდება, მაგრამ ამ დროს არც ის დიდი მსხვერპლი უნდა დავივიწყოთ, დედა რომ გაიღებს შვილის საკეთილდღეოდ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იგი ასე ადვილად არ დათმობს არსებას, რომელსაც ამდენი ხანი უვლიდა და ელოლიავებოდა!

ასეთი დედები ბავშვს დაბადებიდანვე ანებივრებენ, ძუძუს აწოვებენ და ყოველ წამოტირებაზე ხელით დაატარებენ, რაც ბავშვს ხშირად ვიტალურ მოთხოვნილებად გადაექცევა ხოლმე; გარდა ამისა, ისინი ბავშვში სასიცოცხლო იმპულსებს ახშობენ და მის ყოველ უგუნებობას ისეთი ყალბი სინაზით ხვდებიან, რომ ბავშვი საკუთარი აფექტებისა და უკმაყოფილო რეაქციების გამოხატვას ვეღარ ახერხებს. ასეთი დედები ბავშვს გვერდიდან წუთითაც არ იშორებენ, მის ყურადღებას და გრძნობებს ანდამატივით იზიდავენ და, მოკრივეების ენით რომ ვთქვათ, მასთან ერთად მუდმივ «კლინჩში» ცხოვრობენ. ასეთი სიახლოვის დროს ორივეს ეზღუდება თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა, რადგან დედა, ისევ და ისევ საკუთარი სურვილის თანახმად, ცდილობს, ბავშვს ყოველგვარი დამოუკიდებლობა წაართვას, წინასწარ «დაუღეჭოს» ყველაფერი და გარესამყაროსა და ბავშვს შუა ჩადგეს, რათა ყოველნაირად დაიცვას იგი. ამ დროს დედა ვეღარ აღიქვამს შვილის ჯანსაღ, აუცილებელ აფექტებს, მათზე ავადმყოფურად, ცრემლებით რეაგირებს, რის შედეგადაც ბავშვს დანაშაულის გრძნობა უჩნდება მისი ასაკისთვის სრულიად ნორმალური და ადეკვატური რეაქციების გამო.

ამგვარი საქციელი მას არა მხოლოდ აკავშირებს დედასთან, არამედ თითქმის ყოველგვარ შესაძლებლობას ართმევს საკუთარი იმპულსების გამოსავლენად; ამიტომ ბავშვმა არ იცის, დედის ჩარევის გარეშე როგორ მოიქცეს; შესაძლოა, საქმე იქამდე მივიდეს, რომ მას ბოლოს და ბოლოს საკუთარი სურვილებიც აღარ გაუჩნდეს. ამ დროს იგი გარესამყაროს განუდგება და ყველაფრისადმი გულგრილი ხდება, თუმცა გამუდმებით იმის მოლოდინშია, რომ მის დაკარგულ სურვილებს სხვა ამოიცინობს და შეუსრულებს. ბავშვს უყალიბდება «მოხერხებული ქცევები», უჩნდება პასიური მოლოდინები და ექმნება წარმოდგენა, რომ «ზღაპრულ ქვეყანაში» ცხოვრობს. თუმცა ამ ყველაფრის უკან დეპრესია იმალება.

ბავშვის განვითარების ეს პროცესი ბრწყინვალედ აღწერა გონჩაროვმა რომანში «ობლომოვი». სურვილებისა და ნატურის იმპულსების ჩახშობის შედეგად, ბავშვს უჭირს გარესამყაროსთან ურთიერთობა; ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, იძულებულია, ისევ და ისევ სხვებზე იყოს დამოკიდებული, დედა კი ბავშვს გარესამყაროს წარმოუდგენს როგორც ბოროტსა და სახიფათოს; ამის გამო მას თანდათან ეუფლება გრძნობა, რომ სიტბოს, დაცულობას, გაგებას და უსაფრთხოებას მხოლოდ დედასთან იპოვის. ეს კი ასუსტებს გარესამყაროსთან ბავშვის ურთიერთობის იმპულსებს, რადგან ჰგონია, რომ მის სახლზე უკეთესი ადგილი არ არსებობს. დედა ცდილობს, ბავშვთან ახლოს არავინ მიუშვას და ფხიზლად დარაჯობს მას; ბავშვს შემდგომში არავისთან უნდა მეგობრობა, რადგან დედა ავადმყოფურად რეაგირებს მეგობრობაზე და ჰგონია, რომ ამ დროს შვილი მას ღალატობს. ამგვარი «ნაზი ძალადობა» ბავშვზე სიმწიფის ასაკშიც გრძელდება, როდესაც მისი იმპულსების დათრგუნვა კვლავ «თბილად შეფუთული» დედობრივი სიყვარულის მეშვეობით ხდება. იმის გამო, რომ ბავშვს არ უგრძნია ურთიერთობაში სიცივე და სიმკაცრე, მას არა აქვს საშუალება, შეამოწმოს საკუთარი თავი, და იმ იმედის ამარა რჩება, რომ მას გარესამყაროც ასე გაანებივრებს. ამიტომაც იგი მოუმზადებელი ხვდება მომავალ სიძნელეებს, განიცდის საკუთარ უმწეობას და სისუსტეს, ცდილობს, კვლავ იმ ძველ, უსაფრთხო ცხოვრებას დაუბრუნდეს.

საკუთარი «მე»-ს სისუსტის გამო, მას ცხოვრებისეული სიძნელეების დაძლევა წარმოუდგენლად ეჩვენება და განუდგება გარესამყაროს.

ამრიგად, ასეთი დედა დროულად ვერ ათავისუფლებს შვილს საკუთარი გავლენისაგან და არ აძლევს დამოუკიდებლად განვითარების საშუალებას. სიყვარულის სახელით მას ბავშვი «კალთაზე ჰყავს გამობმული», უხშობს თვითგამოხატვის უნარს და გამუდმებით ჩასჩიჩინებს:

«აბა, ახლა მომესიყვარულე!» «აბა, მომეფერე და მაკოცე!» ამასთან, დედა ბავშვს ყველაფერს უკრძალავს: «აბა, მაგას მოეშვი, მე თვითონ გავაკეთებ!» «შენ ამის გაკეთებას როგორ შეძლებ?!» «შენ ჯერ პატარა ხარ, ამიტომ ეს ჯერ არ შეგიძლია!» ან «არ გინდა ამით ითამაშო?» «აბა, ახლა თავი დაანებე მაგას!» ამ დროს დედა ვერ ხვდება, რომ ბავშვს თვითგანვითარების ყოველგვარ საშუალებას უსპობს, და ბოლოს და ბოლოს ოცნების სფეროსაც უნადგურებს, რომელიც მას, გარესამყაროსკენ მიმავალ გზაზე, პირველი ნაბიჯების გადადგმაში დაეხმარება. თუ ბავშვი ასეთ პირობებში ვერ ისწავლის «საკუთარი ღერძის გარშემო ტრიალს», ის «დედის კალთაზე გამობმული» დარჩება, მის ექოდ გადაიქცევა და ვერ შეიძნობს ვერც გარესამყაროს და ვერც საკუთარ შესაძლებლობებს. ის ყოველთვის პასიური იქნება და შეეცდება, თავისი მოლოდინები შემდგომშიც ისე მიუსადაგოს ცხოვრებას, როგორც ეს განებივრებულ გარემოში ყოფნისას წარმოედგინა. რა თქმა უნდა, ამ დროს გარდაუვალია იმედგაცრუება, რომელიც აქამდე დაფარული დეპრესიის სახით ვლინდებოდა.

დედის ურთიერთობა შვილთან, შესაძლოა, სხვა უსიამოვნო მოვლენების გამოც გართულდეს. ეს მაშინ ხდება, როდესაც დედა დაქვრივდება, მშობლები ერთმანეთს ეყრებიან, ცოლ-ქმარს ბავშვის დაბადების პერიოდში რთული ურთიერთობა აქვთ, ან დედას ერთმანეთზე მიყოლებით უწევს მშობიარობა და ა.შ. ბუნებრივია, დედისერთა შვილი ასეთ დროს უფრო რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე ის ბავშვი, რომელსაც და-ძმა ჰყავს, რადგან დედის სიყვარული მხოლოდ ერთ შვილის წილხვედრი არ იქნება. ერთხელ ერთმა პაციენტმა, რომელიც დედისერთა იყო, საკმაოდ უკმეხად თქვა:

«როდესაც დედაჩემი სიყვარულის კალთას გადმომამბერტყავს ხოლმე, მთელ ტანში მზურმგნის».

შვილისათვის თავისუფლების მინიჭება ის აუცილებლობაა, რომელიც დედობას უმადურ საქმედ წარმოაჩენს, მით უფრო, როდესაც დედა შვილისაგან მზრუნველობისთვის მაღლიერების გამოხატვას ელის ან ამას პირდაპირ მოითხოვს. თუ დედა პიროვნულად მოუმწიფებელია და ვერ ხედავს, რომ შვილის ჯანსაღი განვითარება მისი დედობრივი სიყვარულის და მზრუნველობის, მისთვის მსხვერპლად შეწირვისა და თავდადების საზღაურს წარმოადგენს, დედა საკუთარ შვილსაც და თავის თავსაც ცხოვრებას აუცილებლად სატანჯველად უქცევს.

ასეთ ბავშვებს კიდევ უფრო რთული შინაგანი განწყობა აქვთ. მათ ისღა დარჩენიათ, გულში სიძულვილი ჩაიდონ დედის მიმართ, რომელიც მათ განიარაღებას და დამორჩილებას ცდილობს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შვილი გაბედავს და რაიმე სახით გამოხატავს უკმაყოფილებას, დედა მაშინვე ცდილობს, მასში დანაშაულისა და თვითბრალდების გრძნობა გააღვიძოს, და შეახსენებს, რა მსხვერპლი გაიღო მისი კეთილდღეობისათვის. რა თქმა უნდა, ის შვილს სიძარტლეს ეუბნება, მაგრამ ამ დროს შვილისგან მაღლიერების აღიარებას არ უნდა მოელოდეს იმის გამო, რაც ბავშვს არათუ მისთვის არ უთხოვია, არამედ მას გარკვეული ზიანიც მიაყენა. დედა მოითხოვს, რომ მას სინდისი აწუხებდეს, თავს დამნაშავედ გრძნობდეს და მუდმივად ჰქონდეს ამის განცდა. დედის ამგვარი საქციელის გამო, განსაკუთრებით მგრძნობიარე ბავშვები იტანჯებიან. ამის მაგალითებს ჩვენ ჯერ კიდევ გავეცნობით. ამ დროს ბავშვი ვერ ბედავს თავისი ასაკის შესაფერისი ნაბიჯების გადადგმას, რათა დედისგან თავი დაიხსნას. დედა-შვილს შორის ახლო ურთიერთობისა და ბავშვის დედაზე დამოკიდებულების საფრთხე ამასობაში აშკარად იჩენს თავს, რადგან ბავშვმა უარი უნდა თქვას თავის თავზე და გაითავისოს საკუთარი დანაშაული. მხოლოდ მისი ამგვარი ქცევით გახდება შესაძლებელი სიტუაციის განმუხტვა. ამ დროს ბავშვს არაფერი თრგუნავს ისე, როგორც «აღზრდის» ის მეთოდი, რომლის საშუალებითაც მასში დანაშაულის გრძნობის გაღვიძებას ცდილობენ. ეს ერთ-ერთი დიდი ცოდვაა, რომელსაც ადამიანი თავის მშობლებს მომავალში ძნელად თუ შეუწდობს. ეს იმ შემთხვევაში ხდება,

თუ იგი ამ სიტუაციას თავს დააღწევს და გააცნობიერებს იმ ტანჯვას, მას იმ ვითომდა სიყვარულის გამო რომ მიაყენეს. ამისათვის ერთ ტიპურ მაგალითს მოვიყვანო:

დედას არ მოსწონდა, რომ მისი შვილი უზრდელი იყო, უსიტყვოდ არ ემორჩილებოდა და მისი სურვილისამებრ არ იქცეოდა. ამ დროს უკმაყოფილო დედა ტახტზე წვებოდა და «კვდებოდა», რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი გაუნძრევლად იწვა და არ რეაგირებდა ბავშვის ვედრებაზე – «გაცოცხლებულიყო», ვიდრე სასოწარკვეთილი ბავშვი ღრიალს არ მორთავდა.

ბავშვში დანაშაულის გრძნობის გამოწვევას ასეთი დედები ხშირად მუქარით ცდილობენ: «იცოდე, ახლა წავალ და აღარასოდეს დავბრუნდები!» ან «შენ მე საფლავში ჩამაწვენ!» და ა.შ.

თუ ბავშვის განებივრების მოტივაცია პირველ შემთხვევაში ის იყო, რომ მას მშობელი უნდა ჰყვარებოდა და მისგან თავი დავალებულად ეგრძნო, მეორე შემთხვევაში მოტივაცია უფრო რთულია და ბავშვისთვის უმთავრესად ტრაგიკული შედეგი მოაქვს. აქ ის შემთხვევები იგულისხმება, როდესაც დედას ამ ბავშვის გაჩენა არ უნდოდა, ან რაღაც სხვა მიზეზით გამუდმებით უარყოფს მას და მის მიმართ მტრულად არის განწყობილი, თუმცა ამავე დროს ცდილობს, ბავშვს კარგი დედობა გაუწიოს და დანაშაულის გრძნობა სტანჯავს, რომ ამას ვერ ახერხებს; ამის გამო იგი ბავშვს ანებივრებს და ასე ცდილობს თავისი შეცდომის გამოსწორებას.

ასეთი სიტუაცია, გასაგები მიზეზების გამო, უფრო გერი შვილების შემთხვევაში გვხვდება; თუ ეს დედას სირთულეებს უქმნის, მით უფრო აუტანელია ბავშვისთვის. იგი გრძნობს მისდამი უარყოფით, ან სულაც მტრულ დამოკიდებულებას და გულწრფელი სიყვარულის დეფიციტს განიცდის, რომელსაც მისი განებივრება ვერ ანაზღაურებს; ის კი არა, ბავშვი ამას იმ მდგომარეობამდე მიჰყავს, რომ იძულებულია, მისდამი გამოჩენილი «სიკეთის» გამო მაღლიერებასაც კი გრძნობდეს; ზოგჯერ საქმე იქამდე მიდის, რომ ბავშვი ამგვარ არსებობას დანაშაულად აღიქვამს და საკუთარ თავს ეჭვის თვალით უყურებს. იგი გრძნობს, რომ დედას ტვირთად აწევს და, რაკი სიცოცხლის უფლება არა აქვს, ამიტომ მაღლიერი უნდა იყოს, რომ მის არსებობას ეგუებიან.

ახლა გვინდა, ადამიანზე უარისთქმის პირობები განვიხილოთ, რომლებსაც დეპრესიული პიროვნების ცხოვრებისეული სივრცე გამოავლენს ხოლმე. აქ ის ხისტი, დედობრივი სიყვარულის უნარს მოკლებული ქალები იგულისხმებიან, რომლებსაც ბავშვობაში მშობლის სიყვარული არ უგრძნვიათ და, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვერ შეძლეს, კარგი დედები გამხდარიყვნენ. შედარებით უწყინრად გამოიყურებიან ე.წ. «პროგრამული დედები», რომლებიც, საკუთარი უმწეობის, გაუბედაობისა და არამგრძნობიარე ხასიათის გამო, ბავშვს ძუძუს დადგენილი წესების მიხედვით აწოვებენ და ისე ზრდიან, რომ მის ინდივიდუალურ მოთხოვნებს ანგარიშს არ უწევენ. მსგავს სიტუაციას კარგად აღწერს თავის დღიურში დედა პირველი შვილის დაბადებასთან დაკავშირებით: «ბიჭი უკვე რამდენიმე საათია განუწყვეტლივ ჩხავის და არ გაჩერდება, ვიდრე ჭამის დრო არ მოუვა და ძუძუს არ მოვაწოვებ». მსგავს ჩანაწერებს მის დღიურში მრავლად ვხვდებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დროს ზოგიერთი ექიმის «მეცნიერული» რჩევა ხშირად სავალალო შედეგს გამოიღებს ხოლმე.

ამასთან, ბავშვისგან მეტისმეტად ბევრს მოითხოვენ, როდესაც გარემოპირობებთან მის მისადაგებას ძალადობით ცდილობენ და მის სურვილებს ანგარიშს არ უწევენ; ასე მაგალითად, დედა მას არასისტემატურად აწოვებს ძუძუს, მერე კი საწოლში აწვენს და, საერთოდ, ყურადღებას აღარ აქცევს; ანდა, დედა ძალიან მოუცლელია, ამიტომ ცდილობს, ძუძუს წოვების პროცესი სწრაფად დაასრულოს. მსგავსი მაგალითები ძალიან ხშირად

გვხვდება. რაკი ბავშვს ჯერ არ შეუძლია თავის დაცვა და საკუთარი სურვილების გამოხატვა, იგი ნელ-ნელა განუდგება მისთვის ჩვეულ გარესამყაროს და უჩნდება შეგრძნება, რომ ამ სამყაროსგან იგი არაფერს უნდა მოელოდეს. ამის შემდეგ ბევრ დეპრესიულ პიროვნებას უყალიბდება თავისი ცხოვრების მთავარი განცდა: ეს ის უიმედობაა, როდესაც ადამიანს აღარც მომავლისა სჯერა და აღარც – საკუთარი თავისა; უიმედობასთან ერთად, დეპრესიულ პიროვნებას აქვს შეგრძნება, რომ შესაძლოა გარემო პირობებთან მისადაგება, და რომ მის ყველაზე ძლიერ თვისებას ამტანობა და ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე უარისთქმა წარმოადგენს. ნაცვლად იმისა, რომ მომავლის იმედით ცხოვრობდეს, დეპრესიული პიროვნება მუდმივად ცუდი ამბების მოლოდინშია, აშკარად პესიმისტურად არის განწყობილი და ვერ წარმოუდგენია, რომ ცხოვრებამ მასაც შეიძლება სულ მცირე სიხარული და ბედნიერება მოუტანოს; მაგრამ, თუ ეს იშვიათად მაინც მოხდა, მას დანაშაულის გრძნობა უჩნდება და საკუთარ თავს ეკითხება, რით დაიმსახურა ეს. დეპრესიული პიროვნება არასოდეს განიცდის ჭეშმარიტ სიხარულს და მოსალოდნელი ბედნიერების შესაძლებლობას ზოგჯერ წინასწარი იმედგაცრუებით ირიდებს თავიდან; რაკი ფიქრობს, რომ ბედნიერება არ ეღირსება, ამიტომ დეპრესიული პიროვნება მის მიღწევას არც ცდილობს, რადგან უშედეგო მცდელობის შემდეგ იმედგაცრუება უფრო მტკივნეული იქნება; როდესაც ადამიანი ცხოვრებისგან კარგს არაფერს მოელის, იგი იმედგაცრუებითაც ბევრს არაფერს კარგავს. ამგვარი განცდების მაგალითს ერთი დედის დღიურიდან ამონარიდი წარმოადგენს:

«თავიდანვე სუსტი ბავშვი იყავი. ექვსი კვირის განმავლობაში ძუძუს გაწოვებდი, მაგრამ მერე ხელოვნურ კვებაზე გადაგიყვანე, რადგან ძუძუზე გული გერეოდა და აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ჯერ კიდევ კლინიკაში ყოფნისას, ათი დღე უარს ამბობდი ძუძუზე, ამიტომ ცხვირზე ხელს გიჭერდით და გაიძულეხდით, ასე მაინც რაღაც გეჭამა. შენი გულისრევის მიზეზი ნამდვილად არ ყოფილა კარდიოსპაზმი. ყოველ შემთხვევაში, ექიმები არ ადასტურებდნენ ამას. ეს ალბათ უფრო შენი ზემგრძნობელობისა და ნევროზის ბრალი იყო, რადგან პირველი ექვსი თვის განმავლობაში ერთ ღამესაც არ გძინებია წყნარად. სამი კვირის შემდეგ კლინიკიდან სახლში რომ წამოგიყვანე, მალე ისევ გავედი სამსახურში, ამიტომ სათანადო ყურადღებას ვერ გაქცევდი. როდესაც დავინახე, რომ 3-4 კვირის განმავლობაში წონაში ვერ მოიმატე, ისევ ექიმს მივმართე. მან სერიოზული ვერაფერი აღმოგიჩინა, მაგრამ, თავის დაზღვევის მიზნით, მირჩია, ბავშვთა კლინიკაში დამეწვინე. კლინიკაში შენი საწოლი ფანჯარასთან იდგა და მხოლოდ ერთი საბანი გეფარა, სახლში კი უფრო შეფუთული მყავდი ხოლმე. ამის შედეგი კი ის იყო, რომ ფილტვების ანთება დაგემართა. იმხანად ნერვები საშინელ მდგომარეობაში მქონდა, მაგრამ პირველ დღეებში მაინც დავდიოდი კლინიკაში და ძუძუს გაჭმევდი. სწორედ იმ ხანებში ვიგრძენი, რომ რაღაც უცნაურობა მჭირდა: ირგვლივ ყველაფერს შავ ფერებში ვხედავდი; ჩემი ცხოვრების ერთადერთი ნუგეში კი შენ იყავი, რადგან მამაშენი ხშირად კარგავდა წონასწორობას, რაღაც ახირებები დასჩემდა და ძალიან მძიმე ასატანი გახდა. ამის გამო შენს აღზრდაში ბევრი შეცდომა დავუშვი; მკაცრად ვიცავდი გარკვეულ წესებს, გაიძულეხდი, ხშირად ყოფილიყავი ჰაერზე და დასაძინებლად ადრე დაწოლილიყავი, რადგან ვფიქრობდი, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შენი ცხოვრება მშვიდად და წესიერად ვერ წარიმართებოდა. ექიმებისა ყოველთვის საშინლად გეშინოდა და ერთხელ, ყურის ანთების დროს, ექიმთან ისეთი ბღავილი მორთე, რომ საშინლად აღშფოთდა და გაბრაზებულმა მომამახა: «ძალიან ცუდად აღზრდილი შვილი გყავთ», მერე კი ადგა და წავიდა».

ამ ჩანაწერში ნამდვილად იკვეთება ბევრი ისეთი საკითხი, რასაც, შესაძლოა, დამთრგუნველად და უარყოფითად ემოქმედა ბავშვზე. ცხოვრების ადრინდელი პერიოდის განცდები ორმაგ ცვლილებებს იწვევს მასში; ჯერ ერთი, იგი ძალიან ადრე განუდგება გარესამყაროს, ეს კი მასში ყველა სფეროს განვითარებას ამუხრუჭებს. ამ დროს ბავშვს ბევრი ნივთის ხელში ჩაგდებას სურვილი უჩნდება და მოითხოვს, რომ მათი მფლობელი გახდეს. თუ იგი მორჩილებას გამოავლენს და რომელიმე ნივთის მოსაპოვებლად ფარ-ხმალს დაყრის, დაამტკიცებს, რომ თავის გატანა არ შეუძლია და შურის გრძნობა აღეძვრება იმის

გამო, რომ ეს ნივთი სხვის ხელში ადვილად აღმოჩნდება, მაშინ როდესაც თავად მისი აღების უფლებას არ აძლევენ. რადგან ბავშვი ამის გამო საკუთარ თავს კიცხავს, ამიტომ ცდილობს, მის წინაშე წარმოქმნილ სიძნელეს სათნოების მნიშვნელობა მიანიჭოს და საკუთარი გრძნობების დათრგუნვა გარკვეულ ღირებულებად თუ თავმდაბლობისა და უპრეტენზიოების გამოვლინებად წარმოადგინოს; მაშინ ადამიანს მორალური უპირატესობის გრძნობა მაინც რჩება ნუგეშად.

გარესამყაროსგან ადრეული განდგომის მეორე შედეგი ბავშვის იმ განცდაში იჩენს თავს, რომ იგი სიყვარულის ღირსი არ არის, რაც მასში, როგორც წესი, არასრულფასოვნების გრძნობას ავითარებს. ადამიანმა ერთხელ მაინც უნდა იგრძნოს, რომ იგი უყვართ, რათა თავი სიყვარულის ღირსად ჩათვალოს. მაგრამ თუ მას ეს გრძნობა არ განუცდია, მაშინ ამის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძებოს, რადგან სიყვარულის უნარი თავადაც არ გააჩნია. არასრულფასოვნების გრძნობას ამ ასაკში ისიც იწვევს, რომ ბავშვს არ შეუძლია შეაფასოს, რამდენად მოკლებული არიან მისი მშობლები სიყვარულის უნარს; ამ დროს გარესამყარო ბავშვისთვის «მისი მშობლების სამყაროს» სახით წარმოჩნდება.

არასრულფასოვნების მძიმე განცდამ, შესაძლოა, ადამიანში ისეთი განწყობაც აღძრას, რომ მას, საერთოდ, არა აქვს სიცოცხლის უფლება და ეს უფლება უნდა მოიპოვოს. ის ფიქრობს, რომ მის არსებობას გამართლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ ისიც სხვებივით იცხოვრებს. «ჩემი არსებობა უკვე დანაშაულს ნიშნავს», თქვა ერთმა დეპრესიულმა პაციენტმა, როდესაც იგი ბავშვობისდროინდელ ამბებს იხსენებდა. ამის შემდეგ, შესაძლოა, ადამიანი იმ მდგომარეობამდე მივიდეს, რომ მან დედის ან, საერთოდ, მშობლების წინაშე თავისი დანაშაული გააცნობიეროს და მის გამოსყიდვას შეეცადოს. დეპრესიული პიროვნებები თავიანთ სიცოცხლეს ხშირად მსხვერპლად სწირავენ მშობლების ეგოიზმს და ამას სრულიად ბუნებრივად მიიჩნევენ. ბავშვის განებივრებაც და მისთვის აკრძალვების დაწესებაც, საბოლოო ჯამში, ერთ შედეგს იძლევა: ორივე შემთხვევაში, უმთავრესად, პიროვნების დეპრესიულ სტრუქტურად ჩამოყალიბება ხდება. განებივრებულ ბავშვს, ჩვეულებრივ, მოგვიანებით იპყრობს ხოლმე შიში და კრიზისი მაშინ ეწყება, როდესაც ხედავს, რომ ცხოვრება დედასავით აღარ ანებივრებს; სახელმწიფო ინსტიტუციები, ქორწინება, სოციალური დაზღვევა მას დედას ვერ შეუცვლიან; ამიტომ, როდესაც აღმოჩნდება, რომ ადამიანი სრულიად უძლურია ცხოვრების სიძნელეებთან საბრძოლველად, მას მწვავე დეპრესია ეწყება. ამ დროს იგი გამოსავალს ხშირად იმაში ხედავს, რომ ავადმყოფური გატაცებით ჰკიდებს ხელს რაიმე საქმიანობას. არაჯანსაღი განცდებისა და აკრძალვების პირობებში გაზრდილი ბავშვი ძალიან ადრე განუდგება გარესამყაროს. ასეთი ჩუმი, მორჩილი და უპრეტენზიო შვილის ყოლა ძალიან «ხელსაყრელია» მშობლებისათვის, რომელთაც მისი დეპრესიული ბუნება შეუმჩნეველი რჩებათ. ბავშვი იმდენად შეგუებულია იმ მდგომარეობას, რომ შეუმჩნეველი უნდა დარჩეს და არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს, რომ იგი შემდგომშიც ცდილობს, სხვებზე იყოს დამოკიდებული, მათი მოთხოვნები შეასრულოს და მოლოდინი გაამართლოს. დეპრესიული ადამიანი თითქმის არასოდეს ცდილობს გარესამყაროსთან დაპირისპირებას და, რაკი საკუთარ თავს სუბიექტად ვერ წარმოაჩენს, ამიტომ მუდმივად სხვების ობიექტი აღმოჩნდება ხოლმე. მას ყველა მოთხოვნა ბრძანებად მიაჩნია, ამიტომ ისინი აუცილებლად უნდა შესრულდეს, რაც მისთვის სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება და დანაშაულის ახალი გრძნობის გამო დეპრესიაში ვარდება, თუმცა ცალკეულ ადამიანებთან კონტაქტის დამყარებას მაინც ახერხებს. ზოგიერთი დეპრესიული პიროვნება, სავარაუდოდ, შვებას გრძნობს, რომ შეუძლია სხვებისთვის გასცეს ის, რაც თავად არასოდეს მიუღია. იგი ცდილობს, მის მიმართ უგულვებელყოფილი სიყვარულის სუბლიმაცია დამატებითი ქმედებით მოახდინოს, ექნება ეს მოყვასის თავდადებული სიყვარული თუ ქველმოქმედება. სამაგიეროდ, მას იმის სურვილიც აქვს, რომ, თავისი აქტიურობის გამო, სიყვარულს ან ჯილდოს იმსახურებდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის ყველა საქმიანობა მეტისმეტად რთული აღმოჩნდება.

თუ რას განიცდის ადამიანი, რომელიც ყველაფერში მხოლოდ და მხოლოდ მოთხოვნებს ხედავს, ამას შემდეგი მაგალითი ნათელყოფს:

«როდესაც მზე ანათებს, რატომღაც მგონია, რომ უნდა მიხაროდეს; მაგრამ ამის გამო მთელი დღე ჩაშხამებული მაქვს».

ერთი სტუდენტი, რომელსაც თავდაპირველად დააინტერესებდა ხოლმე რომელიმე წიგნი, მას ბოლომდე ვერ კითხულობდა. რამდენიმე გვერდის წაკითხვის შემდეგ ეჩვენებოდა, თითქოს ამ წიგნიდან მოდიოდა მისი წაკითხვის მოთხოვნა.

ამრიგად, სტუდენტის აზრით, თავად კი არ სურდა წიგნის წაკითხვა, არამედ მისგან ამას წიგნი მოითხოვდა და ამით მას თითქოს თავის ობიექტად აქცევდა, რის გამოც სტუდენტს წიგნის კითხვის ხალისი, საერთოდ, ეკარგებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი განცდების დროს ადამიანი გარესამყაროს განუდგება, სრულ აპათიაში ვარდება და ყოველგვარი მოთხოვნის შესრულებას გაურბის.

როგორც დავინახეთ, ადამიანის «დეპრესიულ სამყაროში ყოფნამ», შესაძლებელია, უკიდურესი ფორმები მიიღოს: აქედან გამომდინარე, დეპრესიული პიროვნების ამგვარი «ამბოხი» სიკეთის მომასწავებელია, რადგან იგი გამოხატავს გარკვეულ წინააღმდეგობას იძულებითი მოთხოვნების მიმართ. თუ დეპრესიულ პიროვნებას ერთხელ მაინც არ გამოუჩნდება დრო და საშუალება, რომ საკუთარი მოთხოვნები შეასრულოს, ის ვერ გახდება საკუთარი იმპულსებით და მოთხოვნებით მოქმედი სუბიექტი, რომელსაც უკიდურესი სასოწარკვეთა ელის, ასეთ შემთხვევაში იგი უფრო ინდიფერენტული, გულგრილი და აპათიური ხდება, ყველაფერს «უარყოფს», ავადმყოფური გატაცებით ჰკიდებს ხელს რაიმე საქმიანობას და თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. თუ დეპრესიული პიროვნება შეეცდება, უფრო მორჩილი გახდეს და მისდამი წაყენებული ყველა მოთხოვნა შეასრულოს, მას ცხოვრებაში არასოდეს ექნება სიხარულის განცდა; მაგრამ, თუ გადაწყვეტს, ყველა მოთხოვნის შესრულებას თავი აარიდოს, ამ შემთხვევაში მას მძიმე დანაშაულის გრძნობა დაეუფლება. ამრიგად, დეპრესიული პიროვნება ქვეცნობიერად იმეორებს საკუთარი ბავშვობის სიტუაციას.

ზევით უკვე ვრცლად აღვწერე, როგორ ქმნის ბავშვი დედის სურათ-ხატს და, რა კავშირშია ეს იმ განწყობასთან, რომელიც მას საკუთარი თავისადმი გააჩნია. მკაცრი დედა, რომელიც შინაგანად მტრულად არის განწყობილი შვილის მიმართ და მას ყველაფერს უკრძალავს, არცთუ იშვიათად ხდება დეპრესიული ადამიანის თვითმკვლელობის მიზეზი, როგორც თვითაღკვეთის უკანასკნელი საშუალებისა. დედა იმ შინაგან, სულიერ ინსტანციად გადაიქცევა, რომლის მეშვეობითაც ბავშვი სიძულვილით უარყოფს საკუთარ თავს და თვითგანადგურებამდე მიჰყავს იგი. ამ დროს ბავშვი, შესაძლოა, დედისადმი სიძულვილმა ისეთი ძალით შეიპყროს და მასში დანაშაულის ისეთი აუტანელი გრძნობა გამოიწვიოს, რომ ურჩევნია, ეს სიძულვილი საკუთარ თავზე ამოანთხიოს.

დანაშაულის გრძნობა, რომლის დროსაც მკაცრი დედისადმი სიძულვილის გადატანა საკუთარ თავზე ხდება, ფსიქოდინამიურ ფონს ქმნის მძიმე მელანქოლიისათვის. თვითმკვლელობისადმი მიდრეკილება უნდა აიხსნას, როგორც საკუთარ თავზე გადატანილი მკვლელობის ტენდენცია, და, ამავე დროს, ეს არის სასჯელი, რომელსაც დეპრესიული პიროვნება საკუთარ თავს მიუსჯის დედისადმი მიმართული სიძულვილის გამო.

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ დეპრესიული პიროვნების მთავარ პრობლემას «საკუთარი ღერძის გარშემო» წარუმატებელი ტრიალი და მისი, როგორც სუბიექტის, არასრულყოფილი განვითარება წარმოადგენს. ვინაიდან დეპრესიული პიროვნება

გარესამყაროს თავის სუსტ «მე»-ს უპირისპირებს, მისთვის ყველაფერი მოთხოვნის სახეს იღებს და თავის გარშემო ამ მოთხოვნებისგან აღმართულ მთებს ხედავს, რომელთა წინაშეც იგი ბოლოს და ბოლოს, სასოწარკვეთილი, ფარ-ხმალს ყრის. იმავე «მე»-ს, სისუსტის გამო, არ გააჩნია საკუთარი, ძლიერი იმპულსები, სურვილები და მიზნები და ვერც იმას ახერხებს, რომ გონივრულად განაცხადოს უარი მეტისმეტად დიდ მოთხოვნებზე და, საერთოდ, გაიაზროს ისინი. დეპრესიულ პიროვნებას უძნელდება რაიმეზე «არას» თქმა, «დაკარგვის შიშისა» და დანაშაულის გრძნობის გამო, რომელსაც იგი შემდეგ განიცდის. ამის შედეგს კი დეპრესია და ის გაუცნობიერებელი «ამბოხი» წარმოადგენს, რომელიც მისი ტოლერანტობის ზღვარზე მიგვანიშნებს, თუმცა მაინც არ ათავისუფლებს მას დანაშაულის გრძნობისაგან. დიდხნობით დაგროვილი სიძულვილი და შური, რომლის გამოხატვასაც დეპრესიული პიროვნება ვერ ბედავს, მას მთელ ცხოვრებას უწამლავს ან იძულებულს ხდის, გამუდმებით დაიდანაშაულოს თავი და «ცოდვა» ამგვარი სასჯელის აღსრულებით გამოისყიდოს. იმ დროს, როდესაც დეპრესიული ადამიანი ამ გზით ცდილობს გაექცეს «პიროვნებად ჩამოყალიბების შიშს» და უგულებელყოფს საკუთარ არსებობას, სიტუაცია სულ უფრო გამოუვალი ხდება. მისი ხსნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ის გამბედაობას გამოიჩენს და დამოუკიდებელ ინდივიდუუმად ჩამოყალიბდება.

დეპრესიული განცდების მაგალითები

ახალგაზრდა გოგონამ კაფეში გაიცინო მამაკაცი, რომელიც მას გამოელაპარაკა, მერე კი საკუთარი ცხოვრების ამბები გაანდო; აღმოჩნდა, რომ იგი ცოლს გასცილებოდა და ახლა მარტოობა ტანჯავდა. რაკი გოგონას მიმართ დიდი სიმპატია იგრძნო, მამაკაცი ახლა მისი გულის მოგებას შეეცადა და ყურადღებით თავბრუ დაახვია. მერე მასთან ისევ მოინდომა შეხვედრა და, ბოლოს, ცოლობა სთხოვა. და, თუმცა გოგონა ამ კაცით დიდად არ მოხიბლულა, იფიქრა, უფლება არ ჰქონდა, შეხვედრაზე უარი ეთქვა, რადგან მოეჩვენა, რომ კაცს იგი სჭირდებოდა. გოგონამ მას საჭირო მომენტში ვერ უთხრა შემოთავაზებაზე უარი და ამით კაცს იმედი ჩაუსახა; მერე კი, როდესაც ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა, იგი უარით გაესტუმრებინა, გოგონა დანაშაულის გრძნობამ შეიპყრო.

ეს მაგალითი ცხადყოფს «დეპრესიულ სამყაროში მყოფი» ადამიანის ხასიათს. დეპრესიის უფრო რთული ფორმის შემთხვევაში, ადამიანს საერთოდ არ ეყოფოდა ძალა, ამ კაცისთვის უარი ეთქვა. დეპრესიული პიროვნება სხვა ადამიანის სიტუაციაში გადაერთვება და მასთან ისეთ იდენტიფიკაციას ახდენს, რომ საკუთარ ფიქრებსა და ინტერესებს საერთოდ ივიწყებს; რადგან თავად მას ძალიან ცოტა იმპულსები და სურვილები გააჩნია, რომლებსაც იგი სხვებისას დაუპირისპირებდა, ამიტომ იგი ადვილად ებმება სხვისი სურვილებისა და იმპულსების ქსელში. დეპრესიული პიროვნება შეჩვეულია სხვათა მოლოდინების აღსრულებას; მას მსგავს სიტუაციებში ჩართვის არავითარი სურვილი არა აქვს, მაგრამ, თავისდაუნებურად, მაინც ჩაერთვება ხოლმე; ამიტომ რთულ ვითარებაში ხშირად იმ უპასუხისმგებლო ადამიანების მსხვერპლი ხდება, რომლებიც მის სისუსტეს თავის სასარგებლოდ იყენებენ. დეპრესიული პიროვნება შემდგომში ვეღარ ართმევს თავს ჩახლართულ სიტუაციებს და ეუფლება დანაშაულის გრძნობა. ამასთან, იგი სირცხვილს განიცდის როგორც საკუთარი გულუბრყვილობისა და შეურაცხყოფის, ასევე იმ ადამიანის გამო, რომელმაც იგი გამოიყენა.

ოჯახში, სადაც გოგონა იზრდებოდა, ადამიანებს რთული ურთიერთობები ჰქონდათ. პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ მამამ უბრალო, ღარიბი ქალი შეირთო. პაციენტი 8 წლისა იყო, როდესაც 60 წელს მიტანებულ მამას ასაკობრივი დემენციის ნიშნები დაეტყო; გოგონა თავისზე უფროს გერებთან ერთად იმავე სახლში ცხოვრობდა, სადაც პირველ სართულზე მალაზია იყო. თავის დროზე იგი გერების პაპას ეკუთვნოდა, ამჟამად კი მისი მფლობელი გერების ორი დეიდა გამხდარიყო. ეს ქალებიც იმავე სახლში ცხოვრობდნენ და სიძის ახალი ცოლის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილი. ახალი ცოლი ერთი მორიდებული და მორცხვი ქალი იყო, რომლის დაცვას ქმარი არც კი ცდილობდა. ახალი ცოლი გრძნობდა, რომ მას და მის შვილს ამ სახლში არავინ სწყალობდა. ბავშვს ახალ ტანსაცმელს თუ უყიდდა, ისე აცმევდა, რომ არავის შეემჩნია, რადგან თავს დამნაშავედ გრძნობდა, და ეგონა, რომ ამით გერებს რაღაცას ჰპარავდა. დედა-შვილს ოჯახში თავი ზედმეტ, არასასურველ და უცხო ადამიანებად მიაჩნდათ, რომლებიც უკვე თავიანთი არსებობით სხვებს ზიანს აყენებდნენ. დედა-შვილი ასეთ გარემოცვაში ცხოვრობდა, ვიდრე მამა არ გარდაიცვალა, რის შემდეგაც ისინი სახლიდან გაყარეს. დედამ ოჯახთან საერთო ენა ვერ გამოიხატა, მუშაობა დაიწყო და მერე ადვოკატიც აიყვანა, რომელმაც უთხრა, რომ მათი სახლიდან გამოგდების უფლება არავის ჰქონდა. მაგრამ დედას ძალა და ნებისყოფა არ აღმოაჩნდა, რომ სამართლიანობისთვის ებრძოლა. «დედას ყოველთვის ყველაფრის ეშინოდა; არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას თავისი გაეტანოს; ნათესავებზე ზურგსუკან ჩიოდა, მაგრამ მათთან ყოველთვის დათმობაზე მიდიოდა, თუმცა მერე სულ წუწუნებდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა; დედა ხშირად დადიოდა ეკლესიაში და მეც თან დავყავდი; ვლოცულობდით, მიცვალებულთა სულებს უფალს ვავედრებდით და ჩვენთვის ყოველდღიურ ლუკმას შევთხოვდით. ეს ის მცირედი იყო, რაც საბრალო სულებს შეეძლოთ ჩვენთვის გაეღოთ. ჩემი გერი დები კი ამ დროს ფუფუნებაში ცხოვრობდნენ. ბავშვობაც ახალგაზრდა მშობლების გარემოში ჰქონდათ გატარებული და ყველაფრით უზრუნველყოფილნი იყვნენ. მოგვიანებით ჩემთვის ასეთი დასკვნა გამოვიტანე: «თუკი

არავის ვუყვარვარ, სჯობია ღარიბი და უქონელი ვიყო; ღარიბი ბავშვი უფრო საყვარელია. ასე შევქმენი ჩემთვის ქრისტიანული სათნოების ნიმუში: ღარიბი და უქონელი იყო – ნიშნავს ბაძავდე ქრისტეს!»

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს:

ქ-ნი მ. თავის კოლეგასთან ერთად საერთო საცხოვრებელში, ერთ ოთახში, ცხოვრობდა; ამასთან, ორივენი ერთ ფირმაში მუშაობდნენ. მ-ს მანქანა ჰყავდა, ამიტომ სამსახურშიც ერთად დადიოდნენ. მისი კოლეგა დიდი წესრიგით არ გამოირჩეოდა, დილაობით ლოგინში ნებივრობა უყვარდა და მ-ს მის გამო სამსახურში ხშირად დაგვიანებით უხდებოდა მისვლა და, რაკი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა, კოლეგის საქციელი არ სიამოვნებდა. იმის გამო, რომ მანქანა მხოლოდ მას ჰყავდა, ქ-ნი მ. თავს მოვალედ თვლიდა, შაბათ-კვირას ქალაქგარეთ კოლეგაც თან წაეყვანა. მერე შეამჩნია, რომ სწორედ ამ დღეებში საშინელი თავის ტკივილები ეწყებოდა და კუჭშიც უსიამოვნო შეგრძნება ჰქონდა, რასაც ვერაფრით ხსნიდა.

ფსიქოთერაპიული მკურნალობის დროს გაირკვა, რომ ქ-ნი მ. ბენზინის ხარჯებს მთლიანად თვითონ იხდიდა; ეს მას ბუნებრივად მიაჩნდა, რადგან მანქანა მისი იყო. მის კოლეგას კი თავში აზრად არ მოსდიოდა, რომ ამ დროს თავადაც უნდა გაეღო რაღაც თანხა. პაციენტი ახლა უკვე ბრაზობდა კოლეგაზე, მაგრამ მას ვერც ხარჯის ანაზღაურებას სთხოვდა და ვერც იმას აგრძნობინებდა, რომ მასზე გაბრაზებული იყო. პირიქით, იგი ამ დროს საკუთარ თავს სიმუნწეში ადანაშაულებდა და ფიქრობდა, რომ წვრილმანი ადამიანი იყო, და ასეთი რამ არ ეკადრებოდა. ასე მიუშვა საკუთარი თავი, რომ მისთვის მოთხოვნები წამოეყენებინათ და გამოეყენებინათ კიდევ; მერე კი «თავს აჭმევინებდა» დათრგუნულ სიბრაზეს და მხოლოდ გამოვლენილი სიმპტომების წყალობით მიხვდა, რომ აშკარად რაღაც წესრიგში არ ჰქონდა. არაცნობიერი მასში ახლა სწორედ ფიზიკური სიმპტომებით რეაგირებდა იმაზე, რის გაცნობიერებასაც თავად ვერ ბედავდა; მისი გაბრაზება თავის ტკივილში გამოვლინდა, კუჭის ტკივილი კი იმის შედეგი იყო, რომ ვერ შეძლო თავისი მოთხოვნილების წამოყენება. ამას ერთი ფაქტიც ართულებდა: ქ-ნი მ. ნახევრად ებრაელი იყო და კოლეგას შეეძლო ეფიქრა, რომ, რახან მან ფულის გამო ასეთი ამბავი ატეხა, ესე იგი მასში რაღაც ებრაულმა თვისებამ იჩინა თავი. მ. ფიქრობდა, რომ ადამიანები ებრაელობაში ყოველთვის რაღაც ნეგატიურს ხედავენ. მერე ისე მოხდა, რომ დიდი ყოყმანის შემდეგ მაინც გადაწყვიტა, კოლეგისთვის ეთქვა, ბენზინის თანხა მასაც გაეღო. როდესაც, მისდა გასაკვირად, კოლეგა ამაზე მაშინვე დათანხმდა, მ-ს გაუქრა არა მარტო კვირის ბოლოს გამოვლენილი სიმპტომები, არამედ ქალებს შორის კოლეგიალური ურთიერთობაც მეგობრობაში გადაიზარდა. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმ შემთხვევებისა, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავლად გვხვდება.

ამრიგად, დეპრესიული პიროვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ ბედავს თავის დამკვიდრებას, საკუთარი აზრის დაცვას, რაიმეზე უარისთქმას და სუბიექტად წარმოჩენას. რაკი დეპრესიული პიროვნების უმთავრეს თვისებად «დათმობა», თვითუარყოფა და თავის დაცვა გადაიქცა, ამიტომ ის ვეღარ აცნობიერებს, რომ მისი საქციელი დეპრესიაზე მიანიშნებს, როდესაც ადამიანი საკუთარ ბედს და გუნებაგანწყობას ეგუება და არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ექიმი ავადმყოფს ამ დროს, ჩვეულებრივ, ანტიდეპრესანტებს უნიშნავს და გარეგნულად ვერ ამჩნევს დეპრესიის გამომწვევ მიზეზებს; მედიკამენტები გარკვეულწილად უმსუბუქებს ავადმყოფს მდგომარეობას, თუმცა, საერთო ჯამში, ამით დაავადების გადაფარვა ხდება; ამასთანავე, არსებობს საფრთხე, რომ ავადმყოფი მედიკამენტზე დამოკიდებული გახდება. ახლა მინდა ერთი ასეთი პაციენტის ცხოვრებისეული სივრცე უფრო ფართოდ აღვწერო:

გოგონა ძალიან რთული, შერეული ქორწინების ერთადერთი პირმშო იყო და ებრაელი დედა ჰყავდა; ის ადრეული ბავშვობიდან ხშირად ხდებოდა მშობლების შეხლაშემოხლის მოწმე; დროდადრო საქმე იქამდე მიდიოდა, რომ მშობლების ერთ ჭერქვეშ ცხოვრება შეუძლებელი ხდებოდა, და ბავშვს ემინოდა, რომ ცოლ-ქმარი რაღაც უბედურებას დაატრიალებდა. მშობლები არ მალავდნენ, რომ გაყრა უნდოდათ, და ბავშვს პირდაპირ ეუბნებოდნენ: «დედიკო და მამიკო იყრებიან; ამიტომ ახლა შენ უნდა გადაწყვიტო, ვინ უფრო გიყვარს, და ვისთან გინდა ცხოვრება». აი, ამ სიტყვებით მიმართავდნენ მშობლები ოთხი წლის ბავშვს, რომელსაც ისედაც თავგზა ჰქონდა არეული. მას ორივე მშობელი უყვარდა, ამიტომ არაფრის გადაწყვეტა შეეძლო; მაგრამ თუ უპირატესობას რომელიმე მათგანს მაინც მიანიჭებდა, მაშინ თავს დამნაშავედ იგრძნობდა იმის გამო, რომ მეორე მშობელს უღალატა. მერე კი თითქმის მთელმა მისმა ბავშვობამ ისეთ პირობებში განვლო, რომ სასოწარკვეთილი ბავშვი გამუდმებით ცდილობდა, მშობლებს შორის ურთიერთობა მოეგვარებინა და შუამავლის როლი შეესრულებინა. გოგონა დედას ჩუმად ეუბნებოდა: «მართალია, მამას ფიცხი ხასიათი აქვს, მაგრამ არცთუ ისე ცუდი ადამიანია, ამიტომ მისი საქციელი გულთან ახლოს არ უნდა მიიტანო. ამას წინათ მამამ თავად მითხრა, ჩემს საქციელს ძალიან ვნანობო». ბავშვი მამასაც ასევე საიდუმლოდ ეუბნებოდა: «დედა ძალიან უბედურია იმის გამო, რომ მასთან გაყრას აპირებ. ვიცი, რომ დედას ნამდვილად უყვარხარ, მაგრამ ამას რატომღაც ვერ გამოხატავს». არავინ იცის, ბავშვის მიერ ჩატარებული ამ წინასამუშაოს გამო, თუ სხვა რაიმე მიზეზით, ცოლ-ქმრის გაყრის საქმე ჭიანჭურდებოდა და გოგონას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ვულკანზე ცხოვრობდა, რომელიც ეს-ესაა ამოიფრქვევოდა. ასე დაეკისრა მას მშობლების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება და, როგორც ერთხელ თავად თქვა, სასწორის ისარივით «აწონასწორებდა» მშობლების ურთიერთობას; ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას მუდმივად ჰქონდა იმის განცდა, რომ მშობლების ბედი მასზე იყო დამოკიდებული.

რა თქმა უნდა, ამ დროს გოგონას თავში აზრად არ მოუვიდოდა, მშობლების ისედაც მყიფე და საჭოჭმანო ურთიერთობა საკუთარი მოთხოვნებითა და პრობლემებით კიდევ უფრო გაერთულებინა, რადგან მაშინ, მისი აზრით, მთელი შრომა წყალში ჩაეყრებოდა. ამრიგად, ბავშვს არ ჰქონდა საშუალება, რომ, თავისი ასაკის კვალობაზე, საკუთარი უშუალოება და გულუბრყვილობა გამოევილინა. გოგონა იძულებული იყო, თავისი სურვილები, იმპულსები, დარდები, აფექტები და შიშები რეფლექტორულად, ნელ-ნელა უკანა პლანზე გადაეწია და თავი ისე დაეჭირა, თითქოს ისინი მას აღარ ეხებოდა. სამაგიეროდ, ამ დროს სხვა სიმპტომებმა იჩინა თავი: ბავშვს თმის ცვენა დაეწყო, კბილები გაუშეჩხერდა და მთელ ტანზე კანი აეჭერცლა; ამას ზედ ერთი უსიამოვნო მოვლენაც დაერთო: საზოგადოებაში ყოფნის დროს მუცელი ბუყბუყს უწყებდა, რის გამოც გოგონა თავს უხერხულად გრძნობდა. როგორც ჩანს, ეს გაუცნობიერებელი პროტესტი იყო იმ მეტისმეტი მოთხოვნების წინააღმდეგ, რასაც გოგონა ვერსად გაექცეოდა. შესაძლოა, სწორედ ეს სიმპტომი გახდა კუჭის ტკივილის მიზეზი, რომელიც პაციენტს, მოგვიანებით, კოლეგასთან ურთიერთობის დროს დაეწყო. ასე ჩამოყალიბდა ბავშვი იმ ადამიანად, რომელიც კეთილსინდისიერად და სანიმუშოდ ასრულებდა თავის მოვალეობას, როგორც კი გარკვეული მოთხოვნების წინაშე აღმოჩნდებოდა, თუმცა ეს საკუთარი პიროვნების უგულვებელყოფის ხარჯზე ხდებოდა. ამასთან, იგი თავს სრულიად უმწეოდ გრძნობდა და საშინლად იტანჯებოდა, როდესაც ფირმაში თავისი სიტყვა უნდა გაეტანა ან კოლეგებისთვის რაიმე მითითება მიეცა. ამ დროს მას გაურკვეველი შიში იპყრობდა და მაშინ ერჩივნა, ის საქმე თავად შეესრულებინა, რისთვისაც კოლეგების გამოყენება სრულიად ბუნებრივი იქნებოდა.

«დასვენებისა» და «თავისუფალ დღეებთან» დაკავშირებულ ზოგიერთ ნევროზს გამოვლენის მსგავსი ფორმა ახასიათებს. მეტისმეტი თავისუფლება შიშს იწვევს ადამიანში, რადგან ამ დროს თავს იჩენს ის იდუმალი, დათრგუნული და აკრძალული სურვილები, რომელთა შესრულებაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ნაკლებად სავარაუდოა. თავისუფალ დროს ადამიანს აღარ აქვს იმის შიში, რომ ვალდებულია, რაღაც მოთხოვნა შეასრულოს და

ამიტომ შეუძლია, საკუთარი თვითმყოფადობა გამოავლინოს. მოვიყვანო იმის მაგალითს, როგორ ვერ ამბობს ადამიანი უარს იმ მოთხოვნაზე, რომლის შესრულებაც არ სურს.

ჩვენი პაციენტი, ახალგაზრდა ამერიკელი ქალი, ომის შემდეგ გერმანიაში საბალეტო სკოლაში სწავლობდა და ერთ-ერთ ოჯახში ქირით ცხოვრობდა. მეცადინეობიდან დაბრუნებული ქალი ცდილობდა, თავის ოთახში შეუმჩნევლად შეპარულიყო, მაგრამ ოჯახის დიასახლისი მას იქვე ჩასაფრებული ელოდა, რომ «ცოტა ხნით, საჭორაოდ» სამზარეულოში შეეყვანა; პაციენტი დაღლილი იყო და საღამოს, სცენაზე გასვლამდე, დასვენება სჭირდებოდა, მაგრამ დიასახლისს შეპატიჟებაზე უარს ვერ ეუბნებოდა. ომის შემდეგ გერმანელებს ძალიან უჭირდათ და, რადგან იმხანად იქ ყავა დიდი იშვიათობა იყო, გოგონას ძალაუნებურად მთელი ოჯახი ყავაზე უნდა დაეპატიჟა. ყავის დასალევად კი იკრიბებოდნენ: თავად დიასახლისი, მისი უფროსი ქალიშვილი, ვაჟი და რძალი, რომელსაც ქედმაღლობის გამო ოჯახში დიდად არ სწყალობდნენ, ის კი ამისთვის ყველაზე შურისძიებას ცდილობდა. დიასახლისის ქალიშვილი აშკარა შურით ათვალთქმობდა პაციენტის ლამაზ ნივთებს და ისეთ აღტაცებას გამოხატავდა, რომ მდგმური იძულებული იყო, მისთვის თავისი რომელიმე ტანსაცმელი ეჩუქებინა, რომელსაც თავადაც სიამოვნებით ხმარობდა. დიასახლისის ვაჟი მდგმურს ეარშიყებოდა და, მართალია, გოგონა ამას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ «იძულებული» იყო, მისთვის დროდადრო კეთილი მზერა შეეველო, რომ არ ეწყენინებინა. და, ბოლოს, იგი ასევე «იძულებული» იყო,

საუბარი დიასახლისის რძალთანაც გაება, რომ ოჯახის წევრებს შორის დამაბულობა ოდნავ მაინც განემუხტა. ამის შემდეგ ქანცგაწყვეტილი გოგონა თავის ოთახში შედიოდა და დამშეული აცხრებოდა საჭმელს. გაცხოველებულმა მადამ და სიხარბემ ბოლოს და ბოლოს იქამდე მიიყვანა, რომ კოლეგებს კარადებიდან ტკბილეულს ჰპარავდა; ამის შემდეგ იგი იძულებული გახდა, ფსიქოთერაპევტისთვის მიემართა.

დეპრესიული ადამიანების ცხოვრებაზე ყოველთვის ახდენს გავლენას გარესამყაროში მომხდარი მოვლენები, რომლებიც ართულებს და ხელს უშლის ბავშვის დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებას; ზემოხსენებული პაციენტი დედისერთა იყო, რომელიც უიღბლო ცოლქმრული ურთიერთობის შედეგად დაიბადა. მან ადრეული ასაკიდან ისწავლა საკუთარ სურვილებზე უარისთქმა და მშობლების პრობლემებით ცხოვრობდა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე საკუთარ თავს შეიცნობდა და პიროვნებად განვითარდებოდა.

აი, კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდება ბავშვის განებივრება:

ბატონი ს. ასევე დედისერთა იყო, ოღონდ შედარებით ბედნიერ ოჯახში იზრდებოდა. დედამისს ცხოვრებაში საკუთარი ინტერესები არ გააჩნდა და თავისი ქორწინებით, ასე თუ ისე, ბედნიერი იყო, თუმცა, გაუგებარი მიზეზების გამო, შინაგან სიცარიელეს გრძნობდა. როდესაც ქალს რამდენიმე წლის შემდეგ შვილი შეეძინა, მთელი თავისი აღუსრულებელი ოცნებები მასზე გადაიტანა და ის გახდა მისი ცხოვრების უმთავრესი მიზანი. ბავშვს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, თავს ევლებოდა და ცდილობდა, მისთვის ნებისმიერი საფრთხე და ხიფათი თავიდან აერიდებინა. მაგრამ საქმე ისაა, რომ დედა ბავშვისთვის ყველაფერში საფრთხეს ხედავდა! ნიავის ოდნავ დაბერვაზე შვილს ფილტვების ანთებას უწინასწარმეტყველებდა და ისე თბილად ფუთნიდა, რომ ბიჭს ამხანაგები დასცინოდნენ (რასაც ასეთი დედები არასოდეს ითვალისწინებენ).

თუ ბავშვი ქვიშაში თამაშობდა, დედა ფიქრობდა, რომ ქვიშა ვერაგი ბაქტერიების ბუდე იყო; შვილს ველოსიპედით სიარულს უკრძალავდა, რადგან შეიძლებოდა გადმოვარდნილიყო, ხელი ან ფეხი მოეტეხა, ან მანქანას გაეტანა! შვილი კლასელებთან ან რამდენიმე მეგობართან ერთად სამოგზაუროდ რომ გაემზა, იქ ათასი უბედურება შეიძლებოდა მომხდარიყო! დედას აშინებდა, რომ ბავშვებს თივის ზვინში უნდა გაეთიათ

ღამე და იქ მის შვილს უამრავი ცდუნება ელოდა; მათ შორის ქალი ჰომოსექსუალების მხრიდან მიტანილ იერიშებსაც არ გამორიცხავდა! დედა უკვე მოწიფულ ყმაწვილს თავად აბანავებდა, ზურგს უხეხავდა და საუზმით ლოგინში უმასპინძლებოდა; ერთი სიტყვით, ბიჭი ნამდვილ «სამოთხეში» ცხოვრობდა, მაგრამ იმ ფასად, რომ უფლება არ ჰქონდა, საკუთარი სურვილები გამოეთქვა და მამაკაცების საზოგადოებაში ეტრიალა. ერთხელ ბიჭმა გარდამავალ ასაკში «ამბოხის» მოწყობა სცადა და დედის ნება-სურვილის წინააღმდეგ, ამხანაგებთან ერთად ველოსიპედით შორ მანძილზე გასეირნება მოინდომა; ამ დროს მას ხელეზაპრობილი დედა სარდაფის კართან გადაეღობა, საიდანაც ბიჭს ველოსიპედი უნდა გამოეტანა, და ტრაგიკული ხმით შესძახა:

«იცოდე, ჩემს გვამზე გადაივლი და მხოლოდ ისე წახვალ!» ბიჭი ბედს შეურიგდა, სამაგიეროდ, დედა მას ნუგბარი საჭმელებით გაუმასპინძლდა და შვილისთვის ალერსი არ მოუკლია. უკვე მოწიფულ ყმაწვილს, დედა ურჩევდა, გოგონებს მორიდებოდა და ეუბნებოდა: «ნუთუ ვერ ხვდები, რომ მაგათ მარტო შენი ფული აინტერესებთ?» ან: «იცოდე, ფრთხილად იყავი, არ გამოგიჭირონ; ეგენი მარტო გათხოვებაზე და უზრუნველ ცხოვრებაზე ოცნებობენ! თანაც იციან, რომ ერთ დღეს დიდ მემკვიდრეობასაც მიიღებ! ჰოდა, შენს ქონებას უმიზნებენ!» და ა.შ. რა თქმა უნდა, ვერც ერთი გოგო ვერ უძლებდა დედის გამჭოლ მზერას. როგორც კი ბიჭი რომელიმე მათგანის მიმართ ყურადღებას გამოიჩინდა, დედა მას უმაღლეს ნაკლს უპოვიდა. ერთხელ ამბობდა: «ბოსლიდან გამოსულს ჰგავსო», მეორეს თავი მეტისმეტად გამომწვევად ეჭირა და ეროტიკულად გამოიყურებოდა, ამიტომ მასზე ლაპარაკიც არ ღირდა; დანარჩენები ბიჭს სათანადო პატივისცემით არ ექცეოდნენ, ბოლოს კი დაასკვნინდა, რომ შვილი «არავისთვის არ ემეტებოდა». ამრიგად, დედა ცდილობდა, ბიჭის თვალში ყველა გოგო დაემცირებინა, და, რაკი შვილი სამყაროს დედის თვალებით უყურებდა, მალე თავადაც რწმუნდებოდა, რომ დედა მართალი იყო, და ქალებთან ურთიერთობის შიშს მაშინვე რაციონალურ მიმართულებას აძლევდა.

ბიჭი თხუთმეტი წლისა იყო, როდესაც თავს უბედურება დაატყდა – მამა გარდაეცვალა და ამით მის მომავალსაც წერტილი დაესვა. ახლა, როცა დედა მარტო დარჩა, ხომ ვეღარ მიატოვებდა მას?! ამაზე ბიჭს კატეგორიულად მიანიშნეს კიდევ. ყმაწვილი თავს დამნაშავედ გრძნობდა, თუ საღამოობით საღამე დიდხანს შეყოვნდებოდა. დედა ხომ ამ დროს დარდისაგან კვდებოდა! შაბათ-კვირას და არდადეგებს ახალგაზრდა კაცი სახლში, დედასთან ერთად ატარებდა. როდესაც იგი სასწავლებლად იქვე ახლოს, სხვა ქალაქში, გადავიდა, დედა მას ისეთი მწუხარებით დაემშვიდობა, თითქოს მისი შვილი სხვა კონტინენტზე მიემგზავრებოდა და სამუდამოდ ტოვებდა. ამასთან დედამ შვილს პირობა ჩამოართვა, რომ ყოველი კვირის ბოლოს აუცილებლად შინ დაბრუნდებოდა.

დედამ შვილის ცხოვრების ყველა წვრილმანი იცოდა. ახალგაზრდა კაცი სულაც არ აპირებდა ხოლმე თავისი ამბების მოყოლას, მაგრამ დედა დაჟინებით გამოჰკითხავდა მას ყველაფერს, ვიდრე ყმაწვილს მისთვის თავისი ცხოვრების ყველა წვრილმანის მოყოლა ჩვევად არ ექცა. ახალგაზრდა კაცს დედასთან ასეთი სიახლოვე იმდენად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მას საყვედურსაც კი არ ეუბნებოდა, როდესაც ქალი მის წერილებს მშვიდად ხსნიდა და კითხულობდა. თუ დედა ხედავდა, რომ შიდა თუ გარე ვითარებების გამო მათ ერთობას «საფრთხე» ემუქრებოდა, იგი საჭიროების შემთხვევაში «ავად» ხდებოდა და შვილს გასაქანს არ აძლევდა.

ასე ჩამოყალიბდა ყმაწვილკაცი «მარადიულ შვილად», რადგან ნებისმიერი მისი მცდელობა, მოსწყვეტოდა დედის ჭიპლარს, მარცხით მთავრდებოდა. რაკი დედამ მას პატარაობიდანვე ჩაუნერგა თვითბრალდების გრძნობა, ყმაწვილს ყველაფერზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული. ბოლოს და ბოლოს კი მისგან ერთი სულელი, კეთილმოსურნე და გულისხმიერი შვილი, თუმცა უღიმღამო და უსქესო კაცი დადგა. ქალებთან

ურთიერთობისას მას უფრო და უფრო იპყრობდა შიში და თავს უხერხულად, გაუბედავად გრძნობდა; ყმაწვილს წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა მოეგო ქალის გული; მან მხოლოდ ის იცოდა, როგორი ქცევა ევალეობდა კარგ შვილს. ამიტომ ახალგაზრდა კაცი უფრო ადვილად ამყარებდა ურთიერთობას უფროსი ასაკის, დედისტოლა ქალებთან, რადგან მათ საზოგადოებაში თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობდა. ისინიც, თავის მხრივ, აღფრთოვანებულნი იყვნენ თავაზიანი და ყურადღებიანი ყმაწვილით, რომელიც დახვეწილი ქცევებით გამოირჩეოდა. თუ ახალგაზრდა კაცი იგრძნობდა, რომ ვინმე ქალს მასთან დაახლოება სურდა, იგი მაშინვე დედის გამაფრთხილებელ სიტყვებს იხსენებდა და ფიქრობდა:

«მშვენივრად ვიცი, რომ ეგ ქალი ფულის გამო დამდევეს!» უაზროდ გატარებული წლების შემდეგ, ახალგაზრდა კაცი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ვერც კაცებთან და, მით უფრო, ვერც ქალებთან ურთიერთობას ვერ ამყარებდა, რაც თავისდაუნებურად, დედას უკავშირდებოდა. დედამ კი შვილში პიროვნული თვისებების დათრგუნვის ფასად იმას მიაღწია, რომ კვლავაც საოცრად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა და საყვარელ შვილთან «სანუკვარ ერთობაში» განაგრძობდა ცხოვრებას.

დედისგან განებივრებული ყმაწვილი კი უჩვეულო პრეტენზიულობით გამოირჩეოდა, თუმცა ამას თავად ვერ აცნობიერებდა. სწავლის დამთავრების შემდეგ, მან მამის მეგობრების წყალობით ერთ-ერთ მსხვილ ფირმაში დაიწყო მუშაობა. მისი პიროვნული სისუსტეები დედის გადაჭარბებული შეფასებით იჩქმალეობდა, ამიტომ ახალგაზრდა კაცმა საკუთარი თავი გამორჩეულ ადამიანად წარმოიდგინა, მერე კი ამის აღიარებას სხვებისგანაც მოითხოვდა, თუმცა ამის არავითარი საფუძველი არ ჰქონია, ის მტკივნეულად აღიქვამდა კრიტიკას და თავის უფროსს ამპარტავნული საქციელით აღიზიანებდა. მეორე მხრივ, თავისი თავაზიანობით ფირმაში სწრაფად მოიზიდა კლიენტები, თუმცა პროფესიული ცოდნითა და კომპეტენციით დიდად ვერ დაიკვებინდა. შუადღისას, სამუშაო საათებში, შეეძლო ყველა საქმე გადაედო და სამსახურიდან წასულიყო, მერე კაფეში დიდხანს მჯდარიყო, ან პლაჟზე და კინოში გაეტარებინა დრო. ბუნებრივია, ასეთი საქციელით იგი სამსახურში წინ დიდად ვერ წაიწევდა, თუმცა თავად ამის დიდი იმედი ჰქონდა. ახალგაზრდა კაცი ფიქრობდა, რომ მის ნიჭსა და უნარს გარშემომყოფნი სათანადოდ ვერ აფასებდნენ. ერთ-ერთი მივლინების დროს, იგი მთვრალ მდგომარეობაში ვიღაც გოგოს გადაეკიდა, მაგრამ რამდენიმე მცდელობის შემდეგ მიხვდა, რომ იმპოტენტი იყო. ცოტა ხანში ახალგაზრდა კაცმა ფსიქოთერაპევტს მიმართა, თუმცა დედა ამის წინააღმდეგი იყო; თავისი ამ დამოუკიდებელი საქციელით მან ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ, რადგან ეს იმაზე მიაწინებდა, რომ ახალგაზრდა კაცმა თავისი მდგომარეობა გააცნობიერა.

შემდეგ მაგალითზე დავინახავთ, რას განიცდის ადამიანი, რომლის მთელი არსება იმ შეგნებას მოუცავს, რომ იგი მთელი ცხოვრება ადამიანების მიერ უარყოფილი და მოძულეებული იყო.

ბატონი ა. მესამე უკანონო შვილი იყო, რომელიც დედამისმა ვიღაც კაცისგან გააჩინა. რაკი ბავშვი თავიდანვე არასასურველი იყო, მას ყურში გამუდმებით ჩაესმოდა დედის სიტყვები: «ნეტავ სულ არ გამჩენოდი!» ერთხელ პაციენტმა ფსიქოთერაპიული სეანსის დროს მოიტანა სურათი, რომელზეც საკუთარი თავი დაეხატა. სურათზე მას მოსწავლის ფორმა ეცვა, ხელები უკან გაკოჭილი ჰქონდა და ტყეში მიაბიჯებდა, მის ზურგსუკან კი აბრა მოჩანდა, რომელზეც მუქარის სიტყვები ეწერა: «ვაი შენს დღეს, თუ ამას გაბედავ!» «ახლავე შეეშვი მაგას!» «დაიცა, ჯერ სახლში დაბრუნდი, მერე გაჩვენებ სეირს!» «სად დაეთრეოდი აქამდე?» «ერთხელ კიდევ თუ მოიქცევი ასე, მაშინ ნახავ...!» ამ ადამიანს ბავშვობიდანვე ჰქონდა იმის განცდა, რომ სიცოცხლის უფლება არ ჰქონდა და მის არსებობას მხოლოდ ეგუებოდნენ, რისთვისაც იგი მადლობელი უნდა ყოფილიყო. დედა ვაი-ვაგლახით არჩენდა

ოჯახს და შვილისთვის ლუკმა ენანებოდა. ბიჭმა პატარაობიდანვე იცოდა, რომ არავის ყურადღება არ უნდა მიეპყრო და ყველას უნდა დამალვოდა. როდესაც პაციენტი კლინიკაში, შეზღონგზე იწვა, მაშინაც კი თავის შარვალზე იყო ჩაბლაუჭებული, განძრევას ვერ ბედავდა, ჩვეულებისამებრ, ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყო და თავისი არსებობით არავინ გაელიზიანებინა; მისი აზრით, თუ ხელს არავის შეუშლიდა და ოთახში ნაკლებ სივრცეს დაიკავებდა, კლინიკიდან აღარ გააგდებდნენ. ზუსტად ასე იქცეოდა იგი ცხოვრებაშიც: ძალიან მოკრძალებული იყო და უკვე შეჰგუებოდა იმ აზრს, რომ საკუთარი სურვილები და გეგმები არ უნდა ჰქონოდა, რადგან ბედი საერთოდ არ სწყალობდა და მომავალშიც კარგი არაფერი ელოდა; პაციენტი იძულებული იყო, მუშაობა ძალიან ადრეულ ასაკში დაეწყო გაზეთების დამტარებლად, ნაშოვნ ფულს კი მთლიანად დედას აბარებდა. მერე ჯიხურში გაზეთების გამყიდველის ადგილი იშოვა და თავს ბედნიერად გრძნობდა, თუ ხანდახან ცხელ გროგს დალევდა, მერე ქუჩის კუთხეში, საათობით იყურყუტებდა, სადამოს კი სიგარეტს გააბოლებდა ან კინოში წავიდოდა. ამ მარტოსულ ადამიანს განსაკუთრებით ქალებისა ეშინოდა, რადგან ისინი მკაცრ და შვილისმოძულე დედას ახსენებდნენ და მათგან სასიკეთოს არაფერს ელოდა. ბიჭს ყოველთვის აკლდა მამის მზრუნველობა, ამიტომ, როდესაც ვიღაც ხანდაზმულმა კაცმა ჰომოსექსუალური ურთიერთობა შესთავაზა, მის წინადადებას მაშინვე დათანხმდა, თუმცა მერე სულ იმის შიშში იყო, რომ მას ამ საქმეში ამხელდნენ. მოგვიანებით პაციენტმა ვიღაც მეგობარი გაიჩინა და მისი გავლენის ქვეშ მოექცა, რის შედეგადაც მაზოხიზმის ნიშნები გამოავლინა. იგი პარტნიორს უფლებას აძლევდა, თავისი ნებისმიერი სურვილი შეესრულებინა და მას ყველაფერში მხარს უბამდა, რადგან ეშინოდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მეგობარი მის მიმართ ინტერესს დაკარგავდა და მიატოვებდა. მართალია, ის უსამართლოდ ექცეოდა და ყველანაირად ამცირებდა, მაგრამ მასთან ყოფნა პაციენტისთვის ვიღაცასთან ურთიერთობას ნიშნავდა და არსებობდა ადამიანი, რომელსაც იგი, ასე თუ ისე, მაინც სჭირდებოდა. დროდადრო მასში სიძულვილის გრძნობა იღვიძებდა, როდესაც აცნობიერებდა, რომ პარტნიორი მას ნივთივით ხმარობდა, მაგრამ მერე ისევ შეიპყრობდა ხოლმე მისი «დაკარგვის შიში», ბედს ურიგდებოდა და უფრო მეტი მონდომებით ცდილობდა, პარტნიორი ახალ-ახალი სექსუალური ილეთებით დაეინტერესებინა. პაციენტი ამ გაუკუღმართებული ურთიერთობის დროს მიხვდა, რომ მასთან სრული იდენტიფიკაცია მოახდინა და საკუთარ თავში სადისტური, მეგობარში კი – მაზოხისტური მიდრეკილებები აღმოაჩინა. ამ ადამიანს ცხოვრებაში ერთადერთი გატაცება ჰქონდა: ის ჩუმად წერდა რაღაც კომედიას, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა. კომედიის დამთავრება, ალბათ, მისდა საბედნიეროდ, ვერ შეძლო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ილუზიაც დაემსხვრეოდა, რომელიც მომავალ დიდებაზე ოცნებით, მარტოსულ საღამოებს ულამაზებდა.

ორმოციოდე წლის ქალმა ფსიქოთერაპიული მკურნალობის თაობაზე წერილობით მომმართა და შეხვედრა მთხოვა. ერთმანეთს შეხვდით და მაშინ მას, სხვათა შორის, ვკითხე, როგორ წარმოედგინა ეს მკურნალობა. მოგვიანებით ქალმა შემდეგი შინაარსის წერილი მომწერა:

«საშინელი ბავშვობა მქონდა და ნამდვილი უბედურება იქნებოდა ჩემთვის, იმდროინდელი მდგომარეობა რომ გამეცნობიერებინა. ამიტომ გადავწყვიტე, წყალში ჩამეყვინთა; ახლა კი იმედი მაქვს, რომ მოჩვენებებს გამიფანტავთ, ნაპირზე გამომიყვანთ და მასწავლით, როგორ დავამყარო მშვიდი ურთიერთობა იმ საგნებთან და ადამიანებთან, რომლებიც გარს მარტყია. ასევე ვიმედოვნებ, რომ საძილე წამლების, ნიკოტინის და ალკოჰოლის წინააღმდეგ ბრძოლაშიც დამეხმარებით და მასწავლით, როგორ მოვიქცე იმ ადამიანებთან, რომელთა აზრებსაც არ ვეთანხმები; არ მინდა ამ დროს ჩემი აფექტები გულში დავიგროვო, რადგან ეს ძალიან ძვირად მიჯდება. მინდა გითხრა, რომ ძალიან დიდი სიძნელეების გადალახვა მიხდება, თუმცა ამას უცხო თვალი ვერ შეამჩნევს, რადგან გარეგნულად ერთობ დამყოლი და თვინიერი ვჩანვარ; კეთილსინდისიერად მუშაობას კი, ჩემი სიზარმაცის გამო, გულს ვერაფრით ვუდებ. ჩემი ბავშვობის ყველაზე მძიმე პერიოდი

მამასთან ურთიერთობას უკავშირდება; მაგრამ მამა გაუჩინარდა და სიზმარშიც აღარ მეცხადება».

ეს აღსარება ნამდვილად იმ ტრაგიკული ბავშვობის გამოძახილია, რომელსაც ქალი შემდეგ აღწერს:

მამამისი სულით ავადმყოფი იყო და გარდაცვალებამდე (იმ დროისთვის გოგონა თორმეტოდე წლის იქნებოდა) ოჯახში მათთან ერთად ცხოვრობდა. ამასთან იგი ალკოჰოლსაც ეტანებოდა და ბავშვი ხშირად ხედავდა მთვრალ და გაშმაგებულ მამას. დედამისი სუსტი და თვინიერი ქალი იყო. მერე იგი დაფეხმძიმდა და ბიჭი გააჩინა, რომელიც სამი წლით უმცროსი იყო თავის დაზე. მშობიარობის შემდეგ დედას ფსიქოზი დაემართა და კარგა ხანს აკვიატებული აზრები სტანჯავდა. მაგალითად, ამბობდა, რომ შვილებს თავში ნემსს ჩაურჭობდა და ასე დახოცავდა. ხუთი წლის გოგონას კი შემდეგი ამბავი გადახდა: მთვრალი, გამძვინვარებული მამა ცოლს და შვილებს ოთახში შეუვარდა და რევოლვერი ისროლა. ტყვია გოგონას ასცდა და ზედ თავთან გაუარა, მამა კი ოთახიდან გავარდა. დედას პოლიციის ან ექიმის გამოძახება უნდოდა, მაგრამ ბავშვმა უთხრა: «ნურავის გამოუძახებ, მოდი, ეს ამბავი მამიკოს მოვუყვებ; ის ნამდვილად გვიშველის».

ამ შემთხვევაში ბავშვი ნამდვილად გასცდა შემწყნარებლობის ყოველგვარ ზღვარს და შიშის დაძლევა მხოლოდ იმით მოახერხა, რომ საკუთარი თავი ემოციების სფეროდან გამოთიშა. ქალის წერილის შინაარსი ჩვენთვის უფრო გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ იმ ადგილს, სადაც ის ამბობს, რომ მისთვის ნამდვილი უბედურება იქნებოდა, თუ თავისი ბავშვობის წლებს გააცნობიერებდა; გასაგები გახდა ისიც, თუ რატომ უჩინარდებოდა მის მოგონებებში მამა და სიზმარში რატომ არასოდეს ეცხადებოდა. ადრეულ ასაკში მომხდარი ამბის შემდეგ, ბავშვის ფსიქიკა ვერ აიტანდა, თუ იგი გადატანილ შიშს და მუქარას სრულად გააცნობიერებდა და მას მამას დაუკავშირებდა. ამით იგი საკუთარი შიშისა და საფრთხეების წინაშე სრულიად მარტო აღმოჩნდებოდა. ამიტომ გოგონამ თავისი ცნობიერება გახლიჩა და ამით მამის აგრესიულობა და მისგან მომავალი საფრთხეები იქიდან გამოდევნა, სამაგიეროდ, თავისთვის მისი კეთილი და მფარველი სურათ-ხატი შემოინახა. თუ გოგონა მას საშველად მიმართავდა, იგი მხსნელი და მფარველი მამის სახით მოეწონებოდა, რომელიც მას აგრერიგად სჭირდებოდა. მაგრამ, როგორმა შიშმა და სასოწარკვეთამ უნდა შეიპყროს ბავშვი, რომ მან ასეთი საქციელი მოიმოქმედოს და საკუთარ თავში მოვლენები ასე გადაასხვაფეროს! რა თქმა უნდა, ზემოაღწერილი სცენა ერთ-ერთი ყველაზე ტრავმული და მტანჯველი უნდა ყოფილიყო ბავშვის ცხოვრებაში. ისიც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა შიშებითა და სასოწარკვეთილი განცდებით იყო აღსავსე მისი ბავშვობისდროინდელი რეალობა. გოგონა ვერსად გაიქცეოდა და ვერ იპოვიდა მფარველს, ამიტომ მან თავისი ცხოვრება სიზმრებში გადაიტანა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მას რეალურ სამყაროში არც არასოდეს უცხოვრია. მოსალოდნელი საფრთხისა და მუქარის თავიდან აცილების მიზნით, გოგონას მოვლენების გარკვევით და მკაფიოდ დანახვა არ სურდა, ამიტომ ამ სფეროდან მან საკუთარი ემოციური თანამონაწილეობა გამორიცხა, რათა აღარ განეცადა ის, რაც მის ტრავმირებას მოახდენდა; მოგვიანებით ქალის ტოკსიკომანიაც ამ «სამყაროსგან განდგომის» შედეგი იყო. ალბათ, ამავე განცდას უკავშირდება ასევე მისი სწრაფვა, თვალეგახეილი და გულზე ხელებდაკრეფილი შესულიყო ტბაში, წყლიდან ზეცაში აეხედა და თავი ბედნიერად ეგრძნო. იმავდროულად, გოგონა მხოლოდ სიზმრების სამყაროში შესვლით თუ გადაარჩენდა თავის სიცოცხლეს და გაუძლებდა არსებულ რეალობას. ასე იდგა იგი დეპრესიასა და ფსიქოზს შორის, რასაც იგი სინამდვილესთან შემდგომი აუტანელი შეჯახებებისაგან უნდა დაეცვა.

32 წლის დიპლომატმა, ხანგრძლივი იმპოტენციის შემდეგ, სამკურნალოდ მოგვმართა. როდესაც დადგინდა, რომ იმპოტენცია არავითარი ორგანული დაავადებით არ იყო გამოწვეული, მას აუხსნეს, რომ ეს პრობლემა არა მხოლოდ მასთან, არამედ მის

პარტნიორთანაც იყო დაკავშირებული. მოგვიანებით, მის დაავადებასთან დაკავშირებით, შემდეგი სურათი გამოიკვეთა: საღამოობით, როდესაც პაციენტი სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, ექვსი თვის შვილს აბანავებდა, აცმევდა და კვებავდა; ამ დროს მისი ცოლი, ტახტზე იყო წამოწოლილი, სიგარეტს აბოლებდა და წიგნს კითხულობდა. ახალგაზრდა კაცი შუათანა იყო ორ ძმას შორის; მათგან უფროსი ძმა თავისი აგრესიულობით და ველური ბუნებით გამოირჩეოდა და არავის ეკუთვნოდა, რის გამოც იგი დედამ სახლიდან გააგდო. პაციენტი ბავშვური გუმანით გრძნობდა, რას მოითხოვდა მისგან დედა, და, როგორც სანიმუშო შვილი, ყველანაირად ცდილობდა მისი გულის მოგებას; სიამოვნებით ეხმარებოდა დედას სამზარეულოში, იცავდა სისუფთავეს და წესრიგს და იმდენად მოიგო მისი გული, რომ ქალმა უფროსი ვაჟი საერთოდ მოიკვეთა. რაკი «სანიმუშო შვილმა» დედის სიყვარული თავის ვაჟკაცურ ბუნებაზე უარისთქმით მოიპოვა, მან ამგვარი ქცევები ცოლის შერთვის შემდეგაც არ მოიშალა და მის მიერ კარგად გათავისებული როლის თამაშს კვლავ განაგრძობდა. ახალგაზრდა კაცი საკუთარი თავის მიმართ მეტისმეტად მომთხოვნი იყო, მაგრამ მისთვის ამგვარი მოთხოვნების წამოყენების უფლებას ცოლსაც აძლევდა; ამასთან, ისევე როგორც ადრე დედაზე, ახლა ცოლზეც არ ბრაზობდა იმის შიშით, რომ მის სიყვარულს დაკარგავდა, თუ მას რაიმეში შეეწინააღმდეგებოდა. ის არ იყო შეჩვეული, ვინმესთვის მოთხოვნების წაყენებას ან უარისთქმას. კონფლიქტის მოგვარება მისთვის ის «სინდრომი» იყო, რომელსაც იგი შურისძიებისა და დასჯის მიზნით იყენებდა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ცოლს სექსუალურად ვეღარ აკმაყოფილებდა; თუმცა პაციენტს ამ დროს დანაშაულის გრძნობა არ აწუხებდა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ის «სომატური სიმპტომი» იყო, რომლის წინააღმდეგაც ვერაფერს გააწყობდა. ამასთან, რაკი ახალგაზრდა კაცი ცოლის მიმართ აგრესიას ვერ ავლენდა, ძალაუბნებურად საკუთარ თავსაც სჯიდა. პაციენტის დედა მოწევას და დალევას ვერ იტანდა, ამიტომ პაციენტმა ამაზე თავიდანვე უარი თქვა; მაგრამ, როდესაც მან პირველი სიგარეტი გააბოლა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ კაცმა ამ ცხოვრებაშიც შეიძლება შეიგრძნოს სიამოვნება. მერე ისე მოხდა, რომ ახალგაზრდა კაცი, ცოლის შერთვის შემდეგ, პირველად, სამსახურიდან ჩვეულებრივ დროს არ დაბრუნდა და მხოლოდ დილის ოთხ საათზე გამოცხადდა სახლში; ცოლი საშინლად აფორიაქებული იყო მისი დაგვიანებით, მაგრამ შინ მშვიდობით დაბრუნებულ ქმარს სიხარულით შეხვდა; და, რაკი გონიერი ქალი იყო და უნდოდა, რომ ქმრად ნამდვილი მამაკაცი ჰყოლოდა და არა «სანიმუშო შვილი», ამიტომ ახალმოსულს მიეფერა, მერე კიდევ «აცდუნა» და ახალგაზრდებმა საქმე წარმატებული და ბედნიერი ურთიერთობით დაამთავრეს.

დამატებითი მოსაზრებები

მაგალითებმა დაგვანახა, როგორ გამოიყურება შიში და როგორ ხდება მისი დაძლევა დეპრესიული პიროვნებების მიერ. შიშის მეორე მთავარ ფორმას «საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვის» ანუ საკუთარი არსებობის წინაშე შიში წარმოადგენს, რაც უშუალოდ «დაკარგვის» და «მარტო დარჩენის» შიშთან არის დაკავშირებული. ამრიგად, დეპრესიული პიროვნების შიში განსხვავდება შიზოიდის შიშისაგან, რომელსაც ადამიანებთან სიახლოვე და მათდამი ერთგულება იწვევს. როდესაც ადამიანი არ ცდილობს პიროვნებად ჩამოყალიბებას ანუ ინდივიდუაციას, იგი საკუთარ თავს რაღაც ძალიან არსებითზე ეუბნება უარს და მას ცხოვრების ობიექტად აქცევს. როგორც ჩანს, დეპრესიული ადამიანები დანაშაულის გრძნობის მიმართ იმის გამო იჩენენ მზაობას, რომ არ სურთ დაუპირისპირდნენ ცხოვრებისეულ გამოწვევებს და სრულყოფილ პიროვნებად იქცნენ. შევეცადოთ, განვაზოგადოთ დეპრესიული პიროვნების სურათი. როდესაც ადამიანი უარს ამბობს ინდივიდუაციის პროცესზე და ამაში საკუთარი თავისადმი მეტისმეტ ერთგულებას ხედავს, ამის ზოგადი შედეგი ის არის, რომ ამ დროს ნებისმიერი სხვა ადამიანის გადაჭარბებული შეფასება ხდება, ხოლო თავად დეპრესიული პიროვნება, შესაბამისად, ღირებულებას კარგავს. საკუთარი «მე»-ს ამგვარი უარყოფის დადებით მხარეს, უპირველეს ყოვლისა, დეპრესიული პიროვნების ისეთი თვისებები წარმოადგენს, როგორცაა თანაგრძნობა და თანაგანცდა. იგი ყოველთვის სხვა ადამიანზე, მის მდგომარეობასა და ინტერესებზე ფიქრობს და მასთან იდენტიფიკაციას ახდენს. ეს მას შესაძლებლობას აძლევს, უფრო ღრმად ჩასწვდეს მეორე ადამიანის ბუნებას და «საკუთარი თავი გადაიტანოს სხვაში», რაც, ერთი შეხედვით, ერთობ პოზიტიურ თვისებას წარმოადგენს. მაგრამ დეპრესიული პიროვნება მერე თითქოს ვეღარ ახერხებს იდენტიფიკაციის ამ პროცესიდან გამოსვლას და საკუთარ თავს ვეღარ უბრუნდება. ამით იგი მთლიანად კარგავს საკუთარ თვითობას და, შესაძლოა, მეორე ადამიანის ექოდ გადაიქცეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ქრისტიანული მცნება: «გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი», მას არასწორად ესმის და ასე მოიაზრებს:

«გიყვარდეს მოყვასი შენი საკუთარ თავზე მეტად». დეპრესიული პიროვნებების ამგვარ განწყობას სხვა ადამიანები ხშირად თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ. ამიტომ დეპრესიული ადამიანის მოლოდინი, რომ სხვებიც მასავით გულისხმიერებას, მგრძნობიარობას და თანადგომას გამოიჩინენ, ცხოვრებაში იშვიათად მართლდება. მას გამოცდილება, პირიქით, უჩვენებს, რომ სხვები უფრო თამამები და ეგოისტურები არიან, და ამით მეტ წარმატებას აღწევენ. სწორედ ამ დროს იქმნება კრიტიკული მდგომარეობა; ჩვენ უკვე აღვწერეთ, ადამიანმა როგორ აქციოს საკუთარი გაჭირვება სათნოებად, როგორ აამაღლოს თავისი საქციელი იდეოლოგიამდე, რათა შურს მოერიოს და ამის წყალობით მორალური უპირატესობა აღიქვას, როგორც ნუგეში; რადგან დიდი ღირსებაა, სხვაში უშურველად აღიარო ის, რასაც საკუთარ თავს უკრძალავ ან რისი მიღწევაც თავად არ შეგიძლია; მით უფრო, რომ ასეთი საქციელი შეესაბამება კოლექტიურ და რელიგიურ იდეალებს, რომლებსაც ქრისტიანულ მოძღვრებაში ვხვდებით.

დეპრესიული ადამიანის იდეოლოგია, ნებისმიერი იდეოლოგიის მსგავსად, ძნელად ექვემდებარება გადამოწმებას. იგი უკვე იმის გამო ვერ ამბობს უარს ამ იდეოლოგიაზე, რომ ძალიან ძვირად დაუჯდა თვითაღკვეთა და შურის დაძლევა, თან მორალურ კმაყოფილებასაც განიცდის ამის გამო; და, ბოლოს და ბოლოს, ადამიანი თავად ხომ ვეღარ ჩაიდენს იმას, რასაც სხვებში ასე უარყოფს და განსჯის! ამას ემატება ისიც, რომ დეპრესიულმა პიროვნებამ არ იცის, როგორ ჩაერთოს გარესამყაროსთან და ადამიანებთან უამრავ ახალ ურთიერთობაში, რადგან საამისოდ ცხოვრებისეული ალლო აკლია, ეს კი მას კვლავ ძველი გზით მიაქანებს. ამრიგად, დეპრესიული ადამიანი სულ უფრო და უფრო იხლართება საკუთარი იდეოლოგიის ქსელში, რომელიც მისთვის არანაირად წარმოადგენს ხსნას, რადგან მან ამ დროს ისეთი სისუსტე უნდა გადალახოს, რომელსაც შიში ჰქვია. როგორც გოეთეს ზემოთ მოყვანილი ცოტატა გვამცნობს, ჭეშმარიტი სუბლიმაციის უნარი იშვიათად თუ არსებობს. ამ იდეოლოგიის მქონე თავმდაბალი და მორჩილი ადამიანი ვერ

გათავისუფლდება შურისაგან, რადგან იგი მუდმივად შეიგრძნობს ამ ცხოვრების «უსამართლობის» სიმწარეს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება მთელი რიგი ისეთი ჩვეულებრივი, უმნიშვნელო შემთხვევები, როცა დეპრესიული პიროვნების ქცევა ნევროზის სახით გამოვლინდება და მასზე ღრმა კვალს ტოვებს. მაგრამ დროული ყურადღების შემთხვევაში, ამას შეიძლება ეშველოს. მაგალითად, თუ დეპრესიულ პიროვნებას სტუმრები ჰყავს, ან თავად იმყოფება სტუმრად, მას ყოველთვის აქვს შეგრძნება, რომ მხოლოდ ის აგებს პასუხს სტუმრების გართობაზე, და, თუ სტუმრობა სათანადოდ არ ჩაივლის, არასრულფასოვნების ან დანაშაულის გრძნობა ეუფლება. ამ დროს თავად მის საქციელს სილაღე და უშუალობა აკლია და აზრად არ მოსდის, რომ სტუმრების გართობაში სხვებმაც უნდა შეიტანონ წვლილი; მან არ იცის, რომ ამ დროს ადამიანი შეიძლება თავს «ბედნიერად» გრძნობდეს, და, ამრიგად, მთელ პასუხისმგებლობას ამ სიტუაციაში საკუთარ თავზე იღებს. ასეთ მტანჯველ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე ერთი პაციენტი იმ დროს, როდესაც მეგობრებს უცხო ადამიანს აცნობდა. ის მეტისმეტად დამაბული იყო და ეშინოდა, ვაითუ მის მეგობრებს ახლად გაცნობილი ადამიანი არ მოსწონებოდათ, ან მისი მეგობრებით ეს უკანასკნელი დარჩენილიყო უკმაყოფილო. ეს პიროვნება ვერც კონცერტზე ყოფნისას განიცდიდა სიამოვნებას, რადგან საკუთარი თავის იდენტიფიკაციას, ერთი მხრივ, შემსრულებელთან, მეორე მხრივ კი – მაყურებელთან ახდენდა. მას ორმაგი შიში ეუფლებოდა იმის გამო, რომ ან შემსრულებელი ვერ გაამართლებდა მაყურებლის მოლოდინს და მას იმედს გაუცრუებდა, ან თავად შემსრულებელი დარჩებოდა უკმაყოფილო იმით, რომ მაყურებელმა იგი მქუხარე ტაშით არ დააჯილდოვა.

ამრიგად, პაციენტი არასოდეს განასახიერებდა საკუთარ თავს და მუდმივად შუალედურ პოზიციაში იდგა სხვა ადამიანებს შორის. იგი ამ დროს, გაუცნობიერებლად, ისევ და ისევ ადრინდელ სიტუაციებს იმეორებდა, როდესაც მხოლოდ გარშემომყოფთა განწყობას იზიარებდა და მათ წინაშე კმაყოფილებას გამოხატავდა. პაციენტი ამ დროს ჩრდილში დგომას ამჯობინებდა, რათა თავი ოდნავ მაინც დაცულად ეგრძნო და საფრთხის ქვეშ არ დაეყენებინა ის სიყვარული, რომელსაც ამ ადამიანებისაგან გრძნობდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ დეპრესიული პიროვნების დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ ამ შემთხვევაში მოჩვენებითია და დიდად განსხვავდება შიზოიდური ადამიანისაგან. რაკი ეს უკანასკნელი ადამიანებთან არ კონტაქტობს, მათთან ნებისმიერი ურთიერთობა მის აღელვებას და აგრესიას იწვევს; დეპრესიული პიროვნების ურთიერთობა კი მეორე ადამიანთან მუდამ მოჩვენებითია; იგი ყოველგვარ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს, მაგრამ ამ დროს განდიდების მანიით კი არ არის შეპყრობილი, არამედ მას საკუთარი სუსტი «მე» აიძულებს, თავისი ცხოვრების ნაცვლად, უმთავრესად სხვისი ცხოვრებით იცხოვროს.

ალბათ, ისიც გასაგებია, რომ დეპრესიულმა პიროვნებამ ბოლოს და ბოლოს თავი უნდა დაიცვას საკუთარი «მე»-ს მიმართ წაყენებული გადაჭარბებული მოთხოვნებისაგან, რასაც იგი ქვეცნობიერად განიცდის და, აქედან გამომდინარე, დანაშაულის გრძნობა არ გააჩნია; სხვაგვარად, იგი ამ მდგომარეობას თავს ვერ დააღწევს და, შესაძლოა, ყველაფერმა ამან სომატურ სიმპტომებში იჩინოს თავი. ასეთ ადამიანებს ძალიან სიამოვნებთ, თუ მათ რაიმე ავადმყოფობას აღმოუჩენენ და საავადმყოფოში მოხვდებიან; ამ დროს, ბოლოს და ბოლოს ერთხელ მაინც მიეცემათ უფლება, რომ სხვებისგან იგრძნონ მზრუნველობა და არავისზე აღარ იდარდონ. ახლა მათ უკვე აღარ აწუხებთ დანაშაულის გრძნობა და აღარ განიცდიან, რომ ავად გახდნენ და «საკუთარი თავი უარყვეს».

იმის გამო, რომ დეპრესიული პიროვნება არ არსებობს როგორც «დამოუკიდებელი სუბიექტი», მასში შური და უმწეობა წარმოშობს სიძულვილს, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ სხვებს საკუთარი თავის გამოყენების საშუალებას აძლევს. დანაშაულის მტანჯველი გრძნობისგან განთავისუფლება კი იმ შემთხვევაში ხდება, თუ დეპრესიული ადამიანი საკუთარი თავმდაბალი, მორჩილი, მშვიდობიანი და უპრეტენზიო საქციელისათვის შესაბამის იდეოლოგიას გამოიმუშავებს. ამ შემთხვევაში მას შეუძლია ჰქონდეს იმედი, რომ სიმშვიდეს მოიპოვებს; მაგრამ ეს ისევ ის სახიფათო სიმშვიდეა, რომლის მიღმაც კვლავ ფარული აფექტების დაგროვება ხდება.

სახიფათოა ნებისმიერი იდეოლოგია, რომელიც გამარტივებულად ახდენს ადამიანის რომელიმე მთავარი იმპულსის აბსოლუტიზაციას და არ ცდილობს სხვა იმპულსების გათვალისწინებას; ამით იგი უფრო დამაჯერებლად ახდენს ადამიანების იზოლაციას. ადამიანის სულს, მის ქვეცნობიერს, გააჩნია თვისება, ყურადღება ცალმხრივობებზე გადაიტანოს; ეს კი ანტინომიურ ძალებს შორის არსებულ, იმ აგრეტივად ნაყოფიერ დამაბულობას უქმნის საფრთხეს, რასაც ცხოვრება ჰქვია; ოღონდ ამის გაცნობიერება ჩვენი სიზმრების, არასწორი ქმედებების, პარტნიორებთან ურთიერთობების და, უპირველეს ყოვლისა, შიშის წყალობით ხდება. ასე, მაგალითად, მეტისმეტად თავმდაბალ და მშვიდობიან ადამიანს სხვაზე გადააქვს ის სიზმრები, რომლებშიც დათრგუნული განწყობა უკიდურესი სახით გამოვლინდება. მაგრამ ეს არის მინიშნება იმაზე, რისი ინტეგრაციაც მას საკუთარ თავში უნდა მოეხდინა. მსგავსი დამატებითი მოთხოვნები საკუთარი თავის მიმართ, შესაძლოა, პარტნიორის შერჩევის დროსაც არსებობდეს, რადგან ადამიანს ხშირად იზიდავს და ხიბლავს თავისი საპირისპირო ტიპი; იგი ვარაუდობს, რომ მასთან ურთიერთობის დროს ისწავლის იმას, რისი უნარიც ცხოვრებაში თავად არ გააჩნია, ახლა კი ასეთი შანსი მას, ასე თუ ისე, ეძლევა.

მთავარი ადამიანური იმპულსების განხილვის დროს, ჩვენ კვლავ ვხვდებით მოწმე იმისა, რომ ადამიანის ვერგანცდილი თუ დათრგუნული იმპულსი შინაგანად ან გარეგნულად მაინც გამოვლინდება. ზოგიერთ სიტუაციაში ან პარტნიორთან შეხვედრის დროს, შესაძლოა, დეპრესიულ ადამიანს არ ეყოს გამბედაობა, რომ საკუთარი თავი სუბიექტად წარმოაჩინოს; ეს კი გადაუჭრელ კონფლიქტს გამოიწვევს. არსებობს ისეთი სიტუაციებიც, როდესაც დეპრესიული პიროვნების შემწყნარებლობა თავის ზღვარს აღწევს, რის შედეგადაც მას ათასგვარი საქციელის ჩადენა შეუძლია. გამორიცხული არ არის, რომ დეპრესიულ ადამიანში დაგუბებულმა აფექტებმა ჯებირი გაარღვიოს და გამანადგურებელი შედეგები გამოიწვიოს. ამ დროს ჩვენი პიროვნების არაინტეგრირებული ნაწილი თითქოს გამოცალკევდება და არქაული ფორმით გამოვლინდება; ეს იმ ახალგაზრდა ქალის მაგალითზე დავინახეთ, რომელიც ჭამის და ქურდობის მანიით იყო შეპყრობილი.

დეპრესიული სტრუქტურის მქონე პიროვნებებს შორის არსებობენ სავსებით ჯანმრთელი ადამიანები, რომლებიც სუსტი დეპრესიის ნიშნებს გამოავლენენ, მაგრამ მძიმე და უმძიმესი დეპრესიის შემთხვევებიც არცთუ იშვიათად გვხვდება. ამის შედეგად მივიღებთ დეპრესიული თვისებების შემდეგ კლასიფიკაციას: კონტემპლაცია (დაკვირვება), გონებით ჭკრეტა, მშვიდი ინტროვერტულობა, თავმდაბლობა, მორიდებულობა, მოთხოვნებისა და საკუთარი თავის დამკვიდრების დამუხრუჭება, სიმყუდროვის განცდის სურვილი, რეცეფციული პასიურობა, პასიური მოლოდინი (ბედნიერი და საამური ცხოვრების მოლოდინი), უიმედობა, დეპრესია, მელანქოლია. ამ ჩამონათვლის ბოლოს, არცთუ იშვიათად, დგას ხოლმე თვითმკვლელობა, სრული აპათია, გულგრილობა. ნარკოტიკული დამოკიდებულების დროს ადამიანი მხოლოდ დროებით გრძნობს შევებას და ეხსნება დეპრესია. მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი მძიმე სულიერი დაავადებაა და არ ჰგავს შიზოიდებისთვის დამახასიათებელ სულიერ მდგომარეობას, რაც მოწმობს, რომ ორივე დაავადების გენეზისი ადამიანის ფსიქიკის სხვადასხვა დონეზე იწყება; დეპრესიული, დამუხრუჭებული და მანიაკალური, ზეალტაცებული ფაზების ურთიერთმონაცვლე პროცესები (მწუხარებიდან – აღფრთოვანებამდე) მთლიანად წარმოაჩენს ადამიანის ცხოვრებისეულ სივრცეს. მანიაკალურ ფაზაში გარკვეულ დროით აღარ არსებობს არავითარი დამუხრუჭება და აკრძალვა; დეპრესიული პიროვნება ამ დროს უჩვეულოდ აღტკინებული და მხიარულია, ყიდულობს უამრავ ნივთს, იღებს ვალებს და აღსავსეა ოპტიმიზმით, რის შემდეგაც იწყება დეპრესიის ფაზა; მხიარული განწყობა ქრება და პაციენტი კვლავ აპათიაში ვარდება. როდესაც ხდება გარკვეული რიტმული მონაცვლეობა პაციენტის ზეაწეულ განწყობასა და დათრგუნულ მდგომარეობას შორის, მის ცხოვრებაში იმედიანი გამონათების წუთებს განსაკუთრებით მკვეთრად ცვლის უიმედო სასოწარკვეთა, მაშინ როცა მელანქოლიის დროს მხოლოდ უიმედობა არსებობს.

დეპრესიული პიროვნებები ხშირად რელიგიურები არიან. რელიგიაში მათ ყველაზე მეტად ტანჯვისგან თავდახსნისა და მიმტევებლობის იდეა იზიდავთ. ტანჯვას და სევდას ისინი

ხშირად მიჰყავს საყოველთაო ერთობის მისტიკურ განცდამდე, რასაც ისინი მედიტაციის გზით აღწევენ. გარდა ქრისტიანული რელიგიისა, რომელსაც, როგორც რწმენას, ისინი მორჩილებით ეზიარებიან, დეპრესიული პიროვნებები ხშირად მიმართავენ ბუდიზმს და სიამოვნებით იზიარებენ ამქვეყნიური ცხოვრებისგან განდგომის მისეულ იდეას. ამ ადამიანებს იზიდავთ რწმენის ნებისმიერი გამოვლინება, რომელიც პიროვნებას თავდავიწყებისა და თვითაღკვეთისკენ მოუწოდებს. მათ სწამთ, რომ, მართალია, ამქვეყნიური ცხოვრება ვერ მოიწყეს, მაგრამ, სამაგიეროდ, იმქვეყნად იპოვიან ბედნიერებას და, რაც უფრო მეტად დაიმცირებენ ან დაამცირებინებენ სხვას თავს, იმქვეყნად მით უფრო ამაღლდებიან. იმქვეყნად სამართლიანობისა და ბედნიერების ზიარება თავდადებას და თვითაღკვეთას მოითხოვს, მაგალითად, ახალგაზრდების მძიმე მუშაობა მომვლელებად და ადამიანის ზრუნვასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები. დეპრესიული ადამიანები, ალბათ, ყველაზე მეტად განიცდიან საკუთარ რწმენაში მომხდარ ცვლილებებს, რაც გამოწვეულია თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღწევებით. დეპრესიულ პიროვნებას რწმენა აძლევს ცხოვრების აზრს, მაგრამ თანამედროვე მეცნიერებების ცალმხრივად, რაციონალურად დადასტურებული ფაქტები არყევენ ამ რწმენას, რადგან ისინი ცდილობენ რელიგიური გრძნობები ხან ფსიქოლოგიურ და მეტაფიზიკურ მოვლენებს «დაუკავშირონ», ხანაც წმინდა წარმოსახვითი აზროვნებით ახსნან. ამ დროს დეპრესიული პიროვნება ხშირად ვერ აცნობიერებს, რომ ეს მეცნიერებები, თავიანთი გამოთვლითი და კაუზალური მეთოდებით, ჩვენი ცხოვრების და სამყაროს მხოლოდ ერთ გარკვეულ ასპექტს შეიმეცნებენ; დეპრესიულ ადამიანს ასევე არ ესმის, რომ მეცნიერება, რომლის უმთავრეს მიზანსაც ბუნებასთან ბრძოლა შეადგენს, ადრე თუ გვიან, საკუთარ ხლართებში გაეხმება. ამის ნიშნები კი უკვე შეიმჩნევა.

ჯანმრთელმა ადამიანმა, რომელსაც აქვს მიდრეკილება დეპრესიისადმი, შესაძლოა, თავისი რელიგიურობით ღრმა შინაგანი სულიერება მოიპოვოს, რასაც იგი, არცთუ იშვიათად, მისტიკურ სამყაროში გადაჰყავს. სიკვდილს იგი უყურებს, როგორც ტანჯვისგან ხსნას და ამ დროს სიკვდილისადმი მორჩილებას ყველაზე ხშირად გამოხატავს.

«დაე, აღსრულდეს ნება შენი», – ეს სიტყვები მისთვის ბედისადმი მორჩილებას ნიშნავს და მასზე დიდი ძალა აქვს. დეპრესიული ადამიანი ბედისადმი სრულ შემგუებლურ განწყობას ყველაზე ხშირად amor fati-ს⁵ მნიშვნელობით გამოავლენს. იგი თავის ბედ-იღბალს მხოლოდ საკუთარ დანაშაულს უკავშირებს, მზადაა, გამოისყიდოს ყოველგვარი დანაშაული და ადვილად გახდეს იმ ადამიანის მსხვერპლი, ვინც მის ამ თვისებას ბოროტად გამოიყენებს.

ზნეობის სფეროში მიღებული წესებისა და აკრძალვების მნიშვნელობა მას სიტყვა-სიტყვით ესმის; ამის გამო დეპრესიული ადამიანი საკუთარ თავს მეტისმეტად დიდ მოთხოვნებს უყენებს, რაც აძლიერებს მასში თვითბრალდების გრძნობას. თვითაღკვეთით, ცხოვრებისგან განდგომით და თავის მსხვერპლად მოტანით იგი ცდილობს, გაექცეს გარესამყაროს და მასთან შეხლა-შემოხლას. როგორც ყოველთვის, ჩვენი სიცოცხლე ამ შემთხვევაშიც ბეწვის ხიდია, რომელზეც ადამიანმა გულწრფელობიდან სიყალბემდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი უნდა გადადგას. შედარებით ნაკლებად დეპრესიული პიროვნებები სანიმუშო მშობლები და აღმზრდელები არიან და ადამიანებთან ურთიერთობას კარგად ახერხებენ. ისინი გრძნობენ ბავშვის განწყობას და ცდილობენ გაუგონ მას. საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ცხოვრებისეული სიძნელეებისა და «დაკარგვის შიშის» გამო, მათ შეუძლიათ, ბავშვი ძალიან მიიჩვიონ, მეტისმეტ მზრუნველობას იჩენენ მის მიმართ, რამაც შეიძლება შეაფერხოს ბავშვის განვითარება. ამასთან, ისინი ბავშვთან ხშირად ვერ იცავენ საჭირო დისტანციას, არათანმიმდევრულები არიან და, საჭიროების შემთხვევაში, მის მიმართ სიმკაცრესაც ვერ იჩენენ; მათი ლმობიერება კი ბავშვს მხოლოდ ვნებს. თანაც ეს ადამიანები მას არავითარ მითითებებს არ აძლევენ, რადგან მისი სიყვარულის დაკარგვისა ეშინიათ. დეპრესიული ადამიანის მერყევი ხასიათი ნებისმიერი ურთიერთობისას ვლინდება. დედებს, რომლებსაც უიღბლო ბავშვობა ჰქონდათ, ხშირად აქვთ ასეთი განწყობა და ამბობენ: «მინდა, ჩემი შვილი უკეთეს პირობებში გაიზარდოს». ამის გამო ისინი თავიანთ შვილებს დათვურ სამსახურს უწევენ.

⁵ ბედ-იღბლის მაღლიერებით, სიყვარულით მიღება (ლათინ.).

დეპრესიულ პიროვნებებს ისეთი საქმიანობა მოსწონთ, როდესაც ვინმეზე ზრუნავენ, ვინმეს ეხმარებიან ან რაიმე სამსახურს უწევენ. ისინი მზად არიან, მსხვერპლად გაიღონ თავი, ადამიანების მიმართ მოთმინება და გულისხმიერება გამოიჩინონ და, ამრიგად, თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოავლინონ. მათ შორის ხშირად გვხვდებიან ექიმები და ფსიქოთერაპევტები, რადგან ეს პროფესიები აძლევს მათ შესაძლებლობას, თანაგრძნობა და მზრუნველობა გამოიჩინონ ადამიანების მიმართ. დეპრესიული პიროვნებები მოთმინებით გამოირჩევიან და, კარგი მეზაღის მსგავსად, ლოდინის უნარი გააჩნიათ. ექიმის, ღვთისმსახურის ან პედაგოგის პროფესიის არჩევის დროს ისინი თავიანთი მოწოდებით ხელმძღვანელობენ და არა სახელის, ფინანსური კეთილდღეობის ან რაიმე გამორჩენის გამო. მათთვის ახლობელია აგრეთვე მეტყვევის და მომსახურების სფეროს თანამშრომლის საქმიანობა, რომელიც ასევე ადამიანებზე ზრუნვას უკავშირდება.

დეპრესიული ადამიანების სტრუქტურული სპეციფიკა სიზმრებში გამოვლინდება; სიზმრებში ადამიანის იმედგაცრუება და გარესამყაროსგან განდგომა განსაკუთრებით ხშირად ჭამის პრობლემებს უკავშირდება. დეპრესიული პიროვნებები ვერ ბედავენ საჭმელზე უარისთქმას. ისინი სიზმარში მიდიან გაშლილ სუფრასთან, მაგრამ იქ მათთვის ან ადგილი აღარ არის, ან ყველაფერი უკვე შეჭმულია. ასეთ სიტუაციებში დეპრესიული ადამიანის განცდები შეიძლება «ტანტალოსის ტანჯვას» შევადაროთ. ჭამის პრობლემა იმაშიც გამოიხატება, რომ სიზმარი იწყება სურვილით და იმპულსით, რომელსაც გზად აუცილებლად წინააღმდეგობა გადაელობება. სიზმარში მყოფი ადამიანი ვერასოდეს აღწევს მიზანს. ვისაც შეთავაზებულის აღების უფლება არა აქვს, მას ისღა დარჩენია, საკუთარი სურვილების შესრულებას დაელოდოს. ეს ქმნის ფონს სამოთხისეული სიზმრების სივრცისათვის, რომელშიც ადამიანს მისთვის სასურველი ყველაფერი მიერთმევა. ასე ხდება დეპრესიულ პიროვნებაში სურვილისა და პასიური მოთხოვნების ურთიერთდაპირისპირება. დეპრესიულ პიროვნებას ასევე შეიძლება დაესიზმროს მეკობრეები და ავაზაკები, რომლებიც მას თავს ესხმიან. ეს არის გზა, რომლის საშუალებითაც დეპრესიული პიროვნება ათვალსაჩინოებს საკუთარ გამოდევნილ განცდებსა და აზრებს ყაჩაღობისა და ქურდობის მიმართ, რაც მისთვის არაჯანსაღი და მიუღებელია. დეპრესიის დაწყებისათვის ასევე მნიშვნელოვანია საკითხი, რომელიც საკუთარი თავის ან სხვის მიმართ მოთხოვნების წაყენებას ეხება. ამ საკითხმა დეპრესიული ადამიანის სიზმარში შეიძლება, მაგალითად, შემდეგი სახე მიიღოს:

«მამასთან ერთად ვმოგზაურობ მთებში. ციცაბო ბილიკით მივდივართ. ზურგზე ჩანთა მაქვს აკიდებული; მის ბარგს და ქურთუკსაც მე მივათრევ».

დეპრესიულად განწყობილი, მაგრამ ჯანმრთელი ადამიანისათვის ამ დროს დამახასიათებელია გულისხმიერება და მზაობა, რათა მოყვასს დახმარების ხელი გაუწოდოს და მისი მდგომარეობა გაიზიაროს. ასეთ პიროვნებას შენდობის უნარი გააჩნია, მას შეუძლია დაელოდოს სიტუაციის მომწიფებას და თან ოდნავი ეგოიზმით გამოირჩევა. მისი ურთიერთობები ადამიანებთან ემოციებს ემყარება, თავმდაბალი და უპრეტენზიოა მათ მიმართ, მისთვის ხელსაყრელ პირობებზე ადვილად შეუძლია უარისთქმა. ცხოვრება დეპრესიულ პიროვნებას, პირიქით, მძიმე ეჩვენება, მაგრამ შეუძლია მდგომარეობა იუმორის მეშვეობით გააწონასწოროს და თქვას: «იუმორის დროს ადამიანი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც იცინის». დეპრესიული ადამიანი ხშირად ღრმად ღვთისმოსავია, თუმცა ამ დროს ყოველთვის ეკლესიური არ არის; ეს უფრო ცხოვრებისეული ღვთისმოსაობაა. მას სწამს, რომ ადამიანის ბედი ღმერთის ხელშია, და, ამასთან, მოსალოდნელ საფრთხეებსაც ხედავს. მაგრამ ცხოვრებაზე ხელის აღება არ სჩვევია, რადგან უყვარს იგი. მისი ყველაზე მთავარი სათნოება თმენისა და გაძლების უნარია. დეპრესიული პიროვნება, ალბათ, მოიწონებდა შპიტელერის აზრს, რომელსაც იგი თავის ნაწარმოებში, «პრომეთე და ეპიმეთეუსი» გამოთქვამს: «მოკრძალებით შეაფასე საკუთარი თავი». ამით დეპრესიული პიროვნება ცდილობს, ჩრდილში იდგეს, ამიტომ მისი «აღმოჩენა» საჭიროა; ის ხშირად ღრმა და დამდგარ წყალს მოგვაგონებს. დეპრესიული პიროვნების ყველაზე მშვენიერ თვისებებს გულისხმიერება და ადამიანებისადმი თბილი დამოკიდებულება წარმოადგენს; მიღწეულ წარმატებას იგი ნაკლებად მიაწერს საკუთარ ნიჭსა და უნარს, მას ღვთის წყალობად მიიჩნევს და «მორჩილებით» ცხოვრობს, ამ სიტყვის ჭკმშიარტი გაგებით.

შიში ცვლილებების წინაშე

ობსესიური პიროვნებები

«ერთხელ ქვად იქეც! მერე კი ასეთად დარჩი!»

ჰესე

ადამიანს «მუდმივობის» განცდა ძალიან ადრე უჩნდება და მერე ღრმად არის გამჯდარი მასში. როგორც დავინახეთ, ბავშვობისდროინდელი ჩვევები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის შემდგომ განვითარებაში. მხოლოდ მათი წყალობით ხდება ჩვენი განსაკუთრებული, ადამიანური თვისებებისა და ემოციური თუ გონებრივი უნარების ჩამოყალიბება და განვითარება; ეს კი გვადლევს შესაძლებლობას, გავაცნობიეროთ ჩვენი ნდობა და იმედები. შიზოიდური ადამიანების აღწერისას დავინახეთ, რომ პარტნიორების ხშირი ცვლის დროს ან ადრეულ ბავშვობაში ძვირფასი ადამიანის დაკარგვის გამო, ეს უნარ-ჩვევები განუვითარებელი რჩება და მახინჯი სახით გამოვლინდება.

«მუდმივობის» განცდა და ერთი და იმავე შთაბეჭდილებების საიმედო განმეორება მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი მეხსიერების, ცნობიერებისა და გამოცდილებისათვის, ასევე, საერთოდ, ჩვენი ორიენტაციისათვის სამყაროში. სამყარო ქაოტური რომ იყოს და მასში კანონზომიერება და წესრიგი არ არსებობდეს, ადამიანს საერთოდ არ ექნებოდა ამ თვისებების განვითარების შესაძლებლობა; იგი ვერ მოახერხებდა საჭირო ცოდნის დაგროვების, რადგან გარეგნული და შინაგანი ქაოსი ერთმანეთს გადაფარავდა. ამრიგად, ცნობიერებაში მყარად დაგროვილი ცოდნა ჩვენი სამყაროს შინაგანი სულიერების ანარეკლს წარმოადგენს და მისი კანონზომიერებებისა თუ მასში გამეფებული წესრიგის მსგავსია. ადამიანი მთვარეზე ვერასოდეს დაემშებოდა, ეს მნათობი ჩვენთვის გაურკვეველ ორბიტაზე, უცნობი კანონების მიხედვით რომ მოძრაობდეს.

მაკრო და მიკროკოსმოსს შორის ამ კავშირს ყველაზე დიდი სიცხადე ასტროლოგიამ მოჰფინა, რომელიც, როგორც ჩანს, დღესდღეობით კვლავ განიცდის აღმავლობას. ოსკარ ადლერს თავის «ასტროლოგიის ანდერძში» მოჰყავს კანტის გამონათქვამი, რომელსაც ამ სამყაროში ორი მოვლენა აღავსებდა ღრმა სასოებით: ეს არის ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩვენს თავზე და მორალური კანონი თავად ჩვენში, რაც ნიშნავს, რომ ეს მორალური კანონი კოსმიური წესრიგის, «ჩვენს თავზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცის» ანარეკლს წარმოადგენს და მისი მსგავსია. ადამიანი უკეთ რომ აცნობიერებდეს კოსმიურ წესრიგში საკუთარი თანამონაწილეობის მნიშვნელობას, იგი თავის თავში იპოვიდა იმ წესრიგის პრინციპს, რომელიც მალლა დგას ნებისმიერ იდეოლოგიაზე, რადგან იგი ადამიანების მიერ არ არის მოგონილი, და, იმავდროულად, ჩვენი არსებობისა და ცხოვრებისეული სივრცისათვის ფუნდამენტური აუცილებლობაა.

ამრიგად, «მუდმივობისკენ» სწრაფვით ადამიანი თავის შინაგან არსს გამოხატავს. გარდა იმისა, რომ ამ სწრაფვას მასში საყვარელი არსების «არდაკარგვის» სურვილი იწვევს, მისი რეალური გრძნობების საწყისიც ამ სწრაფვას უკავშირდება. მარადიული, დროის მიღმა არსებული და ყველგანმყოფელი, ღვთიური სურათ-ხატის შექმნით, ადამიანმა «მუდმივობისკენ» სწრაფვის მოთხოვნილება დაიკმაყოფილა. თუ რა ღრმად არის ეს მოთხოვნილება გამჯდარი ჩვენში, ამას ყოველთვის ვერ ვაცნობიერებთ. სამაგიეროდ, უმაღლესი შევიგრძნობთ, როგორ განიცდის ცვლილებას ჩვენთვის საიმედო, მუდმივი და თითქოს უცვლელი რამ, მერე კი სულაც წყვეტს არსებობას და, შევიგრძნობთ საფრთხეს, რომ ის აღარასოდეს იარსებებს. აი, სწორედ ამ დროს გვიპყრობს ძრწოლა წარმავლობის წინაშე და ვაცნობიერებთ, რომ დრო არის ჩვენი მბრძანებელი.

ახლა გვინდა, შიშის იმ მესამე, მთავარ ფორმაზე გადავიდეთ, რომელსაც წარმავლობის წინაშე შიში ჰქვია; იგი მით უფრო ძლიერად შეგვიპყრობს ხოლმე, რაც უფრო ვცდილობთ მისგან თავის დაღწევას.

თავდაპირველად იმ შედეგებს აღვწერთ, რაც წარმავლობის შიშს მოჰყვება. ამ დროს ადამიანი მეტისმეტად მწვავედ განიცდის მას და ცდილობს, «მუდმივობის» უსაფრთხო განცდით იცხოვროს. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ შედარებაში ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ამ სწრაფვას ცენტრისკენული ანუ სიმძიმის ძალა ახორციელებს. ადამიანს ზოგადად აქვს იმის სურვილი, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს. ყოველგვარი ცვლილება მასში წარმავლობის განცდას იწვევს და ცდილობს, ამ განცდას, რაც შეიძლება, თავი აარიდოს. აქედან გამომდინარე, ადამიანს სურს, მუდმივად უკვე ნაცნობ, ერთი და იმავე საგნებთან და მოვლენებთან ჰქონდეს საქმე, ან კვლავ გამოძებნოს და დაიბრუნოს ისინი. ადამიანი ნერვიულობს, წუხს, შიშიც კი იპყრობს, როდესაც მის ცხოვრებაში რაიმე ცვლილება ხდება, ამიტომ ცდილობს, მას ხელი შეუშალოს, წინ აღუდგეს და, თუ საჭირო გახდა, შეებრძოლოს კიდეც. როდესაც ადამიანი ნებისმიერი სიახლის წინააღმდეგ გამოდის, მისი საქციელი სულ უფრო და უფრო ემსგავსება სიზიფეს შრომას, რადგან ცხოვრება მუდმივად მიედინება, ყველაფერი მოძრაობს, მუდმივ ქმნადობას და წარმავლობას განიცდის, ამის შეჩერება კი შეუძლებელია.

როგორ გამოიყურება, საერთოდ, ადამიანის ამგვარი მცდელობა? ის ამ დროს ცდილობს, მტკიცედ ჩაეჭიდოს თავის აზრებს, გამოცდილებას, განწყობას და ჩვევებს, ისინი, შეძლებისდაგვარად, მარად მოქმედ პრინციპად, განუხრელ წესად და «მარადისობის კანონად» აქციოს. ამ შემთხვევაში ადამიანს აღარ სურს ახალი გამოცდილების მიღება და, თუ ეს მაინც აუცილებელია, ახლებურად გაიაზრებს მას, ცდილობს, მისთვის უკვე ჩვეულ, ნაცნობ და შეცნობილ მოვლენებს დაუკავშიროს იგი. ამგვარ დამოკიდებულებას, ნებისით თუ უნებლიეთ, იქამდე მივყავართ, რომ ყოველგვარი სიახლის უგულებელყოფა ან ტენდენციურად შეფასება ხდება, ზოგჯერ კი მას, ემოციების საფუძველზე, ხელაღებით უარყოფენ; მაგრამ, როდესაც ამის მიზეზებს ასახელებენ, აშკარა ხდება მათი არგუმენტების არადამაჯერებლობა, რადგან ვხედავთ, რომ მათ არაფერი აქვთ საერთო ობიექტურობასთან და საქმე მხოლოდ აკვიატებულ აზრებს ეხება, რომელთა შეცვლაც შეუძლებელია. მეცნიერების ისტორიაში უამრავი მაგალითი არსებობს, რა ამაოდ ცდილობდნენ ადამიანები, ერთმანეთთან კამათში იმის გარკვევას, თუ ვინ იყო «მართალი».

როდესაც ადამიანი ასე ეჭიდება მისთვის ნაცნობ, ჩვეულ საგნებსა და მოვლენებს, რა თქმა უნდა, იგი ცრურწმენით უყურებს ნებისმიერ სიახლეს და ცდილობს, ყველაფერს მოულოდნელს, უცნობსა და უჩვეულოს თავი აარიდოს; მაშინ ადამიანს აღარ ემუქრება საფრთხე, რომ გულუბრყვილოდ ირწმუნებს პროგრესს და ყველა სიახლეს უპირობოდ მიიღებს. სამაგიეროდ, იგი იმ საფრთხის წინაშე დგება, რომ ამ სიახლის მიმართ განწყობა და ინტერესი არ ექნება, რაც განვითარებას, მათ შორის მის საკუთარსაც, დაამუხრუჭებს, ხელს შეუშლის, ზოგ შემთხვევაში კი, საერთოდაც, შეუძლებელს გახდის.

ამრიგად, ობსესიური ადამიანების მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, საკუთარ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მეტისმეტად დიდ მოთხოვნებს აყენებენ. სწორედ ამას უკავშირდება მათი ისეთი თვისებები, როგორცაა: სიფრთხილე, წინდახედულობა, შორს გამიზნული, გრძელვადიანი გეგმები და, საერთოდ, «მუდმივობის» გუნება-განწყობა; ამ დროს მათ პრობლემას რისკის, ცვლილებებისა და წარმავლობის წინაშე შიში წარმოადგენს. ობსესიური პიროვნება ის ადამიანია, რომელიც წყალში მხოლოდ მაშინ შევა, როდესაც ცურვას ისწავლის; მოკლედ რომ ვთქვათ, იგი ცხოვრების მდინარიდან «მშრალად გამოსვლას» ლამობს, რის გამოც მისი საქციელი და გუნება-განწყობა, შესაძლოა, მეტად მძიმედ და უჩვეულო სახით გამოვლინდეს.

30 წელს გადაცილებულ მამაკაცს საკუთარი, მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა; მიუხედავად ამისა, იგი საჯარო ბიბლიოთეკაში დადიოდა იმ «მოსაზრებით», რომ, შესაძლოა, ოდესმე ისეთ ადგილას მოხვედრილიყო, სადაც ბიბლიოთეკა საერთოდ არ იქნებოდა და წიგნების გამოტანას ვერ შეძლებდა; მაშინ რა ეშველებოდა, თუ აღმოჩნდებოდა, რომ საკუთარი ბიბლიოთეკიდან ყველა წიგნი უკვე წაკითხული ჰქონდა?

ამ შემთხვევაში წინათგრძნობა და შიში იმისა, რომ, ერთხელაც იქნება, შეიძლება ყველაფერი დასრულდეს, ნამდვილად გროტესკულად გამოიყურება.

ზოგიერთი ობსესიური ადამიანი, რომელსაც კარადა გამოტენილი აქვს ტანსაცმლით, ძველმანებში გამოწყობილი დადის, ტანსაცმელს კი «მარაგის» სახით ინახავს. ასეთი ადამიანი დიდი წუხილითა და ძალდატანებით იცვამს ახალ ტანსაცმელს, რადგან ურჩევნია, ის კარადაში ჩრჩილმა შექამოს; ობსესიური ადამიანისთვის ახლის ჩაცმა იმას ნიშნავს, რომ მან ტანსაცმელი დროს და წარმავლობას გასაცვითად გადააბაროს და ამით მისი საბოლოო განადგურების მოწმე გახდეს, რადგან დასასრულს მიახლოებული ყველა მოვლენა მას წარმავლობას და, ბოლოს, სიკვდილს აგონებს. ეს შიში, ისევე როგორც «მუდმივობისა» და უკვდავების სურვილი, ფარულად ყველა ჩვენგანში არსებობს; ყველანი ვეძებთ რაღაც უსასრულოს და კმაყოფილება გვეუფლება, როდესაც ნაცნობი საგნები ისევე იმ მდგომარეობაში გვხვდება, როგორშიც დავტოვეთ. ამავე მიზეზით აიხსნება შეგროვებისადმი ჩვენი «ლტოლვაც». რასაც უნდა აგროვებდეს ადამიანი, იქნება ეს საფოსტო მარკები, მონეტები თუ ფაიფურის ჭურჭელი, ჩვენი ქცევის ქვეცნობიერი მოტივი ის არის, რომ მარადისობას პაწაწინა ნაწილი წავგლიჯოთ და უსასრულობის გარანტია მოვიხელთოთ, რადგან ადამიანი კოლექციის შეგროვებას ვერასოდეს დაასრულებს და ყოველთვის მოინდომებს მის შევსებას. ზოგი ადამიანი «მუდმივობის» და მარადიულობის მიღწევას იმით ცდილობს, რომ სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალება ან «perpetuum mobile» გამოიგონოს; ზოგიც საკუთარ თვალსაზრისებს და თეორიებს ზოგად, დროისმიღმა მოვლენებს უკავშირებს და ამ გზით სურს ისეთ «ზემუდმივობას» ეზიაროს, რომელიც დროზე გაიმარჯვებს. «მუდმივობის» ამ აკვიატებულ სურვილს იმ დროს შევიგრძნობთ, როდესაც იძულებული ვხდებით, შევცვალოთ ჩვენი საყვარელი ჩვევები და განწყობილებები.

ცვლილებებისა და წარმავლობის წინაშე შიშის დაძლევა ნებისმიერ სფეროში ტრადიციების დაცვით ხდება. ოჯახურ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, მორალურ, მეცნიერულ თუ რელიგიურ ტრადიციებს დოგმატიზმამდე და კონსერვატიზმამდე მივყავართ, რომლებიც ყალბი პრინციპულობით, ცრურწმენებითა და ფანატიზმით გამოირჩევა. რაც უფრო ჯიუტად იცავს ადამიანი ამ ტრადიციებს, მით უფრო შეუწყნარებელი ხდება იგი მათი მოწინააღმდეგის მიმართ; ამის უკან კი იმალება შიში იმისა, რომ ბევრ ნაცნობ, გააზრებულ და უკვე ნაცად, სასიკეთო მოვლენას, რომელიც ადამიანის უსაფრთხო არსებობას უზრუნველყოფს, შესაძლოა, ახალი თვალსაზრისებისა და ახლებური მიდგომების შედეგად, საფრთხე დაემუქროს; თანაც ამ დროს გადაცდომები და შეცდომებიც არ არის გამორიცხული; ადამიანი კი ამ სიახლის გამო იძულებული იქნება, გარდაიქმნას და შეიცვალოს. რაც უფრო ვიწროა ადამიანის გონებრივი თვალსაწიერი და ცხოვრებისეული სივრცე, მით უფრო ჯიუტად უპირისპირდება იგი ნებისმიერ სიახლეს, მით უფრო დაჟინებით ცდილობს ყოველივე ძველის შენარჩუნებას, რადგან შიშობს, რომ სიახლის დანერგვა მის უსაფრთხოებას დაემუქრება.

ამრიგად, რაც უფრო მეტად ცდილობს ადამიანი ძველის შენარჩუნებას, მით უფრო მეტად განიცდის შიშს წარმავლობის წინაშე; რაც უფრო მეტად ვეწინააღმდეგებით განვითარების პროცესებს, მით უფრო ხელს ვუწყობთ საწინააღმდეგო ძალების ქმედებებს, რაც განსაკუთრებით ცხადად დაგვანახა თაობათა ბრძოლამ. ის გარემოება, რომ ძველ

თაობას ყოველივე არსებულის შენარჩუნება სურს და ნებისმიერ სიახლეს ჯიუტად ეწინააღმდეგება, ახალ თაობას ხშირად ექსტრემიზმისკენ უბიძგებს.

რა თქმა უნდა, ტრადიციებისა და უკვე აღიარებული ფასეულობების დაცვა-შენარჩუნება მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ ის პრინციპული და აბსოლუტური ფასეულობებიც არ უნდა დავივიწყოთ, რომლებიც ნამდვილად არსებობს, რადგან ამით მხოლოდ ზედროითი კანონზომიერებების დადგენას შევძლებთ. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი ბევრ პრობლემას მოიცავს; ეს არის: ნაკლები მზაობა ახალი ორიენტაციის მიმართ; შემდგომი განვითარების მიზნით, ძველი გამოცდილების შესწავლა და ბრძოლა ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რასაც ცხოვრება მუდმივად გვაიძულებს. ობსესიური ადამიანი საერთოდ არ იზიარებს ისეთ ძველ ჭეშმარიტებას, რომლის თანახმადაც «tempora mutantur et nos mutamur in illis»⁶, თუმცა უცვლელია ჯიუტი მოთხოვნის საფასურს იგი ცვლილებების წინაშე შიშით იხდის. ამგვარი აკვიატებული იდეებით შეპყრობილი პიროვნება ცდილობს, ცხოვრებაში მის მიერ დადგენილი წესებით იმოქმედოს და შეუწყნარებლობას იჩენს ყოველგვარი სიახლის მიმართ, რადგან მისთვის ამ დროს ყველაფერი უჩვეულო და სხვაგვარია, ვიდრე ის, რასაც აქამდე შეჩვეული იყო – ეს კი მას აღელვებს და მოსვენებას უკარგავს. მერე ისე ხდება, რომ ადამიანი იმ ძალადობას, რომელსაც მის მიმართ იყენებენ, ახლა საკუთარი თავისკენ მიმართავს. ამრიგად, ნებისმიერი ტრადიციის, დოგმის თუ ფანატიზმის უკან შიში დგას, ეს არის შიში ცვლილებების, წარმავლობისა და, ბოლოს და ბოლოს, სიკვდილის წინაშე; ამიტომ ობსესიური ადამიანები ძალიან განიცდიან, როდესაც ძალაუფლებას კარგავენ ან მათ ნებას ვინმე არ ემორჩილება. ამ ადამიანებს სურთ, ყველაფერი თავის ნებაზე წარმართონ, მაგრამ, სწორედ ამიტომ ბუმერანგით უკან უბრუნდებათ ის ძალადობა, რომელსაც ისინი სხვების მიმართ იყენებენ. ასეთი მოძალადე ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავი ვერ მოუთოკავს და ყველას თავის ჭკუაზე ატარებს, იძულებულია აღიაროს, რომ საბოლოოდ ყველაფერი იცვლება; ეს აღიარება კი მასში ყოველგვარ ნებისყოფას ჩაკლავს; მოძალადე ასე ნელ-ნელა გადაიქცევა იძულების მსხვერპლად, რის გამოც ერთხელ კიდევ უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ძალა, რომელიც ცხოვრებისეულ ცალმხრიობებს აწონასწორებს. ობსესიურ ადამიანს არ ესმის, რომ ცხოვრებაში არ არსებობს აბსოლუტური, უცვლელი პრინციპები, და რომ არ შეიძლება მათი წინასწარ გათვლა და განსაზღვრა. მას სჯერა, რომ შეუძლია ყველაფერი ერთ სისტემაში მოაქციოს, და, ამრიგად, ბუნებაზე იძალადოს. როგორც ნიცშემ თქვა, სისტემურობისადმი სწრაფვაში ყოველთვის იგულისხმება გარკვეული არაგულწრფელობა, რადგან ამ დროს ადამიანი ძალადობრივად ამარტივებს ცხოველმყოფელი სამყაროს მრავალფეროვნებას.

მსგავსად ამისა, ადამიანთა ურთიერთობებშიც ვლინდება ობსესიური პიროვნების ქმედებები. იგი მეორე ადამიანს, ნებისმიერ თუ უნებლიეთ, თავისი სურვილით მიაწერს ხოლმე ბევრ რამეს. ეს განსაკუთრებით პარტნიორებს, ხელქვეითებს და ბავშვებს ეხებათ.

ობსესიურ ადამიანებში თაობათა შორის ბრძოლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობს; როდესაც ეს ადამიანები ნებისმიერი სიახლის უგულვებელყოფას და ჩახშობას ცდილობენ, მათ მდგომარეობა ad absurdum⁷ მიჰყავთ; სწორედ ამის შედეგად ჩნდება საბრძოლო ასპარეზზე ისეთი მოწინააღმდეგე, როგორცაა მემამბოხე ან რევოლუციონერი; იგი, თავის მხრივ, ფიქრობს, რომ ამ ადამიანების დასამარცხებლად სხვა უკიდურეს საშუალებებს უნდა მიმართოს; ამას კი შედეგად ის მოჰყვება, რომ ნაბან წყალს ხშირად ბავშვსაც გადააყოლებენ ხოლმე. ტრაგიზმი კი აუცილებლად სწორედ იმ დროს იჩენს თავს, როდესაც ადამიანი ცდილობს გამოავლინოს თავისი მზაობა სიახლის მისაღებად და გასაცნობიერებლად.

⁶ დრონი იცვლებიან და მათთან ერთად ვიცვლებით ჩვენც (ლათინ.)

⁷ აბსურდამდე (ლათინ.)

ობსესიური ადამიანები მუდმივად იმის შიშში არიან, რომ უეცრად ყველაფერი შეიცვლება და ირგვლივ ქაოსი დაისადგურებს, თუ ისინი ყურადღებას ოდნავ მაინც მოადუნებენ, ნებისმიერ «განსხვავებული» აზრსა და ქმედებაზე სათანადო რეაქციას არ მოახდენენ, პოზიციას დათმობენ ან სიტუაციას სპონტანურად მიენდობიან; მით უფრო, რომ ამ დროს არც გარეშე და არც თვითკონტროლი არ იარსებებს. მათ იმის შიშიც აქვთ, რომ ის დათრგუნული თუ გამოდენილი იმპულსები, რომლებსაც, მათი აზრით, არსებობის უფლება არა აქვთ, გადმოხეთქავს და წალეკავს ყველაფერს; ამიტომ მათ ეს არ უნდა დაუშვან. ობსესიური ადამიანები ჰერაკლეს ჰგვანან, რომელმაც ვითომდა წინასწარ იცოდა, ჰიდრას ერთ თავს რომ მოჰკვეთდა, მას, სულ ცოტა, ორი მაინც ამოეზრდებოდა. ამრიგად, ამ ადამიანებს ყველაზე მეტად ის «პირველი ნაბიჯი» აშინებთ, რომლის გადადგმასაც მათ წარმოსახვაში გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვება. ამის გამო, ისინი მუდმივად ცდილობენ, მეტი ძალაუფლება მოიპოვონ, ცოდნით შეიარაღდნენ და ვარჯიშში გამოიწრონ, რათა ყველა არასასურველ და გაუთვალისწინებელ გარემოებას გაუმკლავდნენ. მათ თავში გამუდმებით უტრიალებთ კითხვა: «ჩემს ამგვარ საქციელს შედეგად რა მოჰყვება?» ანუ ცხოვრობენ მრწამსით: «what if»⁸. ობსესიური ადამიანები, შესაძლოა, ამის გამო იმ «ხმელეთზე მოცურავე ადამიანებად» გადაიქცნენ, რომლებიც მხოლოდ იმით, რომ თავდაცვისა და სიცოცხლის მზაობის უნარს ავლენენ, თავს ვერ გადაირჩენენ.

პაციენტმა, რომელსაც სთხოვეს, შეზღონგზე დაწოლილიყო, განმუხტულიყო და ფიქრებში წასულიყო, აღშფოთებით შესძახა: «კი მაგრამ, მაშინ ხომ მთელი ქაქი ზედაპირზე ამოვა?!» ამრიგად, მან უხეში ფორმით, აშკარად გამოხატა ის, რასაც საკუთარ თავში გულმოდგინედ თრგუნავდა და აკონტროლებდა; «თავშეკავება» კი მისი მუდმივად დათრგუნული მდგომარეობის შედეგი იყო. ობსესიური ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია პრინციპი, თავი დაიცვას ყველაფრისგან, რასაც არსებობის უფლება არა აქვს, და რასაც თავი უნდა აარიდოს. ამ პრინციპის დაცვას იგი ფრიად გამომგონებლური ხერხებით ცდილობს და ამას მაგალითები ცხადყოფს.

რეალობისაგან გაქცევის ერთ-ერთ საშუალება ყოყმანი, დაეჭვება და ორჭოფობაა. ერთმა ობსესიურმა პიროვნებამ წერილი მომწერა, რომელშიც მეკითხებოდა, ჩავუტარებდი თუ არა მას ფსიქოთერაპიულ სესიებს, თუ აჯობებდა, მისივე სურვილის თანახმად, ბალნეოლოგიური მკურნალობა დაეწყო? მერე მან ჩემი წერილის პასუხად მომწერა:

«გულითად მადლობას გიხდით წერილისათვის. მან დიდ საგონებელში ჩამაგდო, რადგან ვერ გადამიწყვეტია, ჩემი ნევროზი პირველსავე შეხვედრისას დაწვრილებით აგიწეროთ, თუ მასზე ძალიან მოკლედ მოგიყვებოდა.»

ეს-ესაა ბალნეოლოგიური კლინიკიდან მივიღე პასუხი ჩემს წერილზე; მთხოვენ, 15 ივლისისთვის ვაცნობო, თანახმა ვარ თუ არა მათთან მკურნალობაზე; სწორედ ამ დროს თქვენი წერილიც მომივიდა. მატყობინებთ, რომ შემძლია თქვენთან დავიწყო მკურნალობა. ახლა ვყოყმანობ და საშინელ მდგომარეობაში ვარ. თუ გადაწყვეტილებას დროზე ვერ მივიღებ, ბალნეოლოგიურ კლინიკაში ჩემს ადგილს დაიკავებენ; ისე კი ამის გადაწყვეტა სულ ადვილად შეიძლება, რადგან მიუნჰენში წამოსასვლელად საკმარისი ფული არა მაქვს; ვცდილობ, საჭირო თანხა როგორმე შევაგროვო, მაგრამ ვერ ვახერხებ; ვიცი, რომ აქედან არაფერი გამოვა, არადა, დრო აღარ ითმენს. ვფიქრობ, მიუნჰენში ჩემი ამ ქრონიკული თუ ორგანული დაავადების მკურნალობა დადებით შედეგს გამოიღებდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მანდ ბინა არა მაქვს. ბალნეოლოგიურ კლინიკაში წელს შემეძლო წასვლა, მაგრამ იქ ყოველდღე მგზავრობა ხომ ძალიან გამიჭირდება?! ამას ვერაფრით შევძლებ. როდესაც ვფიქრობ, რა გაურკვეველ პირობებში მომიხდება წასვლა, საშინელი შიში მიპყრობს; ასე მგონია, ომში მივდივარ-მეთქი. წარმოდგენილი მაქვს, როგორ

⁸ რა მოხდება - თუ (ინგლ.)

აღშფოთდებით ჩემი ასეთი ყოყმანის გამო, მაგრამ თქვენ ხომ ანალიტიკოსი ხართ! თავის დროზე ცოლად ვერ გავყევი კაცს, რომელიც მიყვარდა; ეს იმის გამო მოხდა, რომ გადაწყვეტილება ვერა და ვერ მივიღე, მერე კი უკვე ძალიან გვიან იყო! ჰოდა, ახლა, მკურნალობასთან დაკავშირებით ზუსტად იგივე მჭირს და, ასე მგონია, ამ საქმიდან არაფერი გამოვა. მიუნჰენში წამოსასვლელად ფული მჭირდება და, ეს ცოტა არ იყოს, მაშინებს. ასეთია რეალობა! განა უფრო ბუნებრივი არ იქნება, რომ ადამიანმა ჯერ ფული იშოვოს, მერე კი მშვიდად გაემგზავროს? იმედია, გაისად, მაისში, მოვახერხებ ამას. დღემდე მხოლოდ ნახევარი ხელფასი მოგვცეს ორჯერ; ასე მგონია, ამიერიდან საქმე უფრო კარგად წავა. ახლა ვფიქრობ, რომ, ალბათ, მაინც ბალნეოლოგიურ კლინიკას ავირჩევ, თუნდაც მერე ვინანო, რომ მიუნჰენში არ წამოვედი. თუ ახლა იქიდან მომწერენ, რომ ასე დიდხანს ადგილს ვერ შემინახავენ, მაშინ, ალბათ, გადაწყვეტილებას მიუნჰენის სასარგებლოდ მივიღებ. ასეთ შემთხვევაში თქვენთან ერთი თხოვნა მექნება: თუ შეიძლება, რომ მკურნალობის საფასური 15 სექტემბერს გადავიხადო, მკურნალობა კი 7 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე ჩავიტარო? ეს რთული ამბავია! ამას იმიტომ გწერთ, რომ მინდა ახლავე გავაგრძელო ფსიქოანალიზის სეანსები. სხვა ყველაფერი ძველებურად დარჩება.

P.S. გადაწყვეტილების მიღება მიჭირს და საშინლად ვიტანჯები. ახლა ვცდილობ გავიგო, ბალნეოლოგიურ კლინიკაში კიდევ თუ არის თავისუფალი ადგილი. კარგი იქნება, ვიცოდე, 7 სექტემბრისთვის მანდ იქნებით თუ არა, და, თუ შეიძლება, სამკურნალო თანხა 15 სექტემბერს გადავიხადო? ალბათ ტელეგრამას გამოგიგზავნით» (ქალმა ბოლოს მაინც ფსიქოანალიზით მკურნალობა გადაწყვიტა).

შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მტანჯველი იქნება, როდესაც ადამიანი ყოყმანს იწყებს და გადაწყვეტილებას ვერ იღებს, მით უფრო, თუ ამ დროს საქმე ბევრად უფრო მნიშვნელოვან ამბავს ეხება, ვიდრე ეს ამ მაგალითზე დავინახეთ. ობსესიურ ადამიანს, გადაწყვეტილების მიღების დროს, ხშირად გარეშე საგნებზე გადააქვს ყურადღება: მაგალითად, შეუძლია ამ დროს ითვალოს ან კრიალოსანივით ათამაშოს საკუთარი პიჯაკის ღილები. მოგვიანებით დავინახავთ, როგორ შეიპყრობს ობსესიურ პიროვნებას საკუთარი პასუხისმგებლობის წინაშე შიში.

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რა სიძნელეებს უქმნის ასეთი ადამიანი საკუთარ, ბუნებრივ განცდებს. ფსიქოანალიზის სეანსზე პაციენტი ყვება თავის სიზმარს, რის შემდეგაც ასეთ მსჯელობას იწყებს: «არ ვიცი, აქვს კი საერთოდ აზრი სიზმრების ახსნას? ადამიანს ამ დროს ხომ შეუძლია ნებისმიერი განმარტება მისცეს სიზმარს და მასში სასურველი აზრი ამოიკითხოს? ვის შეუძლია მითხრას, რომ სწორად გამოვიცანი მისი აზრი? განა გამორიცხულია, რომ მოყოლის დროს გადავასხვაფერო ან სულაც ზუსტად ვერ გავიხსენო სიზმარი? ეს ყველაფერი ხომ დიდ ეჭვებს ბადებს?! სიზმარი საპნის ბუშტი მგონია, ამიტომ მასზე მეცნიერული კვლევების ჩატარება არამართებული უნდა იყოს! ფროიდს და იუნგს, სიზმრებთან დაკავშირებით, სრულიად განსხვავებული თვალსაზრისები ჰქონდათ და სხვადასხვანაირად განმარტავდნენ მათ. სავსებით ცხადია, რომ ამგვარი მიდგომა არ შეიძლება საიმედო და უტყუარი იყოს. მერედა, რას ნიშნავს სიზმრების ახსნა? განა შეიძლება იმ აზრის გადამოწმება, რომელიც თავში უეცრად გაგიელვებს და გაქრება?.. ამ დროს ხომ ადამიანი სრულიად ბუნდოვან მდგომარეობაში იმყოფება... ესეც იქით იყოს, ახლა თავში საერთოდ არაფერი მომდის...»

ეს შემთხვევა კარგად დაგვანახებს, რაციონალური აზროვნების წყალობით, როგორ იზღვევს თავს ობსესიური პიროვნება და, როგორ ცდილობს, კედელი აღმართოს საკუთარი განცდების წინაშე. მას აშკარად აშინებს აზრი, რომ სიზმრების «გადამოწმება» არ შეუძლია. მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ სულაც არ იყო საჭირო სიზმრების თაობაზე მეცნიერული კამათი?! პაციენტი უბრალოდ შეზღონგზე უნდა დაწოლილიყო და საკუთარ ფიქრებს მისცემოდა. ვილაცამ შეიძლება გაიფიქროს, რომ იგი სიზმრების თაობაზე საფუძვლიან ეჭვს

გამოთქვამდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, ეს ეჭვი რა მიზნით გამოთქვა: პაციენტს ამ დროს გარკვეული გადაწყვეტილების მიღება არ უნდოდა და თავის დაძვრენა მოინდომა. მაგრამ მისი ეჭვები არავითარ შემთხვევაში არ ეხებოდა მხოლოდ სიზმრებს. პაციენტს ეშინოდა ყველაფრისა, რასაც იგი «არასაიმედოდ» მიიჩნევდა და ცდილობდა ამ შიშს გაჰქცეოდა.

ობსესიური ადამიანები, უსაფრთხოების საბაბით, მზად არიან არჩევანი თავის სასარგებლოდ გააკეთონ, რაც შემდეგ ანეგდოტში კარგად ჩანს:

საიქიოში შესული კაცი ორ კარს დაინახავს; ერთს «სასუფეველი» აწერია, მეორეს – «ლექციები სასუფეველზე». კაცი მეორე კარს შეაღებს.

ფსიქოანალიზის ერთ-ერთი კანონის თანახმად, ყველაფერი, რასაც ჩვენს თავში ვთრგუნავთ, ერთად დაგროვდება. ამის გამო ობსესიური პაციენტი შინაგანად დაძაბულობას განიცდის და სულ უფრო მეტი დრო და ძალები სჭირდება დათრგუნული ემოციების შესაკავებლად. ასე წარმოიქმნება აკვიატებული აზრების მოჯადოებული წრე, რომელსაც პაციენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში დააღწევს თავს, თუ იგი იმ «მეორე», გამოდენილ ემოციებზე გაამახვილებს ყურადღებას და მათ ახსნას შეეცდება. მხოლოდ ასე შეიძლება მოახდინოს ადამიანი შიშისა და იმ განცდის ინტეგრირება, რომელსაც ეს შიში იწვევს; და ადამიანი ალბათ გაოცებას ვერ მალავს, როდესაც გრძნობს, რომ დათრგუნულ ემოციებს კეთილმყოფელი ძალაც კი გააჩნიათ და «უაზრო» სიზმრებს ბევრი რამ მნიშვნელოვანი აქვთ მისთვის სათქმელი.

ადვილი წარმოსადგენია, რა ჯიუტი, შეზღუდული, პრინციპული, შეუწყნარებელი და «რკინისებურად თანმიმდევრული» ხდება ასეთი გუნება-განწყობის ადამიანი და რა უღიმღამო ყოფა აქვს მას, როდესაც ცდილობს, საკუთარი ცხოვრება აბსოლუტის რანგში აიყვანოს და მას თავისი პირობები მოახვიოს თავს. ამასთან, ობსესიური ადამიანი დარწმუნებულია, რომ «სიმართლეს» იცავს (იმ პაციენტის მსგავსად, რომელიც სიზმრების ახსნისას «სწორი აზრის» პოვნას ლამობდა, და სწორედ ამ მიზეზით ვერ ახერხებდა თავისუფლად ფიქრს), და ვერ აცნობიერებს, რომ ამ დროს რისკის წინაშე შიშს მალავს.

როდესაც ადამიანი ყველაფერს ასეთი პრინციპულობით უყურებს, მისი ცხოვრება პედანტური წესრიგით წარიმართება; ამ დროს მის მიერ გამოტანილი დასკვნები საექვო სიჯიუტედ გამოვლინდება, გონივრული ანგარიშიანობა – სიძუნწედ, ხოლო ჯანსაღი პრინციპულობა – დესპოტიზმამდე მისულ თავნებობად. მაგრამ ეს ყველაფერი საკმარისი არ აღმოჩნდება ხოლმე შიშის დასაძლევად, რადგან ცხოვრება, თავისი მრავალფეროვნების გამო, ვერ თავსდება გაქვავებული წესების ჩარჩოებში, სწორედ ამ დროს გამოავლენს ადამიანი აკვიატებულ აზრებსა და ჩვევებს. ეს სიმპტომები თავდაპირველად შიშის ჩახშობის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა გამოცალკევდება და შინაგან აუცილებლობად გადაიქცევა. ადამიანი მათ ძალადობრივ გავლენას მაშინაც კი ვეღარ აღწევს თავს, როდესაც ეს აზრები და ქცევები თავადაც უაზროდ ეჩვენება. ხელების ხშირი დაბანის, მტანჯველი ფიქრების, რიცხვების უაზროდ დათვლის თუ მოგონებების აკვიატება სწორედ ამგვარი, ძალადობრივი ქმედებებია. ყოველ ჯერზე, როდესაც ადამიანი ცდილობს, აკვიატებებს თავი დააღწიოს, ამასთან დაკავშირებული შიშისგანაც თავისუფლდება.

როგორი განსხვავებულიც უნდა იყოს აკვიატებული აზრები და ქცევები, ისინი, საბოლოოდ, ყოველთვის დაკავშირებული არიან იმ შიშთან, რომელიც თავს იჩენს რისკისა და გაუთვალისწინებელი, ცხოვრებისეული მოვლენების წინაშე. ეს შიში ადამიანს ყოველთვის იმ დროს ეუფლება, როდესაც ცდილობს, რაღაცას თავი აარიდოს, იქნება ეს მისთვის ახალი, უცნობი, აკრძალული და არასაიმედო, თუ რაიმე უკვე ნაცნობი და ჩვეული

მოვლენა. თუ ყველაფერი უცვლელი რჩება – იქნება ეს საწერ მაგიდაზე რუდუნებით დალაგებული წიგნები, რაიმის შესახებ უდავო აზრი, კანონის ძალის მქონე მორალური დასკვნა, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული თეორია თუ აბსოლუტიზმის რანგში აყვანილი რწმენა – მაშინ თითქოს დრო ჩერდება, ყველაფრის გათვალისწინება შესაძლებელი გახდება, სამყარო აღარ შეიცვლება და ცხოვრებაც მხოლოდ ნაცნობი და ჩვეული მოვლენების განმეორებად გადაიქცევა. ამ დროს ცხოვრების ძალუმად მფეთქავი პულსის რიტმი ერთფეროვანი მოვლენების მონოტონური რიტმით შეიცვლება. ადამიანის ამგვარ საქციელში, შესაძლოა, იყოს კიდევ რაღაც ამალღებული, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მას მაინც ტრაგიკული შედეგები მოსდევს, რადგან ცხოვრებისეული ძალების დამორჩილებისა და მოთოკვის ჯიუტი მცდელობა უკვე მის წარუმატებლობაზე მიანიშნებს. თავად ტრაგიკულობა კი იმ აბსოლუტიზმის მარცხის შედეგია, რომლის მიღწევასაც ადამიანი თავისი ჭეშმარიტი თუ ვითარსი მოთხოვნების შესრულებით ცდილობს.

ერთი მარტივი მაგალითი ნათელყოფს ობსესიური აზრებისა და ქცევების დაჟინებულ ხასიათს, რის გამოც ცხოვრებაში მოვლენები ხშირად ტრაგიკომიკური სახით წარმოჩნდება. თუ ადამიანს ერთხელ მაინც შეუძლია წარმოიდგინოს თავის ოთახში ისეთი აბსოლუტური სისუფთავე, რომ იქ მტვრის ნატამალი არ იყოს, მაშინ იგი აუცილებლად მიხვდება იმ ობსესიური პიროვნების ტრაგიკომიკურ მდგომარეობას, რომელიც გარდაუვალი მოვლენებისა და თვით დროის შეჩერებას ცდილობს, და, ამდენად, დანაიდების უძირო კასრიდან ხაპავს წყალს. მაგრამ ადამიანი ამ შემთხვევაში «მტვრით» იმ პრობლემას ჩაანაცვლებს, რომლის გადაჭრასაც ცდილობს; ამიტომ იგი «მტვრის გადაწმენდის» აკვიატებულ აზრს ვერ მოიშორებს, ვიდრე არ გადაჭრის იმ კონკრეტულ პრობლემას, რომელიც მან «მტვერზე» გადაიტანა; აშკარაა, რომ მტვრის აბსოლუტურად მოსპობა მისთვის რაღაც უფრო მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდება. როდესაც ადამიანი გრძნობს, რომ მას ცდუნებები საფრთხეს უქმნის, იგი ცდილობს მორალური სიწმინდე იმით შეინარჩუნოს, რომ ეს კონკრეტული პრობლემა ყოველდღიურ მოვლენებზე გადაიტანოს; ამის გამო მისი ქმედება აკვიატებად გადაიქცევა. პრობლემებზე გულახდილმა მსჯელობამ არასოდეს შეიძლება აკვიატებული ხასიათი მიიღოს. თუ ჩვენი ყოველდღიური, უწყინარი საქმიანობის დროს, საკუთარი თავის მიმართ რაიმე იძულების ირაციონალური გრძნობა გაგვიჩნდება, ჩვენს თავსვე უნდა ვკითხოთ, რა მნიშვნელოვან ახსნა-განმარტებებს ან გადაწყვეტილებას გვსურს ავარიდოთ ამით თავი.

ფ. თ. ვიშერი თავის რომანში «მათ შორის ის კაციც» იუმორით აღწერს ობსესიურ პრობლემებს. როგორც ავტორი გვამცნობს, მისი გმირი გამუდმებით ებრძვის «ობიექტის ვერაგობას», მას ყოველდღიურად უჩვეულო ამბები გადახდება თავს, რომლებიც მის დათრგუნულ აფექტებს, უპირველეს ყოვლისა კი, აგრესიულ იმპულსებს უკავშირდება. რომანის გმირს აღნიშნული აფექტები და იმპულსები ყოველდღიურ საგნებზე გადააქვს და ნებისმიერ წარუმატებლობას ამ «ობიექტების ვერაგობას» აბრალეებს. მაგალითად, როდესაც იგი მისთვის საძულველ ქალს კაბაზე «შემთხვევით» სოუსს გადაასხამს, ფიქრობს, რომ ამის მიზეზი სწორედ «ობიექტის ვერაგობა» იყო. მისი აზრით, ეს უსიამოვნო საქციელი მას სოუსის ჭურჭელმა ან პიჯაკის ღილმა ჩაადენინა, რომელიც ამ დროს თეფშს გამოედო. რომანის გმირი ვერ აცნობიერებს, რომ ამ საქციელით მან ქალის მიმართ საკუთარი დათრგუნული სიძულვილი და აგრესია გამოავლინა.

ობსესიურ ადამიანებთან განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ფროიდის მიერ ზუსტად შეფასებულ, ე.წ. «უმართებულო ქცევებს», რომელთა საშუალებითაც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, ძალიან ბევრი იმპულსის გამოდენა ხდება. «უმართებულო ქცევებში» იგულისხმება: «ამაო დაპირება», «დავიწყება», «შემთხვევით ვიღაცასთან შეჯახება» და ა.შ. ამ დროს ადამიანები თავისი სურვილის გარეშე, თავისდაუნებურად გამოავლენენ დათრგუნულ გრძნობებს ისე, რომ საკუთარი დანაშაულის განცდა არ ეუფლებათ, ისინი გვერდს უვლიან თავის საქციელს და არ სჭირდებათ თავის

გაკონტროლება; სამაგიეროდ, გამოააშკარავებენ იმ განწყობას, რომლის დამალვასაც ასე გულმოდგინედ ცდილობენ.

აკვიატებულმა აზრებმა და ქცევებმა, შესაძლოა, დაისადგუროს ობსესიური პაციენტის ცხოვრებაში, ნელ-ნელა საშიში, შემზარავი სახე მიიღოს და პირდაპირ დემონური ძალით გააგრძელოს დამოუკიდებელი არსებობა. გავიხსენოთ ის დრო, როდესაც ადამიანმა ჯერ კიდევ არაფერი იცოდა ფსიქოდინამიური კავშირების თაობაზე. აკვიატებებს, რომლებსაც ადამიანი თავადაც უაზრობად მიიჩნევს, მაგრამ თავს მაინც ვერ აღწევს, ძველად ეშმაკით ან ბოროტი სულებით შეპყრობილი ადამიანის ქმედებებად აფასებდნენ. თავად პაციენტიც ამგვარი აკვიატებული საქციელის ჩადენის აუცილებლობას იმით ხსნის, რომ რაღაც ძალას მორჩილებს, რომელიც მის «მე»-ს სრულიად ეუცხოება.

თუ მაგალითებს სომატური დაავადებების ისტორიიდან მოვუხმობთ, დავინახავთ, რომ ნებისმიერი აზრი თუ საქციელი შეიძლება მეტასტაზებივით გავრცელდეს, და აქამდე ჯერ ისევ ხელშეუხებელ სფეროებზე გადაინაცვლოს. ამის გამო ობსესიური ადამიანები აკვიატებული აზრებით დატვირთული, გულჩათხრობილი ცხოვრებით ცხოვრობენ. ამას ქვემოთმოყვანილი მაგალითები ცხადლივ დაგვანახებს.

შესაძლოა, ზემოაღწერილი პროცესები მხოლოდ სულიერ სფეროში მიმდინარეობდეს. ამ შემთხვევაში იმ შემაშფოთებელი, «ბოროტი» ფიქრებისგან, სურვილებისა და იმპულსებისგან თავის დაცვა იგულისხმება, რომელთა დათრგუნვაც ადამიანს აუცილებლად მიაჩნია, რაც დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. მაგალითად, ამის მიღწევას ადამიანი იმით ცდილობს, რომ «ბოროტი» აზრებისა და სურვილების წინააღმდეგ ჯადოქრობას იყენებს. თუ ადამიანს სურს, თავი დააღწიოს ბოროტ, ცოდვილიან სურვილებსა და შავ-ბნელ ფიქრებს, მან საწინააღმდეგო ზომებს უნდა მიმართოს, როგორც კი ისინი ამოტივტივდებიან. ამ დროს მას შეუძლია მაგიური შელოცვის ფორმულა («იესო-მარიამ-იოსებ») წარმოთქვას, ან ისეთი რამ მოიმოქმედოს, რაც მისთვის მიუღებელ აზრებს ცნობიერებიდან გამოდევნის. დაავადების მძიმე ფორმის დროს, ავადმყოფს შეიპყრობს ხოლმე თვითგვემის მანია, რომელიც დამახასიათებელია რელიგიური ფანატიზმისათვის; გავიხსენოთ თუნდაც ფლეგელანტები (თვითმგვემები). ამ დროს აკვიატებები, შესაძლოა, «მეტასტაზების» სახით სულ უფრო და უფრო ფართოდ გავრცელდეს, რაც დროულად უნდა ავიცილოთ თავიდან. სრულიად უწყინარ ან უსიამოვნო მოვლენებთან ასოციაციურად დაკავშირებული სიტყვები ამ დროს საეჭვო მნიშვნელობას იძენენ და ასევე უნდა გამოიდევენ ცნობიერებიდან, როგორც ამას რიცხვების «ქრისტიანული» წესით ჩამოთვლის დროს, ხუმრობით გამოხატავენ ხოლმე: «ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ფუი ეშმაკს, შვიდი». ეს კი იმ სამარცხვინო «ექვსიანის» გამო ხდება, რომელიც სექსუალურ ასოციაციებს იწვევს, და ამიტომ გამოტოვებული უნდა იქნეს. ადამიანი აქაც იმ მდგომარეობაში იმყოფება, როდესაც ცდილობდა, მისი ოთახი აბსოლუტურად დაცული ყოფილიყო მტვრისაგან. ამ დროს გვახსენდება ლათინური ანდაზა: «Naturam expellas furca, tamen usque recurret»; ეს ნიშნავს, რომ «ბუნებაზე ძალადობა არ შეიძლება, მას ვერ დათრგუნავ; იგი ყოველთვის შემოგიბრუნდება უკან». ქვემოთ მოყვანილ მაგალითზე დავინახავთ, თავდაცვის გაცნობიერებული ქმედების პირობებში, რა ნატიფი სახით შემოუბრუნდება ადამიანს ის, რისგანაც თავს იცავდა.

ობსესიური ნევროზით დაავადებულ პაციენტს დაბანა ჰქონდა აკვიატებული. «დაბანის» ეს გაუცნობიერებელი სურვილი მის «უხამს» სექსუალურ იმპულსებთან, კერძოდ კი, მასტურბაციასთან იყო დაკავშირებული. ქალს შთაგონებული ჰქონდა, რომ ამით დიდ ცოდვას ჩადიოდა; ამიტომ ცდილობდა, თავისი გენიტალიები, როგორც ამ «ცოდვაში მონაწილე» ორგანოები, რაც შეიძლება ხშირად დაებანა. ამ დროს ქალი აკრძალულ სიამოვნებასაც განიცდიდა, ორგაზმამდე მიდიოდა და თავს იკმაყოფილებდა; ვინაიდან

დაბანის დროს ეს ყველაფერი «მისდაუნებურად» ხდებოდა, ქალს დანაშაულის გრძნობა აღარ აწუხებდა; ახლა იგი ხომ მხოლოდ საკუთარი სხეულის სისუფთავეზე ზრუნავდა!

კათოლიკურმა და ლუთერანულმა ეკლესიებმა სექსუალობა შეაჩვენეს და «ცოდვად» შერაცხეს, რის შემდეგაც მასთან დაკავშირებულმა დანაშაულის გრძნობამ რელიგიური ხასიათის ნევროზების გავრცელება გამოიწვია, რაც დღესაც არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა. ამ კონფესიების მტრული დამოკიდებულების გამო ყოველივე ხორციელისადმი, ბევრი ახალგაზრდა, განსაკუთრებით სქესობრივი მომწიფების ასაკში, შიშითა და დანაშაულის გრძნობით იყო შეპყრობილი. ცნობილია, რომ ე.წ. პრიმიტიული ხალხები ცდილობენ, ახალგაზრდები მათი განვითარების ამ მნიშვნელოვან ფაზაში თავიანთი რიტუალების მეშვეობით შეიყვანონ. ჩვენთან კი, ნაცვლად იმისა, რომ გაკვეთილებზე, ამ თემებთან დაკავშირებით მოწყობილ საღამოებზე ან პირად საუბრებში ახალგაზრდობას მისთვის საინტერესო საკითხები წამოეჭრა, დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ კონფირმანდებს ამზადებდნენ, მათ უმთავრესად გალობას და «საღმრთო რჯულს» ასწავლიდნენ და «საჩოთირო» კითხვების დასმას საერთოდ უკრძალავდნენ. ვისაც ათეული წლების მანძილზე ფსიქოთერაპიაში უმუშავია, იცის, რა გამანადგურებელი შედეგები მოჰყვა რელიგიის მტრულ დამოკიდებულებას სექსუალობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი. ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, ონანიზმის წინააღმდეგ დაიწყო, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, საშინელ სომატურ და სულიერ ტრავმებთან იყო დაკავშირებული, და, აქედან გამომდინარე, ძლიერ შიშებს და დანაშაულის გრძნობას იწვევდა. ხშირი იყო ახალგაზრდობის თვითმკვლელობის შემთხვევები, თუკი აღმოჩნდებოდა, რომ «ცოდვის» წინააღმდეგ ბრძოლამ შედეგი არ გამოიღო.

ობსესიური ადამიანი და სიყვარული

ობსესიური ადამიანისთვის სიყვარული ირაციონალური, ზღვარდაუდებელი და ტრანსცენდენტალური გრძნობაა, რომელიც შეიძლება საშიშ ვნებაში გადაიზარდოს და, თავისთავად, მისი ტანჯვის მიზეზი გახდეს. სიყვარულში აშკარად არის რაღაც ისეთი, რასაც ადამიანი ვერაფერს უხერხებს; მას თავისი კანონები გააჩნია, ადამიანის ნებას არ ემორჩილება, შეიძლება მოულოდნელი სენივით შეეყაროს და იქამდე მიიყვანოს, რომ ადამიანმა საღი განსჯის უნარი დაკარგოს.

აქედან გამომდინარე, ობსესიური პიროვნებები ცდილობენ, თავიანთი გრძნობები «მოთოკონ» და კონტროლს დაუმორჩილონ. მათი აზრით, მეტისმეტი სუბიექტურობის, არამდგრადობისა და წარმავლობის გამო, სიყვარულს არ შეიძლება ენდოს კაცი. ობსესიური პიროვნებები ფიქრობენ, რომ «ვნება» სრულიად მეყსეული, უგუნური გრძნობაა და ადამიანის სისუსტეზე მეტყველებს. მათ გრძნობებისადმი ანგარიშიანი დამოკიდებულება აქვთ, სიყვარულით გატაცება არ სჩვევიათ და პარტნიორისაც დიდად არ ესმით; ამასთან, შეუძლიათ ინტიმური ურთიერთობის დროს მეტისმეტი ფხიზელი ქცევით «გამოიჩინონ» თავი. სამაგიეროდ, ობსესიური ადამიანები, ნებისმიერი პარტნიორული ურთიერთობისას, პასუხისმგებლობის გრძნობით გამოირჩევიან და განუხრელად იცავენ ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას. ისინი ძნელად აღიარებენ პარტნიორის თანაბარუფლებიანობას და უფრო ვერტიკალური (ანუ «ზემოდან» – «ქვემოთ») წესრიგის მომხრენი არიან. მათ ურჩევნიათ, «ჩაქუჩსა» და «გრდემლს» შორის არჩევანის გაკეთება, მაგრამ ვინ მოისურვებდა «გრდემლად» ყოფნას? ამის გამო ობსესიურ ადამიანებთან ურთიერთობა სულ მალე გადაიქცევა ხოლმე ძალთა ბრძოლად უპირატესობის მოსაპოვებლად. იმ დროს, როდესაც დეპრესიულ ადამიანს «დაკარგვის შიში» პარტნიორზე დამოკიდებულს ხდიდა, ობსესიურ პიროვნებას სურს პარტნიორი თავის ნებას დაუმორჩილოს; აქედან გამომდინარე, მას უჭირს იმის აღიარება, რომ პარტნიორი მისგან განსხვავებული ადამიანია, და თან მის საკუთრებას არ წარმოადგენს. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ობსესიური პიროვნება პარტნიორის ხარჯზე ცხოვრობს, ამასთან, მისგან დათმობას და მეტისმეტი მორჩილებას მოითხოვს. იგი ადამიანებთან ურთიერთობაში რაღაც «ბედისწერას» ხედავს; ეკონომიკურ მიზნებთან დაკავშირებით, მისთვის არც ერთგულებაა უცხო; იგი ამტანი და გამძლეა. ობსესიური პიროვნებები ხშირად გონივრული მოსაზრებებით ქორწინდებიან; ამ დროს მისთვის პარტნიორის მატერიალური კეთილდღეობა არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობს.

ობსესიური პიროვნება ქალთან ურთიერთობის დაწყებამდე დიდხანს ყოყმანობს; სასიძოს სახელით კარგა ხანს დაიარება საცოლის ოჯახში, რასაც ხშირად დანიშნული ქორწილის გადადება მოჰყვება ხოლმე; მაგრამ თუ იგი, ბოლოს და ბოლოს, მაინც მიიღებს გადაწყვეტილებას, ამიერიდან ცოლ-ქმრობას ურღვევ კავშირად აღიარებს. ზნეობრივი თუ რელიგიური მოტივით, ობსესიური პიროვნება არასდროს თანხმდება განქორწინებაზე. დაე, თუნდაც მისი პარტნიორი და თავადაც ამ დროს იტანჯებოდეს, ან ცოლს მასთან ურთიერთობა აღარ სურდეს.

ქალმა, რომლისთვისაც ქმართან ურთიერთობა, ამ უკანასკნელის მიზეზით, აუტანელი გახდა, განქორწინება გადაწყვიტა, მაგრამ ქმარი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო. როდესაც ცოლმა ერთხელ ჰკითხა, რატომ არ მეყრებიო, მან მხოლოდ ეს უპასუხა: «იმიტომ, რომ დაქორწინებულები ვართ». ქმარმა ეს ისე თქვა, თითქოს ქორწინება მას სამუდამოდ ჰქონდა მისჯილი ან რაღაც მარადიულს ეხებოდა საქმე.

კაცის ეს პასუხი არც რელიგიური და არც რაიმე სხვა მიზეზით ყოფილა ნაკარნახევი; მისი საქციელიც იმით იყო გამოწვეული, რომ ამ ადამიანისთვის ქორწინება ერთხელ და სამუდამოდ მიღებული გადაწყვეტილების შედეგი იყო. ამ დროს ასევე დიდ როლს

თამაშობდა ჩვეულებები და საკუთარი ძლიერების დემონსტრაცია; თან აირჩია, უკვე მოპოვებული კეთილდღეობა ხელიდან არ გაეშვა და ახალ რისკზე არ წასულიყო.

ობსესიურ პიროვნებებს შორის ისეთ ქორწინებებსაც შევხვდებით, როდესაც ცოლქმრული «კავშირის» არსს სიძულვილი და ურთიერთწამება შეადგენს და ორივე მათგანი ერთმანეთის სიკვდილს ნატრობს.

რაც უფრო მკვეთრად გამოხატული ადამიანში «აკვიატების» ნიშნები, მით უფრო დაჟინებით მიიჩნევა იგი ქორწინებას იურიდიულ აქტად, რომელშიც მკაცრად გაწერილია მისი უფლება-მოვალეობანი. ამ დროს ფორმალური მხარე იმ უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს, რომელსაც იგი ნებისმიერ საჭირო შემთხვევაში მოუხმობს ხოლმე, ვიდრე ეს ურთიერთობა «clara pacta - boni amici»⁹-ს ჩარჩოებს არ გასცდება, მის ამ მოსაზრებას ვერ შეეწინააღმდეგება. მაგრამ, როგორც კი წინა პლანზე ფორმალური მხარე წამოიწევს და ემოციების უფლებელყოფა მოხდება, შესაძლოა, საქმე გართულდეს. ამ დროს ობსესიური პიროვნება დაჟინებით მოითხოვს საკუთარი უფლებების დაცვას და ცდილობს, სადისტური პრინციპებით იმოქმედოს, თუმცა ამ დროს, მისი, თითქოს სამართლებრივად სწორი, მოთხოვნების ნიღბის ქვეშ მტრული მიზნები და ძალაუფლების პრეტენზია იმალება.

ქალი, რომელსაც ქმრის მიმართ პრეტენზიები ჰქონდა, ადვოკატთან მივიდა და კონტრაქტის შედგენა სთხოვა, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა ქმართან მისი ურთიერთობის სიხშირე; ოთახში ამ დროს უნდა ყოფილიყო ცოლისთვის სასურველი ტემპერატურა და ქმარს სიგარეტი არ უნდა მოეწია; თუ ქმარი მის ამ მოთხოვნებს დაარღვევდა, ქალს უფლება ექნებოდა, მისთვის გარკვეული ფულადი ჯარიმა გადაეხდევინებინა. ქმარი ამ კონტრაქტს ხელს თუ მოაწერდა, ქალი მასთან ცხოვრებას გააგრძელებდა. ამ დროს იგი დარწმუნებული იყო, რომ მან ქმარს საქმიანი და ზნეობრივად მართებული პირობები წაუყენა, და, მათი შესრულების შემთხვევაში, ცოლ-ქმრის შემდგომი თანაცხოვრება შესაძლებელი გახდებოდა.

ქალი ამ კონტრაქტში გარკვეული პირობების შესრულებას მოითხოვდა, ნაცვლად იმისა, რომ ქმართან ურთიერთობა გაერკვია; პრობლემა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ქმარი მას თავისი სურვილების შესრულებას აიძულებდა, და ქალს მასთან ემოციური შეუთავსებლობა ჰქონდა. ობსესიური პიროვნება კრიტიკულ და კონფლიქტურ სიტუაციებში არაფერს უწევს ანგარიშს; მას პოზიციების დათმობა მაშინაც კი უჭირს, როდესაც გრძნობს, რომ უსამართლოდ იქცევა. ის პარტნიორს წარსულში მომხდარ ფაქტებს შეახსენებს და ანგარიშს სთხოვს ყველაფერზე, რაც მან ზუსტად ამა და ამ დროს ჩაიდინა, მერე კი მას იმის გამო კიცხავს, რომ იგი ამჟამად არასწორად იქცევა. ობსესიური პიროვნება კრიტიკულ სიტუაციებში ცდილობს გამოსავალი იპოვოს, მაგრამ ამ დროს თავში ხშირად უცნაური აზრები მოსდის, რასაც ზემოთ მოყვანილი მაგალითიც ადასტურებს.

რაკი ობსესიური პიროვნება გრძნობებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, იგი პარტნიორს, მისი აზრით, გონივრულ, პროგრამულ წინადადებებს სთავაზობს და დაადგენს წესებს, რომელთა დაცვა ორივე პარტნიორს ევალება. მაგალითად, მავანი ქალი ჩიოდა, რომ მისი ქმარი კვირადღეობით ან საფოსტო მარკებს ჩაჰკირკიტებს, ან რაღაცას თავისთვის ჩხირკედელაობს, ის კი ამ დროს მოწყენილია, რადგან ქმარი ყურადღებას არ აქცევს; ქმარი მას კომპრომისულ წინადადებას სთავაზობს და ეუბნება, რომ იგი ორ კვირაში ერთხელ თავისი საყვარელი საქმიანობით გაერთობა, დანარჩენ დღეებს კი მასთან ერთად გაატარებს, რის შემდეგაც ცოლ-ქმარი ამ პირობის თანახმად იცხოვრებს. ამ შემთხვევაში ქმრის მხარდაჭერისა და თანადგომის მცდელობა აშკარაა, მაგრამ მის მიერ წამოყენებული პირობა

⁹ მკაფიო შეთანხმებები საუკეთესო მეგობრები არიან (ლათინ.)

იძულების შედეგი და, საბოლოო ჯამში, არაგულწრფელია, რადგან ამ კაცს ამიერიდან ძალით დაკისრებული მოვალეობის შესრულება მოუხდება, თუმცა თავად ფიქრობს, რომ ასეთი საქციელით ცოლთან ურთიერთობა შეინარჩუნა. მოგვიანებით იგი საშინლად გაოცდა და თან გაბრაზდა, როდესაც შეიტყო, რომ ქალი მაინც უკმაყოფილო იყო მისი საქციელით; იგი გრძნობდა ქმრის უხალისო განწყობას, მას კი მისი ყურადღება და თანადგომა სჭირდებოდა და არა მოვალეობის შესრულება. ეს შემთხვევა იმ მრავალი ობსესიური პიროვნების ქცევის მაგალითად გამოდგება, რომლებიც პარტნიორთან ურთიერთობის მოგვარებას ცდილობენ; თუმცა მსგავსი საქციელით პარტნიორი ვერასოდეს აღწევს თავისი მოთხოვნის კონკრეტულ შედეგს: ეს არის მეორე ადამიანის მხრიდან მინიჭებული მეტი სიხარული, მისი უშუალო და მოსიყვარულე დამოკიდებულება, ყოფით ცხოვრებაში მომხდარი სასიამოვნო ცვლილებები და მხიარული გუნებაგანწყობა. ობსესიური პიროვნება, თავისი სიძუნწისა და ფრთხილი ხასიათის გამო, პარტნიორის მოთხოვნებს ხშირად «პრეტენზიებად» აღიქვამს და ამას მისი «დაუოკებელი» ხასიათით ხსნის. ასეთი განწყობით ბევრი ცოლ-ქმარი ერთ ჭერქვეშ, თუმცა ერთმანეთის «გარეშე» ცხოვრობს, მათ წინაშე კი სულ უფრო დიდი პრობლემები წამოიჭრება. ობსესიური ადამიანების ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს დრო და ფული. პარტნიორთან მიმართებაში მათთვის დამახასიათებელია ასევე სიზუსტე და ხელმომჭირნეობა. მათ ხასიათში ყველაზე მეტად ძალაუფლების მოპოვების სურვილი, პედანტურობა და სიჯიუტე იჩენს თავს. მაგალითად, ოჯახში ქმარი მოითხოვს, რომ სადილი «წუთიწუთზე» მიართვან, ამასთან სახარჯო ფულსაც მთლიანად ის უნდა განაგებდეს და ანაწილებდეს. ცოლის მოთხოვნით კი ქმარმა მთელი ხელფასი მას უნდა ჩააბაროს, მერე ცოლი მას იქიდან მისცემს ჯიბის ფულს. ახალი და საჭირო ნივთის შეძენის გამო, შესაძლოა, ცოლ-ქმარს შორის ტრაგედია დატრიალდეს. ამ დროს ერთი მხარე მუდმივად საყვედურობს პარტნიორს იმის გამო, რომ მას «ფულის ფლანგვა» უყვარს, და ნივთებს იმდენად დაუდევრად ექცევა, რომ «უკვე ისევ» ახლის შეძენაა საჭირო. ასეთი ურთიერთობის დროს ფულის პრობლემა ხშირად კრიზისის გამომწვევი მიზეზი ხდება.

პატრიარქატის პირობებში, როდესაც მამაკაცი დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა, ცოლქმრობის მთელი ტვირთი მეტწილად ქალს აწვებოდა მხრებზე. ამის მაგალითია თუნდაც «ცოლქმრული» მოვალეობის შესრულების ფაქტი, როდესაც ქალის სექსუალურ მოთხოვნებს საერთოდ უგულვებელყოფდნენ, და ამით შეურაცხყოფას აყენებდნენ. შემდეგ თავში დავინახავთ, როგორ იძიებდა ხოლმე ამის გამო შურს ქალი. პატრიარქატის ხანაში გავრცელებული ქორწინებების დროს მართვის სადავეები მთლიანად მამაკაცებს ეპყრათ ხელთ. ქალს ყველა უფლება ჩამორთმეული ჰქონდა; მას პატარა, გონებაჩლუნგი ბავშვივით ეპყრობოდნენ და სრულიად დაბეჩავებულ მდგომარეობაში ჰყავდათ. ობსესიური პიროვნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პარტნიორი კარგად დაზეთილი მანქანასავით ზუსტად, შეუფერხებლად და გამართულად «ფუნქციონირებდეს» და თავის განწყობას ემოციურად არ გამოხატავდეს. ცოცხალი და გულითადი ურთიერთობის ნაცვლად, ობსესიური პიროვნება მხოლოდ იმას აქცევს ყურადღებას, როგორ უნდა მოიქცეს მისი პარტნიორი. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ცივი და «დაპროგრამებული» ქორწინების დროს, ცოლ-ქმრის სექსუალური ურთიერთობა მატარებლის მოძრაობის განრიგს ემსგავსება და უფრო მოვალეობის შესრულებაა, ვიდრე სასიყვარულო გატაცება და განწყობა; ისინი საქორწინო სარეცელს მხოლოდ იმისთვის იზიარებენ, რომ დაელოდონ მომენტს, როცა «ამაზე მიდგება» საქმე.

სექსისა და ნებისმიერი ცხოვრებისეული სიამოვნებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ობსესიურ პიროვნებას მერე და მერე სულ უფრო მეტ პრობლემას უქმნის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ხშირად «გეგმური» სექსუალური ცხოვრებით ცხოვრობს, რის გამოც მას სექსისადმი მტრული, სრულიად ანტიდიონისური განწყობა აქვს; ეს კი შეიძლება გახდეს მიზეზი, რომ ობსესიურმა ადამიანმა ქალთან პირველივე შეხვედრის დროს მარცხი განიცადოს. აქვე უნდა გავიხსენოთ ქორწინების პირველ ღამეს მომხდარი ტრაგედიები. რაკი იგი პარტნიორის გუნება-განწყობას ვერ შეიგრძნობს და ძალიან მწირი სასიყვარულო

ფანტაზიები გააჩნია, მისი სექსუალური ცხოვრება ერთხელ და სამუდამოდ გაკვალული გზით, უცვლელად მიედინება. ობსესიური ადამიანები, არცთუ იშვიათად, სადისტური მიდრეკილებებითაც გამოირჩევიან, რაც იმაში გამოიხატება, რომ ინტიმური ურთიერთობის დროს პარტნიორზე ძალადობენ და საკუთარი უპირატესობის წარმოჩენას ლამობენ. წარსულიდან შემორჩენილმა სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობამ, რომელიც შემდგომ ობსესიური პიროვნების სექსუალურ თვისებებზეც ახდენს გავლენას, შესაძლოა, მისი ინტიმური ცხოვრება ჯოჯოხეთად აქციოს. მისთვის «სექსი» ფანტაზიისგან დაცლილი, ნებადართულ საზღვრებში მოქცეული გრძნობაა, რომლის დროსაც მას გარკვეული პირობების დაცვა ევალება. ამ დროს ობსესიური პიროვნება, შესაძლოა, იქამდე მივიდეს, რომ მან ხანგრძლივი ეჭვებისა და ზიზღის ბარიერი აღმართოს ან სხვა რაციონალურ საშუალებებს მოუხმოს «აკრძალული» ინსტინქტების წინააღმდეგ, რასაც შემდეგი მაგალითი დაგვანახებს:

ახალგაზრდა კაცმა გაიცნო გოგონა, რომელიც ძალიან მოეწონა; მაგრამ მასთან პირველი შეხვედრის შემდეგ, შინ რომ დაბრუნდა, მტანჯველი ფიქრები აეკვიატა: რა შედეგები მოჰყვებოდა ამ ურთიერთობას (რომელიც ჯერ არ დაწყებულიყო!)? რა ოჯახიდან იყო გოგონა? რამდენი მამაკაცის ხელში იყო უკვე გამოვლილი? ჯანმრთელობას ხომ არ უჩიოდა? რას ფიქრობდა სიყვარულზე? მასთან ურთიერთობის დროს საქმე ფეხმძიმობამდე ხომ არ მივიდოდა? რაიმე სენი ხომ არ გადაედებოდა მისგან? ასეთი ვნებიანი ტუჩების პატრონი, იქნებ ნებისმიერ მამაკაცს უწევებოდა ლოგინში? ამ ფიქრების შემდეგ, ახალგაზრდა ყმაწვილმა საკუთარ თავს ასეთი კითხვები დაუსვა: «ისე, კაცმა რომ თქვას, რა აუცილებელია მასთან ურთიერთობა? ვინ მომცემს იმის გარანტიას, რომ იმედგაცრუებული არ დავრჩები? ხომ აშკარაა, რომ ამ საქმეს კარგი პირი არ უჩანს?.. ჰოდა, ასეთ ახალგაზრდა ასაკში რატომ უნდა გავიმრუდო ცხოვრება?» (არადა, მთელ ამ ისტორიაში საერთოდ არაფერი იყო გასარჩევი და საკამათო).

ამ შემთხვევაში მეტისმეტად ფრთხილ და წინდახედულ პიროვნებასთან გვაქვს საქმე. იგი ითვალისწინებს მოვლენის ყველა ნეგატიურ მხარეს, ხშირად ექცევა ყურით მოთრეული, რაციონალური აზრების ტყვეობაში, რათა გადაწყვეტილება არ მიიღოს, არ იმოქმედოს და რაიმე რისკზე არ წავიდეს. ახალგაზრდა კაცს სხვა აკვიატებული აზრებიც ჰქონდა. მაგალითად, სემესტრის ბოლოს და სახელმწიფო გამოცდების წინ გამუდმებით იმაზე ფიქრობდა, რომელი ჰალსტუხი გაეკეთებინა, და მთელ დროს მათ შერჩევა-მოზომებას ანდომებდა. გარდა ამისა, ახალგაზრდა კაცს აკვიატებული ჰქონდა, რომ ნაცნობთან შეხვედრის შემდეგ, ზუსტად უნდა გაეხსენებინა, რა უთხრა მან და ამაზე თავად როგორ უპასუხა. ამ დროს რაიმე ისეთი ხომ არ წამოსცდა, რაც მისთვის საბედისწერო გახდებოდა, ან ნაცნობის სიტყვებში რაიმე ორაზროვნება ხომ არ გამოეპარა? მოკლედ, ეს ადამიანი ხშირად ფიქრობდა იმაზე, როგორ აღედგინა მეხსიერებაში უკვე ჩავლილი საუბრები. აღნიშნული ქმედებები მისთვის უსაფრთხოების გარანტია და თვითნებური საქციელისგან თავდაცვის საშუალება იყო.

ობსესიური პიროვნება საკუთარ ქმედითუნარიანობას ხშირად სექსუალურ საკითხს უკავშირებს. ამ დროს სექსუალური ურთიერთობა მას თავისი ქმედითუნარიანობისა და პოტენციის შესამოწმებლად სჭირდება, ხოლო პარტნიორი ქალი მისთვის ის ობიექტია, რომელსაც ამ მიზნისთვის იყენებს. გერმანულ ენაში ადამიანის სექსუალურ და ფინანსურ პოტენციალს ერთი და იგივე სიტყვა: «შესაძლებლობა» გამოხატავს და ობსესიურ პიროვნებასაც ზუსტად ერთნაირი დამოკიდებულება აქვს საკუთარ სექსუალური და ფინანსური პოტენციალის მიმართ. იგი ან აშკარად იყენებს თავის ამ «შესაძლებლობას», ან ზოგავს თავის პოტენციას, რადგან გრძნობს, რომ იგი შეზღუდულია და განახლებას მოითხოვს; ამიტომ, იმის შიშით, რომ «თოფის წამალი» არ გამოეღიოს, ზოგავს და უფრთხილდება მას. ობსესიურ პიროვნებას ზუსტად ასეთივე დამოკიდებულება აქვს ფულთან.

ობსესიური პიროვნების გუნება-განწყობა, ეროტიკული და სექსუალური ურთიერთობის დროს, გარკვეულწილად გარემოპირობებზეა დამოკიდებული; მას აღიზიანებს ხმაური, სხვადასხვა სუნი, არასასურველი განათება, ნახევრად გამოღებული კარი და ა.შ. ეს ყველაფერი ობსესიურ ადამიანზე ისე მოქმედებს, რომ ამ დროს, შესაძლოა, საერთოდ გაუქრეს სექსუალური ლტოლვა, სუნთქვა შეეკრას და პოტენცია დაკარგოს. ზოგიერთი ობსესიური ადამიანი ასეთი შემთხვევის წინ დიდხანს და გულმოდგინედ ბანაობს და უკვე ამით იხშობს ინტიმური ურთიერთობის სურვილს. ეს პიროვნებები ხშირად არიან თავს წინასწარ დასახულ, სისტემატურად შესასრულებელ «ვალდებულებებს» და ფიქრობენ, რომ ჯერ სხვა საქმეები უნდა მოაგვარონ. ისინი სიამოვნებით იმიზეზებენ დალლას, ამბობენ, რომ გადაქანცულნი არიან მძიმე შრომით, და, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი სხვა მიზეზს გამონახავენ, რათა თავი დააღწიონ პარტნიორულ ურთიერთობებს. ობსესიურ პიროვნებებს იშვიათად ეუფლებათ ჭეშმარიტი და ლაღი სიხარულის განცდა. თუ ისინი აიკვიატებენ აზრს, რომ პარტნიორი მათი საკუთრებაა, ეჭვიანობას იწყებენ, თუმცა ეს მათი მხრიდან უფრო ძალაუფლების გამოვლინების სურვილზე მიუთითებს. ისინი პარტნიორს არ აძლევენ საშუალებას, მათ გავლენას დააღწიონ თავი. მაგრამ, თუ პარტნიორი ამას მაინც შეეცდება, ობსესიური ადამიანები მას ყოველნაირად ავიწროებენ და მასზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ, რაც სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებს. უნდა ვიფიქროთ, რომ თავის დროზე სწორედ აკვიატებული აზრით შეპყრობილმა ადამიანმა გამოიგონა «უძანკოების ქამარი».

ობსესიურ პიროვნებაში ხშირად იმდენად ხდება სიყვარულისა და სექსუალობის, სინაზისა და ვნებების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რომ მას არ უჩნდება საყვარელ ქალთან სიახლოვის სურვილი; სამაგიეროდ, შესაძლოა, ვნებამ შეიპყროს პარტნიორის მიმართ, რომელთანაც არავითარი გრძნობა არ აკავშირებს. ობსესიური პიროვნებისათვის წარმოუდგენელია «უხამსი, სექსუალური ურთიერთობა საყვარელ ქალთან», რადგან ფიქრობს, რომ ამით მის ღირსებას შელახავს. ამრიგად, ხშირად გვხვდებიან ობსესიური ადამიანები, რომლებიც თაყვანს სცემენ საყვარელ ქალს, სექსუალურ მოთხოვნილებებს კი მეძავებთან იკმაყოფილებენ.

ჯანმრთელი ადამიანები, რომლებსაც სუსტად გამოხატული ობსესიური ნიშნები აქვთ, საერთოდ არ არიან ვნებიანი საყვარლები, სამაგიეროდ, საიმედო და სტაბილური პარტნიორები არიან, ქალის მიმართ სითბოს და სინაზეს იჩენენ, მასთან ურთიერთობას პასუხისმგებლობით ეკიდებიან და ცდილობენ, მისი კეთილგანწყობა მოიპოვონ.

ობსესიური ადამიანები ახლობლებზე ზრუნვით გამოირჩევიან და მათი ოჯახი ხშირად «წმინდა თანამეგობრობის» შთაბეჭდილებას ტოვებს; ეს არის ოჯახი, რომლის საფუძველსაც ურთიერთპატივისცემა და პასუხისმგებლობა შეადგენს.

ობსესიური ადამიანი და აგრესია

ობსესიურ ადამიანს აგრესიული და აფექტური ხასიათი ხშირად უქმნის სიძნელებებს; ამიტომ მან ადრევე უნდა ისწავლოს, რომ თავის მოთოკვა და გაკონტროლებაა საჭირო. მისი ცხოვრების აღწერისას კი დავინახავთ, რომ მისთვის დამახასიათებელ სპონტანურ რეაქციებს უზარმაზარი შიში ახლავს თან. ობსესიური პიროვნება იძულებულია, საკუთარ თავში ადრევე დათრგუნოს აღშფოთების, სიძულვილის, სიჯიუტისა და მტრული განწყობის ყოველგვარი გამოვლინება, რადგან ამის გამო ისჯებოდა, ან გარშემომყოფთა სიყვარულს ვეღარ იმსახურებდა. მაგრამ ცხოვრება ხომ არ არსებობს აგრესიებისა და აფექტების გარეშე?! მაშ, რა უნდა მოუხერხოს მათ ადამიანმა? ობსესიურ პიროვნებას, დეპრესიულ ადამიანთან შედარებით, უფრო ძლიერად აქვს განვითარებული საკუთარი «მე» და ბავშვობაშიც არ განიცდიდა «დაკარგვის შიშს», რაც მას აფექტებზე ხელს აალებინებდა; ამიტომ მას აგრესიები იმის შიშით უნდა დაეთრგუნა, რომ დასჯიდნენ. ახლა განვიხილოთ, რა შეიძლება მოიმოქმედოს ასეთ სიტუაციაში ობსესიურმა ადამიანმა.

ალბათ, ყველაზე გავრცელებულია ისეთი შემთხვევები, როდესაც იგი დიდი სიფრთხილით ეკიდება აფექტებისა და აგრესიების გამოხატვას. ის ყოყმანით და ეჭვით აკვირდება სიტუაციას და ფიქრობს, აქვს თუ არა უფლება, აგრესია გამოავლინოს; მაგრამ თუ თავის შეკავებას მაინც ვერ ახერხებს, ამის შემდეგ ცდილობს, ასეთი მძაფრი რეაქცია აღარ ჰქონდეს, ან სხვა დროს საერთოდ ჩაიხშოს იგი: ერთხელ ერთმა პაციენტმა ფსიქოთერაპიული სეანსის დროს აგრესიულად მოიხსენია საკუთარი ცოლი, რომელიც ამას ნამდვილად იმსახურებდა; თუმცა პაციენტმა მაშინვე სინანულით თქვა: «რა თქმა უნდა, მეტისმეტი მომივიდა. ცხადია, ასე არ ვფიქრობ და ასეთი რამ მხოლოდ იმიტომ ვთქვი, რომ ჩემს სიტუაციას ნათელი მოჰგონოდა. ძალიან გთხოვთ, სწორად გამიგეთ: წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ჩემს ცოლზე მცდარი შთაბეჭდილება შეგქმნოდეთ; არადა, ერთმანეთთან ნამდვილად კარგი ურთიერთობა გვაქვს». ეს შემთხვევა კარგად დაგვანახებს, რა შიში ახლავს აგრესიის გამოვლინებას. რომელსაც მოგვიანებით თვითბრალდების გრძნობა ჩაენაცვლება. აგრესიულ რეაქციებზე ამგვარმა «შერბილების ტენდენციამ», სიტუაციის განმეორების დროს, შესაძლოა, ობსესიურ ადამიანში შეცდომის გამოსწორების სურვილი ან უფრო დიდი თვითბრალდების გრძნობა გამოიწვიოს.

ობსესიურ ადამიანს შეუძლია შეიმუშაოს გარკვეული იდეოლოგია, რომლის თანახმადაც, კონფლიქტის დროს მისი აფექტები კვლავ მასთან დარჩება, ოღონდ იგი მათ გამოვლენის საშუალებას არ მისცემს. ამასთან, აფექტებზე უარისთქმის არსი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ობსესიურმა პიროვნებამ თავი უნდა მოთოკოს და ამ პრინციპით აღზარდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აფექტების გამოხატვა იმის მაუწყებელი იქნება, რომ ობსესიური პიროვნება საკუთარ თავს გაურბის და ვერ ერევა, რაც მის ღირსებას ლახავს. საერთოდ კი, როგორც არ უნდა უვნებლად გამოიყურებოდეს ობსესიური ადამიანის საქციელი, მაინც არსებობს იმის საფრთხე, რომ იგი ამ დროს მეტისმეტად დიდ მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს. აფექტების ძლიერი დამუხრუჭების დროს ადამიანში ხდება მათი დაგროვება, რის შემდეგაც მკაცრი კონტროლია საჭირო, რომ მათ არ ამოხეთქონ. მაგალითად, მსგავსი ობსესიური სიმპტომები გამოვლინდა ქალში, რომელიც ქმრისადმი თავის მტრულ დამოკიდებულებას აშკარად არასოდეს გამოხატავდა. სამაგიეროდ, იგი საშინელ შიშს განიცდიდა დანებისა და ბასრი საგნების დანახვაზე, რადგან ფიქრობდა, რომ მასში დაგროვილი აგრესია ამოხეთქავდა და არავინ იცის, ამის შემდეგ ქალი რას მოიმოქმედებდა. მას რომ ქმრისთვის თავისი სათქმელი დროულად ეთქვა, მისი აგრესია ასეთ სახიფათო სახეს არ მიიღებდა.

ობსესიის სინდრომით დაავადებული ადამიანები ამ დილემას თავს დააღწევენ, თუ საამისოდ საჭირო ლეგიტიმურ საშუალებებს გამოიხატავენ. მათ უნდა გააცნობიერონ ის მიზეზები და გარემოებები, რომლებიც არათუ აგრესიის გამოხატვის შესაძლებლობას

მისცემენ, არამედ ამ აგრესიას გარკვეული ღირებულების სახითაც წარმოაჩენენ; ამის საშუალებას კი ზოგიერთი პროფესია იძლევა. ამ შემთხვევაში ობსესიური ადამიანი ებრძვის ყველაფერს, რის აკრძალვასაც საკუთარი თავისთვის ცდილობს. ასეთ ფანატიკოსებს ნებისმიერი საქმიანობის სფეროში ვხვდებით. ისინი ყველგან დაუნდობლად, უკომპრომისოდ და ანგარიშმიუცემლად იბრძვიან ვიღაცის ან რაღაცის წინააღმდეგ – იქნება ეს ჰიგიენის, სექსის, მორალის თუ რელიგიის სფერო. ამჯერად ობსესიური პიროვნებები აგრესიას საკუთარ თავში კი არ იხშობენ, როგორც ეს დეპრესიულ ადამიანებს სჩვევიათ, არამედ მას, სინდისის ქენჯნის გარეშე, ვიღაცის ან რაღაცისაკენ მიმართავენ, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ ამით სასარგებლო საქმეს აკეთებენ. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა სახიფათო მდგომარეობა იქმნება, როდესაც ობსესიური პიროვნება საკუთარი აგრესიისთვის «გადასაკეტ სარქველს» ეძებს. ამ დროს მან ყველგან და ყველაფერში შეიძლება დაინახოს ისეთი რამ, რის წინააღმდეგაც, «საკუთარი რწმენიდან» გამომდინარე, რაღაც უნდა მოიმოქმედოს. ეს მას საშუალებას აძლევს, თვით ის საშინელი აგრესიებიც კი გამოავლინოს, რომლებსაც იგი «წმინდა მიზნებს» უკავშირებს. ამაზე ჩვენ ქრისტიანულ იდეოლოგიებზე მსჯელობისას უკვე მივუთითეთ.

ამ შემთხვევაში ძალიან მყიფეა ის საზღვარი, ჯანმრთელ და ავადმყოფ ადამიანებს შორის რომ გადის. ამ სახით გამოვლენილი აგრესიები გარკვეულწილად დაკავშირებულია იმ ნორმებთან, რომლებსაც თავისთავად რაღაც ღირებულება გააჩნიათ, ან, შესაძლოა, გააჩნდეთ.

რა კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყვეს აგრესიას, რომელსაც ადამიანთა კოლექტივი მას თავისი იდეოლოგიის იარაღად აქცევს, ამის მოწმენი ჩვენ მესამე რაიხში ებრაელების დევნის დროს გავხდით. აგრესიის გამოვლენა ნებისმიერ ომში ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან მტრის განადგურება «სათნოების» სახელით ხდება.

ზემოთ აღწერილი «ლეგიტიმური» აგრესიის უფრო მსუბუქი ფორმა მეტისმეტი კორექტულობაა. ობსესიურ პიროვნებაში, დათრგუნულ აგრესიასთან ერთად, ამ დროს თავს იჩენს აგრესია, რომელიც მას, როგორც წესი, გაცნობიერებული არა აქვს. არის შემთხვევები, როდესაც ობსესიური პიროვნება კორექტულად გამოავლენს აგრესიას, რომელიც სადიზმის ზღვარზე დგას. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით მრავლად გვხვდება. ამის მაგალითია საჯარო მოხელე, რომელიც გულგრილად მიუკეტავს ადამიანს ცხვირწინ სარკმელს, როდესაც ბოლო წუთში შეუძლია მოემსახუროს; მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეს, უნებლიეთ დაშვებული შეცდომის გამო, «განსასჯელის სკამზე» სვამს; გამომცდელი, რომლისთვისაც სწორი პასუხი სიტყვა-სიტყვით უნდა ემთხვეოდეს მის მოსაზრებას; მოსამართლე, რომელსაც კანონი პედანტურად ესმის და დანაშაულზე ისე გამოაქვს განაჩენი, რომ არ აინტერესებს მისი ჩადენის მოტივაცია. აგრესიის გამოვლინების ამგვარი მაგალითები მრავლად გვხვდება. ეს ობსესიური პიროვნებები ზედმიწევნით კორექტულად, ლეგიტიმურად გამოავლენენ აგრესიებს, ბოროტად სარგებლობენ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებით. ისინი ამგვარ საქციელს საკუთარი თავის წინაშე იმით ამართლებენ, რომ სწორად და თანმიმდევრულად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას და გარკვეული ღირებულებების დამცველებად გამოდიან; მაგრამ ობსესიური პიროვნებების აგრესია სწორედ იმით არის სახიფათო, რომ ეს ადამიანები ხშირად ლაპარაკობენ ღირებულებებზე, ამის გამო კი ძნელია იმის დადგენა, როდის აქვს მათ საქმიანობას რაიმე ღირებულება და როდის არის იგი მათი ძალაუფლების გამოხატვის საშუალება. რა თქმა უნდა, ისინი მართლები არიან, როცა ამბობენ – «წესრიგია საჭიროო», მაგრამ ეს არ არის სიცოცხლით სავსე, არაპედანტური წესრიგი. ზნეობა ნამდვილად ღირებულებას წარმოადგენს, მაგრამ იგი ამ დროს კაცთმოძულეობას არ უნდა ქადაგებდეს.

აქედან პირდაპირ იქით მივდივართ, რასაც სამხედრო საქმიდან ვიცნობთ და «წვრთნას» ვეძახით. როგორც დავინახეთ, ობსესიური ადამიანების აგრესია ნორმების, წესებისა და

პრინციპების დაცვით გამოვლინდება. ისინი ამ დროს, უმთავრესად, «ვიდაცის სახელით» მოქმედებენ, რაც ძალაუფლების ინსტინქტის აშკარა გამოვლინებას წარმოადგენს. ეს ის მოუხელთებელი აგრესიაა, რომლის მხილებაც ხშირად ძალიან ძნელია; ამასთან, იგი იმ ზეპიროვნული და ანონიმური სახით ვლინდება, რომლის მიღმა აგრესიისადმი პიროვნული სწრაფვა იმალება. ობსესიური აგრესიის კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებას ძალაუფლებისკენ ლტოლვა წარმოადგენს. ეს აღარ არის ის აგრესია, რომლის საშუალებითაც შიზოიდური ადამიანები თავს იცავენ; ამ აგრესიის დროს საქმე ძალაუფლებას ეხება. ობსესიური ადამიანები ძალაუფლების მოსაპოვებლად აგრესიას მიმართავენ, ხოლო მათ ხელთ არსებული ძალაუფლება კვლავ აგრესიის გამოვლენას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ამ ადამიანებს ისეთ პროფესიებში ვხვდებით, რომლებიც მათ ძალაუფლებას ანიჭებენ და იმავდროულად აძლევენ შესაძლებლობას, თავიანთი აგრესიები წესრიგის, აღზრდის, კანონის, ავტორიტეტის სახელით, ლეგალურად გამოავლინონ. ამიტომ, ბუნებრივია, ბევრი პოლიტიკოსი მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი ობსესიური სტრუქტურული ტიპის ადამიანს წარმოადგენს. მათ რიცხვში არიან: სამხედრო მოსამსახურეები, პოლიციელები, საჯარო მოხელეები, მოსამართლეები, სასულიერო პირები, პედაგოგები და პროკურორები. თუ როგორ გამოიყენებენ ეს ადამიანები ძალაუფლებას და მასთან დაკავშირებით – თავიანთ აგრესიას, ეს მათ პიროვნულ მოწიფულობასა და ინტეგრაციაზე დამოკიდებული. ობსესიურ პიროვნებებს ნებისმიერი საზოგადოება, თავისი იერარქიული წყობით და წესრიგით, ფართო შესაძლებლობებს სთავაზობს, რათა მათ, «კეთილი მიზნების» საფარქვეშ, ლეგიტიმურად გამოავლინონ აგრესიები და სიძულვილი. ოჯახი, სკოლა და ეკლესია ქმნიან ადამიანის აღზრდისთვის საჭირო, პირველად გარემოს. ამასთან, ისინი იმ ინსტიტუციებსაც წარმოადგენენ, რომლებიც თავიანთი უსულგულო წვრთნის მეთოდებით ცდილობენ ბავშვების აღზრდას, მათში დანაშაულის გრძნობისა და დასჯის შიშის გაღვივებას; ამით ისინი ნოყიერ ნიადაგს უმზადებენ ბავშვებს, რათა მომავალში ობსესურ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ.

ობსესიური აგრესიის ერთ-ერთ ფორმას «მზაკვრულს» უწოდებენ. იგი ვლინდება ფარულად, ვერაგულად და ფრთხილად, რის გამოც ობსესიურ ადამიანებს ბავშვობაში მკაცრად სჯიდნენ. მათ არ აძლევდნენ უფლებას, თავიანთი სიჯიუტე და აფექტები აშკარად გამოევიწყინათ; თუ ისინი მოფარებულში, ჩუმად მაინც ახერხებდნენ ამას, შემდგომ ამის გამო მკაცრად ისჯებოდნენ. ამ დროს თავჩენილი მზაკვრობა და ვერაგობა ძალიან მოგვაგონებს «ცხვრის ტყავში გახვეული მგლის» საქციელს.

მოტორულ-ექსპანსიური, აფექტური და აგრესიული ქცევებისთვის ბავშვის დასჯას ის შედეგი მოაქვს, რომ იგი სრულყოფილად ვეღარ შეიგრძნობს საკუთარ სხეულს. ბავშვი კარგავს სამოდროდ საჭირო უნარს და ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს სხეული მას აღარ ეკუთვნის. იმისათვის, რომ ადამიანმა საკუთარი სხეული ბუნებრივად მართოს, მას თავისუფალი მოძრაობის საშუალება უნდა ჰქონდეს. მაგრამ, თუ ბავშვი მუდმივად დამაბულია და მთელი ყურადღება იმაზე აქვს გადატანილი, რომ არ «წაიბორძიკოს» და თავისი ქცევით ვინმე არ გააღიზიანოს, ეს მისი მოტორული და აგრესიული მოძრაობის დამუხრუჭებას იწვევს, ამასთან, მას უქრება რწმენა, რომ დამაჯერებლად შეუძლია მოძრაობა. ამ დროს საქმე გვაქვს მოძრაობის მკვეთრად გამოხატულ «მოუქნელ» ფორმასთან, რომელიც განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში, შესაძლოა, «დონდლო» მოძრაობებში გადაიზარდოს. ამ დროს აგრესია ხშირად უკვე ხსენებულ «უმართებულო ქცევებში» იჩენს თავს. მოუქნელი, მოუხეშავი და დონდლო ადამიანი მისთვის საჭირო აგრესიებს, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, «თავისდაუნებურად აითვისებს». მაგალითად, ობსესიური ადამიანი ამ დროს თავის დათრგუნულ აგრესიებს იმით გამოხატავს, რომ ძვირფასი ლარნაკი «უნებლიეთ» ხელიდან გაუვარდება და გაუტყდება, ან წაიბორძიკებს და ღამის ღამპას გადააყირავებს. მის საქციელზე შეიძლება გაბრაზდე, მაგრამ ამისათვის პასუხს ვერ მოსთხოვ. ამას ბავშვი სიამოვნებით უყურებს და, რაკი ამბობენ: «გიჟი თავისუფალიაო», ისიც გიჟის თავისუფლებით ტკბება; გარშემომყოფნი ამ დროს თავიანთ უპირატესობას იმით გამოხატავენ, რომ შეუძლიათ ბავშვი შეიბრალონ და

მისდამი კეთილგანწყობილნი იყვნენ. ასეთი ნატიფი ხერხებით ცდილობს ბავშვი შურისძიებას იმ ადამიანებზე, რომლებიც მას მხოლოდ «ყურს უწევდნენ».

არცთუ იშვიათად ბავშვი თავის ასეთ საქციელში მოგვიანებით კიდევ ერთ სარგებელს ხედავს: რაკი მას ყველანი მოუხერხებელი და უგერგილო ადამიანის სახელით იცნობენ, შეუძლია, მომავალში მძიმე საქმეებიდან დაიძვრინოს თავი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუდმივად «თავის მოთოკვის» აუცილებლობამ და მეტისმეტმა კონტროლმა, შესაძლოა, ადამიანი იპოქონდრული თვითდაკვირების აკვიატებამდე მიიყვანოს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გამუდმებით საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე ფიქრობს და თავის აგრესიას ამით გამოავლენს. ამ დროს ობსესიური პიროვნება გარშემომყოფთ თავისი იპოქონდრული შიშებითა და სიმპტომებით სასოწარკვეთილებაში აგდებს და გუნება-განწყობას უწამლავს; ამ შემთხვევაში მოსალოდნელია კუჭ-ნაწლავის ფუნქციის რეალურად ან მოჩვენებითად დარღვევა, რაც ოჯახისთვის ნამდვილ კატასტროფას მოასწავებს.

ობსესიურ ადამიანებს კიდევ ორი სახის აგრესიული ქცევა ახასიათებთ; ამ დროს ისინი თავიანთ აგრესიებს და აფექტებს გაუცნობიერებლად ავლენენ და, შესაბამისად, არც დანაშაულის გრძნობას განიცდიან. ესენი არიან

«არხენი» და «კირკიტა» ადამიანები, რომლებიც სხვებზე შემაწუხებლად და დამთრგუნველად მოქმედებენ. ეს აგრესიის მეტად ნატიფი და ფარული სახეობებია, რომლებიც უმთავრესად ქალებს ახასიათებთ; მაგალითად, არიან ქალები, რომლებიც კონცერტზე ან თეატრში წასასვლელად იმდენ ხანს ემზადებიან, რომ პარტნიორი წონასწორობიდან გამოჰყავთ. თუმცა არიან მამაკაცებიც, რომლებიც მოყვალს, როგორც იტყვიან, «ათადან-ბაბადან» იწყებენ. იგივე შეიძლება ითქვას ობსესიურ პაციენტზე, რომელიც დაწვრილებით მიხსნიდა, რატომ დააგვიანდა იმ დღეს სეანსზე მოსვლა «თითქმის ორი წუთით(!)»

«როგორც ყოველთვის, სამსახურიდან შვიდის თხუთმეტ წუთზე გამოვედი. ავტობუსმა 3 წუთით დააგვიანა და ერთ წუთს გაჩერდა. ასევე დაგვიანებით ჩამოვედი ჩემს გაჩერებაზე და თქვენკენ გამოვეშურე. მინდოდა დაკარგული დრო ამენაზღაურებინა და ნაბიჯს ავუჩქარე, მაგრამ ვიღაც ქალმა გამაჩერა და რომელიღაც ქუჩა მკითხა. მე, რა თქმა უნდა ავუხსენი, იქ როგორ მისულიყო, თუმცა ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. მერე თქვენამდე მთელი გზა სირბილით გამოვიარე».

ორი წუთით დაგვიანებაზე, რა თქმა უნდა ლაპარაკი, საერთოდ, არ ღირდა, მაგრამ, რაკი პაციენტს ამის აღნიშვნა უნდოდა, შეეძლო ეს ერთი წინადადებით ეთქვა: «მაპატიეთ, ცოტა დამაგვიანდა». ასეთი პაციენტები კლინიკაში დროულად მოდიან, ზარის ღილაკს წუთი-წუთზე აჭერენ თითს და ამით ადრე ან გვიან მოსულ პაციენტებს შორის თავიანთ ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავენ. ისინი ფიქრობენ, რომ ადრე მოსვლით და იქ ყოფნით ვინმეს თავს მოაბეზრებენ, ან, შესაძლოა, ვინმეს ეგონოს, რომ მათ კლინიკაში მოსვლა უხარიათ და ამიტომ მოდიან დროზე ადრე; ხოლო თუ დააგვიანებენ, ამას მათ ვინმე უზრდელობაში ჩამოართმევს და, შესაძლოა, რაღაც უკეთურებაც დასწამოს. პაციენტის ასეთი საქციელის ერთ-ერთი მიზეზი «თავშეკავება» ან «ერთგულების» წინაშე შიში უნდა იყოს, თუმცა ამის ახსნა საღ განსჯას არ ექვემდებარება. ობსესიური პიროვნებისთვის ამგვარი ქცევა ის სარქველია, რომელსაც იგი ე.წ. «არაპირდაპირი აგრესიის» გამოსახატავად იყენებს. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ქმარი, რომელიც ცოლს ყოველ ჯერზე, სულ უმნიშვნელო თანხის მიცემაზეც კი ახვეწინებს; ანდა ადამიანი, რომელიც შეკითხვაზე პასუხს არ იძლევა, თითქოს დუმილის აღთქმა ჰქონდეს დადებული, რაც მეორე ადამიანს საშინლად აღიზიანებს. ასეთ შემთხვევებში, ობსესიული პიროვნება აშკარა აგრესიას არ

ავლენს, მას კაცი ვერაფერს უსაყვედურებს, მაგრამ, სამაგიეროდ, მისმა ასეთმა საქციელმა, შესაძლოა, მეორე ადამიანს გული ატკინოს და გუნება-განწყობა გაუფუჭოს. საერთოდ კი, ობსესიურ პიროვნებას ურჩევნია, მკრეხელური საქციელი არ ჩაიდინოს, რადგან ფიქრობს, რომ «არჩადენილ ცოდვებს» სამხილი უფრო ძნელად გამოეძებნება.

ამის საპირისპირო თვისებას «აბეზრობა» წარმოადგენს. ობსესიური ადამიანი ამ დროს კარგავს ზომიერების გრძნობას, და, როგორც იტყვიან, «ძალის ყბა აქვს გამოზმული», ყველას თავს აბეზრებს. ბოლოს კი, ობსესიური ადამიანის ისეთი თვისებაც უნდა გავიხსენოთ, როგორცაა: «წუწუნი», «მოთქმა» და «ვაი-ვიში», რაც აგრესიის გამოვლენის ტიპური ფორმაა.

ობსესიურ პიროვნებას, აგრესიულ იმპულსებთან ერთად, ხშირად უძლიერდება დასჯისა და დანაშაულის შიში. ამ დროს იგი ვეღარ იყენებს აგრესიის გამოხატვის ზემოაღნიშნულ შესაძლებლობებს, რაც მოგვიანებით სომატურად იჩენს ხოლმე თავს. ამის შედეგი კი არის გულის და სისხლ-ძარღვთა დაავადებები, წნევა (უპირველეს ყოვლისა, მაღალი წნევა, რომელიც, არცთუ იშვიათად, ინსულტის წინაპირობას წარმოადგენს), შაკიკი, უძილობა და კუჭ-ნაწლავის ფუნქციის მოშლა. ამ დროს, რა თქმა უნდა, ხანგრძლივად დათრგუნული აფექტებისა და აგრესიების სომატური სიმპტომები იჩენს თავს. ობსესიურ ადამიანებში მიმდინარეობს შინაგანი კონფლიქტი, რადგან მას აგრესიის გამოვლენის სურვილი აქვს; მეორე მხრივ, ძალაუფლებისკენ სწრაფვის მიუხედავად, გავლენას ვერ ახდენს მიმდინარე მოვლენებზე და, ამასთან დაკავშირებით – გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაგროვილმა აფექტებმა ამ დროს, შესაძლოა, ისეთი ძალით ამოხეთქოს, რომ «ამოკის» დაავადება გამოიწვიოს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ობსესიურ პიროვნებას უეცარი მრისხანება შეიპყრობს და უჩნდება სურვილი, ყველაფერი მოსპოს და გაანადგუროს. რილკემ თავის რომანში «მალტე ლაურიდს ბრიგე» ამაღელვებლად აღწერა ადამიანში უეცარი ემოციური აფეთქების შემთხვევა.

გვინდა აფექტებისა და აგრესიების სომატური გამოვლინების შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ:

მაღალი თანამდებობის პირს, რომელსაც საკუთარი პასუხისმგებლობა კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, სამსახურში თავი ყოველთვის საქმიანად, ნეიტრალურად ეჭირა და აფექტებს არასოდეს ჰყვებოდა. მისთვის უცხო იყო ისეთი გრძნობების გამოვლენა, როგორცაა სიხარული, მრისხანება ან მოუთმენლობა. ამ უდრეკი ხასიათის ადამიანს ვერავინ შეამჩნევდა აღელვებას ან გაღიზიანებას. ის ამაყოფიდა თავისი ძლიერი ნებისყოფით, სულიერი ურყევობით და იმ უპირატესობით, რომელიც სხვა ადამიანებისგან გამოარჩევდა. ამასთან მტკივნეულად განიცდიდა იმასაც, რომ საჭირო შემთხვევაში თავს უფლებას არ აძლევდა, გაბრაზებულიყო და თავისი რისხვა გადმოეთხია; ამას იგი საკუთარ თავს, პრესტიჟისა და მაღალი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, სასტიკად უკრძალავდა. სამაგიეროდ, ეს ადამიანი სულ უფრო ხშირად გრძნობდა, რომ ასეთ სიტუაციებში პულსი საგრძნობლად უჩქარდებოდა და გულის არეში ტკივილები ეწყებოდა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ იგი თავის «ჯავშანს» არცთუ მთლად წარმატებით იყენებდა. მერე ის იყო, სამსახურებრივი კონფლიქტების დროს მას მოწინააღმდეგეებთან ბრძოლა და მათი თავდასხმების მოგერიება მოუხდა, რის შემდეგაც მან ექიმს მიმართა. ამ უკანასკნელმა მას გულის ინფარქტი უწინასწარმეტყველა, თუ ემოციურ დაძაბულობას არ მოიხსნიდა და სამსახურში თავს ისევ გადაიტვირთავდა. მაგრამ, როგორც ყოველთვის, მუშაობის ფაქტორი სულაც არ იყო გადაამწყვეტი. ამ ადამიანის დაავადება მისი არაბუნებრივი თავშეკავებითა და მოთმინებით იყო გამოწვეული, რაც მას არც ერთ ღია სარქველს არ უტოვებდა დაგროვილი აფექტებისა და აგრესიების გამოსავლენად.

ბისმარკზე ამბობენ, რომ დათრგუნული აფექტების შედეგად მას სლოკინი უვარდებოდა, კრუნჩხვითი შეტევები ეწყებოდა და ხალიჩას კბილებით გლეჯდა. ამგვარი მდგომარეობის ტრაგიზმი, შესაძლოა, იმითაც იყო გამოწვეული, რომ ძლიერი აფექტების მქონე ადამიანები ხშირად მაღალი თანამდებობის პირები არიან; ისინი აცნობიერებენ, რომ მათ, როგორც ხელმძღვანელებს, საკუთარი მცდელობით შექმნილი იმიჯის გამო, უფლება არა აქვთ, აშკარად გამოავლინონ თავიანთი აფექტები.

აქვე მინდა, მოვიხსენიო აგრესიის ის სახეობა, რომელსაც ობსესიური პიროვნება თავდაცვის მიზნით იყენებს. ამ შემთხვევაში იგი საკუთარ აგრესიას იმით თრგუნავს, რომ გარკვეული ადამიანის გაიდებას იწყებს და ამით მას აგრესიისათვის ხელშეუხებელს ხდის. ბავშვობის ასაკის შემდეგ ამ სახის აფექტები ისევ გამოვლინდება მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის დროს, როდესაც მოსწავლე საკუთარ თავს, საბოლოოდ, მის აღზრდილად აღიარებს.

ცხოვრებისეული სივრცე

ახლა კი გვინდა, კვლავ დავსვათ კითხვა, რა კონსტიტუციური ფაქტორები და გარესამყაროსეული გავლენები უწყობს ხელს ობსესიური პიროვნული სტრუქტურის ჩამოყალიბებას. კონსტიტუციურ ფაქტორებს შორის, როგორც ჩანს, დიდ როლს თამაშობს ადამიანის განსაკუთრებით ცხოველმყოფელი მოტორულ-აგრესიული, სექსუალური და საერთო ექსპანსიური მიდრეკილებები, რასაც მისი ხასიათის თავისებურებაც უწყობს ხელს. ეს ის მიდრეკილებებია, რომლებიც მშობლებს ბავშვში შედარებით ადვილად და ხშირად «აღიზიანებთ». ისინი მიიჩნევენ, რომ ბავშვის ამგვარი «ცელქობები» დროულად უნდა აილაგმოს. ამიტომ მშობლები ასეთი ბავშვის ქცევებს უფრო მეტად და ხშირად ამუხრუჭებენ, ვიდრე მაშინ, როცა «წესიერ» ბავშვს ეხება საქმე. ამ დროს ბავშვის უწყინარმა, დამთმობმა და თვინიერმა ხასიათმა თუ მისმა შემგუებლობამ, შესაძლოა, გარკვეული როლი ითამაშოს, რადგან ის თვითონვე ცდილობს თავი შეიკავოს მკვეთრი რეაქციებისაგან და ზომიერ მეტი შემგუებლობის უნარი გამოავლინოს. როგორც ჩანს, ამ დროს ბავშვის იმ თანდაყოლილ თავისებასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ მას საფუძვლიანი და ზუსტი აზროვნების უნარი გააჩნია. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ბავშვი კავშირს არ კარგავს წარსულის მოვლენებთან, რისი წყალობითაც მის ცნობიერებას ყველა შთაბეჭდილება უფრო ღრმად და ხანგრძლივად შემორჩება. კვლავ ღიად უნდა დავტოვოთ საკითხი და გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით იმის თაობაზე, რამდენად უკავშირდება ეს თავისებები ბავშვის შინაგან განწყობას, ან რამდენად წარმოადგენენ ისინი ბავშვის რეაქციას გარესამყაროს გავლენებზე ან აღზრდაზე. ამდენად, არ ვიცით, ამ შემთხვევაში ბავშვის ქცევები ამ ყველაფრის შედეგად უნდა ჩავთვალოთ, თუ – მიზეზად. ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს, ალბათ, ვერასოდეს მივიღებთ, რადგან ასეთი დასკვნის გამოტანა მოითხოვს, რომ ერთი და იგივე ბავშვი სხვადასხვა გარემოში იზრდებოდეს. ფაქტია, გარემოს კვლევის დროს, აშკარად უგულებელყოფენ ბავშვის მიდრეკილებებს; ისევე როგორც წინათ, მთელი ყურადღება მემკვიდრეობით პრობლემებზე იყო გადატანილი და ადამიანზე გარემოს გავლენის ფაქტებს საერთოდ არ შეისწავლიდნენ. მაგრამ ამჟამად როგორ უნდა შევხედოთ გარემოს გავლენას, რომლის წყალობითაც განსაკუთრებული საკითხები წამოიჭრა? როგორ ავხსნათ, ერთი მხრივ, ადამიანის მოთხოვნა «უსაფრთხოებისა» და მუდმივობის შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ, შიში, რომელსაც იგი განიცდის წარმავლობისა და ცვლილებების წინაშე?

ამ საკითხის უკეთ გაგების მიზნით, საჭიროა, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ბავშვის განვითარების ის პერიოდი, რომელსაც მოსდევს ორივე ზემოაღწერილი ფაზა. საქმე ეხება 2-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვს, რომელიც თავის ცხოვრებაში პირველად შეეჩხება «ნებართვისა» და «აკრძალვის» დაწესებულ სისტემას. ამ დროს იგი უკან მოიტოვებს თავისი ხანმოკლე, «უცოდველი» ბავშვობის «სამოთხისეულ პერიოდს», როცა მისგან არაფერს მოითხოვდნენ, არაფერს უკრძალავდნენ და მის ყველა სურვილს უსიტყვოდ ასრულებდნენ. ახლა ბავშვი პირველად მოდის კონფლიქტში გარემოსთან და თავისი სურვილებით, იმპულსებით, ნებით უპირისპირდება აღმზრდელების მოთხოვნებს და ნებას. ბავშვმა უკვე მიაღწია იმ ასაკს, როდესაც მისგან რაღაცას მოითხოვენ. მაგრამ მას ამ დროისთვის იმდენად განვითარებული აქვს საკუთარი «მე»-ს დამოუკიდებლობის გრძნობა, მოძრაობის სურვილი და თვითგამოხატვის უნარი, რომ ახლა იგი, თავის მხრივ, მიილტვის გარესამყაროსაკენ; ახლა მას ამ სამყაროსთან თანამონაწილეობით სურს წამოიწყოს ახალი ქმედებები, მაშინ როდესაც განვითარების წინა ფაზებში მას ყველაფერი მზამზარეულად მიერთმეოდა. ახლა ბავშვი თავისი სურვილებისა და აფექტების გამოხატვას ენობრივადაც უკეთ ახერხებს; იგი ცდილობს, დაიპყროს მისი გარემომცველი სივრცე, საკუთარი ძალები მოსინჯოს და წინააღმდეგობები დაძლიოს.

ამ დროს ბავშვი ნელ-ნელა სწყდება დედის კალთას და დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფვის; განვითარების ამ ფაზაში პირველად გრძნობს, რომ იშლება ის სიმბიოზი დედასთან, როდესაც ჯერ კიდევ ვერ ხედავდა განსხვავებას «მე»-სა და «შენ»-ს შორის. იმავედროულად, ბავშვს სულ უფრო უვითარდება საკუთარი სხეულის შეგრძნების უნარი

და მოტორული მოძრაობები; იგი შეპყრობილია ექსპანსიური სურვილით, თავისი ჭირვეულობა და თავნებობა გარესამყაროსაკენ მიმართოს. ამის შედეგად ბავშვი გაიაზრებს, რომ გარესამყარო მას წინააღმდეგობას უწევს და მის ქცევებზე რეაგირებს. ბავშვი ამ დროს არა მხოლოდ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს, არამედ მათი გამოყენების საზღვრებსაც შეიცნობს. სხვათა შორის, განვითარების ამ ფაზაში იგი პირველად აცნობიერებს «ნებართვისა» და «აკრძალვის» საკითხს, რაც «კეთილისა» და «ბოროტის» გააზრების წინამძღვარს წარმოადგენს. ნებისმიერმა ბავშვმა თავად უნდა გააკეთოს არჩევანი თავნებობასა და თვინიერებას, სიჯიუტესა და მორჩილებას შორის. ამ გადაწყვეტილების შედეგი ყოველთვის დამოკიდებულია ბავშვის უნარსა და იმ გარემოზე, რომელშიც მას უხდება ცხოვრება.

იმისათვის, რომ ბავშვმა თავისი პირველი, მნიშვნელოვანი ქცევებით გამოავლინოს «თავნებობასა» და «თვინიერებას» შორის განსხვავების უნარი, მან, პირველ რიგში, ჰიგიენის დაცვის აუცილებლობა უნდა გააცნობიეროს.

სწორედ აქ შეიძლება ჩაეყაროს საფუძველი როგორც ბავშვის ჯანსაღ თვითგამორკვევას, ასევე მის დამოკიდებულებას ჯიუტი თუ თვინიერი ქცევებისადმი, იმის მიხედვით, თუ როგორ ეპყრობიან მას ჰიგიენური აღზრდის დროს: აცდიან თუ არა, რომ მან ეს ნაბიჯი თანდათანობით გადადგას, თუ მის სიჯიუტეს და თავნებობას ფორსირებული წრთვით, დროულად აღკვეთენ ძალადობისა და დასჯის საშუალებით.

მაგრამ ბავშვს, მისთვის დამახასიათებელ მზარდ უნარჩვევებთან ერთად, უჩნდება მოთხოვნილება, რაიმე მოიმოქმედოს გარესამყაროში და რაღაც მოუხერხოს მის გარშემო მყოფ საგნებს. ამ დროს მას ხშირად უხდება ამ სამყაროსთან შეჯახება და, გარშემომყოფთა რეაქციების მიხედვით, საკუთარ თავს შეიგრძნობს როგორც «ცუდსა» და «უწესოს». 2-დან 4 წლამდე ასაკში წყდება ბავშვის როგორც ექსპანსიურ-მოტორული და აგრესიული ინსტინქტების, ასევე მისი ჯიუტი ხასიათის შემდგომი ბედი. ამ დროში შესწავლილი ქცევის წესები მისი პიროვნული განვითარების სამომავლო ქცევის მოდელებად გადაიქცევა. ახლა უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, როდის და როგორ ეზიარება ბავშვი «ნებართვისა» და «აკრძალვის» პრინციპებს. როდესაც იგი პირველად იწყებს იმაზე ფიქრს, რა წარმოადგენს მისთვის «ბოროტებას» და «სიკეთეს» – ამ დროს, შესაძლოა, მისი პირველი «ცოდვით დაცემაც» მოხდეს. ამიტომ, როდესაც ბავშვს ესმის სიტყვები: «ახლა ასე უნდა მოიქცე!», «ამის გაკეთება არ შეიძლება!», «ნუ იზამ ამას!» – იგი ხვდება, რომ, თვინიერების შემთხვევაში, «კეთილის» სახელი ექნება, ხოლო მის ურჩობას «ბოროტებად» შეაფასებენ. ამ დროს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ბავშვს ამ მოთხოვნებთან დაპირისპირება ადრე მოუხდება თუ გვიან; მათ შესრულებას მისგან გადაჭრით და პრინციპულად მოითხოვენ, თუ – უღიმღამოდ და არათანმიმდევრულად; ბავშვის ჯიუტი ხასიათის გატეხვას თავიდანვე მკაცრი მიდგომით ცდილობენ თუ ალერსიანი და მოსიყვარულე მოპყრობით არწმუნებენ მას ამ მოთხოვნების სამართლიანობაში. ეს ყველაფერი დაგვანახებს, რომ ბავშვს სიჯიუტისა და თავნებობისადმი ამგვარი მიდგომა მისი მთავარი იმპულსების სამომავლოდ ჩამოყალიბების საფუძველი ხდება. სწორედ ეს ქმნის იმის წინაპირობას, ბავშვს მომავალში საღი აზროვნება, სიჯიუტის ჯანმრთელი შეგრძნება და მოქალაქეობრივი სიმამაცე ექნება, თუ ხელაღებით უარყოფს ავტორიტეტებს ან მათდამი შემგუებლობას გამოიჩენს; ამით კი შექმნის იმის საფუძველს, რომ მისგან ობსესიური პიროვნება ჩამოყალიბდეს.

ამრიგად, ბავშვს ამ დროს მიღებული გამოცდილება ასწავლის, როგორ უნდა მოიქცეს, როდესაც მისი სურვილები წინააღმდეგობაში მოდის აუცილებლად შესასრულებელ ქმედებებთან. მან იცის, საკუთარი ნებელობითი ინსტინქტები თავისუფლების თუ არათავისუფლების მიმართულებით უნდა წარმართოს, მკაცრად თუ ლმობიერად მიუდგეს თავის მორალურ სინდისს, ანუ საკუთარ «ზეგარდმო მე»-ს. ამ ტერმინით აღნიშნავს

ფსიქოანალიზი ბავშვობის პერიოდში მოპოვებულ იმ განზომილებას, რომელიც განსაზღვრავს სინდისის დამოკიდებულებას მთელი სამყაროს მიმართ. იგივე გამოცდილება აძლევს ბავშვს საშუალებას, რათა, თვითკონტროლის გზით, ზომაზე მეტად არ დაამუხრუჭოს საკუთარი, ლალი ქმედებები. გარესამყაროდან წამოსული რეაქციები ბავშვს ახლა კვლავ საკუთარ ქცევებზე გადააქვს, რის დროსაც ეს სამყარო მისთვის გარედან თავდაპირველად დაწესებული «ნებართვებისა» და «აკრძალვების» მსაჯულად გამოდის და, ამრიგად, უკვე ნაცნობი და გაკვალილი გზით სიარულს ასწავლის.

შედარებით მოგვიანებით დაავადებული ობსესიური პიროვნებების ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით იმ ფაქტის მოწმე, რომ მათ ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში დაიწყეს თავიანთი აგრესიული, აფექტური და ჩამოუყალიბებელი იმპულსების დათრგუნვა; ასევე ხშირად ზღუდავდნენ და ამუხრუჭებდნენ ნებისმიერ თვითნებურ, ჯანმრთელ და ლალ სურვილსაც. ეს ბავშვის განვითარების ისეთ ფაზაში ხდებოდა, როდესაც საჭირო იყო ასაკის შესაბამისი ახალი უნარ-ჩვევების განვითარება, რაც ბავშვს უფრო დამოუკიდებელს გახდიდა. თუ ბიჰევიორისტული კვლევის შედეგებს გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ პირველი შთაბეჭდილებები და გამოცდილება ცოცხალ ორგანიზმებზე ძლიერ ზემოქმედებას იმ შემთხვევაში ახდენს, თუ ეს ახლად ათვისებულ, ქმედით ნაბიჯებს უკავშირდება. ამ დროს ისინი ადვილად იძენენ საგანგებო მნიშვნელობას და შემეცნების სფეროში წანამძღვრებს ქმნიან კატეგორიალური ქცევის წესების დასამკვიდრებლად.

ეს ყველაფერი იმით იწყება, რომ გარესამყაროში ბავშვისთვის ყოველთვის ყველაფერი დადგენილი წესების მიხედვით უნდა ხდებოდეს, რათა ბავშვმა ამ წესების დარღვევა სახიფათოდ მიიჩნიოს, ან საკუთარი, «ბოროტი» ბუნების გამოვლინებად განიცადოს. ბავშვის «უმართებულო საქციელის» გამო გამოწვეული რეაქციები (გაკიცხვა, საყვედური, გაფრთხილება ან არასაკმარისი სიყვარული), შესაძლოა, მისი ასაკისათვის შეუსაბამო აღმოჩნდეს. ბავშვებისაგან ამ დროს არ უნდა მოითხოვდნენ, რომ მან ჰიგიენა დაიცვას, მაგიდასთან «წესიერად» ჯდომას მიეჩვიოს, არაფერი დაამტვრიოს და სამართლიანი გულისწყრომაც კი არ გამოხატოს. მოვიყვანთ ამის ერთ-ერთ გროტესკულ მაგალითს:

ერთ ოჯახში წესად ჰქონდათ, რომ ბავშვებს ჭამის დროს ილიის ქვეშ მონეტა უნდა ჰქონოდათ ამოჩრილი, რათა ხელები არ ემოძრაებინათ და მონეტა ძირს არ ჩამოვარდნილიყო. ასე ასწავლიდნენ ბავშვებს «კარგი ქცევის» წესებს.

წესიერი და კარგად გაწრთვნილი ბავშვი, რა თქმა უნდა, მშობლებს ნაკლებ პრობლემებს უქმნის და გარშემომყოფნიც მათ სანიმუშოდ მიიჩნევენ. ამ დროს მშობლებს უხარიათ, რომ შვილი სწორად აღზარდეს, და თავიანთი აღმზრდელობითი მეთოდებით ძალიან ამაყოფენ. თუ გავიხსენებთ დიდ ქალაქებში თითქმის უკვე დამკვიდრებულ სავალალო საყოფაცხოვრებო პირობებს, მივხვდებით, რომ ბავშვებისთვის ასეთი ცხოვრება საპრობლემოში ყოფნის ტოლფასია, რადგან ისინი გასაქანს ვერ აძლევენ თავიანთ ბუნებრივ, ბავშვურ მოთხოვნილებებს. როდესაც ბავშვი ადრეული ასაკიდანვე საკუთარ თავზეა მიყურადებული და მისი «მოთოკვა» შეუძლია, იგი თანდათანობით მხოლოდ ბავშვურ სილალეს და უშუალოებას კი არ კარგავს, არამედ დასჯის შიში და დანაშაულის გრძნობაც მომძლავრებული აქვს.

ამ ასაკში ბავშვი ძალიან მტკივნეულად განიცდის მომდევნო და-ძმის დაბადებას, რადგან ამ დროს «აბელისა და კაენის» პრობლემა მწვავედ იჩენს ხოლმე თავს. ამ ასაკში ბავშვი უკვე ავლენს გარკვეულ სიჯიუტესა და აგრესიულობას და მომავალ და-ძმას, უკვე მთელი შეგნებით, მეტოქეებად აღიქვამს. თუ მშობლები ბავშვის მდგომარეობას ვერ აცნობიერებენ და მის შემსუბუქებას არ ცდილობენ, იგი საშინლად ითრგუნება; მოგვიანებით და-ძმისადმი სიძულვილმა და აგრესიებმა, შესაძლოა, ბავშვში დანაშაულის

გრძნობა გამოიწვიოს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი იძულებულია, ძალიან ადრეულ ასაკში მიმართოს ობსესიური პიროვნებისთვის ჩვეულ თავდაცვის ხერხს.

დედისერთა პატარა ბიჭს გამუდმებით ესმოდა დედის წუწუნი, რომელსაც შაკიკი აწუხებდა და საშინლად გაღიზიანებული იყო; როდესაც ბავშვი ეზოში ან ქუჩაში თამაშის შემდეგ შინ ბრუნდებოდა, ფეხსაცმელები უნდა გაეხადა და კართან დაეწყო, რათა სახლში უხმაუროდ შესულიყო და იატაკი არ დაესვარა. ბავშვს ხშირად უჩნდებოდა სურვილი, დედისთვის რაღაც ეკითხა ან ეჩვენებინა. მის ოთახში შერბოდა, თან ამ დროს იატაკზე დაფენილ ნოხში ფეხები ებლანდებოდა და მის ფოჩებს აბურღავდა ხოლმე. დედას არაფერი აინტერესებდა; იგი მხოლოდ ბავშვის ამ საქციელზე ამახვილებდა ყურადღებას, ოხრავდა და შვილს საყვედურობდა, რომ დედა არ ანაღვლებდა; მერე კი სავარცხელს იღებდა და ნოხის ფოჩებს გულმოდგინედ და «ბეჯითად» (ეს მისი საყვარელი სიტყვა იყო) ვარცხნიდა, ბავშვის კონკრეტულ თხოვნას კი საერთოდ უგულებელყოფდა. გარდა ამისა, ბავშვი დედისგან გამუდმებით ისმენდა საყვედურებს: «მაინც და მაინც ახლა რატომ მაწუხებ, ვერ ხედავ, რომ თავი მტკივა?!» ან «ხომ ხედავ, რომ ახლა დაკავებული ვარ და დრო არა მაქვს?!»

ადვილი წარმოსადგენია, როგორ მოქმედებდა ბავშვზე დედის ამგვარი საქციელი, რომელსაც იგი დიდი ხნის განმავლობაში იტანდა.

მაგრამ დედა-შვილს შორის მსგავსი ურთიერთობა, შესაძლოა, ბევრად უფრო ადრეც დაიწყო. მოვიყვანთ ნაწყვეტს დედის დღიურიდან, რომელიც მისი პირმშოს ცხოვრების პირველ წელს ეხება (დედა ბავშვის მიმართ ძალიან მკაცრ ღონისძიებებს ატარებს; მას აღზრდის ასეთი მეთოდის შესახებ ბევრი რამ წაუკითხავს და ახლა ცდილობს, შვილი ყველა წესის დაცვით აღზარდოს):

«ქოთანზე გადაყენებას უკვე მესამე თვიდან მიგაჩვიე; მინდოდა, პატარაობიდანვე გესწავლა სისუფთავე და წესრიგი; მოძრავი და ცოცხალი ბავშვი იყავი; ძუძუს ჭამის დროს ვერ ისვენებდი, ამიტომ იძულებული გახდით, ერთი-ორჯერ მიმეტყვიპე, სანამ არ გასწავლე, რომ ამ დროს წყნარად უნდა ყოფილიყავი; მერე კი ჩემი ერთი შემოხედვა კმაროდა, რომ მაშინვე გასუსულიყავი. ასე და ამრიგად, ადრევე დაგარწმუნე, რომ ჩემთან შენი ჭირვეულობით ვერაფერს გახდებოდი. წიგნშიც სწორედ ასე იყო მითითებული – ბავშვის სიჯიუტე და ჭირვეულობა თავიდანვე უნდა დათრგუნოთ. ოთახიდან გასვლას რომ დავაპირებდი, მაშინვე ბლავილს იწყებდი. ამ დროსაც ერთ-ორს მოგცხებდი ხოლმე; მართალია, შენი ბლავილი ცას სწვდებოდა, მაგრამ მალე იღლებოდი და ღნავილით იძინებდი. აშკარად ვგრძნობდი, რომ შენი ღრიალით გინდოდა, წონასწორობიდან გამოგეყვანე, მერე კი ისევ ალერსითა და სიყვარულით შემომცქეროდი. მოგვიანებით ასეთი ძალისმიერი მეთოდის გამოყენება აღარ მჭირდებოდა; ყველას უკვირდა, რომ მორჩილი შვილი მყავდა, რომელსაც ჩემი ერთი მზერით ვათვინიერებდი. ხანდახან საკუთარ თავს ვაიძულებდი, მკაცრად მოგქცეოდი, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაგადგებოდა. მოგვიანებით ხომ მაინც მიხვდებოდი, რომ ასეთ სიმკაცრეს შენ გამოვიჩენდი! მამაშენი იმ წლებში ომში იყო, ამიტომ შენზე მთელი პასუხისმგებლობა მე დამეკისრა – შინ რომ დაბრუნდებოდა, მისთვის კარგად აღზრდილი შვილი უნდა ჩამეზარებინა.»

ამ მაგალითიდან აშკარად ჩანს, რომ ასეთ ბავშვს ძალიან ადრე უნდა ესწავლა საკუთარი იმპულსების სწრაფად დამუხრუჭება და დათრგუნვა, რათა თავისი საქციელით დედა არ გაღიზიანებინა. ამგვარი ქცევა დროთა განმავლობაში დახვეწილ სახეს იღებს და ბავშვს «მეორე ბუნებად» ანუ იმ რეფლექსებად გადაექცევა, რომელთა მართვაც, ბოლოს და ბოლოს, თავისთავად ხდება.

ობსესიური ადამიანი შემდგომ ცდილობს, ნებისმიერი იმპულსის გამოვლინების დროს, წონასწორობა დაიცვას; იგი, ასე ვთქვათ, საპირწონეს ძეხნაში იწყებს ყოყმანს – რისკი გასწიოს და მიენდოს იმპულსს, თუ უმჯობესია, დათრგუნოს იგი. მერე კი დროის შუალედი და ფიქრი იმდენად ასუსტებს იმპულსს, რომ მისი გამოვლენა საერთოდ აღარ ხდება. მაგრამ ამ «ყოყმანმა», შესაძლოა, შემდგომ ფართო ხასიათი მიიღოს, გამოცალკევდეს და ნებისმიერ ადამიანში იმ აუცილებელ «ყოყმანად» იქცეს, რომელიც სახიფათო იმპულსად ჩამოყალიბდება, თუმცა არ გამოვლინდება.

ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ობსესიურ პიროვნებაში ყოველგვარი «ყოყმანი» დიდ როლს თამაშობს. იგი იცავს ადამიანს, რათა არ ჩაიდინოს ისეთი სახიფათო და თვითნებური საქციელი, რასაც მერე ინანებს. მომავალში, შესაძლოა, თანდათანობით «ყოყმანის» აბსოლუტიზაცია მოხდეს, თვითმიზნად გადაიქცეს და ადამიანის ქცევები სრულიად არაქმედითი გახადოს. «ყოყმანის» ცნება საბოლოოდ ადამიანის ცხოვრებაში გამოთქმულ იმ ეჭვს უკავშირდება, როდესაც ამბობს: «მაქვს კი უფლება, დამოუკიდებლად ვიმოქმედო და ვაკეთო ის, რაც მინდა? თუ თვინიერება გამოვიჩინო და უარი ვთქვა ჩემს იმპულსებზე? მაშასადამე, შემიძლია, ან «კეთილი» ვიყო ან «ბოროტი». «კეთილსა» და «ბოროტს» შორის არჩევანის გაკეთებაა სწორედ ჩემი სურვილი».

ობსესიური პიროვნებისათვის დამახასიათებელი ამგვარი «ყოყმანი» გავლენას ახდენს იმ ადამიანების ქცევაზე, რომლებსაც სჩვევიათ დაყოვნება, მერყეობა, საქმის გადადება და გაჭიანურება-გაჯანჯლება. ეს ადამიანები «ბურიდანის ვირის» მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე, რომელიც მშიერი რჩება, რადგან ვერ გადაუწყვეტია, თივის ორ კონას შორის რომელი აირჩიოს. ამრიგად, ობსესიურმა ადამიანმა გადაწყვეტილება ან გაბედული ქმედების, ან დასჯის შიშით უნდა მიიღოს. თუმცა მას გადაწყვეტილების მიღება იმ კონფლიქტის გამოც უჭირს, რომელიც არსებობს თანდაყოლილ მიდრეკილებასა და აღზრდის შედეგად შთაგონებულ შიშს შორის; ობსესიური პიროვნება თავის მიდრეკილებას სწორედ ამ შიშის გამო ვერ გამოავლენს. მასში ეჭვებისა და ყოყმანის ინტენსიურობა იმაზეა დამოკიდებული, რა კავშირი არსებობდა მის ბავშვობაში ინსტინქტურ მოთხოვნებსა და მათი გამოვლინების შიშს შორის.

«ყოყმანის», «გაჭიანურების» და «გადაწყვეტილების ვერმიღების» მტანჯველ გრძნობას უფრო უკეთ შევაფასებთ, თუ გვეცოდინება, რომ ობსესიური პიროვნებები ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას არასოდეს ცვლიან. სამაგიეროდ, ეს გადაწყვეტილება მათთვის უპირობოდ მისაღები და «აბსოლუტურად» სწორი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით ყველაზე უმნიშვნელო, არასწორი გადაწყვეტილებაც კი შეიძლება პრობლემად ექცეთ. ამიტომ ობსესიურმა პიროვნებამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, რათა შემდგომში შიშმა არ შეიპყროს. რაც უფრო მეტად არის ადამიანი შეპყრობილი აკვიატებული იდეებით, მით უფრო მეტი ყოყმანითა და ეჭვის თვალით უყურებს იგი საკუთარ ქმედებებს. ყოყმანი და ეჭვი ამ დროს, შესაძლოა, ისეთი რეფლექსის სახით გამოვლინდეს, რომ ნებისმიერ ჩანაფიქრს პასუხად საპირისპირო ჩანაფიქრი მოჰყვეს. თუ ამ დროს იმპულსისა და საპირისპირო იმპულსის ურთიერთმონაცვლეობა სწრაფად ხდება, ისინი ბოლოს ერთდროულად გამოვლინდება. თავდაპირველად, იმპულსსა და საპირისპირო იმპულსს შორის პაუზა უფრო ხანგრძლივია, შემდეგ სულ უფრო ხანმოკლე ხდება, ამ დროს თითქოს იწყება სწრაფი მონაცვლეობა «ჰო-არა-ჰო-არას» შორის. ბოლოს ეს პროცესი შეიძლება სომატურად გამოვლინდეს; ადამიანს კანკალი ეწყება ან ენა ებმის, იმის მიხედვით – «რალაცის კეთების სურვილი აქვს და ამის უფლება არ გააჩნია», თუ «რალაცის თქმა სურს და თქმის უფლება არა აქვს»; ორივე იმპულსი, შესაძლოა, დროში პრაქტიკულად დაემთხვეს ერთმანეთს, რაც მათ სრულ პარალიზებას და კატატონურ გაშეშებას იწვევს. ასეთ მდგომარეობაში ადამიანს ვერ გადაუწყვეტია, ილაპარაკოს თუ არ ილაპარაკოს, ან კარი დახუროს თუ არ დახუროს, რამაც, შესაძლოა, მისი სრული უმოქმედობა გამოიწვიოს; საბოლოოდ, ობსესიურ პიროვნებაში გამღიზიანებლებისა და იმპულსების აღქმა საერთოდ

აღარ ხდება, ისინი ვეღარ აღწევენ ცნობიერებამდე, რადგან თავის დაცვა რეფლექსურად მიმდინარეობს, რაც იმპულსს ჩანასახშივე ახშობს.

ობსესიურმა ადამიანმა ბავშვობისდროინდელი გამოცდილებით იცის, რომ გარესამყაროში გარკვეული ქცევის წესები მოქმედებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია; მაგრამ იმავდროულად აკრძალულია ბევრი ისეთი რამ, რასაც სიამოვნებით გააკეთებდა. ასე შეექმნა მას წარმოდგენა, რომ ნამდვილად არსებობს ქცევის აბსოლუტურად სწორი წესები; აქედან გამომდინარე, ობსესიურ პიროვნებას მიდრეკილება აქვს პერფექციონიზმისადმი, რომელიც შემდეგ მსოფლმხედველობის დონემდე აჰყავს. მას სურს, ცხოვრებაში ყველას ისეთი პირობები წაუყენოს, რომლებსაც თავად მიიჩნევს საჭიროდ, რადგან, როგორც მორგენშტერნი¹⁰ თავისი ნაწარმოების გმირს ათქმევინებს: «არ შეიძლება არსებობდეს ის, რასაც არსებობის უფლება არა აქვს».

ბავშვმა, რომელიც ქაოტურ გარემოში იზრდება, შესაძლოა, გამოავლინოს აკვიატების ნიშნები, მაგრამ მათ რეაქტიული და კომპენსატორული ხასიათი აქვს: ბავშვი თავის გარემოში ვერ ახერხებს ორიენტირებას და ვერ ხედავს ვერავითარ საყრდენს, ამასთან, ეშინია თავისუფლებისა, რადგან მას უამრავი მოულოდნელობა ახლავს თან; ამ დროს ბავშვი თავის შინაგან სამყაროში ეძებს რაღაც ხელჩასაჭიდს, რაც მას გარესამყაროში ვერ უპოვია. იგი ცდილობს, საკუთარი თავიდან გამომდინარე, ისეთი წესრიგი და პრინციპები შეიმუშაოს, რომლებიც მას საყრდენად გამოადგება და საფრთხეს თავიდან ააცილებს. მოგვიანებით ეს პრინციპები აკვიატებული აზრების სახით გამოვლინდება, რადგან გარემო მათ ისევ და ისევ საფრთხეს უქმნის; სწორედ ამიტომ ბავშვი იძულებულია, სულ უფრო მაგრად ჩაეჭიდოს მათ.

¹⁰ მორგენშტერნი, ქრისტან ოტო იოზეფ ვოლფგანგ (1871-1914) გერმანელი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი.

ობსესიური განცდების მაგალითები

ობსესიურ პიროვნებაში ამ სინდრომის ჯერ კიდევ შეუმჩნეველ, საწყის ნიშნებს შემდეგი მაგალითი წარმოაჩენს:

კარგად აღზრდილმა, წესიერმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც ცეკვის წრეში დადიოდა, მეჯლისის შემდეგ თავისი მეწყვილე გოგონა შინ გააცილა. ყმაწვილს გოგონა ძალიან მოსწონდა და გზაში იგრძნო, რომ მისი კოცნა და ალერსი მოუნდა; მაგრამ საკუთარმა წარმოსახვამ იგი ძალიან შეაშინა, რადგან იფიქრა, რომ მისი ასეთი საქციელი გოგონას აღაშფოთებდა. ახალგაზრდა კაცმა ისლა მოახერხა, რომ ქუჩაში ხეების თვლა დაიწყო, რათა თავისი სახიფათო იმპულსები როგორმე გაენეიტრალებინა. ამ შემთხვევის შემდეგ, როგორც კი ახალგაზრდა კაცს ინსტინქტური სურვილების გამო შიშის ან დანაშაულის გრძნობა შეიპყრობდა, იგი ამ საშუალებას მიმართავდა და პედანტურად იწყებდა ყველაფრის თვლას, რაც იმ დროს თვალში მოხვდებოდა. აქტიურად თვლას იგი მაშინ იწყებდა, როდესაც რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიეღო ან რაღაც მნიშვნელოვანი მოემოქმედებინა; მერე კი თვლას იმდენ ხანს აგრძელებდა, ვიდრე შემაწუხებელ ფიქრს თავიდან არ მოიშორებდა. ახალგაზრდა კაცი ამ მოვლენების ურთიერთკავშირს ვერ აცნობიერებდა და საშინლად თრგუნავდა ეს გაუგებარი, აკვიატებული საქციელი.

ეს შემთხვევა ნათელყოფს ობსესიური სინდრომის წარმომშობ მიზეზს, მის ჩვეულებად ქცევის ფაქტს და ფუნქციას. ამ მიზეზს ქმნის ორჭოფული სიტუაცია, რომელსაც ახლავს შიში. იმ დროს, როდესაც ადამიანმა რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს – რაიმე საქმეზე უარი თქვას ან გარკვეულ საქმეს მოჰკიდოს ხელი, – მას მთელი ყურადღება ნეიტრალურ ქმედებაზე გადააქვს, რომელიც მას მანამდე იცავს, ვიდრე შიში გადაუვლის.

საინტერესოა ამ ახალგაზრდა კაცის მანამდე განვლილი ცხოვრებაც:

დედამისი, რომელიც ძალიან ადრე დაქვრივებულიყო, ასევე მკვეთრად გამოხატული, ობსესიური პიროვნება იყო. ქმრის სიკვდილის შემდეგ ქალი ცდილობდა, ყველაფერი ძველებურად დაეტოვებინა, როგორც ეს ქმრის სიცოცხლეში იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ იგი სადილობის დროს ქმრისთვის განკუთვნილ ადგილას, მაგიდაზე, თევზს და დანა-ჩანგალს აწყობდა; ქმრის საწერ მაგიდაზე წიგნები ზუსტად ისე ეწყო, როგორც მან დატოვა. ქალი თავის საქციელს ასე ხსნიდა: «მამა რომ დაბრუნდება, მას ყველაფერი ხელუხლებელი უნდა დახვდეს». ამრიგად, ქალმა ოჯახში სამუზეუმო ატმოსფერო შექმნა, რომელიც წმინდა ტრადიციებისადმი პატივისცემას გამოხატავდა; ეს ტრადიცია ახლა მამის მიერ გამოთქმულ აზრებზეც ვრცელდებოდა, რომლებიც ურყევ ჭეშმარიტებებს გამოხატავდნენ. ამ სიტუაციის წყალობით ყმაწვილი კაცისთვის მამა უცდომელ, სრულყოფილ და მიუწვდომელ არსებად იქცა; სამაგიეროდ, დედის გამო მას ქალებთან ურთიერთობა გაურთულდა, რადგან იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქალები ერთობ ნაზი და დახვეწილი არსებები არიან, მამაკაცები კი მათ სათანადო პატივისცემით არ ეპყრობიან; ამ დროს ყმაწვილისთვის მხოლოდ მამა იყო გამონაკლისი. შვილი დედას წლების განმავლობაში თავს ევლებოდა და «ხელისგულზე ატარებდა», რადგან ფიქრობდა, რომ აუცილებლად მამამისნაირი უნდა ყოფილიყო; მაშინ იგი ქალებსაც მოეწონებოდათ და თავადაც დედის მიერ შექმნილი, მიუწვდომელი მამაკაცის იდეალად გადაიქცეოდა.

თუ ახალგაზრდა კაცი ობსესიური სიმპტომის მეშვეობით ვერ შეძლებს საკუთარი იმპულსებისგან თავის დაცვას, მაშინ იგი უსაფრთხოების უფრო საიმედო ზომებს მიმართავს; მაგალითად, სექსუალური აზრების გამოვლენისას მას სხვა დამცავი რეაქციები გაუჩნდება; მაგრამ კრიტიკულ სიტუაციებში, შესაძლოა, ახალგაზრდა კაცს «გონება დაეხინდოს» და, უეცრად, ხანმოკლე დროით გაითიშოს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სახიფათო სიტუაციას დიდი ძალისხმევით დააღწია თავი, თუმცა ამ დროს საშინელ

დადლილობას გრძნობს. ამრიგად, ობსესიურ პიროვნებას უამრავი შესაძლებლობა გააჩნია, კრიტიკული სიტუაციებიდან და კონფლიქტებიდან უვნებლად გამოსვლისა.

ბატონ ბ-ს ყოველი კვირის ბოლოს საშინელი ნევროზი ტანჯავდა. შაბათი ახლოვდებოდა თუ არა, გაურკვეველი, აუხსნელი შიში და დანაშაულის გრძნობა იპყრობდა. ამას ისეთი სომატური სიმპტომები ახლდა თან, როგორცაა მოთენთილობა, თავის ტკივილები და დადლილობა. მისი ასეთი მდგომარეობა მთელი კვირადღე და ორშაბათი დღის პირველ ნახევარში გრძელდებოდა, ნაშუადღევს კი, მისდა გასაკვირად, თავს ისევ ნორმალურად გრძნობდა.

ხანგრძლივი ფსიქოთერაპიული მკურნალობის პროცესში გამოვლინდა, როგორი იყო ის ცხოვრებისეული სივრცე, რომელშიც დაიწყო და განვითარდა პაციენტის დაავადება:

ბატონ ბ-ს მშობლებს ერთმანეთში საშინელი ურთიერთობა ჰქონდათ; მაგრამ ყველაზე დრამატული მოვლენა მათ ცხოვრებაში ის იყო, რომ ცოლ-ქმარი კვირის ბოლოს სისტემატურად თვრებოდა, რასაც ხმამაღალი შელაპარაკება, შეხლა-შემოხლა და ცემა-ტყეპაც კი მოჰყვებოდა ხოლმე. ბიჭი და მისი უმცროსი და ამის გამო მუდმივ შიშში იყვნენ და საწინააღმდეგო გრძნობებს განიცდიდნენ. ერთი მხრივ, ბავშვებს ეშინოდათ, რომ გააფთრებული მამა დედას რაღაცას აუტეხავდა, და, როგორც სიმთვრალეში ხშირად იმუქრებოდა, შეიძლებოდა ცოლი მოეკლა კიდეც. მეორე მხრივ, ისინი საშინელ სიძულვილს გრძნობდნენ, უპირველეს ყოვლისა, მამის მიმართ; ამ სიძულვილს ისიც აძლიერებდა, რომ მამა ჩხუბის დროს ბიჭს ხშირად აყენებდა შეურაცხყოფას, უტაქტო შენიშვნებს აძლევდა, მერე კი, უეცრად გრძნობამორეული, მოითხოვდა, მისთვის ეკოცნა, რასაც შეშინებული ბავშვი ზიზღით უსრულებდა. როდესაც კვირა საღამოს ბავშვები დასაძინებლად წვებოდნენ, მათ ხშირად ისევ ესმოდათ მშობლების ჩხუბი; ისინი ერთმანეთს ადანაშაულებდნენ და განქორწინებით იმუქრებოდნენ. ორშაბათობით მამა დილით ადრე მიდიოდა სამუშაოზე, მთვრალ დედას კი ჯერ ისევ ეძინა. ბავშვები საუზმეს თავად იმზადებდნენ და სკოლაში ისე მიდიოდნენ, რომ მშობლებს ვერ ხვდებოდნენ. ბიჭი ორშაბათობით გაკვეთილებზე თავს ცუდად გრძნობდა და სულ იმის შიშში იყო, რომ კვირა საღამოს შემდეგ, მშობლებს შეეძლოთ სახლში რაღაც უბედურება დაეტრიალებინათ. მან არ იცოდა, შინ დაბრუნებულს, დედა სახლიდან გაქცეული დახვდებოდა თუ არა, როგორც ქალი ამას ხშირად იმუქრებოდა. ბიჭი საშინლად განიცდიდა, რომ მის ოჯახში ასეთი სამარცხვინო ამბები ხდებოდა, და წუხდა, რომ, თანატოლებისგან განსხვავებით, თავად ვერაფერს მოუყვებოდა მათ მხიარულად გატარებულ კვირადღეზე; ამიტომ ცდილობდა, ასეთი საუბრებისთვის თავი აერიდებინა, რომ არავის გაეგო, რა უბედურება სჭირდა. ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში ბიჭი სულ უფრო მეტ სიძულვილს გრძნობდა მშობლების მიმართ, მაგრამ მის ემოციურ მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მშობლები ძალიან ებრალებოდა; იგი გუმანით გრძნობდა, რომ ისინიც იტანჯებოდნენ და უბედურები იყვნენ.

ბიჭი ორშაბათს სკოლიდან შინ ბრუნდებოდა და ხედავდა, რომ სახლში სიწყნარე სუფევდა და უბედურება არ მომხდარიყო; ამ დროს მას შიში უქრებოდა, სიმშვიდე ეუფლებოდა და იმედი ეძლეოდა, რომ ახლა კვირის ბოლომდე აღარაფერი მოხდებოდა; მერე კი შაბათ-კვირის დღეებს რომ წარმოიდგენდა, კვლავ შიში იპყრობდა.

ამრიგად, ყოველი კვირის ბოლოს ბიჭი საშინლად აფორიაქებული იყო და საშუალება არ ჰქონდა, თავისუფალი დრო უზრუნველად გაეტარებინა. მშობლების ურთიერთობის გამო ცხოვრება აუტანლად ეჩვენებოდა, და თან იმაზეც ფიქრობდა, რომ სიმხნევე გამოეჩინა, საკუთარ სურვილებზე უარი ეთქვა, და მშობლებს «თავისი ამ შეგონებით», მსხვერპლის სახით დაპირისპირებოდა. ბატონმა ბ-მ ბოლოს და ბოლოს ისე გაითავისა ეს გრძნობა, რომ წლების განმავლობაში აღარც ძველ შიშს განიცდიდა და დანაშაულის გრძნობაც აღარ აწუხებდა. იგი ისევ და ისევ უხმობდა თავის «მაგიურ შეგონებას» და უარს ამბობდა

საკუთარ სურვილებზე, თითქოს ამით კვლავ რაღაც უსიამოვნების თავიდან აცილებას ცდილობდა, რომელიც მას ყოველ წუთს ემუქრებოდა. ბატონ ბ-ს უხაროდა, როდესაც კვირადღე მთავრდებოდა და ორშაბათს კვლავ სამუშაოზე შეეძლო წასვლა; რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ არ იცოდა, საკუთარი თავისუფლება და თავისუფალი დრო რაში გამოეყენებინა.

ბატონი ბ. ბავშვობაში თავის იმპულსებს რომ აჰყოლოდა, მამას ერთხელ მაინც დაბეჯითებით მოახსენებდა თავის აზრს, პირში მიახლიდა, როგორ სძულდა და ეზიზღებოდა იგი, და, ვინ იცის, ამ დროს კიდევ რა საშინელებებს ჩაიდენდა. მაგრამ განა ბავშვს შეეძლო ამ კონფლიქტის გადაჭრა? მან იცოდა, რომ მამა ამის შემდეგ ცემით სულს ამოხდიდა, და ამით ოჯახში სიტუაცია უფრო გამწვავდებოდა. დედა, ალბათ, შვილის მხარეს დაიჭერდა და მამა მთელ ჯავრს ახლა მხოლოდ მასზე იყრიდა. სწორედ ეს კომპლექსური და რთული პრობლემები გახდა ბატონ ბ-ს ნევროზის მიზეზი; ნევროზი იცავდა მას, რათა რაიმე საშინელება არ ჩაედინა. მან ბავშვისთვის იმ «მაგიური შეგონების» ფუნქცია შეასრულა, რომელშიც გაერთიანდა სინანულის, სასჯელის, მსხვერპლისა და თვითბრალდების განცდები. და რაკი ბიჭი ვერც თავის სიძულვილს, ბოღმას და იმედგაცრუებას და ვერც ნატვრას, წუხილს და სირცხვილს გამოხატავდა, ამიტომ მათ დათრგუნვას ცდილობდა, რაც მოგვიანებით მისი აკვიატებული აზრებისა და ქცევების მიზეზი გახდა. ბატონ ბ-ს რომ მისცემოდა შესაძლებლობა, თავისი მდგომარეობა მშობლებისთვის აეხსნა, ან ვინმესთვის გაეზიარებინა – როგორ იტანჯებოდა და როგორ ჰქონდა გაგლეჯილი გული ურთიერთგამომრიცხავი გრძნობებით, მაშინ იგი საკუთარ თავს სულ სხვაგვარად წარმოაჩენდა და ობსესიურ პიროვნებად არ ჩამოყალიბდებოდა.

არსებობს გარემოებები, რომლებიც ობსესიური თვისებების ჩამოყალიბებას ასევე უწყობს ხელს იმ ბავშვებში, რომლებიც მხოლოდ მშობლების პიროვნულ ზეგავლენას კი არ განიცდიან, არამედ მათ სოციალურ როლთან და პრესტიჟთან დაკავშირებულ მოთხოვნებსაც უწევენ ანგარიშს. ასეთ შემთხვევებს ვხვდებით, მაგალითად, სამხედრო პირთა, მასწავლებელთა, ღვთისმსახურთა წრეებში და ოჯახის მამების სხვა პროფესიებში, რომლებიც უმთავრესად ორიენტირებული არიან გარეგნულ შთაბეჭდილებებზე და პრესტიჟზე, ხოლო ამ სფეროებში მუშაობა ვითარს ობსესიურ ქცევებს მოითხოვს. ძველი პრუსიული არმიის სამხედრო პირები ვაჟკაცურ, პროფესიულ იდეოლოგიას განასახიერებდნენ; ეს იყო: თავდაჭერილობა, შეუპოვრობა და სიმამაცე, ხოლო მათ გარეგნულ მხარეს «გაჯგიმული სიარული» და უნიფორმის მაღალი, დამდგარი საყელო აგვირგვინებდა.

მაღალი რანგის მავან ოფიცერს ორი ვაჟი ჰყავდა. პატივმოყვარე მამა მათზე დიდ იმედებს ამყარებდა და შვილებთან დაკავშირებით შორსმიმავალი გეგმები ჰქონდა. ვაჟიშვილებს პრუსიული სულისკვეთებით ზრდიდა და მათი მხრივ გრძნობების ნებისმიერ გამოვლინებას, მით უფრო ტირილს, უღირს საქციელად მიიჩნევდა («გერმანელი ახალგაზრდა არ შეიძლება ტიროდეს!»). მამა ოჯახში ყაზარმულ წესრიგს მოითხოვდა და შვილებს კარგად გაწრთვნილი რეკრუტების ცხოვრებით აცხოვრებდა. საღამოობით მამის წინ გაჯგიმულ ყმაწვილებს მისთვის უნდა მოეხსენებინათ – «დასაძინებლად მივდივართ». ამასთან უფროსი ვაჟი, თავის ერთი წლით პატარა ძმაზე ზუსტად ერთი საათით გვიან უნდა დაწოლილიყო, რადგან იგი, თითქოს რაღაც დამსახურების გამო, უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობდა. უმცროსი შვილი მგრძნობიარე ყმაწვილი იყო და ხელოვნება აინტერესებდა, მაგრამ მამა მას არ სწყალობდა და «ქალაჩუნას» ეძახდა. «საერთოდ არ გეტყობა, რომ კაცი ხარ» – ეუბნებოდა შვილს, თუ შეამჩნევდა, რომ მან რაიმე გრძნობები გამოავლინა ან ცრემლები ვერ შეიკავა. ბიჭი ვერ ეგუებოდა მამის მკაცრი წრთობის მეთოდებს, ზამთარში ხელები ეყინებოდა და საშინლად სტკიოდა, ხელთათმანებს კი ვერ იცმევდა, რადგან მამას ეს «არაკაცურ» საქციელად მიაჩნდა. მერე მამამ გადაწყვიტა, ყმაწვილი იმხანად ერთ-ერთ ცნობილ სკოლაში შეეყვანა, სადაც ნაციონალ-სოციალისტი ფუნქციონერების შვილები სწავლობდნენ. რა თქმა უნდა, მას

ამისთვის ბიჭის თანხმობა არ დასჭირვებია, რადგან მამებმა ხომ ყოველთვის ზუსტად იციან, რა უფრო სასიკეთოა მათი შვილებისათვის! ამრიგად, 15 თუ 16 წლის ბიჭი შეიყვანეს სკოლაში, სადაც მას სამხედრო წვრთნა უნდა გაეწოდებოდა. იგი აქ თავს ძალზე უბედურად გრძნობდა და, არცთუ კარგად სწავლობდა. მალე ერთ-ერთი სამხედრო ვარჯიშის დროს ბიჭი ისე მკაცრად შეახურეს, რომ ენაბლუობა დასჩემდა; მოკლე ხანში მდგომარეობა ისე გაურთულდა, რომ სკოლაში მის დატოვებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, რადგან აქ რჩეულ თაობას ზრდიდნენ. თავისი ენაბლუობის წყალობით, ბიჭმა მამა აიძულა, შვილზე ხელი ჩაეჭინა და მასზე ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოეხსნა. ამასთან, უეცარი «ენაბლუობა» ბიჭისთვის ერთადერთი მიზეზი იყო, რომელიც მამას აიძულებდა, თავისი გადაწყვეტილება შეეცვალა. ცხადია, შვილი მის წინააღმდეგ თავის პროტესტს ვერანაირად გამოხატავდა, რადგან ამ შემთხვევაში მამა მას მკაცრად დასჯიდა. თუმცა ასეთი რამ ბიჭს თავში აზრადაც არ გაუვლია; მისმა არაცნობიერმა მოქმედებამ, ამ სინდრომის წყალობით, შეძლო სასურველი მიზნისთვის მიეღწია. მისი მიზანი კი იყო, საძულველი სკოლისთვის ისე დაეღწია თავი, რომ თავად არაფერი დაბრალებოდა, მამისთვის წინააღმდეგობა არ გაეწია და თან მასზე სიამოვნებით ეძია შური; ბიჭი გრძნობდა, რომ მამა ამ სიმპტომის წინაშე უძლური იყო. ენაბლუობა ბიჭს საშინლად ტანჯავდა და დიდ უხერხულობას უქმნიდა; ეს ქვეცნობიერი თვითბრალდების გრძნობა იყო, რომელიც მისი პროტესტის შედეგად გამოვლინდა.

რამდენადაც აუცილებელია, რომ ბავშვი მშობლებთან ურთიერთობის ზღვარს გრძნობდეს და მათ ავტორიტეტს შეგნებულად აღიარებდეს, იმდენად სახიფათოა მისთვის ავტორიტარული აღზრდა, რომელიც ბავშვისგან უპირობო მორჩილებას მოითხოვს; ამ დროს მას არა აქვს უფლება, იკითხოს, რა მიზეზი აქვს ამა თუ იმ აკრძალვას. ამგვარი ავტორიტარული «აღზრდის» უკიდურეს გამოვლინებას წარმოადგენს «მასის ადამიანი», რომელიც ადრეულ წლებში შთაგონებული ბრმა მორჩილების გამო, უკან არაფერზე დაიხევს და ნებისმიერ ბრძანებას შეასრულებს. «ანტიავტორიტარული აღზრდა» (ვფიქრობ, უფრო მართებული იქნებოდა, თუ მას «არავტორიტარულ აღზრდას» ვუწოდებდით) მეორე უკიდურესობაა, რამდენადაც იგი ხელს უწყობს ადამიანის აღვირახსნილი თვითნებობის გამოვლენას და მის თავისუფლებას არანაკლებ საფრთხეს უქმნის. არსებობს ისეთი მძიმე შემთხვევები, როდესაც ადამიანი, თავისი ჯიუტი ხასიათის გამო, რეალურ თუ ვითარს ძალადობას მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძვის; იგი ნებისმიერ ბუნებრივ წესრიგს ძალადობად აღიქვამს და მზადაა, მის წინააღმდეგ გაილაშქროს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმ მძიმე ხასიათის ადამიანებთან, რომელთა ემოციური განწყობის საფუძველი მათი თავნებობაა. ისინი ყველაფრის წინააღმდეგ გამოდიან, ჭირვეულად უარყოფენ ყველაფერს და ნერვების უკიდურესი დაძაბვით ცდილობენ შეისრულონ ის, რაც ბავშვობაში ეკრძალებოდათ.

კარლ გუსტავ იუნგი «პერსონას» უწოდებს ადამიანს, რომელიც რეალურ სამყაროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ან თავს ასეთად მიიჩნევს. იმ ოჯახებში, სადაც ასეთ ადამიანებს განსაკუთრებით უწევენ ანგარიშს, ბავშვის ძალისმიერი მეთოდებით აღზრდა სანიმუშოდაა მიჩნეული. ამ დროს ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მასთან ასეთ მოპყრობას მშობლებს თავიანთი «მდგომარეობა აიძულებს», ამასთან, საზოგადოებაც მოითხოვს მისგან, რომ კარგად აღზრდილი და სანიმუშო იყოს, თავისი წარმატებებითა და საქციელით სხვებისგან გამოირჩეოდეს, მშობლები «არ შეარცხვინოს». ამ დროს განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში ის მასწავლებლები აღმოჩნდებიან ხოლმე, რომელთა მოსწავლეებიც ასეთი მამების მიერ აღზრდილი შვილები არიან. ბავშვში აუცილებლად გამოვლინდება მამის პიროვნული თვისებები და ოჯახში გამეფებული ატმოსფერო; ამიტომ იგი თავს უფლებას ვერ მისცემს, მშობლებს იმედი გაუცრუოს და თავისი საქციელით მათ სახელი შეუღალახოს. ამგვარი ძალადობრივი აღზრდა, შესაძლოა, ბავშვის ობსესიური განვითარების მიზეზი გახდეს, თუ იგი საკმაოდ სიძლიერეს არ გამოიჩენს, როგორც ამბობენ, «არ აიწყვეტს» და ამბობს არ მოაწყობს. ბავშვის მხრივ ეს ჯანსაღი რეაქციაა, მაგრამ მშობლები ამას არ პატიობენ, რადგან ფიქრობენ, რომ ბავშვის ასეთი საქციელი მის «ცუდ ზნეზე» მეტყველებს

და არა არასწორ აღზრდაზე. ბავშვის ამგვარ საქციელს ნებისმიერ გარემოში კიცხავენ, განსაკუთრებით ეს სოფლებზე და პატარა ქალაქებზე ითქმის, სადაც «მეზობლები» ასეთ შემთხვევებში მორალურ აღშფოთებას ნიშნის მოგებით გამოხატავენ.

ასეთ პროფესიონალ «პერსონას» თუ საზოგადოებრივ, სამსახურებრივ და სოციალურ პრესტიჟს უამრავი ბავშვი ეწირება მსხვერპლად; ამიტომ მხოლოდ ჭეშმარიტად დიდბუნებოვან მშობლებს შეუძლიათ, ბავშვების კეთილდღეობა სოციალურ პატივმოყვარეობაზე მაღლა დააყენონ.

ამასთან დაკავშირებით, ობსესიური პიროვნების კიდევ ერთ თვისებაზე გავამახვილებთ ყურადღებას: საკუთარი უსაფრთხოების მიზნით, ობსესიური ადამიანები მთლიანად საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის ქვეშ ექცევიან და იმაზე არიან მიყურადებულნი, რას იტყვის ან რას არ იტყვის «ხალხი», ან როგორ იქცევიან ან არ იქცევიან საზოგადოების სხვა წევრები. ამაში ის აღზრდის შედეგებიც იჩენს თავს, როდესაც ამ ადამიანებს გამუდმებით უკრძალავდნენ რაღაცას და ამ აკრძალვების მიზეზს არასოდეს უხსნიდნენ. თუ ბავშვს რაიმე მოთხოვნას უყენებენ ან რამეზე აკრძალვას უწესებენ და ამ დროს გასაგებად არ უხსნიან ამის მიზეზს, ბავშვი მათ შესასრულებლად ნაკლებად განეწყობა. დღესდღეობით, უკვე ყავლგასული პატრიარქატის პირობებში, მიიჩნევენ, რომ მშობლები ყოველთვის მართლები არიან და მათი ავტორიტეტის ეჭვქვეშ დაყენება არ შეიძლება. ბიბლიაში აღწერილია, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, როგორ ეკრძალება პირველ მამაკაცს და ქალს ცნობადის ხიდან ნაყოფის მოწყვეტა, რაც, მათი ცნობისმოყვარე ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანის «ცოდვით დაცემას» იწვევს.

ქვემოთ მოყვანილმა მაგალითმა, შესაძლოა, ნათელი გახადოს, რა რთულად მიმდინარეობს ობსესიური პიროვნებების განვითარების პროცესი, რომელსაც მოკლედ აღვწერთ:

ოცდაათ წელს გადაცილებული, აკვიატებული აზრებით შეპყრობილი ქალი ჩაცმა-გახდას საათნახევარს, ბანაობას კი ორ საათს ანდომებდა. როდესაც იგი კლინიკაში სამკურნალოდ მოვიდა, გვითხრა, რომ ახლა უკვე ყოველდღიურად ექვსი საათის განმავლობაში ბანაობდა, ქმართან სექსუალურ ურთიერთობაზე უარს ამბობდა და შვილებს თავისთან მიკარებას უკრძალავდა. პაციენტი ლოგინში იწვა და თავადაც არაფერს ეხებოდა, რადგან ეშინოდა, რომ უწმინდურება «მოეცხებოდა», დაორსულდებოდა, ან თავისი შეხებით ყველაფერს წაბილწავდა. პაციენტს მეტასტაზებით მოედო შიში, რომ, თუ «წაბილწულ» საგნებს, მაგალითად კარის სახელურს, ხელს მოჰკიდებდა, რომელსაც უამრავი ხელი ეხებოდა, თავადაც «წაბილწებოდა». თუ მითიური მეფე მიდასი ხელის ერთი შეხებით ყველაფერს ოქროდ აქცევდა, ამ ქალის შემთხვევაში ყველაფერი «იბილწებოდა», რასაც მისი ხელი მოხვდებოდა.

კლინიკაში წინასწარი კონსულტაციის დროს, ქალი ფეხებაკეცილი იჯდა საწოლზე, მუხლებზე ხელები შემოეხვია და მთლიანად გაშემებულიყო; სეანსის შემდეგ კი დაბუჟებულ და გახევებულ კიდურებს ძლივსლა ამოძრავებდა. როდესაც პაციენტი მისაღებ ოთახში შემოვიდა, ერთი წუთის განმავლობაში თავისთვის ჩურჩულებდა: «ბინძური არა ვარ, ბინძური არა ვარ!», და მხოლოდ ამის შემდეგ შემობრუნდა ჩემკენ. ქალი ახლა უკვე მხოლოდ ბანაობის დროს კი არა, ნებისმიერი საგნის შეხებისას იმეორებდა ამ «მაგიური შელოცვასავით» აკვიატებულ სიტყვებს. პაციენტი ამ დროს უკვე ფსიქოზის ზღვარზე იმყოფებოდა. იგი ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქში, პურიტანულ ოჯახში იზრდებოდა; ძალიან მკაცრი და მომთხოვნი დედა ჰყავდა, მამა კი გულჩვილი ხასიათის კაცი იყო და ცხოვრებას შიშის თვალთ შეჰყურებდა. თავისი ქალიშვილის ქორწილის დღეს კი ისე ცუდად გამხდარა, რომ ლოგინში ჩაწოლილა და ცერემონიაში მონაწილეობა ვერ მიუღია. მიღებული აღზრდის წყალობით, პაციენტი

მშობლებს ძალიან უწევდა ანგარიშს და პრობლემებს არასოდეს უქმნიდა; მშობლები კი ამაყობდნენ, რომ მათ პატარა ქალაქში გოგონას და მის ძმას ზრდილ და წესიერ ბავშვებად იცნობდნენ. დედ-მამა ცდილობდა, შვილები ყველა თვალსაზრისით სანიმუშონი ყოფილიყვნენ, ამიტომ მათ სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლიანი სასმელები, ცეკვებზე სიარული და ბანქოს თამაში სასტიკად ეკრძალებოდათ. პაციენტი საკვირაო სკოლაში დადიოდა, სადაც გოგონები და ბიჭები ცალ-ცალკე სწავლობდნენ. «კეთილი» მშობლები შვილებს არასოდეს სცემდნენ და არც უხეშად მიმართავდნენ. ამასთან დაკავშირებით, პაციენტმა ერთხელ ძალიან ნიშანდობლივი ფრაზა თქვა: «We killed each other with kindness».¹¹

მკურნალობის დროს, სხვათა შორის, ისიც გაირკვა, რომ პაციენტის სამი წლით უმცროსი ძმა დედას გამორჩეულად უყვარდა. მას ოჯახში «გენიალურ» ბავშვად აღიარებდნენ და გოგონა ამას ეგუებოდა, რადგან ფიქრობდა, რომ თვითონ დიდი ნიჭით დაჯილდოებული არ იყო; მაგრამ თან იმის იმედი ჰქონდა, რომ თუ საკუთარ თავს სრულყოფდა, სიყვარულს ისიც დაიმსახურებდა. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში გოგონა «წყენას» გულში იკლავდა და არ იმჩნევდა, რომ ძმის მიმართ შურსა და სიძულვილს გრძნობდა, თუმცა იმავდროულად მასაც და მშობლებსაც იდეალურ ადამიანებად წარმოიდგენდა. მალე გოგონას საგნებთან შეხების შიში აეკვიატა და ცდილობდა კარი ისე გაეღო, რომ მისი სახელური იდაყვით ჩამოეწია. მართალია, ოჯახის წევრები ამას ხედავდნენ, მაგრამ გოგონას «ანგარიშს უწევდნენ» და არ იმჩნევდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მათი მხრიდან ამაზე ლაპარაკი უტაქტობა იქნებოდა და მას უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა. და, რაკი პაციენტმა გარედან დახმარება ვერავისგან მიიღო, მისმა აკვიატებულმა აზრებმა და ქცევებმა სულ უფრო იჩინა თავი. გოგონას შემთხვევაშიც, ჩვეულებისამებრ, ადრევე შეინიშნებოდა აკვიატების ნიშნები: 7-8 წლის ასაკში იგი სკოლაში არ წავიდოდა, თუ წინდა ორივე ფეხზე ზუსტად, თანაბრად არ ჰქონდა მორგებული. თავისთავად ეს უკვე საგანგაშო სიგნალი იყო, მაგრამ მაშინ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ასეთი საქციელის გამო ბავშვებს ხშირად სჯიან ან დასცინიან ხოლმე. მაგრამ გოგონა ამისთვის იმხანად რომ დაესაჯათ ან მასხრად აეგდოთ, ეს მის მდგომარეობას უფრო გაართულებდა, რადგან, თავის დაცვის მიზნით, უფრო ფარული და ფრთხილი ზომების მიღებას შეეცდებოდა. ამჯერად კი ისე მოხდა, რომ გოგონა თავისი პრობლემების წინაშე სრულიად მარტო აღმოჩნდა. მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ პაციენტს მივანიშნე – როგორც ჩანს, თქვენი ოჯახის იდეალიზაციას ახდენთ, რადგან თქვენს მიერ აღწერილ «უცოდველ» ოჯახურ გარემოში მსგავსი სიმპტომები არ გამოვლინდებოდა-მეთქი. მერე პაციენტს ისიც ვუთხარი, რომ, როგორც ჩანს, იმ აფექტებს და აგრესიებს, რომლებსაც იგი არამცთუ ვინმეს, საკუთარ თავსაც კი უმაღავდა, ახლა უკვე თავის წინააღმდეგ მიმართავდა. ამ სიტყვების გაგონებაზე, პაციენტმა სიძულვილით შემომხედა და თავდაჯერებით მითხრა, ჩემი მშობლების მხრიდან მე მხოლოდ «კეთილგანწყობას ვგრძნობდიო». მაგრამ პაციენტის ამ ნათქვამმა მის მიერ მოგვიანებით მონაყოლ სიზმარში სრულიად საპირისპირო აზრი შეიძინა: «წინ მედგა დედაჩემის კუბო, რომელზეც რაღაც თარიღი ეწერა, ოღონდ არ მახსოვს, რა» (იმხანად პაციენტის დედა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო). მშობლებმა შვილის მკურნალობის პერიოდშიც არაფერი იცოდნენ მისი ავადმყოფობის შესახებ; ქალმა თქვა: «თუ მშობლებს მივწერდი, რომ გათხოვებამდე მამაკაცთან მქონდა კავშირი, ამით მათ საშინელ დარტყმას მივაყენებდი, ვიცი, რომ ისინი ამას ვერ გადაიტანდნენ. ამიტომ ისევ ჩემი ავადმყოფობა ვარჩიე». პაციენტი თავის ქალაქში ვერც ერთ ექიმთან ვერ მივიდოდა, რადგან იძულებული გახდებოდა, თავის სექსუალურ პრობლემებზე ელაპარაკა და ეღიარებინა, რომ მამაკაცთან გათხოვებამდე ჰქონდა სექსი. ამიტომ ქალმა ამჯობინა, შემდგომშიც თავისი აკვიატებული აზრებით ეცხოვრა. გათხოვების შემდეგ პაციენტს მდგომარეობა გაურთულდა, რადგან სიცოცხლით სავსე და ტემპერამენტისანი ქმარი მას მეტისმეტად დიდ მოთხოვნებს უყენებდა, მაშინ როცა ქალი სექსის ერთადერთ მიზანს შვილების გაჩენაში ხედავდა.

¹¹ ჩვენ ერთმანეთს კეთილგანწყობით ვკალვდით (ინგლ.)

დამატებითი მოსაზრებები

შეიძლება ითქვას, რომ ჩვევები ჩვენი აკვიატებული აზრებისა და ქცევების დასაწყისზე მიგვანიშნებენ; დილით ადგომა, ჩაცმა თუ სხვა «სასურველი ჩვევები» ადამიანს თავის დასამკვიდრებლად სჭირდება, მათი შესრულების დროს გარკვეულ თვითკმაყოფილებას გრძნობს და ადვილად ღიზიანდება, თუ ამაში რაიმე უშლის ხელს. მაგრამ ეს ჩვევები ჩვენში არავითარ დამაბულობას და უსიამოვნო შეგრძნებებს არ იწვევს, ამიტომ მათ აკვიატებასაც ვერ დავარქმევთ. ჩვევები ადამიანს დროისა და ენერჯის დაზოგვის მიზნით უყალიბდება და მათი შეცვლა ან უგულებელყოფა შეუძლია, თუ ამას მოინდომებს ან მიზანშეწონილად მიიჩნევს. ჩვევებს ფართოდ აქვს გადგმული ფესვები ჩვენს სოციალურ, საზოგადოებრივ და რელიგიურ ცხოვრებაში; ისინი იმ წესრიგსა და ქცევის წესებს გვთავაზობენ, ყველანი ერთნაირად რომ ვიცავთ. აკვიატებულ აზრებსა და ქცევებზე კი მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ადამიანს სხვაგვარად მოქცევა არ შეუძლია და გარკვეულ სიტუაციებში თავისდაუნებურად ისეთ საქციელს ჩადის, რაც მას უაზრობად მიაჩნია.

ჩვენ ხისტ აღმზრდელით მეთოდებსაც გავეცანით და დავინახეთ, რომ მეტისმეტად ავტორიტარულმა და პრინციპულმა აღზრდამ, შესაძლოა, ბავშვის განვითარების პროცესში ობსესიური თვისებების გამოვლინებას შეუწყოს ხელი, მით უფრო, თუ ამ მეთოდების გამოყენებას ძალიან ადრეულ ასაკში იწყებენ. როდესაც მშობლები ბავშვის არასასურველი ქცევის დათრგუნვას ცდილობენ, ამან შეიძლება ის შედეგი გამოიღოს, რომ ბავშვს პერფექციონიზმისადმი მიდრეკილება გაუჩნდეს და როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ შეუწყნარებლობა და დიქტატორულ-დოგმატური ჩვევები გამოავლინოს. ობსესიური ადამიანი პერფექციონიზმს სადღაც მაინც გამოავლენს და მისმა ქმედებამ ამ დროს, შესაძლოა, უმართებულო და არასასურველი სახე მიიღოს. ობსესიურ პიროვნებას სამყარო ყოველთვის ისეთად წარმოუდგენია, როგორსაც იგი თავის წარმოსახვაში ხედავს. რა ძალითაც იგი საკუთარ თავში თავდაპირველი ცხოვრებისეული საწყისის ჩახშობას შეეცდება, იმავე სიძლიერით გამოვლინდება ეს მცდელობა აკვიატებად; რადგან მხოლოდ «ქაოსზე» და მის მართვაზე მიმართული წესები და კანონები გვაძლევს იმის გარანტიას, რომ არაფერი ისეთი არ მოხდება, რაც არ შეიძლება, რომ მოხდეს. აი, მაგალითად, კედელზე გვერდულად დაკიდებულმა სურათმა შეიძლება უკვე გააღიზიანოს კაცი არა მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ ამ დროს დარღვეულია ის წესი და კანონი, რომლის თანახმადაც სურათები უნდა დაიკიდოს.

«ნორმიდან» ნებისმიერი ამგვარი უმნიშვნელო გადახვევა შემდეგ საფრთხეებს გულისხმობს: თუ სურათებს ყოველთვის გვერდულად დაკიდებენ, არავინ იცის, რა მოხდება შემდეგ. ხომ შეიძლება უწესრიგობამ მოიცვას ყველაფერი და კონტროლის სადავეები დაიკარგოს?! ობსესიური ადამიანების ზოგიერთი ქცევის წესი უფრო გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ, დათრგუნული განწყობისა და მგრძნობიარე ბუნების გამო, ისინი წვრილმანებზე ძალიან რეაგირებენ და ზოგჯერ სწორედ ეს წვრილმანი ხდება მათი «დასასრულის დასაწყისი». სისტემურობის სულ მცირე დარღვევის და ყურადღების მოდუნების შემთხვევაში, შესაძლოა, დათრგუნულმა გრძნობებმა მთელი ძალით ამოხეთქონ და იმ თოვლის გუნდასავით აგორდნენ, გამოდევნილი იმპულსების ზვავს რომ იწვევს.

გეოლოგებს ეკუთვნით ერთი პარადოქსული მოსაზრება, რომელიც ნათელს გახდის ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრს: ადამიანი ძალიან სასარგებლო საქმეს ეწევა, როდესაც მთის ქანებს თხრის; მაგრამ გათხრის დროს, შესაძლოა, «ქანის მარღვი» დააზიანოს; ამიტომ გეოლოგების რჩევაა, სიფრთხილე გამოვიჩინოთ და «ძლიერად არ დავეკრათ» წერაქვი მთის ქანს. ობსესიურ ადამიანს სწორედ ამ სიფრთხილის დაცვა უჭირს. პერფექციონიზმი აიძულებს, ისევ და ისევ დიდი სიზუსტით აღიქვას მოვლენები. ასეთი სიზუსტე

აუცილებელია ისეთი საქმიანობებისთვის, როგორცაა, მაგალითად, მანქანის ფუნქციონირება ან მშენებლობის სტაბილურობა და სანდოობა. მაგრამ, რამდენადაც ეს სიზუსტე საჭიროა ასეთ სფეროებში, იმდენად ზღუდავს იგი შემოქმედებით აზროვნებას. მხოლოდ ობსესიურ ადამიანს შეუძლია სერიოზულად იკამათოს იმაზე, რამდენი ანგელოზი მოთავსდება ნემსის წვერზე. ობსესიური აზროვნება ადვილად შეიჭრება ტვინის სტერილურ ნეირონებში, ადგილს აღარ უტოვებს თავისუფალ შემოქმედებით ძალებს და მათი დამუხრუჭების მიზეზი ხდება. ობსესიურ პიროვნებას აუცილებლად მიაჩნია სავარაუდო შეცდომებისა თუ მცდარი ნაბიჯებისაგან თავის დაცვა; იგი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს რაიმე საქმეში კორექტივების შეტანას და შეცდომების გასწორებას, რაც შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს, რადგან სრულყოფილებას ვერასოდეს მიაღწევს. ამის გამო ობსესიურ ადამიანებს გამუდმებით ემუქრებათ ის, რომ ისინი საკუთარ მოსაზრებებს და თვალსაზრისებს ad absurdum¹² მიიყვანენ, თუმცა ამ დროს ცდილობენ, ისინი აბსოლუტურად გაამარტივონ და მნიშვნელოვანი გახადონ. მაგრამ, თუ მათ ამ ქმედებას უფრო ფართოდ შევხედავთ, დავინახავთ, რომ ობსესიური ადამიანები ამით, შესაძლოა, ცხოვრებისეულ კანონს აღასრულებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, როდესაც ისინი თავიანთი ჩამოყალიბებული, სანუკვარი აზრების წყალობით საწინააღმდეგო რეაქციას იწვევენ, ამით შესაძლებელი ხდება მათი რეალურად და ქმედითად შესწორება და შეჯერება, ეს სტიმულს აძლევს მათ შემდგომ განვითარებას და სტერილური მდგომარეობიდან გამოყვანას. ობსესიური ფრაზა «quod dixi, dixi», ანუ «რაც ერთხელ ვთქვი, ვთქვი, და აღარ გადავთქვამ!» გამორიცხავს შემდგომში განვითარების ყოველგვარ შესაძლებლობას. ობსესიური პიროვნების შინაგან განწყობას კარგად გამოხატავს ექსპერიმენტული ფსიქოლოგის ფრაზა: «ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რას ვზომავთ, მაგრამ, რასაც ვზომავთ, ზუსტად ვზომავთ».

ობსესიური ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში დგება «კიდევ ერთხელ გადამოწმების აუცილებლობა»; მაგალითად, მას ეჭვი ეპარება, გაზის სახელური ნამდვილად გადაკეტა თუ არა, ან წასვლის წინ ოთახის კარი ღია ხომ არ დარჩა. ამ დროს, შესაძლოა, საქმე იქამდე მივიდეს, რომ ობსესიურ პიროვნებაში თავი იჩინოს მძიმე აკვიატების სინდრომებმა, რომლებიც შემდგომში თითქოს დამოუკიდებლად აგრძელებს არსებობას. ამ აკვიატებებსაც ობსესიური ადამიანი ისე განიცდის, როგორც მის არსებობაში შეჭრილ «რადაც უცხო ძალას», რომელიც მის დათრგუნვას ცდილობს და რომლის გამოც მას სხვაგვარად მოქცევა არ შეუძლია. როგორც კი ობსესიური ადამიანი ამ იძულებითი, აკვიატებული ქმედებების შესრულებაზე უარს იტყვის, მას უმაღლესი გაურკვეველი შიში და მოუსვენრობა შეიპყრობს.

ობსესიურ ადამიანს ასევე ჩვევად აქვს, თავისთავს და სხვებს დაუმტკიცოს საკუთარი აკვიატებული აზრებისა და ქცევების რაციონალურობა და გონივრულად წარმოაჩინოს ისინი; ალბათ, იმიტომ, რომ გრძნობს, რა უძლურია იგი ამ არაბუნებრივი საქციელის წინაშე და როგორ არ შეუძლია წინ აღუდგეს მას, თუმცა ამის აღიარება არ სურს. როდესაც ვიღაც მისთვის უცხო ტუალეტში უნიტაზზე ქაღალდს აფენს, იქიდან გამოსვლისას კარის სახელურს იდაყვით ადებს და ამას ინფექციის საფრთხეს უკავშირებს, ეს ნამდვილად მისი შეგრძნებების გაზვიადების შედეგია, მაგრამ ამგვარი საქციელი, შესაძლოა, ინფექციის შიშში გადაიზარდოს, რის შედეგადაც ობსესიურ ადამიანს ყველგან ბაქტერიები ელანდება; ამით იგი საკუთარ ცხოვრებისეულ სივრცეს ნელ-ნელა, უფრო და უფრო შემოსაზღვრავს და ამცირებს.

ამ ადამიანის შველა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ იგი გააცნობიერებს თავისი აკვიატებების კონკრეტულ მიზეზებს, მერე კი მოახდენს საშიში და ამის გამო უგულვებელყოფილი ცოცხალი იმპულსების ინტეგრაციას. ამ შემთხვევაში საქმე ობსესიური ადამიანის აგრესიულ და აფექტურ სექსუალურ იმპულსებს ეხება. როგორც

¹² აბსურდამდე (ლათ.)

უკვე აღვნიშნე, ობსესიურ ადამიანს ხანგრძლივად უხდება თავის დაცვა მისთვის საძულველი იმპულსებისაგან, ამიტომ, შესაძლოა, იგი ამით უშუალოდ არ იყოს დაკავებული. ეს გარემოება ნათელს ჰფენს იმ ადამიანების საქციელს, რომლებიც ფანატიკურად იბრძვიან რაღაცის წინააღმდეგ: უმანკოებისათვის მებრძოლი ფანატიკოსი ყველგან სექსუალურ პრობლემებს ხედავს და გამუდმებით «ბილწ სექსუალობას» კიცხავს, თუმცა ამას «ზნეობრივი მოტივით» ხსნის. ასეთი რამ საერთოდ სჩვევია ობსესიურ ადამიანს, რომელსაც ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი უფრო ეთქმის, ვიდრე სიკეთის გულშემატკივარი.

ობსესიური სტრუქტურით გამორჩეული ერთი პიროვნება საათობით იჯდა ჩანჩქერის წინ და აღტაცებით შეჰყურებდა იმას, რისი უნარიც თავად არ გააჩნდა – ეს იყო ჩანჩქერის ვარდნა და წყლის ნაკადის მოძრაობა. ამ დროს მას იმის შიში არ ჰქონდა, რომ წყლის ვარდნას უეცრად რაღაც შეაჩერებდა და ეს ყველაფერი დამთავრდებოდა. ბუნებრივია, წარმავლობის წინააღმდეგ მიმართული უსაფრთხოების ზომები ობსესიურ პიროვნებებში დროსთან და ფულთან დამოკიდებულებაშიც იჩენს თავს. ამ შემთხვევაში, წარმავლობასთან ერთად, ჩვენში იმის უნარსაც ძლიერად შევიგრძნობთ, რომ შეგვიძლია გამოვიყენოთ მუდმივობისა და უსაფრთხოების ჩვენეული ილუზიის ძალა; მე ვიცი, როგორ განვკარგო საკუთარი დრო და ფული, რადგან ეს მხოლოდ ჩემს ნებაზეა დამოკიდებული. ივო ანდრიჩი¹³ თავის რომანში «ფროილან» შესანიშნავად აღწერს ობსესიური პიროვნების ტრაგიკულ ბედს.

შემზარავია ამერიკის დამკრძალავი ბიუროების მიერ შემოღებული წესი, რომლის თანახმადაც, წარმავლობისა და სიკვდილის სრული უგულებელყოფა ხდება. აქ მიცვალებულებს ისე ოსტატურად რთავენ და ალაშქვებენ, რომ ისინი ცოცხლების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამ საქმეში კიდევ უფრო შორს მიდიან ის შეძლებული ადამიანები, რომლებიც დიდძალ ფულს იხდიან თავიანთი მიცვალებულების გასაყინად, იმ იმედით, რომ, მეცნიერების განვითარების შედეგად, მომავალში შესაძლებელი გახდება მათი გალხობა და გაცოცხლება. მაგრამ უკვდავება ხომ მხოლოდ იმათი ხვედრია, ვინც სიკვდილის შესახებ არაფერი უწყის?! საერთოდ, სიკვდილთან, მათ შორის საკუთართან, თანამონაწილეობა ადამიანის თვისებაა და მხოლოდ ამის წყალობით შეიგრძნობს იგი თავს ნამდვილ ადამიანად.

ახლა გვინდა, ობსესიური პიროვნებებისთვის დამახასიათებელი ქცევის წესები ცხოვრების არსებით სფეროებთან მიმართებაში განვიხილოთ; რელიგიური თვალსაზრისით, ისინი დოგმატური და ორთოდოქსალური აზროვნების ადამიანები არიან და «სხვაგვარად მოაზროვნებისადმი» შეუწყნარებლობით გამოირჩევიან. მამა ღმერთი მათ ხშირად მკაცრ და შურისმაძიებელ მსაჯულად წარმოუდგენიათ, რომელსაც ყველა პატრიარქალური თვისება ახასიათებს და უცილობელ რწმენას და მორჩილებას მოითხოვს. მაგრამ ობსესიური პიროვნებები უფრო ხშირად ცრურწმენებისა და მაგიური წარმოდგენების ტყვეობაში იმყოფებიან; მათთვის რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად რწმენა. ცოდვების ფულით გამოსყიდვისა და ინდულგენციებით ვაჭრობა სწორედ ობსესიური ადამიანის ტვინიდან წამოსული იდეა უნდა იყოს. ლოცვების წაკითხვითა და რიტუალების შესრულებით ისინი უბრალოდ წესებს ემორჩილებიან და მათი გრძნობები ამ დროს ვერ სწვდებიან სულის შინაგან სიღრმეებს.

ნიკოლაი ლესკოვი¹⁴ მოთხრობაში «სკომოროხი პამფალონი» შთამბეჭდავად აღწერს ობსესიური ადამიანის პერფექციონისტულ ღვთისმოსაობას და მას უბრალო «სკომოროხის» ადამიანურ თვისებებს უპირისპირებს.

¹³ ანდრიჩი, ივო (1892-1975) – იუგოსლავიელი მწერალი და დიპლომატი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

¹⁴ ლესკოვი, ნიკოლაი (1831-1895) – ცნობილი რუსი მწერალი.

ობსესიური პიროვნებები ყოველთვის ზუსტად იცავენ ინსტიტუციონალურ წესებს თუ პრინციპებს და მექანიკურად, უაზროდ ასრულებენ მათ. რაც უფრო მეტად აცნობიერებენ შიშისგან თავდაცვის მნიშვნელობას, მით უფრო შეურიგებლები არიან ყოველგვარი ცვლილების მიმართ, რადგან ფიქრობენ, რომ მათ ამ თავდაცვას საფრთხე შეექმნება. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ობსესიურ პიროვნებებს ყველაფერი აბსოლუტის რანგში აჰყავთ, მათ რწმენას გამუდმებით საფრთხე ემუქრება, რადგან ისინი საკუთარ თავს შეკითხვების დასმისა და ეჭვების გამოთქმის უფლებას არ აძლევენ. ალბათ, სწორედ ამის გამო მიმდინარეობს მათ შორის სასტიკი რელიგიური ომები; ამით უნდა იყოს გამოწვეული მათი ახალ-ახალი მცდელობებიც – ჩაახშონ და მოსპონ ადამიანში ყოველგვარი ეჭვი, თუმცა დაგუბებულმა გრძნობებმა, შესაძლოა, მკრეხელური აზრების სახით გადმოხეთქოს. ძალის პოლიტიკიდან გამომდინარე, ეკლესია ბოროტად იყენებს რელიგიას და ცდილობს, მორწმუნეებს შიშისა და დანაშაულის გრძნობა შთაუწეროს. ამით იგი ხელს უწყობს ადამიანებში ობსესიური სიმპტომების განვითარებას, რასაც რელიგიური ხასიათის ხშირი ნევროზები ადასტურებს. დღესდღეობით აშკარად შეინიშნება ადამიანების მცდელობა, გათავისუფლდნენ ეკლესიის მეურვეობისაგან და თავი დაიცვან მისი გავლენისაგან.

ობსესიური პიროვნებები ხშირად კრიზისს განიცდიან, როდესაც მათი მკაცრი პრინციპები, თვალსაზრისები და თეორიები ახალ მიღწევებს, ცოდნას და პროგრესს უპირისპირდება, რაც მათ ორიენტაციას საფრთხეს უქმნის, საკუთარი აზროვნების წესზე უარისთქმას აიძულებს და მათ უსაფრთხოებას ან ქონებას ემუქრება.

ობსესიური პიროვნებები, როგორც წესი, საიმედო, თანმიმდევრული და კარგი მშობლები არიან; მათ განვითარებული აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა, ამასთან, საკუთარი ფასეულობების დაცვას და ცხოვრებაში გატარებას ცდილობენ. მაგრამ ობსესიური თვისებების გართულებასთან ერთად, ისინი უკიდურეს სიჯიუტეს ავლენენ. ცნობილია მათი გამონათქვამები: «სანამ ცოცხალი ვარ, არაფერი შეიცვლება»; «ამის უფლებას ბავშვობაში ჩვენც არ გვაძლევდნენ»; «თუ ასეთი რამ ერთხელ კიდევ განმეორდა, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდება!» და ა.შ.

ობსესიური პიროვნებები ანგარიშს არ უწევენ ბავშვის ასაკს და ხასიათს, ყველა თვალსაზრისით, უზღუდავენ მას სამოქმედო სივრცეს, და ამ საკითხებზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. მათი მთავარი პრინციპები გამოიხატება ფრაზით: «ვინც ტყუილს ერთხელ იტყვის, მას აღარავინ დაუჯერებს». ისინი ხშირად იმეორებენ სიტყვებს: «მორჩა და გათავდა!» ობსესიური პიროვნებები თავიანთ «არას» პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებენ, საკუთარი თვალსაზრისის გატარებას ახსნა-განმარტების გარეშე ცდილობენ, და ამ დროს ყოველგვარ წინააღმდეგობას გამორიცხავენ. ისინი ბავშვის აღზრდის პროცესში მისგან ბრმა მორჩილებას მოითხოვენ და შთააგონებენ, რომ დაშვებული შეცდომების გამოსწორება ძალიან ძნელია; ამასთან, ბავშვს სულ მცირე გადაცდომასაც ხშირად შეახსენებენ და მისდამი შეურიგებლები არიან; ხოლო ბავშვს, რომელიც უფროსებისაგან პატიებას დიდხანს ვერ ეღირსა, სასჯელის წინაშე შიშისა და დანაშაულის გრძნობა უძლიერდება.

ობსესიური პიროვნებები ძალიან ადრეულ ასაკში უწესებენ ბავშვს ქცევის ნორმებს; მათი აზრით, თუ მას თავის ნებაზე მიუშვებენ, ეს ცუდად იმოქმედებს მის შემდგომ განვითარებაზე. ასეთი მშობლები მიიჩნევენ, რომ ბავშვმა უნდა გაიაროს გამოცდა, რომლის დროსაც იგი გამოავლენს მისი ასაკისთვის სახიფათო თვისებებს; ამასთან, ბავშვს უყენებენ უამრავ მოთხოვნას, რომელთა სრულყოფილად შესრულება მას ძალიან ადრეულ ასაკში ევალება. ეს მოთხოვნები დაკავშირებულია უაზრო, პუნქტუალურ ქმედებებთან და წესრიგის პედანტურად დაცვასთან; მაგალითად, ბავშვისგან მოითხოვენ, რომ «მან ყველაფერი შეჭამოს, რასაც თეფშზე დაუდებენ». ამ დროს ბავშვს არა აქვს უფლება, თავისი

აზრი გამოხატოს და თქვას, რის და რამდენის ჭამა სურს. თუ იგი თავისი ასაკისთვის დამახასიათებელ სიჯიუტეს მაინც გამოიჩენს, მშობლები მასში მომავალ «მეამბოხეს» ხედავენ და ცდილობენ ბავშვში ეს «უკეთურება» დროულად აღმოფხვრან. მეტისმეტი მოთხოვნა, რომ «ბავშვმა ყველაფერი ადრევე უნდა ისწავლოს», მას საკუთარი თავის რწმენას აკარგვინებს და არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენს. ბავშვმა იცის, რომ მშობლების სიყვარულს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიმსახურებს, თუ კარგად და წესიერად მოიქცევა; ესეც შეიძლება მიზეზი გახდეს იმისა, რომ იგი პატივმოყვარე ან გულგატეხილ ადამიანად ჩამოყალიბდეს. შიში და მეტისმეტი მოთხოვნები ბავშვის ექსპანსიურ და აგრესიულ, უპირველეს ყოვლისა კი, მის სექსუალურ იმპულსებს ამუხრუჭებს. ადრეულ ასაკში იგი ჯერ ვერ მართავს თავის მოტორულ მოძრაობებს, რის გამოც, თავისდაუნებურად, ნივთებს აფუჭებს, ამტვრევს. ამ დროს მშობლები ფიქრობენ, რომ ბავშვმა ასეთი საქციელი განგებ ჩაიდინა და მის ამ «განზრახვას» რაღაც დამანგრეველ თვისებას მიაწერენ. ასეთი მოპყრობის შედეგად, შესაძლოა, ბავშვმა თავისი მარცხი საკუთარ სხეულს გადააბრალოს და მისდამი ნდობა დაკარგოს, რაც სამომავლოდ მის ტლანქ, მოუხეშავ და «დონდლო» მოძრაობებში გამოვლინდება. ამის მაგალითებს ჩვენ უკვე გავიცანით. ამგვარი აღზრდის მეთოდი ბავშვს ძირშივე უსპობს ყოველგვარი განვითარების უნარს, მშობლებს კი, უკეთეს შემთხვევაში, ლაღად აღმართული, ტოტებგამილილი ხის ნაცვლად, მიწაზე გართხმული, ხვიარა მცენარე შერჩებათ ხელში. ობსესიური მშობლების მიზანს უფრო ბავშვის გაწვრთნა შეადგენს და არა მისი აღზრდა; ამიტომ ასეთი ბავშვები ხშირად მარიონეტებად ყალიბდებიან. ასეთ შემთხვევებში ხშირად თავს იჩენს მშობლების სადისტური თვისებები. ისინი ცდილობენ, ბავშვი შეურაცხყონ, მკაცრად დასაჯონ და მორჩილებას მიაჩვიონ, რათა თავიანთი ძალა აგრძნობინონ. ბავშვის «კუთხეში დაყენება» და ცემა-ტყეპა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს, სკოლაში და ოჯახში დასჯის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება იყო. «ბოდიშის მოხდა» და «პატიების თხოვნაც» («ასე აღარასოდეს მოვიქცევი») იმ ღონისძიებებს განეკუთვნება, რომლებიც ლახავს ბავშვის პიროვნულ ღირსებას, რადგან მისგან ამ დროს ისეთ რამეს მოითხოვენ, რაც ძალების დიდ დამაბვას მოითხოვს.

აღზრდის შეზღუდული მეთოდი ობსესიურ მშობლებს არ აძლევს საშუალებას, შვილები თავისუფალი ბავშვობით უზრუნველყონ, რომელიც თავად არ ღირსებიათ. ასეთი მშობლები განუხრელად იცავენ იმ ტრადიციას, რომელიც მათი აღზრდის საფუძველს შეადგენდა და მათივე საშინელი ტანჯვის მიზეზი იყო. ამის გამო ობსესიურ მშობლებს მწვავე კონფლიქტი აქვთ ახალგაზრდა თაობასთან, რადგან საკუთარი წეს-ჩვეულებების დათმობა არ სურთ. ეს ადამიანები კვლავაც განაგრძობენ «ნაცადი» მეთოდების გამოყენებას და იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ცხოვრება წინ მიდის და თაობები იცვლება. ძველსა და ახალს შორის დაუნდობელი ბრძოლა იწყება. ობსესიური ადამიანების აზრით, ახალგაზრდობას მათ თავიანთი ძალა და უპირატესობა შემდგომშიც უნდა დაუმტკიცონ; ამასთან, საკუთარი შეცდომების აღიარება არ სურთ, რადგან ჰგონიათ, რომ ამით საკუთარ თავს რაღაც ცოდვებს შეუნდობენ. და, რაკი თავს აბსოლუტურ ავტორიტეტებად მიიჩნევენ, ცდილობენ, ახალგაზრდებზე უცდომელი ადამიანების შთაბეჭდილება მოახდინონ.

ობსესიურ ადამიანებს განსაკუთრებით მწირი და უფერული სიზმრები ესიზმრებათ. ამასთან, ისინი ძნელად იმახსოვრებენ მათ, ისევე როგორც საერთოდ ძალიან უჭირთ სულის ღრმა და ქვეცნობიერი შრეების წვდომა.

ისინი სიზმრების მიმართ უნდობლობას გამოთქვამენ, მათ სერიოზულად არ აღიქვამენ და «ქაფს» უწოდებენ. ობსესიური პიროვნებების სიზმრებში ცხოვრებისეულ მოვლენებს უფრო ტექნიკური და მექანიკური პროცესები ცვლის; ეს სიზმრები ნათელყოფს, რა შორს დგანან ობსესიური ადამიანები ჩვეულებრივი ადამიანური, ფიზიკური და ბუნებრივი მოვლენებისაგან. მათი სიზმრები ხშირად საჩოთირო, ანალური შინაარსისაა და იმაზე მიუთითებს, რომ ამ ადამიანების აკვიატებული ქცევები მათსავე ჰიგიენურ აღზრდას უკავშირდება. ობსესიური ადამიანების დამუხრუჭებული აგრესია სიზმრებში ბუნებრივი

კატასტროფების სახით ვლინდება (ვულკანის ამოფრქვევა, მიწისძვრა, ჯებირის გარღვევა და ა.შ.); ხშირად გვხვდება იმპულსისა და საპირისპირო იმპულსის, ასევე ჩადენილი დანაშაულის თემატიკა, რომელიც ერთსა და იმავე სიზმარში წამოიჭრება.

ნაწილობრივ ობსესიური სტრუქტურის მქონე პიროვნებებს, ზემოხსენებულის გარდა, ისეთი პროფესიები აინტერესებთ, რომლებიც ადამიანისაგან მოითხოვს სიზუსტეს, საიმედოობას. ამ პროფესიების ადამიანები უფრო მტკიცე ნებისყოფით, საფუძვლიანობით და მოთმინებით გამოირჩევიან, ვიდრე ინიციატივით, მოქნილი აზროვნებითა და შემოქმედებითი თავისუფლებით. ობსესიური ადამიანები გამორჩეულად სანდო პროფესიონალები არიან, თავიანთ საქმეს ერთგულად ემსახურებიან და, ზომიერი ობსესიური თვისებების შემთხვევაში, დიდ წარმატებებს აღწევენ; ამასთან, სასურველია, ისეთ საქმიანობას მიჰყონ ხელი, რომელიც მათ საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებისა და იმპროვიზაციისაგან გაათავისუფლებს.

ობსესიური პიროვნებები უმთავრესად პედანტი, საჯარო მოხელეები არიან, რომლებიც საკუთარ პასუხისმგებლობას და მოვალეობას მშვენივრად აცნობიერებენ. მათ შორის ვხვდებით ხელოსნებს, რომელთა ხელობაც განსაკუთრებულ სიზუსტეს მოითხოვს. ობსესიური პიროვნებები ხშირად მუშაობენ ასევე სხვადასხვა საბუნებისმეტყველო დარგის სპეციალისტებად, იურისტებად, ფინანსისტებად, პედაგოგებად და სასულიერო პირებად; ისინი თანმიმდევრულად უძღვებიან ნებისმიერ გეგმურ სამუშაოს; ამ დროს ძალიან ძნელია დადგენა, სად გადის მათი პოზიტიური და ნეგატიური თვისებების ზღვარი. მაგალითად, ერთი მხრივ, შევხვდებით პასუხისმგებლობით აღსავსე, ჭეშმარიტების მაძიებელ მსაჯულს, მეორე მხრივ კი – პედანტ მოსამართლეს, რომელიც კანონს ჩაკვირვით და სიტყვა-სიტყვით განმარტავს. მისთვის დანაშაული დანაშაულია, ამიტომ არ აინტერესებს მისი ფსიქოლოგიური და სოციალური მოტივაცია; მისი აზრით, ამის ცოდნა შეარყევს სისტემის საფუძვლებს. ამრიგად, სისტემა მოსამართლეს არა მხოლოდ ძალაუფლებას ანიჭებს, არამედ განაჩენის გამოტანის დროს შინაგან სინდისსაც უხშობს.

სასულიერო პირი, შესაძლოა, მრევლისთვის სანიმუშო სულიერი მამაც იყოს და, იმავედროულად, ზნეობის დაუღალავი მქადაგებელიც, რომელიც ადამიანებს ჯოჯობეთის ტანჯვით ემუქრება, მათში შიშსა და დანაშაულის გრძნობას აღძრავს.

ობსესიური ადამიანები ინტერესს ძირითადად ისტორიის მიმართ იჩენენ; გარდა საკუთრივ ისტორიისა, ისინი შეისწავლიან ხელოვნების, მედიცინის, ფილოსოფიისა და სხვათა ისტორიას; მათთვის ახლობელია გარდასული მოვლენები, ე.ი. ის, რამაც უკვე ჩაიარა, რაც დროის მდინარეებს აღარ ემორჩილება და ამიტომ დროის მიღმა არსებობს. ობსესურ ადამიანებს ასევე იზიდავთ არქეოლოგია, ანტიკური ისტორია და გამოყენებითი დარგები; მათ შორის ვხვდებით ძველი პერიოდების შემსწავლელ ფილოლოგებს და პრეისტორიული ხანით დაინტერესებულ ისტორიკოსებს.

ობსესიურ პიროვნებებს განსაკუთრებით პოლიტიკა იზიდავთ. მათი ძალაუფლების მოყვარული ხასიათიდან გამომდინარე, ამ სფეროში შესაძლებლობა ეძლევათ, თავიანთი თვისებების რეალიზაცია ლეგიტიმურად მოახდინონ, მაგრამ როგორ მოახერხებენ ამას, ეს უკვე მათ ხასიათზეა დამოკიდებული. ობსესიური პიროვნება კონსერვატორული ბუნებით გამოირჩევა; იგი მზადაა, თავის პარტიას თუ არსებულ რეჟიმს ერთგულად ემსახუროს, თუნდაც იმიტომ, რომ, მისი აზრით, ყველაფერი «ძველი» უკვე ნაცადი და გამოცდილია. ობსესიური პიროვნებისთვის მიუღებელია ექსტრემიზმის ნებისმიერი გამოვლინება და ექსპერიმენტები.

გასაგები მიზეზების გამო, ობსესიურ პიროვნებას, ასაკთან ერთად, უძლიერდება მისთვის დამახასიათებელი თვისებები. ცნობილია, რომ, ღრმა ცხოვრებისეული

ინსტიქტიდან გამომდინარე, ადამიანს საერთოდ აქვს მიდრეკილება, შეინარჩუნოს ის, რაც მას ჯერჯერობით გააჩნია, და ამ გზით შეაჩეროს დროის მდინარე. ამრიგად, ობსესიურმა ადამიანმა, შესაძლოა, თავისი განწყობა მეტად უჩვეულო ქცევებით გამოხატოს. მას სურს, თავისი ძალაუფლება და პოზიცია, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მომავალშიც შეინარჩუნოს, მაშინაც კი, როდესაც ასაკის გამო აღარ შესწევს ძალა, კვლავაც იბრძოლოს მისთვის საძულველი სიახლეებისა და ახალგაზრდული წამოწყებების წინააღმდეგ. ობსესიურ პიროვნებას სიბერესთან შეგუება განსაკუთრებით უჭირს, რადგან აქამდე თუ იგი მთლიანად გადართული იყო თავის საქმიანობაზე და საკუთარი სურვილით მოქმედებდა, ახლა იმას უნდა მიეჩვიოს, რომ ყველაფერი თავის ნებაზე მიუშვას და გათავისუფლდეს მისგან. იგი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ შეუცვლელია, მაგრამ იმის გამო, რომ ძალები ელევა, იპოქონდრულ მდგომარეობაში ვარდება, თვითდაკვირვებას აწარმოებს და საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას ფანატიზმამდე მიჰყავს. იმის გამო, რომ ობსესიური პიროვნება მხოლოდ პოზიციების დათმობასა და ჩვეულ საქმიანობაზე ამახვილებს ყურადღებას, ვერ აცნობიერებს დაბერების «სიკეთეს», რომელიც მას მოვალეობებისაგან ათავისუფლებს და შესაძლებლობას აძლევს, შეურიგდეს იმას, რაც ახლა მის თავს ხდება.

შესაძლოა, მეტისმეტმა სიჯიუტემ ობსესიური ადამიანის სიკვდილი განსაკუთრებით მტანჯველი გახადოს; რაკი იგი ნებისმიერ დათმობას სისუსტედ აღიქვამს, ამიტომ ხშირად სიკვდილთან სასტიკ ბრძოლაში ჩაებმება ხოლმე.

ობსესიური ადამიანები ზოგჯერ სწორედ სიბერეში აღწევენ პატრიარქალურ დიდებას და პატივისცემას და საკუთარი ფასეულობების სიმბოლოებიც კი ხდებიან. ამ დროს მათთვის სიკვდილი ბუნების კანონია, რის გამოც მასთან ბრძოლას აზრი არა აქვს. სიკვდილი ის უკანასკნელი რეალობაა, რომლის წინაშეც, როცა ამის დრო დადგება, ადამიანმა ქედი უნდა მოიხაროს და ღირსეული სიმშვიდით მიიღოს იგი. ობსესიური ადამიანები დროულად აგვარებენ თავიანთ საქმეებს და წინასწარ ადგენენ ანდერძს. ზოგი მათგანი, ანდერძში ჩაწერილი მითითებებით, ცდილობს საკუთარი ძალაუფლება სიკვდილის შემდეგაც აგრძნობინოს ადამიანებს. თუ ობსესიურ პიროვნებას საღი განსჯის უნარი დაკარგული აქვს და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ სიცოცხლე ნებისმიერ ფასად გაიხანგრძლივოს, მაშინ იგი ცოცხალ გვამს ემსგავსება. გამოდევნილი სიკვდილის შიშს მასში ზედმეტი ნივთების შეგროვების სურვილი ჩაანაცვლებს. იგი გადასაგდებად ვერც ერთ ნივთს ვერ ელევა და გაურბის ყველაფერს, რაც მას წარმავლობას და დასასრულს შეახსენებს.

ახლა შევეცდებით მოკლედ აღვწეროთ ის გზა, რომელსაც ნაწილობრივ ობსესიური ადამიანი დაავადების უკიდურეს გამოვლინებამდე გაივლის. ამ დროს ორ შემთხვევასთან გვაქვს საქმე:

ძლიერი ხასიათის, ქმედითი ობსესიური ადამიანი, რომელიც გამოირჩევა საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით და მოვალეობის გრძნობით, ჩამოყალიბდება პატივმოყვარე, ჯიუტ, მოწუწუნე და ახირებულ პედანტად. იგი ხშირად ძალაუფლებისმოყვარული დესპოტისა და ავტოკრატის თვისებებით გამოირჩევა, რომელიც, აკვიატებული აზრებისა და ქცევების წყალობით, სრულად გამოავლენს ობსესიური დაავადების ყველა თავისებურებას. ბოლო ადგილს ამ გზაზე კატატონით შეპყრობილი ადამიანი დაიკავებს.

სუსტი ხასიათის, არაქმედითი ობსესიური ადამიანი შემგუებლობით, საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვით და ცხოვრების წინაშე შიშით გამოირჩევა. ეს არის ექვიანი, მოყოყმანე, წუწუნა, მლიქვნელი, მშიშარა პედანტი და ასკეტი იპოქონდრიკი. ამ გზის ბოლოს მძიმე ობსესიით შეპყრობილი ადამიანები დგანან.

ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც ოდნავ შესამჩნევ ობსესიურ ნიშნებს გამოავლენს, გამოირჩევა თავისი სტაბილურობით, ამტანობით და მოვალეობის გრძნობით; ამასთან, იგი მიზანსწრაფული და გამრჯეა. ვინაიდან ეს ადამიანი შორსმიმავალ მიზნებზეა ორიენტირებული, მას აღარ აინტერესებს მიღწეული წარმატებები და ამ წარმატებებით ტკბობა; თანმიმდევრული ხასიათის, სიყოჩაღისა და დაჟინებულობის წყალობით, მას რეალობის აღქმის უტყუარი უნარი და პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია, რაც შესაძლებლობას აძლევს, წარმატებას მიაღწიოს. როგორც წმინდა ადამიანური, ასევე ზნეობრივი თვალსაზრისით, ამ პიროვნების დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენს: სიდარბაისლე, კორექტულობა, სანდოობა, ხასიათის სიმტკიცე და ჰიგიენურობა; გრძნობებს ერთობ თავდაჭერილად გამოხატავს, თუმცა თანადგომისა და დახმარების უტყუარი უნარით გამოირჩევა; ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული აქვს და ადვილად არ გადაუხვევს ერთხელ დასახულ მიზანს; ახასიათებს საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება, იცავს საკუთარ თვალსაზრისს, გამოირჩევა კეთილსინდისიერებით და ცდილობს, ობიექტური იყოს. რაინჰოლდ შნაიდერი¹⁵ თავის წიგნში «ფილიპ II» სწორედ ამ მასშტაბის, ძლიერი ტიპის ადამიანს აღწერს. მაგრამ ზომიერი ობსესიური თვისებების მქონე პიროვნებები საკუთარ თავს საფრთხეს იმით უქმნიან, რომ მათთვის საჭირო მუდმივობისა და უსაფრთხოების შეგრძნებას მეტისმეტად ცალმხრივ მიმართულებას აძლევენ. აქედან გამომდინარე, ისინი მიიჩნევენ, რომ აღიარებული უნდა იყოს მათი შესაძლებლობების მუდმივობა. კარგი იქნებოდა, თუ ისინი ცხოვრების გარდაქმნის მზაობასთან მისი საპირისპირო იმპულსის ინტეგრაციასაც მოახდენდნენ და გაბედულად აღიარებდნენ იმას, რისგანაც თავს იცავენ; ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკუთარი წარმავლობის გრძნობას გააცნობიერებდნენ. ამ ტიპის ობსესიურმა ადამიანებმა უნდა შეიგნონ, რომ მათ მხოლოდ სურვილები როდი უნდა ამოძრავებდეთ, მოვლენების ზემოქმედება საკუთარ თავზეც უნდა იწვნიონ. მთლიანად ხალხის წინაშე კი ამ ადამიანებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ – მათ აღმშენებლობის ტრადიცია უნდა შეინარჩუნონ. გარკვეული აზრით, ისინი «საზოგადოების ბურჯებს» წარმოადგენენ, თუ ძალაუფლებისკენ სწრაფვის პატივმოყვარე მიზნებს განვითარების დამამუხრუჭებელ ფაქტორებად არ გადააქცევენ და მათზე უფრო ქმედით, საპირისპირო ძალებთან ბრძოლაში არ დამარცხდებიან.

¹⁵ შნაიდერი, რაინჰოლდ (1903-1958) – გერმანელი მწერალი.

შიში აუცილებლობის წინაშე

ისტერიული პიროვნებები

«ყოველგვარ სიახლეს თან ხიბლიც ახლავს»

ჰესე

სიახლის ხიბლი, იდუმალეობა, უცნობი მოვლენების გაცნობის სურვილი, გაბედული საქციელით გამოწვეული სიხარული, – ეს ყველაფერი ისევე ბუნებრივია ადამიანისათვის, როგორც «ხანგრძლივობისა» და «უსაფრთხოების» განცდა; თავგადასავლები გვიზიდავს და უცხო ქვეყნებით მოხიბლულნი ვრჩებით; ჩვენთვის ნაცნობია მშობლიური სახლის მონატრება, ისევე როგორც შორეულ ქვეყნებზე ოცნება; ჩვენთვის ასევე ახლობელია დაცულობის განცდა და ის შთაბეჭდილებები, რომლებიც სცდება ძველ საზღვრებს, გვამდიდრებს და ჩვენი ცხოვრების ახალ ფურცლებს წერს. მათი წყალობით ვიცვლებით ჩვენც, ვეძებთ ახალ ადამიანებს, რათა კვლავ ახალი ძალით შევიცნოთ რაღაც და ამოვხაპოთ ჩვენი შესაძლებლობები, გავიფართოოთ ურთიერთობები ადამიანებთან, მოვმწიფდეთ და სრულვყოთ საკუთარი თავი.

ამრიგად, მივედით შიშის მეოთხე, მთავარ ფორმასთან, რომელიც წარმოადგენს შიშს «სასრულობის», აუცილებლობისა და თავისუფლების წინაშე. ეს შიში საპირისპიროა ჩვენ მიერ აღწერილი ობსესიური ადამიანის შიშისა. თუ ობსესიურ პიროვნებას თავისუფლების, ცვლილებებისა და რისკის ეშინია, ისტერიული პიროვნების დროს სრულიად სხვა ტიპის შიშთან გვაქვს საქმე. ეს ადამიანები აშკარად ელტვიან ცვლილებებსა და თავისუფლებას, მიესალმებიან ყოველგვარ სიახლეს და სიამოვნებით მიდიან რისკზე. მათ წინაშე შესაძლებლობებით აღსავსე მომავალია გადაშლილი; შესაბამისად მათ აშინებთ შეზღუდვები, ტრადიციები და დადგენილი წესები, რაც ობსესიური ადამიანისთვის ღირებულებებს წარმოადგენდა. ისტერიული ადამიანები ცხოვრობენ პრინციპით: «ის, რაც ერთხელ მოხდა, სათვალავში ჩასაგდება არ არის». ეს ნიშნავს, რომ ისინი არაფრის წინაშე არ იღებენ საბოლოო ვალდებულებას, რადგან არაფერს არ შეიძლება ჰქონდეს მარადიული ღირებულების პრეტენზია. მათთვის მნიშვნელოვანია «თვალის ერთი დახამხამება», ყოველივე ცხოველმყოფელი და მრავალფეროვანი, არსებობს მხოლოდ წამიერი აწმყო, ამიტომ «Carpe diem» – «გამოიყენე შესაძლებლობა!», რადგან სავარაუდოა, რომ ის აღარასოდეს მოვა. წარსულმა ჩაიარა და ამიტომ საინტერესო აღარ არის, მომავალი კი შესაძლებლობების ფართო ასპარეზს ქმნის, თუმცა მისი დაგეგმვა შეუძლებელია, რადგან ეს უკვე უამრავი რამის წინასწარ გათვალისწინებას მოითხოვს. მთავარია ის, რომ ადამიანი ყოველთვის მზადაა მის შესახვედრად, და შეუძლია, ყოველგვარი წინაპირობისაგან გათავისუფლდეს.

რა იქნებოდა ადამიანი, თუკი იგი, ზემოთ მოყვანილი შედარების ენით რომ ვთქვათ, ყველაფრის გამაერთიანებელ სიმძიმის ძალას უგულებელყოფდა და შეეცდებოდა, ცენტრიდან წამოსული მიზიდულობის ძალით ეცხოვრა?

ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ადამიანი ყოველწამიერი არსებობით დაკმაყოფილდებოდა, ვერ დაისახავდა გარკვეულ მიზნებს, ვერ დააწყობდა გეგმებს და მუდმივად ახალი შთაბეჭდილებებისა და თავგადასავლების მოლოდინში იქნებოდა; მის მოლოდინს კი, შესაბამისად, წინასწარ დადგენილი იმპულსები ან სურვილები წარმართავდნენ, რომლებიც მასზე გარედან ან შინაგანად იმოქმედებდნენ. ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების განცდა სჭირდება, რადგან წესრიგი და კანონები იწვევს შიშს, რომ რაღაც დადგენილის «თავიდან აცილება» არ შეიძლება. ზოგადად მოქმედი, აუცილებელი წესრიგი უმთავრესად იმ დროს გვამცნობს ხოლმე თავს, როდესაც თავისუფლების შეზღუდვა ხდება, – შესაძლებლობის ფარგლებში, უარყოფენ ან თავს არიდებენ მას. ამ

გზით მიღწეული თავისუფლება «რადაცასთან დაკავშირებულ» ან «რადაცისტვის არსებულ თავისუფლებას» ნიშნავს.

მაგრამ, რა ხდება მაშინ, როდესაც ქმედითი პიროვნება უგულვებელყოფს ადამიანთა თანაცხოვრების თამაშის წესებს, და არ აღიარებს ბუნებისა და ადამიანური არსებობის კანონზომიერებებს? ამ დროს ადამიანი, თითქოს, ელასტიურ სამყაროში ცხოვრობს, რომელიც მოქნილია, და შეუძლია გაფართოვდეს. მასში ადამიანს არსებული წესრიგის გათვალისწინება არ სჭირდება, რადგან ეს წესრიგი მუდმივად იცვლება. ამ სამყაროში მუდმივად ღიაა ის უკანა კარი, საიდანაც ადამიანი საკუთარი ქმედებების შესაძლებელ შედეგებს თავს დააღწევს. მაგალითად, მე მზად ვარ ვაღიარო კაუზალობის კანონი, რომელიც მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს გამოხატავს, და, ალბათ, უფრო ბუნებისა და ფიზიკის სფეროს ეხება, მაგრამ მე არ შემძლია იგი ვაღიარო, რადგან ეს კანონი სწორედ აქ, ახლოს, შესაძლოა, არც მოქმედებდეს.

ბუნებრივია, ადამიანს ყველაზე მეტად იმის ეშინია, რაც მას აუცილებლობის სახით წარმოუდგება და ზღუდავს: ეს არის მამრობით და მდედრობით სქესთან დაკავშირებული პრობლემები, სიბერე და სიკვდილი. ამას გარდა, არსებობს უამრავი კონვენცია და თამაშის წესი, კანონი და წესდება, რომლებსაც საზოგადოება ადამიანთა ურთიერთობის მიზნით ქმნის. საერთოდ კი, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანს, მეტწილად, ცხოვრებასა და გარესამყაროში დაწესებული აუცილებელი შეზღუდვებისა ეშინია. ესაა ფაქტების სამყარო, რომელსაც «სინამდვილეს» ანუ რეალობას ვუწოდებთ. მასთან შეჩვევა და შეგუება იმის მიხედვით გვიწევს ხოლმე, თუ რა დამოკიდებულება გვაქვს ცხოვრებასთან და რა ცოდნა გაგვაჩნია მის შესახებ.

ამ რეალობას ადამიანი საკმაოდ ფართო თვალსაწიერიდან უყურებს: ეჭვი შეაქვს მასში, მის მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებს, აკნინებს მის მნიშვნელობას ან თვალს ხუჭავს მასზე, ცდილობს მასში მღელვარების შეტანას და მისგან თავის დაღწევას. ამ გზით ადამიანი მოიპოვებს მოჩვენებით თავისუფლებას, რომელიც მისთვის სულ უფრო სახიფათო ხდება; იგი ამ დროს არარეალურ, ილუზორულ სამყაროში ცხოვრობს, რომელშიც მხოლოდ წარმოსახვა, შესაძლებლობები და სურვილები არსებობს, და არ გააჩნია ზღვარდადებული რეალობა.

ამრიგად, ადამიანი სულ უფრო მეტად იძირება ფსევდორეალობაში, «არანამდვილ სინამდვილეში» და, რაც უფრო მეტად შორდება რეალობას, მით უფრო ძვირად უჯდება მოჩვენებითი თავისუფლება, რადგან ამ «არანამდვილ სინამდვილეში» გზას ვეღარ იგნებს და მასთან ურთიერთობას ვეღარ ამყარებს. საქმე იქამდე მიდის, რომ, ამ «სინამდვილეში» ყოფნის შედეგად, ადამიანი ძალიან იშვიათად აღწევს მიზანს; ამის შემდეგ იგი კიდევ უფრო იმედგაცრუებული უბრუნდება საკუთარ ვირტუალურ სამყაროს; მერე კი ამ სამყაროსა და ადამიანის სურვილებს შორის ღრმა უფსკრული ჩნდება, რომელიც ისტერიულ ადამიანს «ემმაკის წრედ» შემოუბრუნდება.

ახლა კი გვინდა ფსევდოსინამდვილის საკითხი უფრო დაწვრილებით განვიხილოთ. კაუზალობის კანონი ერთერთ რეალობაში ადამიანის მიზეზ-შედეგობრივ არსებობას ადასტურებს. მიზეზისა და ზეგავლენის, მოქმედებისა და შედეგის შესახებ ეს კანონი გვაძლავს, კანონიერება დავიცვათ, რადგან მისი უგულვებელყოფის შემთხვევაში სასჯელს ვერ გადავურჩებით. ეს კანონი ისტერიულ პიროვნებას მხოლოდ ზღუდავს, აიძულებს, სათანადო დასკვნები გამოიტანოს და რადაცაზე უარი თქვას; იგი ცდილობს, ამ მდგომარეობას «სირაქლემის პოლიტიკის» მეშვეობით დააღწიოს თავი, და, ისე იქცევა, თითქოს კაუზალობის კანონი საერთოდ არ არსებობდეს; შესაბამისად, ისტერიული ადამიანი შეპყრობილია სურვილით, რომლის შესაძლო შედეგები მას სულაც არ აინტერესებს და თითქოს მოქმედებს პრინციპით: «ჩემს შემდეგ წარღვნას წაუღია ყველაფერი». ისტერიული ადამიანი იმედოვნებს, რომ ხდომილებების კაუზალობა და თანმიმდევრობა მასზე არ გავრცელდება, ყოველ შემთხვევაში, ამ კონკრეტულ, საექვო სიტუაციაში მაინც. იგი იმდენად შეპყრობილია მიზნის მიღწევის სურვილით, რომ საკუთარ თავს შესაძლო შედეგებზე მაღლა აყენებს, მხოლოდ ფინალურად ანუ შედეგობრივად აზროვნებს, ხოლო კაუზალობას ანუ მიზეზობრიობას უგულვებელყოფს,

რაც მასზე დიდ სუგესციურ ზემოქმედებას ახდენს. ამის დასტურად შემდეგ მაგალითს მოვიყვანო:

სკოლაში ერთ-ერთი კლასის მოსწავლეებს, საქველმოქმედო მიზნით, სამკერდე ნიშნების გაყიდვა დაავალეს. თითოეულ მოსწავლეს სიაში უნდა შეეტანა შემოწირული თანხისა და გაყიდული სამკერდე ნიშნების რაოდენობა. ცამეტი წლის მომხიბლავი ინგე სთავაზობდა მყიდველებს სამკერდე ნიშნებს; ისინიც ვერ უძლებდნენ გოგონას მიმზიდველ ღიმილს და შეთავაზებას სიამოვნებით იღებდნენ. მალე ინგემ ყველა სამკერდე ნიშანი გაყიდა და, წარმატებით გახარებულმა, გადაწყვიტა, საკუთარი თავი დაესაჩუქრებინა, რადგან ფიქრობდა, რომ ეს დაიმსახურა; მან ხომ ასე ყოჩაღად გაართვა საქმეს თავი! ამიტომ ახლა შეეძლო სურვილი აესრულებინა და ნამცხვარი ეყიდა. გოგონას ცდუნება ახლა მხოლოდ ფულს შეეძლო, რომლის წარმომადგობასა და დანიშნულებაზე იგი აღარ დაფიქრებულა; მთავარია, რომ «ეს ფული ახლა მას ეკუთვნოდა!» რაკი გოგონა საკუთარ სურვილზე უარისთქმას არ აპირებდა, სამკერდე ნიშნებში აღებული ფულით თავისი საყვარელი ნამცხვარი იყიდა. ასეთ ადამიანებს, ჩვეულებრივ, გაურკვეველი წარმოდგენა აქვთ შედეგებზე და ფიქრობენ, რომ «როგორმე» მოაწესრიგებენ ყველაფერს, რადგან იმ წუთას აღვსილნი არიან სურვილით, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა დაიკმაყოფილონ.

ამ დროს თავს იჩენს ისტერიული პიროვნებისათვის დამახასიათებელი უპირველესი ნიშან-თვისება: იგი ქმნის ხანმოკლე დამაბულობის ველს, რომელიც საშუალებას აძლევს, საჭირო მიდრეკილებისა და უნარის უქონლობის გამო, მოთხოვნილებასთან დაკავშირებული დამაბულობა აიტანოს. ისტერიულმა პიროვნებამ ნებისმიერი იმპულსი თუ სურვილი სწრაფად უნდა დაიკმაყოფილოს, რადგან ლოდინი მისთვის აუტანელია: ამ თვისების გამო ძალიან ადვილია ისტერიული ადამიანის ცდუნება.

ინგეს სია და ფული სკოლაში იმავე დღეს უნდა ჩაებარებინა, მაგრამ ახლა როგორღა მოქცეულიყო? გოგონა მასწავლებელთან მივიდა და სთხოვა, კიდევ მიეცა მისთვის გასაყიდად სამკერდე ნიშნები იმ იმედით, რომ ამათაც გაყიდდა და ფულს ერთიანად ჩააბარებდა. აღებული ფული გოგონას ამასობაში სახლში დაეტოვებინა (გოგონამ ამ დროს კიდევ რაღაც-რაღაცები მოისაზაბა, რაც ასევე დამახასიათებელია ისტერიული პიროვნებისთვის, რადგან საბაბი და ტყუილი მეტ «მტკიცებულებებს» მოითხოვს, რომ უფრო სარწმუნო გახდეს, მაგრამ მას მაინც უფრო სუსტი საფუძველი გააჩნია, ვიდრე რეალურად არსებულ ფაქტს). მასწავლებელმა ინგეს დამატებით მისცა სამკერდე ნიშნები. ამით გოგონამ დრო მოიგო: ამასობაში კი, ვინ იცის, ხომ შეიძლებოდა, «სასწაული» მომხდარიყო, რაც მას ამ მდგომარეობიდან იხსნიდა? (დროის მოგება და დაპირებები ასევე დამახასიათებელია ისტერიული პიროვნებისათვის). ამასობაში მოსალამოვდა და ფულის ჩაბარების დრო მოვიდა. გოგონას კი ამასობაში, მისი აზრით, ბრწყინვალე აზრი მოუვიდა: ფული კარის მეზობელს სთხოვა და აუხსნა, სასწრაფოდ რვეულები მაქვს საყიდელი, დედაჩემი კი სახლში არ არისო. მეზობელმა გოგონას ფული ასესხა, რის შემდეგაც მან ისევ მოიგო დრო და «სასწაულისთვის» ისევ დაიტოვა სივრცე. ასეა თუ ისე, ახლა იგი მზად იყო, მასწავლებლისთვის ფული მთლიანად ჩაებარებინა; მეზობლისგან ნასესხები ფული გოგონამ მაშინვე დაივიწყა, რადგან საკუთარ თავს ერთთავად ეუბნებოდა: «ამაზე არ უნდა იფიქრო». ამ შემთხვევაშიც შეეძლო აღარ ეფიქრა მეზობელზე, რომელმაც «რაღაც გროშები» ასესხა.

ისტერიულ ადამიანებს ხშირად უჩნდებათ გაურკვეველი მოლოდინები და იმედი იმისა, რომ სასწაულების წყალობით შეძლებენ, ნებისმიერ გაჭირვებას დააღწიონ თავი; ამის წარმოდგენის უნარი მათ ვირტუოზულად აქვთ გამომუშავებული. ასეთ შემთხვევებში ეს ადამიანები საოცარ გულუბრყვილობას იჩენენ, რადგან საკუთარი წარმოსახვისა სჯერათ და ფიქრობენ, რომ რეალობას გაექცევიან ამ ანდაზის თანახმად: «არ ცოდნა არ ცოდვია». ბოლოს და ბოლოს ნებისმიერ ადამიანს ერთხელ მაინც შეიძლება დაავიწყდეს რაღაც! ამ დროს ე.წ. «გადატანის» ტენდენციის მოწმენი ვხდებით: კონკრეტული რამ, ამ შემთხვევაში ვალად აღებული ფული, დავიწყებას ეძლევა; გოგონას მეხსიერებას ისღა შემორჩა, რომ ფული მეზობლისგან ოფიციალურად ისესხა და, ბუნებრივია, მას უკან დააბრუნებს (როდის და როგორ მოხდება ეს, იმ წუთას არასაინტერესოა). თუ მეზობელი მას ფულის დაგვიანებისთვის უსაყვედურებს, გოგონას შეუძლია უთხრას, რომ მას ვალის მიცემა

ნამდვილად აღარ გახსენებია, და ახლა პატიებას ითხოვს; მაგრამ გოგონა იმედოვნებს, რომ ფულის ამბავი მეზობელსაც დაავიწყდება; ბოლოს და ბოლოს მისთვის თავადაც ხომ უცნა რაღაც პატივი?! ხან კი იმასაც ფიქრობს, რომ ფულს «საიდანღაც» საჩუქრად მიიღებს ან სადმე იშოვის, და საკუთარ თავს არწმუნებს: «დრო ყველაფერს გვიჩვენებს».

რამდენიმე დღის შემდეგ მეზობელმა ინგას დედას ვალის დაბრუნება სთხოვა. ეს ამბავი გამოაშკარავდა და დიდი უსიამოვნება გამოიწვია, რასაც გოგონა ასცდებოდა, ფული დროზე რომ დაებრუნებინა. იმის გამო, რომ მან უარი ვერ თქვა თავისი სურვილის დაუყოვნებლივ შესრულებაზე, შეიქმნა მთელი ჯაჭვი იმ უსიამოვნო შედეგებისა, რომელთა გამოც გოგონას ხანმოკლე სიამოვნება ძვირად დაუჯდა.

ეს მაგალითი ბევრი თვალსაზრისით არის საგულისხმო და ყურადსაღები. იგი წარმოაჩენს ისტერიული ადამიანის ტიპური ქცევის შემთხვევებს; მას სურს დაუყოვნებლივ შეისრულოს სურვილი და სხვაზე ველარაფერზე ფიქრობს; ეუფლება არარეალური განწყობა, რის შედეგადაც უგულვებლყოფს თავისი საქციელის შედეგს, შეპყრობილია დროის მოგების სურვილით და «სასწაულის მოლოდინით», ეხერხება მისთვის ხელსაყრელი სიტუაციების უეცრად მოფიქრება მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინების გარეშე, რომლის დროსაც, ერთი ხვრელის ამოქოლვის შემდეგ, მეორე აღებს პირს; შეუძლია «ამბების» საკუთარი სურვილისამებრ გადასხვაფერება ან გაყალბება; უმტკივნეულოდ ივიწყებს უსიამოვნო ამბებს, არ აწუხებს საკუთარი დანაშაულის გრძნობა; და ბოლოს, თავს არიდებს ისეთ უხერხულ აუცილებლობას, როგორცაა რაიმეზე უარისთქმა, ლოდინი, საკუთარი საქციელის გამართლება. ასეთ ადამიანებზე ზედგამოჭრილია ნიცივები: «ეს მე ჩავიდინე» – მეუბნება ჩემი მახსოვრობა; «არ შეიძლებოდა, ეს მე ჩამედინა» – მეუბნება ჩემი სიამაყე და ურყევად დგას თავის აზრზე. ბოლოს დათმობაზე ისევ მახსოვრობა მიდის». ასევე თავისუფლად უყურებს ისტერიული ადამიანი სხვა რეალობებსა და დროს. პუნქტუალობა, დროის დაგეგმვა და განაწილება მას პედანტურ და წვრილმან საქმედ მიაჩნია, რასაც, არცთუ იშვიათად, რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ იყენებს.

ახლა კი შევეხოთ თუნდაც ბიოლოგიურ რეალობას, ჩვენს დამოკიდებულ მდგომარეობას სექსუალურ მონაცემებზე, მომწიფების პროცესებსა და სიბერეზე. ისტერიული ადამიანი ამას ვერ აცნობიერებს. ის, რაც შეიძლება, დიდხანს დარჩებოდა უდარდელ ბავშვად ან, თუნდაც, უზრუნველ ყმაწვილად, რადგან საზოგადოება მათ ბევრ რამეს პატიობს და დიდ პასუხისმგებლობასაც არ აკისრებს. ისტერიული ადამიანისთვის პასუხისმგებლობაც უსიამოვნო ცნებაა, რადგან იგი კაუზალობის კანონს უკავშირდება და მას არასასურველ შედეგებს შეახსენებს. რაც შეეხება სიბერეს, ისტერიული ადამიანის აზრით, გარკვეული საშუალებებით მისი შეჩერება შესაძლებელია. «ადამიანი იმდენი ხნისაა, რამდენადაც ამას თავად შეიგრძნობს». ისტერიული პიროვნება არასოდეს ამხელს ასაკს; ცდილობს, ყველა საშუალებას მიმართოს, ოღონდაც მოხუცის შთაბეჭდილებას არ ახდენდეს. ასეთ ადამიანს შეუძლია მუდმივად შეინარჩუნოს ახალგაზრდულად ყოფნის ილუზია. ამისათვის იგი ახალგაზრდულად იცვამს, იყენებს კოსმეტიკურ საშუალებებს და კოსმეტიკური ქირურგიის დიდ შესაძლებლობებს, რაც მას ილუზიებს უნარჩუნებს; იგი, შეძლებისდაგვარად, გაურბის დარდს, მღელვარებას და აცხადებს, რომ ასეთ განცდებს ვერ გაუძლებს; მაგრამ, თუ მაინც აღმოჩნდება ასეთი რეალობის წინაშე, ყოველთვის შეუძლია მოიმიზეზოს ავადმყოფობა და უსიამოვნო განცდებს ასე დააღწიოს თავი.

ისტერიულ პიროვნებას იგივე დამოკიდებულება აქვს ეთიკასთან და მორალთან. რა დაემართებოდა ადამიანს, ყველა წესსა და კანონს რომ იცავდეს? ნეტავ, ვინმე მართლა თუ იქცევა ასე? ან კი შეუძლია ვინმეს თქვას, რა არის «სიკეთე» და «ბოროტება»? ბოლოს და ბოლოს, ეს ყველაფერი ხომ პირობითია და იმაზეა დამოკიდებული, რა თვალსაზრისით აფასებს მას ადამიანი? აქედან გამომდინარე, ისტერიული ადამიანისათვის სამყარო სასიამოვნო და მოქნილია, დაშვებული შეცდომების გამართლება ყოველთვის შესაძლებელია; მთავარი მაინც ის არის, რომ არავინ იცის, რა ხდება ან რა ხდებოდა ადამიანში. საბედნიეროდ, აზრების გამოხატვის თავისუფლება უსაზღვროა, – თუ ვინმე საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ყველაფერი ნამდვილად ისეა, როგორც თავად წარმოუდგენია, ვის შეუძლია მას საპირისპირო უმტკიცოს?

ისტერიულ პიროვნებაზე ლოგიკაც დამთრგუნველად მოქმედებს, მაგრამ შეუძლია მასაც თავი აარიდოს. მისი ლოგიკა სხვებისაგან განსხვავებულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ნაკლებად ლოგიკურია. როდესაც ისტერიული პიროვნება ნახტომისებურად და არალოგიკურად აზროვნებს, და მეორე ადამიანს მისი არ ესმის, ეს ამ ადამიანის პრობლემაა. მერედა, რა უსაზღვრო შესაძლებლობებს გვთავაზობს ენა, როდესაც ისტერიული პიროვნება მისი მეშვეობით ათასგვარ საქმეს მოიმოქმედებს და უამრავ ადამიანს დაამარცხებს! ასე ავითარებენ ისტერიული ადამიანები ფსევდოლოგიკას, რომელსაც ხანდახან შეგნებულად თუ შეუგნებლად მივყავართ აბსურდამდე, როცა ადამიანის გაგება საერთოდ შეუძლებელი ხდება.

ისტერიული ადამიანები ვერ შეიგრძნობენ საკუთრივ შიშს, კერძოდ კი, შიშს აუცილებლობისა და სასრულობის წინაშე. მაგრამ ამ დროს მათ ეშინიათ მოედნებზე და ქუჩაში გადაადგილებისა (აგორაფობია), დახურული სივრცისა (ლიფტი, მატარებლის კუპე და ა.შ. – კლავსტროფობია), ასევე ცხოველებისა. ამ შემთხვევაში ხდება კონკრეტული შიშის უფრო მეორეხარისხოვან და უწყინარ შიშზე გადატანა, უპირველეს ყოვლისა კი, იმაზე, რისი თავიდან აცილებაც შესაძლებელია. თუ ადამიანს ლიფტში ჩაჯდომა ან ხიდზე გავლა ეშინია, შეუძლია, ლიფტი არ გამოიყენოს, ხიდზე არ გაიაროს და ამით შიში თავიდან აიცილოს. ეს კი კონკრეტული შიშია, რომელიც ადამიანმა შეიძლება თავისუფლების შეზღუდვისას ან ორჭოფულ სიტუაციაში იმის გამო იგრძნოს, რომ მას რაიმეზე უარისთქმა არ სურს ან ამას ვერ ბედავს. შინაგანი კონფლიქტის გადატანა ამ დროს შიშის გამომწვევ გარეგნულ ობიექტებზე ხდება, რომლებიც კონფლიქტს იმით «გადაჭრიან», რომ ადამიანი ამ შიშის გამო ცდუნებას აღარ მიეცემა. იგი ფიქრობს: თუ ქუჩაში შიშის გამო ვეღარ გავდივარ, ვერც ვერაფერი მაცდუნებს; რა თქმა უნდა, შიშისთვის თავის ამგვარად არიდება პრობლემის გადაჭრას არ ნიშნავს და არც შიშისგან ადამიანის დაცვის საშუალებას წარმოადგენს, რადგან ადამიანს მაინც უხდება შიშთან დაპირისპირება და მასთან იძულებითი ურთიერთობა. მაგრამ, როდესაც ისტერიული ადამიანი თავს კუთხეში მიმწყვდეულივით გრძნობს და მდგომარეობიდან გამოსავალს ვეღარ ხედავს, პანიკაში ვარდება და «გაქცევას» ცდილობს, რითაც სიტუაციის საღად შეფასებას შეუძლებელს ხდის. ახლა გვინდა წარმოვიდგინოთ, ნელ-ნელა როგორ იყრის ერთად თავს ისტერიული ადამიანის გადაცდომები და როგორ მიდის იგი სულ უფრო გამოუვალ მდგომარეობამდე.

რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა, რომ ვალდებულებებსა და რაღაცის უცილობლობას წარმატებით დააღწიოს თავი? ამ შემთხვევაში, ალბათ, ყველაზე მართებული იქნებოდა, თუ იგი ყოველთვის მხოლოდ წუთიერი ცხოვრებით იცხოვრებდა, თითქოს ადრე არც არსებობდა და მის წარსულს არავითარი შედეგები მოჰყოლია. თუ გუშინ რაღაც შეცდომა დავუშვი ან სისულელე ჩავიდინე და ამაში «გამომიჭირეს», ჩემთვის არავითარი «გუშინ» არ არსებობს და ცხოვრება მხოლოდ დღეიდან იწყება. როდესაც ისტერიული ადამიანები დროსთან და კაუზალობასთან კავშირს წყვეტენ, საოცრად მოქნილები ხდებიან, თითქოს წარსულის გარეშე ცხოვრობენ და უზარმაზარ ტვირთს იხსნიან ზურგიდან; მაგრამ, მეორე მხრივ, მათ ცხოვრებაში აქა-იქ წერტილივით ფრაგმენტულად გაიკიაფებენ უწყვეტი მოვლენები. ისტერიული ადამიანები, ქამელეონის მსგავსად, მიესადაგებიან ნებისმიერ ახალ სიტუაციას, მაგრამ ვერ ახერხებენ იმ უწყვეტი «მეს»-ს განვითარებას, რომელსაც, ჩვეულებრივ, «ხასიათს» ვუწოდებთ; ამის გამო ძნელია ამ ადამიანების ამოცნობა და გაგება. ისინი გამუდმებით რაღაც როლს თამაშობენ, რომელიც გარკვეულ სიტუაციებზე და საჭიროებებზეა გათვლილი; ასეთივე დამოკიდებულება აქვთ ისტერიულ ადამიანებს გარკვეულ პირებთან ისე, რომ ამ როლების თამაშის დროს თავადაც აღარ იციან, ვინ არიან სინამდვილეში. ასე გამოხატავენ ისინი საკუთარ ფსევდოპიროვნულობას, რომელსაც მკაფიო კონტურები და გამორჩეული თვისებები არ გააჩნია.

როდესაც კუთხეში მიმწყვდეულ ისტერიულ ადამიანს შიში იპყრობს, მას შეუძლია, ამ დროს საკუთარი დანაშაული სხვას გადააბრალოს; იგი თავისი თავისთვის სათქმელ საყვედურს რეფლექტორულად სხვა ადამიანს მოარგებს, როგორც ეს ბავშვებს სჩვევიათ ხოლმე, როდესაც ერთი მათგანი ამბობს: «სულელი ხარ!» მეორე კი უპასუხებს:

«სულელის ხმა მესმის!» თუ ისტერიულ პიროვნებას აკრიტიკებენ ან საყვედურს ეუბნებიან, იგი საპასუხო კრიტიკისა და საყვედურისთვის ჯიბეში ხელს არ ჩაიყოფს, თუმცა იმ სიტუაციაში ყველაფერი გარკვეულია და არაფერია საკამათო. თავად ეს ადამიანი ამ დროს განიტვირთება, მაგრამ მის აზრს უკვე მნიშვნელობა ეკარგება. როდესაც ისტერიული პიროვნება დანაშაულის პროექტირებას ვინმეზე საყვედურით ახდენს, ბოლოს თვითონვე იჯერებს, რომ დამნაშავე ის მეორე ადამიანია. რა თქმა უნდა, ამ დროს იგი არაგულწრფელია საკუთარი თავის მიმართ, რამაც შემდგომში, შესაძლოა, მთელ მის ცხოვრებას სიცრუის კვალი დაამჩნიოს. ისტერიულ პიროვნებას მოგვიანებით დაუცველობის ფარული შეგრძნება და გაურკვეველი შიშები უჩნდება; უკიდურესი შეჭირვების შემთხვევაში ის ყოველთვის მოირგებს ხოლმე ისეთ როლს, რომელიც რეალობის უსიამოვნო შედეგებისგან დაიცავს: ეს როლი «ავადმყოფობაში» გამოიხატება, რაც მას, სულ მცირე, დროს მაინც მოაგებინებს.

ისტერიული ადამიანი და სიყვარული

ისტერიულ ადამიანს თავად სიყვარული «უყვარს»; ასევე უყვარს ყველაფერი, რაც მას თვითშეფასების შეგრძნებას გაუძლიერებს; მაგალითად, ძლიერი შეგრძნებები, ექსტაზი, ვნებათაღელვა, რასაც იგი ბედნიერების მწვერვალზე აჰყავს. თუკი ობსესიური ადამიანი აპოლონისეული ხასიათით გამოირჩევა, ისტერიული პიროვნება უფრო დიონისესეულ თვისებებს ავლენს. მას იზიდავს ზღვარგადასული გრძნობები და განცდები; მაგრამ ეს მისთვის, დეპრესიული ადამიანის მსგავსად, საკუთარი «მე»-სათვის დაკისრებულ ამოცანას როდი შეადგენს; ისტერიული პიროვნება ამას შეიგრძნობს, როგორც ამ «მე»-ს აღზევებას და აპოთეოზს. თუ დეპრესიული ადამიანი საკუთარი თავის ტრანსცენდენტურში გადაყვანას «მე»-ს საზღვრებს მიღმა არსებული ერთგულების სიმბიოზით ცდილობდა, ისტერიული პიროვნება ისეთი ძლიერი განცდებისაკენ მიისწრაფვის, მას საკუთარ თავზე რომ აამაღლებს. აქედან გამომდინარე, ისტერიული ადამიანი ქმედითი, ვნებიანი და მომთხოვნია და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის დამკვიდრებაზე ზრუნავს. მას სურს, პარტნიორთან ერთად დატკბეს სიყვარულით და ბედნიერების ნეტარება შეიგრძნოს; ამ თვალსაზრისით, იგი ეროტიკული ატმოსფეროს შექმნის დიდოსტატია. ისტერიული პიროვნება ამ დროს ისეთ საშუალებებს იყენებს, როგორცაა ფლირტი, თავის მოწონებისა და ცდუნების უამრავი ხერხი, რომლებსაც უზადოდ ფლობს. მას შეუძლია პარტნიორის პატივისცემა დაიმსახუროს, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს მის სექსუალობას. ისტერიულ პიროვნებას შთაგონების უზარმაზარი ძალა გააჩნია, რომელიც დიდად მოქმედებს ადამიანზე; ამ დროს განსაკუთრებით დამაჯერებლად იჩენს თავს მისი ხიბლი თუ სხვა ღირსებები, რაც პარტნიორმა აუცილებლად უნდა ირწმუნოს.

უკვე ხსენებული ძლიერი ლტოლვით შეპყრობილი ისტერიული პიროვნება «veni-vidi-vici»-ს პრინციპით მოქმედებს და ციხე-სიმაგრეს სწრაფი იერიშით იღებს, რადგან მისთვის უცხოა «აღყის შემორტყმისა» და დაყოვნებული მოქმედებების ტაქტიკა. მან მშვენივრად იცის საპირისპირო სქესთან მოქცევის წესები და ამიტომ მასთან ურთიერთობა არასდროსაა მოსაწყენი. ისტერიულ პიროვნებას, როგორც ითქვა, პარტნიორზე მეტად თავად სიყვარული «უყვარს» და ცდილობს, რაც შეიძლება, მრავალფეროვანი გახადოს იგი; ცნობისმოყვარეობისა და წრეგადასული სიხალისის გამო, ხშირად აწყობს ზეიმებს, ტრიალებს მოვლენების ეპიცენტრში, გამოირჩევა ტემპერამენტით და უშუალოდ. ისტერიულ პიროვნებას შურისძიების სურვილი იპყრობს, თუ ვინმე მის სიყვარულს უარყოფს, მაგრამ იმავდროულად ერთგულებაც შეუძლია; რაკი ასეთი მჩქეფარე ცხოვრება იზიდავს, იგი ვერ იტანს მოწყენილობას და მარტოობას, ერთობ ხალისიანი და სპონტანური პარტნიორია, ეხერხება საკუთარი გრძნობების გამოხატვა და ყოველ წუთს შეიგრძნობს ცხოვრების მშვენიერებას; ერთგულებას, ყოველ შემთხვევაში – საკუთარს მაინც, მნიშვნელობას არ ანიჭებს; უყვარს იდუმალი შეხვედრები, რადგან ამ დროს შეუძლია გამოავლინოს რომანტიკული ფანტაზია.

ისტერიულ პიროვნებებს სექსის საკითხებში უფრო რთულად აქვთ საქმე; მათთვის წინასასიყვარულო თამაშები ხშირად სექსუალური სურვილის დაკმაყოფილებაზე უფრო მნიშვნელოვანია. თავიანთი გუნება-განწყობიდან გამომდინარე, მათ ამ დროს შეუძლიათ თქვან: «შეჩერდი, წამო, შენ ისეთი მშვენიერი ხარ!» ეს ადამიანები ამ წამით ტკბობას და მის გახანგრძლივებას ცდილობენ. მათ ასევე უყვართ, როდესაც «თაფლობის თვე» დიდხანს გასტანს ხოლმე, და მძიმედ განიცდიან, თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში სიყვარულის ინტენსიობა იკლებს; როდესაც ისტერიული პიროვნება პარტნიორთან ჯანსაღ სექსუალურ ურთიერთობას ვერ ამყარებს, მას ეს უნარი უქვეითდება და, შესაძლოა, ფრიგიდულობა ან იმპოტენცია განუვითარდეს. ორივე სქესის ისტერიული ადამიანისთვის სექსი ის საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც შეუძლიათ გაიძლიერონ თვითშეფასების გრძნობა და გამოსცადონ პარტნიორისადმი ლტოლვის უნარი. ამ დროს ისინი, ობსესიური ადამიანებივით, არ მიმართავენ იძულებას; მათი მიზანია, ვნებამ პარტნიორს სიამოვნება

განაცდევინოს; ქალები «დანებების» ან «უარისთქმის» დროს განსაკუთრებით ბოროტად იყენებენ სექსუალობას შანტაჟის მიზნით.

ისტერიულ პიროვნებაში თავს იჩენს ხოლმე პარტნიორისადმი მეტისმეტი მომთხოვნელობა და თვითდამკვიდრების საგრძნობლად დიდი სურვილი. ამ დროს სასიყვარულო ურთიერთობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ისტერიულმა ადამიანმა მისთვის ესოდენ საჭირო თვითდამკვიდრების აუცილებლობა შეიგრძნოს. მას ეს გრძნობა უმთავრესად მაშინ უჩნდება, როდესაც პარტნიორი მისით აღფრთოვანებას გამოხატავს და არ მაღავეს, რომ იგი მისთვის სექსუალურად სასურველი ადამიანია. ასაკის მომატებასთან ერთად, ბუნებრივია, მდგომარეობა რთულდება; ისტერიულ პიროვნებათა ახალგაზრდული ხიბლი, რომელიც უმთავრესად მის გარეგნობაში წარმოჩინდება, თავის ძალას კარგავს, რის გამოც სიბერისთვის დამახასიათებელი კრიზისი ეწყება.

ისტერიულ პიროვნებას პარტნიორი აუცილებლად სჭირდება, მაგრამ არა იმიტომ, რომ, დეპრესიული ადამიანის მსგავსად, მის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია, არამედ იმის გამო, რომ პარტნიორი მისთვის სარკეა, რომელშიც საკუთარ თავს სიყვარულის ობიექტად სახავს. ისტერიული პიროვნება მუდმივად საჭიროებს საკუთარი ნარცისიზმისა და ეგოიზმის დადასტურებას; მას გვერდით ისეთი პირმოთნე პარტნიორი ესაჭიროება, რომელიც აღფრთოვანდება მისი მომხიბვლელობითა და სილამაზით და მისი ქებით არ დაიღლებს. ამიტომ ისტერიული პიროვნება ცდილობს, პარტნიორად ნარცისისტული ბუნების ადამიანი აირჩიოს, მაგრამ არა იმის გამო, რომ, შიზოიდის მსგავსად, მისი «განსხვავებული» თვისებები აშინებს, არამედ იმ მიზეზით, რომ იგი პარტნიორში საკუთარი თავის მსგავსებას ეძებს, რათა მასში თავისი თავი შეიყვაროს. ამასთან, ორივე სქესის ისტერიული ადამიანი, არცთუ იშვიათად, საკმაოდ უღიმღამო პარტნიორსაც ირჩევს, რათა მის ფონზე საკუთარი ბრწყინვალეობა მთელი სისავსით წარმოაჩინოს და თან იგრძნოს, რომ პარტნიორი მისით აღფრთოვანებას ვერ მაღავეს. ეს იმ ფარშევანგის იგავს გვაგონებს, ცოლად დედლის შერთვა რომ გადაწყვიტა. მათ დანახვაზე მმაჩის ბიუროს თანამშრომელი გაკვირვებას გამოხატავს და ფარშევანგს ეკითხება – ასეთ მშვენიერ არსებას რატომ მოგყავთ ცოლად ეს უსახური დედალიო. ფარშევანგი ამაზე ამაყად მიუგებს:

«იმიტომ, რომ მე და ჩემს ცოლს სიგიჟემდე გვიყვარს ჩემი თავი».

ურთიერთობები, რომლებიც მუდმივად ერთი ადამიანის მიერ მეორის უპირატესობათა აღიარებას ეფუძნება, ბუნებრივია, კრიზისს არ გამოირიცხავს. თუ პარტნიორი აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებას ვერ ახერხებს, ისტერიული ადამიანი ახლის ძიებას იწყებს და, შესაძლოა, მასთანაც მსგავსი ურთიერთობა განმეორდეს. ამ ტიპს მიეკუთვნებიან მექალთანეები და მეძავეები, რომლებიც, თვითდამკვიდრების მიზნით, ადამიანს სასიკვდილოდაც კი გაწირავენ.

ისტერიული პიროვნებისათვის პარტნიორის სიყვარულის მოპოვება თამაშია, რომელიც მან ნებისმიერ ფასად უნდა მოიგოს. რაკი ეს ადამიანები სიყვარულის საკითხში ძალიან მომთხოვნეები არიან, ცხოვრებაში ხშირად იმედგაცრუება ელით. როგორც კი ასეთი ადამიანი პარტნიორის სიყვარულს მოიპოვებს, უკვე ჰგონია, რომ მიჯნურის ფინანსები მასაც ეკუთვნის და საზოგადოებაში პარტნიორის წარმატება მის წარმატებასაც ნიშნავს. ეს მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მიაჩნია, რომ პარტნიორი ამით თავის სიყვარულს უდასტურებს, და, რადგან ისტერიულმა პიროვნებამ ამ საკითხში ზომიერება არ იცის, ყველა საშუალებას მიმართავს, რათა თვითდამკვიდრების გრძნობა დაიკმაყოფილოს; საამისოდ კი პარტნიორის იძულებას სხვადასხვა გზით ცდილობს: შესადარებლად მოჰყავს სხვა პარტნიორი, რომელსაც იგი «ნამდვილად» უყვარს და როგორ მოიქცეოდა იგი ამ შემთხვევაში თავისი სიყვარულის დასამტკიცებლად. თუ პარტნიორი ისტერიულ პიროვნებას რაიმეში არ ეთანხმება, ამას საშინელი რეაქცია მოჰყვება ხოლმე; იგი აწყობს სცენებს და საყვედურობს პარტნიორს იმის გამო, რომ მას ასეთ «მათხოვრულ წინადადებას» სთავაზობს. ისტერიულ ადამიანში ამ დროს ხშირად თავს იჩენს სიყვარულისა და ანგარიშიანობის ნარევი გრძნობა, ასე რომ პარტნიორმა არასოდეს იცის, როგორ უნდა მოიქცეს მასთან. როდესაც ისტერიული ადამიანი სიყვარულთან ან ქორწინებასთან დაკავშირებით ილუზიებს იქმნის, ყოველთვის ისევ და ისევ

იმედგაცრუებული რჩება; იგი ვერ გრძნობს რეალურ ვითარებას და კვლავ «დიდი სიყვარულის» ძებნას განაგრძობს; ამიტომ ისტერიული ადამიანები ხშირად შორდებიან პარტნიორებს და ახალ ურთიერთობებს იწყებენ. მაგრამ იმის გამო, რომ ახალმა პარტნიორმა ისტერიულ პიროვნებას ძველი იმედგაცრუება უნდა დაავიწყოს, ეს უკანასკნელი მას დიდ მოთხოვნებს უყენებს, რაც ამ ურთიერთობას ჩანასახშივე საეჭვოს ხდის.

მოპირდაპირე სქესთან დაკავშირებულ პირველ შთაბეჭდილებებს ყოველთვის ჩვენს მშობლებთან და და-ძმებთან ვაკავშირებთ. მშობლების ურთიერთობა ერთმანეთთან თუ გარესამყაროსთან, ჩვენი და-ძმების ქცევებისგან მიღებული გამოცდილება გვიქმნის პარტნიორთან, სიყვარულთან და სექსუალობასთან დაკავშირებულ მოლოდინებს.

ბედნიერება იქნებოდა, თუ ჩვენი მშობლები ისე გვეყვარებოდა, რომ მათ არ გავაიდებალვდით, ან თუნდაც შევიბრალებდით და შევიძულვდით კიდეც; რომ შეგვძლებოდა მათი აზრების, დარდის, ზრუნვისა და სიხარულის გაზიარება, მათი თანადგომა და გაგება, უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნებოდა, შესაფერისი პარტნიორი გვეპოვა და, იმავდროულად, ჩვენი საკუთარი პარტნიორობის რეალური სახე წარმოგვედგინა. მშობლები ხშირად ფიქრობენ, რომ შვილს საკუთარი უპირატესობა და შეუმცდარობა უნდა დაუმტკიცონ და მის წინაშე იდეალური წყვილის როლი გაითამაშონ, მაშინ როდესაც ამის მიღმა სულ სხვა ურთიერთობები იმალება. ასეთი იდეალური ცოლქმრობის შემხედვარე ბავშვი ფიქრობს, რომ თავადაც შეძლებს მომავალში ასე ცხოვრებას. მშობლები, რომლებიც ბავშვს სექსუალური საკითხებისადმი ნორმალურად ვერ განაწყობენ, ამით იმედგაცრუებასა და შიშს იწვევენ მასში და ნეგატიურად მოქმედებენ მომავალ პარტნიორულ ურთიერთობებზე.

ისტერიული პიროვნებების სასიყვარულო ცხოვრებას ისიც ართულებს, რომ მოპირდაპირე სქესთან ურთიერთობის დროს ისინი კვლავ განაგრძობენ საკუთარი თავის იდენტიფიკაციას სხვა ადამიანებთან და ძნელად გამოდიან ამ მდგომარეობიდან. ისტერიის ნიშნები ბავშვობის პერიოდის ბოლო ფაზაში, დაახლოებით 4-დან 6 წლამდე გამოვლინდება, როდესაც ბავშვი, როგორც ამას მოგვიანებით დავინახავთ, მის თვალწინ არსებულ სურათ-ხატებთან ახდენს საკუთარ იდენტიფიკაციას. ეს თავდაპირველი შთაბეჭდილებები მოგვიანებით ქმნიან წინასწარ განწყობას როგორც საკუთარი, ასევე მოპირდაპირე სქესის მიმართ. შემდგომ ამისა, ორი პრინციპული შესაძლებლობა არსებობს: ერთ შემთხვევაში, ის განწყობა, რომელსაც ადამიანი ბავშვობაში დედ-მამის ან და-ძმის განდიდებითა და გაიდებალებით გამოხატავდა, მას ახლა პარტნიორზე გადააქვს და იგი «საოცნებო მამაკაცის» ან «საოცნებო ქალის» სახით წარმოუდგება. მეორე შემთხვევაში კი, ის ძველი იმედგაცრუება, შიში თუ სიძულვილი, რომელიც ადამიანმა ბავშვობისდროინდელ ურთიერთობაში განიცადა და ვერ გადაამუშავა, მას ახლა, ნეგატიური გამოცდილების სახით, პარტნიორზე გადააქვს; ამის გამო, ადამიანის შემდგომ ურთიერთობებს პარტნიორთან წინასწარ განსაზღვრავს ცრურწმენა და მოლოდინი იმისა, რომ კაცები და ქალები ისეთივენი არიან, როგორებიც მისთვის თავდაპირველად იყვნენ. შემდგომში ისტერიული პიროვნება მამის ან დედის სურათ-ხატის პროეცირებას ახდენს პარტნიორზე, მაგრამ, თუ მასზე ეს პროექცია ისევე მოახდინა, როგორც ამას ძველ სურათ-ხატებზე ახდენდა, ეს ვერ დააკმაყოფილებს ვერც პარტნიორს და ვერც თვით მას, რადგან იგი ძალიან ღრმად არის შეჭრილი იმ ძველი დროის «ვაჟიშვილის» ან «ქალიშვილის» როლში.

ვაჟიშვილი, რომელსაც დედამ იმედები გაუცრუა, შესაძლოა, ქალების მიმართ სიძულვილმა შეიპყროს და, ამ იმედგაცრუების გამო, შური პარტნიორებზე იძიოს; იგი მათ დონ-ჟუანივით აცდუნებს, მერე კი მიატოვებს და ამით დედის ჯავრს მათზე იყრის. მამით იმედგაცრუებული ქალიშვილი ქმარზე შურისძიებას თავისებურად ცდილობს: შესაძლოა, კაცების სიძულვილით ისეთ არაჯეროვან ემანსიპირებულ ქალად ჩამოყალიბდეს, რომელიც სქესთა თანასწორუფლებიანობისთვის იმის გამო კი არ იბრძვის, რომ ამას სამართლიანობისა და საკუთარი ღირსების გრძნობა კარნახობს, არამედ სურს საქმე ისე შეატრიალოს, რომ თანასწორუფლებიანობის მოთხოვნის საფარქვეშ ქალების ბატონობას გაუსვას ხაზი. ხდება ხოლმე, რომ ქალი, მამის ჯიბრზე, თავს იმცირებს მამაკაცებთან («შენ

თუ არ გიყვარვარ, ესე იგი არაფრად ვღირვარ და შემოდღია, ღირსებაშელახულმა ვიარო», – ასეთია ზოგიერთი მეძავის ფსიქოდინამიკური ფონი). ზოგჯერ კი ქალი იმ კირკედ გადაიქცევა, რომელსაც კაცები მხოლოდ სექსისთვის სჭირდებოდა, მერე კი მათ ღორებად გადააქცევდა ხოლმე, როგორც ეს «ოდისეაშია» მოთხრობილი. იგი მათ ატყვევებს, ამცირებს და სექსუალურად იმორჩილებს. ამ ტიპის ქალთან ახლოს დგანან ის პარტნიორები, რომლებიც მამაკაცებს მეტისმეტად დიდ ფიზიკურ, სულიერ და მატერიალურ მოთხოვნებს უყენებენ, აუძღურებენ, «ასაჭურისებენ» და ღირსებას უკარგავენ. ასეთ დემონურ ქალებს ვხვდებით სტრინდბერგის რომანებსა და პიესებში. მოპირდაპირე სქესით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ ან შიშმა, შესაძლოა, ორივე სქესის ადამიანები, ბოლოს და ბოლოს, თანასწორუფლებიანობამდე მიიყვანოს. ასევე ყოველთვის შეიძლება, რომ მამის ან დედის როლი ძმამ ან დამ შეასრულოს.

მოპირდაპირე სქესის პიროვნებებთან ადამიანების პირველი ურთიერთობა ის საყოველთაო ფენომენია, რომელზეც ფრანგები ამბობენ, რომ ისინი «On revient toujours a ses premiers amours»¹⁶.

შემდეგი მაგალითი დაგვანახებს, როგორ არიან დამოკიდებული ისტერიული ადამიანები ადრინდელ პიროვნულ ურთიერთობებზე, თავიანთ «ოჯახურ რომანებზე», როდესაც ხშირად «სამკუთხედის ურთიერთობას» ქმნიან. ამ დროს ისინი ქვეცნობიერად კვლავ იმ ადგილას ამოყოფენ ხოლმე თავს, რა ადგილიც მშობლებთან ურთიერთობისას ეკავათ, და რასაც ამ წრის დედისერთა შვილებთან ვხვდებით.

ისტერიული პიროვნებები, თითქოს თავისდაუნებურად, განგების ნებით, აღმოჩნდებიან ხოლმე «სამკუთხედის ურთიერთობაში». ისინი ამას ხშირად ბედისწერის ძალას მიაწერენ და ამით ხსნიან იმ ფაქტს, რომ ქალი ან მამაკაცი, რომელიც მათ მოეწონებათ, ყოველთვის უკვე დაკავებულია; სინამდვილეში ისინი უკვე დაკავებულ პარტნიორებს ეძებენ და წინასწარ იციან, რომ ისინი თავისუფლები არ არიან. ამით ისტერიული ადამიანები იმეორებენ იმ ძველ ურთიერთობას, როდესაც ისინი დედის ან მამის მიმართ მეტოქის როლს თამაშობდნენ. მათში ღრმად არის გამჯდარი აზრი, რომ აუცილებლად უნდა ჩაერიონ პარტნიორთა ურთიერთობაში, ერთ-ერთი მათგანი თავისთვის უნდა დაისაკუთრონ, თავისივე სქესის პარტნიორს მეტოქეობა გაუწიონ და დაამარცხოვონ კიდეც. თუმცა ისტერიული პიროვნება თავისუფალ პარტნიორსაც გაურბის, რადგან იცის, რომ ამ დროს საქმე უფრო სერიოზულ ურთიერთობას ეხება. ამ ადამიანების საქციელი რომ ავხსნათ, მათი ცხოვრების ისტორიას უნდა ვიცნობდეთ; ისინი სხვებზე შემდგომ მხოლოდ იმ ცოდვებს გადაიტანენ, რომლებიც მათ მიმართ იქნა ჩადენილი. ისტერიულ ადამიანებს საკუთარ ოჯახში არ ჰქონდათ შესაძლებლობა, თავიანთი ქალური ან მამაკაცური ბუნება ჯანსაღი საშუალებებით განევითარებინათ; ისინი ამ საკითხში ან მთლიანად ოჯახურ გარემოზე იყვნენ დამოკიდებული, ან ვერ ახერხებდნენ გარკვეული სურათხატების შექმნას, რომლებიც საჭირო იყო მათი შემდგომი სქესობრივი როლის შესასრულებლად. ისიც შესაძლებელია, რომ მათთან ამ როლის შესრულებაზე საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკი; სქესობრივმა ინსტინქტმა მათში არასწორი მიმართულება მიიღო, ანდა მამრისა და მდედრის ბუნება მათ მანამდე გაითავისეს, ვიდრე საკუთარი თავის იდენტიფიკაციას მოახდენდნენ. ამრიგად, ამ ადამიანებმა ვერ მოახერხეს საკუთარი თავის შეფასება და სექსუალური როლისთვის შინაგანად მომწიფება, რათა მათში «მამაკაცი» ან «ქალი» განვითარებულიყო.

ისტერიული ადამიანის მთავარ პრობლემად უნდა განვიხილოთ მისი ილუზორული წარმოდგენები ცხოვრებაზე, სიყვარულზე, ქორწინებასა და მოპირდაპირე სქესზე. მას ვერ უყალიბდება ჯანსაღი დამოკიდებულება იმ მზაობის მიმართ, რომელიც პარტნიორის მიმართ უნდა გამოიჩინოს. მერე კი სწორედ ეს ხდება მისი ახალ-ახალი იმედგაცრუებების მიზეზი. ისტერიულმა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს, რომ, პირველ რიგში, იგი ილუზორული განწყობისგან უნდა გათავისუფლდეს და მუდმივად ჰქონდეს ჯანსაღი ურთიერთობა ადამიანებთან ისე, რომ ამ დროს საკუთარ გამორჩენაზე არ ფიქრობდეს, რადგან სწორედ ეს წარმოადგენს მის პრობლემას.

¹⁶ „ყოველთვის უბრუნდება თავიანთ პირველ სიყვარულს“ (ფრანგ.)

ისტერიული ადამიანის ეს თვისება პარტნიორის შერჩევას იმაში ვლინდება, რომ მისთვის ისეთი მატერიალური ფასეულობები და პრესტიჟთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა პარტნიორის თანამდებობა, წოდება, ქონება, ასევე გარეგნობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ხასიათი, თვისებები. ისტერიული პიროვნებები ამ საკითხშიც ბავშვებად რჩებიან; მათ ადვილად აღფრთოვანებთ პარტნიორის გარეგნული მხარეები და ფიქრობენ, რომ ეს საკმარისია ბედნიერი და საამური ცხოვრების მოსაწყობად; მერე კი საკუთარ იმედგაცრუებებში პარტნიორს ადანაშაულებენ. ისტერიულ ადამიანს არასრულფასოვნების შიში, შესაძლოა, თვითდამკვიდრების მანიად გადაექცეს, რომელიც, ნებისმიერი მანიის მსგავსად, ვერასოდეს დაკმაყოფილდება, რადგან იგი «გარეთ» ეძებს იმას, რისი რეალიზაციაც საკუთარ თავში უნდა მოეხდინა: ეს არის ჭეშმარიტი სიყვარულის უნარი, რომელიც თვითშეფასების ჭეშმარიტ გრძნობას ბადებს.

ბუნებრივია, პარტნიორობის დროს განსაკუთრებით პრობლემურია ვითარება, როდესაც ადამიანი საკუთარ ნაკლოვანებათა პროექცირებას სხვაზე ახდენს. ამ საკითხმა, შესაძლოა, დიდი კამათი, დავა გამოიწვიოს იმის თაობაზე, თუ ვინ არის «დამნაშავე»; ამას, როგორც წესი, თან ახლავს ბრალდებები და ტენდენციური, დამახინჯებული ფაქტების «ლოგიკა», რომელსაც მოჰყვება ცილისწამება და ინტრიგა. განსაკუთრებით რთულია ამ დროს ურთიერთობა ისტერიულ და ობსესიურ ადამიანებს შორის, რადგან ისინი სრულიად საპირისპირო ტიპებს წარმოადგენენ. ობსესიური პარტნიორი ცდილობს, რაც შეიძლება, თავშეკავებულად და თანმიმდევრულად დაიცვას საკუთარი პოზიცია, რომელზეც შეუძლია დამაჯერებლად იკამათოს და თავისი სიმართლე დაამტკიცოს. ისტერიული ადამიანი კი მისთვის ჩვეული, გაუგებარი «ლოგიკით» და «ნახტომისებრი» აზროვნებით, რომელსაც შულც-ჰენკე ჭადრაკის დაფაზე მხედრის გადაადგილებას ადარებს, ცდილობს ამ სიტუაციას გაექცეს. იგი აშკარად გრძნობს მეორე ადამიანის განწყობას, რომელიც უშედეგოდ ცდილობს, მიუთითოს იმ გამოუსწორებელ შეცდომაზე, რასაც ისტერიული ადამიანი მთელი თავისი ძალებით ეწინააღმდეგება. თუ პარტნიორი უფრო მოქნილია, იგი ისტერიულ პიროვნებას უკან დასახევ გზას უტოვებს, რის გამოც საქმე ბევრად უკეთ წარიმართება; კუთხეში მიმწყვდევის ნაცვლად, ობსესიური ადამიანი ამ დროს უნდა შეეცადოს, სიტუაციას პარტნიორის თვალთ შეხედოს და იგი მისი განცდებიდან გამომდინარე შეაფასოს.

ისტერიული პიროვნება ინსტინქტურად არიდებს თავს შიზოიდურ პარტნიორებს, რადგან ისინი იოლად ამოიცნობენ მის ბუნებას და არავითარი სურვილი არა აქვთ, მისი პიროვნებით «აღფრთოვანდნენ» და «გუნდრუკი უკმიონ» მას. სამაგიეროდ, ისტერიული ადამიანები სიამოვნებით ირჩევენ პარტნიორებად დეპრესიულ პიროვნებებს, რომლებიც მზად არიან, მათ თავიანთი «აღფრთოვანება» დაუდასტურონ, და სხვა, უფრო მეტი მოთხოვნებიც დაუკმაყოფილონ; მაგრამ ასეთი ურთიერთობა, ჩვეულებრივ, დიდხანს მხოლოდ დეპრესიული პარტნიორის მოთმინების ხარჯზე თუ გასტანს ხოლმე. ისტერიულ პარტნიორებს შორის ურთიერთობები მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ნორმალური, თუ მათში ისტერიული თვისებები ძალიან მკვეთრად არ იჩენს თავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეტოქეობისა და ურთიერთშეჯიბრების სურვილი მათ შორის აუცილებლად საჯილდაო ქვად გადაიქცევა.

მხატვრული ლიტერატურა მდიდარია შესანიშნავად აღწერილი ისტერიული ქალებით. ასეთია, მაგალითად, მოემის «ლუიზე», სკარლეტი მარგარეტ მიჩელის რომანში «ქარწაღებულნი»; პუშკინის თუ ფონტანეს წერილებშიც უმთავრესად ისტერიული პარტნიორი ქალების რთული ხასიათია აღწერილი. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ზღაპარი «ოქროს თევზი და მეზადური».

ისტერიული ადამიანი და აგრესია

აგრესიის სპეციფიკური ფორმა, რომელსაც ბავშვი 4-დან 6-წლამდე დამატებით შეიძენს, არის «მეტოქეობა» და «კონკურენცია». ამასთან, როგორც ეს ნებისმიერი სიახლის დანერგვის დროს ხდება, აქაც შენარჩუნებულია ადრე არსებული აგრესიის ფორმები. ამ შემთხვევაში, «ბრძოლისა» და «მოპოვების» მთავარ აგრესიულ ფორმებთან ერთად, სქესობრივად სპეციფიკურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. აგრესიის ამ ფორმით ადამიანი ცდილობს, დაამტკიცოს საკუთარი ღირებულება და ებრძვის ყველაფერს, რაც ამ უკანასკნელს საფრთხეს შეუქმნის. ამ დროს აგრესია უპირატესად ვლინდება მეტოქესთან ბრძოლის სურვილში და საკუთარი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას ემსახურება.

ზემოაღწერილი ობსესიური პიროვნებისგან განსხვავებით, ისტერიული ადამიანი აგრესიას ხშირად მოხერხებულად, სპონტანურად, ანგარიშმიუცემლად, დაუფიქრებლად გამოავლენს; სამაგიეროდ, ასეთი აგრესია ხანმოკლეა და შურისძიების ხასიათს ატარებს. იგი იმპულსური გამოვლინების სხვადასხვა ხარისხით, თვითნებური და ნაკლებად ობიექტურია.

რაც უფრო ძლიერია ადამიანში ისტერიული თვისებები, მით მეტად მიმართავს იგი აგრესიას პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად; ამ დროს ვხვდებით აგრესიის შერეულ ფორმებს, თვითგანდიდებით დაწყებული და თაღლითობის უკიდურესი ფორმებით დამთავრებული. აღნიშნული აგრესია განსაკუთრებით ძლიერად ვლინდება, თუ საქმე ადამიანის ნარცისისტული ბუნების შეურაცხყოფას ეხება. ამ დროს ადამიანი შეპყრობილია პატივმოყვარეობის დაუცხრომელი სურვილით; იგი ცდილობს, საკუთარი თავი წინა პლანზე წამოსწიოს და «პირველი მევიოლინის» როლში მოგვევლინოს. მისთვის ორივე სქესის ნებისმიერი ადამიანი პოტენციური მეტოქეა, რომელსაც იგი სიამოვნებით გაუსწორდებოდა საკუთარი დიდების მოსაპოვებლად. ისტერიულ ადამიანებთან ხშირად ვხვდებით ე.წ. «იმპონირების» ფორმას, როდესაც მათ სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენა სურთ. ეს სურვილი, შესაძლოა, მით უფრო ძლიერი იყოს, რაც უფრო ნაკლებად თავდაჯერებულია ადამიანი, და რაც უფრო დიდია განსხვავება წარმოსახვასა და რეალობას შორის. თვითკრიტიკისა და თვითკონტროლის ნაკლებობის გამო, აგრესიას ამ შემთხვევაში მეტისმეტად იმპულსური ხასიათი აქვს და მას ადამიანი საკმაოდ გაზვიადებულად გამოხატავს, რაც საერთოდ სჩვევიათ ხოლმე აგრესიულ პიროვნებებს. პარტნიორის წინააღმდეგ აგრესიის დროს ასევე თავს იჩენს განზოგადების ტენდენცია; მაგალითად, «ყველა კაცი ჩვარია», «ყველა ქალი სულელია» და ა.შ.

ისტერიული აგრესია ხშირად ბოხოქარ ქარიშხალს მოგვაგონებს; მაგრამ, თუ შიზოიდური პიროვნება ამგვარ აგრესიას იმ დროს გამოხატავს, როდესაც მას ეგზისტენციალური საფრთხე ემუქრება, ისტერიული ადამიანი მას სიტუაციის დრამატიზებისა და სხვებზე შთაბეჭდილების მოსახდენად იყენებს. იგი ძალიან კმაყოფილია, როდესაც თავისი აგრესიით ადამიანებს შიშის ზარს სცემს, რადგან ფიქრობს, რომ ამით უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს, ვიდრე წინასწარ დაგეგმილი სტრატეგიით. ისტერიული ადამიანისთვის თავდასხმა თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა; შემდგომ კი ისტერიულ აგრესიას შეიძლება «არალოგიკურიც» ვუწოდოთ. ამის მაგალითია შემდეგი შემთხვევა:

ცოლი საშინელი აფექტის მდგომარეობაში ჩავარდა, როდესაც ქმარმა მას ოჯახის მიმართ არხეინი დამოკიდებულების გამო მშვიდად და სამართლიანად უსაყვედურა. ქალი საერთოდ არ დაინტერესებულა ქმრის კონკრეტული შენიშვნით და იგი, თავის მხრივ, საყვედურებით აავსო, რასაც საქმის ვითარებასთან არაფერი ჰქონდა საერთო; ქალმა ამით საქმე თავის სასარგებლოდ «შემოატრიალა» და რეალობიდან გაქცევით უშველა თავს.

საბოლოო ჯამში, შესაძლოა, ისტერიული ადამიანის ამგვარი ქცევა მისი თვითშეფასების მყიფე და ლაბილური გრძნობით იყოს გამოწვეული, რის გამოც იგი, სრულიად უვნებელი კრიტიკისა და მცირე შემოტევების დროსაც კი, თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. რაკი საკუთარ თავთან მის იდენტურობას ძალიან სუსტი საფუძველი გააჩნია, ამიტომ მისი შერყევა ადვილად შეიძლება. ისტერიულ ადამიანში, შესაძლოა, თავმოყვარეობის სულ

მცირე შელახვამაც კი ძლიერი სიძულვილი გამოიწვიოს, რომელშიც აშკარად შეიგრძნობა შიში იმის წინაშე, რომ იგი «სიყვარულის ღირსი არ არის».

ისტერიული აგრესიის განსაკუთრებული ფორმაა «ინტრიგა». ოჯახური წარმოშობის «გადმონაშთი» აქაც შეიძლება დავინახოთ; ადამიანი ამ დროს ქვეცნობიერად კვლავ იმეორებს იმ სიტუაციას, როდესაც იგი მშობლებსა და სავარაუდო და-ძმას შორის იდგა, მათ შორის ურთიერთობებს აგვარებდა და აქეთ-იქით აწყდებოდა, რადგან მას ერთი მშობელი მეორის წინააღმდეგ განაწყობდა ან და-ძმას ერთმანეთს უპირისპირებდა. ამ დროს იგი ოჯახური პრობლემების მოგვარების ობიექტი ხდებოდა და მის ზურგზე გადადიოდა ცოლქმრული კონფლიქტების მთელი სიმძიმე. ასე იქმნება ინტრიგების, ერთმანეთის ლანძღვაგინების, ცილისწამებისა და აშკარა შურისძიების მთელი ქსელი; და თუ ამ ყველაფერს სქესობრივი ნიშნით აღბეჭდილი სიძულვილიც ემატება, მაშინ, შესაძლოა, შურისძიებამ უკიდურესი ფორმები მიიღოს.

ისტერიული აგრესიის დროს ადამიანი სულ უფრო მეტად იჩენს მიდრეკილებას «სცენებისადმი», რომლებშიც იგი ძირითადად «მაყურებელზე» გათვლილ, სამსახიობო ნიჭს ავლენს; ისტერიული აგრესიის გამოსახატავად ხშირად გამოიყენება დაუფარავი აღშფოთება, პათეტიკური ჟესტები და დაუცხრომელი ბრალდებები, თუმცა ისტერიული პიროვნება, როგორც კი დაინახავს, რომ მაყურებელი აღარ ჰყავს, აგრესიის გამოხატვის ამ საშუალებებს აღარ მიმართავს.

მოვიყვანთ იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება სძულდეს მამაკაცები ქალს, რომელიც აშკარად გამოხატული ისტერიული ნიშნებით გამოირჩევა და შურისძიების გრძნობითაც არის შეპყრობილი.

ქმარი იძულებული იყო, ცოლის მოთხოვნა შეესრულებინა და სიგარა ზამთარშიც აივანზე მოეწია, რადგან ქალს სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა, ნერვებს ვერ თოკავდა და სიგარის კვამლს ვერ იტანდა. იგი ქმარს შვილების თანდასწრებით დასცინოდა და მას «პრიმიტივს» ეძახდა, როდესაც კაცი ტელევიზორში ფეხბურთის თამაშს უყურებდა; მოკლედ, ქალი აგდებულ დამოკიდებულებას გამოხატავდა ქმრის ნებისმიერი საქციელის მიმართ, რადგან თავად მის ინტერესებს არ იზიარებდა და მას აშკარად ყველაფერში ჩამორჩებოდა. ქმარი ცოლზე განათლებული იყო და ის წიგნები, რომლებსაც იგი ქალს წასაკითხად ურჩევდა, ამ უკანასკნელს მოსაწყენად ეჩვენებოდა, რადგან მათი შინაარსი არ ესმოდა და არც ცდილობდა გაგებას. ქმრის სექსუალურ სურვილებს ქალი უსამართლო მოთხოვნებად მიიჩნევდა და, რაღაც მიზეზებით, მათ შესრულებას თავს არიდებდა. ამრიგად, ქმარი მის თვალში მხოლოდ უარყოფით შეფასებას იმსახურებდა; ამით იგი ქვეცნობიერად იძიებდა შურს მამაზე, რომელსაც მასზე უფრო განათლებული და ჰკვიანი მისივე და გამორჩეულად უყვარდა. მოვიყვანთ ინტრიგის მოწყობის ერთ მაგალითს:

ჩემთან დიდი ხნის მკურნალობის შემდეგ, ერთმა პაციენტმა მითხრა, რომ იგი ფსიქოთერაპიულ მკურნალობას ადრე ერთ ჩემს კოლეგასთანაც გადიოდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ასე მოეხდინა ჩვენი შედარება, რათა ჩვენ შორის უკეთესი გამოეკვლინა. პაციენტი ჩემს კოლეგას და მისი მკურნალობის მეთოდს უარყოფითად ახასიათებდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, კოლეგას თურმე ჩემზეც იმავეს ეუბნებოდა. ასე რომ არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა, რომ პაციენტი ერთსა და იმავე დროს ორ ადგილას მკურნალობდა. აღმოჩნდა, რომ ახლა იგი ჩვენც ისევე გვაგულიანებდა ერთმანეთის წინააღმდეგ, როგორც ერთ დროს თავის მშობლებთან იქცეოდა. პაციენტი ამით შურს იძიებდა იმის გამო, რომ მშობლები მას ცუდად ექცეოდნენ, შვილს ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებდნენ და ამით ცდილობდნენ ბიჭის თავის მხარეზე გადაბირებას. ამრიგად, პაციენტი ამ შემთხვევაშიც ანალოგიურად მოიქცა, რათა ამჯერად სარგებელი ჩვენგან მიეღო, როგორც ერთ დროს, მშობლებისაგან მიღებული სიკეთით სარგებლობდა. ამასთან იგი მაშინდელივით არც ერთ ჩვენთაგანთან გულწრფელი არ იყო და თერაპიულ მკურნალობას ბოიკოტს ასეთი გზით უცხადებდა.

ცხოვრებისეული სივრცე

რატომ ხდება, რომ ისტერიული ადამიანი ასე ძლიერად განიცდის შიშს აუცილებლობისა და გარდუვალობის წინაშე? რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ, საკუთარი იმპულსებიდან გამომდინარე, ასე ცალმხრივად გამოავლენს ცენტრიდანულ ანუ მიზიდულობის ძალას, რომელიც ცვლილებების იმპულსს წარმოადგენს? თუკი კვლავ შევავლებთ თვალს ამ მდგომარეობის შესაბამის თუ საპირისპირო ფაქტორებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისტერიულ ადამიანს გააჩნია თანდაყოლილი, ემოციური ცხოველმყოფელობა, ქმედითობა და ადამიანებთან ურთიერთობისკენ სპონტანური ლტოლვა, რათა საკუთარი თავი წარმოაჩინოს და შინაგანი განცდები გამოხატოს; ეს არის ადამიანური კონტაქტების აუცილებლობა, ამით გამოწვეული სიხარული, ასევე პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების აშკარა სურვილი. ასეთი განწყობის გამო, ისტერიული ადამიანისთვის მნიშვნელოვანია მეორე ადამიანის თანადგომა და ის სიმპათია, რომელსაც ეს უკანასკნელი მის მიმართ გრძნობს; ეს დადებითად მოქმედებს მის სიცოცხლისუნარიანობასა და ხასიათის თვისებებზე: ისტერიული ადამიანი, თავისი ინტენსიური ქმედებებით, უფრო გულდია და შემწყნარებლური ხდება ცვლილებების მიმართ და თან გარკვეული მომხიბვლელობითაც გამოირჩევა. ასეთ ადამიანებს არ სჩვევიათ მოწყენილობა; მუდმივად მღელვარე სიტუაციების ძიებაში არიან და მათი თანამონაწილენი ხდებიან; თანდაყოლილი მომხიბვლელობის და ხშირად სილამაზის წყალობითაც ისტერიული ადამიანები ადვილად იმსახურებენ სიმპათიას და სიყვარულს, ამიტომ შეჩვეულნი არიან იმ აზრს, რომ, უბრალოდ, ისეთები მოსწონთ, როგორებიც არიან. თუმცა ეს უპირატესობები, შესაძლოა, მათ «დანაელების ხარკად» შემოუბრუნდეთ, რადგან ისტერიული ადამიანები იმ რწმენით ცხოვრობენ, რომ ისინი უნდა უყვარდეთ და ყველას ალაფრთოვანებდნენ, რომ მათ ამისათვის ხელის განძრევაც კი არ სჭირდებათ. ამის გამო ისტერიულ ადამიანებს, მხოლოდ თავიანთი გარეგნობის იმედით, მუდმივად ექმნებათ იმის მოლოდინი, რომ ყველგან და ყოველთვის უპირობოდ უყვართ. რაკი ამგვარი გუნება-განწყობა ისტერიულ პიროვნებას პრობლემებს უქმნის, საჭიროა, იგი გარესამყაროს მხრივ გარკვეულ გავლენებს განიცდიდეს, რაზეც ახლა გვექნება მსჯელობა.

ფსიქოანალიზური გამოკვლევების თანახმად, ისტერიის ნიშნები ადამიანში 4-დან 6-წლამდე ვლინდება. განვითარების ამ ფაზაში ბავშვი პატარაობის ასაკიდან გამოდის და ზრდის პროცესში ერთვება, რათა ამ გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგას. ამ დროისთვის მას უკვე გააჩნია უნარ-ჩვევებისა და ქცევების მდიდარი მარაგი, თუმცა ახლა იგი უკვე ახალი ამოცანების წინაშე დგას: ისტერიული პიროვნება ნელ-ნელა უნდა ეზიაროს მოზრდილთა სამყაროს და გაეცნოს მათი თამაშის წესებს. ადამიანმა განვითარების საწყის ეტაპზე უნდა განსაზღვროს თავისი მომავალი სქესობრივი როლი, რომელიც მისთვის შესაძლებლობების გამოვლინებისა და სხვებთან თანამშრომლობის საწინდარი გახდება. ამასთან, მან უარი უნდა თქვას მისთვის ესოდენ ჩვეულ, ილუზორული სურვილების სამყაროზე, რომლის წყალობითაც მას ექმნება წარმოდგენა საკუთარ უსაზღვრო შესაძლებლობებზე, იმის საპირისპიროდ, რასაც, ჩვეულებრივ, «რეალობას» ვუწოდებთ. ისტერიულმა პიროვნებამ სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით უნდა გააცნობიეროს საკუთარი ნებისა და უნარ-ჩვევების შეზღუდული შესაძლებლობები.

ამრიგად, ამ დროისთვის ისტერიული პიროვნების შინაგანი თუ გარეგნული განცდების სამყარო ნელ-ნელა ფართოვდება, მდიდრდება და ფაქტობრივად უკვე მოიცავს იმ ემოციურ სფეროს, რომელსაც მოზრდილი ადამიანის ცხოვრება გულისხმობს. ბავშვისაგან ახლა უკვე გააზრებულ საქციელს, პასუხისმგებლობას და გონიერებას მოელიან: მოკლედ, ბავშვმა ამ დროისთვის მრავალი თვალსაზრისით უნდა გამოავლინოს რეალობასთან თანაარსებობისა და მისი აღქმის უნარი, რაც ასევე მისი ზრდის პროცესს განეკუთვნება. საკუთარი განვითარების გზაზე საჭირო ნაბიჯების გადასადგმელად ბავშვს შთამბეჭდავი მაგალითები სჭირდება, რომლებსაც იგი მისაბამად გაიხდის; მან წინასწარ უნდა განიცადოს ის, რაც შემდგომ შეიძლება მისი მისწრაფებების საფუძველი გახდეს; ამიტომ მისთვის მიბაძვის ღირსი მხოლოდ მომხიბვლელი და რიგიანი გარესამყარო შეიძლება იყოს. ამ

დროისთვის მშობლები უკვე ახალი მოთხოვნების წინაშე დგანან. მათი შვილი ის პატარა ბავშვი აღარ არის, რომელსაც მშობლები, ლამის არის, ღმერთებად წარმოედგინა. ეს ბავშვი ახლა კრიტიკული თვალთ უყურებს ყველაფერს, დაუცხრომლად ესწრაფვის ცოდნას, სვამს შეკითხვებს და მოელის, რომ უფროსები მას დასაბუთებულ პასუხებს გასცემენ. ბავშვს სურვილი აქვს, რომ იგი პიროვნებად აღიქვან და სიყვარულის ღირსად ცნონ; ამასთან მას, უპირველესად, სურს იცოდეს, რომ თავად მისი სიყვარულიც რაღაცას ნიშნავს და მასაც შეუძლია მშობლებისთვის რაღაც გაიღოს: ბავშვს ამ ასაკში უყალიბდება სქესობრივი განვითარებისთვის დამახასიათებელი ქცევის წესები; იგი ამ წესების გათავისებას ცდილობს და სურს, რომ ამის გამო სერიოზულად აღიქვან. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მშობლები შეგნებულად მიუდგნენ ბავშვის ნებისმიერ საქციელს, რადგან მას სწორედ ახლა სჭირდება ის სანიმუშო სურათ-ხატები, რომლებიც დაეხმარება, ხელისცეცებით შეეცადოს თვითშეფასების ჯანსაღი განცდის, საბოლოო ჯამში კი, საკუთარი იდენტურობის მოპოვებას.

ისტერიულ პიროვნებებს სწორედ ამ დროს აკლიათ ის თანადგომა და ხელმძღვანელობა, რაც ესოდენ საჭირო წინარე სურათ-ხატების შექმნაში დაეხმარებათ. იმისათვის, რომ ადამიანი ბავშვობის ასაკს გასცდეს, ცხოვრება რეალურად აღიქვას, ბავშვური ქცევები მოიშალოს, პასუხისმგებლობის აუცილებლობა შეიგრძნოს და ცხოვრებისეულ სიძნელეებს შეეჭიდოს, გარესამყარომ ისეთი წესრიგი უნდა შეუქმნას, რომელშიც მის არსებობას აზრი ექნება. თუ მშობლები მოინდომებენ, რომ ბავშვი ისეთი გახადონ, როგორებიც თავად არიან, ამ შემთხვევაში ბავშვსაც უნდა გაუჩნდეს მათთან იდენტურობის სურვილი. ამ დროს იგი გამოავლენს მზაობას, დათმოს ადრინდელი თავისუფლება და ხელი აიღოს ბავშვურ ჩვევებზე. მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წარმოაჩინოს თავისი ასაკისათვის შესაფერისი უნარ-ჩვევები და სპეციფიკური სქესობრივი ნიშნები, რათა ახალი ამოცანების შესრულებისას სიხარულის, სიამაყისა და თვითშეფასების ჯანსაღი განცდა დაეუფლოს.

ახლა წარმოვიდგინოთ ის ბრწყინვალე თუ ქაოტური გარესამყარო, სადაც დღეისათვის განიკითხავენ იმას, რაზეც ხვალ არათუ თვალს დახუჭავენ, არამედ აღიარებენ კიდევ: გარემო, რომელშიც ბავშვს გამუდმებით პატარა, სულელ და უმნიშვნელო არსებად აღიქვამენ, მის შეკითხვებს სერიოზულად და გულწრფელად არ პასუხობენ. ის მშობლებიც გავიხსენოთ, ბავშვის თანდასწრებით საშინელ სცენებს რომ აწყობენ, ერთმანეთთან ურთიერთობებს არკვევენ, რადგან ფიქრობენ, რომ მათ შვილს ჯერ არაფერი ესმის და ამიტომ საჭირო არ არის მასთან თავის შეკავება. თუმცა იგივე მშობლები ბავშვისგან მოითხოვენ, რომ იგი გონივრულად მოიქცეს და თუ მოზარდი მშობლების საქციელს მიბაძავს, მას ამისთვის კიცხავენ და ვერც კი ხვდებიან, რატომ იქცევა იგი ასე. გამოდის, რომ ის, რაც მშობლებისთვის ჩვეულებრივი საქციელია, ბავშვს თავხედობად ეთვლება და ამისათვის უნდა დაისაჯოს, თანახმად გამოთქმისა: «quod licet jovi, non licet bovi»¹⁷.

ამრიგად, ბავშვისთვის მცდარ ორიენტირს ის ქაოტური, წინააღმდეგობრივი და უაზრო გარესამყარო წარმოადგენს, რომელშიც არ არსებობს წესრიგი, ჯანსაღი, წარმმართველი ხელი და სანიმუშო სურათ-ხატები ბავშვის ქცევების ჩამოყალიბებისათვის; ამიტომაც იგი ამ დროს უპასუხისმგებლო ბავშვად დარჩენას ამჯობინებს.

აი, მაგალითი ერთი გოგონას დღიურიდან: «უცნაური თუ იქნები, ყველა ყურადღებას მოგაქცევს. ავად თუ გახდები, დედა მზრუნველობას არ მოგაკლებს; მაგრამ, თუ ჯანმრთელი და «ნორმალური» ხარ, ეს ჩვეულებრივი ამბავია; ამიტომ ეშმაკობა უნდა იხმარო, თავი მოიკატუნო და ადამიანებს ის დაანახო, რის დანახვაც უნდათ. ამრიგად, იყავი მუდამ სახეგაცისკროვნებული, მხიარული და სანიმუშო ბავშვი, რომელიც ყველას სიყვარულით შეჰყურებს. მაშინ შენც ყველასთვის «საყვარელი» იქნები, სამაგიეროდ, მიიღებ იმას, რაც გჭირდება. თუ ადამიანებს ისე ძალიან არ უყვარხარ, რომ შენი სანიმუშო ქცევით მიზანს მიაღწიო, მაშინ მოიქეცი ისე, რომ აიძულო ისინი, შენზე იზრუნონ და ამ გზით გაიტანო შენი. ამიტომ, რაც უფრო ხშირად იავადმყოფებ, მით უფრო მეტად შეგიყვარებენ. კონფლიქტები უფროსებთან გარდამავალ ასაკში დამეწყო. 12 თუ 13 წლისა ვიქნებოდი, სტუმრად დეიდა რომ გვეწვია. მე, როგორც მჩვეოდა, კიბეზე ჩავირბინე და

¹⁷ რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს (ლათ.)

დეიდას გულში ჩავეკარი. «ნუ ხარ ასე ეგზალტირებული!» – დამტუქსა დეიდა. «რას ნიშნავს ეგზალტირებული?» – ვკითხე მე. «აღზნებულს და დაძაბულს ნიშნავს» – მომიგო მან. ახლა კი ნამდვილად აღარაფერი მესმოდა. თუ აქამდე ყოველთვის «საყვარელი ბავშვი» ვიყავი და «სანიმუშოდ» ვიქცეოდი, ახლა ჩემს საქციელს რატომღაც «აღზნებული» და «დაძაბული» უწოდეს. მერე ნელ-ნელა მივხვდი, რომ თურმე ყველა ასაკს ქცევის თავისი კანონები აქვს. ახლა უკვე ვიცოდი, რომ ბავშვს ყველაფერი ეპატიება, მოზარდს უკვე ნაკლებად პატიობენ რამეს, ზრდასრული ადამიანისთვის კი არაფრის პატიება აღარ შეიძლება.

ამჯერად ახალ ხრიკს მივმართე, რადგან ვიცოდი, რომ იგი ყველაზე მეტად ძლიერ სქესთან ურთიერთობაში გამომადგებოდა; ახლა უკვე გულუბრყვილო, უცოდველი და გამოუცდელი გოგონას როლი უნდა მეთამაშა, უზარმაზარი, გულისამაჩუყებლად უმწეო თვალებით რომ შეჰყურებს სამყაროს და მხოლოდ სიკეთეს მოელის მისგან. ღმერთო, რა გულუბრყვილო ვიყავი მანამ, სანამ ერთხელ ჩემმა ნაცნობმა ხანდაზმულმა ქალმა არ მიჩიოდა, ჩემი ეს არაამქვეყნიური გულუბრყვილობა უფრო გამიზნულად გამომეყენებინა. მართლაც, ამის შემდეგ თვით ყველაზე ცნობილი დონ-ჟუანებიც კი ქედს იხრიდნენ ჩემი გულუბრყვილობის წინაშე და ველარ ბედავდნენ ჩემთვის უხამსი წინადადებების შემოთავაზებას. გუშინწინ ჩემი ბავშვობა რომ გავიხსენე, დეიდა მითხრა: «ინტერნატში რომ იყავი, ხანდახან საერთოდ მავიწყდებოდა შენი არსებობა; ყოველთვის ვფიქრობდი, რომ იქ თავს ბედნიერად გრძნობდი, რადგან ძალიან ხალისიან წერილებს იწერებოდი». მაგრამ დედაჩემი ხომ ის ქალი იყო, რომელმაც, «მიწის ქვეშ რა ხდებოდა», ისიც იცოდა! მაშ რატომ დაიბრმავა თავი იმ ჩემი ცენზურაგამოვლილი წერილებით?! დიახ, მას სურდა, ჩემი მავედრებელი წერილების მიუხედავად, ინტერნატში დავეტოვებინე. აი, ასეთ დროს ერთადერთი იარაღი არსებობს: ავადმყოფობა. მეორე გოგონამ კი ასეთი რამ თქვა:

«ასეთი სულელი ადამიანების გარემოცვაში ვიზრდებოდე (ის თავის ოჯახს გულისხმობდა) და გონიერება გამოვიჩინო? არა, ეს ჩემთვის მეტისმეტად მტანჯველი იქნება».

გარემოსადმი ისტერიული ადამიანის დამოკიდებულების მაგალითი:

ოცდაათიოდე წლის მამაკაცმა კლინიკაში მკურნალობა შიშების სიმპტომებით დაიწყო; იგი კინოში გასასვლელთან ახლოს ჯდებოდა, ვერ მგზავრობდა ვერც ჩქარი მატარებლით («იმის გამო, რომ სადგურებს შორის ძალიან დიდი მანძილებია... მემანქანე რომ ვყოფილიყავი, შიში ამიტანდა თუ არა, მატარებელს გავაჩერებდი და გადმოვიდოდი!»), ვერც თვითმფრინავით; მანქანითაც კი, თუ მას ხიდზე უნდა გაევილო (ამ დროს პაციენტი მანქანიდან უნდა გადმოსულიყო და ხიდის მოაჯირის გასწვრივ, ფეხით გაევილო გზა). მას საშინლად ეშინოდა ოთახში მარტო დარჩენისა, რადგან ეგონა, რომ ამ დროს ჭერი თავზე ჩამოექცეოდა. ახალგაზრდა კაცი გრძნობდა, რომ მისი შიშები უსაფუძვლო იყო და ახლა იმის ეშინოდა, არ გაგიჟებულიყო (რადგან მისი ფსიქიურად დაავადებული ძმა კლინიკაში გარდაცვლილიყო).

მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს ამ ახალგაზრდა კაცის ცხოვრებიდან, რათა გასაგები გახდეს მისი შიშების გამომწვევი მიზეზები:

პაციენტი ოჯახში პირველი შვილი იყო, რვა წლის შემდეგ მას ძმა გაუჩნდა, ამიტომ დედა მას მეტისმეტად ანებივრებდა. ბიჭის მამა ობსესიური თვისებების, წესიერი კაცი იყო; ბიუროში მოხელედ მუშაობდა, სამუშაო სახლში მოჰქონდა და მთელი დღეობით თავის ოთახში იკეტებოდა. ამიტომ, ოჯახის წევრები მას მხოლოდ სადილობისას, სუფრასთან თუ ხვდებოდნენ. დედა ბიჭს მამისგან ფარულად ანებივრებდა, ფულს აძლევდა, მისთვის უამრავ ტანსაცმელს ყიდულობდა, სკოლაში უსიამოვნების დროს კი მტკიცე კედელივით იყო აღმართული შვილსა და გარესამყაროს შორის. მამა ვერ ამჩნევდა და არც აინტერესებდა, რა ხდებოდა ოჯახში. ის კი არა, კმაყოფილიც კი იყო, რომ სიმშვიდეს არავინ ურღვევდა. ბავშვობაში ბიჭი ხშირად ავადმყოფობდა, რაც დედას საბაბს აძლევდა, შვილი უფრო მეტად გაეთამაშებინა. ქმარი ცოლზე ბევრად უფროსი და თან ერთობ ჭკუადამჯდარი კაცი იყო, ქალი კი ფიქრობდა, რომ ქორწინებაში არ გაუმართლა; ამის გამო იგი ცხოვრების აზრს მხოლოდ შვილში ხედავდა და მის განებივრებას ყოველნაირად ცდილობდა, რათა მისი სიყვარული მოეპოვებინა. როდესაც ბიჭი წამოიზარდა, მეგობართან

ერთად რომელიღაც შავ ბიზნესში ჩაერთო, ბლომად ფულს შოულობდა, ქალებში დროს ატარებდა და უზრუნველად ცხოვრობდა; მისი შავ-ბნელი საქმეების შესახებ კი მხოლოდ დედამ იცოდა. მამას შვილის საქმიანობაზე არაფერი უნდა გაეგო, რადგან, მისი ხასიათიდან და შეხედულებებიდან გამომდინარე, შვილის საქციელს ნამდვილად არ მოიწონებდა (ეს მეტად წესიერი და პატიოსანი კაცი, თუ ხალხით გაჭედილ ავტობუსში ბილეთის შეძენას ვერ მოახერხებდა, მეორე დღეს ორ ბილეთს ყიდულობდა!). ყმაწვილი ახლა სკოლას ხშირად აცდენდა, ბნელ საქმეებში იყო ჩათრეული და შეიძლებოდა ეს ყველაფერი ყოველ წუთს გამოაშკარავებულიყო. ბიჭი, ამ ორმაგი ცხოვრების გამო, შიშმა შეიპყრო; მამის თვალში ის წესიერი შვილი იყო, მის ზურგს უკან კი თაღლითი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობდა და დედის მფარველობით სარგებლობდა.

ყმაწვილი გულის არეში ტკივილებს უჩიოდა, თავბრუ ეხვეოდა და საშინლად აფორიაქებული იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი თაღლითური ცხოვრება სომატურად ამ სიმპტომებით გამოვლინდა. საკუთარი თავის იდენტიფიკაცია მამასთან მას არანაირად ხიბლავდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მამა ვალდებულება-მოვალეობის კაცი იყო, არამედ იმიტომაც, რომ მასთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა. ყმაწვილი კვირადღეს მამასთან სამუშაო ოთახში შედიოდა, სადაც შესვლის უფლება მხოლოდ მას ჰქონდა. მამა-შვილი ერთმანეთის მოშორებით ჯდებოდა; მამა გაზეთის კითხვას იწყებდა, შვილი კი ილუსტრირებულ ჟურნალს ათვალიერებდა. ისინი ისხდნენ და დუმდნენ, რადგან სათქმელი არაფერი ჰქონდათ და ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდათ. ყმაწვილს საკუთარი მამაც და მისი ცხოვრების წესიც უცნაურად ეჩვენებოდა; დედასთან ერთად იგი ზურგსუკან დასცინოდა კიდევ «მოხუცის» მარტოსულობას და წესიერებას. დედა, რომელიც ძალიან ახალგაზრდა ასაკში ბევრად უფროს კაცს გაჰყოლოდა ცოლად, მთელი ამ წლების განმავლობაში ბავშვობის ასაკს ვერ გასცდენოდა და ქმარს ყველაფერში ეწინააღმდეგებოდა. შვილის წყალობით, ქალი ახლა იმ «დიდებული ცხოვრებით» ცხოვრობდა, რომელზეც ადრე ოცნებობდა; ამიტომაც ვერ შეძლო, შვილი სწორ გზაზე დაეყენებინა და ბნელი საქმიანობისათვის აერიდებინა.

ამრიგად, ყმაწვილმა ცხოვრებაში ვერ იპოვა თავისი გზა და ადგილი: მას ფეხქვეშ მიწა თანდათან ეცლებოდა და საშინელ შიშს შეეპყრო, რადგან გრძნობდა, რომ მალე ყველაფერი თავზე დაემხო (ოთახში ჭერის ჩამონგრევა) ან ფეხქვეშ საყრდენი გამოეცლებოდა (ხიდზე გავლის შიში). ყმაწვილის სხვა შიშები დაკავშირებული იყო იმ სიტუაციებთან, საიდანაც, «თავს ველარ დაიძვრენდა» და მისი «თაღლითური» ცხოვრება გამოაშკარავდებოდა (ტკივილები გულის არეში და თავბრუსხვევა). ამასთან, ყმაწვილს იმის შიშიც სტანჯავდა, რომ შეიძლება გაგიჟებულიყო, რაც, ნაწილობრივ, ფსიქიურად დაავადებულ ძმას უკავშირდებოდა, ნაწილობრივ კი მისი ცნობიერების ყრუ გამომახილი იყო, რომ ეს ყველაფერი ასე დიდხანს ველარ გაგრძელდებოდა.

ისტერიული თვისებების განვითარებას ხელს უწყობს ასევე ე.წ. «ოქროს გალიად» წოდებული საზოგადოება, რომლის წევრებსაც სახელი და პრესტიჟი უფრო აღელვებთ, ვიდრე საკუთარი შვილების ბედი, რომლებსაც გაურკვეველ «პერსონალს» გადაულოცავენ ხოლმე აღსაზრდელად და გამუდმებით შეახსენებენ თავიანთ წარმომავლობას და მშობლების როლს საზოგადოებაში. ამასთან, შვილებს ჩააგონებენ, რომ ამხანაგები კლასში შურის თვალით უყურებენ, რადგან მათ «ყველაფერი აქვთ», ამიტომ, მათი მხრივ უმადურობა იქნება, თუ ისინი «ბედნიერი ბავშვების» როლს არ ითამაშებენ. საბოლოო ჯამში, ეს ადამიანები საკუთარ უბადრუკობას გაუგებარ ზესთამჩენობად წარმოაჩენენ და თავადვე სჯერათ, რომ ნამდვილად შესაშური ცხოვრება აქვთ.

თუ მშობლები მისაბამ სურათ-ხატად ვერ გამოდგებიან, ამ შემთხვევაში შვილს ორი გზა რჩება: იგი მშობლებთან და მათ ვითარს ფასეულობებთან მაინც ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიკაციას, ან მშობლებს სერიოზულად აღარ აღიქვამს და ამის გამო თავს სრულიად მიტოვებულად გრძნობს. უკვე ზრდასრულ ასაკში ეს ადამიანი კვლავ ძველებურად იქცევა, ამ ოპოზიციამში რჩება და არ სურს გახდეს «მშობლებისნაირი», რაც, ბუნებრივია, არ შეიძლება გონივრული აღზრდის შედეგად ჩაითვალოს.

ბავშვი ძნელად ეგუება, როდესაც მშობლები მათი სქესისთვის განკუთვნილ როლებს აღარ ასრულებენ; ამ დროს დედა შარვალში გამოწყობილი დადის, მამა კი «ფლოსტებიან გმირს» თამაშობს. ამ შემთხვევაში «მამაკაცურობისა» და «ქალურობის» დამახინჯებული ფორმები იგულისხმება და არა საზოგადოების მიერ ზუსტად დადგენილი, კონვენციური როლები. «ფლოსტებიანი გმირი» ცოლის მიერ დაშინებული და პატივყრილი მამაკაცია, ხოლო «ვაჟკაცი» ქალი საკუთარი სქესის მიმართ მეტოქეობის გრძნობითაა შეპყრობილი და სძულს არა მხოლოდ მამაკაცურ, არამედ საკუთარ სქესთან დაკავშირებული ნებისმიერი რამ. ბავშვს ამ დროს არ ჰყავს თვალწინ შესაფერისი ნიმუში, რათა შეიცნოს საკუთარი სქესის მნიშვნელობა, რაც, სულ მცირე, აფერხებს მისი განვითარების პროცესს, მოგვიანებით კი პრობლემებს უქმნის მოპირდაპირე სქესთან ურთიერთობაში. მშობლების მხრივ სქესობრივი საკითხისადმი გონივრული მიდგომა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვისათვის, რათა მან შეძლოს და მოახდინოს მისთვის მომხიბლავი «მამობრივ-ვაჟკაცურისა» თუ «დედობრივ-ქალურის» იდენტიფიკაცია საკუთარ თავთან.

საზოგადოებამ უნდა შესთავაზოს მამაკაცსა და ქალს მრავალნაირი შესაძლებლობა, რათა მათ საკუთარ თავზე აიღონ სქესობრივი როლების შესრულება და ამით დაადასტურონ მამაკაცისა და ქალის არსებობის მრავალფეროვნება. ცალმხრივად წარმოდგენა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს «მამაკაცი» ან «ქალი», როგორ უნდა იქცეოდეს თითოეული მათგანი, სათავეს იმ იერარქიული ან იდეოლოგიური ძალების პრეტენზიებში იღებს, რომლებსაც დღესდღეობით ვუპირისპირდებით ამ «როლების» ემანსიპაციისათვის. ეს დაპირისპირება ორივე სქესისთვის განკუთვნილ როლებს ეხება და ბორკილებისაგან მათ გამოხსნას ცდილობს. სხვადასხვა კულტურაში მამრობითი და მდედრობითი სქესის როლების განსხვავებულად განაწილების ფაქტი დაგვანახებს, რომ ამ როლებს დროის ფაქტორი განსაზღვრავს და არა ბიოლოგიური მოცემულობა, როგორც ამას უმთავრესად წარმოვიდგენთ ხოლმე. ყოველი საზოგადოება მამაკაცისა და ქალის ისეთ როლებს ქმნის, როგორც მას სჭირდება, ამას კი უკვე ბავშვის აღზრდის ადრეული პერიოდიდან იწყებს. მარგარეტ მიდს თავის წიგნში «მამაკაცი და ქალი» ამის შთამბეჭდავი მაგალითები მოყავს.

ადამიანში ისტერიული თვისებების განვითარებას ხელს უწყობს ასევე მშობლების წარუმატებელი ქორწინება; ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხებათ დედისერთა შვილებს და იმ ბავშვებს, რომელთაც ერთ-ერთი მშობელი თავისი პარტნიორის შემცვლელად ირჩევს. ამ დროს მშობელი ბავშვს მისი ასაკისთვის შეუფერებელ, მეტისმეტად დიდ მოთხოვნებს უყენებს და იმ როლის შესრულებას აიძულებს, რომლისთვისაც ჯერ მომწიფებული არ არის; გარდა ამისა, იგი ბავშვს ადრევე უსპობს ცხოვრების ლალ პერიოდს და ხელს უწყობს მის ნაადრევ მომწიფებას, რაც არ მოხდებოდა მისი ასაკის შესაფერისი, ნორმალური განვითარების დროს; მაგალითად, როდესაც ვაჟიშვილი ისეთი დედის მანუგეშებელი და მოკავშირე ხდება, რომელსაც მამამ იმედები გაუცრუა. ამ დროს ბავშვი მისი ასაკისთვის შეუფერებელ ამბებს ისმენს, რაც მას მძიმე ტვირთად აწვება. ის ამით ხარკს უხდის ნდობისათვის დედას, როგორც ძალიან ახლობელ და სანდო ადამიანს. დედას კი იგი მამასთან სამტროდ სჭირდება, ცდილობს გაუფუჭოს მასთან ურთიერთობა, რის შედეგადაც შვილი მამას მხოლოდ «დედის თვალთ» უყურებს. ბავშვს არ ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ ორივე მშობელი ერთნაირად უყვარდეს, ორივეს მიმართ ისე გამოხატოს თავისი კეთილგანწყობა, რომ ამ დროს დანაშაულის გრძნობას არ განიცდიდეს. ბავშვის ინფანტილური თვისებების გვერდით მისი ასაკისთვის შეუფერებელი გონიერება იკავებს ადგილს. ამ დროს იგი თითქოს «გადაახტება» მამისაგან საჭირო ახსნა-განმარტებების მიღების მომენტს, რაც შემდგომში ესოდენ მნიშვნელოვანია მამაკაცების წრეში დამკვიდრებისათვის. *Mutatis mutandis*¹⁸ იგივე ეხებათ გოგონებსაც. ამით ბიჭებსაც და გოგონებსაც ართმევენ შესაძლებლობას, ჯანსაღი ურთიერთობა დაამყარონ მოპირდაპირე სქესის მშობელთან.

ამის შედეგად, ის თავსმოხვეული როლი, რომელიც ბავშვის არსს არ შეესაბამება, მას მხოლოდ იძულებით შესასრულებელ ფუნქციას კი არ აკისრებს, არამედ ჭეშმარიტი უსაფრთხოების გრძნობასაც უქრობს. ამასთან, ბავშვს, სხვა თვალსაზრისით, არსებითად ისევ ბავშვივით ეპყრობიან. ამიტომ ამგვარი ორმაგი დამოკიდებულება («ბავშვი უკვე

¹⁸ საჭირო ცვლილებებით (ლათ.)

დიდია», მაგრამ მას მაინც «ბავშვით ეპყრობიან»), მასში დიდ დაბნეულობას იწვევს: უჩნდება არასრულფასოვნების შეგრძნება, რომ იგი მოლოდინებს ვერ ამართლებს, და ამ დროს ვერ აცნობიერებს, რომ მას მეტისმეტად დიდ მოთხოვნებს უყენებენ.

მშობლები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან, რომ ცხოვრებაში მათ ოცნებებს აღსრულება არ ეწერათ, ხშირად ხელს უწყობენ ბავშვში ისტერიული თვისებების ჩამოყალიბებას. ამ დროს ისინი ბავშვს იმ ობიექტად აღიქვამენ, რომლითაც უნდათ მიაღწიონ იმას, რაშიც თავად ხელი მოეცარათ. ასეთი მშობლები ვერ გახდებიან ბავშვისთვის მისაბაძი მაგალითები და სწორი გზით ვერ წარმართავენ მის აღზრდას; ისინი ბავშვს აიძულებენ იმ როლის შესრულებას, რომელიც ხშირად არ შეესაბამება მის მიდრეკილებებს. ასეთი ბავშვისგან უმთავრესად ყალიბდება ისტერიულ-დეპრესიული შერეული, სტრუქტურული ტიპის ადამიანი.

მსგავს შედეგებს ვიღებთ მაშინაც, როდესაც ბავშვს «დედიკოს და მამიკოს ამომავალი მზის» როლს მიაკუთვნებენ ხოლმე. ასეთი ბავშვი ყოველთვის სახეგაბრწყინებელი, მხიარული, ხალისიანი და «მშობლების გულის გამხარებელია». მართალია, ამ თვისებების გამო იგი ყველას ალაფრთოვანებს და საყოველთაო სიყვარულსაც იმსახურებს, მაგრამ ამ დროს მოჩვენებითი ცხოვრებით ცხოვრობს, რის გამოც ასეთი ბავშვი ძალიან გვიან და ძნელად ახერხებს საკუთარ თავთან იდენტიფიკაციას; შესაძლოა, მან ეს როლი თავის მეორე ბუნებად გაიხადოს და ისე შეისისხლხორცოს, რომ სრულიად სხვა ცხოვრებით იცხოვროს. ასეთი ადამიანი, შესაძლოა, მძიმე დეპრესიაში ჩავარდეს და სულიერად დაეცეს, თუ მას ამ როლის შესრულება მოგვიანებით აღარ მოუხდება და ამის საჭიროება აღარ ექნება.

ასევე რთულია ადამიანის ყოფნა ისეთ გარემოში, სადაც საზოგადოების წევრებს, გარკვეული მოსაზრებით, საყოველთაო მოვლენებისაგან შორს უჭირავთ თავი. ასეთ გარემოში გარკვეულწილად რომელიმე სოციალური ფენის ან კოლექტივში არსებული უმცირესობის წარმომადგენელთა ცნობიერება გამოვლინდება ხოლმე. ამ დროს ბავშვი ოჯახში ისეთ განწყობილებებსა და ქცევის წესებს ეზიარება, რომლებიც აქ, მართალია, ტრადიციულად დანერგილია და პატივისცემით სარგებლობს, მაგრამ «გარეთ» მათი აღიარება არ ხდება. ასეთ შემთხვევაში ბავშვი, სკოლაში სწავლის დაწყებისას, ხშირად კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდება ხოლმე: იგი ამისათვის სრულიად მოუმზადებელია და წარმოდგენა არა აქვს, როგორ უნდა მოიქცეს; იმედგაცრუებას გრძნობს გარესამყაროს მიმართ, იპყრობს დაუცველობისა და სირცხვილის გრძნობა და ეუფლება მწარე განცდა იმისა, რომ შინ ნასწავლი გარეთ არ გამოადგება. ამ ფონზე ხშირად ვითარდება ისტერიულ-შიზოიდური ადამიანის შერეული სტრუქტურული ტიპი.

ისტერიული პიროვნებების მთავარ პრობლემას ის წარმოადგენს, რომ ისინი ვერ ახერხებენ საკუთარ თავთან იდენტიფიკაციას, ამბობს უწყობენ მას, საკუთარ თავზე სხვა შემოთავაზებულ ან მიწერილ როლებს იღებენ.

გარდა აქ აღწერილი გარემოებებისა, რომლებიც ხელს უწყობს ისტერიული თვისებების განვითარებას, ასეთი ადამიანის სტრუქტურული ტიპი, შესაძლოა, მკვეთრად გამოხატულ ობსესიურ გარემოშიც ჩამოყალიბდეს, მაგრამ ამას ემატება პროტესტი იმ გაქვავებული, ყველა ცოცხალი იმპულსის გამანადგურებელი აღზრდის წესების მიმართ, რომლებიც ხელს უშლის ამ ასაკში ბავშვის ჯანსაღ სწრაფვას თავისუფლებისაკენ. ოპოზიციაში მყოფი ადამიანი ამ დროს უმძიმეს მდგომარეობაში ვარდება და ნაბან წყალს ბავშვსაც გადააყოლებს ხოლმე. იგი ახლა მხოლოდ მეტისმეტ შეზღუდვებს კი არ უარყოფს, არამედ ამ გამოწვევაში, ნებსით თუ უნებლიეთ, ყველაფერში იმის საწინააღმდეგოს ხედავს, რისი მოლოდინიც მას ადამიანებისაგან ჰქონდა. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ზოგიერთი «ცუდად აღზრდილი» ბავშვი, რომელიც განსაკუთრებით მკაცრ, წესრიგის მოყვარულ ან ავტორიტარულ, შეზღუდულ გარემოში ცხოვრობს. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არა «ნამდვილი», არამედ რეაქტიული ისტერიაა.

ახლა მოკლედ შევეხებით ერთ ისტორიულ ფაქტს: წინათ ისტერიას მხოლოდ ქალებს მიაწერდნენ; ამის მიზეზი თავად ბერძნული სიტყვა «hystera» გახდა, რომელიც «საშვილოსნოს» ნიშნავს. ამან შეიძლება დაგვაფიქროს და ისტერიისა და მისი გამომწვევი მიზეზების გაგებაში დაგვეხმაროს, თუ დავსვამთ კითხვას – უფრო ხშირად მაინცდამაინც

ქალები რატომ ავადდებიან ისტერიით. მაგრამ ამგვარი მიდგომა იმავდროულად სიფრთხილისკენაც მოგვიწოდებს, რათა, მეცნიერების წინაშე ყალბი პატივისცემის გამო, მეცნიერულ აზრებს ბრმად არ ვენდოთ – სწორედ ადამიანთან დაკავშირებით გამოთქმული ეს აზრები ხომ, თავისდაუნებურად, ან, შესაძლოა განზრახ, ტენდენციური აზროვნების შედეგია!

დასავლეთის კულტურაში ქალის ცხოვრება ადრე თითქმის მხოლოდ დიასახლისისა და მეუღლის როლით შემოიფარგლებოდა. საზოგადოება მისი ცხოვრების არსსა და დანიშნულებას მარტო ოჯახურ გარემოში ხედავდა («და იქ მბრძანებლობს კეთილგონიერი დიასახლისი...» – ნათქვამია შილერის «ზარში»¹⁹), – მამაკაცისგან განსხვავებით, რომელსაც თვითგანვითარების უამრავი შესაძლებლობა გააჩნდა. ამის გამო ქალის ურთიერთობა მამაკაცთან სხვა საზომით იზომებოდა და მამაკაცი, თავისი სოციალური როლის წყალობით, მრავალი თვალსაზრისით, უპირატესობით სარგებლობდა. «კაცური საქმე» ყოველთვის ბევრად მეტად ფასობდა, ქალის შრომა კი ნაკლებად ანაზღაურებადი იყო, ამასთან, იგი სამართლებრივად თუ ქონებრივად დაბეჩავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამგვარად, ყოველთვის და ყოველმხრივ დაზარალებულ ქალს განვითარების შესაძლებლობები შეზღუდული ჰქონდა, რადგან მისი სამყარო სახლითა და ოჯახით შემოიფარგლებოდა. იგი მუდმივად მამაკაცისა და საზოგადოების ნება-სურვილზე დადიოდა, საკუთარ სურვილებს უგულებელყოფდა და ცრურწმენების წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. ქალს ძალიან დიდხანს აკნინებდნენ სულიერად, მას საკუთარი სექსუალური ბუნების გამოვლინებაც ეკრძალებოდა.

ამრიგად, ქალის მდგომარეობა პატრიარქატის დროს ერთობ სავალალო იყო. უნდა ითქვას, რომ ასეთ პირობებში «ისტერია» ერთადერთი იარაღი იყო ქალის ხელში, რათა მამაკაცის წინააღმდეგ საკუთარი სურვილები და პრეტენზიები ამ გზით გამოეთქვა, და თან მასზე შურიც ეძია. ასე ვთქვათ, ქალმა ისტერია «გამოიგონა», როგორც ქცევა, რომელსაც წინ ვერაფერი აღუდგებოდა; ამ დროს მამაკაცი მის წინაშე თავს უმწეოდ გრძნობდა და ფარხმალს ყრიდა. ისტერიული ქცევა იმდენად ირაციონალური, ალოგიკური, გაუთვალისწინებელი და მოუხელთებელი იყო, რომ მამაკაცი, თავისი რაციონი და ლოგიკით, მის წინაშე თავს უმწეოდ გრძნობდა. მან არ იცოდა, რატომ ჰქონდა ქალს ასეთი რეაქციები, რა დაავადება სჭირდა, ან რას ნიშნავდა იმ დროს მისი «არ მინდა» და «არ შემძლია».

დრამატული სცენები, სომატური სიმპტომები, სასოწარკვეთილების ნიაღვარი, თვითმკვლელობის მუქარა მამაკაცს საგონებელში აგდებდა, ვერ ხვდებოდა ქალის ზრახვებს და თავს ხშირად დამარცხებულად გრძნობდა. მას ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა – ქალი ნიცშეს მათრახით «მოეთვინიერებინა», რითაც მასთან პარტნიორობასაც ბოლოს მოუღებდა. ქალის «ცოლქმრულ მოვალეობაზე» დაყვანილი სექსუალობა ხშირად ხდებოდა მისი «ფრიგიდულობის» მიზეზი, რის გამოც მთელი პასუხისმგებლობა ისევ და ისევ ქალს ეკისრებოდა. მაგრამ მამაკაცის ამ მკრეხელური თავისუფლების, ძალადობისა და მესაკუთრეობის პრეტენზიის მიღმა, ქალის წინაშე ფრთხილი, ფარული და ღრმა შიში იმალებოდა. ეს მამაკაცის ცხოვრების ის «მეორე მხარეა», რომლის განცდაც მისთვის მით უფრო სახიფათო და შემაშფოთებელია, რაც უფრო ცალმხრივად და გაზვიადებულად ხდება «მამაკაცობის» ფენომენის განსაზღვრა და შეფასება.

ამრიგად, ქვეცნობიერის გენიალურობით, ქალმა «მამაკაცის უპირატესობის» საპირწონედ «ისტერია» აღმოაჩინა, რომელიც მისთვის ერთდროულად თავდაცვისა და შურისძიების საშუალება იყო. შემთხვევითი არ არის, რომ ყავლგასული პატრიარქატის პირობებში ე.წ. «კლასიკური ისტერია» სულ უფრო იშვიათად გვხვდება, რადგან თანასწორუფლებიან და საკუთარ უფლებებში თავდაჯერებულ ქალს აღარ სჭირდება იგი. ისტერიული ქცევების საპირისპიროა რეაქცია პარტნიორისა თუ საზოგადოების ისეთ ქმედებებზე, როგორცაა: ჩაგვრა, ღირსების შელახვა, შეზღუდვები, ძალადობა, უგუნურება და აკვიატებული აზრები. მაგრამ ისტერიის გამოვლინება არ არის დამოკიდებული ადამიანის სქესზე. ამას

¹⁹ იგულისხმება ფრიდრიხ შილერის ლექსი „სიმღერა ზარზე“ (1799წ.)

ადასტურებს ზემოაღწერილი გარემოებები, რომლებიც ისტერიის წარმოშობას და განვითარებას უწყობს ხელს, მაგრამ მას სქესობრივი ნიშნით არ გამოავლენს.

ჩვენ ზოგადად აღვწერთ ისტერიული პიროვნების განვითარების გენეტიკური ფონი, როდესაც საქმე ეხება შიშს რაიმეს დამკვიდრების, გარდუვლობის და აუცილებლობის წინაშე. ისტერიული ადამიანები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ თავისი შესწავლილი ქცევის წესებით მოსალოდნელ წარმატებას ვერ აღწევენ, თუმცა მას მით უფრო მოუთმენლად და დროზე ადრე მოელიან, რაც უფრო ხშირად განიცდიან მარცხს. რაკი საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას ვერ ახერხებენ, ისტერიულ ადამიანებს სულ უფრო მეტად იპყრობს პატივმოყვარეობა, რომლის დაკმაყოფილებასაც ისინი კვლავ არასაკმარისი საშუალებებით ცდილობენ. ასე მიდიან ეს ადამიანები ისტერიულ «ემმაკის წრესთან», რომლის გარღვევაც მხოლოდ თანმიმდევრულად მოპოვებული ცოდნით და უნარ-ჩვევებით თუა შესაძლებელი. ამასთან, გასაგები ხდება, თუ რატომ შეიძლება ასე ადვილად მათი ცდუნება.

ისტერიული ადამიანები მუდმივად უკმაყოფილებას გამოხატავენ, აღზნებულები არიან და ამაღელვებელ სიტუაციებს მიელტვიან, რადგან მათგან რაღაც გამორჩენას ელიან. ისინი ფიქრობენ, რომ ცვლილებები სადღაც, მათ მიღმა უნდა მოხდეს და არა თავად მათში. თუ ისტერიული პიროვნება ამას გააცნობიერებს და აღიარებს, ეს მისი გამოჯანმრთელებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება.

ისტერიული პიროვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჯანმრთელდება, თუ აღარ გაექცევა რეალობას, თანმიმდევრულად აღიარებს და მიიღებს ამ რეალობაში მოქმედ თამაშის წესებს, წესრიგსა და კანონებს, ამასთანავე, გამოავლენს მზაობას თვითშეფასებისა და შემდგომი პიროვნული სიმწიფისადმი. საამისოდ მას სჭირდება გამბედაობა ჭეშმარიტების შესამეცნებლად და უარისსათქმელად საჭირო მზაობა, რისი აღსრულებაც ასევე ყოველი ჩვენთაგანის ხვედრია. მხოლოდ ამ შემთხვევაში წარდება რეალობა მის წინაშე პოზიციური მხარეებით და აგრძნობინებს კმაყოფილებას, რომელსაც იგი იმსახურებს.

საოცარია ის ფაქტი, რომ «ისტერიის» ცნებას ასე ხშირად ხმარობენ უარყოფითი მნიშვნელობით. ობსესიურ, დეპრესიულ თუ შიზოიდურ ადამიანს უფრო ადვილად თანავუგრძნობთ, რადგან მიგვაჩნია, რომ იგი ამ ავადმყოფობით იტანჯება; მაგრამ, როგორც კი სიტყვა ისტერიულ ადამიანზე ჩამოვარდება, ბევრი მასში თითქოს რაღაც მორალურ უპირატესობას ხედავს. შესაძლოა, ეს იმ გავრცელებული აზრის ბრალი იყოს, რომლის თანახმადაც, ისტერიული ადამიანი ცდილობს «მოიავადმყოფოს» თავი, თუმცა, «თუკი მოინდომებს», შეუძლია სრულიად ჯანმრთელად და გონიერად გამოიყურებოდეს. ეს, ალბათ, ჩვენი ძველი ცრურწმენებითაც უნდა აიხსნას, რომლებსაც ადვილად ვერ ველევით.

მაგრამ, როგორც ჩვენ მიერ აღწერილი ავადმყოფობის ისტორიებიდან უკვე გაცხადდა, ისტერია ნამდვილად დაავადებაა, მთელი თავისი განვითარებითა გამოვლინებებით, რომ ისტერიული ადამიანიც სხვა ავადმყოფების მსგავსად იტანჯება. ჩვენს ცრურწმენას, შესაძლოა, ისიც აძლიერებს, რომ გვგონია, თითქოს ისტერიით უფრო ხშირად ცხოვრებით განებივრებული ადამიანები «ავადდებიან», რათა ამით პირადი სარგებელი ნახონ. თუ მათი ცხოვრების ისტორიას გავეცნობით, ჩვენი ამ შეხედულების გადახედვა მოგვიხდება, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ყოველ ჩვენგანს აწუხებს არასაკმარისად გაცნობიერებული წარსული.

ვინც თავისი ცხოვრება წარმატებით იმის გამო ააწყო, რომ მას წარსულში ბედი სწყალობდა, მან, მაღლიერების ნიშნად, მეტი გაგება და შემწყნარებლობა უნდა გამოიჩინოს ნაკლებად ბედნიერი ადამიანების მიმართ.

ისტერიული განცდების მაგალითები

ქალბატონი, რომელიც ჩემთან მიღებაზე მოვიდა, ეჭვობდა, რომ მის 16 წლის ვაჟს ჰომოსექსუალური მიდრეკილებები ჰქონდა. საუბრის დროს იგი აშკარად ცდილობდა, საკუთარი თავი საუკეთესო მხრიდან წარმოეჩინა; ჯერ სკამზე ისე დაჯდა, რომ მისი შესიებული ლოყა თვალშისაცემი არ ყოფილიყო (თან ამის გამო ბოდიში მოიხადა – დღეს დილით კბილი ამოვიღეო), მერე საკუთარი თავის ქებას მოჰყვა და აღნიშნა, რომ ერთობ დიდბუნებოვანი დედა იყო. სამაგიეროდ, ქალი მეუღლის მიმართ საკმაოდ კრიტიკულ შენიშვნებს და საყვედურებს გამოთქვამდა; მერე კი, როცა საუბარი შვილს შეეხო, მათი ოჯახური ცხოვრების შემდეგი დეტალები გამოვლინდა: აღმოჩნდა, რომ ბიჭის დედ-მამას წლების განმავლობაში დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ რაკი საზოგადოებრივ აზრს ანგარიშს უწევდნენ, განქორწინება არც უფიქრიათ. დედა ხშირად დიდხნობით მოგზაურობდა და შვილიც თან დაჰყავდა, რომელსაც ამ დროს თანხმლების როლი ჰქონდა მიჩენილი. ისინი მდიდრულ სასტუმროებში ცხოვრობდნენ და მაშინაც კი ერთ ოთახში ეძინათ, როდესაც ბიჭი გარდამავალ ასაკს გადასცდა. ამ საკმაოდ მომხიბვლელ ქალს ძალიან სიამოვნებდა, როცა ხედავდა, რომ ბიჭი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა დედას, რომელიც მისი თანდასწრებით იხდიდა ან იცვამდა ტანსაცმელს. ქალი გრძნობდა, რომ ბიჭი საშინლად შემცბარი იყო, მაგრამ რაკი სურდა, რომ შვილს იგი გაეღმერთებინა, ამიტომ თავისი საქციელი მართებულად მიაჩნდა. ბიჭს თავსმოხვეული როლი გათავისებული ჰქონდა, მაგრამ საკმარისი იყო, თავისი ნებით ემოქმედა, რომ დედა საყვედურებით ავსებდა. ერთხელ, როცა ბიჭმა სასტუმროს რესტორანში დამოუკიდებლად რაღაც შეუკვთა, დედამ იგი მიმტანის თვალწინ შეახურა და გააფრთხილა, ასე აღარასოდეს მოქცეულიყო. ამრიგად, ქალს ბიჭი იმისთვის სჭირდებოდა, რომ იგი გაეღმერთებინა; მის ხელში შვილი თითქოს რაღაც სათამაშოდ ქცეულიყო, რომელსაც საკუთარი მიზნებისთვის იყენებდა. დედის წყალობით ბიჭს ცუდი ურთიერთობა ჰქონდა მამასთან, რადგან ქალი შვილს მამის წინააღმდეგ განაწყობდა და საშინლად ეჭვიანობდა, თუკი იგი მამის მიმართ გარკვეულ ყურადღებას გამოიჩენდა. მამა, თავის მხრივ, გრძნობდა, რომ შვილს ნელ-ნელა კარგავდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რადგან დედას მასთან შედარებით დიდი უპირატესობა ჰქონდა: იგი შვილთან უმეტეს დროს ატარებდა, მამა კი ბიჭს იშვიათად ხედავდა. ამასთან, მამას არ სურდა, შვილი დედის წინააღმდეგ განეწყობა და თავის მხარეზე ისე გადაეყვანა; ბიჭი კი ფიქრობდა, მამა ასე იმიტომ იქცევა, რომ არ ვუყვარვარო. მისი აზრით, მამა ასეთი საქციელით აღიარებდა თავის დანაშაულს დედის წინაშე და ამიტომ დედა მართალი იყო, როდესაც ბიჭს ეუბნებოდა – ხომ ხედავ, მე რა ძალიან მიყვარხარ, მამაშენი კი არაფრად გაგდებსო.

ამრიგად, როგორც უკვე ვთქვით, ქალი ბიჭს მთლიანად საკუთარი მიზნებისთვის იყენებდა და ვერ ხვდებოდა, რა დიდ დანაშაულს სჩადიოდა მის წინაშე. ქალი ქმარზე შურისძიებას ცდილობდა იმ იმედგაცრუების გამო, რასაც ქორწინების შემდეგ გრძნობდა და რაშიც იგი მხოლოდ ქმარს ადანაშაულებდა; მან ხომ ცოლს მთელი ამ ხნის განმავლობაში «სახარბიელო ვერაფერი შესთავაზა».

დედისერთა მომხიბვლელ გოგონას ერთობ რთულ ოჯახურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება, რადგან დედმამას ერთმანეთთან ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა. პატივმოყვარე დედა შვილს ბოროტად იყენებდა და ოთხი წლის ასაკიდან აიძულებდა, საბავშვო ტანსაცმლის ჩვენებებზე – პოდიუმზე გამოსულიყო. ამ დროს დედა იქვე მახლობლად იჯდა და ბავშვის თითოეულ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდა. გოგონა მუდმივად შიშს განიცდიდა, რადგან იცოდა, რომ დედას მისი არც ერთი მოძრაობა არ გამოეპარებოდა და, როგორც თავად ამბობდა, თავისი ცივი და მკაცრი მზერით შვილის ყოველ «შეცდომას» აღნუსხავდა. თუ ქალს გოგონას გამოსვლა მოეწონებოდა, მას ყველას დასანახად ნაზად კოცნიდა და აქებდა; ამ დროს გარშემომყოფნი დედობრივი სიყვარულის გულისამაჩუყებელი გამოვლინების მოწმენი ხდებოდნენ. მაგრამ, თუ გოგონა პოდიუმზე

გამოსვლის დროს რაიმე შეცდომას დაუშვებდა, დედა მას სახლში წაიყვანდა, კარგად შეახურებდა და მერე დიდხანს ავარჯიშებდა, თან ბავშვს მკაცრად აფრთხილებდა – იცოდე, ასეთი შეცდომა აღარ გაიმეორო.

გოგონა ნელ-ნელა მიხვდა, რომ დედის სიყვარულს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიმსახურებდა, თუ მის მოთხოვნებს უსიტყვოდ შეასრულებდა და იმედს არ გაუცრუებდა; მერე მისთვის ასევე ცხადი გახდა, რომ დედა მის გარეგნობას მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. სხვა ბავშვების შურთან და თან აღტაცებული მზერა, რომელსაც იგი მუდმივად გრძნობდა, გოგონასთვის ვერაფერი ნუგეში იყო. მოგვიანებით იგი ცნობილი მოდელი გახდა და დიდ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ნელ-ნელა სიბერის შიშმა შეიპყრო, რადგან გოგონას ცხოვრების არსი, თვითშეფასების განცდა თუ მამაკაცებთან ურთიერთობა მისი სხეულის მომხიბვლელობას ემყარებოდა. აქედან გამომდინარე, იგი არ უჩიოდა «თავგადასავლების» ნაკლებობას, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა, რადგან გაურკვეველ გრძნობებს აყოლილი გოგონა ისევ და ისევ დიდ სიყვარულზე ოცნებობდა. იგი ფიქრობდა: 30 წელს რომ გადასცდებოდა, მისთვის ცხოვრება აზრს დაკარგავდა. გოგონას მძიმე დეპრესია ეწყებოდა, წონაში ოდნავ მაინც თუ მოიმატებდა. მის წონას დედა მკაცრად აკონტროლებდა და დაუნდობლად შეახსენებდა, რომ მისი საბაზრო ღირებულება ნელ-ნელა ეცემოდა. იგი ცდილობდა, გოგონას ურთიერთობა შეძლებულ მამაკაცებთან ჰქონოდა, და, მდიდარი სასიძოს მოლოდინში, თავადაც იმედს არ კარგავდა, რომ სიბერეში მასაც უზრუნველი ცხოვრება ექნებოდა. ბოლოს და ბოლოს, როდესაც გოგონამ თავის მოკვლა სცადა, დედამ ფსიქოთერაპევტს მიმართა. აღმოჩნდა, რომ გოგონას ლამაზი ფასადის მიღმა, რომელსაც ბევრი შურის თვალთ შეჰყურებდა, ერთი საცოდავი არსება იმალებოდა.

ცნობილია, რომ გოგონას მსგავს ბედს ამ პროფესიის ბევრი ადამიანი იზიარებს.

ქალბატონი, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ისტერიის ნიშნები ჰქონდა, ცდილობდა, ქმარი მთლიანად საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია. ქალის მშობლების ოჯახშიც ასე ხდებოდა: იქ მამას ყველა აგდებით უყურებდა, რადგან უცნაურ კაცად მიაჩნდათ, თუმცა კი ოჯახს მატერიალურად უზრუნველყოფდა. საერთო ჯამში იგი ყველასთვის მაინც «quantité négligeable»²⁰ იყო. ქალსაც ზუსტად ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა ქმრისადმი, რომელიც მისთვის უმთავრესად გამორჩენის წყარო იყო. მასში ამ აზრის განმტკიცებას ყველანაირად ხელს უწყობდა საკუთარი დედა, რომელთანაც ქალი უმეტეს დროს ატარებდა, ქმარს კი ანგარიშს საერთოდ არ უწევდა. სიდედრი ხშირად აკრიტიკებდა სიძეს, რადგან ფიქრობდა, რომ მისი ქალიშვილი «უკეთეს ქმარს იმსახურებდა». სიძე მასწავლებლად მუშაობდა, საზოგადოებაში «მყარი» მდგომარეობა ეკავა და სიბერეში პენსიითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა; მაგრამ, რაკი მისი გამდიდრების არავითარი იმედი არ არსებობდა, დედა ქალიშვილს აგულიანებდა, რაც შეიძლება, მეტი ფული დაეცინცლა ქმრისათვის, რათა მომავალი უზრუნველყო. ქალი გართობას და დროსტარებას არ იკლებდა, ქმარი მიგდებული ჰყავდა და შვილის ყოლაზეც უარს აცხადებდა. მისი თქმით, ქმარი იმითაც ბედნიერი უნდა ყოფილიყო, რომ შეეძლო ასეთი მომხიბვლელი და სასურველი არსება ჰყოლოდა გვერდით. პირველ ხანებში ქმარი შემწყნარებლურად უყურებდა ქალის ჭირვეულ ხასიათს, იმედოვნებდა, რომ შვილის გაჩენის შემდეგ იგი შეიცვლებოდა. მაგრამ დრო გადიოდა და ქალი არ იცვლებოდა, დედას ვერა და ვერ შორდებოდა და მისი ქალიშვილის როლიდან ვერ გამოდიოდა, ცოლი კი საერთოდ არ ეთქმოდა, რადგან ქმართან არაფერი აკავშირებდა; მათ შორის სრული გაუცხოება მომხდარიყო. მერე კი, როდესაც ქმარმა სხვა ქალი გაიჩინა, ცოლმა ყველაფერში დაუყოვნებლივ ქმარი დაადანაშაულა და სალაპარაკოდ მხოლოდ მისი ღალატის ფაქტი გაიხადა. მას აზრადაც არ მოსვლია, თავის საქციელზე დაფიქრებულიყო და საკუთარი თავიც განეკითხა. ასეთ შემთხვევაში იგი ქმარს დაელაპარაკებოდა, შესაძლოა, ცოლ-ქმარს

²⁰ არარაობა (ფრანგ.)

გაეგო ერთმანეთისთვის და აღედგინა ურთიერთობა; მაგრამ ამგვარი რეალობა ქალისგან დიდ ძალისხმევას და საკუთარი დანაშაულის აღიარებას მოითხოვდა, რაც მისთვის სრულიად მიუღებელი იყო. ქალს დედის ოჯახის წეს-ჩვეულებები და შეხედულებები იმდენად ჰქონდა ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ საკუთარი თავის იდენტიფიკაციას მხოლოდ მასთან მიმართებაში ახდენდა.

ცნობილია, რომ ისტერიული პიროვნებები ძნელად ახერხებენ ადრე არსებული ურთიერთობების გაწყვეტას. ამის დასტურად, ოდნავ ვრცლად, კიდევ ერთ შემთხვევას მოვიყვან:

ქ-ნი პ. ერთადერთი ქალიშვილი იყო მშობლებისა, რომლებსაც ერთმანეთში ძალზე დამაბული ურთიერთობა ჰქონდათ. მამა ცნობილი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ ოჯახში საშინელი თავნება და მკაცრი ხასიათით გამოირჩეოდა და, როგორც ქმარს, ნამდვილი დესპოტი ეთქმოდა. გოგონას დედაც ისეთი ოჯახიდან იყო, სადაც მამაკაცები პატრიარქალურ საზოგადოებაში დაწესებული უპირატესი უფლებებით სარგებლობდნენ. ამრიგად, იგი მეშჩანური «კრუხის» ტიპის ქალად ჩამოყალიბდა; ამასთან, საშინლად ჯიუტი ადამიანიც იყო – ებლაუჭებოდა მამის ოჯახიდან გამოყოლილ შეხედულებებს და ცხოვრებაზე თუ ადამიანებზე საკუთარი აზრის გამოთქმა არასოდეს უცდია. მას არავითარი თავდაჯერება არ გააჩნდა და დღენიადაგ «სხვების სამყაროში» ცხოვრობდა. ამ სამყაროში მისთვის პრობლემები არ არსებობდა, რადგან ქალმა ყოველთვის იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ «სხვები».

იგი აღფრთოვანებული იყო თავისი ცნობილი და წარმატებული ქმრით და ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება მისთვის ჰქონდა მინდობილი («ეს ხომ შენ უკეთ გესმის», «ამაში სავსებით გეთანხმები», – ეუბნებოდა იგი ქმარს და, მართლაც, როგორც სანიმუშო მეუღლეს, განა შეეძლო მისგან განსხვავებული აზრი ჰქონოდა?!). რაკი ქალი მთლიანად ქმარს მორჩილებდა, ბუნებრივია, იგი ვერ განვითარდა როგორც პიროვნება და ცოლქმრულ ცხოვრებაშიც ვერ შეიძინა საჭირო გამოცდილება, რაც ქმარს ნაკლებად ანაღვლებდა. ის იმითაც კმაყოფილი იყო, რომ მორჩილი და მზრუნველი ცოლი ჰყავდა, რომელიც აღფრთოვანებული იყო ქმრის პიროვნებით, თავს ევლებოდა და ყოველნაირად ანებივრებდა მას. მაგრამ რაკი ცოლი დამოუკიდებელ პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდა და ქმრის გარეშე არსებობა აღარ შეეძლო, ქალმა მეუღლის თვალში მიმზიდველობა ნელ-ნელა დაკარგა და ამ უკანასკნელმა მალე სხვა ქალებთან გააბა ურთიერთობა. ცოლმა ეს გაიგო, მაგრამ განქორწინება არც უცდია, რადგან იცოდა, რომ დამოუკიდებლად არსებობას ვერ შეძლებდა. თავის მხრივ, სახლიდან წასვლა არც ქმარს აძლევდა ხელს, რადგან იგი დროს მაინც თავის ნებაზე ატარებდა, ოფიციალურად კი ოჯახი ჰქონდა, რომლის მიტოვებაც მის რეპუტაციაზე არასახარბიელოდ იმოქმედებდა. ამ სიტუაციაში ცოლი სრულიად უმწეო აღმოჩნდა; სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, პირველ ხანებში ქმარს საშინელ სცენებს უწყობდა და საყვედურებით ავსებდა, რაც ამ უკანასკნელს კიდევ უფრო აღიზიანებდა. იმედდაკარგული ქალი ამასობაში შვილის გულის მოგებას ცდილობდა, პატარა ბავშვს თავის დარდს და წუხილს უზიარებდა, მერე იმასაც მიაღწია, რომ გოგონამ მამას დედის თვალით დაუწყო ყურება და მასში «ბოროტი ადამიანი» დაინახა. ეს კი საშინელება იყო ბავშვისთვის, რადგან მან ახლა უკვე იცოდა, თუ რა «სასტიკები არიან კაცები». გოგონას, ბუნებრივია, დედის მხარე ეჭირა, რომელიც ყოველთვის მის გვერდით იყო, უვლიდა და ანებივრებდა შვილს; ფიცხი და გაუწონასწორებელი მამა კი შვილისათვის ვერ იცლიდა, რადგან გამუდმებით მოგზაურობდა და ოჯახში იშვიათად ჩნდებოდა.

ამასობაში გოგონა გაიზარდა, მშვენიერი ქალიშვილი დადგა და თავისი სილამაზით მამის ყურადღებაც მიიპყრო, რომელიც შვილს გარეგნობას უქებდა და აშკარად დედაზე წინ აყენებდა. ამ სიტუაციაში შვილი თავს ძალზე უხერხულად გრძნობდა, რადგან მამამ იგი დედის მეტოქედ აქცია, დედა კი ის ადამიანი იყო, რომლის მხარდაჭერაც მას გამუდმებით

სჭირდებოდა. ბავშვს, ერთი მხრივ, სიამოვნებდა მამასთან ურთიერთობა, რომლის წყალობითაც იგი ახლა თვითშეფასების სრულიად ახალ გრძნობას ეზიარა, მეორე მხრივ კი, დედის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა. ქალიშვილი ხედავდა, რომ დედა ქმრის ნებისმიერ მოთხოვნას მორჩილად ასრულებდა, ქმარი კი მას არაფრად აგდებდა და გასართობად წასვლას ან ქალაქში გასეირნებას მხოლოდ შვილს სთავაზობდა. მიუხედავად ამისა, გოგონა ამ დროს ქვეცნობიერად თითქოს საკუთარ გამარჯვებასაც ზეიმობდა; იგი კმაყოფილი იყო, რომ მამა დაისაკუთრა და დედას აჯობა. ახლა მას მხოლოდ ის აშინებდა, დედის სიყვარული არ დაეკარგა, რადგან, მეშხანური აზრების მიუხედავად, იგი მისთვის მაინც დედად რჩებოდა – შვილზე გამუდმებით ზრუნავდა და გოგონას თავისი ალერსიანი, მოსიყვარულე დედის იმედი ყოველთვის შეიძლებოდა ჰქონოდა.

ამ საპირისპირო გრძნობების ურთიერთჭიდილობაში გოგონა საკუთარ თავს აწყდებოდა. მამა მისთვის იმ «დიდ სამყაროს» წარმოადგენდა, რომლის ცხოვრების წესი მას გაურკვეველ მოლოდინს აღუძრავდა. მან ისიც იცოდა, რომ მოკრძალებული დედა ასეთ ცხოვრებას ვერასოდეს შეეგუებოდა – მას ხომ შიში იპყრობდა იმ სამყაროს წინაშე, რომელშიც იგი თავს ვერასოდეს დაიმკვიდრებდა და რომელმაც ქმარი წაართვა.

მერე და მერე საქმე უფრო გართულდა, როდესაც მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ, თუმცა ოფიციალურად არ გაყრილან. მამა საცხოვრებლად დიდ ქალაქში გადავიდა, გოგონა კი დედასთან დარჩა. თუმცა მამის წასვლასთან ერთად, მას ახლა ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს ის «დიდი სამყარო» მისთვის სადღაც შთაინთქა. შვილი უფრო დაუახლოვდა დედას, რომელიც თავისი ცხოვრების აზრს მხოლოდ ქალიშვილში ხედავდა. იგი ანებივრებდა შვილს, თან სინდისზე აგდებდა მას და საყვედურობდა, როდესაც გოგონა სადმე მიდიოდა, დედას მარტო ტოვებდა და საკუთარ ცხოვრებას თავადვე განაგებდა. დედა კი ამ დროს თავისი საქციელით ისევ და ისევ ქმრის მიმართ ჩადენილ შეცდომას იმეორებდა.

რაკი მამამ იმედები გაუცრუა, ახლა გოგონა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გამოეყენებინა დედა. ამით იგი საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ქვეცნობიერად მამასთან ახდენდა და მისი დაკარგვის გამო შურს დედაზე იძიებდა, ტანჯავდა და აწვალავდა მას. ამრიგად, თავისი ცხოვრების წესით, ორივე ქალი ისევ იმ ძველ ურთიერთობებს იმეორებდა, ოღონდ ახლა როლები შეცვლილიყო და მამის როლს უკვე შვილი ასრულებდა. გოგონა მამასავით აკრიტიკებდა და საყვედურობდა დედას, თან ყველანაირად იყენებდა მას – მისი წყალობით საკმაოდ ნებიერად ცხოვრობდა და მის უკმაყოფილებას არად აგდებდა; დედა, თავის მხრივ, იძულებული იყო, აეტანა შვილის უზნეო საქციელი, რადგან მისი დაკარგვისა ეშინოდა.

მამა გოგონას თავისთან, დიდ ქალაქში, იშვიათად, მაგრამ მაინც მიიწვევდა ხოლმე. იგი ძალიან ამაყოფობდა

შვილის სილამაზით, მასთან ერთად სეირნობდა ქუჩაში და კმაყოფილებით ხედავდა, როგორი ინტერესით აყოლებდნენ გოგონას თვალს მამაკაცები. ხანმოკლე სტუმრობის დროს მამა შვილს მეტისმეტად ანებივრებდა: დაჰყავდა მდიდრულ რესტორნებში და ოპერაში, ყიდულობდა ძვირფას ტანსაცმელს და სამკაულებს. მას სურდა, ქალიშვილს დაენახა, თუ რა ბრწყინვალედ ცხოვრობდა, მაშინ როცა მიტოვებულ ცოლ-შვილს მისი გამოგზავნილი ფულით თავი ძლივს გაჰქონდა. მამის ასეთი ცხოვრება კი გოგონას თვალწინ ხანმოკლე დროით გაიელვებდა და სწრაფადვე ქრებოდა – მამა მას ისევ შინ, დედასთან აბრუნებდა, სადაც გაურკვეველი დროით უნდა დალოდებოდა, ხელახლა როდის გაიკიაფებდა უზრუნველი ცხოვრების ბრწყინვალეობა. მანამდე კი გოგონას დედის მეშხანური სამყარო უნდა აეტანა, სადაც მის ახალ ტანსაცმელს, სამკაულებს ყოველგვარი ღირებულება დაკარგული ჰქონდა.

მერე და მერე გოგონას ისეთი პრეტენზიები გაუჩნდა, საკუთარი მცდელობით ვერასდროს რომ ვერ შეისრულებდა. ეს პრეტენზიები მას ცხოვრების მიმართ ჰქონდა და, კაცმა რომ თქვას, მათი გამოთქმა არც ეკრძალებოდა. დიახ, გოგონას ამაში ნამდვილად ვერ გაამტყუნებდი, რადგან მამას, თავისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, შეეძლო ამ პრეტენზიების დაკმაყოფილება, თუ შვილის მიმართ მეტ მზრუნველობას გამოიჩენდა. ცხადია, მაშინ გოგონას ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. დედა მას ყველანაირად ხელს უწყობდა, მისი გულის მოგებას ცდილობდა, რათა შვილს არ მიეტოვებინა და მთლად მარტო არ დარჩენილიყო. ამასთან, დედა სულაც არ იყო დაინტერესებული, რომ შვილს ესწავლა, განათლება მიეღო და რაიმე საქმისთვის მოეკიდა ხელი, რადგან ეს მათ თანაცხოვრებას დაემუქრებოდა. მამა ამასთან დაკავშირებით ასეთი აზრისა იყო: «ჩემს შვილს არ სჭირდება მუშაობა». შვილების მიმართ ასეთ მოსაზრებას ხშირად ის ადამიანები გამოთქვამენ, რომლებმაც ცხოვრებაში წარმატებას საკუთარი ძალისხმევით მიაღწიეს. ისინი ამაცობენ ამ წარმატებით და ფიქრობენ, რომ «შეუძლიათ თავს უფლება მისცენ და საკუთარი ქალიშვილები არ გაუშვან სამუშაოდ, რადგან მათ არა აქვთ ფულის შოვნის საჭიროება». ეს ადამიანები ვერ აცნობიერებენ, რა სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ თვალსაზრისს მათი შვილებისათვის.

თავად გოგონა დიდი ნიჭიერებით არ გამოირჩეოდა და არც რაიმე საქმიანობისადმი ჰქონდა განსაკუთრებული მიდრეკილება. ახლა იგი მშობლებზე შურს იმით იძიებდა, რომ მთლად მათზე დამოკიდებული რჩებოდა. საკუთარ განწყობას ის დაახლოებით ასე გამოხატავდა: «რაკი თქვენი საქციელით ცხოვრება ისე გამირთულეთ, რომ აღარ ვიცი, რა ვიღონო, ახლა კეთილი ინებეთ და სამომავლოდ მაინც იზრუნეთ ჩემზე!» ეს იმას ჰგავს, ერთმა ბიჭმა რატომღაც ნიშნის მოგებით რომ თქვა: «ახია მამაჩემზე, ხელები რომ მეყინება, რატომ არ მიყიდა ხელთათმანები?» ცხადია, ასეთი პირქუში იუმორის მიღმა ხშირად უიმედობა და სასოწარკვეთა იმალება.

ასეთ პირობებში გაიზარდა ქ-ნი პ. როგორც ვთქვით, იგი მომხიბვლელი და პრეტენზიული ქალიშვილი დადგა; გემოვნებით იცვამდა, მამასავით ამპარტავანი იყო, ოღონდ მისი სილაღე და გერგილიანობა არ გამოჰყოლოდა. გოგონამ არ იცოდა შრომის ფასი და მძინარე მზეთუნახავით მუდმივად თავის მხსნელ პრინცს ელოდა, პრინცი კი არსად სჩანდა, რადგან გოგონას მაღალ საზოგადოებაზე ხელი არ მიუწვდებოდა, ჩვეულებრივი მამაკაცები კი «სახარბილოს ვერაფერს სთავაზობდნენ». ბოლოს და ბოლოს, ეს სილამაზით გამორჩეული, ამაყი, პრეტენზიული და თავდაჯერებული გოგონა ისევ იმ პატარა, უმწეო და დედის კალთაზე გამობმულ არსებად დარჩა, რომელსაც სურდა ეს უსუსურობა ამპარტავნული ქცევით შეენიღბა. ასე და ამრიგად, იგი «მაღალი წრიდან» გამოსულ, ოდნავ მეოცნებე ახალგაზრდა ქალის შთაბეჭდილებას ახდენდა, ცხოვრებისეულ საკითხებში კარგად რომ ერკვეოდა.

ამ ცხოვრებისეულ სივრცეში ყოფნისას გოგონას ნელ-ნელა შიში იპყრობდა. დედის დახმარების გარეშე იგი სრულიად უმწეო იყო და ქუჩაში მარტო ვერ გადიოდა. მერე და მერე შიშის ნევროზი საგანგაშო სიმპტომატიკით გამოვლინდა და სომატურადაც იჩინა თავი. გოგონას აჩქარებული გულისცემა და პირღებინების შეგრძნება ჰქონდა, მერე უძილობაც დასჩემდა. დედა შვილს ექიმებთან დაატარებდა და მკურნალობის ანგარიშებს მამას უგზავნიდა, რომელმაც მათ გადახდაზე მალე უარი განაცხადა. გოგონას აშინებდა რეალობა, არ სურდა საკუთარი თავი საქმეში გამოეცადა და რაიმე გადაწყვეტილებები მიეღო.

გოგონა შიშს შეეპყრო, რადგან არ იცოდა, როგორ მოეწყო საკუთარი ცხოვრება, როგორც ეთქვა უარი თავის ბავშვურ, უმწიფარ ქცევებზე. მერე მან ეს ყველაფერი იმ შიშებზე გადაიტანა, რომლებიც ახლა თითქოს მის მაგიერ იხდიდნენ ბოდიშს, რომ გოგონამ სწორედ მათთან გამკლავება ვერ შეძლო: ის ხომ ავად იყო! შიშის ნევროზი ახლა იმაში

ვლინდებოდა, რომ მისთვის ერთადერთი საყრდენი დედა გამხდარიყო, რომელიც შვილსა და გარესამყაროს შორის კედელივით იყო აღმართული და «იცავდა» მას.

დედა ცდილობდა, შვილს არ ეგრძნო იმ მოთხოვნების შედეგად გამოწვეული იმედგაცრუება, რომლებსაც იგი ცხოვრებას წაუყენებდა. ამ მოთხოვნებს გოგონა ოცნებებში წარმოსახავდა, მაგრამ თავად ძალა და უნარი არ გააჩნდა მათ განსახორციელებლად. იგი მშობლებზე შურისძიებას ცდილობდა, ახლა კი «ლეგიტიმური», საპატიო მიზეზი ჰქონდა იმისათვის, რომ გარიდებოდა ყველაფერს, რაც მისთვის არასასიამოვნო და არასასურველი იყო. როგორც ვხედავთ, ეს შემთხვევა ერთობ გამარტივებულად და მოკლედ აღვწერთ, მაგრამ ისტერიის ხელშეწყობი გარემოს პირობებში, ყველა შესაძლებელი ვარიანტის გათვალისწინებით, ამ ვითარებაშიც დავინახავთ იმ დამახასიათებელ ნიშნებს, რომელთა შეჯამებაც ერთხელ კიდევ მოგვიხდება.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც მშობლებს შორის გამწვავებული ურთიერთობის დროს ბავშვი, თან დედისერთა, მისი ასაკისთვის სრულიად შეუსაბამო პირობებში აღმოჩნდა. ამ დროს არ ხდება ბავშვის მიზანდასახული აღზრდა, მას არ გააჩნია თავისი სქესის სანიმუშო ორიენტირი; ბავშვის გარშემო არსებობს სამყარო, რომელიც ნაკლებად უქმნის ჯანსაღი ორიენტირების შესაძლებლობებს. პაციენტი დროგამოშვებით ერთ-ერთ მშობელზეა დამოკიდებული და არა აქვს გარკვეული პროფესია; იგი თავის მომავალთან დაკავშირებით, წარმოსახვაში გამოუხმობს მაცდურ მოლოდინებს, რის გამოც საკუთარი თავის წარუმატებელ იდენტიფიკაციას ახდენს. გოგონას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იყო კონკრეტულად «სინამდვილე». ეს «სინამდვილე» ბრწყინვალე ცხოვრების მოყვარული, ხელგამლილი მამის სამყარო იყო, თუ ეს იყო სამყარო მორჩილი, მოსიყვარულე და დღენიადაგ შვილზე მზრუნველი დედისა? როგორი უნდა ყოფილიყო თავად გოგონა? რა უნდა გამოსულიყო მისგან? მაღალი საზოგადოების ქალი? ჰო, მაგრამ როგორ უნდა მოეხერხებინა ეს? ან, იქნებ, დედა უნდა გამხდარიყო მისთვის მისაბამი მაგალითი? მაგრამ მაშინ ხომ იგი ყოველგვარ ხიბლს მოკლებული და მოსაწყენი ადამიანი იქნებოდა?! მერე რაღა უნდა ექნა, დედა რომ მოუკვდებოდა და სრულიად მარტო დარჩებოდა? გოგონას ამის წარმოდგენაც კი უჭირდა, და, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ქცევებით სტანჯავდა და ყოველნაირად იყენებდა მშობელს, მაინც ცდილობდა, მის მიმართ ალერსიანი ყოფილიყო, რათა დიდხანს ჰყოლოდა გვერდით. ამრიგად, ორივე ქალს გამოუვალა მდგომარეობა ჰქონდა: მათ ერთმანეთი ძალიან სჭირდებოდათ, უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეეძლოთ, ამიტომ ისინი ვერასოდეს დააღწევდნენ თავს ამ მოჯადოებულ წრეს. მოწიფულ ადამიანებად გადაქცევას ისინი მხოლოდ მათი დამცავი ნევროზის წყალობით თუ შეძლებდნენ. ის დაეხმარებოდა, გადაედგათ ცხოვრებაში ის სწორი ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც მათ ასე აშინებდათ. შვილის ავადმყოფობა გახდა საგანგაშო სიგნალი დედისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩენოდა სალი განსჯის უნარი. იგი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. ულრიკეს მშობლებს უკვე ჰყავდათ ორი ქალიშვილი, როდესაც მესამე გოგონა გაუჩნდათ. რაკი მშობლებს ძალიან უნდოდათ ბიჭის დაბადება, იმედგაცრუებულნი, მას ბიჭივით ზრდიდნენ, «ულის»²¹ ეძახდნენ, ბიჭის ტანსაცმელს აცმევდნენ და თმას მოკლედ კრეჭდნენ; თან საკუთარ თავსაც და ბავშვსაც მუდმივად შთააგონებდნენ, რომ იგი ბიჭს ჰგავდა. გოგონასაც სიამოვნებდა ამის მოსმენა. მერე და მერე კი საქმე იქამდე მივიდა, რომ მან მართლა ბიჭად წარმოიდგინა თავი, ქცევებითაც და მიხრა-მოხრითაც ბიჭებს ბაძავდა, მხოლოდ მათთან თამაშობდა და ძალიან ეამაყებოდა, თუ ვინმე ეტყოდა, ისეთი ყოჩალი ხარ, ნებისმიერ ბიჭს მოერევიო. გარდამავალ ასაკში ულრიკე საშინლად შეწუხდა, როდესაც იგრძნო, რომ მასში მეორადმა სასქესო ნიშნებმა იჩინა თავი; მერე კი მისგან ის გოგონა დადგა, ბიჭური ხიბლით რომ გამოირჩევიან ხოლმე, მალე მამაკაცების ყურადღებაც მიიპყრო. რაკი იგი აქამდე ყოველთვის მხოლოდ ბიჭებთან მეგობრობდა, ერთხელ ნაცნობ მამაკაცს მიამიტურად სასეირნოდ გაჰყვა. რაოდენ დიდი იყო გოგონას აღშფოთება, როდესაც კაცმა ისეთი რამ შესთავაზა, რასაც იგი სრულიად არ მოელოდა, მერე კი, შეძრწუნებული, გამოექცა მას.

²¹ გერმანიაში „ული“ შემოკლებული ვარიანტია როგორც ქალის სახელისა - „ულრიკე“, ასევე ვაჟისა „ულრიპი“

ულრიკეს მამა თავის ქალიშვილებს აღმერთებდა. თავად იგი ერთ-ერთი ის «გამომგონებელთაგანი» იყო, რომელიც თავის «დიდ» გამოგონებაზე ამყარებდა მთელ იმედებს. ოჯახი გამუდმებით ელოდა მის წარმატებას; ამასთან, ყველანი თანაუგრძობდნენ საბრალო ნიჭიერ მამას, რომელიც ვერა და ვერ ეღიროსა აღიარებას.

ულრიკე სკოლის წარმოდგენებში მონაწილეობდა და გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა. ახლა, როცა გოგონას სამსახიობო ნიჭი აღმოაჩნდა, მამამ გადაწყვიტა, საკუთარი პატივმოყვარეობა შვილის ხარჯზე დაეკმაყოფილებინა – მისი სურვილით გადაწყდა, რომ ულრიკე მსახიობი გამოსულიყო. გოგონამ თეატრალურ სასწავლებელში დაიწყო სწავლა; მალე, მისდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მართლაც, შესთავაზეს პირველი დიდი როლი, რომელიც მან უფრო იმის გამო მიიღო, რომ მის შესრულებას ულრიკესნაირი გარეგნობის მსახიობი სჭირდებოდა, და მის ნიჭიერებასთან არ იყო დაკავშირებული. ამიტომ გოგონასთვის ეს პირველი და უკანასკნელი როლი გამოდგა. ულრიკეს მამა თეატრებსა და სააგენტოებში მუდმივად გზავნიდა გოგონას ფოტოებს, წერილებს და მათში ქება-დიდებით მოიხსენიებდა მის სამსახიობო ნიჭს. გოგონა რამდენჯერმე, მართლაც, გამოიძახეს გასაუბრებაზე; მაგრამ იქ მისული ულრიკე თავს ორმაგად უხერხულად გრძნობდა: ცალკე მამის წინასწარი ქების, ცალკე კი ამ ქებით გამოწვეული მოლოდინის გამო; საბოლოოდ იგი, ყოველ ჯერზე, ხელმოცარული რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გოგონას სამსახიობო კარიერაზე ოცნება არ შეუწყვეტია, პარალელურად სხვა სამსახურის ძებნას მაინც შეუდგა. აღმოჩნდა, რომ მან საფუძვლიანად არც ერთი საქმე არ იცოდა, ამიტომ სამსახურიდან ან მალევე ითხოვდნენ, ანდა გამოსაცდელ ვადას აძლევდნენ. 25 წლის ასაკში ულრიკემ ფსიქოთერაპიული მკურნალობა დაიწყო, რადგან მტანჯველი შიშით იყო შეპყრობილი (აგორაფობია). გოგონა სახლიდან მარტო ვერ გამოდიოდა, შრომის უნარი სავსებით დაკარგა, რაც მისი სრული უმწიგობის დამადასტურებელი იყო.

ეს შემთხვევა, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მეტყველებს, თუ რა ძნელად პოულობს ცხოვრებაში ქალი თავის ადგილს. ამასთან, იგი ნათელყოფს, რა რთულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვი, როდესაც იძულებულია, შეასრულოს მშობლების სურვილი, მაშინ როცა საამისოდ საჭირო მონაცემები არ გააჩნია.

დამატებითი მოსაზრებები

ისტერიული პიროვნებები ფსევდორეალობაში ცხოვრობენ და ეს მათთან დაკავშირებულ ყველა სფეროში წარმოვაჩინეთ. მათ მთავარ პრობლემას «რეალობა» წარმოადგენს, რომელსაც ისინი საკუთარი «როლების» შესრულებით ირიდებენ თავიდან ამ რეალობიდან გაქცევის დროს.

რელიგია მათთვის, პრაგმატულობიდან გამომდინარე, რწმენის ხასიათს იღებს, ამიტომ არასოდეს ვიცით, ასეთ ადამიანს ეკლესია სჭირდება თუ არა. ამ შემთხვევაში, ისტერიული პიროვნებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ვითარსი სინამდვილე და გარეგნული ფორმების დაცვა; მისთვის სასურველია იმაზე ფიქრი, რომ ადამიანი მონანიებისა და აღსარების გზით გამოისყიდოს ყველა ცოდვას და ახალშობილივით უცოდველი გახდება. იგი უფალს სიამოვნებით მიიჩნევს კეთილ მამად, რომელსაც ის განსაკუთრებით უყვარს, და ეს სიყვარული ოდესმე რაღაცაში აუცილებლად იჩენს თავს. ამ ადამიანების დარწმუნება ძალიან ადვილად შეიძლება დაპირებით, რომ ისინი აუცილებლად განიკურნებიან და ამისათვის არავითარი ძალისხმევა არ დასჭირდებათ. ამის გამო, ისინი ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე რელიგიურ სექტებში: ფსიქოთერაპიული პაციენტები სიამოვნებით თანხმდებიან ჰიპნოზით მკურნალობაზე, რადგან ფიქრობენ, რომ ყველა სიძნელეს საკუთარი ძალისხმევის გარეშე, ერთი ხელის მოსმით გადალახავენ.

ეთიკის საკითხებისადმი ისტერიულ პიროვნებებს ასეთივე გაურკვეველი განწყობა აქვთ. ისინი მზად არიან, ყველაფერი ვიღაცას ან რაღაცას დაუკავშირონ და «განტევის ვაცად» გამოაცხადონ, ოღონდ თავი არაფერში დაიდანაშაულონ. მათ არ გააჩნიათ თვითშეფასებისა და თვითკრიტიკის გრძნობა, რის გამოც კრიტიკული სიტუაციიდან იშვიათად გამოაქვთ გონივრული დასკვნები.

ისტერიული პიროვნებები, საბოლოო ჯამში, მაინც იმ ზოგადადამიანური თვისებების მატარებლები არიან, რომლებიც ჩვენ ყველას, რაღაცა ზომით, გვახასიათებს, რადგან ყველა ჩვენგანმა უნდა გაიაროს ბავშვობისდროინდელი განვითარების ეტაპები, მისთვის დამახასიათებელი მიზნებითა და შიშებით. ჩვენ ასევე ვაცნობიერებთ საკუთარ ნაკლს, ვიცით, როგორ ხდება ჩვენი დანაშაულის სხვებზე პროექცირება განტვირთვის მიზნით – თვით იმ საზოგადოებაშიც კი, სადაც მსგავსი პროექცირება დიდად სახიფათოა.

ასეთი პროექციებისათვის განსაკუთრებით მოსახერხებელია «მტრის ხატის» შექმნა; ამ დროს ადამიანს ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს მტერი იმისთვის უნდა გამოიგონოს, რომ ამით საკუთარი დანაშაულის გრძნობისაგან გათავისუფლდეს. ერები, რელიგიური გაერთიანებები და რასები, როგორც წესი, იმის პროექცირებას ახდენენ, რისი დანახვაც საკუთარ თავში არ სურთ; უზნეო ხელისუფალთა ხელში კი პროექციისადმი ადამიანის ამგვარი მზაობა, შესაძლოა, პოლიტიკური ან იდეოლოგიური მიზნით იქნეს გამოყენებული. ასეთი სახიფათო პროექციები, რომლებიც კონტროლს არ ექვემდებარება, ფსიქოდინამიურ ფონს ქმნის ომების, რასობრივი სიძულვილისა და რელიგიური შუღლის გასაღვივებლად. დამთრგუნველი და დანაშაულებრივი წარსულისგან გათავისუფლება საყოველთაო ადამიანური მოთხოვნილებაა. დეპრესიული პიროვნებისაგან განსხვავებით, რომელიც ყველაფერში თავის თავს ადანაშაულებს, ისტერიული პიროვნება ცდილობს, საკუთარი დანაშაული დაივიწყოს ან საერთოდ უარყოს. შეიძლება დაგვაფიქროს გერმანული ენის თავისებურებამ, რომელიც ერთი და იმავე სიტყვით («Vergehen»), დროის თვალსაზრისით «რაღაცის შეწყვეტას», «გაქრობას» აღნიშნავს, ხოლო ზნეობის თვალსაზრისით – «გადაცდომას» ან «დანაშაულს». ჰოდა, ისმის კითხვა: ქრება კი დროთა განმავლობაში ჩვენ მიერ ჩადენილი დანაშაულის გრძნობა? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი ჩვენთვის ერთობ მომგებიანი იქნებოდა.

მშობლებისა და აღზრდელების როლში ნაწილობრივ ისტერიული ადამიანები აღფრთოვანებას იწვევენ. მათ შთაგონების დიდი ძალა გააჩნიათ, ამიტომ შეუძლიათ ბავშვი დაარწმუნონ, რომ ამქვეყნად ცხოვრება ღირს, რადგან იგი მშვენიერია. ეს ადამიანები თავიანთ გრძნობებს უფრო სპონტანურად ავლენენ, ვიდრე ზომიერად. შვილები ასეთი მშობლებით ამაცობენ და მათ მიმართ აღტაცებას ვერ მალავენ. ამ ადამიანების სახლში ყოველთვის «სტუმართმოყვარეობის ატმოსფერო» სუფევს; ამის გამო ბევრს შურს მათი, რა თქმა უნდა, იმ დრომდე, ვიდრე მიხვდებიან, რა განწყობა იმალება ამის მიღმა. ისტერიული ადამიანების მეტისმეტად რთული სტრუქტურა იმაში იჩენს ხოლმე თავს, რომ ისინი აღზრდის პროცესში ზომიერებას ვერ იცავენ. მათ საქციელში «განებივრება» და რაიმეს «აკრძალვა» ისე ენაცვლება ერთმანეთს, რომ ბავშვს ხშირად უჭირს ორიენტირება; მან არასოდეს იცის ზუსტად, რას მოიმოქმედებენ მშობლები, რადგან ამ დროს მათი საქციელი წუთიერ განწყობაზეა დამოკიდებული და ნაკლებად უკავშირდება ობიექტურ ფაქტებს. ამგვარი «მარტის ამინდის» განწყობა დამაბნეველად და ქაოტურად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე და მასში ხშირად ცრუ მოლოდინებს აღძრავს. თუ მშობლებმა ბავშვს იმედი გაუცრუეს, დანაპირევი არ შეუსრულეს და მოითხოვენ, რომ რაღაცაზე უარი განაცხადოს, მას გაურკვეველ დაპირებებს აძლევენ და მისი ყურადღება შორეულ მომავალზე გადააქვთ, როდესაც ეუბნებიან: «აი, რომ გაიზრდები, მაშინ...» – ამით ცდილობენ, ბავშვს რაღაცაზე ძალით ათქმევინონ უარი, ნაცვლად იმისა, რომ საქმის ვითარება აუხსნან და თავისი საქციელის აუცილებლობა დაუსაბუთონ. ეს ბავშვში აჩენს იმ სახიფათო მოლოდინს, რომ მას სასწაულებრივი მომავალი ელის, რომელსაც ოდესღაც აღსრულება უწერია. ასე უწყობენ მშობლები ხელს ბავშვის ილუზორულ სურვილებსა და წარმოდგენებს, ნაცვლად იმისა, რომ რეალობასთან დაახლოვონ.

ამრიგად, ისინი ბავშვის ცხოვრებას სწორად არ წარმართავენ და მას მცირე გამოცდილებასაც არ აძლევენ, რაც იმის წინაპირობას ქმნის, რომ იგი მოგვიანებით საკუთარი თავით და ცხოვრებით იმედგაცრუებული დარჩეს. შვილები ასეთ მშობლებზე ძალიან მიჯაჭვულნი არიან, მაშინ როდესაც მშობლებს შეუძლიათ ბავშვი ერთი ხელის მოსმით მოიშორონ თავიდან, თუ ფიქრობენ, რომ იგი მძიმე ტვირთად აწვება ან გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ. თუ ბავშვი ცდილობს, მშობლებს საკუთარი აზრები გაუზიაროს, ისინი კი მას ამ დროს ყურადღებას არ აქცევენ, ბავშვი თავს მიტოვებულად გრძნობს და ფიქრობს, რომ მშობლები მხოლოდ ლამაზ სიტყვებს ეუბნებოდნენ, როდესაც სიყვარულს ეფიცებოდნენ. ისტერიული მშობლები ვერ იტანენ და პირად შეურაცხყოფად იღებენ კრიტიკას ბავშვის მხრივ. ისინი, პატივმოყვარეობისა და ეგოიზმის გამო, ძნელად აღიარებენ საკუთარ შეცდომებს ობსესიური ადამიანისგან განსხვავებით, რომელიც ამას ძალაუფლებასა და პერფექციონიზმზე პრეტენზიის მიზეზით არიდებს თავს. თუ ბავშვი ისტერიულ მშობლებს საყვედურს ეუბნება იმის გამო, რომ ანგარიშს არ უწევს მას, მშობლები არასოდეს მიდიან დათმობაზე, ამასთან, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათ შვილისთვის მხოლოდ სიკეთე სურთ და ამისათვის დიდი მსხვერპლიც გაიღეს. შედეგად ბავშვი თავს დამნაშავედ გრძნობს საკუთარი უმადურობის გამო, ნაცვლად იმისა, რომ მშობლების თანაგრძნობით კმაყოფილი დარჩენილიყო.

სახიფათოა ასევე ისტერიული ადამიანების სურვილი, საკუთარი შვილები «თითით საჩვენებელ ბავშვებად» აღზარდონ. მათი აზრით, შვილებმა მშობლებს იმედი არ უნდა გაუცრუონ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სიცოცხლეს აზრი აღარ ექნება. ამიტომ შვილები მხოლოდ მშობლების სახელსა და დიდებაზე უნდა ზრუნავდნენ. საერთოდ, ამ დროს მშობლების მხრივ არსებობს დიდი საფრთხე, რომ შვილს რაღაც როლის შესრულებას დააკისრებენ; ჯერ ერთი, მშობლები ბავშვს ბოროტად იყენებენ, რათა საკუთარი პრეტენზია წარმოაჩინონ, მეორეც, ბავშვმა ახლა მათ თავიანთი განუხორციელებელი ოცნებები უნდა შეუსრულოს. აქ მანეკენის მაგალითი უნდა გავიხსენოთ.

პოლიტიკაში ისტერიული პიროვნებები ხშირად ლიბერალური და რევოლუციური პარტიების წევრები არიან, რადგან, სენსაციების სიყვარულით თუ გაურკვეველი მომავლის

გამო, ასეთსავე გაურკვეველ უკმაყოფილებას და მოლოდინებს გამოხატავენ. შიზოიდებთან შედარებით, ისტერიული ადამიანები მკაცრნი და თანმიმდევრულნი არიან, ხშირად გულუბრყვილოდ სჯერათ პროგრესის, რადგან მხარს უჭერენ ნებისმიერ სიახლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის «ახალი» და «სხვაგვარია». ამ მხრივ, ისინი ობსესიური ადამიანის აშკარა ანტიპოდს წარმოადგენენ, რომელიც ყველაფერ ძველს, როგორც უკვე «ცნობილსა» და «ნაცადს», ისე ებლაუჭება. ისტერიული პიროვნებები თავგამოდებული, გულმხურვალე პოლიტიკოსები და ორატორები არიან, რომლებსაც მხოლოდ დაპირებები ეხერხებათ. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, შეასრულონ წინამძღოლის როლი, ეძებონ ახალი გზები და წარმართონ მოვლენები, ვიდრე სულ პატარა შრომა მაინც გასწიონ საკუთარი იდეების განსახორციელებლად. მაგრამ ისტერიულ პიროვნებებს ადვილად შეუძლიათ ადამიანების ცდუნება, თავიანთი ამომრჩევლების სურვილების ამოცნობა და საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობა. ისინი ცხოვრობენ პრინციპით: «apres moi le déluge» – «ჩემს შემდეგ თუნდაც წარღვნა მოსულა». სრულიადაც არ ადარდებთ, რა მოჰყვება შემდეგ მათ მოქმედებებს. ისტერიული ადამიანები ყველანაირ რისკზე მიდიან, დამარცხების შემთხვევაში კი ყოველთვის ფეხზე დგებიან.

საზოგადოებაში ისტერიული ადამიანები იმ პროფესიებში არიან წარმატებულნი, რომლებიც ადამიანებთან ურთიერთობას მოითხოვს. ისინი მოხერხებულნი არიან და სიტუაციაზე სწრაფად რეაგირებენ, ადამიანებთან კონტაქტს ადვილად ამყარებენ, მათთან საერთო ენის გამონახვა შეუძლიათ და, იმავდროულად, თავიანთი პატივმოყვარეობისა თუ სურვილების დაკმაყოფილებას ცდილობენ. ისტერიულ ადამიანებს ნებისმიერი საქმე ეხერხებათ და ყველგან შეუძლიათ გამოიჩინონ თავი; ცდილობენ ჰქონდეთ წოდებები და მაღალი თანამდებობები, რომლებსაც სიმბოლოების მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ამ წოდებებთან და თანამდებობებთან ახდენენ, მაგრამ, ობსესიური ადამიანის მსგავსად, წოდებისა და თანამდებობის წინაშე ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობენ. ეს მათთვის მხოლოდ შესაძლებლობაა საკუთარი ბრწყინვალე პიროვნების წარმოსაჩენად. ისტერიულ ადამიანებს ორდენები და ტიტულები სწორედ ამიტომ ხიბლავთ; ისინი წარმატებით მუშაობენ ყველა თანამდებობაზე, რომელიც მოითხოვს ადამიანებთან ურთიერთობას და აკმაყოფილებს «საზოგადოებაში მათი ყოფნის» მოთხოვნილებას. ისტერიულ ადამიანებს შორის გვხვდებიან ენამჭევრი ვაჭრები და შთამაგონებელი გამყიდველები, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან ნიჭით – მუშტარს ჩაწოლილი საქონელი ხელსაყრელ ფასებში «შეასაღონ», ანდა ის მყიდველი, რომელსაც მხოლოდ ჰალსტუხის შექმნა უნდოდა, თავიდან ფეხებამდე შემოსილი გაუშვან მაღაზიიდან.

ისტერიული ადამიანები ისეთ ადგილებს ეტანებიან, სადაც შეუძლიათ წარმოაჩინონ თავიანთი მომხიბვლელობა, ფიზიკური უპირატესობა, მოხერხებულობა და სპონტანური მიზანდასახულობა, სადაც საქმე ეხება იმპროვიზაციას, სიურპრიზებს და მოულოდნელ გამარჯვებებს. მათ იზიდავთ ნებისმიერი პროფესია, რომელიც «დიდ სამყაროში» ცხოვრების იმედებს აღუძრავს, ან თუნდაც რაიმეთი დაკავშირებულია ამ სამყაროსთან. ასეთები არიან ფოტომოდელები, მანეკენები და ბიზნესმენები. მათ ასევე იზიდავთ ოქრომჭედლის, დიზაინერის ან სასტუმროს თანამშრომლის საქმიანობა. ისტერიულ პიროვნებას ადამიანური ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე საკითხის საქმიანი მხარე, ამიტომ თავად საქმის წარმატება მთლიანად იმ ადამიანზეა დამოკიდებული, ვისთვისაც ეს საქმე კეთდება. ნიჭიერ ისტერიულ პიროვნებას შეუძლია თავისი გუნება-განწყობა, ხასიათის თვისებები, სურვილები, წარმოსახვის უნარი და სიხარული ხელოვნების დონეზე, უპირველეს ყოვლისა კი, მსახიობის ან მოცეკვავის როლში წარმოაჩინოს.

სიბერე და სიკვდილი ჩვენი ცხოვრების ის უცილობელი და უკანასკნელი რეალობაა, რომელსაც მუდმივად ვერ გაიხანგრძლივებ. ისტერიული პიროვნებები, რომლებსაც არ სჩვევიათ რეალობის აღქმა და აუცილებლობის წინაშე ქედის მოხრა, ცდილობენ, ამ

რეალობაზე, რაც შეიძლება, დიდხანს დახუჭონ თვალი. ისინი არ უარყოფენ, რომ სიბერე და სიკვდილი არსებობს, მაგრამ არსებობს უფრო მეტად სხვებისთვის, ვიდრე კონკრეტულად მათთვის. ამიტომ ისტერიული ადამიანები ცდილობენ, დიდი ხნით შეინარჩუნონ ახალგაზრდობის ილუზია, და სწამდეთ მათ წინაშე მუდმივად არსებული, იმედიანი მომავლისა. ეს ადამიანები განსაკუთრებით წარმატებულად იყენებენ იმ მეთოდებს და პრაქტიკულ გამოცდილებას, რომლებიც მათ ხანგრძლივ ახალგაზრდობას ჰპირდება; მათ უმთავრესად ის მოძღვრებები იზიდავთ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანი კვლავ აგრძელებს სიცოცხლეს.

ისტერიული პიროვნებები საკუთარი სიკვდილის ფაქტს გამორიცხავენ და ამას ხშირად იმით გამოხატავენ, რომ არ ჩქარობენ ანდერძის დაწერას, არ აწესრიგებენ თავიანთ საქმეებს და სიკვდილის შემდეგ ქაოსს ტოვებენ. ისინი, სიკვდილის მოახლოების შიშით, არცთუ იშვიათად, თითქოს, სრულიად სხვა ადამიანებად გარდაიქმნებიან და არაბუნებრივად იქცევიან. მათ საქციელზე გვახსენდება გამოთქმა: «ახალგაზრდა მეძავი სიბერეში პირმოთნე ხდებაო», და ვხვდებით, რომ ისინი ამ დროს რაღაც გამორჩენას მოელოდნენ; ამიტომ ამ ადამიანების ასეთი უეცარი გარდაქმნა ნამდვილად ეჭვს იწვევს. ისტერიულ პიროვნებებს ვერ გაუგიათ, რომ ადამიანი ღირსეულად უნდა ბერდებოდეს; სამაგიეროდ, შესწევთ უნარი, საკუთარი წარსული გაიცისკროვნონ და მოგონებებით იცხოვრონ. ამასთან, ეს წარსული, სურვილისამებრ, გადაასხვაფერონ, მის შუაგულში იტრიალონ და მთავარი როლი შეასრულონ. ზოგი მათგანი იმასაც ახერხებს, რომ სიკვდილი მთელი ბრწყინვალეობით წარმოაჩინოს, ცხოვრების სცენიდან ჩამოსვლა შთამბეჭდავ სანახაობად გადააქციოს და ამ სპექტაკლში მთავარი გმირის როლი შეასრულოს.

ისტერიული პიროვნება უპირატესობას ანიჭებს ხელოვნების დარგებს და, რასაც ამ სფეროში ქმნის, უდავოდ დაამჩნევს ხოლმე კვალს; დროდადრო ავლენს მიდრეკილებას გაურკვეველი ექსპიზიციონიზმისადმი; საკუთარი თავის წარმოჩენის მიზნით, წერს წერილებს და თავის ავტობიოგრაფიას; მრავალფეროვნება, ორიგინალობა და სიცოცხლის ხალისი ისტერიული ადამიანის ხასიათის ძლიერ მხარეს განეკუთვნება; საქმის ფორმალური ნაწილი მისთვის ხშირად არცთუ ისე მნიშვნელოვანია; მას განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს ჰალუცინაციებისადმი, რომლებშიც იმალება ის საფრთხე, რომ ისტერიული პიროვნება მათ ჯანსაღ, ცხოვრებისეულ მიმართულებას კი არ აძლევს, არამედ თავისი ოცნებებისა და სურვილების სამყაროში შეუხმობს, რაც მას სულ უფრო აშორებს რეალობას. ამ დროს მხოლოდ ხელოვანს შეუძლია გამოიჩინოს თავისი შემოქმედებითი ნიჭი.

ისტერიული პიროვნებების სიზმრები მათი სტრუქტურისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ პრობლემას წარმოადგენს და ხშირად სურვილების აღსრულების გულუბრყვილო ფორმით ვლინდება. ეს სიზმრები თავისთავად ილუზორულია; მათში რეალურად არსებული კანონები არ მოქმედებს, მოქმედება იქ ზღაპრული ხდომილებების სახით წარმოჩინდება და პრობლემების გადაჭრა უჩვეულოდ ხდება; მაგალითად, უკიდურესი საფრთხის დროს ადამიანს შეიძლება ფრთები გამოესხას და გაფრინდეს, რადგან ჯადოსნური თვისებები გააჩნია; ან ამ დროს სადღაც სიღრმიდან ზედაპირზე ამოიჭრება *deus ex machina*²² და იხსნის სიტუაციას. შიში სიზმარში ხანდახან ისე თრგუნავს ადამიანს, რომ იგი უეცრად უფსკრულის პირას აღმოჩნდება, რაც გვახსენებს სურათს – «მხედარი ბოდენზეეს თავზე». ისტერიული ადამიანები ხშირად ფერად, ცოცხალი ხდომილებებით აღსავსე, გრძელ სიზმრებს ხედავენ, რომლებიც მოგვიანებით კარგად ახსოვთ. დამახასიათებელია ისიც, რომ რთული სიზმრის ახსნას, რომელიც დიდ ძალისხმევას მოითხოვს, სიზმრის მნახველის ნაცვლად, სხვა ადამიანი კისრულობს.

²² მოულოდნელი მხსნელი (ლათ.)

ახლა შევეცდები, წარმოვადგინო ისტერიული პიროვნებების წრე; იგი იწყება ნაწილობრივ ისტერიული, ჯანმრთელი ადამიანით და მთავრდება იმ სტრუქტურული ტიპით, რომელიც ხასიათდება სუსტი და მძიმე ფსიქიური აშლილობით. ეს წრე დაახლოებით შემდეგნაირად გამოიყურება: ქმედითი, იმპულსური, ხაზგასმით პატივმოყვარე და თავკერძა ადამიანები;

ისტერიული ტიპები, რომელთაც აქვთ საკუთარი პიროვნების აღიარების ნარცისისეული მოთხოვნა და მოვლენების შუაგულში ყოფნის სურვილი; მეტისმეტად პატივმოყვარე ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ სხვებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. ამავე წრეში შედიან ადამიანები, რომელთაც ახასიათებთ «ოჯახურ რომანთან» მიახლოებული ურთიერთობა, ერთი მხრივ, მამასა და ქალიშვილს, მეორე მხრივ კი – დედასა და ვაჟიშვილს შორის; ვითარსი ისტერიული ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავზე მორგებულ როლებს, რეალობიდან გაქცევისა და ავანტიურისტული ქმედებების გასათამაშებლად იყენებენ. არიან ასევე მარადიული «წიწკვები», ყმაწვილკაცები, კაცთმოძულე ქალები და ქალთმოძულე მამაკაცები. ეს უკანასკნელები უარს ამბობენ საკუთარ სქესზე და ხშირად ჰომოსექსუალები ხდებიან. ეს წრე მოიცავს ასევე «დასაჭურისებულ», დესტრუქციულ ქალებს, რომლებიც აშკარა სიძულვილს გამოხატავენ მამაკაცებისადმი, და დონ-ჟუანის ტიპის მამაკაცებს, რომელთაც ქალების მიმართ შურისძიების გრძნობა ამოძრავებთ. ისინი ქმნიან მძიმე ისტერიული დაავადებების სურათს, რომელიც ფობიებით, ფსიქიკური და სომატური სიმპტომატიკით გამოვლინდება, თუმცა ამის დადგენა თვალნათლივ ვერ ხერხდება, თუ არ ჩავთვლით უკიდურეს შემთხვევებს (დამბლის ნიშნები).

ნაწილობრივ ისტერიული ტიპის ჯანმრთელ ადამიანს უყვარს რისკი, ხალისით ასრულებს თავის საქმეს, ყოველთვის მზადაა სიახლეების მისაღებად, მოქნილი, ხალისიანი და ხშირად მომხიბვლელია. ეხერხება იმპროვიზაცია, სიამოვნებით ატარებს ცდებს, კარგი თანამეინახეა და არ სჩვევია მოწყენილობა; მის გარშემო ყოველთვის რაღაც ხდება. უყვარს ახალი საქმეების წამოწყება და დიდ იმედებს ამყარებს ცხოვრებაზე. ასეთი ისტერიული ტიპი ნებისმიერი საქმის დასაწყისში დიდ შესაძლებლობებს და ხიბლს ხედავს, რასაც წიგნის ამ თავში წამძვარებული სიტყვებიც გამოხატავს. ამ ტიპის ისტერიული ადამიანი, თავისი ქმედითი ხასიათის წყალობით, არღვევს ტრადიციებს და ძველ, დახვეწებულ ნორმებს, ფლობს შთაგონების ძალას და იცის, როგორ გამოიყენოს საკუთარი მომხიბვლელიობა. იგი არაფერს აღიქვამს სერიოზულად, გარდა, ალბათ, საკუთარი თავისა, რადგან გაცნობიერებული აქვს ცხოვრების უმთავრესი მოვლენების პირობითობა. ისტერიული ადამიანის ხასიათის ძლიერ მხარეს «იმპულსების გამოვლინება» და «რაღაცის ამოქმედება» წარმოადგენს და არა დაგეგმილი საქმის ხანგრძლივად და მოთმინებით განხორციელება. მაგრამ სწორედ თავისი დაუთმენლობის, ცნობისმოყვარეობისა და წარსულისადმი ზერელე დამოკიდებულების წყალობით, შესწევს უნარი, დაინახოს და შეიცნოს ისეთი რამ, რასაც ვერ ხედავენ სხვა ტიპის ადამიანები.

ამრიგად, ისტერიული ადამიანი თავდაჯერებით და მამაცურად უყურებს ცხოვრებას, რომელიც მისთვის ნაირფერი თავგადასავლებითაა სავსე. ცხოვრების არსი მისთვის იმაში მდგომარეობს, რომ სურს, რაც შეიძლება მრავალფეროვანი, ქმედითი და სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვროს.

დასკვნა

ადამიანი მეორე ადამიანს უფრო ადვილად და სიამოვნებით შეუძლოდა, ყველაფერი რომ სცოდნოდა მასზე; მაშინ სიამაყე და ზესთამჩენობაც აღარ იარსებებდა.

ჰაფეზი

შიშის ოთხი მთავარი ფორმის მიღმა ზოგადადადამიანური პრობლემები დგას, რომლებიც ახსნა-განმარტებას საჭიროებს. ცხოვრებაში ყოველ ჩვენგანს უგრძნია შიში ერთგულების წინაშე; მის საფუძველს წარმოადგენს იმ საფრთხით გამოწვეული გრძნობა, რომელიც ემუქრება ჩვენს არსებობას, პირად ცხოვრებისეულ სივრცეს და ჩვენს მოუწყველეობას; ნებისმიერმა ნდობით აღსავსე გულახდილობამ, კეთილგანწყობამ და სიყვარულმა, შესაძლოა, საფრთხე შეგვიქმნას იმის გამო, რომ ამ დროს დაუცველები და მოწყვლადები ვართ, ჩვენს თავში რაღაც უნდა დავთმოთ და ჩვენი არსებობის რაღაც ნაწილი სხვას გადავცეთ; აქედან გამომდინარე, ერთგულების წინაშე ყოველგვარი შიში «მე»-ს შესაძლო დაკარგვის შიშს უკავშირდება. ნებისმიერ ადამიანს ასევე იპყრობს შიში პიროვნებად ჩამოყალიბების ანუ ინდივიდუალობის წინაშე; ეს შიში სხვადასხვა სახით გამოვლინდება და ზოგადად «სიმარტოვის» შიშს წარმოადგენს, რადგან ნებისმიერი ინდივიდუალობა საყოველთაო, დაფარული მდგომარეობიდან «გამოცალკევებას» ნიშნავს; რაც უფრო მეტად მოვიპოვებთ «თვითობას», მით უფრო აშკარად შევიგრძნობთ ჩვენს მარტოსულობას, რადგან სულ უფრო ძლიერად წარმოჩინდება ინდივიდუუმის იზოლაცია.

ნებისმიერ ადამიანს ასევე თავისებური შიში აქვს წარმავლობის წინაშე. ჩვენ აუცილებლად განვიცდით, როდესაც რაღაც მთავრდება და არსებობას წყვეტს. რაც უფრო მეტად ვეჭიდებით რაღაცას და მის შენარჩუნებას ვცდილობთ, მით უფრო მეტად გვიპყრობს შიში, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება, და, საბოლოოდ, თავს ცვლილების წინაშე შიშის სახით იჩენს.

ნებისმიერ ადამიანს, ბოლოს და ბოლოს, ასევე უჩნდება აუცილებლობისა და სასტიკი გარდუვალობის შიში, რომლის სხვადასხვაგვარი თავჩენის საერთო ნიშანი იქნება შიში წინასწარ განჩინებულობის წინაშე; რაც უფრო მეტად მივილტვით უსაფუძვლო თავისუფლებისა და ანგარიშმიუცემელი ქმედებებისაკენ, მით უფრო უნდა გვაშინებდეს რეალობა, თავისი შედეგებითა და საზღვრებით.

რაკი გვერდს ვერ ავუვლით ჩვენს არსებობასთან დაკავშირებულ დიდ შიშებს, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი განვითარებისა და მომწიფების პროცესში, მათთვის საზღაურის გადახდას პატარ-პატარა, ჩვეულებრივი შიშებით ვცდილობთ; ეს ნევროზული შიშები, შესაძლოა, ყოვლისმომცველი გახდეს და მათი დაძლევა, საბოლოო ჯამში, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ ამის მიღმა არსებულ, კონკრეტულ შიშს გავაცნობიერებთ და მის ახსნას შევეცდებით. ეგზისტენციალური შიშების სხვა ობიექტზე გადატანის, გაუვნებლობის ან მახინჯი გამოვლინების დროს ნევროზული შიშები თითქოს უსაფუძვლოდ გამოიყურება, რადგან ისინი მხოლოდ აწუხებენ და ტანჯავენ ადამიანს; მაგრამ ეს შიშები უკვე განგაშის ნიშანია, რომელიც გვაფრთხილებს, რომ «ჩვენი საქმე კარგად ვერ არის». ამ დროს ვცდილობთ, რაღაცას გავექცეთ, ნაცვლად იმისა, რომ ახსნა მოვუნახოთ იმ უფრო მნიშვნელოვანს, რომელიც გადატანილი შიშის გადაფარვას ცდილობს. პიროვნული მომწიფების გზაზე ადამიანის შეხვედრა დიდ შიშებთან მხოლოდ ნაწილობრივი ასპექტია. მთავარი შიშების გადატანა მათ შემცვლელ ნევროზულ შიშებზე მხოლოდ შემაფერხებლად და დამამუხრუჭებლად კი არ მოქმედებს ადამიანზე, არამედ ჩვენი ცხოვრების იმ მნიშვნელოვან მიზნებსაც ჩამოგვაშორებს, ადამიანურ ყოფას რომ განსაზღვრავს.

ამრიგად, აქ აღწერილი შიშის ძირითადი ფორმების გამოვლენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შიში არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მხოლოდ უკეთურება, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია; უბრალოდ, შიშის ფაქტორის გარეშე ჩვენი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. ყოველთვის, როდესაც ერთ-ერთ ყველაზე დიდ შიშს განვიცდით, ცხოვრების სერიოზული გამოწვევის წინაშე ვდგავართ. შიშის განცდა და მისი დაძლევის

მცდელობა გამარჯვებას ნიშნავს, რომელიც ჩვენი გაძლიერების საწინდარია, ხოლო ამ შიშისგან გაქცევის სურვილი დამარცხებაა, რომელიც ჩვენს სისუსტეს მოასწავებს.

როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, შიშს თავისი ისტორია და განვითარების პერიოდები აქვს. ჩვენი, როგორც ზრდასრული ადამიანების, შიშის მასშტაბი, ინტენსიობა და ობიექტი ისევ და ისევ წინასწარ ყალიბდება და მათ ჩვენი ბავშვობისდროინდელი შიშები განსაზღვრავს. ადამიანს, რომელსაც ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა და ცხოვრებაში ბედის განსაკუთრებული დარტყმები არ განუცდია, იმდენად მაინც შეუძლია მთავარი შიშების გადამუშავება, რომ ამით არ ავადდება, რადგან მან თავისი პიროვნებისთვის სტაბილური ფუნდამენტის შექმნა შეძლო.

მაგრამ ვინც ძალიან ადრე გადაიტანა თავისი ასაკისთვის შეუსაბამო შიშები, ბედის დარტყმები და გარესამყაროსაგან დახმარება ვერ მიიღო, ის შემდგომ უფრო შემაწუხებლად და დამთრგუნველად განიცდის შიშს, რადგან მასში ადრეული პერიოდის გაუაზრებელი შიშების გააქტიურება ხდება. ამ დროს პიროვნებას ფსიქოთერაპია ეხმარება მის ხელთ არსებული საშუალებებით. მაგრამ მძიმე, აუტანელი შიშების დროს, რომელთა მასშტაბიც რეალურად უცნობი რჩება, ადამიანს უკვე ისიც დაეხმარება, თუ გააცნობიერებს, რომ საქმე ნამდვილად ბავშვობისდროინდელ შიშებს ეხება. ამ შიშებს იგი ბავშვობაში უმწეოდ მიენდობოდა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ძალა არ გააჩნდა, მაგრამ ამასობაში საამისოდ ისეთი ძალები მოიკრიბა, როგორცაა ნდობა, იმედი, შეგნება და გამბედაობა.

რილკემ ერთხელ თქვა: «დაე ისე მოხდეს, რომ მან კვლავ განიცადოს თავისი ბავშვობა და კვლავ შეიცნოს ქვეცნობიერი, სასწაულებრივი, უსასრულოდ ბნელი და მდიდარი სამყარო იმ ადრინდელი ბავშვობის წლებისა».

ნამდვილად ღრმააზროვანი სიტყვებია; მაგრამ ისინი ამ სახით, სამწუხაროდ, ბევრ ადამიანს არ ეხება, რადგან მათი ცხოვრების ადრეული წლები უფრო ბნელია, ვიდრე – მდიდარი, უფრო დამთრგუნველია, ვიდრე – უდარდელი, უფრო უიმედოა, ვიდრე – ზღაპრული. თუმცა, შესაძლოა, ადამიანმა ამ ადრეულ წლებშიც იპოვოს ხსნა. ფსიქოთერაპიული მკურნალობის დროს, რომელსაც შემდგომი განვითარების მიზნით ჩაიტარებს, იგი მოახერხებს თავისი წარსულის გააზრებას და, შეძლებისდაგვარად, გათავისუფლდება მის მიერ მიყენებული ტრავმებისაგან. ჩვენი ხასიათის თანმთხვევას იმ გარესამყაროსთან (ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით), რომელთანაც დაბადებიდანვე ვართ შეზრდილები, «განგებას» ვეძახით. ეს «განგება» ჩვენი ბავშვობის პირველივე დღეებიდან იწყებს «მოქმედებას», შემდეგ «გამოკვეთილ სახეს იღებს და ცოცხლად ვითარდება». მაგრამ სწორედ ფსიქოთერაპიამ მოგვცა შესაძლებლობა, გველიარებინა, რომ ზოგიერთი რამ, რასაც ადრე განგების ძალას მივაწერდით და ამიტომ ვეგუებოდით, გარესამყაროს მხრივ ადრეულ წლებში მიყენებული ტრავმის შედეგია და მოგვიანებით მისი აღმოფხვრა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

მნიშვნელოვანია იმაზეც მივუთითოთ, რომ საზოგადოება ადამიანის განვითარების ადრეულ წლებში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ადრე ამ როლის უგულებელყოფა იმის გამო არ ხდებოდა, რომ მის მნიშვნელობას აკნინებდნენ; უბრალოდ, ეს იყო შედეგი იმ მდგომარეობისა, როდესაც მშობლები ბავშვის განვითარების ადრეულ წლებში, მასთან ურთიერთობისას, მთავარი პიროვნებები იყვნენ. ბავშვებზე სოციოფსიქოლოგიური გავლენების მნიშვნელობას, უპირველეს ყოვლისა, ის დამოკიდებულება განსაზღვრავს, რომელსაც მათი მშობლები გამოხატავენ საზოგადოების, ავტორიტეტების, შრომის, რელიგიისა და სექსუალობის მიმართ; ამიტომ გადაცდომები, რომლებსაც მშობლები ბავშვის აღზრდაში უშვებენ, კრიტიკის საფუძველს, გარკვეულწილად, საზოგადოების მიმართაც იძლევიან; ამ დროს მშობლები შვილებს იმ კოლექტივის, სოციალური ფენის ან გაბატონებული იდეოლოგიის მოთხოვნებს წაუყენებენ, რომლის წარმომადგენლებიც თავად არიან. ამასთან, თუ სახელმწიფოც და საზოგადოებაც გააცნობიერებს შიშის ამ ოთხი მთავარი ფორმის მნიშვნელობას, მათი თვალსაზრისი ამ საკითხზე არაერთგვაროვანი იქნება, იმის მიხედვით, თუ რა იდეოლოგიით ხელმძღვანელობენ ისინი.

შიშის ოთხი მთავარი ფორმა, შესაბამისად – ოთხი მთავარი იმპულსი თუ მთავარი მოთხოვნა, იმ საყოველთაოდ მოქმედ პრინციპებს გულისხმობს, რომლებიც ჩვენს

არსებობას უშუალოდ არ განსაზღვრავს. ამის მიზეზი, შესაძლოა, ის იყოს, რომ ჩვენ, საერთო ჯამში, ყოველთვის მხოლოდ ოთხი შესაძლებლობა გაგვაჩნია, რათა ცხოვრებაში შექმნილ სიტუაციებზე რეაგირება მოვახდინოთ. ადამიანთა შორის არსებული ნებისმიერი ურთიერთობის, ამოცანისა თუ მოთხოვნის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება შეგვიძლია ოთხნაირად გამოვხატოთ: მათგან თავი შეგნებულად შორს დავიჭიროთ, ან მათთან სიამოვნებით მოვახდინოთ იდენტიფიცირება, ისინი კანონის სახით მივიღოთ ან ჩვენი სურვილისამებრ შევცვალოთ. ნებისმიერი ამოცანა, გადაწყვეტილება, მნიშვნელოვანი შეხვედრა თუ განგების ნებით აღსრულებული ხდომილება თავის თავში პოტენციურად მოიცავს ამ ოთხნაირი ქმედების შესაძლებლობას. მათი საკუთარი გუნება-განწყობის მიხედვით გამოყენება ან, სულ მცირე, გადაწყვეტილებათა მიღების დროს მათთან დაკავშირებული შესაძლებლობების გათვალისწინება ადამიანის ქმედით ხასიათზე მიუთითებს. მაგრამ საკითხი ამით არ ამოიწურება. ადამიანური ურთიერთობა ხშირად მოითხოვს, რომ ოთხივე იმპულსი, ფაქტობრივად, ერთდროულად ამოქმედდეს. მაგალითისთვის ბავშვის აღზრდა გავიხსენოთ. ამ დროს აღმზრდელმა უნდა დაიცვას საჭირო დისტანცია, რათა მან ბავშვის დამოუკიდებელი არსებობის ფაქტი გააცნობიეროს და ეს მის წინაშე აღიაროს; აღზრდა აღმზრდელის მხრივ მოითხოვს მოსიყვარულე განწყობას, რათა ბავშვს აღედრას ნდობა და მან ამის გამოხატვა შეძლოს. აღზრდა ასევე გულისხმობს გონივრულ სიმკაცრეს და თანმიმდევრულ ურთიერთობას, რათა ბავშვმა წესრიგის მნიშვნელობა შეიგრძნოს; და, ბოლოს, აღზრდა მოითხოვს კეთილ ნებას და პატივისცემას ბავშვის საკუთარი სამართლიანობის გრძნობის მიმართ, რათა მისი ფორმირება მთლიანად ჩვენი სურვილების თანახმად არ მოვახდინოთ და ამით მისი გაუცხოება არ გამოვიწვიოთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი «სრულყოფილებით» იშვიათად თუ გამოირჩევა ვინმე, რადგან ჩვენ, ადამიანები, საერთოდ არასრულყოფილნი და არასრულქმნილნი ვართ. მაგრამ, ვფიქრობ, მაინც მნიშვნელოვანი იქნება, თუ ჩვენი არსების შეზღუდულ, ინდივიდუალურ ცალმხრიობებს წარმოსახვაში ერთ მთლიანობად გავიაზრებთ. ყოველ ადამიანს გააჩნია მემკვიდრეობით მიღებული სომატური და ფსიქიკური კონსტიტუცია, გარესამყარო, რომლის გავლენასაც იგი განიცდის, ასევე ინდივიდუალური გამოცდილება და შეძენილი ქცევის წესები; ეს გულისხმობს იმას, რომ მის უკან დგას მთელი განვლილი ცხოვრება, რომლის საფუძველზეც ყალიბდება მისი პიროვნება და ხასიათი, ინდივიდუალური შესაძლებლობები და მათი გამოყენების საზღვრები, მისი არასრულყოფილი თუ ცალმხრივი თვისებები. ადამიანთაგან ვიღაც ერთი შეეცდება, საკუთარი შეზღუდული და ცალმხრივი თვისებებით დაიმკვიდროს თავი და, რაც შეიძლება, სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვროს, რადგან იცის, რომ «მთლიანობა» მიუღწეველია. ამით მას შეუძლია იმ ოთხი განწყობიდან და ასევე ოთხი მთავარი იმპულსიდან ერთ-ერთის რეალიზაცია მოახდინოს, რომელსაც იგი ყველაზე სრულყოფილად ფლობს. სხვა ადამიანი შეეცდება, «სრულყოფილებას» მხოლოდ მიუახლოვდეს, რადგან აცნობიერებს, რომ მის მიღწევას და საკუთარი თავის მაქსიმალურად რეალიზაციას ვერ შეძლებს. თუ ერთი ადამიანის ძალა იმაშია, რომ შეუძლია შეგნებულად განაცხადოს უარი მასში არსებულ რაღაც შესაძლებლობაზე და საკუთარი პიროვნება მისთვის მოზომილ საზღვრებში სრულყოს, მეორე ადამიანი თავის ძალას იმაში ავლენს, რომ ცდილობს, მისი პიროვნებისთვის ყოველივე უცხო და შორეული შეიცნოს, და ამით მუდმივი განახლება განიცადოს. «სრულყოფილება» და «სრულქმნილება» ის ორი მიუღწეველი იდეალია, რომელთან მიახლოების საშუალებასაც ჩვენი შესაძლებლობების საზღვრები გვაძლევს.

ოთხი მთავარი მისწრაფების თანახმად, ყოველთვის შეგვიძლია, საკუთარი თავის ერთგული დავრჩეთ, შევინარჩუნოთ ინდივიდუალობა, არ ვიყოთ ვინმეზე დამოკიდებული, შევიმეცნოთ გარესამყარო და შიშის გარეშე ვიცხოვროთ საკუთარი ცხოვრებით.

ყოველთვის უნდა ვეცადოთ, ჩვენს მუდმივ თვისებად ვაღიაროთ ის ნაღდი, კეთილი და მშვენიერი, რასაც საკუთარ თავში ვხედავთ და მათ შესანარჩუნებლად ვებრძოლოთ იმ ხანმოკლე და ცვალებად გავლენებს, რომლებსაც მათი შერყევა და განადგურება შეუძლიათ;

ამასთან, ჩვენი ეს თვისებები, შესაძლოა, იმ კანონებმა და წესრიგმაც დაიცვას, რომელთა საჭიროებაც ჩვენვე ვაღიარეთ.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყოველთვის გვაქვს შესაძლებლობა, მივიღოთ თავისუფლებისაკენ, შევურიგდეთ ცხოვრებაში მიმდინარე, მუდმივ ცვლილებებს და, ჩვენთვის წინასწარ განჩინებული «აპოლონისეული» ქცევის ნაცვლად, «დიონისური» ქცევები გავითავისოთ; ამის წყალობით შევძლებთ, ცხოვრება მთელი თავისი დიდებულებითა და შიშნეულობით შევიცნოთ, რის შემდეგაც ჩვენს გრძნობებზე ორივე მათგანი თავისებურად კვლავ აირეკლება.

ყოველთვის მოვახერხებთ, რათა, შიზოიდის მსგავსად, ავირიდოთ ადამიანებთან ურთიერთობა, ან, დეპრესიული ადამიანის დარად, განშორებისა და სიმარტოვის შიშით ვინმეზე ვიყოთ დამოკიდებული; ასევე შეგვიძლია, ობსესიურ ადამიანს მივბადოთ, და, ცვლილებებისა და წარმავლობის წინაშე შიშის გამო, წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს ჩავეჭიდოთ, ანდა, ისტერიული პიროვნებასავით, განგებას მივენდოთ, რათა გავექცეთ შიშს აუცილებლობისა და გარდუვალობის წინაშე. ამგვარად, ერთი ან რამდენიმე დიდი მოთხოვნის უგულებელყოფის შედეგად, ჩვენი ადამიანური თვისებები უფრო ფრაგმენტულად წარმოჩნდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორი ანტინომიური პიროვნება, ურთიერთშევესების მიზნით, ინსტინქტურად იზიდავს ერთმანეთს. ამ დროს მეორე ადამიანში ის თვისებები გვხიბლავს, რომელთა არსებობასაც საკუთარ თავში ვვარაუდობთ, მაგრამ მათ ვთრგუნავთ ან ვერ გამოვხატავთ, რადგან ამის გამოხატვა არ ხელგვეწიფება. ამ დროს ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს საპირისპირო ტიპის ადამიანთან ურთიერთობით იმ «მთლიანობას» და «სრულყოფას» მივაღწევთ, რომლის წყალობითაც საკუთარ, ინდივიდუალურ შეზღუდულობას და ცალმხრივობას დავაღწევთ თავს; ესეც, მნიშვნელოვანწილად, მოპირდაპირე სქესის მომხიბვლელობას უკავშირდება.

ამ თვალსაზრისით, ერთი მხრივ, შიზოიდური და დეპრესიული, მეორე მხრივ კი, ობსესიური და ისტერიული პიროვნებები იზიდავენ ერთმანეთს. ვინ იცის, იქნებ მეორე ადამიანთან ურთიერთშევესების სურვილით, ჩვენც იმ ქვეცნობიერ ლტოლვას გამოვხატავთ, რომელიც გვაიძულებს, პარტნიორში ვიპოვოთ ის, რაც თავად არ გაგვაჩნია, ან რის არსებობასაც მხოლოდ ვვარაუდობთ? ან იქნებ გვგონია, რომ ამით იმ წინასწარგანჩინებული სტრუქტურის ხუნდებისგან დავიხსნით თავს? ასეა თუ ისე, საპირისპირო სტრუქტურული ტიპების მიზიდულობაში ამგვარი ურთიერთშევესების შანსი არსებობს. მაგრამ ამისათვის უნდა გაგვაჩნდეს მზაობა, ვაღიაროთ მეორე ადამიანის «სხვაგვარობა», სერიოზულად მოვეკიდოთ და გავუგოთ მას; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გაგვიჩნდეს იმედი, რომ იმ მეორე ადამიანს ჩვენშიც აღმოვაჩინოთ და განვითარების საშუალებას მივცემთ. რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ეს მეტწილად სხვაგვარად გამოიყურება. როდესაც ადამიანი ცდილობს, მეორე პიროვნება თავის ორბიტაზე გადაიყვანოს და, რაც შეიძლება დაემსგავსოს მას, ამ დროს იკარგება შემოქმედებითი დაძაბულობის ძალა და მათ შორის ცხარე შეხლა-შემოხლა იწყება. ხანდახან ადამიანს საერთოდ არ შესწევს უნარი, მეორე პიროვნების «სხვაგვარობა» შეიცნოს, რადგან იგი ამისთვის მზად არ არის, ანდა საკუთარი საზომით ზომავს მის საქციელს, რომელიც მისთვის მიუღებელია.

როდესაც შიზოიდური და დეპრესიული პარტნიორები ინსტინქტის დონეზე იზიდავენ ერთმანეთს, ამას უმთავრესად შემდეგი საფუძველი აქვს: შიზოიდი გრძნობს, რომ დეპრესიულ ადამიანს სიყვარულის უნარი შესწევს და მზად არის, საკუთარი თავი ამ სიყვარულს უძღვნას მსხვერპლად; ამასთან, იგი ხედავს, რომ დეპრესიულ ადამიანს, მგრძნობიარე ბუნების გამო, შეუძლია, თავისი თავი პარტნიორზე «უკან დააყენოს». შიზოიდური პიროვნება ვარაუდობს, რომ ამ დროს მას ეძლევა შანსი, საკუთარ იზოლაციას თავი დააღწიოს და პარტნიორის ხარჯზე განიცადოს ის, რის განცდასაც იგი ვერასოდეს ახერხებდა; თან იმედი აქვს, რომ პარტნიორის ნდობას მოიპოვებს და მასთან თანაბარი უფლებებით ისარგებლებს. ამგვარი ურთიერთობის ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ შიზოიდი დეპრესიულ ადამიანში იმ შესაძლებლობებს ხედავს, რომელთა არსებობას საკუთარ თავშიც ვარაუდობს, მაგრამ ხვდება, რომ მათი განვითარება და გამოვლენა ვერ მოხერხდება. მეორე მხრივ, დეპრესიულ ადამიანს შიზოიდში ხიბლავს ის, რომ ეს

უკანასკნელი რაღაც ისეთს განიცდის, რის გამოხატვასაც თავად ვერასოდეს ბედავდა. მას არ შეეძლო ისეთი დამოუკიდებელი ინდივიდუმი ყოფილიყო, რომელსაც «დაკარგვის შიში» და «დანაშაულის გრძნობა» არ ექნებოდა. ამასთან, იგი გრძნობს, რომ მის გვერდით არსებობს ადამიანი, რომელიც მის სიყვარულს სასწრაფოდ საჭიროებს. თუ რა საბედისწერო შეიძლება გახდეს ასეთი ურთიერთობა, ზემოთ აღწერილ მაგალითზე უკვე დავინახეთ. როდესაც შიზოიდი დეპრესიული ადამიანისგან წამოსული შემაკავებელი ტალღების ძალას შეიგრძნობს, იგი საკუთარ თავში ჩაბუდებულ მთავარ შიშს გამოუხმობს, ვინმეზე დამოკიდებულების შიში რომ ჰქვია; ხოლო როდესაც დეპრესიული ადამიანი ხედავს, როგორ იბრძვის შიზოიდი საკუთარი დამოუკიდებლობისათვის, მასში «მე»-ს დაკარგვის შიში იღვიძებს. შემდეგ კი ამ თავდაცვით ქცევებს ორივე მათგანი უსასრულო, ტრაგიკულ ურთიერთობამდე მიჰყავს.

ობსესიურ პიროვნებას ხიბლავს მისი საპირისპირო – ისტერიული ტიპის დაუდევარი და მჩქეფარე ხასიათი, რისკის განცდის სიხარული და მზაობა ყოველგვარი სიახლისადმი, რადგან თავად მეტისმეტად ერთგულად იცავს წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, გამუდმებით ზრუნავს საკუთარ უსაფრთხოებაზე და შეზღუდული ცხოვრების წესით ცხოვრობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტერიულ პიროვნებას მისი საპირისპირო, ობსესიური ტიპი იზიდავს; იგი მასში ხედავს სტაბილურ, ზომიერ, თანმიმდევრულ და საიმედო ადამიანს და იმასაც გრძნობს, რომ მასავით «წესრიგიანი ცხოვრება» არა აქვს და არც არასოდეს ჰქონია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიძლება საქმე ჩახლართულ და ტრაგიკულ ურთიერთობამდე მივიდეს, თუ ორივე მათგანი შეეცდება, საკუთარი სპეციფიკური შიშებიდან გამომდინარე, პარტნიორთან თავისი ხასიათი გაიტანოს. ობსესიურ პიროვნებას, მისთვის ჩვეული თავდაჯერებით, პედანტურობით, მოთქმა-წუწუნითა თუ უდრეკი სიჯიუტით, ასევე ძალაუფლებაზე პრეტენზიით და იძულებისადმი მიდრეკილებით, შეუძლია პარტნიორი ისტერიულ მდგომარეობამდე მიიყვანოს; ამ უკანასკნელს ამ დროს ჰგონია, რომ ჰაერი აღარ ჰყოფნის და იხრჩობა. ობსესიური პიროვნება, მისთვის დამახასიათებელი წესიერი, გონივრული და ობიექტური ქცევების მიღმა, მალავს თავის მთავარ შიშს ცვლილებების წინაშე და ცდილობს, ისტერიულ ადამიანს ისეთი «ჩაპროგრამებული» და უღიმღამო თანაცხოვრება აიძულოს, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ბრწყინვალეობას, იმპროვიზაციებსა და ყოველდღიურ ხალისიან ცხოვრებას; ამასთან, მაინც გაკრთება ხოლმე მისთვის ესოდენ საჭირო წუთები, როდესაც პარტნიორი, მისი განებივრების შიშით, ღირსებებს ძალიან ძუნწად შეუქებს. ასეთ დროს ისტერიულ პარტნიორს იპყრობს მისი მთავარი შიში «წინასწარ დაგეგმილი», გადაჭარბებული მოთხოვნების წინაშე, რაც ობსესიურ პარტნიორს სულ უფრო აღიზიანებს და მოსვენებას უკარგავს; იგი იძულებულია, უარყოს ისტერიული პიროვნების მხრივ გამოთქმული გაუგებარი, არალოგიკური და დაუსაბუთებელი პრეტენზიები, რომლებსაც თავის დასაცავად შეგნებულად იყენებს, და მის წინააღმდეგ კიდევ უფრო მკაცრი ზომები მიიღოს. ამ ადამიანებსაც ერთმანეთთან არაფერი აქვთ საერთო და ურთიერთშევესების ყოველგვარი მცდელობა მათთვის აზრს კარგავს.

ორივე შემთხვევაში მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: ადამიანმა უნდა გაითავისოს და გაითვალისწინოს პარტნიორის მოთხოვნები და საკუთარი შიშის გამო უფრო მკაცრი ხასიათი არ გამოავლინოს. მაგრამ, საპირისპირო ტიპებს შორის არსებული ძალიან დიდი განსხვავების შემთხვევაში, ასეთი ურთიერთობა შეუძლებელია, რადგან ამ დროს ორივეს განსაკუთრებით აშინებს პარტნიორის «სხვაგვარობა» და, იძულებულია, მის წინაშე დაიცვას თავი. ამ დროს პარტნიორში ვერც ერთი მათგანი ვეღარ ხედავს იმ ხიბლს, რომელსაც ადრე მისი თვისებები იწვევდა. ახლა ორივე პარტნიორი თავისი საპირისპირო ტიპის მიმართ მხოლოდ შეშფოთებას და უჩვეულო გაოცებას გრძნობს.

ამ თვალსაზრისით, შესაძლოა, ოთხი მთავარი განწყობისა და მთავარი შიშის გაცნობიერება პარტნიორული თუ ნებისმიერი ადამიანური ურთიერთობისათვის სასარგებლო აღმოჩნდეს. დღესდღეობით ადამიანს ხშირად უჩნდება სურვილი, დაუყოვნებლივ გაწყვიტოს ურთიერთობა, როგორც კი პარტნიორის მიმართ იმედგაცრუებას იგრძნობს. ამით იგი, არც თუ იშვიათად, კარგავს შესაძლებლობას, მეორე ადამიანის შეცნობით, სამომავლოდ, საკუთარი პიროვნების განვითარებას ცოტათი მაინც შეუწყოს ხელი. რადგან

ადამიანის «სამყაროში არსებობის» ოთხი ფორმა ჩვენთვის დამახასიათებელი, უმთავრეს შესაძლებლობებს მოიცავს, ამიტომ ისინი ყოველთვის არსებობდნენ და მომავალშიც იარსებებენ. განსხვავებულ ეპოქებსა და კულტურებში, სოციალურ სტრუქტურებსა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში ყოველთვის განსხვავებულად ეკიდებოდნენ შიშის ოთხ მთავარ ფორმას; ასევე სხვადასხვა შეფასებას აძლევენ ამ «შიშებს» დროების შესაბამისი იდეოლოგიებისა და ღირებულებების, განსხვავებული ეთიკური, რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისები. ამრიგად, შესაძლოა, მთელ რიგ ეპოქებში ამ ოთხი სტრუქტურიდან ერთ-ერთ მათგანს მიენიჭოს უპირატესობა. ასეთ შემთხვევაში რომელიმე განწყობის მქონე ადამიანის ტიპი უკეთესად ვითარდება, რადგან ბავშვები, შესაბამისად, ამ განწყობით იზრდებიან, მის საპირისპირო ტიპს კი საზოგადოება უარყოფითად აფასებს და მასზე უარს ამბობს.

ასე, მაგალითად, ბინადარი, გლეხური კულტურის საფუძველს ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები და მყარი გამოცდილება წარმოადგენს, რომელიც ორიენტაციას უსაფრთხოებაზე, საკუთრებაზე და «მუდმივობაზე» იღებს; ეს თვისებები ობსესიური პიროვნების დახასიათებისას აღვწერთ. დღეისათვის ადამიანი ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის გავლენას განიცდის, რომელმაც იგი ბუნებრივი განვითარების ფესვებს მოსწყვიტა, და ახლა სულიერებისგან დაცლილი ბევრი საქმიანობა მასობრივად მართულ პროცესებთან არის დაკავშირებული. აშკარაა, რომ ადამიანის ამგვარმა ფესვებსმოწყვეტილმა არსებობამ მისი შიზოიდიზაცია გამოიწვია. ზემოთ უკვე აღვწერთ შიზოიდის ტიპი, რომელიც გაურბის ადამიანებთან ურთიერთობას, უგულვებელყოფს ღრმა განცდებს და ყოვლისშემძლე ტექნოკრატის მომხრედ გვევლინება. მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ხაზი გავუსვათ, ერთი მხრივ, შიზოიდის დადებით თვისებას, სახელდობრ, სწრაფვას ინდივიდუალისაკენ – არა როგორც იზოლირებული თვითრეალიზაციისა და ეგოცენტრიზმის ერთჯერად გამოვლინებას, არამედ როგორც მიზანს, რომელიც უფრო დიდ, ზეინდივიდუალურ «მთლიანობას» წაადგება სასიკეთოდ. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ შიზოიდის დროს უფრო შეგნებულად გამოვლინდება ცნობიერების ანტინომიური დამოკიდებულება ემოციური და ჰუმანური ღირებულებების მიმართ.

ახლა უკვე ყავლგასული პატრიარქატი, რომელიც ცნობილი იყო თავისი აბსოლუტური ძალაუფლებითა და ავტორიტეტით, ტრადიციებისა და საკუთარი ინსტიტუციებისადმი ერთგულებით, უშკარა უპირატესობას ობსესიური ტიპის თვისებებს ანიჭებდა; მაგრამ, გლეხური კულტურისაგან განსხვავებით, მას უკვე აღარ ჰქონდა ის ორგანული, ცოცხალი საფუძველი და უფრო ძალაუფლებისაკენ, უქონელ-უპოვართა ჩაგვრისკენ სწრაფვას გამოხატავდა. ამით პატრიარქატმა ხელი შეუწყო ავტორიტარული აღზრდის წინააღმდეგ პროტესტს, რაც სექსის საკითხს და მრავალი ტაბუს გაუქმების მკვეთრ მოთხოვნებს უკავშირდებოდა, და ახალი თავისუფლებისკენ სწრაფვაზე დადებით გავლენას ახდენდა. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს ძალა, რომელიც, ურთიერთშევესების პრინციპით, არაჯანსაღი ცალმხრიობების გაწონასწორებას ახდენს. ამ თვითმარეგულირებელი პროცესის გაცნობიერება, რა თქმა უნდა, უმთავრესად მოგვიანებით ხდება, მერე კი რიტმულად მიედინება, ვიდრე დაგუბებული აღმფოთების ტალღა გარეთ არ გადმოხეთქავს; ეს მით უფრო უკიდურესი ფორმით ხდება, რაც უფრო ცალმხრივად და ძლიერად მიმდინარეობდა მანამდე არსებული, საპირისპირო, ცალმხრივი განწყობის გამოვლინება.

ასევე უდავოდ შეინიშნება კავშირი «სამყაროში არსებობის» ოთხ ფორმასა და «სიბერეს», ანუ მთავარ იმპულსებსა და ბიოლოგიურ პროცესებს შორის. ბავშვის განვითარების უკვე ხსენებული ფაზების შემდეგ, ახალგაზრდობის პერიოდში, ჩვეულებისამებრ, ცენტრიდანული ძალის სიჭარბე იგრძნობა; ეს არის ოპტიმისტური შეგრძნება იმისა, რომ ჩვენც და გარესამყაროსაც უამრავი შესაძლებლობა გაგვაჩნია, რომ ცხოვრება დიდ მომავალს გვპირდება, და ჩვენც თავგადასავლების მოლოდინში ხალისიანად უნდა შევერთოთ მის ტალღებს. ეგრეთ წოდებულ «საუკეთესო წლებში» ადამიანს უჩნდება სურვილი, შექმნას და მოიწყოს საკუთარი ცხოვრებისეული სივრცე; და რაკი ცენტრისკენულ ძალებში უკვე განსაზღვრული შეზღუდული მიზნებისადმი სწრაფვა

სჭარბობს, ამიტომ ადამიანი ძალაუფლებისა და საკუთრების სფეროებს ქმნის და თვითრეალიზაციას პროფესიაში, პარტნიორობასა და მშობლის რანგში ახდენს.

შუახნის ასაკს მიღწეული ბევრი ადამიანი ცვლილებას განიცდის; ამ დროს გვიძლიერდება სურვილი, მოვახდინოთ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია, რომელთა გამოვლენის საშუალებას ყოველდღიური ვალდებულება-მოვალეობები არ გვაძლევდა; ამიტომ ახლა დიდი სურვილი გვაქვს, თავდავიწყებით შევებრძოლოთ საკუთარი «მე»-ს შებოჭილობას და გავთავისუფლდეთ მისგან. ამ დროს მეტაფიზიკური და ტრანსცენდენტური საკითხები ახალ აზრს იძენს, ჩვენ ნელ-ნელა ვსწავლობთ შებოჭილობის დამარცხებას და იმასაც, რომ წარმავლობის არსებობა საკუთარი თავისთვისაც უნდა ვაღიაროთ. სიბერეში ჩვენ უკვე ვაცნობიერებთ სიკვდილის მოახლოებას, ახლა უკვე ახლებურად ვუპირისპირდებით «სიმარტოვეს» და, შესაძლოა, ბრძნულადაც კი ვახერხებთ ამ ჩვენი უკანასკნელი «სიმარტოვის» აღქმას. მეორე მხრივ, შეგნებული გვაქვს, რომ «ზოგადადადამიანურობისა» და იმ მთლიანობის ნაწილი ვართ, რომელსაც კვლავ უნდა შევერწყათ იმ წესით, როგორც ამაზე ჩვენს ენაში არსებული სიტყვა «მარტოსული» მიგვანიშნებს. ეს სიტყვა კი არა მხოლოდ იზოლირებულად «მარტო ყოფნას», არამედ ჩვენში არსებულ, დაფარულ, «საყოველთაო სულიერებასაც» გამოხატავს. რა თქმა უნდა, აღნიშნული ასაკობრივი თავისებურებები ადამიანის მხოლოდ გარკვეულ თვისებებს წარმოაჩენს, მაგრამ ამასთან შანსს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ისინი ცხოვრებისეულ კანონზომიერებას გამოხატავენ.

თუმცა ეს განცდა კიდევ უფრო შორეულ ფიქრებს ბადებს. როგორც ჩანს, ჩვენი განვითარების ადრეულ ფაზებს ცხოვრების შუაგზიდან უფრო ძალაღონე მივუბრუნდებით ხოლმე. ამ გადასახედიდან, შესაბამისი შიშების დაძლევა ახლებურად გვიხდება. ამას კი იმის გაცნობიერებით ვიწყებთ, რომ შეზღუდულია ჩვენ წინ არსებული მომავალი, და, თურმე, მთლად დაწრეტილა ჩვენი მდიდარი შესაძლებლობების წყარო! აი, ასეთია ჩვენი ხელახალი შეხვედრა წარსულის იმ განცდასთან, გარდუვალობის წინაშე შიში რომ ჰქვია. შემდეგ იმასაც გავიაზრებთ, რომ ყველაფერი, რაც კი შეგვიქმნია, იქნება ეს მატერიალური სიკეთე თუ სულიერი ფასეულობები, თვალსა და ხელს შუა სახეს იცვლის, ჩვენი სიცოცხლისუნარიანობა მიინავლება და არ არსებობს არავითარი აბსოლუტური ან ხანგრძლივი რამ, რაც ახლებურად შეგვაგრძნობინებდა შიშს წარმავლობის წინაშე. მერე განშორების გრძნობაც შეგვახსენებს თავს: შვილები ჩვენგან მიდიან და საკუთარ ოჯახებს ქმნიან; ვკარგავთ ახლობელ ადამიანებს და ნელ-ნელა ვაცნობიერებთ, რომ უნდა შევეგუოთ მათთან დამშვიდობებას. მერე კი, ამის გამო, კვლავ ახლებურად გვიპყრობს სიმარტოვის შიში. ვიცით, რომ ცხოვრების ბოლოს თავად ჩვენც გველოდება სიკვდილი, ანუ ეს უცნაური «გარდაცვალება», რომლის თანაზიარიც ვერავინ გახდება და ვერც თანხლებას გაგვიწევს ვინმე. ასე ვხვდებით უკანასკნელად შიშს საკუთარი ერთგულების წინაშე, რაც უკვე სიკვდილთან შეხვედრას გვაუწყებს. ჩვენი არსებობის სივრცე ამ უკანასკნელი ნაბიჯით ჩაკეტავს იმ უზარმაზარ წრეს, საიდანაც პირველი ნაბიჯი გადმოვდგით.

რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, რომლებიც ნაბიჯის წინ წადგმას ვერ ბედავენ და ახლაც ერთგულად აგრძელებენ სვლას უკანა მიმართულებით: ისინი ვერ ეგუებიან სიბერეს და ცდილობენ, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, ახალგაზრდებად დარჩნენ; ეს ადამიანები მით უფრო ვერ ელევინ თავიანთ ქონებას, რაც უფრო მეტად გრძნობენ, რომ დრო და ძალები ეწურებათ. ისინი სიბერეში კვლავ ბავშვობას უბრუნდებიან, აინტერესებთ მხოლოდ ჭამა-სმა, საჭმლის მონელება და საკუთარი ჯანმრთელობა, მერე კი ამ ცხოვრებიდან იმ საბრალო მოხუცებად მიდიან, რომლებსაც უმწეო ბავშვისგან ვეღარ გამოარჩევ.

მკითხველი ალბათ იმედგაცრუებული დარჩება, როდესაც პიროვნების ოთხ აღწერილ სტრუქტურაში საკუთარი თავის ამოცნობას მოინდომებს და მიხვდება, რომ არც ერთი მათგანი მას ერთმნიშვნელოვნად არ მოერგება. სამაგიეროდ, იგი ამ სტრუქტურებში თავისთვის, ალბათ, რაღაცას, მათ შორის შიშის ძირითად ფორმებსაც აღმოაჩენს. ვფიქრობ, სწორედ იმის გამო, რომ ადამიანთა სტრუქტურულ ტიპებს და მთავარ შიშებს ასე ახლო კავშირი აქვთ ცხოვრებასა და რეალობასთან, არ შეგვიძლია იმის თქმა, თითქოს ისინი «წმინდა» სახით გვხვდება; ასეთი ერთმნიშვნელოვანი განცხადება ჩვენს რაციონალურ მოთხოვნილებათა და ცალკეულ სისტემათა შესაფასებლად უფრო გამოგვადგებოდა,

ვიდრე ცხოვრებისეული სინამდვილისა, რადგან ასეთი მიდგომა ყოველთვის ამ უკანასკნელზე ძალადობას გულისხმობს. გარდა ამისა, მთავარი იმპულსებისა და მათთან დაკავშირებული შიშების დროს საქმე ზოგადადამიანურ მოცემულობებს ეხება, ხოლო მათი ჩამოყალიბება ადრეული, ბავშვობისდროინდელი განვითარების ფაზაში იწყება, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაიაროს; ამიტომ უნდა ვიცნობდეთ ამ ოთხ იმპულსს, როგორც ადამიანში არსებული შესაძლებლობების საწყისს. ამის შემდეგ ისიც კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ, გარკვეული აზრით, მით უფრო ქმედითები ვხვდებით, რაც უფრო უკეთ ვერკვევით ამ ოთხ სფეროში; შესაბამისად, თუ ამ ოთხი ძირითადი იმპულსიდან ჩვენში ყველა მათგანი არსებობს, ეს ნიშნავს, რომ ბავშვობისდროინდელი ფაზების განვითარება, სადაც ეს იმპულსები და შიშები ყალიბდება, შედარებით ჯანსაღი სახით ხდებოდა. აქედან გამომდინარე, ცალმხრივად განვითარებული პიროვნული სტრუქტურები უფრო მეტ საფრთხეს შეიცავს და განსაკუთრებით ნათლად დაგვანახებს სიცოცხლის ადრეული წლების მნიშვნელობას ადამიანის ჯანსაღი განვითარებისათვის.

გზას, რომელსაც ოთხი მთავარი იმპულსი ჩვენი განვითარების პროცესში გაივლის, შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავს: ჩვენ დაბადებით თან დაგვყვება «პირველი ბუნება», რომლის ასე თუ ისე დადგენა, ჰოროსკოპის მეშვეობით, ასტროლოგიას შეუძლია; ამას მოსდევს მემკვიდრეობით მიღებული თვისებები, რომელთა გავლენაც მხოლოდ ჩვენი განვითარების პროცესში გამოვლინდება. გარესამყაროსთან თავდაპირველი თუ გვიანდელი შეხვედრისა და ურთიერთობის დროს კი ჩვენს «მეორე ბუნებას» მოვიპოვებთ, რომელიც გარესამყაროს გავლენით ყოველთვის აფერმკრთალებს ჩვენს «პირველ ბუნებას» და, შესაბამისად, მის გაუცხოებას იწვევს. თუ ადამიანის «პირველ ბუნებასა» და მის მიერ მოპოვებულ, ათვისებულ «მეორე ბუნებას» შორის დიდი სხვაობა იჩენს თავს, ამ დროს ადამიანი ავადდება. ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა ნათლად დაგვანახა ადამიანის ადრეული და გვიანდელი გარესამყაროს ურთიერთგავლენის პათოგენეტიკური შედეგი. უპირველეს ყოვლისა, აქ ხაზი უნდა გავუსვათ ადრეული ოჯახური გარემოს როლს, რომელსაც, სოციალურ და კულტურულ გარემოსთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის აღზრდაში. მშობლები, ნებისთ თუ უნებლიეთ, ანგარიშს უწევენ ან ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ აზრს, შესაბამისად, ბავშვი, აღზრდის გავლენით, გაითავისებს ან უარყოფს საზოგადოებრივ ფასეულობებს.

თუ გავითვალისწინებთ ბავშვების უგულუბელყოფას ან მათთვის მიყენებულ უამრავ ტრავმას, რაც მათი მშობლების დაავადებულ ფსიქიკაზე მეტყველებს, შეიძლება ვთქვათ, რომ მშობლები და შვილები ერთმანეთის ბედისწერა ხდებიან. დიდი განსხვავებები, რაც არსებობს ხასიათებს, გუნება-განწყობებსა და ინდივიდუალურ თვისებებს შორის, ასევე ბავშვობისდროინდელი, ხანგრძლივი ურთიერთობა მშობლებთან, ბავშვის განვითარებისთვის ხელისშემშლელი პირობები, ადამიანს, როგორც ცოცხალ არსებას, დიდ საფრთხეს უქმნის. მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა, ერთი მხრივ, იმით განისაზღვრება, რომ მშობლებს შვილი «გულის წვერზე აბიათ», სიყვარულს აშკარად გამოხატავენ და მის განვითარებასა და მომავალთან დაკავშირებით განსაკუთრებული გეგმები აქვთ, ხოლო მეორე მხრივ, მშობლებს ძნელად ესმით და უცნაურად ეჩვენებათ შვილის ხასიათი, თავს ძალას ატანენ, რომ ბავშვს სიყვარული აგრძნობინონ და მასში იმედგაცრუება არ გამოიწვიონ; ამასთან, რთული ბავშვი თავსატეხს უჩენს მშობლებს, რომლებიც უმწეობას იჩენენ მის წინაშე. მაგრამ ბავშვიც აგრძნობინებს მშობლებს, რომ ისინი იმგვარნი არ არიან, როგორებიც მას წარმოედგინა და სჭირდებოდა. აი, ეს ყველაფერი ხშირად ბედისწერად გვექცევა ხოლმე ჩვენც და ბავშვსაც, რაც სცდება ყოველგვარი დანაშაულის ზღვარს.

ამ დროს ისღა დაგვრჩენია, ყველაფერი ვიღონოთ, რათა ბავშვს თავიდან ავაცილოთ მძიმე ტრავმები, უპირველეს ყოვლისა კი, შევეცადოთ, რაც შეიძლება, მეტი რამ შევიტყოთ მისი ადრინდელი მოთხოვნილებების შესახებ, ასევე გავიხსენოთ მის ადრეულ ბავშვობაში ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომები. მეორე მხრივ, შეგვიძლია, ბავშვისთვის მიყენებულ ტრავმებს ადრევე მივაქციოთ ყურადღება და, შეძლებისდაგვარად, ვიზრუნოთ მათ მკურნალობაზე.

საამისოდ დღესდღეობით, «დიდი ფსიქოთერაპიის» გარდა, მრავალი შესაძლებლობა არსებობს; მათ შორისაა:

«თამაშის» თერაპია, აღმზრდელობითი რჩევა-დარიგებები, ოჯახური თერაპია, ქცევებისა და კომუნიკაციის თერაპია, საქორწინო წყვილების ინდივიდუალური ან ჯგუფური თერაპია, ასევე ოჯახის იმ წევრის თერაპია, რომელიც დანარჩენ წევრებზე დამთრგუნველად მოქმედებს, ან თერაპია, რომელიც მისი საქციელის შედეგად ტრავმირებულ ბავშვს უტარდება. სომატური დაავადებების გამოკვლევის მიზნით, კარგა ხანია ვატარებთ სავალდებულო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს სკოლებში და, დაავადების გამოვლენის შემთხვევაში, ბავშვს აუცილებლად მივუჩენთ ექიმს. საოცარია, რომ დღემდე არ ტარდება პროფილაქტიკა ჩვენი ბავშვებისა და მათი მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ფსიქიკური მდგომარეობისა მათ შორის არსებული ურთიერთობების გამოსავლევად, თუმცა დღესდღეობით უკვე ცნობილია, რომ ბევრი სომატური დაავადება ფსიქიკურ მოვლენებს უკავშირდება; დადგენილია ისიც, რომ ბავშვობისდროინდელ ფსიქიკურ ტრავმებს ხშირად მძიმე შედეგები მოჰყვება. ამ სფეროში ჩვენ ჯერაც ველურობას ვიჩენთ, თუ ამაში იმ უცოდინარობას ვიგულისხმებთ, რომელიც, დიდი მოწადინების შემთხვევაში, შეიძლება აღმოგვეჩვენოს. მშობლებმა, აღმზრდელებმა და სახელმწიფო ინსტიტუციებმა, თუნდაც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ერთიანი ძალისხმევით უნდა მოაგვარონ ნევროზული დაავადებების პროფილაქტიკის საკითხი.

«შიშის» თემასთან დაკავშირებით ერთსაც ვიტყვით: თუ მტანჯველი შიშის გამოვლენა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენში რაღაც «არაჯანსაღი ხდება», ან ამ დროს, ცხოვრების გამოწვევის გამო, შიშით ვიხვეთ უკან, მაშინ თავს მხოლოდ იმით შეიძლება ვუშველოთ, რომ გავიგოთ, რა მოთხოვნებს გვიყენებს ეს შიში; შემდეგ, ჩვენივე განვითარების შესაბამისად, ახალ, თავისუფალ სივრცეში გადავინაცვლოთ და, იმავდროულად, ახალი წესრიგისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა გამოვაკლინოთ. ამ შემთხვევაში შიშს პოზიტიური, შემოქმედებითი მხრიდან დავინახავთ და იგი ჩვენი გარდაქმნის სტიმულად გადაიქცევა.

წიგნის შესავალში გამოყენებული შედარება, შესაძლოა, იმაში დაგვეხმაროს, რომ გავაცნობიეროთ ჩვენი თანამონაწილეობა იმ დინამიურ პროცესებში, რომლებიც, წინააღმდეგობებისა და დაპირისპირებების მიუხედავად, გაწონასწორებულნი არიან. ეს წონასწორობა არასოდეს ნიშნავს სიმშვიდეს და უძრაობას, მაგრამ ამავედროულად, ქაოსადაც არასდროს გადაიქცევა. კოსმოსის მამოძრავებელი იმპულსების ნებისმიერი გადამალვა ან სისტემიდან ამოვარდნა საფრთხეს შეუქმნიდა ან სულაც გაანადგურებდა მზის სისტემას. ადამიანურ დონეზე კი ისე ხდება, რომ მთავარი იმპულსებიდან ერთ-ერთის ნებისმიერი გამოცალკევება ან გამოთიშვა ჩვენს შინაგან წესრიგს უქმნის საფრთხეს და, შესაძლოა, დაავადების მიზეზიც გაგვიხდეს.

ერთი მხრივ, კოსმიურ ძალებში თანამონაწილეობა, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანურ გარემოში პიროვნებად ჩამოყალიბება ჩვენს არსებობას ორმაგი სახით წარმოაჩენს; ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ზედროითი, ზეპიროვნული წესრიგის, კანონზომიერებებისა და ზოგადად ადამიანური პროცესების თანამონაწილეა, და ეს მის ზედროით, მარადიულ მხარეს წარმოადგენს. ამასთან, ადამიანი, როგორც ისტორიული არსება და ერთჯერადი ინდივიდუალი, მუდმივ ჭიდილში იმყოფება საკუთარ შესაძლებლობებსა და იმ გარემოს შორის, რომელშიც უნდა აღიზარდოს; ეს მის დროით მხარეს წარმოაჩენს. როგორც დროით შეზღუდული არსებები, ჩვენ ვქმნით საკუთარ ინდივიდუალურ ბიოგრაფიას და ჩვენს პიროვნებას, რომელთაც ახასიათებთ შეზღუდულობა და ცალმხრიობა; ჩვენ საკუთარ თავში ვგრძნობთ იმ სრულყოფილებას და სრულქმნილებას, რომელიც წარსულზე და მასში არსებულ შეზღუდვებზე აგვამაღლებს და იმ აზრს გვაზიარებს, რომ ადამიანი დროსთან, კულტურასა და რასასთან როდია დაკავშირებული, მასში «ადამიანურობის თავისთავადობა» იგულისხმება.

წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს ადამიანი, რომელიც ერთგულების წინაშე შიშს გააცნობიერებს და საკუთარ თავს სიყვარულითა და ნდობით მიუძღვნის თანამომძიებებს; იმავდროულად, გაბედავს და საკუთარი, დამოუკიდებელი ცხოვრებით იცხოვრებს, არ ექნება შიში საფრთხეებისა და წარმავლობის წინაშე, თავისი ცხოვრების გზას ნაყოფიერად გაივლის და ახლის ქმნადობის გონივრულ უნარს გამოიჩენს, და, ბოლოს, ჩვენი სამყაროს

და ცხოვრების წეს-კანონების აღსრულებას პირადად იტვირთებს, მათ საჭიროებას და აუცილებლობას გააცნობიერებს და მიხვდება, რომ არ უნდა შეეშინდეს და მათ გამო საკუთარი თავისუფლება ძალიან არ უნდა შეზღუდოს. აი, ასეთ ადამიანს აუცილებლად ვადიარებდით «უმადლესი ადამიანურობის» ნიმუშად. მართალია, ჩვენ ასეთი ადამიანის მხოლოდ მიახლოებულ ნიმუშად გამოვდგებით, მაგრამ მაინც, ალბათ, მნიშვნელოვანია, რომ, საერთოდ, არსებობდეს ასეთი მიზანდასახული, ბრძენი და სრულყოფილი ადამიანის სურათ-ხატი. ეს არ არის ადამიანის მიერ გამოგონილი იდეოლოგია; ეს უბრალოდ, შესაბამისობაა, როდესაც სამყაროს სისტემაში არსებული დიდი წესრიგი ჩვენი «ადამიანურობის» დონეზე გადმოინაცვლებს.